ნო, რომ ეს ნამდვილად ასეა და სხვანაირად არც
შეიძლება იყოს!“

აღარ გვინდოდა მოვცლებოდით ამ მყუდროსა
და მიშვიდეულ ოთახს. ყოველი საგანი ამ ოთახ-
ში ისეთი მახლობელი გახდა ჩვენთვის, თითქოს
მშობლიური ყოფილიყო.

შთაბეჭდილებებით თავმრუდახვევლები ვუს-
მენდით ლენინს. როცა გაგვახსენდა, რომ ჭეი-
რფას დროს ვართმევდით, წასასულელად წამო-
დებოთ.

ლენინი გვთხოვდა ცოტა ხანს კიდევ დაერჩე-
ნილიყო, მაგრამ ჩვენ მაინც გამოვეშვითი-
ბეთ. მას დიდხანს ეჭირა ჩვენი ხელი ხელში და
ლიმილით, თავზიანად კარებამდის გვაცილებდა.
ყენველ აშანაგებთან მოკითხვას გვაპარებდა.

— არეთ რომ გამოვედით დიდხანს ხმა არ ამო-
გვიღია.

— ამა! ხომ ასრულდა შენი ნატურა! — ვუთხა-
რი აგვუსტლას.

— აღსრულდა და არც არასდროს დამავი-
წყდება ეს შესანიშნავი დღე ჩემ სიცოცხლეში!

— მაგრამ ლენინი რომ მეტ ყურადღებას მე
მაქცევდა! — ნიშნის მოგებით ვუთხარი.

— არ არის მართალი სრულიადაც არა სულ
მე მიყვრება. მხარზეც ხელი დამადო.

— არაფერიც, ჩემ გვერდით არ იჯდა?

— მე რა?

— ის, რომ მეტ ყურადღებას მე მაქცევდა!

— იცი, რა? ნუ ხარ მკეხარა!

— შეეხარაც ხარ და მეტრეტი მართალს რომ
გეუბნები იმიტომ?

ისე შევევით, წავიწხოებო, აგვუსტლავა გამი-
წყრა. ხმას აღარ მცემდა. მატარებელში რომ წაე-
ჯექით, მხოლოდ მაშინ შევირიგე.

ყენვემი ისე მივდით, თითქოს სადღესასწაუ-
ლო დღეობიდან მოწყენილ ქალაქში დავბრუნე-
ბულიყით.

(გაგრძელება იქნება)

6915





6 2 6 8 0

დეკემბრის უკანასკნელ დღეს როგორღაც უფრო შესამჩნევი გახდა ზამთარი. წინა დღეებშიც მაგრად ციოდა, ცამ დედამიწას ნოემბერშიც წამოუფრიალა ზემოდან თოვლის ფიქტები. მაგრამ ზამთრის ეს დღე მაინც სხვა სუსხით და სხვა იერით გათენდა. ქარი ყინვის ნესტარით იკბინებოდა. ეს სუსხი თავის თავზე გამოსცადა ვარდიკო ბეროვოლის ქალმა. თითქოს ადამიანსაც გამოეღია სითბო. ასე დაიწყო: ოთხჯერ კმარაგაყრილმა ტასია ფლოქიშვილმა, რომელიც ხეტყით მოვაკრე პაპის დანატოვარ, ხავსმოდებულ ქვიტყირის სახლში ცხოვრობდა, თავს ჭვა და გუნდა დააყარა. მერე რისთვის? ტანიას თურმე თავისი შრომადღებები ეცოტავა, — ცხადია, ფული და პირინახულიც, რაც ამ შრომადღებების ანგარიშზე ერგო.

ვარდიკო არ გაუჩუმებია. სახალხოდ ჩამოუთვალა: რამდენჯერაც გააფრთხილა, ამ გავანია ალოზე აქეთ-იქით ნუ დადიხარ, თორემ ქვიტინობელასავით ცარიელი დამრჩები შემოდგომაზეო. იწყინა და რა იწყინა ეს მხილება ტასიამ. სულ თმები დაიგლიჯა.

— ეი თქვე უიშვილების ნაშიერებო! — მიახალა კოლმეურნეებს და კარი გაიხურა. დასწევს ამ სიტყვებმა გული ვარდიკოს, მაგრამ რა დასწევს! წარმოიდგინა უიშვილის დროინდელი მშრომელი გურულები, ათასი გადასახადისაგან წელგაწყვეტილი, შემოგლეჯილი, უუფლებო, უწიგნური და ყველაზე უფრო საყვარელ დღეობის დღეს, კალანდობას — უსუფრუელი. გულმოწამლულმა გასწია საფუტკრეში, ხელის კანკალით ახადა თავი სკას. ლანგარზე საკალანდო სუფრაზე გასატანი ფიქის დადებისას ჩარჩო კინალამ ხელიდან გაუვარდა. ფუტკრის

სიბრაღულით ხომ სულ დაიწვა. სიცივისაგან დაკუტებული, ილაჯგაწყვეტილი მაშვრალი მწერები დედას გარს შემოცკროდნენ, შავი წერტილების გროვასავით გაქვაებულოყვნენ. ესეც ცივი, ყინვიანი ზამთრის მომასწავებელი ნიშანი იყო. არ უნდოდა ვარდიკოს დაეჯერებინა, რომ ამინდი კიდევ უფრო გაუარესდებოდა. მერე საიდანლაც გონებაში შეეპარა აზრი, რალა მაინცდამაინც ამაღამ გავდარდებო, არხენად ჩაწვა ლოგინში, წითელი აბრეშუმის მიჯრით დალიანდაგებული თხელი საბანი დაიხურა. მოსვენება კი არ ეღირსა. გაქვაებული ფუტკრის სიბრაღული ჩაპყვა გულში თუ ტასია ფლოქიშვილის სიტყვები, ნაშუალამებს უემურად გამოეღვიძა. კისერი ტკიოდა, ფეხები დაციებოდა. თითებში წასჯღომოდა სიცივე. მოეჩვენა, რომ ყველაფერი წაეწყო დღეს ერთიმეორეს, — თითქოს ბუნება რალაც უცნაურს უმზადებდა ადამიანს. წამოდგა, ელექტრონით გაანთა ოთახი, ჩაიცვა წინდები, ჩაყო ფეხები პრიალა რეზინის მაღალყელიან ჩექმებში. სულის მწარით მოუენდა ახალგაზრდა ქალს დაენახა, გამოეცნო, რა ხდებოდა გარეთ, რას უბრებდა მის სოფელს დამე და ჩამოსაქცევად მომზადებულა ცა. რომ იტყვიან, „სატალახოდ“ გამოწყობილმა ქოლგაც კი გაშალა, ფეხაკრეფით გაიარა დედის მოსასვენებელ ოთახში, სადაც მოხუცს ეძინა და აივანზე გავიდა.

ბნელი ცა კიდევ უფრო მოჭეფრულიყო. სეტყვასავით ცივი წვიმა შხაპუნებდა; შხუოდა გუბაზოული, სოფელი რომ შუაზე გაეპო. უცებ ვარდიკოს ყურს მაღალი კრიმანქულის პანგი მისწვდა. სიმღერა მდინარის გაღმიდან მოისმოდა. მომღერლები

ხმაზე იცნო ვარდიკომ. თითქმის ყვე-
ლანი მისი მეზობლები და თანატოლნი
იყვნენ. ერთად უვლიდნენ ჩაის, დიდ
საკოლმეურნეო პლანტაციებში, სო-
ფელს რომ ყოველი მხრით შემოაკვრო-
და გარეშეშო. გაზაფხულზე ვარდიკო
ბეროყოულიც მათთან ერთად თესავდა
სიმინდს, მარგლიდა ღრმს, ყელავდა
ვაზს, კრეფდა ჩაის ფურცელს, შე-
მოდგომაზე ტეხდა მკლავისსივრძე
ტაროებს.

სიმღერა სულ უფრო და უფრო
ძლიერდებოდა. აგერ დათიამ ხმას აუ-
წია. მას მიჰყვა წყრილა მოძახილი და
ტანში ერთანტელის მომგვრელი და-
ბალი ბანი ილიკოსი. იმ სახლიდან,
საიდანაც სიმღერა გამოდიოდა, წინა-
დღით ქალი წაიყვანეს წიფლნარელებ-
მა. მომღერლები პატარძლის სახლში
შემორჩენილი მაყრები და მასპინძლე-
ბი იყვნენ. ვარდიკოსაც შეეძლო ახლა
იმ მომღერლებთან ყოფილიყო ერთ
ხმას ისიც შეაწევდა მხიარულ სიმღე-
რას. მაგრამ... მაგრამ... გააცილა თუ
არა გათხოვილი ამხანაგი სოფლის
თავადე, გზიდან გადაუხვია, ისევ
დღისულ დაბრუნდა კოლმეურნეობის
კანტორაში. არ გაჰყვა მაყრიონს.
ხვეწნამ არ გასჭრა. გადაუდებელა
საქმე მოიმიზეზა, ტრაქტორისტმა სა-
ჩაიე პლანტაციისათვის გაკაფული
ბუჩქნარები გადააბრუნა, გაანგარიშე-
ბის დროს უჩემობა არ იქნებოა. ნამდ-
ვილად კი მისი იქ დასწრება არავითარ
საჭიროებას არ წარმოადგენდა. გაან-
გარიშება უმისოდაც ადვილად შესძ-
ლო ბულალტერმა. და ამ მისი შეცდო-
მის მიზეზს ქალი ახლა ნაშუალამევს
მიხვდა. სასურველ დღეზე ფიქრმა
გაიტაცა, როცა მასაც მხიარული მაყრ-
ონით წაიყვანდნენ, იმ დღეზე რომე-
ლიც ასე ახლო იყო და მაინც არ უთენ-
დებოდა. ვარდიკოც პატარძლის ტოლი
იყო. გაუელვა: ხომ არ გშურს მეგობრის
ბედნიერებაო. თავი გააქნია, რათა უსი-
ამოვნო აზრები მოეცილებინა. ელნა-
თურის შტეზე, ხელის ფათურით რომ
ძლივს აანთო, შენიშნა: ღია კარიდან

გამოსული თბილი ორთქლი აივანზე
ბოლივით მიიმედ ტრიკლებზე. უნუ-
ლის მტვერად ქცეული ნახეზე ფერქვე-
ოდა, უამურად ჩხვლეტდა სათუთ კანს
ლოყა-ყვარიმალზე.

— მოთოვს. მოთოვოს, ოღონდ არ
გაყინოს და!.. — ჩაილაპარაკა ნატვრით
თავისთვის.

— კალანდის წინა დღით თოვლის
მოსვლა არავის გააკვირვებს.

გამოეხმაურა დედა, რომელსაც შვი-
ლის ფეხისხმა გაეგო, ამდგარიყო და
უკან გამოსდგომოდა.

— ამ შუალამისას რამ აგაყენა?! —
უსაყვედურებდა მოხუცი, — ეს გუბა-
ზოული მაინც რაღამ გადარია, ასე რად
შხუის. ეს რა სიმღერაა, ქალი არ წაუ-
ყვანიათ?

— გუბაზოულმაც იშხუილოს, მათაც
იშხიარულონ, დედა! ძილი დაგიფრთ-
ხეს! — მიუგო ვარდიკომ, შალი სწრა-
ფად მოიხვია ბეჭებზე. ჯიბის ფანარს
ხელი მოუჭირა, აამუშავა, კიბე ჩაიარა.

— სად მიხვალ ამ წყევლიაღში? —
კვლავ შეეკითხა დედა.

— ლიმონებს დახვდავ. წვიმაში
თოვლის ფანტელსაც ურევს.

— მერე იქ მარტოკა რას გახდები?

— ენახავ, მოვიფიქრებ რასმე! — იყო
პასუხი და ვარდიკო მიეფარა. მიჰყვე-
ბოდა ფანრის მკრთალ შუქს. ორლობე-
ების გავლით შეუხვია კოლმეურნეობის
კანტორის ეზოში, რომელიც სიმინელის
გამო უსაზღვროდ ეჩვენებოდა. მთავა-
რი შენობის გარშემო იდგნენ ზვინისე-
ბურად შეკრეპილი დაფენები, შტერივით
ძირს გართხმული წყავები, ისრებივით
წვერებით ცაში შეტყორცნილი გუნდის
ხეები. კანტორის შენობის და ნარგავე-
ბის უკან ჩამწკრივებულებიყვნენ სიმინ-
დით საესე ნალიები. აქვე იყო ერთი
გრძელი ყავრით დახურული ფარდუ-
ლი. ამ ფარდულში კოლმეურნეები არ-
ჩევდნენ ხოლმე ფუნჩიანად მოტეხილ
სიმინდის ტაროებს, ცეხავდნენ ღოსა
და ლობიოს, ხოლო შემოდგომის ამ სა-
მუშაოების დამთავრების შემდეგ გარა-
ვდაც იყენებდნენ. ფარდულიდან რამ-

დენივე ნაბიჯის მოშორებით ისარნებში ჩარგული ექვსი ძირი ლიმონი იდგა. ხეებს ფოთოლზე შეტად ესხა ოქროსფერი ბურთები. ვარდიკომ ცალ-ცალკე ყოველ ძირს შემოუარა და ის-იყო გამობრუნება დააპირა, რომ ბართლომე დარაჯის ფეხის ხმა გაიგონა.

— რომელი ხარ მანდ! თავსხმაში რომ დაიარები?! — მიამახა დარაჯმა.

— შე ვარ, ვარდიკო.

— ჭინკა ნოემბრის ათს წაბრძანდა სანისლიისაკენ. ასე, პირდაპირ გასწია. გუბაზოულს შეჰყვა აღმა. მორევ-მორევ მიჰყავუნებდა. რიყეზე ფეხის თითებს იმტვრევდა. ჩქეფებში დალალების ბოლოები უსველდებოდა. ჩემი თვალით ვნახე, ძალიან ლამაზი კი იყო წყეული ალქაჯა, აღმასივით კამკამებდა. მიდიოდა, უკან არ იხედებოდა. ახლა რას ვხედავ? მობრუნებულა, თურმე აგერ, აქვე ტრიალებს.

— შერე სად არის?

— აგერ არ ხარ?!

ვარდიკომ გადაიკისკისა.

— რატომ არ გძინავს, ბაბუა ბართლომე? — შეეკითხა ვარდიკო სიტყვის ბანზე ასაგდებად.

— დარაჯი, ცავე, ძილისთვის როდია. ესეც არ იყოს, ძველ მეთევზეს, წვივებმა ტეხვა დამიწყეს, — ამ სიტყვებზე მოხუცმა მალა აიხედა, — ეეი... არ მოშწონს ტაროსი, თოვლსა და ყინვას დაჰკრავს, სასიკვდილოდ კი არ ზტებს წვივები. დაცდილი შაჰეს, როცა ტკივილი მუხლის კვირისტავსაც მიწედება, თოვლის მუხლამდე დადება საეჭვო აღარაა.

— თუ შენაც ასე გრძნობ, გასწი, ბიჭები, გააღვიძე, მოიყვანე, ლიმონები ფარდულში შემატანინონ. შერე თუ მართლა თოვლს ჩამოყრის, მოიწმენდს, გაყინავს, მზად დავუხვდებით, მშრალში შეფარებულ ხეებს ცეცხლს შევეფუტებთ.

— რაღა თუ მართლა მოვა, მოდის და ის არის! — თქვა მოხუცმა და სიბნელეში გაუჩინარდა. ვარდიკომ ნაფოტები, ჩალის კლერტო, ფიჩხი შეაგრო-

ვა. ლიმონების მახლობლად ერთ მხარეზე კოცონი გააჩაღა. წყალხოვა ედებოდა ლიმონის ნაყოფს, სტრიალებს მწვანე ფოთლებზე, დნება კამარ-კამარა, წურწურით ჩადის ფართო ისარნებში ნოტიო კლერტო. ფიჩხის ორთქლსა და ბოლში ეხვევიან ნამამგარი ნერგები. იმალებიან თითქოს უკუნმა ბნელმა შთანთქაო. მაგრამ აგერ ნიავეა შეუბერა, კვამლი მიწას გაართხო. აღის შეუქვე მწვანედ და ოქროსფრად აინთო ფოთლები და ყვითელი ბურთები, რამაც ვარდიკოს გონებაშიც აანთო დღემდე მახარებელი მოსაგონარი.

ვარდიკომ და გუბაზოულ-გალმელმა სპირიდონ მხარაძემ ერთად, ერთ დღეს აიღეს გორაბერეკოულის ტექნიკუმის დამთავრების დიპლომები. მთელი გზა ტექნიკუმიდან შინამდე ერთად გამოიარეს ფეხით. თან წიგნები და თითო ძირი ლიმონის ნერგი მოჰქონდათ. ეს ნერგები ტექნიკუმის საცდელ ნაკვეთზე გამოიყვანეს მოსწავლეებმა. დირექტორმა ისინი საჩუქრად დაურიგა კურსდამთავრებულ სტუდენტებს. ყმაწვილებმა მიაღწიეს თავიანთ სოფელს. გუბაზოულის პირას შეისვენეს ხიდის ყურის მოაჯირზე. ვარდიკოს სახლი მდინარის გაღმა, სპირიდონ მხარაძისა კი — გამოღმა. აგერ, დავმშვიდობენ კიდევაც ერთმანეთს, ორივე თავთავის სახლებში წავა. მაგრამ სპირიდონმა უეცრად ქალს ნერგი ზელიდან გამოჰგლიჯა და, სამაგიეროდ, თავისი მიაწოდა. ო, ის დღე რომ მოაგონდება ვარდიკოს! მაშინ, ნერგების გაცვლის წამს, ჩაუჭრა გულში ქალს სიცოცხლისდამლევი, გულის მღრღნელი ჭია. ახლაც ესმის ყურში სპირიდონის სიტყვები: შინ გასწი, ჩემი ნერგი ჩემად ახარე, როცა ნაყოფს კრეფდე, მომიგონებდე; მეც შენ ნერგს, იქ, ჩემს უბანში, შენად მოეუვლიო. და აი, ახარა ვარდიკომ ნაჩუქარი ნერგი, ექვს ძირად აქცია. კოლმეურნეებს ამ ხეებიდან მიაქვთ სანამყენე კვირტები. ერთ-

ხანს კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ცალკე, ისარნებში ჩარგული ლიმონები ახირება ეგონა. მერე როცა ნერგებმა ტანი აიყარეს, თვალისმომკრელად დაიხუნძლნენ, უცხოდ მოსულებს აჩვენებს მათ. ამავობს კიდევაც, აი რა ოსტატები გახლავართო. ის კი არ იცის, ეპვიც ვერ მიუტანია, თუ რა მოსაგონარი აკავშირებს ვარდიკოს ამ ნერგებთან. ნეტავი ახლა რას ფიქრობს სპირიდონი? ქორწილში რად არ იყო გუშინ? ხომ არ გადაწყვიტა, გაუთავებელი მოლოდინითა და დუმლით სული ამოხადოს ვარდიკოს? ნუთუ წიგნში მაინც არ წაუკითხავს მისი თვისტოში ქელის გულს ამბავი, სადაც თუ სიყვარულს ჩათესავ, იმ წუთიდანვე იზრუნე, ძმო, მარცვალზე, თორემ გახმება, გადნება, დაკლუქდება, თავის საშველად მეორეს აღარავის გაიკარებს. აბა, ნერვი, ჩემად მოუარეო, თქვა, თქვა და ამაზე მკაფიოდ, სურათოვნად სიყვარულის გამელაგნება კიდეც შეიძლებოდა?

ეზოში ცეცხლი გიზგიზებს, წყალთოვანზე შიშინებს მუგუზლები, ბართლომეს ბიჭები გაუღვიძებია. აგერ ლომებივით შემოიკვიფდნენ კანტორის ეზოში.

— აბა, ვარდიკო, რა გავაკეთოთ?! — დასძახეს და ეცნენ ისარნებს, ლიმონები ფარდულში გადაიტანეს. ხმაურობენ, იცინიან, ჭიდაობენ, ღონეს ისინჯავენ, გუბაზოულის პირასაც ჩავიდნენ, ოხშივარიან ცივ წყალში ხელ-პირი დაიბანეს. გაღმიდან ისევ მოისმის სიმღერა. გამოიამინდა. ნიაემა დაბერა, გადარეკა საწვიმარი ღრუბლები, მიხიმოხია ნისლი, მთის უბეებსა და ხევებში შერეკა. ვარდიკო აღის კანტორის აივანზე. იქიდან თვალი გაურბის გაღმა მთის ძირისაკენ. სპირიდონის სახლის ბუხრიდან კვამლი ამოდის. ამოდის და ვისთვის? ვარდიკოს ახლა თავის სახლზე გადააქვს შვრა.

კაკლებისა და ვაზით შებოჭილ მურყნის შიშველ ტოტებქვეშ მდუმარედ გამოიყურება ცისფრად შეღებილი მისი ნათელი ოდა. უყვარს და როგორ

უყვარს საკუთარი ბუდე ვარდიკოს. თვითონ ააგო, თვითონ მუშაობდა, მუშაობდა და ეზოში გამოსულა, ახსნა მუშაობა გაუღია, საკვამურიდან კვამლი ამოდის. ვარდიკო თვალს ვერ აცილებს მას. კვამლი მალა მიემართება, იქ იკარგება. ცას მოუწმენდია. ამომავალ მზის სხივებზე თეთრად ქათქათებენ სანისლის მწვერვალი, ბახმაროს ნაძვნარიანი ქეჩო, ბალიანის ქედი, შუაგორის სერები, თურმე წუხელ ბარად რომ წყალთოვა მოდიოდა, იქ, მთების თხემებზე, თოვლს დებდა. აგერ მონადირეები თოფებითა და მეძებრებით ამ თოვლით გადავლილი მთებისაკენ მისწრაფვიან. გაღმიდან გამოვიდნენ, ხილს მიუახლოვდნენ. სწორედ იმ ადგილას შეჩერდნენ, ქვიტკირის მოაჯირთან, სადაც სპირიდონმა ვარდიკოს ნერვი შეუცვალა. იმ დღეის შემდეგ უვლის იმ ნერვს. გაამრავლა. ნაყოფიც გამოაღებინა. ახლა ვარდიკოსათვის აშკარაა, რომ იმ ნერვის მოვლა-გახარებაში სპირიდონის ლანდს, ხმას, სახელს, ევლებოდა თავს. სახლიც მისთვის დაიდგა. ის დასაწვავი კაბებიც მისთვის შეიკერა, დედის ზანდუქში რომ აწყვია. თხლის, ნიგვზის, რკინა-ვაშლის ჩირის ჩურჩხლელებიც სპირიდონისთვის ამოავლო თეთრი ტკბილისა და თათლის ფელაქუში. გუშინ კიდეც სავსე ჩარჩოებიც მისთვის ამოიღო სკიდან. მარტო ხეები კი არა, თურმე სიყვარული ახარა და ზარდა, ზნეობა აფაჭიზა, გამოქნა და აი, ახლა მარტოა. ხვალ ახალი წელი თენდება, ყველა დღეობაში გურულებისათვის აგრე აჩემებულად საყვარელი კალანდა აიგნებზე ჩიჩილაკები გამოუფენიათ. იგი ვაგაკემა უნდა გაიტანოს გარეთ, მოუკიდოს უეცელი, აბრიალოს, აბა ეს ვაგაკეი სად არის? ხვალ... ხვალ... იქნება ყმაწვილებმა თავი შეიყარონ, სპირიდონიც აიყოლიონ, მოსალოცად მეზობლებს შემოუარონ, ვარდიკოსაც შეულონ კარები. ოღონდაც კი მოვიდნენ, შემოუმღერონ ეზოში...

— მობრძანდით, მობრძანდით, ვაე-

კაცებო, ერთი თქვენთაგანი, სპირიდონ მხარაძე, ჩემია და დამიტოვებთ შინ. მაშინ უკეთ შეძლებს ვარდიკო თქვენს ბიძაშვილობას, ამხანაგობას, მეგობრობას. ლაპარაკობს ქალი თავისთვის ხმა-მალა. თან ჰგონია, რომ სტუმრები კიდევაც მიადგნენ მის გადასაბიჯს, შევიდნენ ეზოში, დაიძახეს: „მასპინძელო, მრავალ ახალწელიწადს დაესწარი, კარი გაგვიღეო“.

ვარდიკო სწყლებდა ადგილიდან, შინსაკენ მიეჭენება. კიბეზე არბის, აივანზე ბარბაცებს მთვრალივით.

— რა გემართება, ცაე?! — ეკითხება დედა.

— მიყვარს, ნენა, მიყვარს!

— ვინა, ნენა, რაი?

— არც ვინა, არც რაი, აი ეს მთები, გუბაზოული, ჩემი ნერგები, ყველაფერი მიყვარს, რაც ცოცხალია, რასაც ვხედავ, ხელით ვეხები, გონებას ვაწვდუნ.

— აი მთები, გუბაზოული და სულდგმული ასეა ქვეყნის დასაბამიდან გაჩენილი. შენ, ნენავ, სხვა მითხარი და გამახარე. — კენესით ეუბნება დედა. მის ხმაში საყვედური გამოსკვივის, ვარდიკო თვალს არიდებს. გასცქერის მდინარის გაღმა, სპირიდონის ოდის ბუხრის მილიდან კვამლი ამოდის. მზე კი უკვე გაკრიალებული ციდან სოფელს თავს გადმოსდგომია, აუბრწყინებია ზემოთ თოვლი, ქვემოთ — მდინარის სარკე.

— ნენა, ხვალ სტუმრები მოვლენ, საკლავი ვის გავაკეთებინოთ?

— ვის! — მრისხანებს მხოცი. — არავის! კაცი არ მადირსე, მაშ ხვალაც ასე იყოს, როგორც დღესა ვართ. რად მინდა რამე?! ჩემს სახლში სიძე არ ტრიალებს კალანდობას! შვილიშვილები არ მაგლეჯენ კალთებს, არ მიწეწევენ თმებს?! წყალმა წაიღოს ასეთი სიცოცხლეც და კალანდაც! მახინჯი და უქნარა მაინც გამეზარდე! მაშინ სხვა იყო, ჩემს თავს დავაბრალებდი. საკლავიო? რას მიქვია, მგელსაც შეუქამია, გამიშვი, არა მკითხო რა! აგერ, გეძა-

ხიან, გასწი, გადააღე შენი დღე ქვეყანას. აბა ჩემზე ფიქრით რა უნდაქმნაო. ეს მე ვარ, დედაშენი. შემხუტე! კეჩიას აგურით ვარ გამოწვარი, რა ცეცხლს ვერ გავუძლებ! — ქოთქოთებს დედა, თან გარეშემო იხედება.

ვარდიკო უკვე გაფრენილა, წასულა. კანტორიდან დაუძახეს, მალე აქ ჩამოდიო.

კანტორის ეზოში ტალახით გალავილი ავტომობილი დგას. ჩანს, სტუმრები მოსულან. ვინ? საიდან? ნეტავი აქ დიდხანს დარჩებიან? გული ასე რად უცემს ვარდიკოს, ვის მოელოდა, რა უნდა მოხდეს? ეს რა მოსდის, რომ კიბეზე ასასვლელად ღონე აღარ ყოფნის. გვერდს ველარ უქცევს გულმოსულ პაპა ბართლომეს, სათილების ბრაზუნით რომ ძირს ჩამოდის.

— ემტეესიდან არიან, — ბუზღუნებს ბართლომე. — შედმართზე მოცურებულა და უსროლია მანქანას, ერთი ისეთი შოფერი მაჩვენა, გზაზე ბენზინი არ დალეოდეს!

— ჩაუსხი, ჩაუსხი! — უქნევს თავს ვარდიკო და გაფითრებული შედის ბულალტრის ოთახში, საიდანაც ხმაური მოისმის. გაჩაღებულ ბუხარს შემოსხრომიანს კოლმეურნეობის თავმჯდომარე, ემტეესის დირექტორი და სპირიდონ მხარაძე. ხელში ანგარიშები უჭირავთ, ერთმანეთს უდარებენ.

— ბუჩქნარის გადასაბრუნებელი ვალიც კი გუშინ გაგისწორეთ! — ცხარობს ბულალტერი.

— ნუ გწყინს, ხვალიდან ახალ სამეურნეო წელიწადში გადავდივართ. შენიშნავს მას სპირიდონი. მე რე თავი როგორღაც დახარა, ვარდიკოს ქურდულად გახედა, გაუღიმა, რეხინის ჩექმებიდან საქონრემდე თვალი ააყოლა. მერე რაღაც სიტყვები, მოსაწყენი საუბარი... წამოდგნენ, აივანზე ავიდნენ.

— ვარდიკო, გახსოვს ის ნერგი?.. რა მოუვიდა?

— შენად სახარებ ნერგს ხომ არ კითხულობ?

— პო.

— წამო, გიჩვენებ!

ვარდიკომ მაჯაში ჩაავლო ხელი სპირიდონს. გაიტაცა ეზოში, იქიდან ფარდულში შევიდნენ. შეჩერდნენ ხეების მახლობლად. ვარდიკომ ფრთხილად მოაწვია ტოტს ხელი.

— აი ის ნერგი! — დაითვალე! აქ ამდენი — იქ, აი მთელ სოფელში ამათგან წალბებული კვირტებიდან მოშორებული — უთვალავი, დაკრიფე, ჩაიწყვე ჯიბეში, თუ გინდა ძირიანად წაიღე, რომელიც მოგეწონოს.

ამის თქმა იყო და სახე მოარიდა სპირიდონს, რადგან ქვედა ტუჩი ჯერ აუთამაშდა, მერე მოექცა, თვლებიც წყალმა დაუბნელეს.

— ცავე, ეგ ჩვენც ბევრი გვაქვს გაღმა, რად მინდა!

— რატომ რაღაო? ნათავაზები, მოკითხული... შენი ნერგის ნაყოფი...

— უშენოდ ჩემთვის ყველაფერს ფასი აქვს დაკარგული.

— ეგ მეც დამჩემდა იმ დღეს აქეთ, როცა ნერგი ხიდის ყურტიდან გამომატანე.

— ევე... თუ აგრე იყო, გეთქვა. ამოდენი ხანი რად მაცდევინე. დილით ადგომის უმალ თქვენი ბუხრის კვამლს მიეჩერებოვარ. კვამლი კი სიმწრის მეტი არა არის რა.

— მეც აგრე ვარ. — მიუგო ქალმა. — გამოვიხედავ, ამოდის კვამლი თქვენი ბუხრიდან. ამოდის და მეც მივყავარ ოცნებით სანისლიას მწვერვალისაკენ.

— გეთქვა, მოგეწვდინა ხმა!

— თვითონ შენ გეთქვა და მოგეწვ-

დინა ხმა! შეუბრუნა სპირიდონს საყვედური ქალმა.

— აჰა, დღეს ვიყვირებ, მოგეწვდინა ხმა, რომ ჩემს გულს შენს შეტი ვიყვინ გაჰკარებია, — წამოიძახა გახარებულიმა სპირიდონმა.

— ვარდიკოს გაეღიმა, თვალები აახამხამა, მკერდზე ხელები მოიჭირა, თითქოს ამ სიხარულით აძრული გული არ ამომივარდეს, არ გამეჭვქესო. დალუნა თავი, შინისაკენ მოკურცხლა.

— ვიყვირებ, ვიყვირებ, მაგრამ მერე როგორ მოვიქცე? — გაადევნა ქალს კითხვა სპირიდონმა.

— შენ და ბართლომე ბაბუა ბიძაჩემთან მიდით, გაუტყდი, ისიც მოიყოლიეთ ჩემსა, — დაუძახა დაფნის ფოთლებს ამოფარებულმა ვარდიკომ. სპირიდონმა ხელი მოხვია დახუნძლულ ლიმონის ტოტს, გულში ჩაიხეტა, გაიჩინდა. გარეთ შხუოდა გუბაზოული, მაღლა ბრწყინავდნენ ცა და სანისლიას მწვერვალი. გაღმა მაყრები სუფრიდან წამოშლილიყვნენ, მდინარისაკენ მოდიოდნენ. არ იცოდნენ, რომ ამაღამაც ქორწილში იქნებოდნენ შიპატიეებულო.

გათენდა კალანდა დილა. მდინარის შხუილს სპირიდონისა და ვარდიკოს ნათესავების ცხარე კამათი და დავა მიემატა. გამოღმელები სპირიდონს აქეთ ეწეოდნენ დასასახლებლად. გაღმელებს ეს არ მოსწონდათ: ვის გაუგონია, ქალი გვითხოვია, ინებოს, წამობრძანდეს, პატარძალი ქმრის სამკვიდრავ იყოსო, თქვენზე ნაკლები არც ადამიანები ვართ, არც ქონება და გონება გვაქვსო.



მიჩანს სიცოცხლე ბედნიერებად

მეც ქვეყანაზე ვცხოვრობ, ვტრიალებ,
მეც მაქვს საჩემო ყანა, ბოსტანი.
დიდი ცხოვრება თავს დამგრიანებს —
ჩემი აღმზრდელი, ჩემი ოსტატი.

მინდა ხალხს გულის ღონე ვაჩვენო,
არ ვეცილები გმირს და გოლიათს.
ქვეყნად ულუფა მეც მაქვს საჩემო,
ბედად მგლის მადა არ დამყოლია.

მიჩანს სიცოცხლე ბედნიერებად,
ხვნა და რთველია ჩემთვის ქვეყანა.
მზე მეც მინათებს, მეც შემღერება,
შრომამ სიკეთე მეც შემაყვარა.

მიყვარს სიტყვაში შუქის ჩაფენა,
ჩემი თვალი მაქვს, ჩემი სათქმელი.
დედასამშობლო მყოფნის საფრენად
და სიხარულად მისი ნათელი.

ბუნებისადმი

გული შენი ხმით მებუბუნება,
ვიყო შენივე მადლის ერთგული.
შენი შვილი ვარ, დედაბუნება,
შენს საფუტკრეში დაფუტკრებული.

დიდება შენდა, რომ ვდგამ სართულებს,
სოროს თავგვივით რომ არ ვიკეთებ!

ქვეყნად დამაფრენ, დამათათურებ,
ბოძეც აზრი და სიტყვა სიკეთედ.

ნერგებს სხივს ვმატებ და სილამაზეს,
შენს სანერგეში გამოყვანილებს...
დიდება შენდა, რომ ქვეყანაზე
ადამიანად ამაყვავილე!

ფერადი კენჭები

შემოგებაროდა სიმწვანით ველი,
აყვავებული ბუნების მადლად.
გქონდა ხმატკბილი ფრინველის ყელი,
რაც უნდა გეთქვა, სიმღერას ჰგავდა.

მოგინდა ტალღა შეგეპყრო პეშვით,
რომ ეგრძნო შენი მშვენება წყალსაც.
შეათამაშე კენჭები ხელში
და მომაბარე ნადავლის მსგავსად.

მეისაუბრობდით ბილიცზე ორი,
გზას და საუბარს არ ჰქონდა ბოლო...
ველის ცქრილა ყვევილთა შორის
მეფე-ყვავილი შენ იყავ მხოლოდ.

დაბრუნებისას დაღლილნი ღხენით
ისე შევეტებთ გზის პირად მაყვალს,
მობარებული კენჭები შენი
გადამავიწყდა და სახლში გამყვა.

დაგვატარებდა თამამი ფიქრი
ჩვენი მომავლის ნათელში ხშირად,
და ვერ გავიგეთ, ყანების იქით
როგორ შევჩერდით მდინარის პირას.

სალამოს ბინდში გამოკრთა ოდა,
როგორც ფრთებისქვეშ გულ-მკერდი
მერცხლის.
ნეტავ შენ მაინც რა ფიქრი გქონდა,
რად გამაყოლე ფარული ცეცხლი.

თვალი მოავლე ღიმილით ქვიშას,
მშობლიურ რიყეს მორევში შექრილს,
და სალალობო მგზავრობის ნიშნად
მოსტაცე ორი ფერადი კენჭი.

ძილგატეხილი ვერ შეგხვდი დილით,
ვერც იმ დღეებში, ვერც შემდეგ გვიან,
და გაჰყვა ჩვენი სიმღერა ტკბილი
იმ სიყმაწვილის გაფრენილ ნიავს.

ახლაც ისეთი ღღვა



მდინარე ჩვენი, ტყბილად განცდილი,
 კვლავ მომენატრა, კვლავ ვინახულე,
 ჩვენი საუბრის და სიყმაწვილის
 მესაიდუმლე და მეთვალყურე.

ახლაც წმინდაა, სავსე სიკეთით.
 ახლაც სიმღერა ისმის გალმიდან.
 კარგი დღე არის, ისევ ისეთი,
 ჩვენ რომ გვინახავს აქ, ამ ნაპირთან.

არ ვიცი, რატომ! იქნებ გოგონას
 მზის ნაპერწკლები პირზე გეყარა:
 აქ შენს სიცილზე ჰაბუქს მეგონა,
 რომ იცინოდა მთელი ქვეყანა.

მხსნელიც იყავი, ცეცხლის მომღვებოც,
 დაუდგრომელი, სულ ახალგაზრდა.
 ის დრო წავიდა, არ გელოდები
 და გაგიხსენა გულმა ანაზღად.

ახლა ბიჭუნას დავსდევ, დავხარი,
 ვერ შიიტყუა ტალღით მორევმა
 ჩემი სიციოცხლის ფესვის ნაყარი,
 ჩემი ბავშვობის განმეორება.

ავკარგიანი თვალი ჰქონია,
 წამოვიყვანე, რომ გაეხარა.
 ის რომ იცინის, ასე მგონია,
 ვულით იცინის მთელი ქვეყანა.



აღზნის პირას*

რომანი

კრების შემდეგ

მზემ კარვად მოიარა, როცა სარევი-
ზით კოპისიისა და გამგეობის არჩევნა
შემდეგ კრება დაიხურა. ხალხი მაინც
არ იშლებოდა. ყველა სიღამონიძეს ეტა-
ნებოდა, ეჩქარებოდა მის წასვლამდე
ერთი-ორი სიტყვა თვითონაც ეთქვა
მისთვის და მისგანაც გაეგონა.

— ამხანაგო გედეონ, — მიმართა სი-
ღამონიძემ მანქანის გაღებულ კართან
მდგომ ვარამაძეს. — თქვენ თუ გეჩქა-
რებათ, მე ნუ დამელოდებით.

ვარამაძე აღარ ცდილობდა გატეხილ
აბრუს აღდგენას. სტუმრებით შებეზ-
რებულ მასპინძელივით იქცეოდა, თა-
ვით ეჩქარებოდა აქედან წასვლას.

— დიახ, სამწუხაროდ უნდა წაივდე.
გადაუდებელი საქმე მაქვს.

— კეთილი, მაშ თქვენ წაბრძანდით.
მე დავრჩები.

— როგორც გენებოთ! — ცივი თავა-
ზით უთხრა ვარამაძემ, გაპოვებულია
და მანქანაში ჩაჯდა.

— მუხიანში ათი „პობედა“ და რვა
„მოსკვიჩი!“ — გააყოლა თვალი ვარა-
მაძის მანქანას ბიონერის ჰალსტუხიან-
მა, შავთვალა ბიჭუნამ და მერე სიღა-
მონიძეს აცნობა თავმომწონედ: — მამა-
ჩემსაც „მოსკვიჩი“ ჰყავს, ლურჯი!

— მართლა? მე რომ არ ვიცნობ მამა-
შენს! რომელია?

— იი... — გაიკვირვა ბიჭმა, — აქამდე
არ იცნობთ? აი, მამაჩემი! — აჩვენა თი-
თით ნიკო ხელაშვილზე.

— ამხანაგო ნიკო, ახლა მაინც გაეცე-
ნოთ ერთმანეთს! — მიმართა სიღამონი-

ძემ მოშორებით მდგომ ნიკოს. მიუახ-
ლოვდა, ჩამოართვა ხელი — ჩემი აქ
დარჩენა ხომ არავის შეაწუხებს?

— რა ბრძანებაა? ჩვენში სტუმრისა-
გან შეწუხება ვის გაუგონია? — ყვე-
ლას მაგიერ უპასუხა მარიამმა, რომე-
ლიც აქამდე ამხანაგებთან ცხარე კამათ-
ში გართულ შეიღს გაპყურებდა.

— შენ ნამდვილად გაგივდი! — ისე
ეჩხუბებოდა მანანას აწითლებული
სულხანი, თითქოს გაწეწვას უპირებ-
სო. — ეს რა ჩაიღინე? მამ კეკელთამყო-
ფი მაგას იკისრებდა? მაგოდენა ვალ-
დებულეა რომ იკისრე, მაგას ვინ შე-
ასრულებს? არ იცი, რომ საქვეყნოდ
მოგვეპირება თავი?

— თავს ცალკე შეინახავ, თუ რო-
გორ იქნება შენი საქმე? — შეეკითხა
მთქნარებით გაბო და უძილობისაგან
დაწითლებული თვალები წოფშენიტა:

— მიდი იმ კაცთან, უარი თქვი შენს
დაპირებაზე, თორემ დაგაბრჩობ, ჩემმა
მზემ! — ჩააფრინდა მანანას მკლავში,
უარესად აწითლებული და გაბრაზებუ-
ლი სულხანი.

მანანამ მკლავი გამოსტაცა სულხანს,
განზე გაიწია, სიბრაზისაგან თვალები
აუპრიალდა და დაცივებით უთხრა:

— მივალ!.. მივალ და მოვახსენებ,
რომ ჩვენმა კომკავშირელმა სულხანმა
შიშისაგან...

მანანამ ხმადაბლა დაამთავრა სათქ-
მელი. ახალგაზრდები ახარხარდნენ.

— შიში რა შუაშია? გიჟი ხარ ნამდ-
ვილი! აქ გულადობა გამოდგება? მე ვი-
ძახი, რაც შენ დაივალე, იმის შესრუ-
ლება შეუძლებელია-მქოქი! — ისევე მი-
უახლოვდა მანანას სულხანი.

* გაგრძელება, იხ. „მნათობი“ 1955 წ. №№ 11, 12; 1956 წ. №№ 1, 2, 3.

— აქ რომ ჩამაცივდი, რატომ კრებაზე არა ბრძანე უარი, რატომ? — გაჯავრდა მანანაც.

— მე აქი მაშინვე ვთქვი! — დაიყვირა სულხანმა.

— „მე მაშინვე ვთქვი!“ — გამოაჯავრა მანანამ. — კი არა თქვი, რაღაცა წაიღულულულე. თუ ეგეთი ვაქცაი ბრძანდები, რამ შეგიკრა კრიჭა, რამ?!

— აბა, მე შესავეით ორატორობა არ შემიძლია და რა ვქნა?

— „ორატორობა!“ — კვლავ გამოაჯავრა მანანამ. — ლაპარაკის წნო რომ არა გაქვს, მე ეგ დიდი ხანია ვიცი! — უეცრად ხმაში სირბილე გამოერია. — მაგრამ ჩვენი პირობის შესრულებაში, მე სწორეთ შენი იმედი შექონდა!

— მერე? მე რაც მევალბა, იმას შევესრულებ კიდევაც!.. — მოლბა სულხანიც.

დათოს ეწყინა, რომ ჩხუბი საცაა შეწყდებოდა, ხელახლა წააქეზა სულხანი.

— ბიჭო, შენი იმედით აბირებს გმირობის მიღებას, ვერ მიუხვდი? ოქროს ვარსკვლავი უნდა, მაშა!

— მიიღოს, ვინ უშლის!

— შე ტუტუტო, შენა... — თითქოს დაყვავებით უთხრა მას მანანამ. — რა გაყვირებს? ერთი მითხარი, ოქროს ვარსკვლავი რომელს არ დაგაშვებებდათ, ჰა?

— ეეჰ, შეილოსა... ეგ რომ ადვილი იყოს... — ამოიოხრა სულხანმა.

— „ეეჰ, შეილოსა“... — მოულოდნელად გამოცვალა კილო დათომ. — ადვილი რომ იყოს, ხომ არც ექნებოდა ფასი! მანანა, მოიტა დაჰკა ხელი! რაც მართალია მართალია, მიყვარს მებრძოლი ამხანაგები! — ღონიერად დაჰკრა ხელი მანანას სიხარულით გამოწვედილ ხელს, მერე დარიას მიუტრიალდა: — ნუ გეშინია, გოგო, შენ სულ სხვანაირად მიყვარხარ!

— ქინკა ხარ ნამდვილი, ჩემმა მზეი: — ისევ ამოიოხრა სულხანმა და მიუახლოვდა მანანას. — აი, ყველას თანდასწრებით გეუბნები: ჩვენ რომ პი-

რობა არ შევესრულოთ, არა... რომ არ შევესრულოთ იცოდე, არც შენ ვაცდებლებ და არც თავს ვიცოცხლებ!

— კეთილი, თანახმა ვარ! — დაიძახა მანანამ, — ახლა მივიდეთ სიღამონიძესთან და პლანტაციის თაობაზე ვკითხოთ, კარგი?

პასუხის ნაცვლად, ახალგაზრდებმა სირბილით მიაშურეს სიღამონიძეს.

— ვარდები?! — შორიდანვე დაუძახა მათ სიღამონიძემ და გაიცინა. — „ვარდები ჩვენი ცხოვრებისათვის აუცილებელია!“.. გინდათ ნაკვეთი ერთად ამოვარიოთ?

— ხალხო! ამ კაცს თავს აღარ დაანებებთ, აღარ დაასვენებთ? — დაიძახა ვიღაცამ. სიღამონიძე სწრაფად მოტრიალდა, ფირუზა შერჩა ხელში.

თქვენ დროზე მომეშველეთ, ამხანაგო ფირუზ! — გაუღიმა მას სიღამონიძემ. — მოდი და დღეს ყველამ დავისვენოთ. ხვალდან კი ყველა თავის საქმეს შეუდგება. ასე სწორი იქნება, არა?

— სწორია! — დაუდასტურა ხალხმა.

— სად მოისვენებთ, ვისთან გასურთ, ამხანაგო ნიკოლოზ? — შეეკითხა ნიკო სიღამონიძეს.

— სადაც მიბრძანებთ, მეც იქ წავალ!

— აქ რამდენ კაცსაც უყურებთ, იმდენი მასპინძელია და მე ვერაეის ვერ ვაწყენინებ, თავთ ბრძანეთ.

— ჩვენსა! — დაიძახა ისევ იმ წითელ ყელსახვევიანმა ბიჭმა.

— შენ რა გტყია, მალხაზი?

— არა, არჩილი!

— კარგი სახელია. დედაშენს არ შეეკითხე, დიდების კრებაზე რომ მოდიოდი?

— მე დედა არა მყავს...

სიღამონიძემ დაინანა, რომ ბავშვს უნებურად გული ატყინა, თვითონაც ბავშვივით დაიბნა, ადგილზე რამდენჯერმე მოინაცვლა ფეხი.

— მართლა?... მეც არა მყავს დედა, — უთხრა არჩილს, — ამიტომ უსათუოდ ერთად წავიდეთ.

აჩიკომ დიდივით გაუღიმა სიღამონიძეს და თითქოს სანუგეშებლად უთხრა:

— დღეს ახალი სურათი უნდა ჩამოიტანონ. ამაღამ ვნახოთ.

— აუცილებლად ვნახოთ! — სერიოზულად თქვა სიღამონიძემ.

ახლა კი დაიჯერა ხალხმა, რომ სიღამონიძე არა ჩქარობდა აქედან წასვლას. დარწმუნდნენ, რომ ყველა მოასწრებდა მის ნახვას, მასთან ლაპარაკს და წავიდ-წამოვიდნენ.

აჩიკო შურდულივით გაქანდა, წამოეწვია ოქროპირს და განზე გაიყვანა, რომ სათქმელი უფროსებს არ გაეგოთ.

— ამაღამ უეჭველად მოდი, ახალი სურათია!

— რო არ გამომიშვას დედამ?

— როგო თუ არ გამოგიშვას! გამოეპარე!

— მცემს!

— ი? — გაუჯვირდა აჩიკოს. — კრებზე გამოხველი და ცემისა გეშინია?

— არა, კი არ მეშინია, მაგრამ არ გამომიშვებს. მეტყვის, გოგო-ბიჭებს მოუარეო.

— იცი რა? ის გოგო-ბიჭებიც წამოიყვანე!

— ი? — გაიჯვირვა ახლა ოქროპირმა. — ის პაწაწკინები?

— მაშ რა ვქნათ? — მოიღრუბლა აჩიკო. — მე ძია სიღამონიძე უნდა გაგაცნო, შენთან კიდე სალაპარაკო მაქვს, ახლა კი არა მცალია... გინდა, მე ვთხოვ დედაშენს?

— არა. თუ იმ ძიას გამაცნობ და სალაპარაკო გაქვს, მე თითონ მოვახერხებ, მოვალ.

— ნამდვილად?

— დედა არ მამიკვდება!

— არა. პიონერული სიტყვა მომეცი.

— მე პიონერი რო არა ვარ?.. — კინაღამ ატირდა ოქროპირი.

— იცი რა? — თქვა ჩაფიქრების შემდეგ აჩიკომ. — ყველა კარგი ბიჭი ხო უნდა იყოს პიონერი? შენა ბრალი ხო არ არის, პიონერი რო არა ხარ?! არც მირიანი. ახლა ხო უნდა მივიღოთ შენცა და მირიანიც? ჰოდა, სულერთია, ვითომ უკვე ხარ პიონერი, დაიფიცე!

— მოვალ, პიონერულ სიტყვას გაძ-

ლევ! — მყისვე გამხიარულდა ოქროპირი.

— აღრე მოდი! ახლა მემე წავაქვს, შელოდებიან!

— მირიანი რო ვერ მოვა კინოში?.. — დაღონდა ოქროპირი.

— არაფერია! — სწრაფად მიუგო აჩიკომ. — კინოს შერე გავიპაროთ და ვუამბოთ, კარგი?

— ძალიან კარგი! — დაიძახა ოქროპირმა და გაიქცა, დედას დაეწვია.

აჩიკოც გამობრუნდა. მამა და სტუმარი ელოდებოდნენ.

ერთხანს ჩუმად მიდიოდნენ სამივენი შინისკენ. თავთავისას ფიქრობდა სამივე.

სიღამონიძეს კვლავ გაახსენდა ლელიანის რაიონიდან ცენტრალურ კომიტეტში შემოსული განცხადებები და წერილები. ახლა მისთვის სრულიად ნათელი გახდა, რომ ხელაშვილი, ბექაური, მაყაშვილი, თვით რაიკომის აპარატში მომუშავე კომუნისტებიც ცენტრალურ კომიტეტს მიმართავდნენ უკიდურესი აუცილებლობის გამო და თუ ეს ხალხი იმსახურებდა საყვედურს, იმსახურებდა მხოლოდ იმის გამო, რომ დიდი ხანი დასჭირდათ, ვიდრე იგრძნობდნენ ამ აუცილებლობას.

სწორად შეამჩნია მანანამ, რომ ხშირად სიღამონიძე თითქოს არც ისმენდა, არც ხედავდა, მაგრამ ყველაფერი კარგად ესმოდა და ყველაფერს ამჩნევდა.

იმ წუთიდან, როცა მანანამ უდიერად გაარღვია კლუბის ეზოში თავმოყრილი ხალხი, მას არ გამოჰპარვია ხალხის არც განწყობილება, არც ჩურჩული, არც სახის გამომეტყველება. კარგად იგრძნო მათი გულგრილი შეხედრა და სწორად მიხვდა — ეს ხალხი იმდენად იყო ვარამაძესაგან გულნატყენი, რომ ვეღარ ფარავდა თავის ქეშმარიტ განწყობილებას ვერც რაიკომის მდივნისადმი და ვერც „მისი სტუმრისადმი“. როცა ვარამაძემ კრების წინ ზაქრო იზმო და გააცნო მას, ხოლო ხელაშვილი არც მოიკითხა, სიღამონიძე საბოლოოდ დარწმუნდა ვარამაძის განზრახვამი.

სიღამონიძისათვის არავის უჩვენებია, თვითონ მიხვდა რომელი იყო სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე. დიდი ალღო არც იყო საჭირო იმის მისახვედრათ, რომ ის სათნო სახის, ხალხის შუაგულში ჩამდგარი კაცი, რომელიც ყურადღებას იპყრობდა თავისი ქვეიანი გამოხედვით, რაიკომის მდივნის მიერ ათვალწუნებული პირი იყო. ამას თვითონ ვარაუდებდა აშკარად აგრძნობინებდა დამსწრეთ.

როგორ წარმოიდგენდა სიღამონიძე რომ ეს კრება დაუხატავდა სინამდვილის ასეთ ნათელ სურათს. როგორ წარმოიდგენდა, რომ გუშინ უცნობ ხალხს, დღეს უკვე დიდი ხნის ნაცნობად, ახლობლად მიიჩნევდა. უხაროდა, რომ პატარა ანიკომ ასე კარგად და დროულად იმასპინძლა. რაღაცა უსახელო მონაპოვარით გამდიდრებული და გახარებული მიდიოდა ნიკოს გვერდით. უნდოდა ამ კაცთან ახლოს ყოფნა, თავისი შთაბეჭდილებების, აზრების გაზიარება.

მან თავიდანვე იგრძნო, რომ ის პატრივისცემა, ნდობა და სიყვარული, რომელსაც ხალხი ამჟღავნებდა ხელაშვილისადმი, ისევე საფუძვლიანი და მართებული იყო, როგორც გულისწყრომა ვარაუდისადმი.

... და განა ზაქრო სიყმაშვილის მიმართ გამოვლენილი დამოკიდებულება არ არის მართებული? რაღაცა კარგი უსათუოდ გააჩნია იმ კაცს, რაკი მიუხედავად გულისწყრომისა, მაინც უყვართ. მის შეცდომებზე სასტიკად, დაუნდობლად ლაპარაკობენ და, ამავე დროს, რაღაც კარგსაც მოელოან მისგან, იმედი აქვთ მისი. საინტერესოა ნიკო რას ფიქრობს ამაზე?..“

იმ მწვევე წუთებშიც კი, როცა სიღამონიძემ დაინახა აღშფოთებული, მაგიდასთან ტალღასავით მოზღვავებული ხალხი, მაშინაც კი მოასწრო, შეემჩნია მერხზე უძრავად მჯდომი, მძიმედ თავდახრილი ხელაშვილი. ის სურათი გაახსენდა ახლა სიღამონიძეს, მიხვდა, რომ ნიკოს რაღაც სათუთი გრძნობები აკავშირებდნენ ზაქროსთან და უფრო დაინ-

ტერესდა, უნდოდა გაეგო რას ფიქრობდა ნიკო ზაქროზე. შორიდან მისი აზრი.

— ამხანაგო ნიკო, გამგეობის კრებას როდის მოიწვევთ? — შეეკითხა და გამოარკვია ფიქრებიდან კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

— დავისვენოთ და იქნებ დღესვე...

— კარგი იქნებოდა... მაგრამ როდის-ღა შეატყობინებთ ამხანაგებს?

— დაუბარებლადაც დღეს ის ხალხი მთლიანად შეიკრიბება...

— რისთვის?

— მოწყურებული არიან...

სიღამონიძე ამ მცირე ხანში უკვე მიეჩვია სიტყვაძვირ ხელაშვილის აზრის გაგებას. ახლა კარგა ხნით ჩააფიქრა ამ ორი სიტყვით გამოთქმულმა აზრმა.

— როგორ გგონიათ, სარევიზიო კომისიის თავმჯდომარედ ვის დაასახელებენ? — ისევე მან დაარღვია დუმილი.

— ანიკა სიყმაშვილს.

— სიყმაშვილს? — ნათესავია ზაქროსი?

— მეუღლეა მისი...

სიღამონიძე შეჩერდა. დააკვირდა ნიკოს. ნიკომ თვალი გაუსწორა.

— ივარგებს? — ჰკითხა სიღამონიძემ მოგვიანებით.

— თუ დათანხმდა, ივარგებს.

— კრებაზე იყო ის ქალი?

— არა.

— მე კი მეგონა კრებას არავინ დაკლებდა.

— დაიხ, ყველა იყო, იმის გარდა.

— თქვენ დაუჭერთ მხარს?

— რაღა თქმა უნდა!

— რატომ მაინცდამაინც ის მიგანიათ ამ საქმისათვის შესაფერისი?

— რაიონულ ბანკში მუშაობდა. პატროსანი და უანგაროა.

— კრებაზეც კარგად დაახასიათეს, მაგრამ... — ჩაახველა სიღამონიძემ, — განა ბუნებრივი არ არის, რომ ცოლმა ქმარსაც გაუწიოს ანგარიში?

— მე ვიცნობ ანიკას.

— გამგეობის წევრებს არ ექნებათ რაიმე სხვა მოსაზრება?

— რამდენი ადამიანია, იმდენი მოსა-

ზრება შეიძლება არსებობდეს. უამისოდ კაცი რად ვარგა? მაგრამ სასარგებლო მოსაზრება მანაც დაახლოებით ერთნაირია ხოლმე.

„საინტერესოა“ — გაიფიქრა სიღამონიძემ და მერე ხმამაღლა ჰკითხა:

— ისიც კარგი მოსაზრებაა, რომ სიყმაშვილს, მეტანიზატორების ბრიგადა ჩააბარონ? დაახლოებით ასეთი იყო ყველას მოსაზრება.

ნიკომ არაფერი თქვა. არა თქვა ხმამაღლა, რასაც გრძნობდა. გრძნობდა კი იმას, რომ ზაქრო ახლა მთელს ქვეყანაზე გულაყრილი იყო და ასე მალე არც შეურიგდებოდა არავის.

ანიკო აქამდე ხტუნვით გარბოდა წინ, მაგრამ თანდათან შეამოკლა ნახტომები და როდესაც უფროსებმა შესწყვიტეს ლაპარაკი, მოულოდნელად მოტრიალდა.

— ძია ზაქრო ძალიან კარგია!.. — ისე სერიოზულად მიმართა სიღამონიძეს, რომ პატარა ცხვირს ზევით, შუბლზე ნაოკები აეკეცა. — ფრონტზეც იყო ჩვენ შენახული გვაქვს წერილები. ფრონტულში გვწერდნენ, როგორ იბრძოდა ზაქრო. სახლში გვაქვს ის წერილები, თუ გინდათ წაგაკითხებთ. ტრაქტორისტებსაც ძალიან უყვართ...

— შენ საიდან იცი?

— მე და ძია ზაქრო კომბაინზე ერთად ვმუშაობთ ხოლმე. სახელოსნოშიც ბევრჯერ ვყოფილვარ. იქიდან ვიცი. ძია ზაქრო ბალღებსაც ძალიან უყვართ...

სიღამონიძეს გაეცინა. „შენისთანა საყვარელი ბიჭუნაც ყველას ეყვარება“, — გაიფიქრა და ხმამაღლა უთხრა:

— ამბობენ, მარტო არჩილი უყვარსო.

— ტყუილია! ჯერ ერთი. ყველაზე ძალიან ყოისაანთ ოქროპირი უყვარს ძია ზაქროს, და მეორეც... ერთი ლეკის პიქია, რამაზანა ჰქვია. იმ რამაზანას ერთხელ ფეხში ეკალი შეესო და ტიროდა. ზაქრო იმას არცკი იცნობდა, მე მკითხა, ვისიაო? პოოდა, ძია ზაქრომ ეკალი ამოუღო, დეიდა ანიკას მოჭარ-

გული ცხვირსახოციც არ დაენანა, შეუხვია ფეხი. მერე თავის ცხვირზე მესუსა და ისე მიჭვარა დედას, მამას — ამ დღეებამდე გულს პატარა გია, ძალიან ანჩხლი და მტირალაა, ძია ზაქრომ ხელში აყვანილი მიიყვანა სახლში. გიას გზაში ჩაედინა და... — ანიკომ გაიღიმა, შეყოყმანდა, მაგრამ ვერ მოითმინა და თქვა: — დაასველა ძია ზაქრო. ხალათი, შარვალი სუ ჩაუთია... მაგრამ კი არ ეწყინა ძია ზაქროს!.. იმ დღეს კიდევ... ექ, რომელი ერთი ვთქვა? აქ რომ ცხოვრობდეთ თქვენ თითონ გეცოდინებოდათ... — ანიკომ ისევ ხტუნვით განაგრძო გზა.

მერე თვითონ ხელაშვილი ელაბარაკა სტუმარს ზაქროზე. სიღამონიძე ყურადღებით უსმენდა. ხედავდა, რომ დინჯსა და თავშეკავებულ ხელაშვილს ალაგალაგ უჭირდა გარეგნული წონასწორობის შენარჩუნება...

თითქოს გეზი დაუქარგავსო, გზაბნეული მიდიოდა ვარამაძის მანქანა. შოფერი. საქეს აღარ აქცევდა ყურადღებას, საგონებელში ჩაეკარდნილიყო. ჩიორა აღარც ხუმრობის გუნებაზე იყო, აღარც თავის მოწონებას ცდილობდა. ვარამაძის საქმე მას წაგებულად მიაჩნდა, საჭირო იყო ახალი მფარველის მოძებნა.

„ვინ იცის, ვინ იქნება, ან როგორი იქნება ახალი რაიკომის მდივანი, — ფიქრობდა ჩიორა, დარწმუნებული, რომ რაიკომის მდივანი ნამდვილად ახალი იქნებოდა. — ღმერთმა ნუ ქნას, სიღამონიძესნაირი შემხვედეს ვინმე! მეგონა, ვასიამოვნებ-მეთქი, როგორი ოსტატობით შეეასრიალე მანქანა იმ კლუბის ეზოში და იმან კი... იმ მოკუტულთა თვალებით ისე შემომხედა, თითქოს ხანჯალი გამიყარაო. კიდევ კარგი, მოვასწარი, პირველი კატეგორიის შოფერის საბუთები ვიგდე ხელთ. სარფიანი ადგილის მოძებნა გამაიღვილდება. ვის მივეკედლო? ფერაძე ეძებს შოფერს, მაგრამ ღირს ახლა იმასთან დადგომა? ისიც ბეწვზე ჰკიდია. ამ ხალხმა ვარამაძეს შეჰბედა და ფერაძეს მოერიდებინა? ახ-

ლა შენ უყურე, როგორ აწრუწუნდება იგი, ვარამაძეზე მეტად იმას ეწყინება ეს ამბავი. თუმცა რას გაიგებ? ფერაძე ისეთ მადანზეა მოსული, იქნება ვარამაძეს აღგილიც დაიჭიროს... ბიჭოს, ეგებ მართლა ასე მოხდეს?! აფსუს ვარამაძე! ცოტა უკუით რომ მოქცეულიყო, ახლა არც მე შექნებოდა თავი სამტრედიე ახალი უფროსის ძებნაში. ვიყავი არხეინად, ალიან-ჩალიანი ფეხებზე მეკიდა. ფერაძესთანა კაცთან მუშაობა, მე ვიცო, ხათაბალა იქნება. ყველაფერი გუაგე, ყველაფერი მოახსენე. თანაც სიტყვა პასუხში თავაზიანობა აკლია; ამასავით კი არ იტყვის: ამხანაგო ჩიორა, თუ შეიძლება... რა ეშველება ვარამაძეს? აი, იმიტომ არ ვარგა დიდკაცობა. ჩემსავით პატარა კაცი ყოველთვის გაიტანს თავს და აბა ამფთანამ რა უნდა ქნას?..“

თავისი მომავლით დაინტერესებულმა ჩიორამ სიბრაღულით გადახედა უკანა სავარძელზე მჯდომ ვარამაძეს და მანქანა ღრანტს დააჯახა. ფერაძესთან მისვლა ეჩქარებოდა ჩიორას, გზას იმოკლებდა, აღარ დასდევდა ვარამაძისათვის სასიამოვნო გზების და სანახაობის შერჩევას.

ვარამაძე კი ვერც ჩიორას სიბრაღულსა გრძობდა, ვერც ოღროჩოღრო გზებზე ნჯღრევას, თვალდახუჭული მისიყენებულიყო სავარძელზე. არავის და არაფრის დანახვა და გაგონება არ უნდოდა.

„თავებლები! — ფიქრობდა იგი, — ტყუიან, სიცრუეა ეს ყველაფერი. როგორ გამობედეს, როგორ? მე რომ ცუდი რაიმე ჩამედინა, მე რომ შეცდომა მქონოდა რაიმე, განა კორნელი ლოლაძე არ მიმითითებდა? განა მენდობოდნენ, მაქებდნენ, ამირჩევდნენ ან დამაჯილდობდნენ? რა მქონდა, ან რა მაქვს გამოსასწორებელი? მე ჩემთვის არაფერი მდომია. განა მე კი არ შემეძლო სხვასავით, ან სხვაზე უკეთ მოვწყობილიყავ თბილისში? ამას შესაძლებლობა ჯერ კიდევ მაშინ მქონდა, როცა სულ ახალგაზრდა დაებრუნდი მოსკოვიდან, მაგრამ მე ჩემთვის არაფერი მომიწადინე-

ბია. მე მტვირთავის შვილი ვარ, მთელი სიცოცხლე პარტიას ვემსახურებ...“
 როგორ გადამიხადეს სამაგოჭროს! თუ ზოგჯერ მკაცრი ვიყავი, ისევე ხალხის საკეთილდღეოდ. სისუსტე მხოლოდ იმაში გამოვიჩინე, რომ საკმაოდ მკაცრი არ ვიყავი. მე რომ მკაცრი ვყოფილიყავი ისინი ვერ შეეკრავდნენ პირს ჩემს წინ აღმდეგ... მათ დაავიწყდათ, რომ მე გედვონ ვარამაძეს ყველაფერი შემოძლია. ლელიანის ბატონ-პატრონი მე ვარ. მე გავესწორდები ყველას... რა? გავესწორდები?.. ვის? ვის უნდა გავესწორდე?.. ოხ, ეს ბოღვია! ბოღვია... და კოშმარი, მაგრამ მე ხომ არ შემომესმა? არა. მათ თქვეს, რომ მე... რა სიტყვა თქვეს?.. ჰო, მართლა! გა და გ ვ არ დაო... როგორ გაბედეს?! ახლა რა მოხდება? რა მომელის?...“

რისაც ეშინოდა, არ ასცდა! აქამდე მოჩვენებითი საფრთხე რეალურად დაუხვდა წინ. საფრთხე, რომელიც ემუქრებოდა მის სახელს, დიდებას და მოსვენებას და შიში, შხამიანი, საზარელი შიში დაეუფლა ვარამაძის გულსა და გონებას, დაეუფლა მთელ მის არსებას.

„აჩქარებაა საჭირო! ჩქარა, ვიდრე სიღამონიძე ჩაიტანს იმ საშინელ სიტყვას თბილისში, კორნელი ლოლაძესთან. დაყოვნება არ შეიძლება. უნდა ჩავიდე თბილისში. უნდა გავახსენო ამხანაგ ლოლაძეს დიდი ხნის დაბრება... მე ავადმყოფობის გამო აღარ შემიძლია რაიონში დარჩენა. აღარც ერთი დღე. ავადმყოფობის გამო და ოჯახური მდგომარეობის გამო... ოჯახური? დოფინე და ლიანა?.. მაგრამ თამარი?.. თამარი, ოო, ახლა ამასაც გამოიყენებენ ჩემს წინააღმდეგ. ლოლაძე ყველაფერს მაპატიებს და ამას კი არა. ლოლაძე გაიცინებს ყველა სხვა ბრალდებაზე, რომელსაც სიღამონიძე იქ წამომიყენებს, მაგრამ ამას არაფრის გულისთვის არ მაპატიებს. ლოლაძის დამოკიდებულება ამ საკითხისადმი ყველასათვის ცნობილია და ჩემი მტრები სწორედ ამას გამოიყენებენ, ამით ისარგებლებენ, პირველად ამ ბრალდებას წამომიყენებენ. სწორედ

აქედან დაიწყებენ.. თამარ, რომ იცოდე როგორ მიყვარხარ, ახლა უფრო მიყვარხარ, შენ აუცილებელი ხარ ჩემთვის, თამარ, მაგრამ მე უიღბლო ვყოფილვარ. ერთი გამოუთქმელ მადლობას გიძღვნი იმ წმინდა გრძნობისათვის, რომელიც შენთან შეხვედრამდე დახშული იყო ჩემთვის. მაგრამ შენ გვიან გაჩნდი ცეცხლს, ჩვენ გვიან შეხვედით ერთმანეთს, თამარ... ის ადგილი, რომელიც შენი უნდა ყოფილიყო, სხვას უკავია, დოფინეს.. შენ არ იცი, რა არის დოფინე... ის უკვე მზადაა ჩემთან საბრძოლველად. მე გაჩვენებ მის წერილებს. აქამდე გიმალავდი, რომ არ დამერღვია შენი სიმშვიდე. მხამით და მუქარით სავსეა ის წერილები. ის ქალი მხარს დაუჭერს ჩემს მტრებს. ის არ დაგვზოგავს არც შენ და არც მე, არ მოერიდება არაფერს, რომ შეინარჩუნოს ქმარი და... კანონი მის მხარეზეა, თამარ. მე შვილი მყავს და ის ჩემი შვილის დედაა. ლოლამე იტყვის: შენ კომუნისტი ხარ და ოჯახის მთლიანობის დაცვა პირველი მოვალეობაა შენით. ლოლამეს პგონია, რომ მე ოჯახი მაქვს და დოფინე პატიოსანი მეოჯახე ქალია. მე ვერაფრით ვერ დავარწმუნებ მას და იძულებული ვარ დავემორჩილო ამ კანონს. ახლა, ამჟამად სხვანაირად არ შეიძლება. შენ ხომ არ გინდა, თამარ, რომ ჩემმა მტრებმა ჩემს წინააღმდეგ გამოიყენონ ჩვენი სიყვარული? შენ რომ იმ კრებას დასწრებოდი, დანაზავდი, რა სიხარულით წამომიყენებდნენ ისინი ამ მთავარ ბრალდებას — შენდამი სიყვარულს. ამას, ერთადერთს ჩამითვლის ლოლამე მიუტყვებელ, მძიმე დანაშაულად. შენ ხომ არ გინდა ჩემი განადგურება? მე ვიცი, შენ ერთადერთი აღამიანი ხარ, რომელიც არ მოისურვებს ჩემს დაღუპვას. იცი, რა ძნელია საკუთარ ბედნიერებაზე უარის თქმა? მე არც ვამბობ უარს, მაგრამ დროებით, ვიდრე ეს ყველაფერი მიწყნარდება... შენ უნდა გაეცალო აქაურობას. ახლა რაც შორს ვიქნებით ერთმანეთისგან, ის უკეთესია. ასეა საჭირო. და როცა ყველაფერი

გადაივლის, ჩვენ ისევ ერთად, ისევ ბედნიერები ვიქნებით. არა, ^{წინააღმდეგ} უფრო ბედნიერები, იმიტომ, რომ სამსი ვიქნებით: მე, შენ და ჩვენი ბავშვი. მე არ შემიძლია უშენოდ გაძღება თამარ“...

— რაიკომში თუ სახლში? — დაარღვია ჩიორამ ვარამაძის ფიქრები.

— რაიკომში! — ანაზღად უბასუხა ვარამაძემ. — არა, სახლში. თუმცა არა, არა, რაიკომში, დიახ, რაიკომში. საქმე მაქვს.

— დაღლილი ბრძანდებით, ღამენათევი. სახლში მიგიყვანთ და თამარს ეტყევი, მოვიდეს თქვენთან, — უთხრა შოფერმა.

თითქოს კეტი დაარტყეს თავში, ისე დარეტიანდა ვარამაძე. თვალწინ რაღაც საშინელი მაკლავდა აეტრუხა.

„აი, უკვე დაიწყეს. სხვა დროს თამარი არ უხსენებია, ახლა გამოიბედა. ახ, აქნებ ამას უკვე დაღუპული ვგონივარ?! სახლში რომ წავიდე, სხვაც ასე იფიქრებს. ყველას ეგონება, რომ მე უკვე დაღუპული ვარ, მაგრამ ნაადრევია თქვენი სიხარული...“

— თქვენ ამ ბოლო დროს ბევრი ლაპარაკი დაიწყეთ! — მკაცრად უთხრა შოფერს, მედიდური გამომეტყველება მიიღო და ნელი ნაბიჯით, მკლავზე პლამზადაკიდებული ავიდა რაიკომის კიბეზე.

კიბის თავს მიღწეულმა ვარამაძემ თვალი მოჰკრა გზაზე მიმავალ კოლმეურნე ქალს და შინდელი მათა გაახსენდა. წუხანდელ კრებაზე კი არა, ახლა გაახსენდა მათას დაჭერასთან დაკავშირებული ყოველი წვრილმანი. მოაგონდა ზაქროს აღელვება, მასი ნათქვამი: თვითეული სიტყვა და შეჩერდა. იაკობ ფერაძე ისეთი სიცხადით წარმოუდგა უცებ თვალწინ, რომ უნებურად დაიხია უკან.

— ...რა საშინელია ის კაცი... — წაილაპარაკა მან ბოლოს, სწრაფად შევიდა კაბინეტში და მილიციაში დარეკა. მილიციის უფროსი არ დახვდა, მორიგეს ჰკითხა რათ არის მათა ცისკარიშვილი აქამდე დაკავებული?

— ჩვენ ერთ საათსაც არ დაგვაკავებდით, ამხანაგო მდივანო, — მიუგო მოიგემ, — მაგრამ რაღაცა მასალეზიო ამ ქალზე შემოსული...

— რა მასალები? — მოუთმენლად იკითხა ვარამაძემ.

— საიმედო პიროვნება არ არისო, ამხანაგო უფროსო!

— ეგ რაღა ახალი ამბავია? — დაიყვირა განრისხებულმა ვარამაძემ. — ახლავე, ამ წუთში, დაუყოვნებლივ გაანთავისუფლეთ ეგ ქალი და თქვენ კი წამოიღეთ ჩემთან მისი „საქმე“. ახლავე, გესმით?

— არის, ახლავე გამოცხადდეთ თქვენთან, ამხანაგო მდივანო!.. — მხიარულად დაიძახა ტელეფონში მორიგემ. გაუხარდა რომ რაიკომის მდივნის ჩარევით გაანთავისუფლებდა ქალს, რომლის თვალზე ეს ორი კვირაა ცრემლი არ შემშრალა. უფრო მეტად კი ახარებდა ის, რომ რაიკომის მდივანთან ყოფნით ისარგებლებდა, უამბობდა როგორ გაუჭირა მათ საქმე იაკობ ფერაძემ და ბაბუციძემ ხალხისადმი უნდობლობით და ექვიანობით.

— რა საშინელია ის კაცი... — გაიმეორა ვარამაძემ და სწრაფად შემოტრიალდა კარისაკენ. მოეჩვენა, რომ ფერაძე უთვალთვალებდა გამოღებულ კაროდან. „ეს კაციც გაიგებს იმ სიტყვას, რომელიც მითხრეს კრებაზე, ყველაფერს გაიგებს... გაიხარებს ჩემი „მეგობარი“. არა. ნუ ეგონება, რომ ამას შეიძლება მოყვეს რაიმე შედეგი. ნუ ეგონება, რომ ყველაფერ ამას რაიმე მნიშვნელობა აქვს ჩემთვის...“ — გაიფიქრა, ძალ-ღონე მოიკრიბა, ფერაძესთან დარეკა. მხიარულად და მეგობრულად მოიკითხა, სხვათა შორის შეატყობინა, რომ მთელი ღამე არ უძინია, მუხიანში მეტად ხმაურიანი კრება ჩავატარეთ. ბოლოს უთხრა:

— ზო, ამხანაგო იაკობ, თქვენ აღბათ დაგავიწყდათ ის შინდელი ქალი, რომელიც მილიციამ რაღაც გაუგებრობით დააკავა?!

— რომელი ქალი? — ვითომ უცბად

ვერ გაიხსენა ფერაძემ, დრო დაიწერდა, უნდოდა მიმხედარიყო რაღაც დანტერესდა ვარამაძე ამ კვირა დღეს უიქსა-მასა-ციისკარიშვილით. — ჰოო, — თქვა ბოლოს. — აი ის, სპეკულიანტობის გამო რომ იყო დაკავებული?

— იყო კი არა, აქამდე მილიციამი ყოფილა...

— რას მეუბნებით? — შესძახა ფერაძემ, — ეს ხომ უმსგავსობაა! აჰ, აჰ, აჰ, საბრალო ქალი! გამოდის, რომ მე ჩემი სიტყვა არ შევასრულე?! მითხრეს დღესვე გავუშვებთო. რა საძაგელი გულგრილობაა და დაუდევრობა! აი, რომ გეუბნებით, ამხანაგო გედეონ, არავის ნდობა არ შეიძლება, ყველანი გაიძევრები და თაღლითები არიან მეტში...

ვარამაძემ დააგლო მილი, მკერდზე იტაცა ხელი და მძიმედ ჩაეშვა სავარძელში.

ჩაფიქრებულმა ფერაძემ წარბები ასწია და რადგან შუბლი ვიწრო ჰქონდა, ბალნიანი, ფართო წარბები თითქმის შეერივნენ თმას. მერე წამოვარდა სკამიდან. რაღაცა აზრმა ელვასავით გაუნათა გონება.

— აი მდიდარი თემა! მხოლოდ დიდი მწერლის ნიჭს შესწევს უნარი დაინახოს უბრალო ამბავში რაღაც დიდი, ამაღლებელი. ო-ოო, მე ვგრძნობ, რომ მიახლოვდება სახელი და დიდება. რა თემაა! რა თე-მა! ქეშმარიტად, ვარამაძის შზე უნდა ვილოცო, რომ გამახსენა დღეს ეს შინდელი ქალი. ხვალ შესაძლებელია საქმეებით გადატვირთულს არც მე მომსვლოდა თავში ეს აზრი. სიუჟეტი: ერთის მხრით, შვილებისათვის თავგანწირული, მშრომელი კოლმეურნე ქალი, რომელიც კოლმეურნეობის უჯიათმა თავმჯდომარემ აცვა ჯვარს, მეორეს მხრით — ჰუმანიურობა. გაწამებული დედა სატანჯველიდან იხსნა უბრალო საბჭოთა ადამიანი, რა არ დაიწერება? რომანი! ტრალეღია! ბოემა!.. თანაც იმ კულაბზიკა სიყმაშვილს ვაჩვენებ სეირს. ჩემს ნაწარმოებში მე მის ზუსტ მისამართს, სახელსა და გვარს აღვნიშნავ,

რომ ქვეყანამ იცნოს ბოროტება! სიყმაშვილი, ხელაშვილი — აი ბოროტება! ჩემი ვალია, დღის სინათლეზე გამოვიტანო დღევანდელი ნათელი მზის ჩრდილი და ღრუბელი!..

ამ განზრახვით ფერაძემ სწრაფად გადაიკვა კიტელი და, რადგან მანქანა ჯერაც მოშლილი იყო, ფეხით წავიდა მილიციაში. ვარამაძის სახელით უბრძანა იქ მყოფ მილიციელს, რომ მასთან პირისპირ სალაპარაკოდ მიეყვანათ მიაიციკარიშვილი და მის მოლოდინში იქვე ჩამოჯდა მაგიდაზე.

მწერლის ვალია წინასწარ განკვირვით მოსალოდნელი ბოროტება, დიახ! სიყმაშვილები და ხელაშვილები პოტენციაში ბოროტმოქმედნი არიან, დიახ! — გაიხარა ფერაძემ ამ აღმოჩენით და ბოლომასაგან გაშავებულ „ბრალდებულს“ მიუტრიალდა, რომელიც მხრებაწეული კარებთანვე დარჩა.

— შინდელი ხარ, დეიდა?

მაიამ არაფერი უპასუხა. ამ დღეებში ასჯერ მაინც ჰკითხეს სადაური ხარო და გული აღარა ჰქონდა მობეზრებულ კითხვაზე საპასუხო. შიშისაგან ფეხზე ძლივს იდგა. ამიტომ თითქმის არაფერი გაუგია იმ გრძელი შეგონებიდან, რომელიც ფერაძემ სწორედ მის გასაგონად წარმოთქვა.

ბოლოს ფერაძე დარწმუნდა, რომ მისი სიტყვები ქალს არ ესმოდა, მაგრამ მაინც კმაყოფილი იყო. მომავალი რომანის მეხივით თვზარდამცემი დასასრული მზად ჰქონდა. ამ საკოდავ შინდელ დედაკაცს რომ სცოდნოდა, რის მოწმე და მონაწილე გახდა ბრმა შემთხვევაში, ნეტარებისაგან გული გაუსკდებოდა!

— წადი, დეიდა, წადი სახლში, მიხედვით შეილებს!.. — ტრაგიკულად უთხრა მაიას და გაუკვირდა, რომ ქალი მადლობის თქმასაც არ აპირებდა. — წადი და იმ შენს თავმჯდომარეს, ზაქარია სიყმაშვილს გადაუხადე მადლობა შენი ტყუილი-უბრალო წამებისათვის. ან რა ჯავარი სჭირდა შენი, ღმერთმა იცის! მე რომ არ ჩაერეულიყავი ამ საქმეში... შენ

აქ, უპატრონოდ მიტოვებული ბავშვები იქ...
 თინა დონაშვილი

თავისი მიტოვებული ბავშვების სუნებაზე ქალს ხმაალალი ტირილი აუფარდა, ფერაძესათვის ზედაც არ შეუხედავს, ოთახიდან გაეპარდა, გრძელი დერეფანი მოთქმით და სირბილით გაიპარა, ქუჩაში გასასვლელ კართან-ლა შეჩერდა. ამ დროს მასთან მორიგე მივიდა. მაიას ეგონა ისევ დამაბრუნებელი, გაქცევა დააპირა, მაგრამ მილიციელმა თანაგრძნობით გაუღიმა.

— აჰ, ჩემო დაო, ეს კალათი გავიწყდება... — უთხრა და პატარა კალათი გაუწოდა, რომელშიც ბზეწყარილი ოციოდე კვერციხე ელაგა.

მაიამ კალათს ხელი არ მოკიდა. მის შემდეგ, რაც ამ კალათს მისი სპეკულიანტობის „ნივთიერი საბუთი“ დაარქვეს, უირივით შეჯავრდა მისი დანახვა.

— დაიქი, დაიქი, გამოგადგება! — კეთილი ღიმილით შეაჩეხა მილიციელმა კალათი მაიას, თან დაუმატა: — დეიდა, გამვლელ მანქანას ვთხოვთ, მიგიყვანს სახლამდე...

შუადღისას მივიდა ჩიორა იაკობ ფერაძესთან და ბინდებოდა, როცა დაამთავრა მუხიანში მომზადარი ამბების მოყოლა.

ფერაძე ძლივს ფარავდა, სიხარულს. კვლავ ჩამოჰკრა მისმა საათმა!

— ამხანაგო ჩიორა, ჩვენ ახლა სათავეში უნდა ჩავუდგეთ მეტად ძნელსა და მეტად საპატიო საქმეს! — ხანგრძლივი ჩაფიქრების შემდეგ დაილაპარაკა მან ისე მნიშვნელოვნად, რომ ჩიორა თვალდაუხამხამებლად, ლაცივით მიაჩერდა მას.

— ჩვენ ამ წუთიდანვე უნდა შევედგეთ მოქმედებას! — საქმიანად განაგრძო ფერაძემ. — დატრიალდი. ჯერ იორამ ბაბუციძესთან გაფერინდი. ხომ იცი სადაც უნდა ეძებო იორამი? სადაც ლვინის სუნი ტრიალებს. ჰოდა, მოძებნე. ეძინოს, გააღვიძე. მთვრალი იყოს, გამოაფხიზლე. მკვდარი იყოს, გააცოცხლე და გადაეცი, ამ წუთში აქ გაჩნდეს,



ჩემთან. მერე შენ შინდაში გასწი. დემურ-
რიშვილი ჩასვი მანქანაში და ისიც აქ
მომგვარე სასწრაფოდ, აბა, ჰე!

ჩიორა ადგილიდან არ დაძრულა. ისევ
ისე თვალდაუხამხამებლად შესცქეროდა
ფერაძეს თავისი ბედის გამორკვევა უნ-
დოდა, ფიქრობდა: „თუ ვარამაძე თავის
ადგილზე დარჩება, მე რა მოვალე ვარ
დაღლილი და ღამენათვეი იაკობას გუ-
ლისათვის შინდაში ვეთრიო?.. უარი
ვეთხრა და, ვაი თუ, ბოლოს მაინც ეს
წამოიკივოს კოზრის ტუხვივით“.

— რაღას უციდი? — შეაწყვეტინა ჩი-
ორას ფიქრი ფერაძის მოუთმენელმა
შეძახილმა.

— თქვენს დავალებას, ამხანაგო ია-
კობ, მე, როგორც ყოველთვის, სიამოვნე-
ბით შევასრულებდი, მაგრამ ხაზეინმა
რომ მიკითხოს?

— ხაზეინს ახლა შენი თავი აქვს? ხე-
ლათ მთიარ-მთიარე და აქვე გაჩნდი. —
მიუგო ფერაძემ, მხრებზე ხელები დაა-
დო, კარისკენ შეატრიალა, თან დაუმა-
ტა: — მე მიგდე ყური და არ წააგებ.
მხოლოდ იცოდე, კრინტი არავისთან
დასძრა!

— გასაგებია, ამხანაგო უფროსო! —
მკვირცხლად მიუგო ჩიორამ, გაინთავი-
სუფლა თავი ფერაძის მარწუხებივით
ჩაქერილ ხელებიდან და კარს ეცა, მაგ-
რამ ამ დროს კარი გაიღო და ხვითქმი
გავლებული, ჩქარი სიარულისაგან აქ-
ლომწინებული ბაგრატ დემურიშვილი
შემოგორდა ოთახში.

— გაიგე, მუხიანში რა მოხდა? —
შეშინებულმა იკითხა მან ზღურბლი-
დანვე, მაგრამ თვალი შეასწრო ჩიორას,
მიხვდა, რომ მოამბეთ მოსვლა დაუგ-
ვიანდა, გაჯავრებულმა შუბლი შეიკრა
და ჩაჩუმდა. მერე წაშს კი უკმაყოფი-
ლება ჩვეული ღიმილით დაჰფარა და
წილაპარაკა: — აქეთ ვიყავი და შენთან
ისე, სხვათა შორის შემოვიარე, ორიოდ
წუთით...

— დაჯექი, კაცო, დაჯე, შენ არ იცი,
რომ ყოველთვის სასიამოვნო სტუმარი
ხარ?! — მხიარულად უთხრა ფერაძემ
და ხელით აჩვენა სკამზე, რომელიც ჩი-

ორამ განსაკუთრებული თავაზით შეამ-
ველა დემურიშვილს.

დემურიშვილი მძიმედ დაეშვა სკამზე
და დადარდიანებულმა ჩაჰკიდა თავი.

„როგორ მოვიტყუო?“ — კითხვით შე-
ხედა ჩიორამ ფერაძეს. გახარებული
იყო, რომ შინდაში წასვლა აღარ დას-
ჭირდა. სიხარული კიდევ უფრო გაუ-
ძლიერდა, როცა ფერაძის პასუხის ნაც-
ვლად, გარედან ხმამაღალი, ჩუქურთმი-
ანი გინება გაიგონა.

— აი, იორამიცი! — დაიძახა ჩიორამ
და ფართოდ გამოაღო კარი.

— ე-ეჰ, მაინძელო-ო! — ყვირილით
შემოაბიჯა ოთახში მიწვანის უფროსმა.

— მშვიდობა შენს მოსვლას, მაგრამ
ეგ ხმაურობა რაღა საქირია? — ვითომ
გაჯავრებით ჩაიღუღუნა ჩიორაზე უფ-
რო გახარებულმა ფერაძემ და ღიათ
დარჩენილი კარი ბეჯითად მიხურა.

— მეც ხომ ყოფილი შინდელი ვარ,
მეც მინდა ახმაურება! გაიგე იმ ძაღლის-
შვილებმა რა ჰქნეს? — ჰკითხა ბაბუცო-
ქემ იაკობს და მერე გამეტებით დაჰკრა
დემურიშვილს ბეჭებზე ხელი. — შე
ხომ იქ იყავი, შე დასიებულო, შენა,
იმის ნება როგორ მიეცი? ჰო, კარგი,
კარგი, გეხუმრები, მარტო იმათ რას გაუ-
მკლავდებოდი?! შენ აქ რაღა გინდა? —
შეუბღვირა ბაბუციქემ ახლა ჩიორას,
რომელსაც დემურიშვილის კრებაზე გა-
მოსვლა გაახსენდა და უნებურად გაე-
ცინა.

— ამხანაგი ჩიორა ხაზეინმა გამოგ-
ზავნა ჩემთან საქმეზე! — უპასუხა ბაბუ-
ციქეს ჩიორას მაგიერ იაკობმა და შო-
ფერს მიმართა: — თავისუფალი ხარ,
შეგიძლიან წახვიდე.

ჩიორამ ყურიც არ შეიბერტყა. რაკი
უხმოდ დაუდასტურა ფერაძეს ტყუილა,
გადასწყვიტა რომ ამით სრული უფლება
მოიპოვა გაეგო რად აგზავნიდა ფერაძე
იმათ მოსაყვანათ, ვინც თვითონ, დაუ-
ბარებლად მოვიდნენ ფერაძესთან. ჩი-
ორა დასწვდა ტახტთან დაგდებულ მო-
ძველებულ ჩექმას და ისეთი ყურად-
ღებით დაუწყო სინჯვა, თითქოს ფე-
რაძის ნათქვამი არც გაუგონიო.

ოთახში სიჩუმე ჩამოვარდა.

„ბოლოსაგან შევრჩი სუფრას, იმისი რჯული არ იყოს. ადრევე უნდა მოვსულიყავი. ნეტა, ამ ღორმა როდემდე უნდა იქლოშინოს აქ?“ ჯავრობდა გულში ბაბუციძე, მისჩერებოდა დემურისშვილს და არ იცოდა როგორ მოეხერხებინა, რომ ფერაძესთან მართოდ დარჩენილიყო.

„მე მეგონა, რომ იორამი საღმე გალეშილი ეგდებოდა დღეს, მე დავიმართოხელებდი ფერაძეს. ეჰ, რაც არის, არის, იქნებ ასე სჯობდეს კიდევაც. სამი ჰქუა ორზე ნაკლები შინც ხომ არ იქნება? იქნებ ერთხელ იორამსაც წამოსცდეს ჰკვიანი სიტყვა...“ — ინუგეშა თავი დემურისშვილმა.

იაკობ ფერაძე კი ქალაღებებს ამრიალებდა, სწრაფად სწერდა რაღაცას.

„მგონია იაკობა სიტყვისათვის ეშხადება“ — უკვირდა გულში ჩიორას.

სიჩუმეში ყველამ ერთად გაიგონა, რომ გარედან კარს ვიღაცა მოადგა და თითქოს ფრჩხილით გაჩხაპანაო. რატომღაც შეშფოთებულებმა გადახედეს ერთმანეთს.

— უცხო არავინ შემოუშვა. მე დაკავებული ვარ! — ხმადაბლა უბრძანა ფერაძემ ჩიორას, რომელიც ჩექმით ხელში, ფეხაკრფით წავიდა კარისკენ.

— ისვენებ, შენი გულისა? — გაისმა ფრთხილად გამოღებულ კარში ჩურჩული და ტურისა წაწვეტებული, მოტვლებილი თავი გამოჩნდა.

— მოდი, მოდი! — დაუძახა ფერაძემ და მხიარულად ჩაუტრა თვალი ოთახში მყოფთ.

„ამას ჰქვიან, გეგმის გადაჭარბებით შესრულებს!“ — გაიფიქრა ჩიორამ.

— შენ აქ საიდან გაჩნდი? — გაკვირვებით ჰკითხა მოსულს დემურისშვილმა, თუმცა არც მისი მოსვლა და აღარც ფერაძის გახარება აღარ გაჰკვირვებია.

— შენ გეძებდი. — მოკლედ მიუგო დემურისშვილს ტურამ. მან უკვე მოასწრო ოთახისა და ოთახში მყოფთა დათვალიერება, დარწმუნდა, რომ დროზე მოსულა და დაარხენებული, დინჯად ჩამოჯდა სკამზე.

— მამ ასე. — წარმოსთქვა ფერაძემ, აკრიფა დაწერილი ფურცლები წამოდგა და სათითაოდ შეათვალიერა ყველანი.

ოთახში მყოფნი უხმოდ მისჩერებოდნენ. მისი ნათქვამი „მამ ასე“ ჯერ არ აძლევდა მათ სათანადო გეზს. ჯერ არავინ იცოდა, როგორ და რაზე უნდა ელაპარაკნა.

— ბედნიერი და გაუთვალისწინებელი შემთხვევის ძალით, აქ აღმოჩნდით ერთად სწორედ ის ამხანაგები, რომლებსაც მე შემძლიან თვალდახუჭულიც კი დავეყრდნო მთლიანად და განუყოფელად...

— მკვდარ იორამზეც შეგიძლია დაეყრდნო მთლიანად და განუყოფელად! — დაიძახა ბაბუციძემ თავისი ერთგულების დასამტკიცებლად და გამეტებით იკრამკერდში მუშტი.

დემურისშვილის ხელები გულთან გადაჯვარედინდნენ, სახეზე მწყაზარი ღიმილი გადაეშალა.

ტურამ მეტისმეტი სიამოვნებისაგან თვალები მილულა.

ფერაძემ თავის ოდნავი დაკვირვით გადაუხადა დამსწრეთ მადლობა ერთსულოვანი ნდობისათვის და განაგრძო:

— მე ძალიან შესანიშნავად მესმის, რომ თქვენ ყველანი აქ მოგიყვანათ ერთმა საერთო მიზანმა და რაკი მიზანიც საერთოა და ამ მიზნის გამოწვევი მიზეზიც ერთი გვაქვს, ამიტომ დროს ნულარ დავკარგავთ ყოველგვარ წვრილმანზე. მოეჭიდოთ და ამოწყვილოთ ზევით პრინციპული და მთავარი და ამაზე ვილაპარაკოთ, ვითათბიროთ...

ფერაძემ კვლავ შეათვალიერა დაძაბულ მოლოდინში მიუჩხებელი სტუმრები და უცბად საყველზე იტაცა ხელი კინალამ ჩამოიგლიჯა, თითქოს მწუხარება ახრჩობსო და აკანკალებული ხმით განაგრძო:

— ამხანაგებო, ჩვენ უნდა მივიღოთ ყოველგვარი ზომები, რომ ჩვენი ძვირფასი და საყვარელი, ჩვენი წმიდათა წმიდა პიროვნება, მიუწვედომელი ავტორიტეტი, ჩვენი ამხანაგი გედონ ვა-

რამაძე ჩვენი ვაჟკაცური მკერდით დავიცვით იმ შხამიან მახვილებისაგან, რომლებიც დაუმიზნეს მას!..

— თქვი, იაკობ, თუ ძმა ხარ, თქვი ჩქარა, რა ვქნათ, ალღევებისაგან ტანში მიძივივებს! — წამოხტა ბაბუციძე.

— ჩვენი სიცოცხლე მაგის ჭირის სა-ნაცხლოდ იყოს! — დაარტყა მსუქანი მუშტი მაგიდას დემურიშვილმა.

— განა სიცოცხლე დასანაია მაგის-თანა საქმისათვის, შენი გულისა... — ამოიყვენსა ტურია.

— დამშვიდდით, ამხანაგებო, — ასწია ხელი გრძნობამორეულმა იაკობმა, — მე ვთხოვთ დამშვიდდეთ. მეც გული მეგლიჯება, მაგრამ ამ საქმისათვის მე მიპირავს ჩემი თავი რკინის ხელებით და თქვენც აიღეთ მაგალითი ჩემგან. ჩვენ დაწყნარებით უნდა განვსაჯოთ ეს საკითხი მთელი თავისი სიგრძე-სიგანით და გავაკეთოთ აქედან სათანადო ორგ-დასკვნები...

ჩიორამ უხმოდ შემოსდგა მაგიდაზე ლიტრით წყალი და მაგიდას მიუჯდა.

— ამხანაგებო, — განაგრძო ფერაძემ. — ჩვენს სასწრაფო, საგანგებო თათბირზე, რომელიც დაიწყო სტიქიურად, როგორც კომუნისტებისა და უპარტიოთა უძლეველი ბლოკის ერთ-ერთი გამოვლინება, უნდა ჩავატაროთ ისე, რომ გვერდზე გადავდოთ ყველა სხვა საქმე და გადავშვათ ამ საკითხში ისე მთლიანად და განუყოფელად, როგორც გადავშვება ზოლმე კეთილშობილი ადამიანი ჩვენი მშვენიერი ალანის აწვირ-თებულ ტალღებში...

„ვახ, როგორ დაარტყა!“ — გაიფიქრა შურთი ჩიორამ.

„ნეტა რას იფიქროებ? საით რასა ჰქარავს?“ — ფიქრობდნენ ბაბუციძე, დემურიშვილი და ტურია, თან თვალთ სჭამდნენ ამეტყველებულ ფერაძეს.

— ის, რაც მუხიანში მოხდა, ამხანაგებო, ის არის, რომ ვთქვით ჩვენი ბოლ-შევიკური ენით, რომელიც არის ყველა მსოფლიოს მუშათა-გლეხთა ხალხის ერთიანი ენა, აი, ამ ენით რომ ვთქვით, ის არის კომუნისმის მშენებლობის

დიად გზაზე გამოვლენილი ბუნტი, ბა-ჯალოლ ავანტიურა... ვინ არის ამხანაგი ვარამაძე? — კითხვით შეათვალიერა დამსწრენი იაკობმა, თითი ასწია და თავის კითხვას თვითონვე უპასუხა: — ამხანაგი ვარამაძე არის ჩვენი მეზობო-ლი კომუნისტური პარტიის, მუშათა-გლეხთა-ინტილელგენტთა საბჭოთა ხე-ლისუფლების ხელმძღვანელი ლელიანის რაიონში. რა გამომდინარეობს აქედან? აქედან გამომდინარეობს, რომ მაშასა-დამე ამხანაგი ვარამაძე არის პარტია! აქედან კი გამომდინარეობს, რომ ყვე-ლა, ვინც ილაშქრებს ამხანაგ ვარამაძის წინააღმდეგ, მაშასადამე ის ილაშქრებს პარტიის წინააღმდეგ, ის არის ყველა ჯურის ოპორტუნისტი, ავანტიურისტი, პროვოკატორი და მტერი ჩვენი ერთიანი მშრომელი მსოფლიო პროლეტარია-ტისა!

— არამზადები! კონტრ-რევოლუციო-ნერ-რები!.. — წამოვარდა ბაბუციძე ადგილიდან.

— დაწყნარდი, ჩიორამ, დაწყნარდი ძვირფასო... — უთხრა ალღევებულმა დემურიშვილმა ბაბუციძეს, ძალით დას-ვა ადგილზე და თავისი დიდი, ქრელი ცხვირსახოცით დაუნიავა.

— დალიე, შენი გულისა... — მზრუნ-ველობით თქვა ტურია და ჭიქა გაუ-წოდა ორატორს, დაუცადა ვიღრე ის მოსვამდა წყალს, დანარჩენი თვითონ დალია და ჭიქა ფრთხილად დადგა, ბუტ-ბუტით: — მე მუდამ ვიძახდი, მტრები არიან მეთქი, ნამდვილი მტრები, შენი გულისა...

— მე ბედნიერი ვარ, მეგობრებო, რომ დღეს, აჰ, ჩემს გარშემო ვხედავ პარტიისან, ერთგულ, საპატიო საქმისა-თვის თავდადებულ ამხანაგებს... — წყნარად განაგრძო ფერაძემ, — ამიტომ მე აზრადაც კი არა ვარ დაეჭვებულა, რომ ჩვენი შეერთებული ძალებით ჩვენ მივალწევთ მაღალ მიზანს. ჩვენ სააშკა-რაოზე უნდა გამოვიყვანოთ ეს საძაგე-ლი მტრები! ჩვენ ნილაბი უნდა ჩამოგხს-ნათ ოქტომბრის ქარცეცხლში გადა რე-ნილ ბურჟუაზიულ ნაძირალებს, რომ-

ლებიც ატყუებენ პროლეტარიატის მუშათა კლასს!

— დაიყვანოთ ნულამდე! — წარმოსთქვა ბაგრატი.

— მოვსპოთ! — მუქარით ასწია მუშტი ბაბუციძემ.

— მოვსპოვო, მაშა, შენი გულისა? — დააკანტურა თავი ტურია.

— მაგრამ, ამხანაგებო! — მტკიცეთ შეიკრა წარბები ფერაძემ, — ნურავის ნუ ეგონება, რომ ეს ადვილი საქმეა, ვითომცდა ყანწის გამოცლა იყოს. ამ ჩვენს დიდ საქმეში ჩვენ მოგვეთხოვება სინჯარე, ვაჟკაცობა, ბოლშევიკური სიმტკიცე, პატიოსნება, საზრიანობა და ცეცხლი!

— ეგ ყველაფერი სახეზეა!

— მაღლობა ღმერთს, ეგ ჩვენ არ გვაკლია!

— ყველაფერიცა გვაქვს, შენი გულიცა!

დააწყნარეს მსმენელებმა ორატორი.

— ჩვენს წინაშე, მთელი თავისი გრანდიოზულობით აღიმართებიან სიძნელეები. მტრები მთლად გოგები კი არ არიან. იმათ შესძლეს და მოახერხეს მოტყუებით, თაღლითობით, ყალთაბანდობით მოეპოვებინათ ნდობა მიამიტი პატიოსანი ხალხისა. მტრებმა აიყოლიეს მიამიტი, პატიოსანი ხალხის ლეგიონები, მოკლედ, ბევრნი არიან მეთქი, გასაგებია? ჩვენ უნდა შევლაზოთ მათი ავტორიტეტი, ავაფეთქოთ მათდამი ნდობა, გავაღვივოთ პროტესტი მუხიანის კრებაზე აშკარა ბუნტის ამტეხების მიმართ!..

ფერაძემ შეისვენა, დაწერილი ფურცლები გადაათვალიერა. დამსწრეთ იგრძნეს, რომ ფერაძე ახლა გააცნობდა მათ მოქმედების გეგმას და ადგილებზე შესწორდნენ, ყურები ცქვიტეს.

— მე აჲ მეთაურების პატარა სია შევადგინე და ეს სია გაესინჯათ, ვითათბიროთ, შევაგსოთ... — თქვა ფერაძემ. — ჩემის აზრით ყველაზე მთავარი მოთავე არის ნიკო ხელაშვილი...

„რა ძალღია?! ვერ მოუწელებია, რომ ხელაშვილმა პანლური ჰკრა მუხიანი-

დან“. — ჩაიციხა გუნებაში ბაბუციძემ და დაიძახა: — სწორეა, ეგ ძალღია მოთავე!

„კარგი იქნება ხელაშვილის მოშორება, სუნთქვა გამიადვილდება...“ — ინატრა დემურისვილმა და სთქვა: — რალა თქმა უნდა, ეგ არის მთავარი მტერი!

„ეგრე მოუხდება იმ ხელაშვილს. ეხლაცა თქვას ტურია მშრომელების მტერიო!“. — ოჰ, ეგ ძალიან საშიში კაცია! — დაიძახა მან ხმამაღლა.

„ოღონც იაკობამ ბოლო მოუღოს ხელაშვილს და მალარიჩი ჩემს კისერზე აყოს!“ — გადაწყვიტა გულში ჩიორამ.

მართალია ხელაშვილი იმ კრებაზე არ გამოსულა, მაგრამ ეს გარემოება სულაც არ აბრკოლებდა თათბირის მონაწილეებს. მათ ერთხმად დაადგინეს, რომ ხელაშვილი არის „ბუნტის მთავარი სულისჩამდგმელი. მისი გვარით გაიხსნა იმ პირთა სია, რომლების მიმართ უნდა ყოფილიყო მიღებული სასწრაფო ზომები.

— ჩაწერე მან ზაქრო სიყმაშვილი! — დინჯად წამოაყენა წინადადება ბაბუციძემ და წამოდგა. — მე ორ სიტყვას ვიტყვი. თქვენ, ამხანაგებო, არამცა-არამც არ გეგონოთ, რომ მე იმასთან რამე ანგარიში მაქვს. ახლა, როცა ჩვენ ამ დიდ საერთო საქმეს დავადგეით პირადი ანგარიშები უნდა დავივიწყოთ. მე აი როგორა ემსჯელობ: ბოლოსა და ბოლოს, რაზე ატყდა ის ბუნტი კრებაზე? გედღონ ივანინი ჩვენ არ გვიჯეროდა, რომ სიყმაშვილი არ არის ნდობის ღირსი, მეგობრობდა სიყმაშვილს, უნდოდა კიდევ დაეწინაურებინა და რა გამოვიდა? გედღონ ივანინის დიდი უსიამოვნება შეხვდა სწორედ იმ სიყმაშვილის ვაშო. თვითონ დაინახა, რომ სიყმაშვილი საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგია, რომ სიყმაშვილმა დაანგრია საკოლმეურნეო მშენებლობა, რომ ის მტრული ელემენტია!

„ელემენტია... შენ თვითონ ისე ბღუჯავდი, რომ მეც ვერ გასწრებდი...“ — გადახედა დემურისვილმა ბაბუციძეს

და ხმამალა დაუმოწმა: — ის არის, სწორედ ის არის ჩვენი საყოლმეურნეო მშენებლობის ძირის გამომთხრელი!

„ამ ტუტუტებს რა ესმით? ვიღარ ვარამაძე თავის ადგილზე ზის. მე ზაქროს წინააღმდეგ არ წავალ“. — გადაწყვიტა ტურია და რომ ხმა არ მიეცა ამ წინადადებისათვის, ცხვირსახოცი დააგდო აატაკზე. მაგიდის ქვეშ დაიწყო ფათური.

— არის, სიყმაშვილი... — დაუსვა ჯგვარი ფერაძემ ზაქროს გვარს.

— მე მაქვს სიტყვა, შენი გულისა! — აიწია ტურია ცხვირსახოცით ხელში. — ჩაწერეთ მანდ სიკო თარალაშვილი. მაგას საბჭოთა ხელისუფლება ისე უყვარს, როგორც მგელს ბატკანი! ისეთ სიტყვებს იძახის პარტიასე, რომ ვაი, ვაი... გამეორებაც არ შემიძლიან!

ამგვარი განხილვის შედეგად შედგენილი იყო „ბუნტოვშიჩების და ვარამაძის მტრების“ სია, რის შემდეგ თათბირის მონაწილენი ვადავიდნენ მეორე საკითხის განხილვაზე. ფერაძემ მოათაბირებებს გააცნო „გამოვლენილი მტრების წინააღმდეგ ბრძოლის გეგმა“.

— საქმეს ამ წუთიდანვე უნდა შევეუდგეთ, — თქვა მან, — თათბირის დამთავრების შემდეგ, თქვენ ყველანი დაუბრუნდებით თქვენს სამუშაო ადგილებს. შენ, ამხანაგო ბაგრატი, გადასინჯე მთელი დოკუმენტაცია. ხელი ჩასჭიდე თუნდაც იმ სათვისლე მარცვლებს, რომლითაც ხელაშვილი განუწყვეტლივ ამარაგებდა თავის შვილობილს. ამას ჩასჭიდე ხელი და ამოათრიე. ეს და სხვა ფაქტებიც ისე ხელსაატაცად უნდა იყოს დალაგებული, რომ სახკონტროლის კომისიას თავისთავად ჩაუფარდეს თვალში.

საკმარისია ბოროტმოქმედების სულ მცირედი ფაქტიც კი, რომ ხელაშვილის ავტორიტეტი თვალის დახამხამებამზე გასკდეს. რაკი მოთავე გაშაგდება, დანარჩენებს ხომ უფრო ადვილად მოვთოკავთ. შენ, ამხანაგო იორამ, მოძებნე შინდელეებზე ფართობის მომატების მთელი მიმოწერა. გახსოვს, თაბბირზე სიყმაშვილი აშკარად გამოვიდა ჩვენ

ხელისუფლების წინააღმდეგ? აი, ის რკმში მოძებნე. თქვენ ორჯერმე ეს დოკუმენტები ჩემთან მოიტანე და დოკუმენტებს ათსა და ნოლ-ნოლ საათზე, ერთად გადავთვალე ერთი, ვნახოთ სად რა შესწორება, ან რის გაკეთებაა საჭირო. ამხანაგო ტურია, შენ სასწრაფოდ მეცხვარეები უნდა იხანულო. იმათში პატიოსანი მწყემსები ხომ გეგულება? ისინი შეიბირე, რომ დაადასტურონ: აი, ამ სიაში ვინც არიან, იმათ ასეული კერძო ცხვარი ჰყავთ საყოლმეურნეო ფარებში, გასაგებია?

— ეგ ადვილი საქმეა, შენი გულისა... — მიუგო ტურია.

— მე შემომაქვს წინადადება, — ადგა ბაბუციძე, — ჩატარდეს ფართო აგიტაცია და პროპაგანდა, რომ ხალხმა სიმართლე არ მიჩქმლოს, გულახდით განაცხადოს, რომ სიყმაშვილს თავისი კარმიდამოდან ბურჯუაზიული შემოსავალი აქვს!

— ეგ როგორა, შენი გულისა? — დაახამხამა უწამწამო ქუთუთოები ტურია.

— უბრალოდ. განა დაილივენ ისეთი ერთგული ამხანაგები, რომლებიც დაადასტურებენ, რომ სიყმაშვილიდან მაღალ ფასებში ყიდულობენ ტონობით ხილსა და ზოსტენულს? აი თუნდაც „ხილბოსტანი“ ავიღოთ. სიხარულით დაგვიმოწმებენ მაგას.

— ამბობენ სარევიზიო კომისიაში სიყმაშვილის ცოლი უნდათ აირჩიონო. — აცნობათ დამსწრეთ ბატკატმა ყურმოკრული ამბავი.

— ოჰ, ეგ დიდებული შანსია ჩვენს ხელში! — გაუხარდა ფერაძეს, — მიზნათა აქვთ ჩაჩქმალონ თავისი ბოროტმოქმედება? არ გამოუვაბ. აი, ესეც უნდა განუმარტოთ, აეუხსნათ ხალხს, გასაგებია?

— გასაგებია! როგორ არა ვიცით! — უპასუხეს მეგობრებმა.

— ყველაზე რთულსა და პასუხსაგებ საქმეს მე დავივალე. — თქვა ფერაძემ. — ხვალ დილით თქვენთან ჩავატარებ მუშაობას, საბუთებს მოვაწესრიგებთ, საღამოს კი გავწევ თბილისისა-

კენ. უნდა ვიხალონო, რომ სახკონტროლმა სასწრაფოდ, ამ ცხელ-ცხელზე გამოგზავნოს კომისია, რომელშიც შევლენ ჩვენი, საიმედო ბიჭები. ეს ერთი. მეორე კი უფრო ძნელი საქმე უნდა ვითავო. დავიცდი ორიოდ დღეს და როცა აქ უკვე ნადავგი შემზადდება, მტრების სახეები საქმაოდ განათებული იქნება, მე იქ, ცეკაში თვალს ავუხელ ზოგიერთ ამხანაგებს. მე დავანახებ ვისი გავლენის ქვეშ მოექცა სიღამონიძე, რომ ის საქმეში ობიექტიურად ვერ გაერკვია და მხარი დაუჭირა ბუნტოვშიკებს. ჩვენი უაღრესად და უდიდესად პატივცემული ავანგარდი, ჩვენი კორნელი ნიკიფორის ძე ლოლაძე არავის არ დაიაგვირინებს არა მარტო ჩვენი რაიონის, არამედ მთელი რესპუბლიკის საუკეთესო რაიკომის მდივანს, ამხანაგ გედღონ ვარამაძეს! — გრძნობით დაასრულა თავისი სიტყვა ფერაძემ და ჩაფიქრა.

„ვიტომ ვარამაძესთვის იხეტიაეს თავს?“ — აწვალებდა კითხვა თათბირის დამსწრეთ.

„ჯანდაბას, ვარამაძე იქნება, თუ იუკობა, მე ორივე მაწყობს“. გადასწყვიტა ბოლოს ბაბუციძემ.

„ვარამაძე მიჩვენია, რაღა თქვა უნდა, მაგრამ თუ ვარამაძე არა, ეს მაინც იყოს. ბევრით არის ჩემგან დავალებული...“ — გამოიანგარიშა დემურისვილი.

„კერძო ცხვარის შესახებ შე საქმეს მოვაგვარებ. თუ ვარამაძეს ვერ ვუშვებ, ფერაძესთან ზომ გამოვადგება...“ — გაიფიქრა ტურია.

— და ამხანაგებო, კიდევ ერთი მომენტი! — დაარღვია დუმილი ფერაძემ, — სარგებლობის მოტანა შეუძლიანთ წერილებს...

— რა წერილებს? — ერთბაშად ვერ მიხვდნენ თათბირის მონაწილენი.

— რა და, უსახელო წერილები.

თვალსაინო აგიტაციასა და პროპაგანდასთან ერთად, ჩვენ წერილებში მივიტანთ იერიშს, მოკლედ კვლავ მტრებზე ხალხს, ვინ არიან მათი მტრები. ჩვენ ვუამბობთ იმ ადამიანებზე, ვისაც ისინი ახლა ენდობიან. წერილების შედგენასაც მე ვითავებ. გავავრცელებთ ამ წერილებს ადგილობრივი კავშირის საშუალებით, ფოსტით გამოგვგზავნით თბილისიდანაც, როცა მე იქ ვიქნები. მთავარი საშუალება კი ცოცხალი კავშირი იქნება... — მრავალმნიშვნელოვნად შეხედა მან ჩიორას. დანარჩენებიც მიუტრიალდნენ შოფერს, რომელიც უცბად გაიმსკვალა საკუთარი ღირსების გრძნობით და ყელმოღერებული წამოდგა, არ არსებული უღვაში დაიგრიტა.

თათბირმა გვიან ღამემდე გასტანა. მის მონაწილეთა შორის სრული თანხმობა და ერთსულოვნება იყო. თვითუღი მათგანი დინჯად მქერმეტყველებდა, მეორეს გულდასმით უსმენდა, თუმცა მთქმელი მსმენელს ატყუებდა, მსმენელმა იცოდა, რომ მთქმელი ტყუოდა და მთქმელმაც იცოდა, რომ მსმენელს მის ტყუილში ეჭვიც არ ეპარებოდა.

როცა თათბირის მონაწილეებმა ერთმანეთში დაინაწილეს „საერთო საქმის“ სასიკეთოდ განზრახული დავალებები, ფერაძემ თათბირი დახურა: მან სათანადო სიფრთხილით გაისტუმრა მეგობრები და კვლავ მიუჯდა მაგიდას. მაგრამ ახლა მომავალი რომანის სიუჟეტით აღარ იყო გატაცებული. მას თვალწინ წარმოუდგა ლოლაძის კაბინეტი, რომელიც არასდროს არ ენახა, ხან უხმოდ, ხან ხმამალა ელაპარაკებოდა კორნელი ლოლაძეს. დასიცხულივით ჩურჩულებდა, არწმუნებდა, უმტკიცებდა, რომ გედღონ ვარამაძე ნამდვილად გადაავარდა.

ექსტაზში შესული იაკობ ფერაძე უკვე ზედავდა თავის თავს ლელიანის რაიონის ხელმძღვანელად...

გადაყენებული თავმჯდომარე

ძვირად უჯდებოდა ანიკასაც გარეგნული წონასწორობის შენარჩუნება, გულოს მოტანილ ამბებს რომ უსმენდა,

გულომ შეულამაზებლად და დაწვრილებით უამბო, ვინ რა თქვა და რაც მოხდა კრებაზე.



„მადლობა ღმერთს, ყველაფერი ისე მომხდარა, როგორც საჭირო იყო, — ფიქრობდა ანიკა გულოს წასვლის შემდეგ. — რად მერიდებოდა მეზობლები? ამ ქუჩაზე აღარც კი გამოუვლიათ კრების შემდეგ. რად მერიდებოდა? ვინა მე არ ვიცი, რომ ძია ნიკო ყველაზე უკეთ წაიყვანს კოლექტივის საქმეს? ზაქრო კრებიდან რომ გაქცეულა, ეგ კი ძალიან ცუდია. ოხ, როგორი გულზვიადია! როგორ გაბედა კრების მიტოვება?! უდიერად მოქცეულა, მაგრამ დაე ზაქროზე გადატყდეს ხმალი. ახლა მაინც ხომ გამოიჩქვან ვარამაძეს აკვარგინობა?! ზაქროს ცოტა აცალეთ და ნახათ! ჰკვიანია ზაქრო. დაწყნარდება და ხალისით შეუდგება თავის საქმეს. გაჯავრდა? მაშ რა იქნებოდა! კიდევ რა თქვა გულში?.. მანანამ მოითხოვა ვარდებისათვის ნაკვეთი... ვინა? რა შეუაშია მანანა?.. ზაქრო შეგვიპირდა ვარდებისათვის ნაკვეთსო... მერე რა? უნდა შეუწყოს ხელი, აბა რა?..“

ანიკა შევიდა ოთახში, ტახტზე წამოწვა. ახლა იგრძნო, რომ მთელი სხეული დაბუებული ჰქონდა. ყოველი განძრევა ისეთი მტკივნეული იყო, თითქოს ძელები ემტკრევაო. ემინებოდა, მაგრამ ყურშას ყოველ წამოყეფებაზე ადგომას აპირებდა, რომ ქმარს შეგებებოდა, მოსვლით კი არავინ მოდიოდა. უცბოს უყეფდა ყურშა, თორემ ზაქროს ფეხის ხმას შორიდანვე სცნობდა; ისე ეჩქარებოდა მისი დანახვა, რომ კატასავით ახტებოდა ხოლმე ღობეს.

ანიკას უხაროდა, რომ თავის, თვალების, წელის, ხელ-ფეხის ტკივილი უყუჩებდა სხვა რაღაც, უფრო აუტანელ ტკივილს. ებრძოდა ძილს.

„ეს კი ნამდვილად ზაქროა“, — გაიფიქრა და თითქოს სრულიად ჯანსაღი, გამომძინებელი წამოხტა, გარეთ გამოვიდა.

ორღობეში მართლაც ზაქრო გამოჩნდა, მაგრამ რა სანახავი?! ანიკას მუხლები აუქანკალდა, აივანს ველარ გამოსცდა, გამშრალი, იქვე მიეყარნო ბოძს.

ზაქრო მოდიოდა უძულოდ ვეზაფიწილი, საყელოგაღელილი მტკივნეულ მობლიოდა და ღვინისაგან ჩახლეჩილი ხმით მომღეროდა. ცალი ხელით კოლმეურნობის აბრას მოათრევდა, რომლის ბოლოს ქვებზე რახა-რუხი გაჰქონდა და ორღობეში მტერის კორიანტელს აყენებდა. ზაქრომ ისე ღონიერად ჰკრა ჰიშკარს ფეხი, რომ პატარა კარი ცალ თვალზე დაეკიდა. გახარებულს კუდის ქიციანით მივარდნილ ყურშას ისე მრისხანედ დაუტატანა, რომ ვეებერთელა ძალლი მოიკუნტა და ღრენით მოშორდა. ახლადშობილი ბოჩოლა მიუახლოვდა, თავი მოუხარა — მომფხანგო, მაგრამ შეშინებულმა ძლივს გაასწრო მოქნეულ აბრას. ეზოში დამფრთხალი წვრილფეხი აიჩრია.

— ...და მარტოდ-მარტო-ო, დაობლებული-ო, ქვეყანას ვამცნობ ჩემს უბედობას... — ნაწყვეტ-ნაწყვეტად გასძახოდა ზაქრო. აბრა ახლა კრუხს დაუმიზნა და ესროლა, მაგრამ ააცდინა, ბაღნარის ღობეს მიანარცხა ისეთი ძალით, რომ ღობე შეარღვია, რახა-რუხით მიწაზე დაეცა, ქვეშ მშესუმზირა მოიყოლა. გარღვეულ ღობეს მაშინვე გოქები ეცნენ, გახარებული ღრუტუნით და ქყვილით მოედნენ ანიკას ნაამაგდარ ზალ-ბოსტანს.

— ღორები!.. — გააყოლა მათ თვალი ზაქრომ და არაქათგამოღეული იქვე დაეშვა კუნძზე, ზურგი შეაქცია აქამდე დადუმებულ ანიკას.

ანიკამ, როგორც იქნა დასძლია გულისტკივილი, წყნარად ჩამოიარა საფეხურები, ქმარს მიუახლოვდა, ნელი ხმით უთხრა:

— რად გინდოდა, მაგ აბრას რომ მოათრევდი, ბიჭო?

— ჰაა? — ამღვრეული თვალებით შეხედა ზაქრომ.

— რისთვის მოათრევდი-მეთქი მაგ აბრას?

— რა შენი საქმეა?!

— ნუ, ვენაცვლები, ასე უხეშად ნუ, ჩემო ზაქრო... — შეეხეწა ანიკა.

„ჩემო ზაქრო“... — გამოაჯვარა ცოლს, — სხვისთვის შეიძლება ზაქრო ვარ, შენთვის კი, ზაქარია ფილი-მონის ძე! გესმის, ქალბატონო ანიკავ?

მაყაშვილების ეზოში ანიკამ ქალების ლანდს მოჰკრა თვალი და ქმარს მიუახლოვდა, ხმადაბლა სთხოვა:

— ნუ, გენაცვალე, სირცხვილია, ქვეყანა გხედავს.

— ქვეყანა?! — ყვირილით წამოიჭრა ზაქრო ზეზე და შორს გადააფურთხა. — ქვეყანას ჩემთან რა ხელი აქვს? ქვეყანა!.. ხა, ხა, ხა...

— ძალად გულს იბოროტებ, ვაჟაკს ეგ უხდება?

— კეჟუს მარცხებ? ხა, ხა, ხა... ახლა ყველას ჰგონია, რომ კეჟუს დასარიგებლად ჩამიხელთა!

— წამოდი, წამო შენ შევიდეთ, იქ ილაპარაკე, — შეეხვეწა ანიკა.

— დამეხსენ! — შესწყვიტა უცებ ხარხარი ზაქრომ. — დამეხსენ-მეთქი! შენ პირველი მტერი ხარ ჩემი!

— ჩემისთანა მტერი არ დაგელოის მთელი სიცოცხლე... ამ თეირანზე რა გაყვირებს? სირცხვილისაგან გავიწურე ქალი.

— აა, გრცხვენია?.. — თვალთმაქცური თანაგრძნობით შეეკითხა ზაქრო და განზე გადგა დონჯშემოყრილი, — რა-ღა თქმა უნდა, ქალბატონ ანიკას არ ეკადრება, რომ ქმარი კოლექტივის თავმჯდომარე აღარა ჰყავს, სირცხვილია, მაშა!

თითქოს სილა გააწინესო, ისე აუწითლდა ანიკას სახე, თვალბუზე ცრემლები მოადგა, მაგრამ თავი შეიკავა და წყენით-ღა უთხრა:

— მე როცა ცოლად გამოგყე, შენ მაშინ ერთი ნაბრძოლი და ნაავადმყოფარი ბიჭი იყავი...

— და ახლა მავყედრი? — გაასპიტებული მიუახლოვდა ზაქრო ცოლს.

— რა უნდა დაგაყვიდრო? განა მამალებდა ვინმე?.. — ჩუმად, სევდიანად თქვა ანიკამ.

— და ახლა მავყედრი?! — უარესად გაასპიტდა ზაქრო, — ძველი ვალები

შენც მაშინ მოგაგონდა, როცა თავმჯდომარეობა წამართვეს... ანიკა გულში ისევ თავის თავს გაუქვრა, დაინანა, რად ვაწყენინეო და კვლავ შეეცადა დაეწყნარებინა აღორაჭბულ კმარს:

— შენი ვერა გამიგია, ზაქრო! ხან თითქოს ფხიზელი ხარ, ხან კი მთვრალივით ლაპარაკობ. თავმჯდომარეობა წამართვესო, აბა რა სათქმელია? ეს კოლმეურნეობა შენი საკუთრება ხომ არ იყო...

— ეგ ლექციები სხვას წაუყითხე. მე უშენოდაც ვიცი, რომ კოლმეურნეობა ხალხისაა, მაგრამ მე?! მე ხალხში არ ვითვლები? — აღიზიანებდა ზაქრო თავის თავს და ვერ ამჩნევდა, რომ ღვინოსაგან გონებადარღუნებულს ცრემლები ლაპალუპით სდიოდა. — ახლა, როცა ჩემი ოცნება შესრულდა, როცა კოლექტივი გამსხვილდა, ახლა წამართვეს, ხომ? ქვეყანას ჭირი მოვკამე, ვიდრე გამსხვილებდნენ, სად არ მიეწერე, ვის არ ვეხვეწე... და როცა მეგონა მიზანს მივალწიე-მეთქი, ახლა ევლარ ვივარგე? სხვა თავმჯდომარე აირჩიეს, უუხს!.. — მუშტი იქრა გულში და ჯირკზე დაეცა.

— რას ამბობ, ზაქრო, გენაცვალე? ძია ნიკო სხვა არის განა?

— მე სანდო აღარა ვარ? დიდ მეურნეობას მე ვერ მოვუვლიდი? არ შენდობიან? აღარ მენდობიან, არა, არა!

მისი მზრების თრთოლვას-ღა ხედავდა ანიკა. ხედავდა — დაკარგულ ნდობას მისტიროდა ზაქრო, ხედავდა, რომ ეს იყო მის აბდაუბდაში წუხილის ნამდვილი მიზეზი და თანაუგრძნობდა. მოსაყვარულე ქალს გულზე ცეცხლი ეკიდებოდა, აღარ დასდევდა იმ აბდაუბდას, უნდოდა საყვარელი ადამიანის დარდი გაეყო, სიტყვით და საქმით დახმარებოდა.

— რა ვქნა რა, ვიღონო? — ჩურჩულებდა ქალი, — გიყურებ და ლამის დარღმა გამათავოს...

— დარღმა გაათავოს!.. ხა, ხა, ხა... მეზობლებო, გეყურებათ? გამოიხედეთ, ლამის დარღმა გაათავოს!.. ერთი გამა-



გებინა, რა დარდი უნდა ჰქონდეს ქალბატონ ანიკას? რის დარდი გაქვს? საკუთარი ჯამ-ჭურჭლის მეტი რა გაბარია? თუმცა, ჰოო... კრუხ-წიწილსაც მოვლა უნდა, გოჭებსაც, ღორ-რებსაც! შენს ბალ-ბოსტანზედაც ქვეყანას ოვალი არჩება!.. აი შენა და ეგ შენი საკუთარი კარ-მიდამო, მეტი შენ რა გეკითხება? შენთვის სულერთი არ არის, წვრილი იქნება თუ მსხვილი კოლმეურნეობა? შენ ხომ არაფერი გეხება?!

ანიკა ხმაამოუღებლად ისმენდა ქმრის გამანადგურებელ დაცინვას. ახლა უეცრად მიხვდა, რად გადაეჩვია ზაქრო საკუთარ კარმიდამოში ჩაქეტლ ცოლთან საქმეზე ლაპარაკს.

„შენ ჩამეტე ამ კარმიდამოში, შენ თვითონ, დაგაეწყდა?“ — უნდოდა დაეყვირა ქმრისათვის, მაგრამ ახლა ამის დრო არ იყო. განა ღვინისა და ბოდმისაგან გაგიყვებული ზაქრო ახლა გაიგებდა რამეს? ანიკამ ისევ შეიკავა თავი და წყნარი ღიმილით, ნელა მიუახლოვდა ქმარს.

— ზაქრო, ნუ ჯავრობ, შემოგველე... მართალი ხარ, მაგრამ ჩემზე მერე ვილაპარაკოთ, სხვა დროს... ახლა კი ყური მიგდე. შენ არ იძახდი, ჩვენი გაერთიანებული კოლმეურნეობა პირველი უნდა გამოვიდეს ყველა მაჩვენებლით?! აბა, შეხედლე როგორი ხალისით შეხვდა ხალხი ამ ამბავს...

— გითხარი, ლექციას ნუ მიკითხავ მეტქი! — ოდნავ დაუწია ხმას ზაქრომ.

— ლექციას კი არ გეკითხავ, — მოთმინებით განაგრძო ანიკამ, — სულ ცოტა დამიგდე ყწრი. ახლა ჩვენს კოლექტივს მექანიზატორების საუკეთესო ბრიგადა მოამაგრეს. თვითონა თქვი, ბრიგადირიც ხომ უნდა იყოს საუკეთესო, გამოცდილი, საქმის მცოდნე და ერთგული! თუ შნო გაქვს, აჲ ახლა უნდა გამოიჩინო. შენ კი გულს იავებ, ჯავრობ...

მოთვინიერებულმა ზაქრომ უსმინა ცოლს, მერე თავი ასწია და თითქოს სრულად ფხიზელმა გაკვირვებით თქვა:

— რას მეუბნები? კაცი გამთელეს,

გამანადგურეს და გულს ნუ გაიკებ, ნუ ჯავრობო?..

— შენ გეჩვენება, ზაქრო! ^{არცნაურად} არავისაც არ გაუმეტებიხარ!

— მეჩვენება?

— რალა თქმა უნდა! გულზეიადი ხარ და იმიტომ გეჩვენება ასე. გათელვა რომ სდომებოდათ, განა ამდენს მოგითმენდნენ? შენ რომ ყოფილიყავი, სხვას ამდენს აპატიებდი?

— რა მამატიეს? — ჩუმად იკითხა ზაქრომ.

— დიდი წყენა, დიდი გაკირვება, დიდი გულისტკივილი...

— დაიცა!.. მამატიესო... რად მამატიეს?

— სწორედ იმიტომ, რომ გათელა არ უნდოდათ შენი. შენი იმედი აქვთ. დიდი საქმეც იმიტომ მოგანდეს, რომ იმედი გაუმართლო...

— იმედი?.. მე რა იმედი უნდა გავუმართლო?

— შენ ხომ იძახდი ჩვენს მინდვრებში მანქანების ლეგიონს დავატრიალებო? აი, მაგის დროც მოვიდა. გადამწყვეტი სიტყვა ახლა შენ გეკუთვნის, მექანიზაციას. ეგ საქმე შენ მოგანდეს და უნდა გაამართლო ნდობა...

— გავამართლო ნდობა! იმედი! გამოვიჩინო შნო და უნარი! — თითქოს ახლად ატეარდა ღვინო თავში ზაქროს და ყვირილით წამოვარდა ზეზე, — საუკეთესო ბრიგადირი!.. ხა, ხა, ხა...

ანიკამ ველარ შესძლო მისი ყურება, მოტრიალდა და ნელა წავიდა სახლისაკენ.

— დაიცა! სად მიხვალ? — უარესად აყვირდა ზაქრო.

ანიკა შეჩერდა. არც ის უნდოდა, რომ მეზობლებს ზაქროს ყვირილი გაეგოთ.

— სად მიხვალ-მეტქი? — დაუწია ხმას ზაქრომ, რაკი ანიკა შეჩერდა. ცოლს მიუახლოვდა, ხელი მკლავში ჩასჰკიდა. — სად მიხვალ?

— შინ. არ მინდა ამ დასადუმებელმა ენამ ურიგო გყადროს რამე, გამიშვი, რა გინდა?

ზაქრომ ხელი გაუშვა, დაწაშვის სა-

ხით ახედა კიბეს, თითქოს დააპირა შინ შესვლა, მაგრამ ისევ მოიღრუბლა, ცოლს გაეცალა და შორიდან დაცინვით დაიმღერა:

— გულზე ცეცხლი მეკიდება, ანი-კავ, შენ რა იცი, რა ცეცხლი მწვავეს, ანი-კა... — მაგრამ სიმღერა ვერ გამოუვიდა, ჩაჩუმდა. ბროწეულის ფოთლებში თითქოს ვიღაცა დაინახა, მიაშტერდა, სიყვარულით გაუღიმა, მერე შეშინებულმა მიმოიხედა, თვლებზე ხელი გადაისვა, ეზო შეათვალა, უცნობივით დააცქერდა ანიკას.

უცნაური იყო ეს გამოხედვა. ზაქროს წელანდელ შფოთს და ბორცვას ისე არ შეუერთია ანიკა, როგორც ამ წყნარ, მაგრამ სრულიად უცხო განრიდებულ შემოხედვას. გონებით კი არ მიმხვდარა, გულმა უეცრად უგრძნო, რომ ზაქროს ცრემლებში ტრფიალების ნალველიც ერია...

— ანიკავ, ხედავ? — ყრუდ, თითქოს ძალიან შორიდან შემოესმა ზაქროს ხმა. — ხედავ, სრულ კეუახე აღარა ვარ...

— ვიცი... — გაოგნებულმა, ოდნავ გასაგონად წაიჩურჩულა ანიკამ, — ვიცი...

— რა იცი? — შეტბუნებით ჰკითხა ზაქრომ, მაგრამ ანიკა ისე იდგა, თითქოს მთელი თავისი გულისყური სხეულიდან წვეთ-წვეთად მიმავალ სიციოცხლეს გაატანაო. — რა იცი? — შეძრწუნებულმა ზაქრომ გაიმეორა კითხვა და ისე მოუჭირა მაჯაზე ხელი, რომ ძვლების ტკაცუნა იგრძნო.

ანიკას სახეზე მაჯის თუ გულის ტკივილმა გადაურბინა, მაგრამ გამშრალი თვლებით პირდაპირ შეხედა ქმარს და უგრძნობელი ხმით ჩუმად უთხრა:

— კორი მეგონა... სხვა შეგყვარებია...

ზაქრომ ხელი შეუშვა ანიკას მაჯას და ქალის მოღუნებული, თითქოს სახსარს მოწყვეტილი მკლავი ქანქარასავით რამდენჯერმე შეირხა. ზაქრომ რატომღაც ფეხაკრფით შემოიარა ეზო. ვერ გარკვეულხყო: თქვა და ტვირთი მოიხსნა, თუ თქვა და დაყარა რაღაც,

რასაც ვერასდროს ვერ იპოვნოდა. ისევ ანიკასთან მივიდა, მოკრძალებულად უთხრა:

— გამიგე... ავი გითხარი, სრულ კეუახე აღარა ვარ-მეთქი...

ვინ იცის გაიგონა თუ არა ანიკამ ეს სიტყვები. უხმოდ შეტრიალდა და მიძინაბიჯით, თითქოს ფეხები სიარულს უშლიანო, ბორძიკით წავიდა სახლისაკენ.

ზაქრომ თვალი გააყოლა მხრებში მობრლი, უხმოდ მიმავალ ცოლს და წუთის წინ თითქოს მთლად გამონელებული ღვინო ერთბაშად ისევ აუვარდა თავში. ბოლმა მოერიო, სული შეუგუბდა, გულზე იტაცა ხელი და... ანახლად გატენილი უბის ჯიბე მოხვდა ხელში. ჯერ ვერ მიხვდა, რამ გატენა ჯიბე, ხელი მოუსვა, გაახსენდა და ისე გაეცოფდა, რომ თვალი დაუბნელდა.

— ყოფილ თავმჯდომარის, ზაქარია ფილიპონის ძის უკანასკნელი ხელფასი! — ფული ჯიბიდან ამოიძრო და ორივე ხელის გულზე დაყრილს დახედა. — აი, გროშები... გადაყენებული თავმჯდომარის უკანასკნელი გროშები... ამით გამისწორდით?.. — მიმოიხედა, ისევ ანიკას მოჰკრა თვალი. — შენ ეი, მოიცა!..

კიბეზე შეჩერებულ ანიკას მიუახლოვდა. ხელისგულები ეწვოდა, გულს ბაგაბუგი გაჰჭონდა. ხმაშალა ლაპარაკის თავი აღარა ჰქონდა, ჩურჩულით უთხრა:

— მოიცა. აი გროშები. უყურე რამდენია. აჰა, დაივი!..

— ვისაც შენი ფულია თავმჯდომარეობა ეხარბებოდა, იმას მიუტანე... — შემოესმა ცოლის ხმა.

— სსუ, სხვას არავის. შენ მოგიტანე... — უთხრა ისევ ისე ხმადაბლა. — ნაბრძოლსა და ნავედმყოფარს შენ მივლიდი. ჩემთან ლამეებს ათევედი. აჰა, მეც შენ გისწორებ საბოლოო ანგარიშს. არა სთქვა ზაქრომ პარტიისცემა არ გადამიხვალა...

თქვა და მიხვდა, დაღლილ-დათენთილ გონებითაც კი მიხვდა, რომ რაღაც სა-

ზინელი ჩაიღინა, რომ გაუგონარი უხე-
შობით გაწყვიტა რალაც მეტად სათუ-
თი, ძვირფასი... და გაჩერდა. თვალწინ
პირდაღებულ ნაპრალი დაინახა და შო-
რიდან, ნაპრალის მეორე მხრიდან შემო-
ესმა:

— მე კაცი მეგონე, შენ კი კაცუნა ყო-
ფილხარი! მეგროშე!.. უგულო!..

კარგა ხნის შემდეგ ასწია ზაქრომ
დახრილი თავი. საოცარი სიჩუმე იყო
იარაკელი. არც არავინ ჩანდა. ბროწეუ-
ლის ფოთლებში ისევ ის, სანატრელი
სახე მოეჩვენა.

— ნანო-მანანო, გესმოდა?.. უგუ-
ლოო?.. აქ თუ გული არ არის, მაშ რა
გაივსო ბოლომთ? გაივსო და ყელში მებ-
ჯინება, ლამის დამახრჩოს... რატომ არ
მივინიან ციციხათელებივით მოციმცი-
მე თვალბი?.. მანანო! რისხვით ნუ შე-
მომყურებ! შენ მაინც რატომ არ გესმის
ჩემი? ნუ მიხვალ, ნუ!.. — დაიძახა და
ხელზე გამლილი მივარდა ხეს, მაგრამ
მოჩვენება გაქრა და თითქოს ქვეყანა
დაცარიელებულიყო.

— არა, არა! არ შეიძლება. ამ სიჩუ-
მეს, ამ სიმარტოვეს ვერ ავიტანი!.. — სა-
ჯინიბოში შევარდა.

გორდამ პატრონის დანახვაზე ყელი
მოიღერა, მთელი ტანით აცახცახდა, მო-
უთმენლად ჰკრა ტორი მიწას და გახა-
რებულმა დაიხვიებინა.

— სსუ, ჩემო ლურჯა, სსუ!.. შენ
მაინც ნურაფერს მეტყვი, ნურც გამი-
რისხდები... — ციებ-ცხელებიანივით
აცახცახებდა ზაქროს და თან კაშპავდა
ცხენს. — სსუ... შენ არაფერი არ იცი...
წავიდეთ. მოვშორდეთ აქაურობას, ამ
სიჩუმეს, ამ სიმარტოვეს...

საჯინიბოდან გამოვიდა, ძელზე და-
კიდებული ნაბადი ჩამოიღო და თითქოს
დაავიწყდა, რას აპირებდა, კუნძუზე
დაეშვა, თავი ჩაჰკიდა.

ამ დროს ორლოზეში ტარიელი გამო-
ჩნდა. გაკვირვებულმა შეხედა ცალ
თვალზე დაკიდულ კარს, გულდაგულ
შეასწორა, რამდენჯერმე მოსინჯა კარ-
გად თუ იხურებოდა და სწრაფად შემოვი-
და ეზოში. მიმოიხედა, ზაქრო შენიშნა.

— რა დროს ძილია, შე ყურუშსალო?
გაიღვიძე, იცი რა უნდა გახარინა?
ზაქრომ თავი ძლივს ასწია. ძალიან
მთვრალი იყო.

— ტარიელ, ძმაო, ერთი მითხარი, მე
უგულო ვარ?..

— რა ღმერთი გაგწყრომი, აგრე რამ
გაგალითა? — გაოცდა ტარიელი.

— ოხ, ბოდიში... მე ტარიელი მეგო-
ნეთ, ნიბლიას ბიჭი, ჩემი სიყრმის მეგო-
ბარი... — ძლივს ატრიალებდა ენას ზაქ-
რო.

— რა დროს ეგ იყო, ზაქრო? ემტე-
ესიდგან დაგვირეკეს, ეხლავე ჩამოდი,
ახალი მანქანები მიიღეთო და შენ კი-

— ემტეესში? მერე მე როდის გი-
პერთ? იმას იქითაც წასულხართ, მე რა?
ჩემთან რას დარბიხართ? ხომ არ გეშ-
ლებათ? მე იცი ვინა ვარ? გადაყენებუ-
ლი თავმჯდომარე ვარ, ფილოს ბიჭი,
ზაქრო!

— ნამუსიანი კაცი ახლა საქმეს ულა-
ლატებს? — საყვედურით უთხრა ტა-
რიელმა.

— ვინ ვის ულალატებს, ეშმაკმა იცის
თქვენი თავი და ტანი! შენც არ იძახდი,
ნიკო გვინდა თავმჯდომარედო?

— მეც ვიძახდი, მაშა?!
ზაქრო წამოდგა და ლობეს მიუახ-
ლოვდა.

— შეზობლებო!.. ჩემო კეთილო და
კარგო მეზობლებო, თქვენც ერთხმად
არ იძახდით ნიკო გვინდაო?

ტარიელმა შეათვალიერა მეგობარი.
შეამჩნია, რომ ფეხზე მაგრად იდგა, თვა-
ლებიც მოკრიალებული ჰქონდა, აზრი-
ანი. გაოცდა.

— ბიჭო, არც ისე მთვრალი ყოფილ-
ხარ, თავს რად იგვიყინებ?

— მთვრალი? ხა, ხა, ხა...

— რას მასხარობ, კაცო? ამოდენა
საქმე უნდა ჩაიბარო და ეგ გიხდება?
ვინ რას იტყვის? მიდი სახლში, დაიძინე
და მერე ვილაპარაკოთ.

— აბა სახლი?.. არ იცი? იქაც გათა-
ვებულა! ყველგან ანგარიში გავასწო-
რე!..

ტარიელი ერთხანს ვერ მიხვდა ზაქ-

როს ნათქვამს, მერე მიხვდა, მაგრამ არ დაიჯერა. ხან კიბესთან მივიდოდა, შინ უხლოდა შესულიყო, ხან ისევ ზაქროს დაუბრუნდებოდა. ბოლოს ორივე ხელი მხრებზე დაადო და შეანჯღრია.

— რა სთქვი? ეგ რა სთქვი, კაცო?

ზაქრომ სცადა თავის განთავისუფლება, მაგრამ ტარიელმა უფრო მაგრად ჩაუჭირა ხელები, უფრო მიუახლოვა სახე.

— გაიმეორე მეტქი, ეგ რა სთქვი?!

ზაქრო კინალამ დაახრჩო ბოლმამ. მწვანე თვალები ჩაუშავდა, სული ძლივს მოითქვა და პასუხის ნაცვლად უთხრა:

— გიხარია?... ძლივს დიდი ხნის ნატკრა...

— ხმა! — ჩუმად, მაგრამ ისეთი მრის-ხანებით უთხრა ტარიელმა, რომ ზაქრომ სათქმელი აღარ დაამთავრა. — ისეთს ნურას იტყვი, რის მოგონებაც მთელ სიცოცხლეს სამსალასავით გაგიმწარებს!.. — ხელები ჩამოიღო ზაქროს მხრებიდან და ზურგი შეაქცია.

ზაქრო უხმოდ წავიდა საჯინიბოსაკენ.

ტარიელმა ზურგით იგრძნო, რომ ზაქრო წასასვლელად ემზადებოდა. „ანიკა... დაიტანჯება ანიკა“, გაუელვა ფიქრმა და მოტრიალდა, საჯინიბოს მიუახლოვდა.

— არავინ მოგიწონებს, ზაქრო. წერას ნუ აუტანიხარ.

ზაქრომ აღვირი გადაუწია ცხენს, გულზელდაკრეფილი მიეყრდნო გორდას გვერდს და ნაღვლიანად უთხრა ტარიელს:

— შენ როგორი მეგობარი ხარ, არაფერიც არ გესმის. წელან კი მართალი სთქვი. მე არც ისე მთერალი ვარ... მინდა კია, ტარიელ, მინდა ისე დავთვრე, რომ ეს ბოლმა ჩავიხრჩო, გესმის?... — ისე ამოიოხრა, თითქოს გული თან ამოაყოლო.

— ზაქრო, ძმაო... — უთხრა ტარიელმა ალერსით, — რა გემართება?

— სსუ! ნურაფერს მეტყვი. ამას წამალი არა აქვს. შიგნით ყველაფერი მეწვის. უნდა დავთვრე, ისე უნდა დავთვრე, რომ აღარც კოლეპტივი მეკითხებოდეს,

აღარც ოჯახი მაწუხებდეს. იქ არის ჩემი წამალი ალაზანზე. ტურქული ლაშქრით კვებებიან და ჩემი დანახვა გაუშარდებთ! წავიდეთ, გორდა, იქ წავიდეთ!..

გორდა ველარა სცნობდა პატრონს. ხმაც თითქოს უცნობი იყო. მოქნეული წიკბლი დაინახა და ალერსიანი მოპყრობით განებვიერებული გაგიჟდა, ყალყზე შედგა, მაგრამ ვერ დაუსხლტა ხელიდან ზაქროს.

— ალაზანზე, ჩემო გორდა, აუუ!.. — დაიძახა და წავიდა.

გაკვენებული ცხენის თქარა-თქური თანდათან მისწყდა.

გონს მოსულმა ტარიელმა გაიწია, თითქოს წასულს უნდა დასწეოდა და სახლის უკანა კარიდან ნელა გამოსულ ანიკას კი შეეფეთა. უკან დაიხია. თავს ძალა დაატანა, გაიღიმა.

— ხომ არ მიწყურები, ანიკა? არ უნდა გაემშვა?

— ნიაღვარს რით დააკავებ, ჩემო ტარიელ?! — ისეთი ფარული ტყვილით, ჩუმად თქვა ანიკამ, რომ ტახოს გული შეეკუმშა, მაგრამ რაკი ანიკა ცდილობდა ტყვილის დაფარვას, ტარიელმაც ისე მოაჩვენა თავი, თითქოს არაფერი იცის, და არც არაფერს ამჩნევსო.

— კრებაზე რატომ არ იყავი, ანიკა? — ჰკითხა უდარდელად. — სახლში რას ჩაკეტილხარ, ნეტა რა გაძლებინებს მართ? იცი, რა საინტერესო ამბები ჰდებდა დიდი და პატარა ცდილობს საერთო საქმეს უშველოს. აგერა, ხიმშიაშვილიანთ მანანას ვარდების მოყვანაც კი გადაუწყვეტია. გინდათ თუ არა, დილიდანვე შევუდღეთ ყამირის გატეხასაო.

— ამბობენ, კარგი გოგოაო...

— ოჰ, მერე როგორი კარგი? ძალიან მოუსვენარი კია. ჯერ ისეც სიცოცხლე გვექონდა იმისგან გამწარებული და ახლარაღა იქნება?! ფეხდაფეხ დასდევს მანანა-ტრაქტორებს. ბიჭები იძახიან, ახლა სულს ამოგვხდისო!

— ჰყვარებია თავისი საქმე... — ხმადაბლა თქვა ანიკამ, — ვისაც თავისი საქმე უყვარს, ის ყოველთვის გამარჯვებული იქნება...



— მიკვობს აქამდე არ იცნობ მანანას. აი ახლა ერთ კოლექტივში იქნებით და დაახლოვდებით. მე ვიცი, შენ ძალიან მოგწონება ის გოგოა.. ნიკომ რომ შეითხოვს ზაქროზე, რა ვუთხრა?

— სიმართლე უნდა უთხრა...
— გინდა, წავალ ალაზნზე?
— არა, ტარიელ.. ძალით იმას ვერ დააბრუნებ...

— მაშ იმ ტურას დავანებოთ ზაქრო?
— ზაქრო ბავშვი არ არის, თუ თვითონ დანებდა ტურას, მაშ ჩვენ ყველანი შევმცდარვართ, იმას გზა იქითა ჰქონია...

— შენა?..
— მეე?.. არ ვიცი... არ ვიცი, ტარიელ... მეც ჩემს გზას მოვძებნი...

ტარიელ ჭიშკრისაკენ წავიდა, ანიკა უსიტყვოდ აცილებდა.

— წავედი, ნახვამდის... — ცოტა შეყოყმანდა, მაგრამ ვერ მოითმინა და ანუგეშა. — ცოტა მოითმინე და ყველაფერი მოგვარდება. ნუ დაღონდები, ანიკავ...

ტარიელი დიდი ხნის წასული იყო, ანიკა კი ჭიშკარს ზურგით ნიყრდნობილი, ნალვლიანად გაჰყურებდა ბაღის ბოლოს, საიდანაც ზაქრო დაადგა ალაზნისაკენ მიმავალ გზას. გაფითრებული, უაზროდ იმეორებდა: — ნახვამდის, ტარიელ, ნახვამდის... მე რა მაქვს დასაღონებელი, რა?..

ამ მდგომარეობიდან საყვირმა გამოაფხიზლა. ბაღის ბოლოს მანქანა გაჩერდა და სახლისაკენ სწრაფად წამოვიდა ვიღაცა.

— გამარჯობა, ანიკავ, როგორა ხარ?

— ძია ნიკო! — ხმადაბლა შეჰკვივლა ანიკამ და ჩამოსართმევად გამოწვილ ხელს აღარ უშვებდა, არა სჯეროდა, რომ თითქოს სასოწარკვეთილებამდე მისულს ღონიერი, მზრუნველი ხელი შემოეშველა.

— დიდი ხანია არ მინახიხარ, როგორა ხარ, ანიკა? — შეეკითხა ნიკო, თუმცა შორიდანვე დაინახა და იგრძნო ანიკას მდგომარეობა.

— ახლა კარგად ვარ, ძია ნიკო, ძალიან კარგად. ძალიან მიხარია, რომ და-

გინახეთ. მე კარგად ვარ, შინ შემობრძანდით!.. — უჩვეულოდ მანერტყველდა დაბნეული ანიკა.

— არა მცალია. კარგი იყო დასვენება, მაგრამ რომ არა მცალია? აი, აქ ჩამოვვდები. — თქვა ნიკომ და იმავე კუნძუბ დაჯდა, რომელზედაც ამ ცოტა ხნის წინათ ზაქრო იჯდა.

— განა არ ვიცი თქვენი ამბავი, ძია ნიკო. არც დღეა თქვენთვის მოსვენება, არც ღამე...

— მოსვენებაო? ეგ რა სთქვი, ანიკა? ასი ამისთანა მოუსვენარი სიცოცხლე მომცა, არ მეყოფოდა! ამ ოხერ დღე-ღამეში კი ოცდაოთხი საათის მეტი არ ეტევა, არ ვიცი, რა მოვუხერხო!..

— მაგას ვერაფერს მოუხერხებთ, მაგრამ სამუშაო უნდა განაწილდეს ისე, რომ დასასვენებლადაც რჩებოდეს დრო.

— ეეს, ანიკა, ჭკვიანი ხარ, მაგას მართალს იძახი, მაგრამ შენ მაინც არავინ დაგიჯერებს.

— რათა? — მიაჩერდა ანიკა სტუმარს.

— იტყვიან, ანიკას რა ენალვლებაო. თვითონ ოცდაოთხი საათი თავისუფალია და იქადაგებს, მეტი რა საქმე აქვსო?..

ანიკა თავჩალუნული იდგა. „დღეს მეორედ მისაყვედურებენ, — გაიფიქრა, — ძია ნიკო მართალია, მაგრამ „ის“? ჩვენი პირველი უსიამოვნება ხომ სწორედ ამის გამო იყო? როცა მე მუშაობა მოვიინდომე, ის გაჯავრდა, გამიწყრა და მე... დავუთმე. არც ერთხელ არ უგრძვნია, როგორ მაკლდა გულს, როგორ მტანჯავდა ეს კარჩაკეტილობა. ოო, როგორ შევეცი! რა საშინელი შეცდომა ჩავიდინე. დავუთმე იმ, სადაც დრომობა არ შეიძლებოდა. არ ვაწყენინე, დავუთმე და აი რა გამოვიდა... თვითონ პირველმა მისაყვედურა. ჩამომშორდა... აი, რა გამოვიდა...“

ნიკომ აცალა ფიქრი. ეზო შეათვალიერა. ნათლად წარმოიდგინა მთვრალი ზაქროს მოსვლა სახლში. ბაღნარში შევიდა. აბრა გამოიტანა და საჯინბოსთან მიიყუდა. სადღაც წყნელი იპოვნა, შემტვრეული ღობე წამოაყენა და დაამაგ-

რა. წაქცეული მზესუმზირა გაასწორა. ყველა კუთხე დაიარა. ბოსტნის სწორი კვლები, ყვავილების ბუჩქები საამოდ ჰყვოდნენ, სარეველს ერთი ღერიც კი არსად მოიძებნებოდა. უხვად წყალ-დაღვევინებული მიწა შავად ბზინჭდა. ნიკომ გულში მარჯვენა დაულოცა გამკეთებელს და ეზოში დაბრუნდა.

— ანიკავ, უწინ ცივად წყლის შენახვა იცოდი, ხომ არ დაგავიწყდა? — მხიარულად დაუძახა ჩაფიქრებულ ქალს.

ანიკამ უხმოდ გამოიტანა სახლიდან სველი, ტილოშემოხვეული თიხის სურა და წკრილა ქიქა. უნდოდა დაესხა წყალი, მაგრამ ნიკომ შეაჩერა.

— არ შეიძლება პირდაპირ ამით დაელო?

— როგორც გესიამოვნებათ! — პირველად გაიღიმა ანიკამ და სურა გაუწოდა.

ნიკომ წყალი დალია, სურას ცივი ტილო გულდაგულ შემოახვია, ჩეროში მიდგა. ჩაფიქრებულმა გაიარ-გამოიარა და ანიკას წინ შეჩერდა.

— ამას წინათ სახერხ ქარხანაში ვიყავი. თვალსა და ხელს შუა აჭრობენ ამოდენა ბე-ტყეს, არამზადები!..

ანიკა მოკრძალებით ადევნებდა თვალყურს ნიკოს ყოველ მოძრაობას და სიტყვას. ნიკო ლაპარაკობდა მისთვის კარგად ნაცნობ საგანზე. არ შეეძლო გულგრილად ყურის გდება. ეწყინა ზოგიერთი სამეურნეო მუშაკის უბადრუკობა და საყვედურით თქვა:

— განა გასაეალი გზების ჩაკეტა ვერ მოახერხეს?

— ეებს, ანიკა არ იცი? კაცმა თუ სინდნსზე ხელი აიღო, გზებს როდისღა ეძებს? ზერელით დაძვრება. რამდენი დრა უნდა დაკარგო, ვიდრე მზის სინათლეზე გამოიყვან მაგისტანას, კოლმეურნობას თუ დასპირდა, მასალა არა გვაქვსო და საითაც ვაიხედავ, კერძო მშენებლობა მიდის!

— მაგისტანების გამოშენებება გადაუდებელი საქმეა, ძია ნიკო!

— ჰოდა, საქმეც მაგაშია, ანიკა!.. ყველგან ფხიზელი და აკვარჯის დამნახვი თვალია საქირო...

ანიკა ახლა მიხვდა, რომ ნიკოს მოსკვის მიზეზიც და ლაპარაკის უწყობადაც საგანიც სწორედ ეგ იყო. მინდაგანით თრთოლვით შეჰყურებდა, ჩქარა უნდოდა გაეგო რას სთავაზობდა კოლმეურნობის თავმჯდომარე.

— მუხიანის ბუღალტერს ხომ იცნობ, იასეს?

— ვიცნობ. ბანკში ბევრჯერა ყოფილა ჩემთან...

— პატიოსანი კაცია, მაგრამ ფხა არა აქვს, ფხა! ახლა შინდაც და ორხვეიც მოემატება, ვერ გაუძღვება. შენ კი ხომ გესმის, რომ ახლა კვლავინდებურზე უფრო საჭიროა ჩვენი ავღალიდების ზუსტი აღრიცხვა... სარევიზიო კომისიის სიის თავმჯდომარედაც ვერ ივარგებს...

— ორივეს მე კი შევძლება? — სწრაფად იკითხა ანიკამ.

ნიკოს თითქოს არ გაუგია ანიკას შეკითხვა, არც მისი ღელვა შეუშინებია. თავისას განაგრძობდა:

— ...ქართულ-რუსული კარგად იცი, ანგარიში არ შეგეშლება, საქმეში ბიძაშვილ-მამიდაშვილობა არა გწამს და... დანარჩენში დახმარებას არ მოგაკლებთ...

— ძია ნიკო, ვაითუ...

— შე დალოცვილო! — შეაწყვეტინა ნიკომ, — წინად იძახდნენ, ანიკა მილიონიდან თანხებს წინდის ჩხირებივით ატრიალებსო და...

— არა: მუშაობისა კი არ მეშინია, პირიქით... საქმე რაც მეტი მექნება, მე ის გამეხარდება, მაგრამ... ზაჭროზე ნაწყენია ხალხი და ვაითუ ჩემზეც იფიქრონ, სანდო არ არისო...

— სცდები, ანიკავ! — იმავ წამს, უყოყმანოდ უბასუხა ნიკომ, — აი, ეგ აზრი შენი კარჩაკეტილობის შედეგია. შენ მარტო ის ვახსოვს, რომ ზაჭროს ცოლი ხარ. ჩვენ კი ისიც გვახსოვს, რომ ჩვენი დიდი ოჯახის წევრიცა ხარ. ეგ ერთხელ დაგავიწყდა და ხომ ნახე?.. მაგის დავიწყების ნება არავის არა აქვს, გესმის?

— მესმის... — ოღნავ გასაგონად თქვა

ანიკამ, მიხვდა, რომ ნიკოს არ გამოჰპარ-
ვია მისი ოჯახური უთანხმოება.

— მე კი სხვა რამ მაშინებს, ანიკავ, და
უნდა გითხრა გულახდილად. რევიზია
ხელიდანვე უნდა დაიწყოს და... რა ვი-
ციტ, რა აღმოჩნდება? იქნება შენთვის
მძიმე იყოს?..

— მიფრთხილდებით?..

— გიფრთხილდები. თუ შენთვის ეს
სასჯელი იქნება, სამაგისო არაფერი
დაგიშავებია და რად დაგსაჯოთ?

— არა, არა! — ცხარედ შეაწყვეტინა
ანიკამ, — რასაც ხალხი დამავალებს, მე
პირნათლად შევასრულებ.

— ვიცი.

ორივენი კარგა ხანს სდუმდნენ, ზაქ-
როზე ფიქრობდნენ და იმიტომ მიხვდა
ანიკა, რომ ნიკო ზაქროზე ეკითხებოდა:

— ალაზნისაკენ რა უნდოდა?

— თქვენ შეგხვდათ? ელაპარაკეთ?

— რის ლაპარაკი, ქარივით მიპქროდა.

— იფიქრებ, საკუთარ თავს გაუბრ-
სო... — ჩუმად თქვა ანიკამ, — დაპურილი
ნადირივით ბორგავს და იტანება...

— მართალი ხარ, მაგრამ ეგ კარგია!
ჩანს კარგი დვისებები არ დაუკარგავს
და თუ ასეა... ფიქრი ნუ გაქვს, ანიკავ,
ზაქრო თავის სინილის ვერსად გაექ-
ცევა. გონს მოვა და ანგარიშიც მაშინ
წარუდგინოთ. ახლა შენ უნდა მოუთ-
მინო... — დაამთავრა ალუქსიანად.

— მე კი მოვუთმენდი, მაგრამ... —
ალარ დაამთავრა ანიკამ.

— ჰოდა, შენ იცი, მე შენი, იმედი
მაქვს. ტურჩისი ნუ გეშინია. კაცისა ჯერ
სახელი თქვი, იმისი ნათლობის სახელი
არავის ახსოვს, ტურჩას ეძახიან. ჰგონია
შერჩეს იმ სამიკიტნოდ გადაქცეულ სა-
სადილოში მწყემსების გაფიქვნა?! მე
წავალ, ანიკა. ამაღამ გამგეობის სხდომა
გვექნება და... მოწყენილი ნუ ხარ, ყო-
ჩაღად იყავი!

ნიკო სწრაფად წავიდა მანქანისაკენ.
ანიკამ გააცილა, ჩაფიქრებული დაბრუნ-
და, ნელა შევიდა სახლში, ნელა პოილიო
უჯრებიდან რალაც წვრილმანი, პატარა
ჩემოდანში ჩაალაგა და ტახტზე ჩამო-
ჯდა.

დარდიან ფიქრებში წასულს არც გუ-
გონია კიშკრიდან ნენეს ძახილი. გაკვირ-
ვებული ნენე ეზოში შემოვიდა. ნამდვი-
ლად იცოდა, რომ ანიკა სახლში იყო,
მაგრამ არა ჩანდა, არც დაძახილზე
გამოიხედა. ოთახის კარს მიადგა,
ფრთხილად დააკაკუნა: რაქი პასუხი ახ-
ლაც ვერ მიიღო, კარი შეაღო, ოთახში
შეიხედა.

— მარტო ხარ, გოგო? — განგებ იკით-
ხა, თორემ კარგად იცოდა, რომ ნიკოს
წასვლის შემდეგ ანიკა მარტო დარჩა.

— მარტო ვარ, — უხალისოდ უპასუხა
ანიკამ, ჩემოდანი ტახტის ქვეშ შესწია,
თუმცა ამას აზრი აღარა ჰქონდა, რად-
გან ნენემ უკვე მოჰკრა თვალი ანიკას
მზადებას.

— შენს გახარებას, მითხარი, ნიკო
რისთვის იყო?

— საქმე ჰქონდა. — შუბლშეკვრივ
უპასუხა ანიკამ, რადგან ნენეს უდროო
ცნობისმოყვარეობა გულს უწუხებდა.

— მეც ვიცი, უსაქმოდ ის აქ არ მო-
ვიდოდა, მაგრამ რას მიმალავ, ზაქროს
თათბაზე იყო?

— შემოსულიყავი და მოგესმინა, საი-
ღუმლო არა გვექონია რა! — უფრო შეი-
კრა შუბლი ანიკამ.

— ნუ კი გწყინს, გოგო, მე შენზე
შემტყავა გული... — ჩამოჯდა ნენე ტახ-
ტის ბოლოზე.

— მე სამაგისო რა მკირს? — ასწია
თავი ანიკამ.

— ნუ ხარ, გოგო, ეგეთი ამაყი! ჩემო-
დანი კი გაგიმზადებია წასასვლელად და!
მე ყველაფერიც მესმოდა, ზაქრომ რაც
გითხრა. ემანდ გულოანთ ეზოში ფეტვს
ვარჩევდი და მესმოდა. ნიკოც ალბათ
იმიტომ იყო-მეთქი, ოჯახის დანგრევის
ნებას არ მისცემენ, შენ არხეინად იყა-
ვი!

— ეგ რა ჩვევა გაქვს, ნენე? ყველას
საქმეში გიყვარს ჩარევა! — წყრომივთ
უთხრა ანიკამ.

— ყველას საქმეში რომელია? — გად-
მოჯდა ტახტის შუაგულზე ნენე, — მამ
აქო და ლამაზი ვარო, ვარდები მიყვარ-
სო, განა სხვას ქმარი უნდა წაართვას?!

— არ მესმის, რას ამბობ, ნენე, და არც მინდა გაეგო — წამოდგა ანიკა.

— არ გინდა და ნუ გინდა! შენ ჭურში ზიხარ და აი, ხიმშიაშვილიანთ მანანა კი ქმარს გართმევს!

— სტყუი! — ველარ შეიკავა თავი ანიკამ.

— მთელმა ქვეყანამ იცის, შენს მეტ-მა. ბრმად ვიარო, თუ ვიგონებდე! — ნენემ ძალით დასვა ანიკა ტახტზე და თვითონაც გვერდით მიუჯდა, — კარგი და, ვთქვათ, მანანას ღმერთი გაუწყრა, შესცდა. ლამაზი გოგოა, ზაქროზეც თვალი ბევრსა რჩება, მაგრამ იმისი დედა რალასა ფიქრობს? სანაქებო გუთნისდღანს დამიხეთ, ჭორწილისათვის ემზადება!

— შენ რალაცა გეშლება, ნენე... — ჩახლჩილი ხმით უთხრა ანიკამ.

— აი, ამ დასამიწებელი ყურებით თუ არ გამეგონოს, ხვალ დილა აღარ გამითენდეს! აგერა ხიმშიაშვილიანთ წყაროს რომ ეძახიან მუხიანში, იმ წყაროსთან ქალები და მათი ბრიგადირი ფირუზა ადგილებსაც კი ვარაუდობდნენ, სუფრაზე ვინ სად დაჯდებო, და შენ კიდევ არა გჯერა!

— გეშლება რალაცა, ნენე...

— შე დალოცვილო, მე თუ მეშლება, შენმა ქმარმაც ხო გამოგიცხადა!

— გამომიცხადა?.. რა გამომიცხადა, არ მახსოვს... — უაზროდ წაიჩურჩულა ანიკამ.

— სხვა მიყვარსო... მიწამ პირი უყოთ ორივეს... — გაისმა ტირილი ნენეს ხმაში.

— არა, არა... რალაცა გეშლება... — გაოგნებული იმეორებდა ანიკა.

ნენემ თავი ველარ შეიკავა, აქვითინდა, მოთქმით ჩაიკრა გულში ანიკა.

— შენი ცოდო ზიდონ უქუნიითი უქუნისამდე-ე!.. რას გემართლებოდნენ, შე საცოდავო-ო!..

ანიკა უცბად მოვიდა გოფს, ნენეს ხელები მიიშორა და წამოდგა.

— საცოდავიო?! ვინ არის საცოდავი? აკი გითხარი, გეშლება-მეთქი, მე რად ვიქნები საცოდავი, როცა გული სავეს მაქვს სიყვარულით?

— ჰო-და, მეც იმიტომ მებრალები-ი,

რომ შენ სუფთა გული გა-აქვს... — აფრიალებდა ნენე ცრემლებიდან დასველებულ ცხვირსაოცს. — გინდა სხვაც ვგეთია? წაგართვა ქმარი იმ გოგომ, წაგართვა-ა!.. — გამეტებით დაიხალა მუშტი მვერდში ნენემ.

— ნენე, — მწარე ღიმილით თქვა ანიკამ, თითქოს თავისთავს ელაპარაკებო. — ეგ რა წართმევია? სიყვარული მოწყალეა არ არის და მეც მათხოვარი არა ვარ! თუ შეიძლება, რომ ხაქრო ჩემზე ძლიერ ვინმეს უყვარდეს... განა ეგ წართმევია?..

— როგორ ლაპარაკობ, ანიკავ? — წამოხტა ნენე, — ქმარი მეც კი მყავდა. არ ვარგოლა, თორემ თავცოცხალი დავანებეჯდი ვინმეს?! შენგან მივირის. საკვარეულოში მოძღვარი არავინა გყოლიათ და სანღეთო რჯულის კანონზე რ ვინ გასწავლა?

— კანონებიო?.. იცი რა, ნენე? ქვეყნად ყველაზე საძულველი ავი მახარობელია. დამანებე თავი, წაღი.

— ახა ვაგლახ მე! — იტაცა ნენემ ლოყაზე ხელი. — მადლობის მაგიერია? გულამოვარდნილი მოვრბოდი, დროზე შევატყობინებ, იქნება ეშველოს რამე მეთქი და... — ისევ ატირდა ნენე, — დამიწდეს ეს გული, რომ ყველასათვის სიკეთე ემეტება-ა!..

— შენ ტირილი მოგდომებია და მე აქ პანაშვიდი გამიმართე? გასწი, გამეცალე! ეგ შენი კეთილი გული და ენა შენს სახლში მიიტანე! — შეკავებული რისხვით უთხრა ანიკამ ნენეს.

— ერთი ამას უყურეთ, რა მკვახედა ლაპარაკობს?! ქმარი შენ განებებს თავს, მე კი არა!

ანიკამ აღარაფერი უთხრა. ფართოდ გამოაღო კარი და ხელით ანიშნა, გადიო.

გაალმასებული ნენე ოთახიდან გაეარდა, მაგრამ ღია კარებში შემოაყვირა: — ახია შენზე! ახია შენზე, დაგიღვეს თვალი!

ანიკამ მაგრად გამოხურა კარი.

— ახია შენზე! თვალიც მოგეთხარა! მანანას ფრჩხილადაც არა ღირხარ, ზოთე! აყლაყულა! მიწამ კი პირი გიყოს

ჩემი გაბიაბრუებისათვის! ხალხო, მე ვის რა გველი შევუწვი? არ გაიხარეთ თქვენა და დაიწვას თქვენი ჯანი! ახტალამც ამოგსვლიათ ოჯახში, თქვე გულმკვდრებო, თქვენა!..

განჩხლებული ნენეს ყვირილი ჯერ დახურულ კართან ისმოდა, მერე ეზოში და ორლობეში.

ანიკა ყურებზე ხელებფარებული იდგა დახურულ კართან, ვიდრე ნენეს ხმა მისწყდებოდა, მერე წელი ნაბიჯით დაიარა კოთახები და ისევ ტახტთან დაბრუნდა.

— კანონებო?.. მე ერთხელა ვთქვი ჩემს სიცოცხლეში — მიყვარხარ მეტი, და ეგ არის ჩემი კანონი!.. ტყუილია, არ შეიძლება ზაქროს აღარ ვუყვარდე. ნაწყენია ჩემზე. დროზე ვერ მივხვდი, რად აიყარა სახლზე გული. ითაკილა, რომ ცოლი მოახლედ გაუხდა. ამაყია და არ შითხრა, სხვაგან დაიწყო მეგობრის ძებნა... — თვალი მოჰკრა ტახტის ქვეშ

(გაგრძელება იქნება)

შედგმულ ჩემოდანს. გამოსწია. — დაცა, ანიკავ, ამას მერეც მოვასწრებ, აკი თქვი, მოვეთმენო?! მოვინჯებო, მაშა სად უნდა წავიდეს?.. — ნერვიულად ამოალაგა ჩემოდნიდან ნივთები, ყველაფერი თავის ადგილზე შეინახა, ცარიელი ჩემოდანი მეორე ოთახში გაიტანა, განჯინაში ჩაკეტა. — ის უნდა ვნახო, ის მანანა... უნდა შევხვდე, თვალი გამისწოროს. მივხვდები სიმართლეს, გული მიგრძნობს... ის უნდა ვნახო და გავიგო... თუ მართალია, მე აქ რა მინდა?.. უსიყვარულოდ ერთ კერძვეშ ყოფნას რა ფასი აქვს?.. და თუ სიყვარული არ მომკვდარა, მე დავიცდი... — ყველაფერს მოვეთმენ... ზაქრო დაწყენარდება და მოვა. ჩემთან მოვა მაშ სად უნდა წავიდეს?..

აცახცახებული ხელებით თავსაფარი წამოიხსნა, კარი გამოხურა და გარეთ გამოვიდა. თითონაც არ იცოდა, სად წავიდოდა ან როგორ მოიქცეოდა.



გ ა გ რ ა

სააგარაკო სიჩუმე დილის,
ქუჩების გვა და რწყვა.
ტალღას გაკრული მერცხალი ქყვივის
და მძიმეთ სუნთქავს ზღვა.

მას თითქო ტვირთის ტარება უმძიმს
და უფრო ჰმატებს შნოს:
ნაპირთან — ფერი კომბოსტოს
ფურცლის
და მუქი ლურჯი — შორს...

სახლია ზღვასთან, მე და შენ
ვცხოვრობთ.

არავინაა სხვა,
ფანჯრიდან ერთი ხედია მხოლოდ —
ვევებერთელა ზღვა.
ჩვენ ყოველ დილით მივდივართ მასთან
და ვეფიცებით მზეს

და კარგათ ვიცით დიდხანს არ გასტანს
ის, რაც გვახარებს დღეს.
აუზდენელო, სურვილო ჩემო,
რამ დამავიწყოს მე
მაგ შენი მლაშე ტუჩების გემო
და გალიმება მხნე.
მზერა — უძირო და უსაშველო,
საბედისწეროდ ღრმა,
და შემოწული შუბლის გარშემო
თავთუხისფერი თმა...
მე ისევ ზღვასთან მეღირსა შეყრა,
ზღვიდან ნიავე ქრის.
ნეტა ვიცოდე — სადა ხარ ეხლა,
ეხალისები ვის?
ჩემებრ თუ გართობს სიჩუმე დილის,
ფიქრები სხვა და სხვა...
ტალღას გაკრული მერცხალი ქყვივის
და მძიმეთ სუნთქავს ზღვა.

შემოდგომის სიმღერა

შემოდგომა... შეახნის ჭალი
ბეწვში ჩამალავს დაღარულ სახეს,
გაპყვება ქუჩას
და მერე ჭარი
ფეხთან დაუდგებს გაზეთის ნახევს.
შემოდგომა... შემოდგომა...
ცხოვრება — მუდამ ფეხზე დგომა...

ადგება მტვერი
და მერე წვიმა
ცელით მოივლის დახრილ ხეივნებს,
გამოალეიქებს ხეხილებს მძინარით
და ყვითელ ფოთლებს დააყრევინებს...
შემოდგომა... ნოემბერია...
და ჭალი ამბობს: მომეფერეთ...

გამგზავრება

სადგურებს თავისი სევდა აქეთ,
თვითელს — თავისი, უთქმელი...
ხალისი წამერთვა ერთთავად
და უცებ გადიდნენ წუთები.

და მერე ისევ და ისევ
ტკივილად განვიციდი მოლოდინს.

ვდგევარ და რაღაცა მაწვალებს
და ვეღარ ვჩერდები ადგილზე...
(ზომ არ დამავიწყდა სათვალე?...
რა უშნოდ გამხსნია საკინძე!..)

ვილაცა მოკითხვას მამარებს, —
მე არა მესმის რა იმისი...
სადგურის სხვიანთელ კამარებს
ჩარჩოში ჩაუსვამთ თბილისი.

ათასგვარ წერილმანებს ვიხსენებ
და ფიქრებს ვერ მივდევ ბოლომდი,

ბაქანზე გაისმის სიმღერა —
შორეულ მგზავრობის ზიარი,
ნაწვიმარ პაერში ირხვეა
რუსული სტეპების ნიავე.

დაღმ სვლაბაჩიძე



გ ა ი კ ა ლ ი

ჯერ შორს არის ჩემი რიცა, ჩემი წუნდა,
ჩემი შავი ზღვა და ჩემი კარ-მიდამო,
ჰოველ, შენი ნახვის ნატვრა
შემისრულდა,
ჩემი ზღვის და ჩემი ტბების დიდო დაო.

მე ამბორი მინდა შენი ზვირთისაცა,
სივრცე მინდა მეც შენსავეთ ასე
ფართე...

ჰა, ჩამთვალე შენს ნაპირთან გაზრდილ
კაცად,
მერე რაა, თუ შავ ზღვასთან
გავიზარდე.
მე შენს კენჭებს წავიღებ და მივცემ
რიცას,
მათზე დარდი გულთან არკი გაიკარო,
ამ კენჭებთან მე წამყვება
ციმბირის ცა,
შენც წამყვები, გულგაშლილო ბაიკალო.

კატარა ჩინი

რუსთაველზე გავლა უყვართ ლამაზებს,
შებრალეა არ იციან, ისე,
დაგაყრიან ისრებს გულის ამაზრუნეს,
თბილისის მშით გახურებულ ისრებს.

მე ამიტომ გარიდება ვარჩიე,
მივეჩვიე მიყუჩებულ ქუჩებს.
და ერთ ჩიხში შეგეჩიხე ფარჩიანს,
ყაჩაღივით შემეფეთე უცებ.

და გამქურდე, გული ასე წამართვი,
სად გაჰყევი ლამაზების ურდოს?!

არ დაგსჯიდი ამქვეყნიერ სამართლით,
ნუ შემალვი, მშვენიერო ქურდო.

იმის მერე ცეცხლი ამიგზგიზდა,
აქ ნაბიჯებს ვაღვამ მეტი რიხით,
რუსთაველზე გავლა აღარ მიზიდავს,
მე მეყოფა ეს პატარა ჩინიც.

ოღონდ მოდი, არ შეგაკართოს ლამემაც,
მანდ დატოვე ლამაზების გუნდი,
სულ წაიღე, რაც ამ ქვეყნად რამე მაქვს,
ჩემს პატარა ჩინში შემობრუნდი.

გ ზ ა ზ ე

თოვს და რატომღაც ამ წყნარ ლამეში
ზაფხულზე ფიქრი ამეკვიტა...
ზღაზღენით მიათრევს ურემს კამეჩი,
სახლამდე ხვალ ხომ მაინც მიატანს, —

მე არ გადაგვრავ სახრეს, იაროს...
მხურვალე შუბლზე გადნება ფიფქი. —
თოვლით ივსება საქრისტიანო,
მე რად მომყვება ზაფხულზე ფიქრი?!

ზარდნის და ისე კარგია თოვლი,
ფიფქთა ჩურჩული ისე ამოა,

განა ბოლქვები თამბაქას ბოლის, —
გულიდან სისხლის ორთქლი ამოაქვს.

რად ამედევნა ზაფხულზე ფიქრი, —
წინ რომ შემომხვდეს აგვისტო ახლა,
შეშინდება და ეს ნაზი ფიფქი,
ვაჰ, თუ აბრუნდეს ცისაკენ მაღლა.

ზარდნოს, დაფაროს ეს ნაურმალი,
არ დაიხუროს ზეცა კარფართე,
მე ამ ურემზე გაეშლი პურმარის
და ვაღლეგრძელე ფიფქებს ფარფატებს.

გავივლი ასე ზამთარს და გნახავ,
შენამდეც მოვალ, ცხელო აგვისტოვ,
შენ რომ შემომხვდე ამ გზაზე ახლა,
ამ ლამაზ ფიფქებს აღარ დაგვიტოვ.

ზღაზვნით მიათრევს ურემს კამეჩი,
სახლამდე ხვალ ხომ მაინც მფრტანს...
თოვს და რატომღაც ამწყნარებენ
ზაფხულზე ფიქრი ამეკვიატა.

ღამე მიუხედასთან*

იმ გორის თავზე მთვარე ამოდის,
და აღარ მიდის მერე იქედან,
თითქოს შემოდგა გორზე მამონტი
და ცალი თვალით გადმოიხედა.
არსად არ ისმის ტკბილი ურმული
არსად არა ქუხს გზაზე მაყრული,

მთვარეს კი უყვარს სულგატრუნული
შეყვარებული წყვილის თვალყური.
მოწყინდება და ხვალ საღამომდი
მიესვენება, არ წავა ცისკენ,
თითქოს მიწვაო ისევ მამონტი
და ცალი თვალი დახუჭა ისევ.

გ ე გ ი ა

მიადგამდა ცეცხლთან ქოთანს,
სულ თუხთუხას და ქოთქოთას,
ჩანაყავდა ქვასანაყით
ნიგოზს, პილპილს, ქინძს და ქონდარს,
ლობიოსთან მას არაყი,
შავი ლვინოც მუდამ ქონდა,

გასახარი დასანახი,
ბოსტანში და ზეარში ქროდა.
სულ რალაცას აპირებდა,
მუდამ ხვალის ჯავრი ჰქონდა.
... მიაუნჯას ნაპირებთან,
ო, რა ტკბილად მომაგონდა.

ს ა ყ უ რ ე

ყვავილის ფურცელს გავს შენი ყური,
ზედ მიფრენია თითქოს ფუტყარი,
თეთრი პეპელა შეხედავს შურით,
მოენატრება ზედ საბუღარი...

ცივი და მუნჯი იყო მანამდე,
ქვირფასი ქვა თუ ოქრო ბრწყვიალა,

შენს ყურზე შენივ შეუქით ანათებს,
შენი ნაწილი გახდა მთლიანად.

ხომ არ ჰგონიათ პატარა მწერი
ამ ბუღბუღებსა და მოლაღურებს,
ჩაგიფრენენ და ნისკარტის წვერით
სურთ აგაცალონ ყურზე საყურე-

* მდინარეა შირველ ჩრდილოეთში.



ჭარისკაცის ქვრივი*

რ. მ. ბ. ნ. ი.



რაკი საუბარი წყალთან დაკავშირებული ფაქტორებს შეეხებოდა, ვიღაცამ მდინარე პოს ამასწინანდელი ადიდება მოიგონა, სხვებმა კი სიტყვა დუნაიზე გადაიტანეს და მალე შეთანხმდნენ იმ ამბავში, რომ წყალიდობა ათასობით მეტ ადამიანს იმსხვერპლებდა, ჩვენს სამხედრო ნაწილებს რომ ხელი დროზე არ გამოეღო.

აივანზე ყავისფერ შალის კაბაში გამოწყობილი ქალიშვილი გამოვიდა. მას ოდნავ წამოწითლებული ზაქარა მოსდევდა და რაღაცას ეუბნებოდა ყურში.

ქალიშვილი და ზაქარა რომ რაინახეს, მამაკაცების ჯგუფში ლაპარაკი ერთბაშად შეწყდა. ამით ელექტერი მიხვდა, რომ ტუჩებამოპურცული ნორჩი ქალი, თითქმის ბავშვი ამ ხალხმრავალი შეკრებილობის დედოფალი იყო.

„ჩანს, ისევ ცუდად არის საქმე“, — გაიფიქრა ელექტერმა და თვალებით ელენე მოძებნა.

ქალების პაწია ჯგუფი სწრაფად გაზრდილიყო. ელენეს გაპირვებით მოჰქრა თვალი აივნის განაპირა ბოძთან. „ორპირი ჭარი ჭრის, — ფიქრობდა ელექტერი, — ცოტა აქეთ მაინც წამოიწევენ“.

— წუხს, — თანაგრძნობით თქვა ვიღაცამ მასობლივად.

ეს ალბათ პატარძლის ან ზაქარას მიმართ ითქვა.

იგივე კაცი ელექტერს მიუბრუნდა და ყველას გასაგონად ჰკითხა:

— ბატონო, ამბობენ, პროფესორი გველესიანი უნდა ჩამოსულიყო. თქვენ ხომ არ იცით, ჩამოვიდა თუ არა?

ელექტერი შეკრთა, რადგანაც მოეჩვენა, რომ ქვემოთრებმა სწორედ ის

მიიღეს პროფესორ გველესიანად. არ ესიაშოვნა ეს, რადგან ამაში თავისი პიროვნების უნებური გაბიაბრუება დაინახა. მას პატივისცემით ესაუბრებოდნენ მხოლოდ იმიტომ, რომ პროფესორი გველესიანი ეგონათ!

„შემკითხველს შეკრული შუბლი შეანათა.“

მის წინაშე უწყინარი გამომეტყველების სახედალარული ჩოფურა კაცი ადგა და იმგვარი თავაზიანი ყურადღებით მოელოდა პასუხს, რომ ელექტერი იძულებული გახდა თავისი აზრი გამოეთქვა ამ საკითხზე. დიახ, მასაც უთხრეს, რომ პროფესორი დაპატივებულა, მაგრამ, — სამწუხაროდ, არ იცის, ჩამოვიდა თუ არა...

თავაზიანმა შემკითხველმა თავი დაუკრა მადლობის ნიშნად.

ქალების ჯგუფში მხეიძის მეუღლე აგრაფინა ცდილობდა დეხატა საკუთრას ადრინდელი სურათი, სანამ მისი და აქ გამოთხოვდებოდა. არცთუ ისე დიდი ხანი იყო მას აქეთ... ბევრი, ბევრი, ოცდა ექვსი წელიწადი (ზაქარას პირველი შვილი აკლია)... მაშინ გარეშემო ტყეები იყო. აქ ყოფნას არაფერი სჯობდა. ამ გორებზედაც, სოფელს რომ ჩრდილოეთის მხრიდან გადმოჰყურებდეს, ტყე იყო. პირველად ამბერკი ლაშხის გაიტეხა ახლ და შუაგულ უღრანში დასახლებულიყო.

ელენე სმენად იქცა. იცოდა თუ არა აქ ლა ამბის მომყოლმა, რომ მათ შორის ლაშხის რძალიც იდგა? მაგრამ მხეიძის მეუღლეს მეტი არაფერი უთქვამს ამბერკი ლაშხის შესახებ. ის უკვე იმაზე ლაპარაკობდა, როგორ გადაწყვეტა საბრალო მარგალიტა პატარა ჩიტების მშობიარობას. რაიონის საავადმყოფოში იწვა. რა არ იღონეს, ველარაფერმა უშ-

* გვარძელება იხ. „მნათობი“ 1955 წ. № 12, 1956 წ. № 74 1, 2, 3.

ველა, ბევრი სისხლი ჰქონდა დაკარგული. სული მის მკლავზე დალია... რა საზარლად ბლადდა საწყალი ზაქარა! შეუღმერთო, ამათ ვის უტოვებო. «გუშინდელივით მესმის ახლა ეს ხმა... — ვანაგრძო მან, — ეეჰ, რას იზამ! ღმერთმა პატარებს შემატოს ის დღე, რაც უღროოდ მიწაში ამოდებულ დედამავათს დააკლდა»...

მანდილოსანს ცრემლები მოერიდა და მალე გაჩუმდა. წუთით სიწყნარე ჩამოვარდა. ფერუმარულით შეღესილი ხანდაზმული ახალგაზრდა ქალები უხმოდ იცრემლებოდნენ. «კიდევ კარგი, რომ არ გაავთხოვდი!» — ამოიკითხავდით ზოგიერთი მათგანის სახეზე.

— დეიდა, რა მოგივიდა, შენი ჰირიმე, რა დროს ტირილია! — მოესმათ ამ დროს და ყველას გაუკვირდა, საიდან გაჩნდა მაყვალა ისე, რომ აქამდე ვერაფერს დაინახა, — მობრძანდით, შინ მობრძანდით, იქით თავისუფალი ოთახი არის, — მუდარის გამომხატველი მომცინარე სახით ამბობდა მაყვალა, რომელსაც თვალეზზე ეტყობოდა, რომ თვითონაც ნამტირალევი იყო.

მისმა გამოჩენამ ყველა გაახალისა.

— უცხოებს თხოვე, შეილო, ჩვენ რა გვიქირს! — შეყვარებული ადამიანის ღიმილით იუარა თვალეზაფითლებულმა დეიდამ და დისწულის ნორჩ წელს გაიციებელი ხელი მოხვია.

— არა, თქვენ მობრძანდით, თქვენ, ყველასათვის არის აღგილი. მობრძანდით, ბატონო, ქალბატონო ელენე...

— უი, შენი ჰირიმე, შენი, ანგელოზი რომ ხარ! — თითქმის ერთხმად აღმოხდათ მეზობლის ქალებს, რომელთაც წინასწარი სამზადისი მოეთავეებინათ და ახლა სტუმრების შორიახლო იდგნენ ჯგუფად.

დეიდა მხეიძისამ კისერზე მოხვია ხელი დისწულს და შემკნარი სახე ყურთან მიუტანა.

— კიი ცქრილა ვოგო კი ხარ, მაყვალა, დედა, მაგრამ ამისთანა დროს შენ სულ არ უნდა გამოჩნდე. მაგ საქმეს სხვები გაეკეთებთ, ცოტა ზალხია თუ?

— რა მიჭირს, დეიდა, ვის დავემალე...

— წადი, წადი, დეიდა შემოგვევლოს, შე შემოვიყვან ყველას, — ერთხელ კიდევ წასჩურჩულა მანდილოსანმა და დედის მგვანე პატარა მაყვალას ყვრიმალზე აკოცა.

— აბა არ მომატყუო, იცოდე! — ყოჩაღობდა მაყვალა, რომელიც ამით უფრო თავს იმხნევებდა.

— წადი, ნუ გეშინია, ოღონდ ისე მოიქეცი, როგორც მე დაგარიგე.

მაყვალა მყისვე გატრიალდა და მაგიდებით გაწყობილ დარბაზში შევიდა.

მამაკაცების ჯგუფს, რომელშიაც ელფთერი ერია და თავგამოდებით ამტყიცებდა რაღაცას, ერთი წუთით გამოეყო შემოერთებული ზაქარა, რომელსაც კიბისთავში დაუძახეს.

ზაქარას უჩვეულო მოუთმენლობა დაეტყო, როცა ხელჯოხიანი პეპინა დაინახა.

პეპინას წურწურით ჩამოსდიოდა ოფლი და ისედაც ციმციმა, წვრილი თვალები დაღლილობისაგან კიდევ უფრო უბრწყინავდა.

— რა ამბავი მოიტანე, პეტრე? — ჰკითხა ზაქარამ, როცა ისე ახლო მივიდა, რომ ჩურჩულს გაავგონებდა.

— მოვეკედი, კაცო, ტყუილ-უბრალოდ გადაეასკედი ამოდენა გზაზე.

— ფეხით იყავი? — ჩაჰკითხა მოთმინებადაკარგულმა ზაქარამ.

— ფეხით კი არა, ცხენით ვიყავი, მარა რაი შერე!..

— რა გაიგე, რაშია საქმე?..

— საღამოს მატარებელი კიდევ არ მოსულა.

— არ მოსულა? რომელი საათია ახლა შერე!

— საათს ვინ უყურებს! თორმეტის ნახევარი იყო, სადგურში რომ ვიყავი. ახლა პირველის ოცი წუთია. ცეცხლს წამოვიდებს ყარამანიჩი, მოკვალი ცხენი ჰქნებით... მატარებელი არ მოსულა და არც მოვა გათენებამდე.

საიდუმლოდ მოთათბირეთ კბეზე ახლადამოსული ეგნატე შემოუერთდა,

რომელიც ზაქარაზე არანაკლებ შემფოთებული იყო.

პეპინამ ცერად გადახედა, მხარი შეაქცია მას და განაგრძო:

— ზევი ჩამოწოლილა შერთულს ქვევით, ქვის სამტეხლოსთან. მთელი კალთა მოცურებულა და რკინიგზაზეა დახევეებული.

— ხომ არავინ დაშავდა, კაცო, თქვი მალე!

— დაშავებით არა. მატარებელი ნახევარი საათის შემდეგ მოსულა. გზის მეთვალყურეებს გაუჩერებიათ. სადგურიდან ღრიზინები გაგზავნეს. გაწმენდენ ალბათ.

— ხალხი მერე, ის ხალხი, ვინც მატარებელშია?

— ხალხი? ხალხს რა უქირს... გავაგზა და...

ათილდე წუთში პირიდახ პირზე გადადიოდა პეტრეს მოტანილი ცნობა. ქალების ოთახში შეკრებილთ ნისკარტა შინაბერამ, სასოფლო საბჭოს მდივანმა ამცნოთ ეს ამბავი.

შინაური და გარეული ფეხზე დადგასანამ რაიმე გადაწყვეტილებას მიიღებდნენ, ლაბაძეებში აფრინეს კაცი ამბის შესატყობინებლად.

დეიდა მხეიძისა მარტოდმარტო დარჩა ქალების ოთახში მაყვალასთან ერთად. მაყვალასათვის თავშეკავებას ელალატა და გულამოვარდნილი გალახული ბავშვივით სლუკუნებდა.

დეიდამ ვერასვზით ვერ მოახერხა მისი დამშვიდება. მაყვალას დეიდის კალთაში წაერგო თავი, ჩუმად ტიროდა და დედას ახსენებდა.

დეიდამ მკლავები შემოხვია მას მხრებზე, გულში ჩაიკრა და თვითონაც ატირდა.

XXX

მაყრიონმა მხოლოდ რიერაზე მოაღწია. ამან თითქოს ერთბაშად გაამხიარულა დაღუმებული არემარე, მაგრამ ყველა ისე იყო დაღლილი და ლამის თვეით გაწამებული, რომ ნადიმობის თავი აღარავის ჰქონდა.

ზაქარასას მხოლოდ ქალები იყვნენ დარჩენილნი. თვითონ ზაქარა სტუმრებიანა წასულიყო შეგვეანებელი მაყრის მისაშველებლად. მატარებლის გზას, ცხადია, დილაშდე ვერ გაწმენდნენ და ქორწილი უნდა გადადებულიყო. ამასთან ბევრი სტუმარი მხოლოდ ერთი ღლით იყო ჩამოსული და კვირა საღამოსავე თავისი საქმისათვის უნდა მიეხედა.

თოვლის ზვინებს შუა განერებულ მატარებელში ყველას გაეგო ეს ამბავი. როცა საშიშროებამ გაიარა, თუმცა თვითულ მგზავრს თავისი საზრუნავი ჰქონდა, ერთიმეორეს ასწრებდნენ იმის გაგებას, რომელი იყო ნეფე—ეჭიმი სერგო ლაბაძე, რომელიც ამ უხეირო მგზავრობამ ვასაქირში ჩაავლო.

ავითონ სერგო ამხანაგებთან ერთად მოღოდა და სულ უკანა ვაგონში იჯდა. თუმცა ქორწილისათვის თავის შენახვა იყო საჭირო, წამოსვლის წინ გვარიანად გადაეკრათ. მატარებლის მოულოდნელი შეჩერება მან ყველაზე გვიან გაიგო. ტოლ-ამხანაგების სიცილმა და ხორხოცმა გამოაღვიძა. სერგოს ეგონა, წიფლისწყაროში მივედითო და იატაკზე ჩამოვარდნილ ქუდს დაუწყო ძებნა. როცა წამოდგა, სახტად დარჩა. სადგურის ლამპიონების ნაცვლად ჩაგმანულ ფანჯრებში ლამის წყვედიად იჭვრიტებოდა, თითქო შავი ქალაღი ბუკრავთ გარედან ფანჯრებისთვისო, და ორთქლილ მინაში თავისივე სახე დაინახა.

მას მოაზრებაც აღარ აცალეს, თუ რა მოხდა და როგორ უნდა მოქცეულიყო... ვილაცამ მკლავში ჩაავლო ხელი და ვაგონიდან ბალღივით გაიტაცა.

მღინარის პირას, რიყეზე, სადაც ღილი ვაჭირვებით ჩავიდნენ რკინიგზის მაღალი და ციცაბო მიწაყრილიდან, ორმოცდაათამდე აღამიანი დაუხედათ. აქედან ზოგი სერგოს ახლდა, ზოგი კიღვე სეირის საყურებლად ან დასახმარებლად ჩამოსულიყო მატარებლიდან.

ვილაცამ წელს ქვევით გაიხადა და მღინარეში შედგა ფეხი.

სერგო ერთბაშად გამოფხიზლდა და მიხვდა, რომ რაღაც მიზეზის გამო მატარებელი შუა გზაში იღვრა, მათ კი ამ გაყინულ მდინარეში გასვლით უნდა მოეჭრათ უმოკლესი გზა საკაუჩრასაკენ.

აქედან ნაპირზე გამომხნევებელი შეძახილები ისმოდა.

პირველი, საცვლებისამარა მიმავალი კაცი გაღმა გასულიყო და თოვლის ფონზე კარგად მოჩანდა, როგორ იწურავდა იგი საცვლის ტოტებს.

მდინარეში ახლა სხვებიც გადიოდნენ ყოყინითა და ყრიაბულით.

— ნეფე რომელია, ნეფე! — ყვიროდა ვიღაც აქეთა ნაპირზე.

სერგომ მხოლოდ მდინარის შუაგულიდან შენიშნა, რომ ვიღაც ხალხი იყო... თუ ეს იგივე ხალხია, რომელიც ახლა დატოვა? ნუთუ მიმართულება აერია და ისევე უკან ბრუნდება? მოიხედა და ახლა უფრო შეეპარა ეკვი: ორივე ნაპირზე აღარაბეული ხალხი იყო. მაგრამ ის საიდან წამოვიდა? მდინარის მოშავო, ლაპლაპა ტალღები წელქვევით აწყდებოდა და სერგოს უკვირდა, რომ წყალი სრულებითაც არ იყო ცივი, პირიქით...

ორივე ნაპირზე ყვიროდნენ, რაღაცს გაიძახოდნენ...

რა მოხდება თუ ისევე უკან ბრუნდება? სიცილს დააყრიან, მხდალობას შესწამებენ... ფსკერზე რაღაცას წამოედო და წაფორხილდა. ორიოდ ნაბიჯი რწევით გაიბრინა. ნუთუ მთვრალია კიდევ ან სიცხე აქვს? მაგრამ მყისვე გაახსენდა, რომ მატარებლის კიბეზე ჩამოსვლისას სრულიად გამოფხიზლებული იყო.

წყლიდან ამოსულმა რომ თოვლიან რიყეს ფეხი მიაკარა, მაშინდა იგრძნო, რომ სიცივე ძვალ-რბილში გასჯდომოდა. გამთოშავ ყინვას სახსრები მოედუნებინა, სიარული უჭირდა. ვიღაცამ მისი სახელი ასხენა, გამოვიდა თუ არაო. გულზე მოეშვა. შარველს თათების გასაწურავად რომ დაიხარა, მხოლოდ მაშინ შენიშნა, რა ძუნწად იღვრებოდა

სპეტაკ თოვლზე ტანსაცმელიდან ჩამონადენი შავი წყალი.

სერგოს
შეყვარებული

სერგო სიმღერაზე შეყვარებული იყო. ძნელად თუ გაუშვებდა ხელიდან შემთხვევას, თავისი ტყბილი ხმით მოძახილი არ ეთქვა, მაგრამ ამ სამახსოვრო ღამეს ვერამცთუ სიმღერა ვერ შეძლო, სხვები რომ მიიმღეროდნენ და იქაურობას იყლებდნენ, ისიც ეკალივით ესობოდა გულზე. ერთი საათი თუ საათნახევარი, რაც ლუხუნისას რიყიდან შინ ამოსვლას, ტანსაცმლის გამოცვლას, შემდეგ კი შუაუბნამდე ამოღწევას დასჭირდა, სერგო გულისტკივილით ფიქრობდა იმაზე, რომ ის ამბავი, რაც ახლა მის თავს იყო, საოცრად ჰგავდა ყველა ასეთსავე ამბავს, რომელიც კი ოდესმე ვისმე გადახდენოდა. უკანასკნელი სამი თუ ოთხი დღე მან ბურანში გაატარა, სრულ თავდავიწყებაში, იმის განცდაში, რომ ხვალ თუ ზეგ რაღაც უჩვეულო უნდა მომხდარიყო. ახლა ის ნელ-ნელა გამოდიოდა ძილღვიძობიდან და ცდილობდა ყველაფერი საღი თვალით დაენახა.

იმ წუთამდე, სანამ ზაქარას გულისნადებს ვალუმელავნებდა, მყვალასადმი მისი დამოკიდებულება რაღაც სუფთა, დაუსაბამო ნეტარების კრიალოსანი იყო, რომელსაც მხოლოდ პირობითად, ალბათ სხვების წაბაძევით, ერქვა სიყვარული, ნამდვილად კი ეს ხვა რამ, ადრე სხვებისაგან არნახული და შემდგომშიაც განუმეორებელი რამ იყო.

ასე ეჩვენებოდა თავისი გრძნობა სერგოს საიღუმლოს გამქლავნების წუთამდე; ამ სამი დღის განმავლობაში კი მას ეუფლებოდა სრულიად სხვა, განსხვავებული გრძნობა, რომელიც სინანულსაც ჰგავდა, შეურაცხყოფით გამოწვეულ შემპარავ ტკივილსაც...

სერგო მიმხვდარი იყო, რომ სათუთი გრძნობის საქვეყნოდ გამქლავნებამ თითქოს რაღაც შეცვალა აღრინდელ ურთიერთობაში, რაღაც დაახურდავა, რაღაც გააფუჭა.

ყოველივე იმას, რის სახელიც მათ



არასოდეს არ უძებნიათ, ერთბაშად და-
ერქვა „საქმე“, ხოლო ეს „საქმე“ კი
მთელი სოფლის ზრუნვისა და ყურა-
დლების საგნად იქცა. მას ჩამოეცალა
საბურველი, რაც სხვა ასეთსავე რამი-
საგან განასხვავებდა, და დარჩა მხო-
ლოდ დედააზრი, მთავარი — საქმე, სა-
ქმე, რომელიც ყველასათვის ნაცნობი
და გასაგებია.

სერგო სულითა და გულით აფორია-
ქებული იყო და არასოდეს ისე არ მოს-
ძალებოდა ნამდვილი ბავშვური ტირი-
ლის სურვილი, როგორც ახლა, ამ წუთ-
ში, თავისი ქორწინების დღეს, რომელ-
საც ხალხში გაბედნიერების დღეს ეძა-
ხიან. მას რომ მართლაც შეძლებოდა ახ-
ლა ტირილი, ეს ის ტირილი იქნებოდა,
რითაც ახლობელს ეთხოვებოდა, როცა
ცხოვრების შარაგზაზე ტოვებენ იმას,
რაც ოდესღაც ძვირფასი, განუმეორე-
ბელი რამ იყო, ამიერიდან კი...

ამასვე განიცდიდა თუ არა მაყვალა?
თუ ჰო, სერგოს ტკივილი ორმაგად უფ-
რო მწვავე იქნებოდა. იქნებ მართალს
ამბობდნენ უფროსები, იქნებ სჯობდა,
ცოტა კიდევ შეეცადათ, ცოტა ხანს კი-
დეე ვაგრძელებულიყო ის ტყბილი ბუ-
რუსი, რომელიც წლების განმავლობაში
მაცოცხლებელ საზრდოს აძლევდა ორი-
ვე მათგანის ცხოვრებას?

„არა, არა, არ სჯობდა, არა!“ — ჩას-
ძახა შინაგანმა ხმამ სერგოს და წამსვე
გაახსენდა ის სატანჯველი, რომელიც
გულზე შემოაწვებოდა ხოლმე განშო-
რების წუთებში.

მაყვალა დედის ნათესავთან ცხოვრო-
ბდა მეჭოთნეთა ქუჩაზე, სტუდენტთა
ქალაქი კი, სადაც ინსტიტუტის დამთავ-
რებამდე ორ სხვა თანაკურსელთან ერთ-
თად ეკავა სერგოს ოთახი, თბილისის
მეორე განაპირას იღო.

„მაყვალა, გინატრია რამე?“ — თით-
ქმის ყოველ განშორებისას სულ სხვა-
დასხვანაირად ეკითხებოდა სერგო
ქალს.

„მინატრია? ვისაც არასოდეს არ
უნატრია, მის ცხოვრებას რა აზრი ექ-
ნება, სერგო!“

„მეც აგრე მგონია“.

„თუ ცხოვრებაში რაიმე გინდა, გაა-
კეთო, ჯერ უნდა ინატრო, ინატრებო...“

„ეგ ხომ ერთი და იგივეა!“

„რა არის ერთი და იგივე?“

„თუ ცხოვრებაში რაიმე გინდა... ეს
უკვე ნატერაა“.

„შენ როგორც გენებოს ისე გაიგე. თუ
ნატერა არ არის, ისე არაფერი არ არის.
მართლა, სერგო, მართლა არაფერი არ
არის“.

„შენ რას ნატრობ ახლა, მაგალითად?“

„მე?...“

„მე რას ვნატრობ, მაყვალა, იცი? მო-
იხედე! იცი, რას ვნატრობ? ერთი რო-
დის იქნება, რომ აღარ გავაცილებ...“

„საძაგელი! გეზარება? ვინ გიბეჭე-
ბოდა, რომ მოდიოდი“.

„მიმიხვდა! შენ ხუმრობ, მე მართლა
გეუბნები“.

„მეც მართლა გეუბნები“.

„აქეთ რომ მოვდივართ, გზა ერთ წუ-
თში თავდება. სულ არ მინდა, ასე მალე
მოვიდეთ ამ კუთხის სახლამდე, შეჯავ-
რება, შორიდან რომ დაეინახავ. აქედან
წავალ და... მთელი საუკუნე გადის, სა-
ნამ შინ მივიდოდე... მერე საუკუნეც
არის და საუკუნეც!“

„გინდა გავაცილო?“

„არა, წადი, დაიძინე, დილამდე ხომ
არ ვივლით, წადი...“

მაგრამ ეს ძნელი იყო, მტკივნეული,
ამ ტკივილს კი ახლა ბოლო ეღებდა. სერ-
გო აწ აღარასოდეს მიაცილებდა მაყვა-
ლას სხვის სახლამდე. აღარ იქნებოდა
დაუსრულებელი ნატერა, მოჩვენებითი
სიშორე, რაღაც წესები... ახლა ეს დრო
დადგა და ის კი იმას ნატრობს, რომ
ისევ უკან დაიხიონ, ისევ გადადონ ის,
რაც ამოდენა გულისკანკალისა და ყოყ-
მანის შემდეგ გაბედეს?

„არაფრის გულისათვის! კიდევ რომ
შესაძლებელი იყოს, მაინც არაფრის
გულისათვის!“ — ფიქრობდა სერგო და
ახლა უფრო მხნედ მისდევდა შარაგზის
ორივე მხარეს არეულდარეულად მიმა-
ვალ ხალხს, რომელშიაც ახლა ვერაფერ
გაარჩევდა, ვინ თეოფილეს სტუმარ

იყო და ვინ ზაქარასი, ვინ მოსული იყო და ვინ დამხედური, ვინ სერგოს ახლდა მაყრად და ვინ მაყვალს.

თლილი ქვით ამოშენებულ წყაროსთან, საიდანაც ბილიკი შუაუბნისაკენ გასდევს, ბავშვების დიდი ჯგუფი შემოგებდა. უფროსებთან ერთად ამათაც თეთრად გაეთენებინათ ეს ღამე და ახლა ქორტბივით კუსავდნენ თვალებს.

ვილაცამ კიდევ წამოიწყო სიმღერა:

ჩაუბტით და ჩაუბტით
ბარათაშვილსა...

სერგომ იცნო „ისაია მეკუბოვის“ ხმა და გზისპირას შეიკადა, სანამ ეს უკანასკნელი წამოეწეოდა.

ხალხი ერთბაშად შეჯგუფდა. იქუხა ხან გორგალივით მრგვალმა და ხან ნაბადივით გაშლილმა, ზღვასავით უძირო ბანმა.

ბაარათაშვილსა...

მოუკიდა ვილაცამ და სერგოს ერთბაშად აენთო სახე. ეს მისი საყვარელი სიმღერა იყო.

მოვტაცოთ და მოვტაცოთ ქალი
ლაშაზი...

მოვტაცოთ და მოვტაცოთ... —

დაიგუგუნა ბანმა და ახლა სერგომაც ველარ შეიკადა თავი.

ქალი ლაშაზი...

ქამანდი შესტყორცნა მან გახელებული მოხვერთვით აწყვეტილ სიმღერას, მოუქნია, კიდევ მოუქნია და გავაზე მოევლო მას. მიჰქროდა თქარათქურით, მიჰქროდა ხელი მოხვერი, მიჰქროდა კლდიდან კლდეზე, ხეობიდან ხეობაში, უკან ტოვებდა ჩამეხილ ნაპრალებს, უღრან ტყეებს, აბზინებულ სათიბებს, სერგო კი კიდევ და კიდევ იქნევდა ქამანდს, კიდევ და კიდევ. მას ეჩვენებოდა, რომ ყველაფერი მღეროდა ირგვლოვ, ცაც და დედამიწაც, სახლებიც, ბედლებიც, თოვლის ფთილებით გაჭაღარავებული ნეკერჩხალიც, მღეროდა ზაქარას შავი სამჭედლო, გზაც, ყველაფერი...

ნუ მოგვდე და ნუ მოგვდე...

ჩვენო სიღერა...

ჩვენია და ჩვენია...

ქალი ლაშაზი...

გზადაგზა მაშხალებით ხედებოდათ ხალხი, თუმცა უკვე ცისკარფეფლო და მიღებული ღამის ბინდბუნდში ყველაფერი კარგად გაიჩინოდა. შემოგებებულებიც მაშინვე უერთდებოდნენ ამ ცისა და დედამიწის მგრგვინავ სიმღერას, უერთდებოდნენ, როგორც მთის ანკარა ნაკადულები წყალუხვ მდინარეს, მდინარე კი თანდათანობით უფრო ძლიერი, და შმაგი ხდებოდა.

ქიშკართან კიდევ შემოხვდათ აბრიალებული მაშხალები.

შეგვიანებული მაყრონი თავაწყვეტილი სიმღერით შევიდა ზაქარა მჭედლის ეზოში...

უკანასკნელ წუთებამდე თავი მშვიდად ექირა მაყვალს. აგრაფინა დკიდას ნუგეშსა და ოდნავ მაღალფარდოვან მუდარას გაეკრა. ის აღრინდულად, გადი-გამოდირდა ოთახიდან ოთახში, და თვალებდაწითლებული უკანასკნელ განკარგულებებს იძლეოდა, თუმცა ყველაფერი უკვე მზად იყო.

მაყვალს თვითონვე უკვირდა, ისედაც გულშემოყრილს საიდან გასჩენოდა სუფრის გაწყობის ამოდენა გამოცდილება, რომელსაც სიკვდილამდე ვერ შეიძინეს ხოლმე ზოგიერთი მანდილოსანი.

აღარც დეიდა მხეიძისა ახირებია: აგრაფინა მიხედა, რომ მაყვალა გულს აყოლებდა საქმიანობაში და აღარ უცდიანიის ჩაგონება, საკუთარ ქორწილზე ფუსფუსი უხერხული რამაა ყმაწვილქალისათვისო. ადგა და ნებაზე მიუშვა.

მაყვალა ისე დადინჯებით, გულდაგულ აკეთებდა ყველაფერს, თითქოს თავისთავის დედაც თვითონ ყოფილიყოს და ქალიშვილიც.

გარიერაზე, სიმღერის შორეულმა ხმამ რომ მოაღწია და სახლში ყველამ გაიგო, მოდიანო, მაყვალს გული შეუფრთხილდა და ერთბაშად გახედა გაჩალებულ დარბაზში. ვინ იცის, რამდენ ხანს იღვამებოდა აქ ანგარიშმიუციმლად, რომ გვერდის კარებიდან ორივე დეიდა, ელენე ლაშვი, ელუკი მიროტაძე

და ორიოდ კიდეც სხვა არ შემოვარდნილიყო.

მაყვალა ამით დანახვისთანავე მიხვდა, რისთვისაც ეძებდნენ და უნებურად ტანსაცმელზე დაიხედა. როგორ არ მოსწონდა ეს კაბა, რომელიც სწორედ დღევანდელი დღისთვის შეიკერა და, აგრეთვე დაედას სიტყვით, სულზედაც მოუტანეს წუხელ. ყავისფერი შალის მძიმე ნაჭერს ასეთივე ფერის ამობურცული ზოლები ჩასდევდა. ქსოვილი გაცილებით უფრო უხეიროდ გამოიყურებოდა ახლა, ვიდრე შეკერვამდე იყო. მოუქნელი მკერავის ხელში ასეც ხდება ხოლმე. ნაწილობრივ თვითონ მაყვალასაც მიუძღვოდა ბრალი. ესე სახელდახელოდ ველარც სამოდელო კაბა იშოვნა, ველარც ჟურნალი...

ღეიდა მზეიძისამ, რომელიც დღეს ყველაზე თამამად იქცეოდა და ამით თავს იწონებდა, საკუთარი ხელით შეხსნა დისწულს თეთრი წინსაფარი, კაბა მომრგვალებულ მხრებთან შეუსწორა და მოხდენილი ქალიშვილი სინათლისაკენ შემოატრიალა.

— ვაი იმას კი შეახმეს ის ხელები, იმას! — თითქოს თავისთვის ჩაილაპარაკა მან, — რა ნაჭერი და, რანაირად გაუფუჭებია! მობრძანდი, ნახე ერთი, ქალბატონო ელენე!

მისდამი გამეღვენებული ყურადღებით ოდნავ შეფაკლულმა ელენემ მცოდნე აღამიანის თვლით ახედ-დახედა ბეჭებში ოდნავ მოვიწროვებულ, წელში გამოყვანილ ბოლოფრიალა კაბას და მზერა მკერდთან შეყრილ ნაოჭებზე შეაჩერა. მერე ხელით სცადა მათი გასწორება, მაგრამ მოსცილდა თუ არა, ნაოჭებმა ისევ მოიყარეს თავი. ცხადია, ეს იმის ბრალი იყო, რომ მკერავს ძუნწად ამოეჭრა კაბა ილიებში. ბევრი, ბევრი, ნახევარი სანტიმეტრი და, ყველაფერი რიგზე იქნებოდა! ახლა უკვე გვიანი იყო. ილიების ამოჭრა ორივე სახელოს მორღვევას მოითხოვდა.

— მე მაინც ჩამომესწრო, ამისთანები შემოიკრია! — ნაღვლობდა ისევ მზეი-

ძის მეუღლე და თვალს არ ამორებდა ელენეს უკმაყოფილო თვალბრუნებას.

— გულისპირი კარგად გაუკეთებია! მხოლოდ ილიებშია ცოტა ვიწრო, — ხმა ამოიღო ბოლოს ყურადღების შეაგულში მოქცეულმა ელენემ, რადგან აუცილებლად უნდა ეთქვა რამე. მას კაბა არ მოსწონდა. არ უნდოდა ისედაც შემკრთალ პატარძლისათვის გული გაეტეხა, მაგრამ ხანშიშესულ დედისაც ერიდებოდა, ნაწილობრივ მისთვისაც უნდა დაეჭირა მხარი.

გულისპირი კარგად გაუკეთებიაო, რომ გაიგონეს, ქალებმა ერთხმად გამოთქვეს აზრი, რომ კაბა საერთოდ კარგია, რომ მისი გახდა ახლა არ ღირს და საჭიროა, რაც შეიძლება ჩქარა მოემზადოს მაყვალა, რადგან მექორწილის ხმა აგერ უკვე წყაროსთან ისმის.

რადაცით გახარებულმა თუ, პირიქით, რადაცით გულნაკლულმა მაყვალამ წინსაფარი ხელიდან გამოსტაცა დეიდას და სასწრაფოდ გაიბრინა გვერდის კარი.

ღეიდა ჯურცხალიასას გაელიმა. სხვებმაც გაიღიმეს.

— ვენაცვალე მაგას, ბავშვია კიდეც, — თქვა ალერსით ვილაყამ.

ისინი ერთად გამოვიდნენ აივანზე, რადგან თმის დასავარცხნად წასული მაყვალა განაპირა ოთახში უნდა ყოფილიყო. ყველას გულით უნდოდა რადაცით დახმარებოდა მას.

მაყვალა სარკის წინ დუხვდათ. შავი თმა ჩამოეშალა და პერანგისამაჩრა იჯდა სკამზე.

— დმერთო კი მომკალი! — შეიცხადა აგრათინამ, — ეს რა გიქნია, შვილო?

— არ მინდა ეს კაბა, ღეიდა, არ ჩავიცვამ, — დამფრთხალი თვალები შეანათა მაყვალამ და ვარდისფერი პერანგის ბოლო შიშველ მუხლებზე ჩააცურა.

ხიბაკუბაკით ასუხულავებულ ოთახში ახლა მარტო დეიდები იყვნენ მასთან. ცნობისმოყვარე ედუკი კარის კრილიდან იჭვრიტებოდა.

— სულ ნუ კი გაბავშვდები, დედა,

ახლა! — ჩაერია უმცროსი დეიდა, ძალზე გამბდარი, მწითური ქალი, რომლის ფეროვან ნოკებსაც ადვილად ემჩნეოდა ქარბად ნახმარი უმარულის ნაკვალევი, — მომეცი ეგ სავარცხელი აქ! ედუკიმ ცხელი უთო შემოარბენინა, ძლივს მოუქებნა ადგილი უწესრიგოდ დაყრილ კალწებთან, ოთხად გაკეცილი საზაფხულო საბანი ტახტის ნაპირზე გადასკიმა და დეიდების შემოტევით დბუნებებულ მაცვალას მიუბრუნდა.

— გულზე და კალთებზე გავუსვამ ცოტას... რომელს იცვამ, გენაცვალე?

— მოიცა, ედუკი, შენ შემოგველე, არ უნდა უთო, ასე ჩავაცემეთ, — რატომღაც ითავილა მხეიძემ და მეზობლის ქალს ზურგი შეაქცია, მაგრამ მაშინვე გამოასწორა: — წყალი მომაწოდე ერთი, ედუკი, ეგ, ეგ, ფატიოთ რომ დგას! გააჩერე, გოგო, თავი, გწიწწის?

— არ მინდა, დეიდა, მე თვითონ დავივარცხნი.

— მაცალე!

— შენი ჭირიმი, მე თვითონ ვიხამ, აქვენ სტუმრებს გახედეთ.

— ამა სავარცხელი, ჩქარა ქენი ოლონდ!

გარეთ ჩოჩქოლი ატყდა. ქალების ჭიგინს ახლა მამაკაცის ხმა შეერია. მაცვალას დაწვებს ატმის ყვავილები დაახნდა სარკეში.

— დეიდა, რა ამბავია? — სარკიდანვე იკითხა მან.

ედუკი ნახევრად ღია კარებში იდგა. მხეიძის მეუღლემ თავი გაანება მაცვალას თმას და კართან ჭიკჭრა.

— სად მოდიხარ, ყმაწვილო, ამა სად მოდიხარ! — შეუტყავებელი სიბრაზით წამოიძახა მან.

ქალებს სიცილი წასკდათ და მხეიძემ ვაკვირებთ გადახედა მათ. რა იყო სასაცილო! მაცვალასაკენ მოიხედა.

ეს უკანასკნელი ისევ სარკის წინ იჯდა, მუხლებზე საშინაო ხელოთი გადაეფარებინა და სიხარულით თვალბვაბრწყინებული ხელით ანიშნებდა ჭაბუკს, წადი, წადიო. მაგრამ, ამ დროს აივანის მოპირდაპირე კუთხეში შეკრე-

ბილი კაცები აქეთ წამოვიდნენ და თავშეშევილი/სერგო წაიყვანეს.

კარი რომ მოიხურა, ედუკიმ უკრთან მიუტანა სახე ელენეს და წასჩურჩულა, მაცვალას დეიდებზე განაწყენებულმა:

— რას იტყვი შენ, ნათლია, ნამდვილი როკაბები არ არიან?

ელენე მიხვდა, რომ სიტყვა ზაქარა მჭედლის ცოლისდებს შეეხებოდა, გულში დაეთანხმა ედუკის, მაგრამ თავის მხრივ არაფერი უთქვამს, არავინ გაიგონოსო.

— ისე მოაქვთ თავი, გენაცვალე, ნათლია, თითქოს აქ ჩვენა ვართ და იქ ერეკლე შედგო. იპ, მაგისტანები მინახავს სწორედ! ჩემი პეტრეა არის მაგისტანების კბილის ჭია! შენ დაანახვე მართო და... წამოდი, ნათლია, გავიაროთ, გენაცვალე, დასხდებიან ახლა.

ელენემ თავაზიანად იუარა, თვალით კი ელედთერს ეძებდა.

— ასე გამოდი, ასე, ნათლია. მე შენ გეტყვი და, თვითონ გაახსენდება ვისმე! მოდი, ნათლია, მოდი... ბეჩა! პეტრეა! აივანზე ოფლში გახვითქული თუ ამ წუთს პირდაბანილი პეტრე იდგა და გრძელი ხელების ქნევით და თვალბების ცეცებით სტუმრებს ეპატიებოდა.

— პეტრეა! — გაიმეორა ედუკიმ, რომელსაც სადღაც გადაკარგული ქმარი ნაშუალამევს აქეთ აღარ ენახა.

პეტრემ ახალა შენიშნა იგი, სტუმრების გაუთავებულ პატიეს თავი გაანება და გულდაგულ აქეთ წამოვიდა.

ელექტრონის შუქზე აბზინებულ ტანსაცმლის დანახვისთანავე ედუკი თვითონ მიეგება მას და, როგორც კი სახელოში ხელი ჩასჭიდა, შეშინებულმა წამოიძახა:

— უიმე, ღმერთო კი მომკალი, სოველი ხარ, ადამიანო?

— სუ, ქალო! — დაუბღვირა პეტრემ.

— რა სუ, პეტრეა, რა, რას მეუბნები, თუ იცი! — თავს ველარ იკავებდა გულგახეთქილი ედუკი, — ამათ ქორწილი გამართონ და მე მკედარი გავიტანო სახლიდან? აი შე არდასაცალე-ბელო, წყალში შეხვედი არა?!

— გაჩუმდი, ქალო, ნუ მკრი თავს! — კბილების ღრუბლით ღერღვედა პეტრე და ყოველნაირი ღონით ცდილობდა როგორმე მოეცილებინა ცოლის ხელები.

— ვაიმე, სიცხე აქვს, მგონია! ამ უღმერთოს, ვაიმე, რაღა ვქნა ახლა! ამა, რა ხეირს დააყრიდა ცივ წყალში ჩასვლა ამ შუა ზამთარში! გაგიგონიათ ეს, გაგიგონიათ ამისთანა ამბავი?! წამოდი, წამოდი, წამოეთრიე სახლში, შე სასიკვდილე, შე მოსასპობო, შე დასამებავო! რამ ჩაგაყენა წყალში, შე ჩემი ცოდვით სავსე, რამ ჩაგაყენა, შე უღმერთო, შენ! არ იცი შენი გვერდების ამბავი?

— გაჩუმდი, ქალო, ჩემს მეტი არავინ ჩასულა წყალში თუ? — მთელი ძალ-ღონით ცდილობდა პეტრე რაიმე ჩაეგონებინა გაკაპახებულ ცოლისათვის, მაგრამ ამაოდ, — პირი მაინც მოკუმე, პირი! — სიმწრით ჩურჩულებდა იგი, — პირი მაინც მოკუმე, ნუ აამყრალე აქაურობა. მოვდივარ, ავერ მოვდივარ, ხომ ხედავ, რომ მოვდივარ, ნუღარ ყვირი ახლა!..

— მე ნუღარ ყვირი, მე? ამა ვინ უნდა იყვიროს, ვინ, შე უღმერთო?! რაღა მეშველება ახლა! ვაცივდი ნამდვილად და ამოვბდებო სული. ან პენიცილინი იყოს, ან... ჩვენ რაღა ვქნათ თუ არა, შენ რა გიჭირს, შე უღმერთო, შენ! შეგაგდეს განა წყალში, შეგასხდნენ ზედ და სათითაოდ გადმოგათრევენეს თავი, ვაი რაღად ვარ ცოცხალი! ვირივით გავიყვანთ-გამოვიყვანთ, მაინც ვერაფერს, მიხედებო, რათა ვარ ცოცხალი! გადმოადგი ფეხი, გადმოადგი ეგ დასამიწებელი ფეხი! თვალებში დაგიბნელდა, არა? ვინ მიშველის ახლა მე, ვინ მიმაცვანძნებს შენს თავს სახლამდე... უშია, უშია, უშია, ბიჭო!..

ეს ის დრო იყო, როდესაც ზაქარას ფართო აივნანი ნელა დაიცალა და დაშენათევი ხალხი მასპინძლის გულისგამკეთებელი სიცილითა და ოხუნჯობით მოუჯდა სუფრას.

სახაბაზოდან ხელახლა გაფიცებული

ხაქაურები გამოჰქონდათ და დერეფანში აწყობდნენ ცალ-ცალკე ფეხებზე.

ეღუკის ქაქანისა და პეტრეს მუდარისათვის ყური არავის უთხოვებია. თავის მოფხანვის დროც არ იყო.

პეტრემ განზრახ ითორია ფეხი კიბეზე. არასგზით არ აპირებდა წასვლას. ემუდარებოდა ეღუკის: კაცს აქამდე ხელი მოვუმართე და მაინცდამაინც ახლა გავეცალო, როცა ყველაზე უფრო საჭირო ვარო? მაგრამ ეღუკემ ქვა ააგდო და თავი შეუშვირა, ქმრის ლათიების გაკონებაც არ უნდოდა. მაშინ ხერხი იხმარა პეტრემ: თუმცა ჩინებულ გუნებაზე იყო, თვითონაც აიფოფრა იმედით, გაღმა შემდავებელს გამოღმა შემრჩებო. ბოლოს მართლა მოუვიდა გული, რადგან ეღუკე თავისსავე მოურიდებლობას წაეთამამებინა და კიბეზე სულ მუჯლუგუნით ჩამოჰყადა ქმარი.

— წადი და იარე, რამდენიც გინდა, მე არსად არ მოვდივარ, ამა! ასე ვიცი მე! — შეჰყვირა მოთმინებიდან გამოულმა პეტრემ.

— წამოდი, კაცო, ირცხვინე, მიიხედ-მოიხედე, ქვეყანა აქ არის, — ხმას დაუწია ეღუკემ.

— სასიტხვილო მე არაფერი მაქვს! წადი, ბავშვებს მიხედე. გათენდება და მიკალ.

— გათენებული არ არის ავერ? სადაც არის, მზე ამოიწვერება.

— მზეს ნუ უყურებ შენ! წადი, სახლს მიხედე. ლალი რა უყავი?

— სახლშია, სძინავს.

— ბიჭი?

— ბიჭი რა ვიცი მე, ავერ ტრიალებდა საღაცა.

— ჩამომეცალე, გენაცვალე, ეღუკე? — გაისმა ამ დროს კიბეზე და წყვილი შტოფით დატვირთული ისაია ჩუბნითვე ხენეშით გაჩერდა, — რანაირად ცურავს მაინც... წამოავლე, პეტრე, ხელი თუ კაცი ხარ, ამ ერთს! რა იყო, ეღუკე, ვინ გაგანაწყენა, ქალო?

— შეხედე ისაია ამას, შეხედე ერთი,

მოდის, მოდი, მოკიდე ხელი! — ისევ გული ამოისკვნა ედუკიმ.

— უჰ! სოველი ხარ, პეტრე!

— ეგენი არიან ახლა ხალხი? მაგათ წამთ ღმერთი?

— გაჩუმდი, აღამიანო, გაჩუმდი, გითხარი ერთხელ! შტოფები კიდევ არის, ისაია?

— შტოფები? შტოფები არ ვიცი მე! მაგათაც კისერი იტეხონ და მაგათმა შტოფებმაც! წამოდი, გამოადგი ფეხი, არ გეყურება შენ! ტანზე მინც გაიშრე...

— მომცილდი, ედუკი, თუარა წამიწყდეს დედის სული თუ... არ ვიცი რას ვიზამ!

— მოიცა, მოიცა, პეტრე, დაუჯერე ამას, საცვალი მინც გამოიცივალე. მომეცი ეგ შტოფი აჰ, მე ავიტან, ანდა რა გითხრა იცი? დადგი, დადგი. წამოდი, მე წაგიყვან კაი ადგილზე. მშვენიერი ტეცხლი ანთია პალატში. აბანოსავით გამთბარია იჭაურობა. კაციშვილი არ არის. შედი და გამოშუშდი გუნებზე-რად. წყალსაც გააცხელებს კაცი, თუ გინდა. კაი აზრი არ არის, ედუკი?

ედუკი აღარაფერს ამბობდა. ახლა ის მორჩილად მისდევდა დაწინაურებულ კაცებს.

მაგრამ ისაიას ნათქვამიდან ყველაფერი სიმაართლე არ გამოდგა. პალატში ღუმელი ენთო, მაგრამ კარის გაღებისთანავე ბავშვების ქრამულმა მიიქცია მათი ყურადღება.

ტყუპებს ცალკე გაეშალათ სუფრა ტოლ-ამხანაგებისათვის. უფროსების წაბაძვით ისინიც ახლა შემოსხდომოდნენ პურმარისს.

ედუკის ეგონა, რომ უშანგისაც ამით-თან დაინახავდა, მაგრამ ის პალატში არ აღმოჩნდა.

დაბალფეხებიან წყვილ ტაბაკთან, გამწვდომად რომ გადაებნათ ერთიმეორისათვის, ზედ კი ორად გაკეცილი ზეწარი გადაფარებინათ, ღუმელის სიმბურვალით სახედაბრაწული ტყუპები, ეგნატეს გვანცა, მინდელის ზურია, ზაქარას შეგირდი ჭიკა, ერთი ლაბაძეების უბნელი ბიჭი და ორიც ქვემოთიდან

ჩამოსული გოგონა იჯდა. ტყუპების დეიდაშვილები.

მარცხენა

პალატში უფროსებმა მსჯელობა დაიწყეს. მაშინვე სულ ერთიანად დაარღვია გოგო-ბიჭების განმარტოებული ლხინი.

— მაღადგე თქვენ! — კარის გაღებისთანავე წამოიძახა პეტრემ, — ქეიფობთ? იყავით, იყავით, მასწავლებელი კი არა ვარ! მე ცოტა უნდა გავსრე. წადი ახლა შენ, ედუკო, პატარა შევშრები და ახლავე ამოვალ. ზაქარას უთხარი, არ შეშინდე, თუ რამე გაგიჭირდეს, აქა ვარ-თქო. ზურია, ბიჭო, ღვინოა მაგ. ბოთლში? წადი, წადი შენ, რალას მიყურებ! დამისხი აბა, ბიჭო, თუ ღვინოა? თაფლის არის, გოგო, თუ ყურძნის? — გამკილაველ მიმართა მან ტყუპებს, — სიმღერა ხომ იცი: „თაფლი თაფლად შევკამოთ, ღვინო — ღვინოდ დავლიოთ“. დამისხი აბა თუ ყურძნის არის? ახლავე მოგახსენებთ მაგას. ამით თქვენ გაგიმარჯოთ. ფერი კარგი აქვს, უყურე შენ! სულ ჭერი აგვეწიოს თქვენს ქორწილში! აუჰ! გამთბარა, ბიჭო, ხომ იცი.

— თაფლია? — შემპარავად ჰკითხა შეთვალწარბა ჭიკამ, რომელიც გოგო-ბიჭებში ყველაზე უფროსი იყო და აქამდე ენაჩაყარდნილივით იჯდა ტაბაკის კუთხეში.

— შენ ვერ მასწავლი მე, თაფლია თუ რალაცა! — არ შეარჩინა პეტრემ, — ანდაზა იცი? ვირს რქები არ ამოუვიდა და ხბოებში გაერიაო?

ტაბაკის გარეშემო დაბუწკულ გოგონებს გულიანად გაეცინათ ამაზე. თავმოყვარე ჭიკა აიღუწა.

— მოცილდი მაგ კუთხეს, შეიდი წელიწადს ქალს არ მოგცემენ! — გამოაჯავრა კიდევ პეტრემ და ყინვისგან ფიცარივით გამეშებული მაზარა გაიხადა. პალატს თვალი მოავლო. ზურგიანსკამს დაეძებდა. როცა მაზარა ჩამოართვეს და საიმედო ალაგას გადაუკიდეს, მან გაღმობირქვავებული კოფა გამოაგდო ტაბაკის ქვემოთიდან და ღუმელთან ზურგშეკცევით დაჯდა.



ტანსაცმელს მალე აუვიდა წყლისა და ოფლის სენი.

აგუზგუზებული ღუმელის სიმხურვალემ ისე მოუღიტინა გულზე პეტრეს, რომ თავი სამოთხეში ეგონა; ყველაფერზე უფრო სასიამოვნო კი ის იყო, რომ შეშა ნელი ცეცხლით იწვოდა და არც თვით ღუმელის გადმონაცეციბიდან, არც თუნუქის მუხლებიდან ბოლი არ გამოდიოდა.

„ძველებურ თავადიშვილივით არ ცხოვრობს ეს ზაქარა მკვდელი, რას ნიშნავს ხელობა!“ — გაიფიქრა პეტრემ და უფრო მოხერხებულად მოეწყო ღუმელთან.

XXXI

შალვა ისე იყო გაციებული, რომ მისი გაბმული ხიხინი ბუნხართანაც კი ისპობდა.

ხათუნამ ოთახი გაათბო. გრილი ნიავი რომ არ შემოჭრილიყო, ზურიას წასვლის შემდეგ კარიც აღარ გამოუღია. მზის ჩასვლისას ცაცხვის ჩაი დაალეგინა აედმყოფს. შალვას ოფლმა დაასხა და სიცხემ ისე შეაწუხა, რომ ხათუნა იძულებული გახდა, ორჯერ ზედიზედ გამოეცვალა მისთვის პერანგი. ხიხინმა მაინც არ გაუარა.

— გტყვა რამე, შვილო? — მალი-მალ ეკითხებოდა ხათუნა.

— აჰა, აჰა, რაღაცა მწიწკნის, — მკერდზე იდებდა ფუნჩულა ხელს სიცხისაგან გათარანებული ბავშვი.

— ნუ გეშინია, დედა შემოგველოს, გთუქვალს.

— არ მეშინია...

— თხის ქონიან ჩაის დალევ? ხიცხიანი შალვა ყველაფერზე თანახმა იყო.

— მაგრამ რომ არა გვაქვს, ბიჭო, თხის ქონი?

— ამა არ დავლევ, დედა... ზურია სად არის? — ეს მერამდენედ ეკითხებოდა ქერში თვალეზაპყრობილი შალიყო.

— დედა მოგიკვდეს შენ, შვილო, ჩე-

მო მალხაზო ბიჭო. რომ არ არის სახლში?

— მალე მოვა?

— მოვა, გენაცვალე, მალე მოვა, ოღონდ შენ კარგად მეყოლე.

— ოჰ! — დიდივით ოხრავდა შალვა.

დალაშქებიდან ორიოდვე საათის შემდეგ ხათუნამ სიცხე გაუზომა. დილანდელთან შედარებით საგრძნობლად მომატებული იყო. თონის სიმხურვალესავით შემოენთო რაღაც ხათუნას სახეს, მაგრამ იმ წამსვე გაუარა, მხოლოდ ოფლის წვეთები დატოვა შუბლზე. ახლაც იმავემ ყრუანტელმა გაურბინა ტანში და კინაღამ თვალი დაუბნელდა.

ყოველ საათში, ყოველ წამს ბავშვი უარესად და უარესად ხდებოდა.

ხათუნა თავის თავს აღარ ჰგავდა. ალბათ არეულად გამოიყურებოდა და იმის შიში აწუხებდა, რომ დედის ამგვარი სახის დანახვაზე ბავშვებისათვის კიდევ უფრო არ გადმოეტრიალებინა გული. ამოდ აწყდებოდა კედლიდან კედელს, ამოდ დაეძებდა რაღაცას, ამოდ იხედებოდა ჩამობნელებულ ეზოში და ცდილობდა თავი მშვიდად დაეკვირა. შინ მაინც არაფერი ჰქონდა ისეთი, რაც ერთბაშად განკურნავდა შალვას, არც ვარედან ელოდა რასმე.

„ნეტავი რა დავმართა, ნეტავი რანაირად გამოცივდა...“ — ტუჩების კვანძით ეკითხებოდა ის თავის თავს და ამ დროს რომ ვისმე შეეხედა, იფიქრებდა, ლოცულობსო. არაფერზე არ დაიხევდა დღეს უკან ხათუნა, არაფერს არ მოერიდებოდა, ოღონდ რაიმეთი დაეხსნა განსაცდელისაგან თავისი აზრიანი, მალხაზი ბიჭი.

ყოველი დიდი გასაჭირის დროს ხათუნას სულის მღრღნელი მერყეობა იპყრობდა. მას არ შეეძლო სწამებოდა ღმერთი, რადგან ბავშვობიდანვე კარგად იცოდა, რომ ეს უკანასკნელი თვალეზადვისილი აღამიანების მოსატყუარი, ამო იმედის იარაღი იყო, მაგრამ ასეთ წუთებში ის ყოველის მხრივ დაეძებდა შველას, მისი აზრი რას არ აწყდებოდა და ისეთივე გულის თრთოლ-

ვით მოელოდა საშიშროებას, რამდენადაც შეეღას. იქნებ მართლა არის ღმერთი, იქნებ მეცნიერებმა კარგად ვერ ამოხსნეს საიდუმლო? იქნებ ყოველივე ის, რაც ჯერ კიდევ ასე ახალგაზრდას გადახდა, მხოლოდ ურწმუნოების გამო იყო, იქნებ კიდევ შეიძლებოდა ამის გამოსყიდვა?

საშიშროების გავლის შემდეგ ის დაუნდობლად კიცხავდა თავს ამგვარი უსაფუძვლო აზრების გამო, მაგრამ როცა მსგავს მდგომარეობაში ხელახლა ჩავარდებოდა, ისევ იმორჩილებდა მერყეობა, ყოველივე ბუნებრივისა და არაბუნებრივის უაზრო შიში.

ამ დროს ის კარგავდა სირცხვილის გრძნობას, იფიქვებდა, რომ ადამიანი იყო და სხვა ადამიანების თვალში შლეგის ან ყოვლად გაუნათლებელი, ცხოვრებაში სრულიად გამოუსვლელი ქალის შთაბეჭდილებას ტოვებდა.

ეს სრულებითაც არ აწუხებდა ხათუნას, თუკი სიტყვა შეიღების ბედობაღს შეეხებოდა. ამიტომ ჩურჩულებდა ახლა იგი ოდნავ გასაგონად, ამიტომ იმეორებდა ერთსა და იმავე სიტყვებს და ცდილობდა სულ სხვა აზრით განემსჭვალა ისინი, სხვანაირად ეფიქრა, სხვანაირად ეაზროვნა, რომ ეს სიტყვები მართლაც დამსგავსებოდნენ ლოცვას...

ბავშვის ლოგინზე ჩამომჯდარი ხარბად დასტკეროდა შალვას სახეს და მალე მძრიან ტილოს უცვლიდა.

პატარას თვალები დახუჭული ჰქონდა, მხოლოდ დროდადრო გაახელდა, რათა დაენახა, დედა აქ იყო თუ წავიდა უკვე.

ხმაგაკმენდილი პავლე ზურგს უკან უჯდა ხათუნას და დამნაშავესავით თავჩაღუნული მოელოდა, რომ აი ახლა დაასაქმებდნენ, შალიკოს სასამოვნო რამეს მოატანინებდნენ, მაგრამ ხათუნას სრულიად დაეიწყინა მისი არსებობა, რადგან სახეწამოფიცებელი შალვას მერც ვერაფერს ხედავდა.

— შალვა, შალიკო, შეილო... — ჩასახოდა ბავშვს ხათუნა და მის სასთუ-

მალზე იხრებოდა.

— რა? — მხოლოდ ტუჩების მოძრაობით პასუხობდა პეტრე.

— თვალები გაახილე, ჩემო მალხაზო ბიჭო, შემომხედე ერთი!

შალვამ ვაკირვებით გაახილა თვალები და დედას გაუსწორა. სათუთ ტუჩებზე ლიმილი მოერია.

— მოვიდა?

და ისევ დახუჭა.

ეს ცუდად ენიშნა ხათუნას და კინაღამ ამოხეთქა გულიდან საზარელმა ქვითინმა, მაგრამ ვაკირვებით სძლია თავს, მთელი სხეულით აკანკალებული წამოღდა და ლამპას დაუწია, რადგან შუქი პირდაპირ თვალებში ეჩხირებოდა ბავშვს.

— ექიმი გვინდა! — რაღაც უჩვეულო ხმით ამოიხრიალა მან და ახლავდა მოვიდა გონს, რომ ოთახში მარტო არ იყო, საღღაც პავლე იდგა.

დედის ხმა რომ მოესმა, პავლე უმალვე წამოხტა ზეზე და რადგანაც ხმის ამოღების უნარი მასაც წართმეული ჰქონდა, ისევ თავჩაღუნული გაჩერდა შუა ოთახში.

ხათუნამ თვალი შეასწრო მას, ფეხაკრფით მიუახლოვდა, ხელი მოჰხვია და ახლა კი წასკდა ქვითინი.

— დედა! — გაისმა მისუსტებულ ხმა ოთახში.

ხათუნა გამოერკვა. შალვას თვალები გაეხილა და მათ უყურებდა.

— რა იყო, დედის სიხარულო, რა იყო, შენი ჭირიმე...

— დაჯექი აქ!

— ა, გენაცვალე, აგერ ვარ, შენთან ვარ, აგერ ვარ, შენ შემოგველოს ჩემი სიცოცხლე, ჩემო კარგო ბიჭო, ჩემო მალხაზო ბიჭო...

— დედა... პავლე სად მიდის?

მთელ ქვეყნიერებაზე შემომწყრალივით მოღუშულ პავლეს პალტო ჩაეცვა და ქუდს დაეძებდა.

— სად მიდიხარ, პალიკო, დედა? — წამოიძახა ხათუნამ და უცებ ვერც კი მოიგონა, რომ ამ ერთი წუთის წინ თე-

თონვე ახსენებდა ექიმს.

— წავალ, მოვიყვან, — ზურასავით თავდაჯერებით მიუგო პავლემ და ქუდი დაიხურა.

— მერე სად უნდა ნახო, შეილო, შენ რა იცი... — დაიბნა ხათუნა.

კარი გაიღო და მოიხურა. ოთახში წამით შემოიჭრა თოვლის ჯანსაღი სიგრილე.

— წავიდა? — თვალების გაუხელებლად იკითხა შალიკომ.

— წავიდა, შეილო. ახლაც მოვა. ზურას მოვიყვანს.

— კარგი...

შალვამ თვალები დახუჭა და მისი პაწაწა მხრები მოწყვეტით გაიშალა ქათქათა ბალიშზე.

ხათუნამ ფრთხილად შეუსწორა საბანი. შუბლზე აკოცა.

ორიოდე წუთის შემდეგ ოთახში ხინთან შერეული აჩქარებული ფშვინვა ისმოდა.

შალიკოს ეძინა.

ხათუნა მცირე ხანს კიდევ იჯდა ლოჯინზე. მერე წამოდგა. ოპ, როგორ ემტვრეოდა ძვლები, რა უღეთოდ დაღლილი იყო!

ძილი უებარი წამალია. არ შეიძლება უკეთესობა არ დაეტყოს გამოძინების შემდეგ. სულ ამის ეშინოდა ხათუნას, სულ ამის ვერ გადარჩა მოსახდენს, მაინც გაუხდა ავად, დაენაცვლოს ამას დედის სიცოცხლე!

ოთახში სულისშემხუთველი სიციხეა. იქნებ ჯობდეს რიკლედ გამოაღოს კარი, პაერი გაიწმინდება...

ამ განზრახვით ის საწოლს მოცილდა და კარისკენ წავიდა.

უმთვარო ღამე გადავიწყებული ნაცნობივით შემოხვდა დერეფანში.

კარიდან გამოჭრილ ვიწრო შუქზე, რომელიც მოგრძო ოთხკუთხედად ეფინებოდა ჭიშკრის მხარეზე გატანილ ბილიკს, გარკვევით მოჩანდა ამ წუთს გავლილი პავლეს პატარა ნაფხურები.

ხათუნამ თვალი გააყოლა მათ. ნაფხურები სიბნელეში იკარგებოდნენ. ხათუნას მოულოდნელი შიში შეეპარა.

გულში. პავლე სულ პატარაობიდანვე მფრთხალი ბავშვი იყო. დაჭირდებოდა შემდეგ დერეფანში არ გამოგვეჩვენებოდა. რამ გააბედვინა ახლა ამოდენა გზაზე მარტომარტო წასვლა! რაც უფრო მეტს ფიქრობდა ახლა ამის გარშემო ხათუნა, შემოჩენილი შიში მით უფრო უძლიერდებოდა. „მგელი იცის?“ — გაახსენდა მას პავლეს იმდღევანდელი შეკითხვა, სადგურიდან რომ მოდიოდნენ. ვინ იცის, სად წავიდა ბავშვი, სად უნდა მოქებნოს ექიმი! იქნება ვინმემ მიახწავლოს და ზაქარა მკედელს მიადგეს კარზე? იქ ხომ ქორწილია ამაღამ... იქნებ წიფლისწყაროს გზას დაადგეს და... „ვთქვით, ეს რა დამემართა!“ — წამოიძახა მან და თითქოს თვალწინ რაღაც საშინელება დაუდგაო, ოთახში შევარდა, შალს ხელი წამოავლო, მერე საწოლთან მიიბრინა გულგახეთქილმა, სუნთქვა შეიკრა და ყური მიუგდო ბავშვის აჩქარებულ ფშვინვას.

თუმცა მოუსვენრად, მაგრამ შალვას მაინც ეძინა.

ხათუნა კი არ მიდიოდა, მიჰქროდა, თითქოს ფეხსაც არ აკარებდა მიწაზე. დალილობა, რომელმაც ამ ცოტა ხნის წინ ისე მწვავედ აგრძობინა თავი, სრულიად გაქრობდა. ის ახლა შეუპოვარი და ძლიერი იყო. ნადირიც რომ შემოპყროდა გზაზე, იმასაც არ შეეპუებოდა, თავისი ჯავრით გამხეცებული შეუბრალებლად დაფლეთდა ლუკმა-ლუკმა.

კარგა ხანს იარა მან ასე. ბილიკს მისდევდა. ცა მოღრუბლული იყო და აჭაიქ მოკიაფე, პირბადეშემოხვეული ვარსკვლავების შუქზე გაჭირვებით არჩევდა მის წინ გავლილი ადამიანის კვალს.

„დედა მოგიკვდეს შენ, შეილო, დედა დაგიმიწდეს, რაზე ვერ მოვიფიქრე, აზრი რატომ ვერ ვატანე თავიდან, — ახლა პავლეს ესიყვარულებოდა გულში, — სად გაგიშვი, სად ჯანაბაში, მე უბედურმა...“

სილოსის კოშკს არც კი იყო მიახლოებული, ბილიკზე ადამიანი დაინახა. ადამიანი შავად მოჩანდა თოვლის ფონ-

ზე. ხათუნას ისევ ცივმა ყრუანტელმა დაუარა ტანში. შეჩერდა, თუმცა დარწმუნებული იყო, რომ პავლეს წამოეწია და ორჯერ ზედიზედ დაიძახა:

— პალიკო!

ადამიანი ხმა არ გასცა.

ხათუნას მოეჩვენა, რომ ის ადგილიდან არ იძვროდა. არა, პავლე არ იყო... მაგრამ იმედი იმან გაუღვიძა, რომ ეს რომელიმე აქური იქნებოდა და ამ შავ ღლეში დახმარების ხელს გამოუწვდიდა.

— კაცო, რომელი ხარ, ხმას რატომ არ იღებ? — ახლა ეს გასძახა ხათუნამ და კისერზე მოგდებული შალი უფრო მაგრად შემოიჭირა.

— მოდი ახლოს და გეტყვი! — მოესმა მას პასუხად.

ხათუნა ერთი გადაწყვეტილებით დაიძრა ადგილიდან: ვინც არ უნდა ყოფილიყო ეს კაცი, დაუყოვნებლივ გაეგზავნა. პავლეს დასაბრუნებლად და ექიმის მოსაყვანად. მისი ხმა ემცანურა, მაგრამ ვერ მოეგონებინა ვინ იყო: რამდენ ვინმეს იცნობდა იგი სოფელში და სოფლის გარეთ, ყველას ხმა და ლაპარაკის კილო ზომ არ ემახსოვრებოდა!

— სალამო მშვიდობისა, ხათუნა, საით მოგეჩქარება? — მოესმა მას ბილიკზე გაჩერებული მამაკაცის ხმა, როცა საუბრის მანძილზე მიუახლოვდა.

ხათუნას სისხლი გაუყინა მოულოდნელობისაგან და ახალა გაახსენდა ის სიტყვები, პეტრე მიროტაემ რომ ამ საღამოს იბოდილა.

— პორფილე ხარ?.. აქ რა გინდა ამისთანა დროს! — თითქმის ყვირილით წამოცდა მას, თუმცა ადრე აღთქმა ჭონდა მიცემული თავისთავისათვის, რომ ეს კაცი სახელით არასოდეს მოეხსენებინა.

— ჩემს სიძეს დღეს არაფერი უთქვამს შენთვის?

— მე არავის სიძეს არ ვიცნობ, პორფილე. გზიდან ჩამომეცალე! მე ჩემი გაჭირვება მყოფნის.

— პეტრეს არ იცნობ, პეპინას?

— გამოივი, პორფილე, სანამ ვიკივლებდე და ქვეყანას შეეყრიდე!

— შენ არ დაგიბარებია ამოღამ მოვიდესო?

— გამოივი!

მამაკაცს ხმაზე ეტყობოდა, რომ ილიმებოდა.

— მოიცა, რაკი დაგვიანება არის, დაგვიანება იყოს, ქორწილზე მისვლას მოესწრები.

ხათუნა ცახცახებდა და ახლა თავის სიცოცხლეში პირველად გრძნობდა, რომ უძლური იყო. რა თავგამეტებით ეძგერებოდა ახლა ამ არა ადამიანს, რა უმოწყალოდ გამოლადრავდა ყელს კბილებით...

ამის გაფიქრებამ მას ძალა შეჰმატა. ნაბიჯი გადადგა წინ და ბილიკზე ჩამომდგარ ვეკაცს მთელი ძალღონით უბიძგა მკერდზე. დარტყმა იმდენად ძლიერი აღმოჩნდა, რომ პორფილე შეტორტმანდა, მარჯვენა ფეხი გადაუვარდა ბილიკიდან, მაგრამ მალე მოიკრიბა თვითონაც ღონე და გაჯეგვილ ბილიკზე სვეტივით აღიმართა.

— ძალაზე ხარ? ძალაში მეჯიბრები? — ბრახით ამომარცვლა მან, ხათუნას მარცხენა ხელში ხელი ჩაავლო და გადაუგრიხა.

ქალის გააფთრებას საზღვარი აღარ ჰქონდა. თვალის დახამხამებაში შემოტრიალდა და კბილებით ჩააფრინდა რკინასავით მაგარ მკლავს, მაგრამ პორფილემ დაასწრო, მარცხენა ხელი ამოკერა ნიკაში და გააფრთხილა:

— არ გაბედო!

ხათუნამ დაიკვნესა ტკივილისაგან და ერთბაშად მოსწლტა.

— რა მოგივიდა, ტირილი ამოუშვი? — ახლა შიგ ყურისძირში ჩასძახა. პორფილემ და მოგრეხილ ხელს ოდნავ მოუფრთხა.

თავის უმწეობასა და უღონობაში დარწმუნებულ ხათუნას ლაპალუპით ჩამოსდიოდა ცრემლები და ოდნავ გასაგონი სლუკუნით ტირიოდა.

პორფილემ მისი მკლავი გაანთავისუფლა და ახლა მხრებში ჩასჭიდა ქვასავით მაგარი ხელები.

— შენ ჩემი ცოლობა არ ინდომე.

ხომ? — ჩურჩულებდა იგი, — ჩემი საყვარელი იქნები!

— მანამდე მიწაც გამისკდება! — ძლივს ამოაყოლა ქვეთინს ხათუნამ და ერთხელ კიდევ სცადა თავის განთავისუფლება, მაგრამ ვაჟკაცის ღონიერი ხელები მაგრად იჭერდნენ მას.

— ჩემი საყვარელი იქნები, გესმის? არ იქნები და არ გაცოცხლებ იცოდლე!

— ახლავე მომკალი, თუ გინდა! — საკინძე ჩამოიგლიჯა ხათუნამ და გამხეცებულ კაცს აღზნებული სახე შეანათა თვალებში. „მაგრამ პაეღე?“ — გაუელვა მას ამ დროს და ღონემიხდილმა ხვეწნით მიმართა: — გამიშვი!..

— გაგიშვა? სად უნდა გაგიშვა! ახლავე მითხარი პასუხი თუ არა ან მე ვიქნები და ან შენ!

— გამიშვი, პორფილე, გამიშვი თუ ადამიანი ხარ, — მუდარაზე გადავიდა ხათუნა, რომელსაც ცრემლები აღჩიობდა, — გამიშვი თუ ადამიანობის გწამს რამე. ბავშვი დავტოვე მომაკვდავი, სიცხიანი... გამიშვი და მეც ვეცდები... — აღარც კი ესმოდა რას ლულულებდა ჯავრისაგან გატეხილი ქალი და ადამიანს, რომელიც დაუძინებელ მტრად და თავისი ოჯახური მყუდროების ერთადერთ დამრღვევად მიაჩნდა, ერთი წუთის წინანდელი შურისძიების მაგიერ სასოებით შეჰყურებდა სახეში.

ეტყობოდა, ამ წუთში გაგონილმა სიტყვებმა გული მოუღობა პორფილე ჩინჩალაძეს, მაგრამ ქალს მაინც გამოჰმცდელად ჩააცქერდა თვალებში, ხომ არ მატყუებდა.

ხათუნა სუსტი და შესაბრაღისი იყო. პორფილე მიხვდა, რომ ქალს, რომელიც ახლა ხელთ ეპყრა, მართლა დიდი ვასაკირი ადგა თავზე და მრავალ დათმობაზე შეეძლო წასვლა. ერთმა გულმა ის უთხრა, რომ უხეირო დროს მოუხდა მასთან ლაპარაკი, მეორეს მხრივ კი მკაყოფილი იყო: რომ ქალის ეს ვასაკირი არა, მას გაუძნელდებოდა ამ უკანასკნელის დამორჩილება.

მოდუნებული, მთლიანად ძალაგამოლეული, ამაყი ხათუნა, თავზე რომ ბუ-

ზსაც არ იფრენდა, ახლა სამსხვერპლო თიკანსა ჰგავდა. იგი სრულებითაც აღარ იყო ახლა საშიში. პორფილე იმეფებდა შეიღებდა თავს, რომ ასე იყო თუ ისე, გულში ამოჭრილი წადილი ბოლოს და ბოლოს მაინც უსრულებოდა.

პორფილემ კარგად იცოდა, რომ ხათუნა სიტყვის ქალი იყო, მაგრამ მართო მშრალ დაპირებას ვერ ერწმუნა.

— მე შენი მტერი. არა ვარ, ხათუნა, — მშვიდად წარმოსთქვა მან, — არც ისეა საქმე, შენ რომ გგონია. კიდევ გაგიშვებ და კიდევ ყველაფერი. ნუ გეშინია, მე თვითონ წავალ და წამალს გამოგიგზავნი თუ ავად გყავს ვინმე. დაბრუნდი ახლა. მისი ჯავრი ნუ ვეჭნება.

— ექიმი, ექიმი! — უანგარიშოდ წამოაბოდა ხათუნას, როგორც კი ნუგეშის სიტყვა გაიგონა: — მიშველე რამე, პორფილე... შენს ვალში ვეღარ ამოვალ.

— ჩემი ვალი ისეც გაქვს, ხომ იცი!

— ვალი მაქვს? ვაი შენ ჩემო თავო! წადი, წადი!

— სერგო არ მოსულა ჯერ ხომ იცი.

— გამიშვი! არაფერი არ მინდა შენი. მე ჩემი ფეხით მივალ და წამოვიყვან.

— მოიცა, სად მიდიხარ? მე წავალ. თუ მოსულია, წამოვა, თუ არა და, წიფლისწყაროდან გამოგიგზავნი ექიმს.

ამ სიტყვებზე ორივე ხელი მარწუხებივით შემოაჭდო პორფილემ ხათუნას და მთელი ძალით მიიხუტა ქალის მკერდი. ეს დიდი ხნის ოცნება იყო.

ხათუნას სული შეუგუბდა, ხმამაღლა სუნთქავდა და დაფეთებული თეთრი თვალებით შეჰყურებდა კაცს, რომლის მტკიცე ხელსაც ახლა მაგრად ეჭირა მისი და მისი შეიღების ბედ-იღბალი.

— ხვალ ამ დროს ზვინებთან გამოხვალ, გესმის? — ჩურჩულებდა პორფილე და თავის მაგარ ხელს უსვამდა ქალის მხრებსა და თეძოებს, — გამოხვალ?

ხათუნას უნდოდა ეპასუხა, მაგრამ ჰაერი აღარ ჰყოფნიდა.

— გამოხვალ, ხომ? — ზედიზედ იმეორებდა პორფილე.

ზიზლით და რალაც შეუცნობი ტკივილით დამბლადაცემულ ხათუნას ლაპარაკი აღარ შეეძლო, ძლივს გასაგონადლა ლულულუღებდა:

— მოვალ... წადი... მიშველე...

ქალი რომ მოეშვა, პორფილე ერთბაშად გამოერყვა და მიხვდა, რომ ის გონებას ჰკარგავდა. სახე გადაუწია და გაწამებულ თვალებში ჩაჰხედა.

ხათუნას ერთი ნაკვითი არ უთრთოდა. ის უკვე აღარ იყო გრძნობაზე. პორფილემ შიშით მიიხედა-მოიხედა, ეს იჯანჭორი ხელში არ შემომაკვდესო, და როცა ირგვლივ მდუმარე ზეინებისა და სოფლის შორეული სინათლეების მეტი ვერაფერი დაინახა, მარჯვენა ხელი მოინაცვლა და გულწასული ქალი ფრთხილად დააწვინა თოვლზე.

დიდხანს ასულიერებდა პორფილე ხათუნას, დიდხანს უსრისავდა ყელსა და ყვრიმალეებს თოვლით.

ქალი გაუნძრევლად იწვა ბილიკზე და სიცოცხლის ნიშანწყალსაც არ ამოვლენებდა.

პორფილემ მაჯა გაუსინჯა, კიდევ კარგა ხანს ეჭირა ხელში...

ახლა საჭირო იყო პეტრე მიროტაძის მოძებნა და როგორმე ჩაგონება, რომ მას თავიდან ამოვედო პორფილეს და მინდელის ქვრივის დღევანდელი შეხვედრის ამბავი. ძნელი იქნებოდა პეპიჩას ენის მქონე კაცისათვის, მაგრამ მას პორფილეს გულისათვის უნდა ექნა ეს. ცოტა ამაგი ახსოვდა?

პორფილემ იმედი გადაწყვიტა. ბევრი ეცადა, მაგრამ მაინც ვერ იგრძნო ქალის მაჯისცემა. მაშინ მისი ცივი ხელი ფრთხილად დაუშვა თოვლზე და წამოიღგა. საით წასულიყო ახლა, უკან, წიფლისწყაროსაკენ თუ, ვითომც აქ არაფერი, შეგვიანებულ მეჭორწილეს გასდგომოდა? არა, ერთხელ კიდევ უნდა გასინჯოს, უნდა დარწმუნდეს, სული უდგას თუ არა. ეს რა ყოფილა, ეს რა დამთხვეული ვინმე ყოფილა! მთავრობა ასე არ დატოვებს ამ ამბავს, მთელ ქვეყანას გადააქოთებენ, სპირიდონსაც

აბოვნიან, ეკასაც, მის აქ მნახველსაც ბევრს მიაგნებენ საკაურომეცნიერულში

ჩაიჩოქა, ქალს ხელი მთხვრის მხრებზე და ოდნავ წამოსწია.

ხათუნას თავშალი გადაუფარდა, თმა ჩამოეშალა.

პორფილე ხარბად აცქერდებოდა ამ სახეს, რომელიც ასე ახლო არასოდეს არ ენახა. ჩამოფხრეწილი საკინძე კიდევ უფრო გაუხსნა, ქალი მუხლზე გადაიწვინა და ახლა გაშიშვლებულ მკერდზე დაადო ყური. უცებ მოეჩვენა, რომ ხათუნამ ამოიკვნესა, შეინძრა.

პორფილეს ცეცხლი მოეკიდა. ახლა მას შერცხვა. უნდოდა როგორმე მოესწრო ადგომა, სანამ ქალი თვალს გაახვლდა, თუკი მისი კვნესა მართლაც მოჩვენება არ იყო. წელანდებურად ფრთხილად დააწვინა, თავშალი მოუძებნა, დაახვია და გაშლილი თმის ქვეშ ამოუღო. ახლა აშკარად გრძნობდა, რომ ის სუნთქავდა. ალბათ საკინძის გახსნამ უშველა. მტრისას, რომ ვინმე წამოესწროს ახლა! არ დაინდობენ საკაურელები, პო, რა ჰქონდა კიდევ გასავეთებელი? მგონი რალაც უნდა ეთქვა, მაგრამ პასუხის მოფიქრებისათვის აღარ დაუტედა. პალტოს განიერი საყვლო აიწია, ქული ყურებამდე ჩამოიფხატა, ერთხელ კიდევ მოიხედა თოვლზე უძრავად შწორარე ქალისაკენ და ფეხბარეფით, რის საშუალებასაც კი მოსრიალებული ბილიკი აძლევდა, გასცილდა იქაურობას.

პორფილემ კარგა ხანს იარა ბილიკით გადასერილ უკაცრიელ ყანაში, ფერმის ბოსლებთან გავლისას ფრთხილად გააპარა თვალი სუსტად განათებულ მოგრო სარკმელებისაკენ და, როცა ადამიანის სიახლოვის ნიშანწყალი ვერსად შენიშნა, გულზე მოეშვა და უფრო გაბედულად განაგრძო გზა.

XXXII

ხათუნამ ერთბაშად იგრძნო საშინელი სიცივე. დაფეთებულმა გაახილა თვალები, რადგან მოეჩვენა, საბანი შალ-

ვასაც გადახდილი ექნებოდა და, როგორც კი ხელი მის მოსაძებნად გაიწვდინა, შიშისაგან კინალამ ხელახლა წაერთვა გრძნობა.

უმთვარო ღამის ყიამეთში ის მარტომარტო იწვა თოვლზე და ზემოდან ტყვიისფერი ღრუბლებით შუბლშემოხვეული, საოცრად დადაბლებული ცა დაჰყურებდა.

აქა-იქ კიაფობდნენ შუქმილუული ვარსკვლავები.

რეგრავი იყო.

რა მოხდა? რა უნდა აქ?

ის არ განძრეულა. შიშისაგან თავზარდაცემული მესხიერებას ძაბავდა იმის ვასაგებად, თუ სად იყო და რა მოხდა. გზაზე მიდიოდა... გამალებით მისდევდა კვალს... რას მისდევდა? ჰლ, ეს კვალი იყო... პაველე ექიმის მოსაყვანად წავიდა. ექიმი? შალიკო... შალიკო ავად არის! „ვაიმე, შევიღებო!“ მერე იმას რა უნდა აქ, რად წევს თოვლზე? შალიკო ავად არის... პაველე ექიმის მოსაყვანად წავიდა... ის ერთბაშად შესწარა ამ ორიოდ სიტყვაში ჩაქსოვილმა საშინელებამ და მთელი ძალით წამოიწია, მაგრამ წელის ტკივილმა ისევ წელანდებურად მიაკრა მიწას. აღბათ ფეხი აუცურდა ბილიკზე და დაეცა... დაეცემისას გრძნობა დაუკარგავს. მაგრამ როდის მოხდა ეს? ხელახლა წამოიწია და თუმცა წელის ტკივილი ისევ უკან ეზიდებოდა, გაჭირვებით წამოიჩოქა. სად არის სახლი... ეს რა ადგილია?

სახეზე სუსხი სცემდა: კეფაში რაღაც წიწკნიდა და ახლა ველარ გაეგო, სიცივის ბრალი იყო ეს, თუ მართლაც წიწკნიდა ვიღაც თმას. თავზე ხელი მოისვა. დახვეული თავშალი ბილიკზე ეგდო, ძლივს ააგლიჯა თოვლს. თავი სდებოდა ზედ... და აქ მას მყისვე გაახსენდა ყველაფერი. პორფილე ჩინჩალაძესთან შეხვედრა... ხელის გადაგრება... რაღაც სიტყვები... ნუთუ მართლა უღალატა ღონემ და გული წაუვიდა?

ის ბარბაცით მიდიოდა ბილიკზე და ცდილობდა თანმიმდევრულად მოეგო-

ნებინა ყველაფერი. პორფილე იყო... მერე?

სიარული უჭირდა. გაბრუნებული ფეხები არ ემორჩილებოდა, სახსრებში მოწყვეტილნი ყოველ გადაღმამზე ჩხვლეტდნენ მთელ სხეულს და ხათუნა ამითლა გრძნობდა, რომ ისევ ფეხზე იდგა. რაღაც ეწეოდა ძირს, დიდი სიმძიმით ეწეოდა რაღაც. იქნებ სადმე დამჯდარიყო და ძალა მოეკრიბა? არა, ცოტას გაივლის კიდევ და იქ... აი, სინათლე ჩანს.

— პალიკო! — დააპირა მან დაძახება, მაგრამ ძახილის მაგიერად სუსტი ხრიალი აღმოხდა. ნუთუ ხმაც გაყინული აქვს? ეგერ სინათლეა... ოც ნაბიჯზე. თავს ძალა დაატანა და ერთხელ კიდევ დაიძახა, მაგრამ ამჯერად გულიდან ისეთი საზარელი, თითქმის ცხოველური კივილი აღმოხდა, რომ თვითონვე შესწარა თავისმა ხმამ.

მაგრამ ის წავიდა? ის ხომ აქ იყო? იქნებ იმ ზვინებთანაა ჩასაფრებული და უცდის სანამ ხათუნა თავისი ფეხით მივიდოდეს. ახლა იგი გრძნობდა, რომ წარმოუდგენლად შეუარაცხოვლი იყო, ისე, როგორც არასოდეს, მაგრამ აღარ ახსოვდა, როგორ მოხდა ეს. პორფილემ ხელი გადაუგრიხა, მგონი მოგზავია კიდევ... აქ ბილიკი ორად იყოფა ერთი ტოტი ფერმისაკენ მიდის, მეორე სამჭედლოსაკენ. აქეთ რად წამოვიდა! ის ხომ შინ უნდა წასულიყო. ირგვლივ სიწყნარეა, არაფერ არ ჩანს. ჯოგის ნაგაზებსაც კი ჩასძინებით, ოღონდ შუაუბნიდან მოისმის გაბმული სიმღერა. მთელი უბანი ლამპონებით გაუჩირადდნებით. აღბათ დიდი ნადიმია ზაჭარასას, მთელი სოფელი იქ არის. ირგვლივ მშვიდად, უწყინრად გამოიყურება ყველაფერი. თეთრი ღრუბლები ნელა მისცურავენ გარეგარეის პირველი ათინათით შეფერადებულ ცაზე. შორს, ძალზე შორს ციმციმებენ ფერგამკრთალი წვრილი ვარსკვლავები. მდუმარე ბუნება უმნიშვნელო ფიორითაც არ ეხმაურება ხათუნას გულს. ყველაფერს სიდიადისა და სიმშვიდის იერი გა-

დაკრავს, თითქოს ამ კაცმრავალ, უზარ-
მაზარ ქვეყანაზე არაფერიც არ მომხდა-
რიყოს.

ხათუნას რაღაც თბილი დაეცა ხელ-
ზე და მყისვე ზედ დაიხედა. ეს თბილი
ობლად ჩამოგორებული ცრემლი იყო.
თავისივე ცრემლის დანახვამ ის ქვეყა-
ნაზე დააბრუნა. შალი საიმედოდ შე-
მოიხვია, მის თავისუფალ ბოლოში ხე-
ლები შეიფუთნა, ერთხელ კიდევ გაი-
ხედა იმ მზარეს, საიდანაც პავლე უნდა
გამოჩენილიყო, მაგრამ შინ უპატრო-
ნოდ მიტოვებული შალვას გახსენებამ
მის თვალში ერთბაშად დაჰფარა ყვე-
ლაფერი და მგლური ნაბიჯით გაუდგა
წუთის წინ გამოვლილ გზას.

ეზოს ჭიშკარი, აედარში რომ ძლივს
იხურებოდა, გაჭირვებით შეაღო და
სულმოუთქმელი სირბილით გაიარა ის
მანძილი, რომელიც ჭიშკარს ქოხისაგან
ამორებდა.

კარი ისევ რიკლედ იყო ღია, რო-
გორც დატოვა. ოთახიდან გამოჭრილი
მოგრძო, ოთხკუთხა შუქი ვიწრო ზო-
ლად ეფინებოდა ალაგ და ალაგ დალა-
ქავებულ თოვლს.

ფეხები არც კი დაუბღერტია, ისე
შეიხედა ოთახში.

სიწყნარე სუფევდა. ბუხარში კენძი
დანაკვევრცხებულიყო და განჯინის ე-
დლისათვის წითელი სინათლე მიეფინა.

ხათუნამ სველი ფეხსაცმელები გაი-
ხადა და უხმაუროდ მიიჭრა ლოგინთან.

შალვას ოდნავ ეცვალა გვერდი. სახე
კედლისაკენ მიებრუნებინა. ეძინა, ისევ
ეძინა. სახე მშვიდი ჰქონდა. ვარდისფე-
რი ტუჩები ამობურცვოდა, თითქო ვის-
მე გაჰბუტვიაო.

ხათუნამ მიკარება ვერ გაბედა, მხო-
ლოდ საბანი შეუწია გადელილი
ილღის ქვეშ. სულ იმის გულისკანკალი
ჰქონდა, ცივი ხელის ხლებით უნებ-
ლით არ გამოვადღებოო. რატომღაც
ევგონა, რომ ოთახში კიდევ იყო ვიღაც.
თავის მოუბრუნებლად მოავლო თვალი
იქაურობას, მაგრამ აულაგებელი მიგი-
დის, ზურბას აშლილი საწოლის და
ლერწმის გამირზე გადაკიდებული თა-

ვისი ძველი პალტოს მეტი ვერაფერი
დაინახა.

„მგონია მეშველოს, მგონია ვერ გამ-
წიროს ბედმა!“ — წარმოთქვა მან და
სახით დაემხო საწოლზე გაშლილი საბ-
ნის იმ ნაწილს, რომლის ახლოს პატარა
შალიკოს ფეხები უნდა ყოფილიყო. ის
დიდხანს იყო ასე საბანში თავწარგული.
ბიკუნას მხრიდან რაღაც ნაცნობი,
ახლობელი სურნელი სცემდა. ეს შალ-
ვას ვარდისფერი ტუჩების, მისი ფუნ-
ჩულა მკლავების და რბილი მკერდის
სუნი იყო, რომლის შეგრძნობა ყოველ-
თვის თავდავიწყებაში აგდებდა ხათუ-
ნას. ახლა მას ის განწყობილება ეუფ-
ლებოდა, რომელიც სიხმარში გაიყრობს
აღამიანს, ფრთები რომ გამოაგესხმის და
შენ სიცოცხლეში პირველად სწყდები
მიწის პირს... მაგრამ ეს წუთიერი ნეტა-
რება დიდხანს არ გაგრძელებულა. ის
ლოგინიდან წამოაგდო სრულიად გან-
სხვავებულმა გრძნობამ, თითქოს უკანი-
დან ვიღაც მიჰპარვოდეს და ხელახლა
გადაეგრინოს მისთვის ხელი.

ფრთხილად წამოღდა ლოგინიდან,
მთელი ოთახი ფეხისწვერებზე გაიარა
და კარი მიხურა.

ეს მერამდენე დღეა, განჯინის ქვედა
უჯრაში, თეთრეულის ქვეშ ხათუნას
ათჯერ გადანასკული შეკვრა ჰქონდა
შენახული. გულმოდგინედ უმაღავდა
მას პატარებს. ყველაზე მეტად ზურბას
შიში ჰქონდა, ვითუ ან ის წასწყდომო-
და პერანგის ან პირსახოცის ამოღები-
სას, ანდა იქნებ პავლეს ამოეთრია უჯ-
რიდან და გაკვირვებული მოსდგომოდა
ხათუნას, ვისია, დედა, ამდენი ფუ-
ლიო...

ხათუნა აჩქარდა.

ეს, ეს ოხრის საქონელი ღდესვე უნ-
და გაექრო აქედან, ან დაეწვა, ან ჩაე-
მარხა ხაღმე, ან რაღაც სხვა რამ ელონა.
ეს ჩქარა უნდა მომხდარიყო, სასწრა-
ფოდ, სანამ ზურბა და პავლე დაბრუნ-
დებოდნენ...

ის ხელახლა მივარდა კარს, ურდუ-
ლით გადაეკტა და განჯინის უჯრა
ძლივსძლიობით გამოსწია. როცა თეთ-

რეულის ქვეშ შეკვრას ეძებდა, ორჯერ თუ სამჯერ გაექცა თვალი კარისაკენ, თითქო იმაშია არ იყო დარწმუნებული, საიმიდოდ იყრ დაკეტილი იგი თუ არა.

შეკვრა იმავე ადგილას დაუხვდა, სადაც ეგულვებოდა და ამან ოდნავ დაამშვიდა. გაახსენდა, რომ გაზეთის ქვეშ პირველი სამი ასმანეთიანი შავ ტალახში იყო ამოსვრილი. არა, მან ამათ არ უნდა დახედოს, არა, ასევე გაუხსენლად უნდა გააქროს ამ წამშივე.

ბუხარში საამო წიწკინით იღველფებოდა ჯირკი. ახლად შეყრილ ნაფოტებს შემპარავი ტაკუნით ედებოდა ალი.

ხათუნამ შეკვრა ჩაბლუჯა და ბუხარს მიუახლოვდა. პირდაპირ ასე შეაგდოს ცეცხლში, გაუხსნელად? მერე რომ არ მოეკიდოს? არა, გახსნა სჯობს, სათითაოდ... თუმცა ეს ამბავი მთელ საათს გასტანს...

პირველი წყება ამოიღო და ფრთხილად მიიტანა აპარალბებულ ნაკვერცხლებთან.

შვი ტალახით მოსვრილმა კიდემ სწრაფად იწყო გაყვითლება, მერე ეს ფერიც ეცვალა და გამოჩნდა დანაკვერცხლებული ქალღლის ვიწრო ზოლი. ტრუსის სუნი ეცა, თითქოს რაღაც ქსოვილი იწვოდა.

ხათუნამ შეკვრა ხელიდან გააგდო და ზეზე წამოვარდა. რას სჩადის? თვითონ პარფილე ჩინჩალაძე დაიჯერებს, რომ მისი ნაქურდალი ფული ცეცხლს მისცეს? იქნებ დრო დადგეს და უკანვე მოითხოვოს თავისი მოწყალბა! ამნაირ ადამიანისაგან რას არ უნდა მოელოდე! მაშინ რითლა გაისტუმრებს, რომელი სახსრებით! დაფიქრება იყო საჭირო, ნაბიჯის კიდევ ერთხელ აწონ-დაწონვა და ხათუნაც დაფიქრდა. იქნებ არავითარი დაწვა არ არის საჭირო! ყველაზე უკეთესი გამოსავალი ის იქნება თუ გათენებისთანავე პარფილე ჩინჩალაძეს გადაუგზავნის ამ უწმინდური გზით ნაშოვნ ფულს. ამით ერთხელ და სამუდამოდ მოეღება ბოლო ყველაფერს,

თავათაც მოისვენებს, სულის შემწუთავი სინდისის ქენჯნა გაფიქრებულად იგი ხელახლა დაიხარა ბუხარისკენ და სასწრაფოდ შეუდგა იატაკზე გაბნეული ფულის შეგროვებას.

მაგრამ სად უნდა გადაუგზავნოს, ვის სახელზე, როგორ?! ზუსტი მისამართიც რომ შეიტყოს, იქნებ მოთმინებიდან გამოსულმა ჩინჩალაძემ უკან დაუბრუნოს ფული ფოსტას და ეს ამბავიც ხათუნას დასაშინებლად გამოიყენოს?

აქ მას უეცრად გაახსენდა პეტრე მიროტაძე და წამით ყველაფერი გადაწყვეტილად ჩათვალა, მაგრამ ერთი წუთის ფიქრიც კი საკმარ აღმოჩნდა იმისათვის, რომ ეს უკანასკნელი იმედიც ამაოდ ჩაეთვალა. გადასცემდა კი პეტრე ფულს? აბა ვინ არ იცოდა, რომ პეტრე მიროტაძე მკვდარი მამის ძელებს გაპყილდა სათითაოდ თუ ამაში თავისთვის რაიმე სასარგებლოს დაინახავდა. სხვა გზა არ იყო: ჯერჯერობით კიდევ უნდა შეენახა ეს ფული და მოეცადა. იქნებ დროს თვითონ ეკარანახა მისთვის, როგორ უნდა მოქცეულიყო. ამ იმედით პაწია ფულთა ხელახლა გამოინასკვა და განჯინის უჯრა გამოსწია, რომ მის ზურგსუკან ტახტმა გაიჭრიჭინა და სიჩუმით ავსებულ ოთახში შალვას ხრინწიანი დაძახილი გაისმა.

ხათუნამ უჯრა შეაცურა და შვილის ხმის გაგონებით ფრთებშესხმულმა საწოლს მიაშურა.

შალვას ფართოდ გაეხილა დიდრონი წყლიანი თვალბი და ოთახში ვიღაცას დაეძებდა.

ხათუნამ ჩაიჩოქა საწოლის წინ, მკერდით საბნის კიდეს დაეყრდნო და მომჯობინებულ შვილს მხრებზე და კისერზე შემოჰხვია ჯერ კიდევ ცივი ხელეხი. შალვას მხრიდან კიდევ სცემდა სიციხე და ის დამახასიათებელი ნაზი სუნი, რომელიც ყოველთვის ასე უძგერებდა გულს ხათუნას.

— პალიკო არ მოვიდა? — ყოჩაღად იკითხა შალვამ.

— არა, დედა, არ მოსულა, დედა შემოგვევლოს.

- არც ზურია?
- არც ზურია, შვილო.
- შენ არ გეძინა?
- არა, დედა.
- რატომ მერე?
- არ მეძინება. შენ გიყურებდი.
- მე მეძინა.

შალვამ ნებეირად დაამთქნარა და ისევ დახუჭა თვალები.

— კიდევ გეძინება?
— უჰუ! — მთქნარებითა და თავის ფხანვით მიუგო თვალებდახუჭულმა შალვამ.

- არ მოგშვიდა, ბიჭო?
- შალვა თავს აქნევდა.
- კვერცხი გინდა მოგიბრაკო?
- მწ!
- ვაშლი, დედა?
- მწ!

— კარგი აბა, დაიძინე და მეორედ როცა გამოიღვიძებ, მაშინ გაჭმევ. ჩემი კარგი ბიჭი, ჩემი ჭკუიანი ბიჭი! ახლა პაწია კოკორის გამოგიცხობ. ცხელი კოკორი და კრაქუნა ყველი ხომ გიყვარს, შვილო? ჩაის აგიდღუღებ. მე კიდევ რალაცა მაქვს შენთვის და იმასაც მოგცემ, აბა? ხომ დაუჯერებ დედას, ხომ აღარ გახვალ აწი თოვლში სათამაშოდ. გუშინ რომ ისე გაილუმპე და კაციშვილს აღარაფერი დაუჯერე, იმიტომ დაგემართა ეს. ზურიას ხომ უყურებ, როგორი ჭკუიანი ბიჭია და დედას როგორ ეხმარება. შენც იმისთანა უნდა იყო და გაახარო დედის გული...

კიდევ სხვა ბევრ რასმე ლაპარაკობდა ხათუნა, რომლის გახარება შვილის მოკეთებას კი არა, სულ უმნიშვნელო წვრილმანსაც შეეძლო, მაგრამ შალვას უკვე ჩასძინებოდა.

ხათუნა მაინც ლაპარაკობდა. მისთვის ახლა სულერთი იყო, უსმენდნენ თუ არა. როცა გაჩუმდა, შალვამ ისევ გაახილა თვალი.

დერეფანში ფეხების ბრახუნი და ხმა-მალალი ლაპარაკი ისმოდა.

ხათუნამ ფეხის წვერებზე გაიბრინა ოთახი, მოსულთ არც გახმაურებია, ისე ჩამოხსნა გამწვდომი ურდული და კარი გაიღო.

კარის ზღურბლთან პირმოძლიმარე სერგო იდგა.

ხათუნამ ძლივ იცნო მისი ხმა და დამშვენებული. იქნებ ვერც ეცნო, რომ იქვე ზურია და პავლე არ დაენახა.

სერგოს ხელი გადაეხვია ყმაწვილებისათვის და მათ შორის უფროს ძმასავით იდგა.

ბძლივც კიდევ მოდიოდა ორი თუ სამი კაცი; ჭიშკართანაც ლაპარაკობდნენ.

სერგოს ბედნიერი და კმაყოფილი სახე ჰქონდა. საოცრად უცინოდა თვალები და ეტყობოდა, რომ ეს ბუნებით გულკეთილი ყმაწვილი კაცი განსაკუთრებით დღევანდელ დღეს ყველაზე და ყველაფერზე შეყვარებული იყო.

ხათუნას ესმოდა და უხაროდა ეს, ნაღველთან შერწყმული რალაც გამოუცნობი მტკივნეული სიხარულით. ამიტომ არ ვაკვირებია, როცა სერგომ ბიჭებს თავი გაანება, ოთახში განიერად შემოვიდა, თითქო მთელი ქვეყნის ბედნიერება თან შემოიტანაო, გადაეხვია და ორჯერ ზედიზედ აკოცა მას.

თვალუბატიმცემებული ბიჭები გამოუთქმელი სიამოვნებით შესცქეროდნენ სერგოს.

ხათუნამ მიულოცა გაბედნიერება. პატიება ითხოვა, ამის შემხედვარე შენს ქორწილს ვერ ვესწრებო. ეს ძალზე მოკლედ გამოუვიდა, სულ რამდენიმე სიტყვით. მოეჩვენა, რომ სერგო კიდევ მოელოდა რალაცას, მომკინარე თვალუბით შემოჰყურებდა, მაგრამ ამ თვალუბში იმოდენა ბედნიერება იყო, მომავლის იმედების იმოდენა ზღვა, რომ ხათუნას გული შეეკუმშა და გაიფიქრა: „ნუთუ კიდევ არის ქვეყანაზე ბედნიერება, ნუთუ კიდევ შეიძლება ადამიანი ბედნიერი იყოს?“

მაგრამ ეს ერთ წამს გაგრძელდა.

ხათუნას სახის შეცვლა სერგომ შალიკოს ავადმყოფობას მიაწერა. პალტო გზადაგზა გაიხადა, მერე ვილაყის მიაჩნა და ორივე გრილი ხელი მოუსვა შალვას დაბრაწულ ლოყებს.

დღევანდელი დღის გმირი — პავლე

ტახტის მეორე მხარეს იდგა. ექიმის ორად მოყვანილი მძიმე პალტო გულზე მიეხუტებინა.

— ახლა ეს მითხარი, ხათუნა, — ხელების დაკაპიწებით დაიწყო სერგომ, როცა ბავშვის მოალერსებით გული აჯერა, — რა დაემართა შალვას, ავად როდის გაგიბდა? პალიკო! პავლე სად წავიდა?

— აქა ვარ! — დაიძახა ბიჭმა და ექიმს ჯარისკაცისვით გამოეკვიმა.

— მოწიე აქეთ პალტო, სასინჯი ამოვიღო. გუშინ საღამოს, არა? იქითა ჯიბეშია, ბიჭო, იქითაში, ველარ მოჭრიე?

— გუშინ საღამოს, სერგო. დიღასავე არ იყო გუნებაზე, უგემურად ჭამა. სიტყე ერთბაშად მისცა. რომ გავუზომე, ოცდაცხრამეტი და სამი ჰქონდა...

— ეგ არაფერი! გადაკიდე რამეზე, ბიჭო, პალტო, ხელში ხომ არ უნდა გეკავოს სულ!

— შენი კირიმე, სერგო, ხალხს გავხედავ ერთი, მომეჭრა თავი! — ადგილზე ველარ მოისვენა მშველელის გამოჩენით დაბნეულმა ხათუნამ, როცა ოთახში უქულო პეპინა შემოვიდა და რადგანაც ექიმს უკვე დაეწყო გამოკითხვა, ხმის ამოუღებლად გაჩერდა კუთხეში.

— მოიცა, მოიცა! — ხელზე ხელი წაატანა ხათუნას სერგომ, — ცოტა ხანს მოიცადონ. უკეთესია. პეტრე, მაცალე ახლა, კი არავეინ მომიტაცებს!

— მაყვალას რა პირით შევხედო თუარა... — გაიღრიჭა პეტრე.

— გაქრა შენი პირი! — გამკილავად მოაშველა ვილაცამ გარედან.

— შენ მაინც გადი, შეიღო ზურია, იმ ხალხს მიხედე. ეს რა დამემართა, რა დროს შევაწუხე კაცი!

— ამ დილას გაუზომე!? — ქალის უკანასკნელ სიტყვებს წაუყრუა სერგომ.

— გავუზომე, კი სერგო, — მიუგო ხათუნამ, — ყელს იტკივებდა, მაგრამ სიტყე არ ჰქონდა. ცოტას ახიზინებდა. საღამოს, ზურია რომ წამოვიდა, ისევე აუწია. ზიზნიმაც მოუმატა.

— აი შე თავლაფდისხმული! — ახლა ავადმყოფს მიუბრუნდა სერგო, — შენ რა კაცი ხარ, ყელის ტკივილი გზგერია? ახლა წადი, გენაცვალე, ხათუნა. როცა დამჭირდები, დაგიძახებ. პალიკო! მოდი შენ, სუფთა ჩიის კოვზი მომიტანე. ცოცხლად! ახლა მე და შალოს გვაქვს სალაპარაკო და თავი დაგვანებოს ყველამ, თორემ გული მოგვივა. ხომ, შალვა? აბა რა, ვიცი მე, შენ გულკოიტი კაცი ხარ! გუშინ პავლე გავილახავს.

— მე? — წამოიძახა გამოცოცხლებულმა შალვამ.

— ჰო, შენ! ჩიტმა მომიტანა ამბავი. თოფილა ბაბუამ თქვა, თუ კიდევ ვალახა, შალვას ყურებს დაეკურით. ო, ეს მინდოდა სწორედ! — კოვზი ჩამოართვა სერგომ პავლეს და გულხელდაჭდობილ პეპინას გადახედა, — მიდი ახლა და შენს ადგილას დადექი!

— ტყუილი! — წამოიძახა შალვამ და შუათანა ძმას ეშმაკურად გადახედა.

— ტყუილი? ტყუილი თუ არის, ნახავ აგერ. ამხელა სასხლავი დანა აქვს გაღესილი თოფილა ბაბუას და იმით ჭრის ყურებს შენისთანა ბიჭებს. არა, პავლე? პავლეს გამოეკიდა, მაგრამ ვერ დაეწია: დააღე აბა პირი? უფრო დააღე. კიდე, კიდე, აგრე! აბა თქვი ააა, ააა... თქვი, ბიჭო, პირი ღია გქონდეს.

მაგრამ შალვა სიცილით იგუდებოდა და ვოკით ქყვიროდა:

— ააა... ააა... ააა...

— წყნარად, შალო, ნუ სულელობ! — მიმართა შეილს სიხარულის ცრემლით თვალებავსებულმა ხათუნამ, რომელიც ის იყო შემოვიდა.

— კარგი! კარგი ბიჭი ხარ! ახლა ენა გამოტლატე? დედა, რა წითელი ენა ჰქონია, ხათუნა, ამ ბიჭს! ამისთანა ენა ჩვენს მურიას აქვს. თანაც რა გრძელია? ოპოპოპო! ახლა ერთი ეს მითხარი, თოფილა ბაბუას შენ უთხარი, ბიჭი ვარო? — როდის?

— გითქვამს შენ ერთხელ. ხომ არ გიგონა, ვერ გავიგებდი. ბიჭი ვარ და

მთელი ქვეყნის ბიჭებს ეჯობივარო, არ გითქვამს?

— არა!

— აბა პერანგი აიწიე და დაიკავე ასე. მოიცა, ნუ სუნთქავ! ვითომ წყალში უნდა ჩაყვინთო. ენახოთ, რამდენ ხანს გასძლებ? ყოჩაღ! ივარგებ მყვინთავად. თოვლი რომ გადნება, ლუხუნიაზე წაგიყვან საბანაოდ.

— პალიკოც წამოვა?

— წამოვა მამ!

— ზურია?

— ზურიაც. ახლა წამოგეჭი. მოიცა, მე მოგეხმარები. არ უნდა, ხათუნა, არა. ისუნთქე! ცივი ხელები მაქვს? ნუ გეშინია, არ მოგაკარებ. მაგრად ისუნთქე. აა-ჰა, აა-ჰა! ასე! კარგი დაწევი ახლა და დაიხურე საბანი. ყელი გტყვიან!

— ცოტათი.

— თავი?

— არა.

— ყოჩაღ! ახლა წავალ და ყველაფერს ვეტყვი თოფილა ბაბუსას, რაც ბიჭი ყოფილხარ! ხათუნა! მოდი, მოდი, შემოდი სულ ყველა ერთად. ახლა შენ თაფლი უნდა დალიო. გიყვარს თაფლი? შეხედე, რა ლამაზ შემაშია? მომეცი ეგ კოვზი, პავლე? აა, ასე! დააღე ახლა პირი და მე დაგაღვიწინებ. უჰ, ეგ კბილი ვინ ჩაგამტვრია, ბიჭო?

— ამოვიძვრე.

— მერე რა უყავი?

— თაგვებს გადაუფადე.

— დალიე აბა, ნახე, რა ტკბილია!

უჰ! აი ეს მესმის!.. საშიში არაფერია, ხათუნა, გენაცვალე, ტყუილად გადარეულხარო. ცოტა გაცივებულა ბიჭი: კარგი ვიქნია, ოფლი რომ მოგიდენია. ცოტა ხიხინი აქვს კიდევ, მაგრამ გაუფელის. მე ხველების ის წამოვიძვანე. დღეს კიდევ ორჯერ დაღვიწინე ჩაის კოვზით. ხიხინს ვაუქრობს, სასა აქვს დაწითლებული. მოიცა, სადაცა სტრემტოციდი მაქვს. პო, აგერ არის! ეს თითო აბი უნდა ყოველ ორ საათში. წამალს აღარ გამოვიწერ, — სიცილით განაგრძო მან, — რას იზამ, საკურაში

ექიმიც მე ვარ და მეაფთიაქიც. გზიშვებ ახლა?

ნედის მხლებლებით შემოჯიხრულა წოლთან მხიარული სიცილ-ხარზარი გაისმა.

შალვა გულდაწყვეტით შეკყურებდა სერგოს, როცა ამან ყველაფერი მოათავა და თავის მძიმე პალტოს იცვამდა.

XXXIII

ლზინი მიწურულს იყო. ზაქარას გაკინკვლებული ქვისლი თერჯოლელი მხეიძე მაინც არ აპირებდა ადგომას. ქმრის უსაქციელობით მოთმინებიდან გამოსულ აგრაფინას სუფრაზევე შეემოსა იგი, თეთრი ჩაბალახიც მოეგრავნათაზე, მაგრამ მხეიძე მაინც შორს იქვრდა, — ჯერ რა დროს ადგომა, შუა სმაშიაც არა ვარო.

ცოლს სწორედ ამის გამო არ უნდოდა მისი წამოყვანა, გათხშება და დუნიაზე თავს მომჭრისო, მაგრამ ამბაკო მხეიძე არც თუ ისე დაგიდევდა ცოლის პირვეულობას. ქვისლს, ზოვრეთელ კურცხალიას შენატროდა ყოველი გადაკვრის შემდეგ. შენისთანა ცოლი რომ მომცა, დედამიწას წამოვიცილებ და ერთხელაც არ ჩავიმუხლებ, ისე ჩავიტან თერჯოლიდან ზესტაფონში.

კურცხალია ხბღვირებოდა, მაგრამ მაინც კმაყოფილი იყო.

თუმცა სუფრა თანდათან ცარიელდებოდა, მხეიძე მაინც იკეცავდა პალტოს სახელოებს, საფუძვლიანად ეწყობოდა, ფრიალა თეფშზე საცივს უღებდა მის პირდაპირ მჯდომ თანამეინახეს და მთელი ხმით გაჰყვიროდა:

— ჩემი ზაქარა მომიყვანეთ აქა, ჩემი ზაქარა სად გამიქრა!..

თანამეინახე სოფლურად ჩაცმული შუახნის კაცი იყო, სხვასავით ისიც წასასკლელად მომზადებულს. თავზე კარაკელის მალაღი, ნაცრისფერი ქუდი ეხურა, სწორედ ისეთი, გენერლებს რომ ახურავთ ხოლმე, მაგრამ ეს ქუდი კიდევ უფრო სასაცილო იერს აძლევდა მისსავე დაბებკილ ძველ ჩოხას. ხალხის

ადგომამდე კარაკულის ქუდიანი სუფრის ბოლოში იჯდა, რადგან ყველაზე გვიან მოვიდა და მიუხედავად ხეწუნა-მუღარისა, არაფრის გულისათვის არ დაიკავა ვიღაცის მიერ დათმობილი ადგილი. აქ, ამ ადგილას თვითონ ამბაკომ გადმოსვა, რადგან გემოიანად შემთვრალს ძალზე მოეწონა მისი მზიარულება.

ჩოხიანმაც მხარი აუბა ამბაკოს, რადგან ისიც კვიმატი ენისა გამოდგა.

ამბაკო მხეიძემ ეს შერამდენჯერ კეთილსა ხელო, სიტყვის მასალად სჭირდებოდა, მაგრამ ვერასგზით ვერ დაიმასხვრა. მერე თვითონვე მონათლა, პოლიხრონი დაარქვა (პოლიხრონი სადგურის მეკარეს ერქვა ზესტაფონში). არაფერი ისე არ უხდებოდა ამ პომპოლიკა ქუდს, როგორც ეს სახელი. პოლიხრონი! პოლიხრონი! ამასე ორივემ ბევრი იცინა.

გადამბული ღვინით მოღლილი ნეფედოფალი კარგა ხნის ამდგარი იყვნენ სუფრიდან. ალბათ, ჩასაცმელად გაერდნენ. საქორწინო ასაბია ლაბაძეების უბნისაკენ უნდა დაძრულიყო.

— პოლიხრონი! მიიძახე ერთი, მიიძახე შენებურად, შენს გარდა აქ ვერავინ მომიყვანს ზაქარას, — ეხეწებოდა ისედაც სისხლმოჭარბებული და ახლა კი მთლად სახეატყეცილი ამბაკო მეზობელს და თვალს უკრავდა: — გასძახე, გასძახე, ერთი!

— ადგავთ ბარემ, ამბაკო ბატონო, ჩვენს მეტი არავინ არის. თუ კაცი ხარ, ნუ გამიტებ ხათრს, — ეხეწებოდა თაღვის მხრივ ჩოხიანი და თვალი კართან შეკრებილ ხალხზე ეჭირა.

— დაჯექი აქ, ვინ გვინივარ მე შენი! შენი ადგილი აქ არის. აბა, ერთბაშად ქალაქის თაობა არ ჩაგვაბარონ მე და შენი! შეხედე ჩემს ხელებს ერთი! ამას უყურებ? რომელი სახემწიფოს ჩინ-მენდალს არ სჯობია ეს კამეჩის ტყავიანი ხელები. ჰაი დედასა, პოლიხრონი! ზაქარამ იცი რა იცის? კიდევ ვმუშაობ და კიდევ ვსვამო. ვენაცვალე იმას! მე არ მეკუთვნის, ბიჭო, სმა-ჭამა? აბა ვის ეკუთვნის? იჯექი მანდ, თუ ჩემი სიყვა-

რული გაქვს, ფეხი არ მოიცვალე. ინტლიგენცია გაგვექცა, თანეწმუნე გაგვეყარა. არა? იარონ, რამდენიც მოეხსიანთებთ. აგრაფინა! მოგვაწოდე ყანწი!

— ამბაკო, ბატონო, ახლა რომ არ წავიდე, არ შემიძლია, თუ ძმა ხარ, მეცი პატივი...

— რაიო? შენ რა იმასავით ლაპარაკობ! ეგ ბოხობი რომ წამოგაკოსებია...

— ამბაკო ბატონო...

— აგრაფინა! მოკიდე, კაცო, მაგ სუკებს ხელი და პირი გაისველე... ოუ ჩელა, საჩეჩელა, რასაც შეჭამ ის შეგარჩება... ჰეი! ამბაკო მხეიძე შენ ის კრ არ გეგონოს! აგრაფინა! — მთელი ხმით დაიყვირა მან და სუფრას მუშტი დაჰკრა.

სირცხვილისაგან აღანძული მხეიძის მეუღლე, რომელიც აქამდე აივნიდან უთვალთვალებდა ქმრის უსაქციელობას, დამუქრებული წამოვიდა და ამბაკოს თავზე წამოადგა.

— რა გინდა, რა გაყვირებს, რა შენი სიკვდილი და გადაშენება გინდა. შენს მეტს ღვინო არავის დაუღევია სუფრაზე? რაიარო უკაცრავად ვარ თქვენთან, ბატონო მიხეილ, — ათასნაირად დაიგრია მანდილოსანი საწყალობელ ღმილში, — შვილები დამეხოცოს თუ ეს სახლიდან გამოსაშვები იყოს, მაგრამ რომ არ გაივლის ადამიანის ჭკუაზე?

— რატომ ბატონო, ხან ასე იქნება, ხან ისე...

— მე რომ გეძახი, რატომ თავის დროზე არ მოდიხარ! — გაიხსენა მხეიძემ, — ა!

— ამბაკო...

— მოკიდე ხელი მაგ დოქს. მოკიდე! აავსე ახლა!

— ვინ სვამს მერე ამას, ამბაკო, სახლში არ გინდა, რომ შემოხვიდე?

— მაცალე, ნუ მაშინებ შენი! ჩვენს ნორჩ კოკრებს გაუმარჯოს პო... ირაკლი, ბატონო! ჩვენს ნორჩ კოკრებს, ამაღამ რომ... ჩვენს დაკარგულ მასპინძელს გაუმარჯოს, აცხონოს ღმერთმა!

— ჩაივდე კაცო, ენა მუცელში! მხეიძემ ერთი მოყუდებით გამოსცალა ყანწი, მერე სასმისის კიდე ცერა თი-

თის ფრჩხილზე დაიბერტყა.

— ასე მის მტერს დაეცალოს სისხლი! ალავერდი შენთან, პოლი... ირაკლი ბატონო!

— უი, არ გადირიო, ამბაკო, რას ჩადიხარ მაგას!

— მოიცა, ნუ მაშინებ შენ! დაასხი!

— ნუ აწყენინებ ადამიანს... ბატონო მიხეილ... მაყარი მიდის. არ გესმის დაირის ხმა?

— დაირის ხმაც მესმის და დოლისაც. არ არის ეგ შენი საქმე. დაასხი!

ამ დროს ელეფთერ ლაშხი შემოვიდა, ჩოხიანის ყურთან დაიხარა და რაღაც წასჩურჩულა. ჩოხიანი წამოდგა. მისი აზოვანი ტანი ერთიორად მაღალი გამოჩნდა მაგიდასთან.

აგრაფინას გულზე მოეშვა.

ელეფთერის „ცილინდრის“ გამოჩენამ სასწაულებრივად დააწყნარა ამბაკო.

— აბა, ნახვამდის, ჩემო ამბაკო! პოლიხრონი არ დაგავიწყდეს, იცოდე! — ლიმილით მიმართა ჩოხიანმა მას და დიდი თეთრი ხელი გაუწოდა.

ეს მოულოდნელად მოხდა. ახლა სამკვზავროდ ჩაცმულმა ელეფთერმა ჩამოართვა ხელი ამბაკოს.

ზაქარამ სწორედ ამ დროს შემოიხედა დარბაზში, მაგრამ ამბაკოს მისი შემოხიანების თავი აღარ ჰქონდა.

ზაქარა ჩოხიანთან მივიდა და მოკრძალებით ხელი გამოსდო.

„როგორ, აქაური არ არის თუ?“ — გაუელვა ამბაკოს.

სამნი მცირე ხანს თათბირობდნენ. სტუმარი ცივ უარს ეუბნებოდა რაღაცაზე ზაქარას.

— ვერც მე, ვერც მე, ძმობას გეფიცები, — ელეფთერის მოწინებულ პასუხსაც მოჰკრა ყური ლვინით გამოღუნჩებულმა ამბაკომ, — ბატონი მიხეილი ხვალ დილას გეაბლება, ამაღამ ჩემთან მოისვენებს... ნუ გეწყენება.

— არა, არა, ელეფთერ, მართალი რომ ვითხრა, ამაღამ ვერც შენთან წამოვალ, საქმე მაქვს იმნაირი, — უარობდა ჩოხიანი.

— რა საქმე უნდა იყოს მაგისტრანა! — იწყინა ელეფთერმა.

— ამაღამ კალისტრატე უნდა ვინახულო, რა დროც არ უნდა იყოს. მერე, მერე! იცის, ჩამოსული ვარ და ალბათ მიმეღის.

— კი მაგრამ ტანზე არ გამოიცვლი? ყველაფერი მშრალია. ბავშვი გააუთოვებს... — ჩაერთა გულნაცლული ზაქარა.

— არ მინდა, ზაქრო, არა. ასე ავალ. უფრო თავისუფლად ვარ. მომკალით, ბიჭო, გაგონილა ამდენი ღვინის სმა?

— დაგავიწყდა? — უღვაშებზე ხელი გადაისვა ნასიამოვნებმა მასპინძელმა.

— აი შე... ღვინო ჭურს ხეთქავს, ბიჭო!

— ჭურს შენი ჭირი წაუღია!

სტუმარს გაეღიმა გულმართალ პასუხზე, ტუჩები ჩოხის სახელოთი მოიწმინდა და ზაქარას გადაეხვია.

ზაქარა არაჩვეულებრივად ბედნიერი და გულჩვილი იყო დღეს, ყოველ სიტყვაზე ცრემლი ეძალებოდა.

— შეგარცხვინა ღმერთმა, რა გატირებს?! — შეუწყრა სტუმარი, მის განიერ მხრებს ხელები ჩასჭიდა და თვლებში ჩააცქერდა, — მარჯვედ იყავი ახლა. ნუკი წახდები კაცი, შენს მეტს ქალი არავის გაუთხოვებია? გაგიმართლა მაყვალამ... პო... ნუ ჩაამწარებ ტკბილ დღეს. მარჯვედ იყავი! ძალიან ბნელა გარეთ?

— ფარანს ავანთებინებ ამ წუთში, — გამოცოცხლდა ზაქარა, — ჭიკა!

— წავალთ ახლა ჩვენ. ელეფთერ, ცოლი ვახლავს?

— კი ბატონო.

— წავიდეთ აბა, ვაცალოთ ზაქარას. ნახვამდის, ქალბატონო, კარგად მენახოს თქვენი თავი! — ერთ ადგილზე გახვევბულ აგრაფინას მიეახლა სტუმარი.

— ნახვამდის, თქვენი ჭირიმე! — დაიგრიბა მანდილოსანი და აღარ იცოდა, ბოდიში როგორ მოეხადა.

— გამოარჯობით, ამბაკო!

— გამარჯობით, ჩემო ბატონო! — ნირწამხნადრად მიუგო მიხეილმა და პირდაღებული ასევე დარჩა, სანამ ის სამნი

აივანზე გავიდოდნენ. მერე შეცვალა სახის გამოხედვებმა. თვალები ცოლს მიასპრო, მაგრამ სანამ რაიმეს კითხვას მოასწრებდა, მოთმინების ფილაავსილმა ავრათინამ ჩიბუხის ტარივით ჩასჩარა პირში:

— პროფესორი გველესიანია, შე მეხდაცემულო, შენ არ გახვედი აქედან ცოცხალი!

XXXIV

მაგიდასთან მიმჯდარმა კალისტრატემ ფინიას გააგებულ წყევქავზე ასწია თავი და ფიქრებიდან გამორკვეული სმენად იქცა.

მგონი ვილაც იძახდა.

— მაინძელო... მაინძელო!

კალისტრატემ სათვალეები მოიხსნა. აუჩქარებლად ჩასდო ბუდეში და იმით გაკვირვებული, ასე მოგვიანებით ნეტავინ მეწვიაო, სტუმრის შესახვედრად გაემართა.

კიბისთავში რომ გავიდა, დაინახა, რომ მოსული ფინიას არ შეუტებოდა და თუმცა ეს უკანასკნელი კვალდაკვალ მოსდევდა, წინსაბიჯგის ჩახაჩუხით უახლოვდებოდა კიბეს.

„ვინ უნდა იყოს?“ — გაიფიქრა კალისტრატემ და მხრები აიჩეჩა. ძალს მაინც შეუწყრა, თან თვალს არ აშორებდა მოსულს.

სტუმარმა ფეხები დაიბერტყა კიბის ქვედა საფეხურზე და ამოსვლა დაიწყო. კალისტრატემ კარგა ხანს უყურა მას, მერე თითონაც გადადგა წინ ნაბიჯი და წაშოიძახა:

— თვლი მატყუებს თუ მართლა შენა ხარ, ბიჭო?

სტუმარმა ხელი გაუშვა ჯოხს, რითაც აქამდე ფინიას იგერებდა და ჯოხიც ხრიგინხრიგინით დაეშვა ქვის საფეხურებზე.

— მიხა ხარ, ბიჭო; მოხვედი აბა, ბიჭო, გამიხსენე... — ნაწყვეტ-ნაწყვეტად იმეორებდა სისხარულით აცრემლებული კალისტრატე და ხმელ ხელებს სახეზე უსვამდა პროფესორ გველესიანს, თი-

თქო თვალს უღალატნია და ახლა ხელე-ბით უნდა გამოიცნოს, უჩამდვილად ის არის თუ არაო, — მოტკ... — მტკ... მტდი, შემოდი შენ. მოიცა! დადექი სინათლეზე, ერთი კარგად შემოგხედო.

— აჰა! — ბალღივით ილიმებოდა სტუმარი.

— საიდან, როგორ, რომელმა ქარმა ჩამოგაგდო, ქორწილში იყავი? რას გაეხარ, შე მამაძაღლო, ეგ რა ჩავიცივამს!

— ეს? — გაკვირვებით დაიხედა სტუმარმა ჩოხაზე, — იორამმა ჩამაცვა გუშინ ღამ და აქამდე ველარ გავიხადე, სველი ვიყავი.

— ხალხში გახვედი, არა? — მეგობრულად გაუცინა კალისტრატემ.

— ჰო, ხალხსონობას ვიწყებ ამ სიბერეში, არ დამშვეუნდება თუ?

— ისეც რა ვითხრა შენ!

— შენ როგორა ხარ, ბატონო, ძველებურად? ზაქარასას რატომ არ იყავი, რამდენჯერ მოვისაკლისეს.

— ვერ წამოვედი, მიხა, — ოღნავმა ჩრდილმა გადააკრა მოხუცის სახეს, — ზაქარა შინაურია, არ მიწყენს. ამას წინათ გამახსენდი, ბიჭო, ძველ სურათებს ვათვალისწინებდი. გახსოვს? „მაშინ ჩემ თოფმაც გამოიქვამა და შეუენგრია გულის ფიცარი...“

— მახსოვს, რა დამავიწყებდა!

— ი მატარებელი ძალიან დროს გაგჩერებიათ. წყალში გამოხვედით? დაბნეულები! შარახვეტია პეპინა დარბოდა უბანში, თოკს დაეჭებდა, მაყარი უნდა გადმოიყვანო. მოდი, მოდი აქეთ! ცეცხლი გამომიქრა, მაგრამ ახლავე დავანთებ. რამდენი სალაპარაკო მაქვს, რომ იცოდ, რა დროს მომისწარი!

— მეც მაგისტრის შემოგვიარე, ბატონო, თუ ხელი არ შეგიშალე რამეში.

— შენისთანა ხელის შემშლელი ნეტავი ერთი ოცი მომცა ყოველ ცისმარედღეს. არაფერს წამოვადო, მანდ ფქვილიანი ტომარა დავედვი საღაცა. აცხა! რას მეზღანდები ფეხებში, შე ოხერო! ამ ოთახში ნათურა გადაამეწვა და იმდენი ველარ ვქენი ეს ორი თვე, რომ გამოვცვალა. კობერატივთან რომ მივალ,

სწორედ მაშინ დამაფიქრებდა. ასე! — ცეცხლს ავაგიზებზე ახლა მე. დაჯექი! კალისტრატე ისევ გაბრუნდა ჩაბნელებულ ოთახში, მერე ხელახლა შემოვარდა, ბუხრის ფიტონიდან კრაჭი ჩამოიღო და ისევ გაიხურა კარი. როცა დაპობილი შეშა შემოიტანა და ხმაურით დაყარა ბუხრის პირას, მისი ძველი მოწაფე მაგიდას მიხვდომოდა და ახლად ჩაქრელებულ ფურცელს ჩაჰკირკიტებდა.

კალისტრატე ბუხარს მოცილდა და თავზე წამოადგა მას.

— ხელი არ შეგცვლია, მასწავლებელო, ძველებურად გარკვევით სწერ, — ახედა მიხეილმა და ფურცელი ისევ ოთახში ჩასდო.

— რა, შენ შეგეცვალა თუ?

— დრო რომ გადის, ყველაფერს ემჩნევა ცელილება, მე რა ვარ!

— ცელილება კი, ბიჭო, მაგრამ კი არ უნდა წახდე მაინცდამაინც, — თავმომწონედ გადახედა ხელნაწერს კალისტრატემ, მერე გატრიალდა, ბებრული მოუხერხებლობით ჩაიჩოქა ბუხართან და ცეცხლის მონთება დაიწყო, — რა ეუყოთ, ებერდებით, მაგრამ სული ყმაწვილის უნდა შერჩეს კაცს კუბოს ფიცრამდე.

პროფესორ გველესიანი წელანდელ ადგილას იჯდა. ამოჩემებულ ხელნაწერს კარგად ვერ არჩევდა, თუმცა გარკვევით იყო ნაწერი. მალიმალ ხელს ისვამდა ცარიელ საქილეებზე, სათვალეები თან არ ჰქონდა.

— სათვალეებს ხმარობ, მიხა? — მოაძახა კალისტრატემ, — საფერფლესთან ასანთი მიდევს, გადმომიგდე ერთი.

— გველესიანი წამოდგა და ასანთი მიუტანა.

— სათვალეებს ხმარობ? — ჰკითხა ისევ კალისტრატემ.

— ვხმარობ, მასწავლებელო, ოც წელიწადია ვხმარობ.

— ჰოო, — თითქოს რაღაც მნიშვნელოვანი გაიგოო დაასკვნა კალისტრატემ, — ერთი ეს მითხარი ახლა, დიდი ხნით ჩამოხვედი?

— არც ისე, ხვალ საღამოს უნდა წავიდე.

— ასე ცოტა ხნით? — დაჯექი! — ველებით გაიმართა წელში მოხუცი, — თავს ევლარ ვერევი, ხედავ?

— რა გული გაგტეხია მერე, კალისტრატე, ამისთანა რომ არ მახსოვხარ მე?

— უსიკვდილოდ შენ უნდა გახსოვდე? აწი დამიხსოვებ. რას იზამ, მიხადრო გადის. არ მინდა, მაგრამ გადის. აგერ შენც სათვალეებს ხმარობ, მერაღა უნდა ვთქვა. რას გეტყვი, მიხა, იცი? ზომ არ გწყინს ძველებურად მიხას რომ გეძახი?

— რას ამბობ, ბატონო, რა უნდა დამიძახო აბა!

— შენ იქნება არც კი გამოგეცოდოს და... ბავშვი კაცი ხარ. დაჯექი! ამ ბოლო ხანებში ხუთი თუ ექვსი ჩემი ხნის კაცი დაემარხეთ. მივასვენეთ სასაფლაოზე, ჩავფალით ცივ მიწაში და დაეტოვებთ იქა. შენი ტოლი კაცი რომ თავისი დლით ამ ქვეყნიდან მიდის, თითქოს შენი ნაწილიც მიიქვს. რომ დაფიქრდე, გული მართლა გაგიტყდება. იცი, რომ დღეს თუ ხვალ შენი როგიც მოაწევს, ვადაწყვეტილია...

— არ უნდა დაფიქრდე მერე, მაგაზე ფიქრი რის მატნისია!

— არ უნდა დაფიქრდე? აბა უაზროდ ვიცხოვრო, ბიჭო, უფიქრელად? პირუტყვი ვყოფილვარ და ეგ არის!

— რატომ, რატომ, კალისტრატე, ბატონო, პირუტყვისაგან მარტო სიკვდილზე ფიქრით განვსხვავდებით? შენ თვითონ არ ამბობდი, კუბოს ფიცრამდე ყმაწვილის გული უნდა შეგჩრჩეს კაცსო?

— რას იზამ, სიტყვაზე ითქმის.

— სიტყვაზეც ითქმის და ასეც არის.

— მართალი ხარ შენც. შეგხვდებაცხოვრებაში იმისთანა რამე, რომ არ უნდა დაუფიქრდე, თუარა გადაგრეცხ, უფრო ავნებ თავს. რა გითხრა, მიხა, იცი? პირდაპირ უნდა ვთქვა ახლა მე. შენ რომ დაგინახე, ჩემი ყმაწვილკაცობა გამახსენდა. პირტიტველა ბიჭი ვიყავი, თქვენ რომ გასწავლიდით. ახლა.

რა... არც ოჯახი მყავდა მაშინ, არც... —
თქვა კალისტრატემ და ნიკელის ჩარჩო-
ში ჩასმულ პაწაწინა სურათს დააცქერ-
და.

— რას იზამ, მოსახდენს ვერ აცდებ-
ბი, — ამოიოხრა გველესიანმა და თავა
ჩაღუნა.

— აღარც მეზობლები მეკარებიან ახ-
ლა ძველებურად, — განაგრძო გულ-
დაწყვეტილმა კალისტრატემ, — იციან,
შინ არავინ მყავს და უპურმარაილოდ
კაცის გაშვება ჩემი სიკვდილია, — მერე
უცებ დაფრთხა, სტუმარს მიაშტერა
თვალები, თითქოს თავისავე ნათქვამმა
შეაშინაო და განაგრძო: — რა ჯობია
ზაფხულს! ბოსტანში გახვალ, კიტრს,
პამიდორს და მწვანილს შემოიტან, ერთ
წველა ყველს დაჭრი და ვითამ ყველა-
ფერი რიგზეა. ცოცხალ მწვანილს თავი-
სი შნო აქვს სუფრაზე, მიხა. ზამთარ-
ში ყველაფერს გაკეთება უნდა. თუ გამ-
კეთებელი არა გყავს... ახლა მე და შენ
დაეტრიალდეთ შინაურულად, სტუმარ-
იც ვიყოთ და მასპინძელიც. არა, მიხა?

— კი ბატონო.

— აბა მაგ შავი კარდლით შენ წყა-
ლი შემომიდგი ცეცხლზე. სანამ მე ქა-
თამს დავკლავდე, წყალიც ადუღდება.

— ქათამი? ქათამი რად გინდა, შენი
ჭირივე. აგერ ყველია, ღორი, კუბატი.
დავჯდეთ და ვიმუსაიფოთ, თუ მაინც-
დამიანც.

— რა ექნა ახლა მე... — აწრიალდა
კალისტრატე, ფანჯარასთან მივიდა და
გამოაღო: — ელპიტე!

— ვის უძახი, ბატონო?

— ელპიტე! ელპიტე! არ არიან
სახლში, — შემოტრიალდა გულდაწყ-
ვეტილი კალისტრატე და ფანჯარა მი-
ხურა, — ალბათ ყველა ზაქარას ახმა-
რია. უჰ, აწიშხინებულა ეს. ახლავე გად-
მოვიღებ.

— შენ ისე წუხდები, ბატონო, რომ
მეორედ აღარ მომესვლება აქა.

— რას ამბობ, მიხა, შეწუხება რას
მიქვია. თუ სუფრას არ მოუუჯექით, ისე
ლაპარაკს რა გემო ექნება. ამნაირად კი
არ უნდა დაგხედროდი ახლა, მაგრამ

რას იზამ კაცი. მიწიე ეგ სურა იქით.

— ფრთხილად, ფრთხილად კალის-
ტრატე, ხელი არ დაიწვენს ჯამრჯამრატა?

— არა, დავდგამ აგერ, თევშზე. სხვა-
ნაირი ფიქრი მქონდა მე, მიხა. მე ვთქვი,
ბიჭი დაამთავრებს, ადრე თუ გვიან
ოჯახს მოეკიდება და მე და ჩემი ბებ-
რუცუნა რომ შვილიშვილებში გავერე-
ვით, მერე რაღა მოგვეკლავს-თქვა. არ
გამოვიდა. მომიკლეს იმ სახელძღვლებ-
მა... ოქროპირის ბიჭს ხომ იცნობდი,
შალიკოს?

— მინდელს? როგორ არა.

— აღარც ის არის, უბედური.

— გავიგე, კალისტრატე. ძალიან და-
მეწევა გული. ფხიანი ყმაწვილი იყო, მე-
ცოდება.

— საბრალო ის არის, მიხა, ვინც სიკ-
ვდილმა ამოიქამა, ცოცხალს საშველი
არ გამოვლევთ, ნათქვამია, მაგრამ და-
რჩენილი უფრო საბრალოა, ჩემ თავზე
გამოვცადე ეს, დარჩენილი უფრო სა-
ცოდავია კიდევ. სამი ობოლი დარჩა
საწყალ შალიკოს, ოჯახი მოუწყობელი,
ცოლი ახალგაზრდა. ხუმრობა საქმეა?
ორი კვირა თუ იქნება ჩამოვიდა ქალი
აქა, ბავშვებიც ჩამოიყვანა. თინ არის
კაცი პატრონი. თუ შენ თვითონ არ
უპატრონე თავს, ხომ იცი... გული ამი-
ღულდება ხოლმე, ეგენი რომ გამახსენ-
დება, მაგრამ რა ექნა.

— შალიკოს უფროსი ბიჭი ვნახე ზა-
ქარასას. უშველებელი ვაქაცია, —
ჩაურთო მიხეილმა.

— შე ისიც არ მინახავს. ჩასვლა მინ-
დოდა, მაგრამ, კიდევ რომ ჩავიდე, რა
ვუთხრა. დიდი მადლიერი კი ვარ ხათუ-
ნასი, ხათუნა ქვია ი ჩვენს რძალს. გუ-
ლიანი ქალი გამოდგა, მაგას დაელოცა
გამზრდელი.

— მართლა?

— მართლა, აბა რა! ქმარი რომ უყ-
ვარდეს ქალს, ეგ რა გასაკვირია. მაგან
აქაურობა შეიყვარა. არ დაუკარგა შვი-
ლებს ცხოვრებაში ფეხის მოსაკიდებე-
ლი ადგილი. ამის მერე უფრო პატივს
ვცემ მე ხათუნას. სხვები გარბიან აქე-
დან, ოღონდ კი აქაურობას თავი დააღ-

წიონ, თუ გინდა, მთელი ქვეყანა მაგათი ყოფილა. ზოგი მალაროს ეტანება, ზოგი რკინიგზაში შეყვანს თავს იოლ სამუშაოზე, ზოგი ვაჭრობს ან სულ უსაქმოდ დატანტალობს ქუჩა-ქუჩა; გაგაბრუე მე შენ ლაპარაკით. გადაიდე, შენი ჭირიზე კუბატი. აგერ ჩანგალი! მაპატიე ბერიკაცს ამისთანა ღარიბულ სუფრას რომ გიბედავ. შენ კარგი ხაჭაპურები გეკეთებოდა ახლა, მაგრამ კიდევაც რომ გამომეცხო, ზაქარას ხაჭაპურებთან მაინც არ მოგეწონებოდა. კაი ვაჯკაცური სუფრა ქონდა არა?

— კი, დიდებული!

— იცის ზაქარამ! გულა-ნაბადის აკერაზე რომ იყოს, ზაქარას შენ გაასწრებდი აქედან, მიხა! ოქრო ხელი აქვს, ტყუილად კი არ ვეძახით მგლისჭედიას. რომელ ქარხანაშია არ უნდა მისულიყო, ყველგან ორივე ხელით გაუღებდნენ კარს. სხვაზე უკეთ ისევ ეგ იცხოვრებდა. დაუზარელი კაცია და იმიტომ. თუ ადამიანი შრომას არ გაეძევი, ყველგან კარგად იცხოვრებ. შრომა სასწაულს მოახდენს, მიხა, ქვას გაადნობს. არის აგერ, კაცია და ქული ჰხურავს. ერთი გამოზარდა, ჩააბარა პატრონს, ახლა იმ ორსაც გამოიყვანს ხალხში. რანაირად სწავლობენ იცი?!

— ისწავლიან, რასაკვირველია, კალისტრატე. ცოტა გავლენა კი არა აქვს ოჯახს. თავი და თავი ეგ არის. ყმაწვილს როგორც გაზრდი, ისე გაიზრდება. მიიროთვი შენ, იქნება არც კი გივახშია.

— კი, როგორ არა, მე რა პატივი მინდა. მამაშვილობას, ნურაფერს შემახვეწებ. მაგით მართლა შევწუხდები. შენ საკუთარ ოჯახში ხარ ახლა. ვინ ვაღდეგრძელოთ, ბიჭო, მოდი შენ იყავი ტოლუმბაში.

— არა, არა, მასწავლებლო, შენ თქვი და მე ყურს დაგივლებ.

— გამიჭინკვლიდი ახლავე?

— ჭინკვლი კაცი — კაი კაცი!

— წესს გავყვეთ თუ როგორ გინდა ახლა შენ?

— როგორც გენებოს!

— აბა ვის გაუმარჯოს ამით, მიხა, იცი? იმ პატიოსან კაცს, გაუმარჯოს, ვინც თავისი მამა-პაპის მემკვიდრეა.

— ამინ!

— ვინც გაჭირვებასაც გამოივლის, დაღბნიებასაც და ერთი პოეტის არ იყოს, განცხრომით სხვაგან ყოფნას აქ რომ ურჩევნია სიკვდილი.

— მე ზომ არ მეხება ეგ, კალისტრატე? — გაიღიმა მიხეილმა.

— შენ რაზე?

— მე ზომ წავაქციე მამა-პაპის კერა.

— ვერ ჰქენი კარგი საქმე, მიხა, მაგრამ შენი მდგომარეობა სხვა იყო, სხვანაირად ვერ მოიქცეოდი. ნიჭიერი კაცი იყავი თავიდანვე, მეცადინი, დიდი მიზნები გქონდა, დიდი სივრცე გჭირდებოდა ფრთების მოსაქნევად. საკაურამ ვერ დაგიტია. ეს მესმის. მაგრამ მთავარი რა არის, მიხა, იცი? პირველ რიგში კაცმა თავისი თავი უნდა იცნოს, ვინ არის, რა არის, რის მქნისია. ბავშვი რომ საშუალოს დაამთავრებს, მერე ის ბავშვი აღარ არის. შესულია აჯარჯის გარჩევაში და რაც შეუძლია, იმაზე უკეთ არავინ არ იცის. აქ წყდება სწორედ საქმე.

— გაუმარჯოს, ბატონო!

— მიმიხვდი, რასაც ვამბობ? წამხედურებზე კი არ ვთქვი ეს მე, ნამდვილადამიანებზე ვთქვი, იმნიირა ადამიანებზე, ზაქარა რომ არის აგერ და ათასი იმისთანა, ხათუნა მინდელი რომ არის. ალავერდი შენთან!

კალისტრატემ ჭიქა გამოსცალა, თეფშზე დაიდგა და გახეთის ნახევით ულვაშები შეიმშრალა.

— მოგწონს ღვინო?

მიხეილმა ნაკლულ ჭიქას გახედა, გადაწვა-გადმოწია, მერე პირთან მიიტანა და მოწრუპა გემოს გასასინჯად.

— საფერავია?

— ძველშავია, საფერავის ჭაჭაზე დაყენებული.

— ძალიან ღვინო დამდგარა. უპ!

— რკო დამრჩა კიდევ ცოტა. ისიც საფერავის ჭაჭაზე დავაყენე, მაგრამ

ხომ იცი წყალწყალა რკოს ამბავი, თხელი გამოვიდა; სახარჯოდ ვხმარობ. აგერ მაქვს ისიც. გავსინჯოთ, თუ გინდა. სუფრის ღვინოა, ჩემისთანა კაცისთვის. ნახე აბა? ვერ მოვიფიქრე შეუბედურმა, თუარა ქვიშხურსაც დაგახვედრებდი. გადავიღე და ქე არის ისე, წვეთი არ მომიკლია. კარგია, ხომ? მე ეგ მირჩენია ამას. კაცია და გუნება.

— ძან სავენახე ადგილები გვაქვს, კალისტრატე. მე რომ მკითხოს კაცმა, ამ ადგილებში სულ ვენახს გავაშენებდი.

— ცოტა არის გაშენებული თუ?

— ცოტა არ არის, მაგრამ კიდე გავაშენებდი.

— ეგ, შენც ჩვენი რაიკომის მდივანით ლაპარაკობ, შვილო. ახალი მაშინ უნდა გააშენო, როცა ძველი გაშენებული თვალის ჩინივით გაქვს მოვლილი და ზღვად სკდება მოსავალი.

— აგრეც ვიზამდი.

— ვერ იზამდი, მიხა. გახსოვს, ბარონი მიუნჰაუზენი რომ ჭაობში ჩაეფლო ცხენიანა? არ გახსოვს, გეტყობა. თმა ჭქონია გრძელი იმ ცხონებულს. ცხენმა რომ ვეღარაფერი მოახერხა, წაივლო თმამი ხელ ბარონმა და ეწევა ზევით, ვითამ მეც ამოვფრები ტლაპოდან და ცხენსაც ამოვიყვანო. ასე არის ახლა ჩვენი საქმე. მუშა-ხელი არ გვეყოფნის. რაც ვენახები გვაქვს, იმის ხეირიანად დამუშავებასაც ვერ აუღის ეს ხალხი. ერთი კაცი ორად და სამად ხომ ვერ გაიჭრება.

— ეს ამდენი მანქანა-იარაღი რომ გვაქვს?

— რას გიკეთებს მანქანა-იარაღი, მიხა, თუკი ნაკეთს ვერ მიუღდება!

— მაგნაირიც გვექნება.

— ოო, ეგ კარგია! როცა გვექნება, ახალი ვენახიც მაშინ გავაშენოთ.

— ასეა საქმე ვითომ?

— მიიხედ-მოიხედე და შენი თვალთ დაინახავ.

— ვოტ კაკ!

— არაყი გინდა, მიხა, თუ?

— არაყი კი არ მინდა, რანაირად ყოფილა საქმე-მეთქი.

— შენ კი ამბობდი, კიდე გავაშენებდიო. მოკიდე ქიქას ხელში, გველუსიანმა სავსე ქიქამტუქამსწამტუქამცია და კალისტრატეს დააცქერდა.

— მაკარი ხომ გახსოვს, სიესივამე, თეთრწვერა მაკარი?

— მახსოვს, აბა არა?

— ეგ მაკარი მთისკალთაში იყო თავმჯდომარედ აგერ აქამდე. რაც არტელი ჩამოყალიბდა, ეგ იყო და ეგ. მერე, მთისკალთა რომ საკაურას შეუერთდა, ხალხმა მოითხოვა ისევე ეგ იყოს თავმჯდომარედო. ხომ იცი, მაკარი მძიმე კაცია, წინდახედული, გუშინდელიც აღარ არის, უბრალო რამეზე არ აცუნდრუქდება ბზოსავით. ითხოვა, მოეხუცდი, აღარ შემიძლია, სხვა დაეაყენოთ ვინმე, ამოდენა მეურნეობას გაძლოა უნდაო. არ ქნა ხალხმა. მეც მივამახე, მოხუცებულობა რას მიქვია, რის მიქვია-თქო. დაგვეთანხმა. პაპიროსი გინდა?

— არა, არ ვეწვევი.

კალისტრატემ ასანთი გაჰკრა და ასე კარგა ხანს ეჭირა ხელში.

— ხომ მოქცეულა კაცურად?

— კარგად მოქცეულა.

— მიგდე ახლა ყური. თებერვალი ილევა და მოდის საგანჯებულო ხენის გეგმა. რამხელა გეგმა არის, იცი? არ უთავედება ჩვენი სახნავები. შეწუხდა მაკარი, თავისი ფეხით გადავიდა რაიონში. გეგმის ნახევარიც ვერ შევასრულეთ. ახლა რაიონიდან გადმოვიდნენ უფროსები, შეამოწმეს, ჩაერეს, ჩამოერეს, მოგვაშველეს ხალხი და ხარ-კამეჩი. რაც ეწერა და ხრიოკი აღდგინო იყო, სულ დავხანით. მერე ავიღეთ და საძოვრებიც მივაცილეთ იმას. ორასი უღელი ხარი და კამეჩი გვეხმარა, დამიჯერებ შენ? დამისხი ერთი წყალი?

— მერე, მერე?

— რაღა მერე! დაიწყო თოხნა, მარგვლა. ყველას თავისი გასაკირი ადგია ამისთანა დროს, ახლაც სხვა არტელებიდან ხომ არ მოიხმარდი ხალხს. ნახევარი გავთოხნეთ, მასწავლებლ-მოწაფეებიანა შევესიეთ. ნახევარი და-

გვრჩა მოუვლელი. ზოგი გვალვამ გააფუტა, ზოგი საქონელმა, ზოგი მიუხედაობამ. გაიარა ძირი. ეს არის საქმე? ავიღეთ და მოვხსენით მაკარი. ყველაფერი იმას დაბრალდა. მერე თვითონ მაინც არ ყოფილიყო ამ საქმის წინააღმდეგი. თუ მაინცდამაინც, დავაწესოთ, რამდენი უნდა მოვიყვანო, იმას რა ქეჯა აქვს, რამდენს დავეთესავო. არაო! შეიძლება ეს? გულზე ხელი დაიდევინ და თქვი!

ოთახში სიჩუმე ჩამოვარდა. მერე კალისტრატეს გამყვიანი ხველა აუტყდა. ყელს მალიმალ ისველებდა წყლით.

გველესიანმა თავი ჩაიჭნია.

— რა თქვი? — შეეპრა მოხუცი, რომელსაც მოეჩვენა, რომ სტუმარმა რაღაც წაიბუტბუტა თავისთვის.

— დანაშაულია ეგ, კალისტრატე, უნდა მიგემართათ სადმე.

— რაღა დროს! ურემი რომ გადაბრუნდა? ოიხ... რა ჯანდაბა მემართება ეს ამოსაგდები, რას მახველებს! ვისთვის მიგემართა, ჩემო მიხა, რაიკომის მდივანი თავად აქ იყო... ოიხ... გეგმა უმიხს... დ ხომ არ შედგებოდა.

— მიკვირს და გამკვირვებია სწორედ.

— შენ გიკვირს... შენ მარტო გიკვირს... დიახ...

კალისტრატეს კიდევ უნდოდა რაღაც ეთქვა, მაგრამ ხველამ აღარ დააცადა და მხოლოდ ხელი ჩაიჭნია.

XXXV

ხათუნას თუმცა მონაწილეობა არ მიუღია საქორწინო გაწამაწამაში, ისიც იმავე გრძნობას დაეუფლებინა, რასაც სხვები. მიუხედავად იმისა, რომ შალვამ მოიკეთა და ფეხზე წამოდგა, ის სულ სახვალიოდ და სახვალიოდ სდებდა ბორის ლოლაძის ხელახლა მონახულებას, რათა, თუ შესაძლებელი იყო, სასწრაფოდ გაენთავისუფლებინათ დაპირებული ოთახი კოლმეურნეობის კანტორის შენობაში.

ხათუნა ისე იყო გადაყოლილი შინაურ საქმესა და ბავშვების მოვლა-პატრონობას, რომ გულისტყვილით

გრძნობდა, როგორ უჭირდა ხალხში გამოჩენა. სულ უნდოდა მიეღო მადლობა და გარეთ არ გამოეხედა. მხოლოდ კარის უბნიდანვე გამოყოლილი ნიადაგ მართობის სურვილი იყო ეს, თუ სხვა რამ შემოსჩენოდა? შინ თითქოს არაფერი, მაგრამ, როგორც კი ვინმე უცხოს დაინახავდა, თუგინდ ეს უცხო კარის მეზობელიც ყოფილიყო, ხათუნას ეჩვენებოდა, რომ გველურებულებით გამოიყურებოდა მის თვალში. სახეზედაც საგრძნობლად გამოიკვალა. გახდა, დაწვები ჩაუცივდა, გაფერმკრთალდა. ეს ერთი ხანი იყო, გულის ფრიალი დასჩემდა; ღამით ორჯერ-სამჯერ ეღვიძებოდა დაფეთებულს. ეჩვენებოდა, რომ ვიღაცა უგრიხავდა მარცხენა ხელს და სახარული ხმით ჩასძახოდა ყურში: „ჩემი საყვარელი გახდები... გახდები ჩემი საყვარელი...“

შალვას ავადმყოფობას და იმღამინდელ სიმწარეს თავისი კვალი დაემჩნია.

საქმე მაინც არ მიდიოდა ურიგოდ. ის როგორც იქნა შეეჩვია აზრს, რომ ზურჩიას სალამოს სკოლაში განეგრძო სწავლა, დღის საათებში კი ზაქარასთან ემუშავა. ეს აზრი თვითონ ზაქარამ ჩააგონა ბავშვს.

აქაც ყველაფერი კეთილად დამთავრდებოდა, რომ ზურჩიას ყვინჩილობა არ დაეწყო და სკოლის დირექტორთან წასულს დედაც თან გაეყოლებინა.

ხათუნა ამ დღეს პირველად აპირებდა გამოსვლას შინიდან შალიკოს ავადმყოფობის შემდეგ, მაგრამ ზურჩიამ იუკადრისა: რაღა დროს ჩემი წაყვან-წამოყვანაა, რა კულის გამსწორებელი მჭირდება.

სკოლის დირექტორი წიფლისწყაროში აღმოჩნდა გამახებელი. ზურჩია ამაოდ უცდიდა მას გაკვეთილების დამთავრებამდე.

სკოლის მოხუცმა დარაჯმა ის აქაურ მოწაფედ ვერ შეიციო და დერეფანში არ უშვებდა. ეტყობოდა, არც მისი უცნაური ქურჭი და ბოხიხი მოსდიოდა თვალში. ბოლოს, თვითონვე გამოიჩინა ცნობისმოყვარეობა და როცა ყმაწვი-

ლის ვინაობა შეიტყო, ყოველგვარი გამოკითხვის გარეშე ბუზღუნით შეიყვანა დაცარიელებულ სამასწავლებლოში და ღუმელთან დასვა, მხოლოდ იმ პირობით, რომ შესვენების დროს ზურიაც სხვა ბავშვებთან ერთად გამოსულიყო დერეფანში, რადგან სკოლის დირექტორი სასტიკად კრძალავდა სამასწავლებლოში მოსწავლეების შესვლას.

ზურია ეკლებზე იჯდა. ვერ ისვენებდა.

სამასწავლებლოში დროდადრო რეკდა ტელეფონი, მაგრამ ზურია წამოდგომასაც ვერ ბედავდა. რათა ამით ზედმეტი ხმაურობა არ გამოეწვია.

შესვენებისას, დერეფანში გამოსულს ჭაკირვებით შემოხედავდნენ ხოლმე უმცროს კლასელები, თითქო ამით უნდოდათ ეთქვათ, ეს რა უცხო ფრინველი მოფრენილაო.

ზურია მოკრძალებით მიჰყვებოდა კედლებს და ყოველ ნაბიჯზე ათვალთვლებდა ჩარჩოში ჩასმულ ცხრილებს, დიაგრამებს, კედლის გაზეთებს, სურათებს და პლაკატებს. ის განიცდიდა იმ ჩვეულებრივ უხერხულობასა და სიმართლევებს, რომელსაც მოწაფეები გრძნობენ უცხო სკოლის კარებში შესვლისას.

მისი აქედან წასვლის შემდეგ სკოლა საკმაოდ გადაეკეთებინათ. ეს მეორე სართული მთლიანად ახალი დაშენებული იყო.

ზარი, როგორც იქნა, დაირეკა.

ზურია ისევ მოთმინებით ელოდა დირექტორის გამოჩენას.

კარგა ხნის შემდეგ დარაჯმა ისევ დარეკა ზარი, შემდეგ კარი გააღო, აივანზე გავიდა და იქაც დარეკა, რათა პირველ სართულზეც გაეგონათ.

ეს, ალბათ, მეექვსე გაკვეთილი გათავდა.

ზურია კიბისთავში გავიდა და ბოზობი დაიხურა.

— ბაბუა, — მიმართა მან გულკეთილ დარაჯს, რომელსაც მარჯვენა ხელში ისევ მორჩილა ზარი ეჭირა და

წელმოწყვეტილად აეღრიალებდა, — ბაბუა, რა ვქნა მე, წავიდე...

დარაჯმა მოწყენილად შეაფარა თვალი ყმაწვილს, ერთი ორჯერ კიდევ გადააქანა და მოაქანა ეღრიალა ზარი, თუმცა მოწაფეების უმეტესი ნაწილი უკვე ეზოში იყო გამოფენილი და მხოლოდ ამის შემდეგ უბასუხა:

— რავარც გინდა, ბაბუა, სამის ნახევარზე მეორე ცვლა იწყება.

— მოვა პატივცემული დირექტორი?

— აბა მე საიდან ვიცი, შეილო. შენც კარგად მოგეხსენება, ანგარიშს მე არ ნაბარებს. წავიდა, განყოფილებაში გამოუძახეს. აბა მე და შენ ხომ არ დაგვიძახებენ! ამ დრომდე უნდა გადმოსულიყო. რაღაი არ გადმოვიდა, საქმე შეხედა, რასაკვირველია. დღეს რა დღეა, პარასკევი არ არის? ოთხისთვის გაკვეთილი აქვს მერვე პირველში. მოვა, აბა რას იზამს... ნელა! ნელა! — დაუყვირა დარაჯმა კიბისთავში გამოცვენილ თავშიშველ ბიჭებს და გოგონებს, რომლებიც ყრიაშულითა და ზიმიზიმით ერთმანეთს აწყდებოდნენ. ბიჭები სამხრეულიან „ჩანთებს“ ექნეოდნენ ჰაერში და ყურისწამლებად გაჰყვიროდნენ:

— ააააა...

ზურია მ გზა მისცა. ჩანთა მაინც მოართყვეს.

უცნობმა ბიჭმა, რომელიც ზურიაზე გაცილებით უმცროსი ჩანდა, ჩამოჩაჩულ ბოზობს გადმოხედა, ეშმაკურად შეათამაშა თვალები, ვითამ ეს ციმიბრის კერწა აქ ვის მოუყვანიო და ისევ ყვირილი განაგრძო.

— წადი! წადი! წინ დაიხედე! — დაუცაცხანა მას დარაჯმა, შემდეგ ისევ ზურიას მიუბრუნდა: — შენც წადი, შეილო, სახლში დილას აქეთ აქა ხარ, მოგვიედებოდა. ქამე და მოდი.

ზურიას სხვა გზა აღარ ჰქონდა. ყაბულს დაჰყვა.

კიბეზე ჩასვლისას ალაყაფის ღია ქიშკართან თავშეყრილ ბავშვებში ნაცნობ წითელ პალტოს მოჰკრა თვალი და გახარებულმა მთელი დღის განმავლობაში ახლა პირველად დაიძახა ხმამაღლა:

— გვანცა!

თავისი ხმა თვითონვე ეუცხოვა, მაგრამ განმეორება აღარ დასჭირვებია. გვანცამ მაშინვე მოიხედა და კიბეზე ჩამავალი ზურია დაინახა.

— შალიყო როგორ არის? — კიბისძირიდანვე მოაძახა გვანცამ, სანამ ზურია ეზოში ჩავიდოდა.

— კარგად, გვანცა. სახლში მიდიხარ?

— მივდიოდი, მაგრამ შენ რომ დავინახე, დავბრუნდი. ჩიტები არ შეგხვედრია?

— არა, როგორ?

— ლუხუნიაზე აბირებდნენ ჩასვლას, მეც მეუბნებოდნენ, წამოდიო.

— რაზე?

— დღეს ტივებს მოელიან, მთელი სოფელი იქ არის. მამა დილას წავიდა. რა საყურებელი იქნება, იცი? წამოდი, თუ გინდა, წავიდეთ.

— მერე წიგნები?

— წიგნებსაც წამოვიღებ, რა უქიარს!

— ვერა, გვანცა, მე ვერ წამოვალ. სახლში უნდა წავიდე.

— რა ამბავი? — წარბები შემართა გვანცამ.

— დღეს საქმეზე ვიყავი და ვერ გავაკეთე. დედას უნდა შევატყობინო.

ამის თქმისას ზურია გაწითლდა და გაკვირვებით შემოჩერებულ გვანცას თვალი მოარიდა.

— უარი გითხრეს რამეზე?

— არა, უარი კი არ მითხრეს... დირექტორი ვერ ენახე. წიფლისწყაროში ყოფილა გამოძახებული... — გაქეცა ზურია და მცირე ყოყმანის შემდეგ გადაწყვიტა ყველაფერი ეთქვა, — მე, იცი, გვანცა, უნდა ვიმუშაო... მარტო დედა ხომ იცი... სახლი შესაკეთებელი გვაქვს, არც ძროხა, არც არაფერი...

— მერე სწავლა?

— სწავლა... რა ვქნა, გვანცა... ზაქარა ბიძიამ დამიბარა და მითხრა, ჩემთან იმუშავე, კიკას მაინც რკინიგზაზე უნდა წასვლაო. ძნელი არ არისო. ძნელიც რომ იყოს, რა გაეწყობა! რა ვქნა, გვანცა, დედა მეცოდება... შენ დედა არ გახსოვს და არ იცი... — თვალები აუწყ-

ლიანდა ზურიას და თავი ჩაღუნა, — მკედლობას ვისწავლი, სკოლაში წაყვალა შიშ ვივლი, რა ვუყო აბა...

გვანცა თვალმოუწყვეტლად შეჰყურებდა მას და როცა ზურია დაამთავრა, ტუნზე იკბინა და თვითონაც ჩაფიქრდა.

— ზურია, შენ კარგი ბიჭი ხარ, იცი? ძალიან კარგი ბიჭი! — უცებ ამოიღვა ენა მან, — ყველა რომ შენისთანა იყოს...

— შენ, თუ გინდა, წაყევი იმათ ლუხუნიაზე, მე მარტო წავალ.

— აღარც მე მინდა წასვლა, — თავი ჩაღუნა გვანცამ, — მამა მოვა და მომიყვება. წავიდეთ!

სკოლის ალაყაფი ხმის ამოუღებლად გაიარეს. თავდაღმართში, ეზოს გალავანს რომ დასავლეთის მხრიდან ეკვროდა, წამოწითლებული ჩანთიანი გოგობიკები ციგებით დაცურაობდნენ. ზედახორა იყო გამართული. ზოგი იჯდა ციგაზე, ზოგი ზედ შემდგარიყო და ხელებს იქნევდა, აქაო და მარხილზე ვზივარ და გაოჩნებულ ცხენს ვერეკებით.

თუმცა უკვე ქაღალდობდა, სხვა დროს გვანცა მაინც ვერ შეიკავებდა თავს ცთუნებისაგან, ერთხელ მაინც ჩასრიალდებოდა მოყინულ დაღმართში, მაგრამ ახლა შეფიქრიანებული მისდევდა ამხანაგს, რომელიც ყველაზე გვიან შეიძინა, მაგრამ მისი ჩვილი გულით, თავმდაბლობითა და უბრალოებით მთლიანად მოხიზლული იყო. გვანცას თავისთავზე გადააქონდა ყველაფერი, რაზედაც ერთი წუთის წინ ზურია ელაპარაკა.

„სხვანაირად არც შეიძლებოდა მოქცევა. ზურია ნამდვილი გმირია!“ — ფიქრობდა გვანცა და დროდადრო მაღულად გაჰხედავდა უხმოდ მომავალ ბიჭს, რომლისთვისაც არც ეს ზამთრის მშვენიერი დღე არსებობდა, არც ეს გალღებული ბავშვები, თავდავიწყებით რომ ციგაობდნენ, არც სატივე ფონი ლუხუნიაზე, სადაც, გარდა ხარის მომკიდებლებისა, რამდენი სეირის მაცუ-



რბელი იქნებოდა! მაგრამ რატომ თოვლს მიჰყვება ზურია, არა სჯობია ბილიკზე ამოვიდეს?

— ზურია, რად მიდიხარ თოვლში? — მზრუნველად იკითხა მან.

— თოვლში? — უცებ გამოერკვა ყმაწვილი, — ორივე რომ ვერ დავეტევი?

— წინ იარე, მე უკან გამოგყვები... უშია, აქ ვის უცდი, ბიჭო?! — უცებ წამოიძახა გვანცამ, რადგან მხოლოდ ახლა შენიშნა უშანგი მიროტაძე, რომელიც მოშორებით იდგა ბილიკზე.

ისედაც სარივით აწოწილი მიროტაძე ცალ ფეხს დაყრდნობოდა, მეორე წინ წამოეგდო, თვალი მოექუტა და კეფას იქექავდა. ვიწრო ბილიკზე აჭაურობის ბატონ-პატრონივით გამოკვიმულს თავი ისე ეკირა, თითქო ზურიას ვერ ხედავდა და დამცინავად გაჰყურებდა გვანცას ამოღლიაგებულ წიგნებს.

გვანცა დიდად არაფრად მორიდებია მის გულზვიადობას, ზურიას თავის გაქნევით ანიშნა წავიდეთო, მაგრამ როცა უშანგისათვის გვერდი უნდა აეველო, ბიჭმა ოდნავ შეატოკა მხარი, გვანცას უბიძგა და თოვლში გადააგდო.

ზურია დაიბნა, ვედარაფერი მოახერხა. ჯერ ის დააპირა თვალი თვალში გაეყარა ჩხუბის გუნებაზე დამდგარ უშანგისათვის, მაგრამ ეს უკანასკნელი სრულებით არ აქცევდა მას ყურადღებას და ვითომც აქ არაფერი მომხდარაო, ღიმილით აღევნებდა თვალს თოვლში ჩაყურყუმალაგებულ გვანცას, რომელიც როგორც იქნა დაეყრდნო დაწითლებულ ხელებს და ჩაჩოქილი დაბნეული წიგნებისა და რვეულების შეგროვებას შეუდგა.

— შენ, ბიჭო, არა გრცხვენია? — ზიზლით მიმართა უშანგის მის მაგივრად დარცხვენილმა ზურია და გვანცას ხელი გაუწოდა მისამველებლად. — ყოჩაღ, რა ვაყვაცი ყოფილხარ!

საბიანხელებიანა დასველებული და თოვლში ამოგანგლული გვანცა ზურიას დახმარებით ამოვიდა ბილიკზე და გაწიწმატებული მამინვე მივარდა უშან-

გის, მაგრამ დაშინებულმა სამაგეროს გადახდა ვერ გაუბედა.

უშანგის არხენად შემოედლო ფეხზე, კეფას იფხანდა და კვლავინდებურად ილიმებოდა.

— თუ მეორედ გიქნია, მე ვიცი მოგხედეს! — ბრახით წაიბურტყუნა უშანგის უყურადღებობით კიდევ უფრო ამღვრეულმა ზურია.

— იცი, თუ არა, ფეხები არ მომჭამო! — ახლა კი მიუგო სრულიად დამშვიდებულმა უშანგამ, მაგრამ მის სახეს დამცინავი ღიმილი არ მოსცილებია.

— საზოზლარო! ჩამდგარხარ შუა გზაში და ხალხს გავლის საშუალებას არ აძლევ, — კაპასობდა თავის მხრივ გვანცა და წითელი პალტოს კალთებს იბერტყავდა, — გაგვიშვი შენი ტოლი თუ ვინმე ნახო, იმას ექიდავე. გამიშვი!

— მოიცა, რა გეჩქარება! — ისევ ღიმილით მიმართა მას უშანგამ, მაგრამ გაწიწმატებულმა გვანცამ ხელი ჰკრა მას გზის განთავისუფლების მიზნით. ეს მოუხერხებლად გამოუვიდა. უშანგამ კიდევ მოასწრო, ახლა მკლავი უბიძგა მკერდში და ისევ წინ გაუწერდა.

— რა გინდა, რატომ არ მიშვებ?! — თვალები ცრემლით ავესო მოთმინებულაკარგულ გვანცას.

— ჯერ პასუხი გამეცი და მერე წადი.

— რა პასუხი უნდა გაგეცი?

— დაისვენე პატარა ხანს და მოგაგონდება.

— წამოდი, ზურია, ძამიკო, ამას რომ ვუყუროთ... სულელია ეს!

— მოიცა! სულელი ვინც არის, ახლა გაიგება. რა გინდოდა გუშინ კომკავშირის კომიტეტში?

— კომიტეტში?

— ხო, რა გინდოდა? — ტუნები მოკლმა და კრიჭა შეიკრა უშანგამ, რომელსაც მარცხენა ხელი მაგრად ჩაველო გოგონას მკლავისათვის, არსად გამექცესო.

— შენ მიშლი კომკავშირის კომიტეტში სიარულს თუ?

— არა, ახლა თქვი, რა გინდოდა!

— რა მინდოდა... და მინდოდა... რა მინდოდა და... — დაიბნა გვანცა, — გამიშვი, უშია, მამას დავეძახებ, იცოდე!

— ხელმოგრეხილი მამაშენი ფეხებს მომჭამს, გაიგე? ის სატივეზე გახლავს ახლა, უძახე, რამდენიც გინდა, ბევრს გააგონებ!

— ვაიმე, რაღა ვქნა!.. ზურია, მიშველე, თუ ძმა ხარ, რა უნდა ამ ოხერს...

— ოხერიც ხარ და ქვეც არ იცი რა! გაიწი შენ, შენ არ გელაპარაკებია!

— უშია, გაუშვი ხელი გვანცას, მე გეუბნები შენ, გაუშვი გვანცას ხელი... — თქვი ახლა, რა გინდოდა კომკავშირის კომიტეტში. მიროტაძე ლეინოს სვამს, ლოთობს, არ სწავლობსო, ვინ თქვა ეს?!

— მე ვთქვი! — უკანასკნელი გამბედაობა მოიკრიბა გვანცამ და უშანგის აციმციმებულ თვალებს შეხედა.

— შენ თქვი?

— ხო, მე ვთქვი! მართალია და ვთქვი, რა გინდა მერე?! — გული მოიცა გვანცამ.

— არაფერი, ეს! — მშვიდად შეაწყვეტინა უშანგი და თავისუფალი მარჯვენა ხელით სილა გააწნა.

გვანცა ჯერ გაოგნდა, შემინებულ თვალებში უშანგის შიბაყრო. ლოყა გაუთეთრდა, მერე სიჭრელემ გადაჭრა, ბოლოს კი ბროწეულივით გაუცეცხლისფერდა. ცრემლები მოეძალნენ ჩალურჯებულ უბეებში. უშანგი კი თავგამეტებით სცემდა ხან მარჯვნიდან და ხან მარცხნიდან.

— ესეც შენი ლოთი... ეს უსწავლეული... ეს კომიტეტი...

თავგზადაკარგულმა ზურიამ ძლივს გამოგლიჯა ხელიდან გოგონა, საცოდავად მოკუნტულს მკერდით გადაეფარა და დაუყვირა უშანგის:

— მე დამარტყი, მე, თუ ბიჭი ხარ... მე დამარტყი!

— შენ არავინ გკითხავს ბალი ათი შაურიაო, შენს ტყავში დეტეი! — მშვიდად უბასუხა ოდნავ გაფითრებულმა უშანგიმ და რადგან საქმე დამ-

თავრებულად ჩათვალა, ფეხით მოსრესილი ქული აიღო, დაქუთუხა ლერივე ხელით გაისწორა და წასვლა დაიწყო.

ზურიას მხარზე სახით მიკრული გვანცა სლუკუნებდა და საცოდავად უთრთოდა მხრები.

— ლაჩარი ყოფილხარ, გოგოებს ერევი, ყოჩაღ ბიჭო! — ამაზე უფრო დამამცირებელი ველარაფერი მოიგონა ზურია ბილიცზე მიმავალი უშანგის დასადევნებლად, — ერთხელაც იქნება, ხელში ჩამივარდები და მერე ვნახავ შენს ბიჭობას!

— წამოდი, გადასახვევთან დაგიცდი, — მშვიდი ღიმილით მოუხედა უშანგიმ.

როგორც კი ეს ხმა გაიგონა, გვანცამ მაშინლა გაბედა ნაცემ-ნაგვემი სახე გამოეჩინა და ხელახლა დაეწყო თოვლზე აქა-იქ გაბნეული წიგნებისა და რვეულების მოგროვება. თუმცა ტყვილი აწუხებდა, ახლა აღარ ტიროდა, აბურღულ-დაბურღული ნაწნავის ბოლო მარცხენა ხელში ეჭირა.

ზურიას კიდევ უფრო შეებრაღა იგი. მიხვდა, დაწვარზე მდულარეს გადასხმა იქნებოდა ახლა გვანცასთან გამოლაპარაკება. ხელები უკანკალებდა და გული წელანდებური გამალებით უცემდა. თავის სიცოცხლეში არ გამოეცადა მას ამგვარი გაბოროტება ვინმეს მიმართ. ალბათ ასეთ წუთებზე იტყვიან ხოლმე, კაცის ხორცს შევქამდით.

— ბაბთა დამიკარგა მაკ საზიზღარმა, ნაწნავეები როგორღა შევიკრა! — ნამტირალევი ხმით წაშოიძახა გვანცამ და ბილიკს ერთხელ კიდევ მოავლო თვალი.

გოგნებულ ზურია გონს მოეგო. პეპელასავით განასკვეული ბაფთა უპოვნა და გაუწოდა.

გვანცამ ჩამოართვა, წიგნები ისევ ილიაში ამოიჩარა და თითქო ზურიაზეც გული გასტეხიაო, ხმის ამოუღებლად გაუდგა გზას სახლისაკენ.

დარცხვენილი ზურია ხუთიოდე ნაბიჯის მოშორებით მისდევდა მას და არ იცოდა, რა ეთქვა, რით გაემხნევებინა თავისი უშიშარი მეგობარი.



ქიშკარს ისე მიადგნენ, ხმის ამოდება ვერც ერთმა ველარ მოახერხა.

ზურია მცირე ხანს შეიცადა და როცა უსიტყვოდ ეწოში შესული გვანცას ფეხების ბაჟუნი დერეფნიდან მოესმა, თავჩაღუნულმა გზა განაგრძო.

ეს ის ადგილი იყო ხეხილის ბაღის ქიშკართან, სადაც მეორედ შეხვდა გვანცას საკაურაში ჩამოსვლის შემდეგ. დედა აი იმ ბოძთან იდგა ლობიოპარკის საცეხე კეტზე დაყრდნობილი. „მეორედ რომ მოგივარდეს და დაგიპიროს კბენა?“ „მეორედ და მესამედ სხვა არის“... — გაახსენდა მას კვალის ამოძიების შემდეგ დედასთან გამართული საუბარი და ფეხს აუჩქარა.

გამუდმებულ მზიან ამინდებს, რომელიც ამ კვირაში ერთმანეთს წაეწყო, თოვლი საგრძნობლად გაედნო. გზის მარჯვენა მხარეს ფოთლებშემოძარცვული კოპიტები იცრემლებოდნენ. ამათ დანახვაზე კაცს ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა, თითქო სწორედ ეს წუთია, კოცისპირულ წვიმას გადაუღიაო. გზასა და კოპიტებს შუა, ასევე აცრემლებულ ძეძვნარში ზრიალით მოედინებოდა მზიარულად მოჯირითე, დამპალი ნეშოსფერი წყალი, მერე ისევ იკარგებოდა ძეძვნარში, თითქო ვისმე ემალებოდა.

მთისკალთის ფერდობებზედაც შემდნარიყო თოვლი, ჩრდილიანებში-და გასდევდა ზოლად. მთელი შიშველი კალთა უთვალავ თვალმარგალიტად ბრწყინავდა მზის სინათლეზე. რა ახლო იყო გაზაფხული! ნუთუ მარტის მცბუნვარე დარბამდე კიდევ გამოიცვლებოდა ამინდი?

„ეს რა არის, ძეძვის ქვეშ რომ შეუყუღლა?“ — თვალი მოიჩრდილა ზურია.

წამიც და, სიხარულით გულამგერებულ, ის ზედ წაადგა ორი ხელისდადებაზე შემომდნარ თოვლის კალის, რომლის შუაგულში, სინესტით გაეიყინებულ რილოზე კორჩიოტოს ორი თუ სამი ყვავილი ნაბავდა თვალებს, რა უცხო და მოულოდნელი რამ იყო ნაზი

ყვავილების გამოჩენა იმ დროს, როდესაც ქალებში ჯერ კიდევ წყალმდე ბინჯი იქონიდა.

ზურია დაიხარა, ძეძვის ანახბახბა ტოტები ცალი ხელით დაიჭირა რომ ეკლებს არ წამოსდებოდა და მეორეთი ფრთხილად მოსწყვიტა პაწაწინა, ნაზი ყვავილი, რომელიც ნაადრევი სტუმრობის გამო თითქო ზურიას დანახვაზე გაწითლებულიყო. მერე როგორ უყვარს შალიკოს ყვავილები! სულ გადაირევა სიხარულისაგან!

მთელ ძეძვებს შემოვივლიო, გაიფიქრა ზურია, დაეკრეფ და თაიგულს შეეკრავო. საბრალო ყვავილები კიდევ დიდხანს იცოცხლებდნენ წყლით ავსებულ ღვინის ჭიქაში.

მან მართლაც ბევრი იარა ძეძვებში. კოპიტების მხარეზე გადასულს ერთი ორჯერ წყალშიაც კი ჩაღვარდა ფეხი, მაგრამ ნორჩი ყვავილების მომხიბლავი თაიგული ისე ახარებდა, რომ მღვრიე წყლის სუსხი სულაც არ უგრძენია. უბნის შუაგულამდე აჰყვა ძეძვებს და ქურჭის ჯიბეში შემთხვევით დარჩენილი კედის ნაწყვეტით ყვავილების კონის შეეკვრას აპირებდა, რომ გზის მარცხენა მხრის გასწვრივ გაყოლებული ყორის მხრიდან ვიღაცამ დაუძახა.

ზურია შეკროა.

ყორისთან ნიდაყვით ქვაზე დაყრდნობილი, ფეხიფეხ შემოდგმული უშანგი იდგა და ყუნწამდე დაღუპილ პაპიროსს აბოლებდა. მის მოყვითანო-მომწვანო სახეს სიმშვიდე და თავდაჯერება გადაჰკრავდა. ციმციმა თვალელები მოეჭუტა, თითქო ბოლს შეუწყუხებიაო და ოდნავ თავჩაქინდრული შემპარავად იღიმებოდა.

ზურიას სცივემ დაუარა ერთბაშად ტანში და გზაზე მიიხედ-მოიხედა, სულ მარტო ვართ თუ კიდევ მოდის ვინეო. ახლა ის თითქმის პირდაპირ იყო ადამიანთან, რომლის „ხორცის შექმასაც“ ამ ნახევარი საათის წინ არ დაიზარებდა, მაგრამ უცებ ისე მოუღდა გაცლოდა აქაურობას, ისე მოუღდა უშანგისთან შეხვედრა ხვალისთვის, ზეგისთვის

გადადებულიყო, რომ ენა დაება და ამ უკანასკნელის დაძახილს ერთი სიტყვი-თაც ვერ გასცა პასუხი.

— წელან ძალიან ყვიროდი, ხელში ჩამივარდებიო? — ნიშნის მოგებით გადმოუტლო უშანგიმ, რომელიც ადვილად მიმხვდარიყო ზურიას შეფიქრებებს და კიდევ უფრო თავდაჯერებით იღიმებოდა.

ახლა ის ზურგით მიყრდნობოდა გამდნარი თოვლით ჩამოღვნილ ყორესს და გულხელდაჭლობილი მსხვილი და მსხვილი ნაფახუბრით აბოლებდა დაღუპილ პაპიროსს.

ზურია გაჭირვებით მოიწევდა ძეძვებში. უფრო იმის შიში ჰქონდა, უშანგიმ აქვე არ მომისწროს.

— რა იყო, ენა ჩაგივარდა? — მოესმა მას ყორესთან ატუზული ბიქის გულის გამგმირავი ხმა, მაგრამ სანამ ამ აჩხაბაჩხა ძეძვებიდან არ გამოძვრებოდა, გადაწყვიტა პასუხი არ გაეცა. ბოლოს უკანასკნელი ეკალიც ჩამოიშორა და უშანგისათვის რომ თავისი წუთიერი კანკალი არ ეგრძნობინებინა, გზის პირას უშისრად გაჩერდა, რამდენადაც შესაძლებელი იყო, მშვიდად ამოიღო ჯიბიდან კედის ნაწყვეტი, მისი ერთი წვერი კბილებით დაიჭირა და თითქო ამის მეტი საფიქრელი არა აქვს რაო, ყვავილების კონის შეცვრას შეუდგათავისდა სავალალოდ, სწორედ ამ დროს შენიშნა, რომ თავიგულის შესაკონავად წინწამოწვდილი ხელები უცახცახებდა და გაიფიქრა, რომ ამით კიდევ უფრო გასცემდა თავის მღელვარებას. კედს, რომელიც ვითომდა შემთხვევით შემოაწყდა ხელში, თავი გაანება, გადარჩენილი ბოლო ისევ ჯიბეში ჩაიღო და ადგილიდან დაიძრა.

უშანგიმ დაღუპილი პაპიროსი გადააგდო. ეტყობოდა, ისიც ამას უცდიდა. თავის მხრივ ზურიას მშვიდად მოუჭრა გზა და წინ გაუჩერდა.

— ეს რა მოგიკრეფია, ყვავილებია? — მხარი ამოიგდო უშანგიმ და აღმაცერად დახედა ზურიას მუქში მომწყვდეულ ყვავილებს.

— შენი საქმე არ არის, ყვავილებია თუ რა!

— არა, მანახვე, შე კაცო, არ შეგიქამ, ძროხა კი არა ვარ.

— გაუშვი ხელი!

— უჰ! — შეიოცა უშანგიმ, — შენ კიდევ ამოიღდი ენა? ყოჩაღ!

— შენი ქება არ მქირდება მე, გზიდან ჩამომეცალე, არ მცალია შენთვის!

— ხოო? — კიდევ ღიმილით იკითხა უშანგიმ, ზურიას ყვავილებიან მუქს ხელი მოუჭირა და კბილები დაკრიჭა.

— გამოშვი ხელი, რას ერჩი ყვავილებს! — ცრემლით ავსებულნი ხმით შესძახა ზურია და ხელი გამოგლიჯა, მაგრამ მხოლოდ მოწითალო კლერტოები შერჩა ხელში. ყვავილის ნაზი ფურცლები ფრიალით ეშვებოდნენ მის ფეხებთან ახელილ ტალახში, — ადამიანი ხარ ახლა შენ? რა მიქენი ეს!

— ეგ არაფერი! — იღიმებოდა უშანგი, — მაგ კორჩიოტასავით რომ წაგაწყვიტო თავი, გინდა? დედას დაუძახე, მოგეშველება.

ზურია უფრო ააცახცახა ამის გაგონებამ, მაგრამ ხელის გამოღება მაინც ვერ გაბედა.

— ბოხოზი ვინ გიყიდა, დედამ? — შიგ თვალბეჭეში შეაქჳერდა ახლა უშანგი და ქუდს ხელი წაატანა, — კარგია, ხომ იცი! ყოჩაღ შენ! იმ ენატარტარას რომ ექომაგები, შენ ვისი ტიკი ტომარა ხარ, ერთი ეს მითხარი ახლა.

— არაფერი ტიკი ტომარა არა ვარ მე... მე ჩვეულებრივი ადამიანი ვარ...

—...შენს ჩვეულებას! წადი, დედაშენს მიხედე, ის ჯობია, პორტილე არსად მიეპაროს...

— ოოზ! — ერთი კი დაიღმუცლა ზურია და სწორედ იმ ლაფში ამოსვრილ ქვას დააფრინდა, რომელზედაც კარგა ხანია ეჭირა თვალი, მაგრამ ველარ მოასწრო. უშანგი თვალის დახამხამებში მოექცა მას ზემოდან, თავი ლაჯებში მოიქცია, ხელები მუცელთან მოხვია და ფხოწიალ-ფხოწიალით თოვლში გადაათრია, აქ კი ქვეშ ამოიღო და უწყალოდ დაუწყო ცემა თავპირსა და სახეში.

სუნთქვაშეკრულმა ზურია მ უკანასკნელი ღონე მოიკრიბა, მხრებით თოვლს დააწვა, რომ გადმობრუნება მოეხერხებინა, მაგრამ კიდევ უფრო ღრმად წავიდა შიგ. მარილიანი სითხით ავსებული პირი თოვლით ამოეტენა. მას აღარ ახსოვდა, რამდენმა დრომ განვლო, თითქოს მთელმა საუკუნემ გაიარა. როცა გონს მოვიდა, თავდაყირა იყო ჩაყუდებული თოვლში, ლაფში ამოვლებული მძიმე ქურქი ზემოდან ეფარა. როგორც იქნა ამოხზდა თავი-სივე მხრებით გათხრილ ორმოდან, ჩაჯდა. ხელები დასისხლიანებული ჰქონდა, თავპირი უხურდა. მიიხედ-მოიხედა. ლაფში ამოსვრილი ბოხოხი ნაკადულის გაღმა ეგდო, ნასიმინდარ ყანაში...

წავიდა! ზურია გალაზა და წავიდა! ქვეყანას გააგებინებს ყველაფერს... ახლა ზურიას აღარ ჰქონდა ის გაბოროტების, დაუყოვნებლივი თავგანწირვის სურვილი, რომელმაც წელან ანთო და თავიც კი დაავიწყა. მას სხვა რამ აწუხებდა, აწუხებდა ის, რომ სამარცხვინოდ გალახეს, ისე გალახეს, რომ ხელის შებრუნებაც ვერ მოასწრო... ამის წარმოდგენაზე თვალთაგან ერთბაშად წასკდა ცრემლები და ის ატირდა. ზუზუნით, გაბმით ნამდვილი ბავშვივით ტიროდა და თუმცა არ უნდოდა, წამდა-უწუმ დედას ახსენებდა. კიდევ კარგი, რომ სახე ისევ თოვლში ჰქონდა წარგული და მისი ხმის გაგონება არავის შეეძლო. მაგრამ რომ ვინმე წამოსდგომოდა თავზე, ვინმეს რომ ასეთ ყოფაში დაენახა, გალახული, შერცხვენილი...

ქეთინი დაიოკა და ისევ ასწია თავი. იმ ადგილზე, სადაც ერთი წუთის წინ სახით იყო ჩამხობილი, წითელი ლაქებით აქრელებული თოვლის უსუფთაო ღრმული დარჩენილიყო. ზურია მ გარკვევით დაინახა ცხვირისა და ნიკაბის ანაბეჭდი. სახეზე ხელები მოისვია შუბლიანყელიანა სისხლით იყო მოსვრილი. ვის უნდა სჩვენებოდა ამნაირი სახით, ვისთან მიესვლებოდა, დედასათვის ვის რა უნდა ეთქვა? ჯერ კიდევ მისუს-

ტებულ შალიკოს ყვავილებს კონის მაგივრად ლაფში ამოსვრილ ქურქს და დასივებულ ტუჩებს მიუტანდა. დედასულ გადაირეოდა ამაზე. ფიცხელი გადაწყვეტილებით წამოღგა და ოდნავ მოღუნულმა თოვლით ამოტენილი ბოხოხის ასაღებად გასწია. არც ნაკადულის ვიწრო ყელი უძებნია, არც წინდებიდან ამოჩაჩული შარვლის თათები-სათვის უხლია ხელი. მღვრიე წყალი ხრიალით ჩავიდა ფეხსაცმელში და მან მხოლოდ ახლა იგრძნო, რომ სციოდა.

საღლაც უნდა შეეცადა დაბინდებამდე, თავპირი დებანა, ტანსაცმელი გაეწმინდა და გაეშრო, მაგრამ სად? მის წინაშე გვანცას სახემ გაიელვა, მაგრამ ზურია მ მხოლოდ თავი გააქნია. გვანცას გალახული სჩვენებოდა? რა არ სჯობდა ამას! სველი ბოხოხი დაბერტყა, თავზე დაიხურა და უგზო-უჯვლოდ წაბორიალდა კოპიტების ჩასწვრივ.

ტანსაცმლის გასაწმინდად და ხელპირის დასაბანად წყაროზე მისვლაც არ შეიძლებოდა. იქ უქველად შემოეყრებოდა ვინმე. ეს ნაკადული მიანიც არ იყოს ასე მღვრიე, თუმცა...

მან მარჯვნივ მოუხვია, თოვლში ჩაფლულ ხიმეს გადააღაჯა, რომელიც კოპიტსა და კოპიტს შუა იყო გალაგებული.

ნაკადული ძალზე მღვრიე იყო, სულ სილა და შლამი მოჰქონდა.

ზურია ნაპირს გაჰყვა. მალე ხეხილის ბაღში ამოჰყო თავი. აქედან ეგნატე სივსივადის კარ-მიდამო კარგად მოჩანდა. კიშკარი მოკეტილი იყო. გზაზე კრელი ძროხა და ნიკორა დეკეული დაინახა, როგორ მოუნდა მათი მოალერსება... მაგრამ ის რა უთხრა უშანგიმ, დედასო...

ზურია შეჩერდა და ამ გახსენებით ადლებულმა ერთხელ კიდევ მოიხედა უკან. ის მზად იყო, ახლა თვითონ დასტაკებოდა უშანგის, თუნდაც ეს ჩხუბი ისევ მისი დამარცხებით დამთავრებულიყო, მაგრამ არც უშანგი იყო ახლო და არც არავინ.

ზურია მ ქურქის კალთები ამოიკეცა

და ბედს შერიგებულმა უფრო შორს შერთა ბაღის სიღრმეში. აქედან მოკლე გზით ჩავიდოდა ლუხენიამდე. ლუხენიას რიყეს სამანქანო. გზატკეცილი გასდევს. შერთულის ხიდი ერთი საათის სავალზეა. ხიდს რომ გაცდები, მერე გზაც ხსნილი გაქვს, გინდ მარჯვნივ წადი და გინდ მარცხნივ. კარგა დაღამებამდე ქალაქსაც ჩატანს მარჯვე მოსიარულე: იქ ან სატვირთო ვაგონის კუთხეში მოეწყობა და ან... ფეხით შორია დიდ მატარებლამდე. აი, მან ჩააღწია თბილისს, რომელიც თავის დღეში თვალთ არ უნახავს. იმასაც გასცილდა, მიდის... ვინაა ეს სათვალეებიანი კაცი, ვინაობას რომ ეკითხება ზურიას, ეტყობა ექვსის თვალთ უყურებენ, ვიღაც მონეტიალუ ჰგონიათ... ალბათ მართლა მონეტიალეს ჰგავს ახლა, გამურული და ქუჭყვიანი. აბა ვინ იცის, რომ სამი დღედაღამეა, ზურიას ბუჩი არ უქამია, თვითონ ხომ არ გაამხელს ამას... მაგრამ როდის იყო კაცი უბრალოდ ილუბებოდა! ყველაფერს კეთილი ბოლო გამოუჩნდა. სათვალეებიან კაცს სადღაც მიჰყავს... დიკა! ეს რომელიღაც დიდი ნავსადგურია, ბაქანზე ხალხი ირევა. ყურეში შორეულ ქვეყნებიდან დაბრუნებული მალანაძიანი გემები დგანან... აქ კიდევ ეკითხებიან ზურიას ვინაობას. ალბათ უნდა გაიგონ სანდო კაცია თუ არა. აბა როგორ არ არის ზურია სანდო, მისი მამა ხომ ფრონტზე დაიღუპა აქ, ოდესაში! ზურიაზე სანდო ვინლა იქნება! მას მუშაობა უნდა, თუმცა საიდუმლოს მაინც არ გაამხელს, აუცილებლად უნდა იმუშაოს, დედას და პატარა ძმებს ფული უნდა გამოუგზავნოს და მერე, ხანი რომ გავა, ისევ უნდა დაბრუნდეს საკაურაში. უშანგიც აქ დაუხვდება, სად წავა! მაგრამ არც დედა, არც შალიკომ და არც პავლემ დღემდე არ იციან მისი ადგილსამყოფელი. მთელი სოფელი ეძებს, მაგრამ ვერა და ვერა ბოულობენ, ვერც მნახველს მიაგნეს ვისმე... დედა ტირის და შალიკოს და პავლეს ამშვიდებს, რად-

გან ესენიც ტირიან: ალბათ ჰყავთ თიანთი მფარველი უფროსი მამა... რა შეუბრალებელია ზურია! მშობლებს უცხოვლის აყენებს ყველას! დედას ერთბაშად მოტეხს ჯავრი, თმა გაუქუღარავდება... ზურიას ხომ შეუძლია ერთი წერილი მოიწეროს, ორიოდ სიტყვით გააგებინოს, რომ კარგად არის და ორი წლის შემდეგ საკაურაშიაც დაბრუნდება. ახლა ის გემი, რომელზედაც ის მოეწყო, ნავსადგურს სტოვებს და ბათუმისკენ მიემართება. კაპიტანი ამბობს, იქ სამ დღეს დავრჩებითო. ალბათ ახალ ტვირთს დაუდებენ. იქიდან მოასწრებდა შინ ამორბენას, მაგრამ... ბათუმიდან გემი შორს მიემგზავრება, ყველა სრუტისა და ზღვის, ყველა ცივი და ცხელი ქვეყნის იქით... არა, ზურია დიდხანს ვერ მოითმენს. თავის სიცოცხლეში პირველად მისწერს დედას წერილს და პატიებას სთხოვს, რომ გასაპირის დროს მიატოვა, მისი იმედი ვერ გაამართლა, მაგრამ მალე ყველაფერი გამოსწორდება, რადგან ის ძალიან უყვართ გემზე და საზღვაოსხოს სასწავლებელში უპირებენ გაგზავნას... უშანგის ერთხელაც არ ასხენებს წერილში. რაც იყო, იყო! ახლა ის წვრილმანი ადამიანივით ხომ არ გამოუდგება სამაგიეროს გადახდას! „საყვარელო ძმებო, პავლე და შალვა! თქვენ, ალბათ, დიდი ბიჭები ხართ და მალე სკოლას დაამთავრებთ. ერთ რამეს გთხოვთ, ჩემო საყვარელო ძმებო დედას გაუფრთხილდით თვალის ჩინივით, დედა არ მომიხუცოთ. მალე ჩამოვალ და მე ვიციოდე და თქვენმა პატივისცემამ. კიდევ გიგზავნით ფულს. დედას უთხარით, რომ ეს ფული ჩემი შრომით ვიმოგნე. ამით დიდი ოდა ააშენეთ, რვაოთახიანი, წაბლის... ეგნატე ბიძიას ჰკითხეთ და ის გასწავლით. ზაქარა ბიძიას ბოდიში მოუხადეთ ჩემს მაგიერად, იმ დღეს რომ მოვატყუე და სამუშაოდ აღარ მივედი. ნუ ეგონება, რომ მე მუშაობა მეზარებოდა ან მემწიფებოდა. უთხარით, საქმე იყო ისე-თქო... ჩემო საყვარელო ძმებო, ჩემო საყვარელო დედა! აქაუოი

ამბები სხვა რა მოგწეროთ. თქვენს მტრებს ინდოეთიდან დაბრუნდა ჩვენი გემი. ახლა ისევ ოდესაში ვდგავართ. მაშასწინააწერილებიც ხომ აქედან მოდიოდა უკანასკნელად. თქვენც მოიწერეთ მანდაური ამბები, ვინ როგორ არის...”

თვალზე ცრემლმომდგარი თხზავდა ზურია ამ გულის ამანუყებულ წერილს და წელამდე მომდგარ უტეხ თოვლს თავგამეტებით მიაკვლევდა.

XXXVI

ლაბაძეების უბანი ერთ-ერთი განაპირაა საკაურაში. გარდა ორიოდ ფლავანდიშვილისა, კილაძისა და კიტაძისა, აქ მხოლოდ ლაბაძეები ცხოვრობენ.

უბანს სამხრეთის მხრიდან ჩაუდის მდინარე ლუხუნია. ლუხუნია უმთავრესად დაბლობის მდინარეა, ოსეთის მთების უღრან ტყეებიდან მოედინება. იმერეთის კოპია სოფლები მარგალიტის მძივადაა აგებული ამ ვერცხლის ძაფზე. დაცემულ ხოდაბუნებში დედუნით მოიკლაცნება მდინარე ლუხუნია, ხოლო როდესაც სალი კლდეებით შემოზღულულ იწროებს წაადგება, ხმასაც აუწყებს და თავიბრის მტვრევით გაიჭრება ბოგირებისა და რკინის ხიდის ქვეშ. შორს გაისმის მისი ყვირილი.

წყალნაკულობის დროს ლუხუნის კამკამა მორევში ფერად კენჭებსაც კი დაითვლის კაცის თვალი.

აღრიდანვე მოცილებული მდინარე აუო ქალეზე გაშენებული სოფლების მარჩენალი, თუმცა ამ სიკეთესთან ერთად ზიანიც ბევრი მოჰქონდა ლუხუნისას.

ადიდებისას აუარებელ ნარიყს სტოვებდა ნაპირზე. დაედებოდა მის წყალობას ხარი და კაცი. მთელი კვირა ეზიდებოდნენ კენძებსა და მორებს. აქვე აპობდნენ ძირიანად მოთხრილ წიფელებს, ანთებდნენ კოცონს, რომ ხალხით მოფენილი შემოგარენი ლამითაც განათებული ყოფილიყო; იჭერდნენ მოტაცებული წისკვილის თავებებს, გადმო-

პირქვევებულ ხეშირებს, მღვრიე წყალზე მონანავე მამა-პაპურ მელებს.

აბოზოქრებული მდინარე ნათესაშედაც გადაიჯირითებდა ხოლმე, მაგრამ ბარის სოფლებმა ამასაც მოუარეს სახიფათო მოსახვევებში ქვიტიკრის ჯებირები ამოაშენეს, ამათ გასწვრივ კი რიყის ქვით მოჯორაკილი გოდორაყულები ჩაჰყარეს. მოჭარბებულ წყალს ნაპირზე გათხრილი ვეებერთელა ორმოებში აგროვებდნენ, დალეკილი შლამი ნათესებში გაჰქონდათ და წვიმისაგან გადარეცხილ მიწას ანოყვირებდნენ.

ლაბაძეები ისე იყვნენ მდინარეს შეჩვეულნი, რომ უმისოდ ცხოვრება ვერ წარმოედგინათ. ხმელ-ხმელი, მზით გარუჯული ვეკაცები ადრეულ ბავშვობიდანვე უმეგობრდებოდნენ ლუხუნისას, მოძებნიდნენ სიბი ქვით მოფენილ თხელ წყალს და გასათავარი სიმარჯვით იჭერდნენ ჯილეში გამომწყვდეულ სულელ წვერას: ფრთხილი და ელვასავით სწრაფი კალმახი ანკესსაც არ ეკარებოდა, ქვიშაზე ფეხაკრფით გავლილ შეთევზეს წყლის სიღრმიდან უთვალთვალებდა.

ლაბაძეებში გლესს ვერ ნახავდით, რომ კოხტად გამოსკვნილი სასროლო ბადე არ ჰქიდებოდა აივნის ბოძზე. უყვარდათ წყალი ლაბაძეებს. განთქმული მეტივეებიც ესენი იყვნენ. თუ უამინდობის გამო სამანქანო გზა შეიკრა, მერე ღვიძლ ძმასავით შეზრდილი მდინარეა გაჭირვების ტალკვესი. უსიერ ტყეში, თითქმის ლუხუნისას სათავესთან რომ ორთაყვირებს აუშვებდნენ მეტრევები, სამხრობისას წიფლისწყაროს სარკინიგზო სადგურის თეთრ სამტრედებსაც დალანდავდნენ თვალს. ამ სანახაობას უბნის ბოლოდან უთვალთვალებდა ფრიადო კლდეზე გადმომდგარი სოფელი და როგორც კი მოძარევე წერტილებს დაინახავდნენ მდინარეზე, დიდინაპატარიაანა ქრიაშულით მიაშურებდნენ ქალას.

ამჯერად დიდხანს არ გაგრძელებულა ლოდინი.

ზაქარას პატარა ქალიშვილები, ჩიტე-

ბი, თეოფილე ლაბაძის ოწინარიან კა-
საც არ გასცილებოდნენ, რომ კლდის
პირზე სეირის საყურებლად წამოსული
გოგობიძეების ძვილ-ხვილი ატყდა-
ძნელად თუ გააჩქევდა ვინმე, რომ ყვე-
ლა მათგანი ერთსა და იმავე სიტყვას—
„გამოჩნდა!“, „გამოჩნდას!“ — იძახდა
და ცდილობდა სხვაზე ადრე ჩაერ-
ბინა საცალფეხო ბილიკი, რომელიც
მთელი ნახევარი კილომეტრით ქრიდა
საურმე გზას.

ჩიტები დღეს მოწყენილი იყვნენ. ეს
მოწყენილობა ერთნაირად სუფევდა
ცალკე ზაქარა მკედლისა და ცალკე თე-
ოფილე ლაბაძის ოჯახში. მაყვალა წინა-
დილას გამოეთხოვათ და რადგანაც გამ-
გზავრების გადადება უკვე აღარ შეიძ-
ლებოდა, გულდაწყვეტილმა მიამურა
მატარებელს. სადგურამდე სერგომ, თე-
ოფილემ და მამამ გააცილეს. თეოფი-
ლეს მარხილი ადრიახად დაბრუნდა
სოფელში და დაღონებული გამცილებ-
ლები მოიყვანა.

გოგონებს ეზარებოდა შინ მისვლა.
თუმცა მათი მაყვალა რამდენიმე დღის
წასული იყო სახლიდან, მაგრამ დღეს-
ლა მიმხვდარიყვნენ, რომ საყვარელმა
დაიკომ ნამდვილად მიატოვა ისინი...

„თეოფილე ბიძისა“ ეზოში ახლა არა-
ვინ ჩანდა. ვილაცას წყურვილი დაეცბრო
ქსთან. ოწინარი ისევ ირწეოდა და ქვის
სარქველზე შემოდგმულ გაბზარულ ვე-
დროდან თქრიალით იღვრებოდა წყალი.

გოგონებმა სირბილით გაიარეს დარ-
ჩენილი მანძილი და კლდეზე გადადგ-
ნენ. რიყეზე აუარებელ ხალხს მოეყარა
თავი. ალაგ-ალაგ კოცონები ენთო. რი-
ყიდან ამონადენ მომწვანო ბოლს უთავ-
ბოლოდ ფანტავდა ქარი და აქედან ისე,
მოჩანდა თითქო თოვლსაც ცეცხლი
გასჩენიაო.

ხალხის ერთი ნაწილი კოცონების
გარშემო შეკრებილიყო, მეორენი გრძე-
ლი ჯოხების კონას მიათრევდნენ, მესა-
მენი ხარებს უჯავრდებოდნენ და ცდი-
ლობდნენ ერთმანეთის გვერდით დაე-
ყენებინათ ისინი უღლის დასადგმელად.

გოგონებმა მამასაც მოჰკრეს თვალი.

ზაქარა მკედელი თხმელის ბერძენებში
იღვა და რალაც რკინის ნაქრებზე ჰყრი-
და საჯირკე გოდორში. *გოდორში*

ჩიტებმა თვალის დახამხამებაში ჩა-
ირბინეს ბილიკი და მალე რიყეზე
ამოჰყვეს თავი. უ, რამდენი ხალხი იყო
აღმათ, ვისაც კი სიარული შეეძლო,
ყველა ლუბუნისა ნაპირზე ჩამოხევდა!
წიფლისწყაროს სანახებს ჩამოცილე-
ბული ტივები ჯერ კიდევ შორს იყ-
ვნენ და ამიტომ არც რიყეზე შეგროვი-
ლი ხალხი იცხლებდა თავს, თუმცა
მოუთმენლობას ყველას შეატყობდით.

მახლობელ კოცონთან ისე მკიდროდ
შემოჯარულიყვნენ, რომ მხოლოდ
ავარდნი კვამლზე შეამჩნევდით, შუა-
გულში ცეცხლი ანთიაო. დროდადრო
ნაპერწყლები აციალდებოდნენ, აიკრე-
ბოდნენ ჰაერში, ერთი წამის შემდეგ კი
უკან მდგომთა თავს და მხრებზე სცვი-
ვოდა თოვლისფერი ფერფლის ფიორი.

ჩიტებმა ამ კოცონს მიაშურეს.

— მოდით, გოგო, მოდით, წაგყინათ
ხელები? — სიცილით ეუბნებოდნენ მათ
ცეცხლის პირას მოკალათებულნი და
ბაბუა იორამის მონაყოლით გამხიარუ-
ლებული თვითონვე უკვლევდნენ გზას
კოცონისაკენ.

მიზიხავს პავლია, ბატონო ეპარება,
ეპარება... — განაგრძობდა ბაბუა იო-
რამი და ცდილობდა მსმენელებისათვის
მარჯვენა ხელის ზურგზე გადებული
ჩიბუხის ტარით ეჩვენებინა, როგორ
„ეპარებოდა“ ამბერკი მამამისი, პავლია
ლაბაძე კაკლის ტოტზე უშიშრად ჩა-
მომკვდარ ქორს და რა ყაიდაზე მიათ-
რევდა გამართულ თოფს სასროლად.

ხელიხელ გადახვეული თანასოფლე-
ლები ერთმანეთს ასკდებოდნენ სიცი-
ლისაგან, რაც კიდევ უფრო მეტ ხა-
ლისს აძლევდა ყველასთან შეხუმრე-
ბულ მოხუცს.

— თქვენ სად ხართ ამ დროს, თქვენ,
ბაბუა? — ეკითხება ვილაც მოუთმენა-
რი და ცრემლებს იწმენდს.

— ჩვენ სადა ვართ? აგერ არ ვამ-
ბობ? სად ვიქნებით! კალოს ამ მხარეზე
ნედლი ღობეა შემოვლებული, მრგვლად.

შუაში ძნის ჩერგილებია ჩვენ იმ ჩერ-
გილებში ვართ შეყუძულე, ზოგი აქ,
ზოგი იქ...

— ქორი? ქორი სად არის?

— აცალეთ, კაცო, იტყვის!

— აგერ არ ვამბობ? მიხობავს პავ-
ლია, ეპარება, ეპარება... ქორი ქე არის
დაკოსტული ტოტზე. ვერ ხედავს პავ-
ლიას...

„ვერ ხედავსო“, რომ გაიგონეს, ხალ-
ხი ხელახლა ახარხარდა, აღარც კი აც-
დიდნენ განზრახ შეფიქრებულ მო-
ხუცს ამბის დამთავრებას.

— ...შენ ხარ ჩემი ბატონი... მიხობ-
და ას ნაბიჯზე, სამოცზე, ოცდაათზე...

— ქორი იქ არის!

— ქორი ამა ვერ ხედავს პავლიას.

— ვერ ხედავს... ვაი, გავაფიჩინე
ფეხები!..

— მივიდა ოც ნაბიჯზე და... წამოუ-
ჩოქა. უმიზნებს, უმიზნებს... გავარდა
ერთი, მეორე. ამა! შენც არ მომიკვდე!
ჩაჯდა და ტენის თოფს. ჩვენ ვუყუ-
რებთ, ვიხოცებით სიცილით... ელაში
იყო საწყალი მამაჩემი, მაგრამ დაგვი-
ნახა, მიგვიხვდა, ხომ იცი, რომ ძეძგვა
მეორედ, ერთი შეიფრთხილა ქორმა და
ფეხებით დაეკიდა ტოტზე. მაშინ კი
იფიქრა, ნამდვილად გამამასხარავესო,
ერთი შემოგვიკურთხა, მარა ვაი შენს
იორამს, ჩემისთანა ფეხმარდი რომ ყო-
ფილიყო! გადმოვარდით თავქუდმოგ-
ლეჯილი და ვინ იცის, ვინ ვის საბძელს
შეაფარა თავი. გვდია! და გვდია, მარა
ვერა შენ! ვინ იყო სულელი, გადაარე-
ული...

კოცონის, შორიახლო გაჩერებული
ჩიტები ყურადღებით უსმენდნენ ამ-
ბავს, მაგრამ ვერაფრით ვერ გაეგოთ რა
იყო ამდენი სასაცილო, ხალხი რომ ასე
იკლავდა თავს.

— ამა! — ამბობდა ღიმილით ბაბუა
იორამი და ხელისგულზე ჩიბუხის გა-
საჩაღებლად ამოღებულ ნაკვერცხალს
ათამაშებდა, — მშ... მშ... არ ეკიდება ამ
წყუელს, თოვლი ხომ არ ჩამიკვივდა
შეა!.. ასე იყო, ბიჭებო, მამაჩემის მო-

ნადირეობის ამბავი, — თავი გადააქნია
მოხუცმა, — ამა!

— შენ იქნებოდი, ბაბუა, მაგრამ ვაჟი
ჩავანი, — უკანიდან მოაძახა ვილაცამ.

— მე? მე დიდი ვიყავი, ბოშო! ეე,
ყმაწვილებო, რა ჯობია ახალგაზრდო-
ბას! ერთი ახლა იმ ხნის მქნა და თუ
გინდა ქვეყანა ჩემი იყოს.

— რას იზამდი, იორამ ბაბუა?

— რას ვიზამდი? რას ვიზამდი და...
რას ვიზამდი! — თავი ასწია და ქვემო-
დან შეაკქერდა იორამი, — ეეჰ!.. ესენი
ვინ არიან, ბოშო? რა გინდათ, გოგო,
აქა! სადაც იორამი იქაც თქვენ? ხი-ხი-
ხი... მოღით ბაბუ, — მოღით; გათბით
ციცხლთან.

ახლა ყველას ყურადღება აქამდე შე-
უმჩნევლად დარჩენილმა პატარა ქალი-
შვილებმა მიიტყიეს.

— მოღით აქა, არ გეყურებთ თქვენ,
რომ დასახლიწობთ ამ სიცივეში? ვი-
თომ წყრებოდა ბაბუა იორამი, — უტიე,
პეტრე, ერთი, გამოუშვი აქეთ! შენ რა
უყავი, ბიჭო, ყმაწვილი, გოგოები მყავს
აქეთ გასათხოვარი.

— რა ვიცი, ხარების ჩამოსაყვანად
გავგზავნე და რომ არსად მოღის?

— მოიტაცებდნენ!

— რა ბიჭია, იორამ, რომ იცოდენ!
ერთ კაცს დასცემს ღვინოში თუ მოინ-
დომა, — იხუმრა ვილაცამ.

— ხაა, დასცემს?

— შენ, ბიჭო, შენს ტუტყებს მოუა-
რე, ის გირჩევიან, — იწყინა პეტრემ და
სიცილიც მინელდა.

— კლაპიტონის ბიჭია, კლაპიტონის!

— თინია არსად შეგხვედრია, გო-
გო? — ახლა გოგონებს მიმართა პეტ-
რემ, რათა თავი აერიდებინა მოქილიკი-
სათვის.

— არა? — თავი გაიქნის გოგონებ-
მა და საყვარელ მოხუცს ორივე მხარეს
ამოუდგნენ.

— არ უნდა გავხეტო ტყლიაზე ახ-
ლა ის? — ვეღარ მალავდა გულის-
წყრომას დღევანდელ დღეს რალაც უც-
ნაურად აღრენილი პეტრე მიროტაძე, —
თუ თავათ მოეხასიათა, წუთში შემო-

ირბენს სოფელს, თუ ღმერთი გაგიწყრა და შენ გააგზავნე...

— კვიცი გვარზე ბტისო! — მოაშველა ვილაცამ და ამის გაგონებაზე ხელახალი ხარხარი ატყდა.

პეტრემ წაუყრუა. მის არავისთვის და არაფრისთვის არ ცხელოდა დღეს. ბორისის გამოყოფილ ხალხთან ერთად მან ბარე ორმოცი კილომეტრი მოიარა წინა დღეს მარზილით. გარიყრაყიდან შუალაშემდე ერთი გზა ძლივს გააკეთეს ჩალის შხიდავებმა. გორაძირის კოლმეურნობამ, რომელსაც შარშან სიმინდის გვარიანი მოსავალი მოუვიდა, მამასისხლად დაუთმო საკაურელებს სამი ზეინი ჩალა. მარზილები ძლივს იძვროდნენ თოვლში. პეტრემ ბიჭუს ვერ ანდო ხარები და ამოდენა გზაზე თვითონ მოუხდა გაყოლა. გორაძირიდან დაბრუნებულს, დაღლილსა და გადაწყვეტილს შელაპარაკება მოუხდა კოლმეურნობის თავმჯდომარესთან და ეს ამბავი დღესაც ვერ მოენელებინა.

მთელმა სოფელმა იცოდა, რომ წელს პეტრეს შეშის დამზადება ვერ მოესწრო და ტყიდან ჩამოტანილი ერთი წიკრიც არ ეგდო მის ეზოში, როგორც კაცი, ბორისი დაპირებული იყო, საქონლისათვის საკვებს გამოჰქებნი თუ არა, რალაცას ვიღონებ და შენ და ორიოდ შენისთანა უშეშო კაცს დაგეხმარებითო.

პეტრეს იმედი დაწმენდილი ჰქონდა, რომ კოლმეურნობის საწყობიდან დააქვრენდა ზამთრის გასათრევ შეშას, აკი მინდელის ქვრივს ორი მარზილი თხმელა და წიფელა ჩაუტანეს?

დაიმედებულ პეტრეს იმედი გაუცრუდა. ვინღა ამოვიდოდა ახლა ედუკის ყბიდან. ვითომც აქ არაფერიაო, ბორისმა მადლობა უთხრა და აღუთქვა, ახლა ხუთი დღით მითხოვებია შენთვის ხარები, შეშა საიდანაც გინდა იქიდან ჩამოზიდო. ამაზე წაიკვიდნენ, შეყვნენ, შემოყვნენ. პეტრემ თავისი უთხრა, იმან კიდევ მისი. პეტრემ რომ არტელის შეშის საწყობი ახსენა, ამან სულ გადარია ბორისი: არამც და არამც არ გაბე-

დო მეორედ მაგისი თქმა, გინდა დაეციხეში ამოჰყოფინო?

პეტრეს სულაც არ უდებოდა წყენინება, მაგრამ ეგონა, რომ ამით რაიმე გამოვიდოდა. უხსენა კი არა, მეტიც უქნა: მინდელი რაღა წითელი კოპია, რამდენი შრომადღე აქვს კოლმეურნობაში გამოშუშავებული, ნუ გგონია, ხალხი ჭურში იჯდეს და ვერაფერს ხედავდესო!

ბორისს მაშინვე შეეძლო ამაზე საკადრისი პასუხი გაეცა, მაგრამ შეშინდა, ენატარტარა პეპინა უფრო შორს არ წაივდეს, მერე ვინღა გაარჩევს შავსა და თეთრსაო და მაშინვე გასცა განკარგულება მისთვის ორი მარზილი შეშა გაეტანებინათ შრომადღეების ანგარიშში.

პეტრე დარწმუნებული იყო, რომ თავისი ძველი მოსარჩლე სამუდამოდ გადაიკიდა, მაგრამ ამაზე ბევრი აღარ უფიქრია, რადგან ორი მარზილი შეშა დროებით მაინც იხსნიდა ედუკის ლანძღვა-გინებისაგან.

შეშა კი მიიტანა, მაგრამ ცნობისმოყვარე მეუღლისათვის არც ის ამბავი დაუშალავს, რაც გადახდა.

ედუკიმ თმაში იტაცა ხელი, ვაი შენ ჩემო თავის მოჭრაო და გაალმასებულმა კინალამ თვალები ამოკორტნა „პეტუშას“ ახლავე აიტანე და მაგ დასამიწებელი ხელებით დააწყვე ისევ საწყობში, შე არდასაცალბელოო, — ყვიროდა გულწრფელად აღშფოთებული ედუკო, — ჯანღონით საესე ვაეკაცი უშეშო ქალს უდგეხარ კრიჭაშიო? ახლავე აიტანე შეშა, ახლავე მომაცილე აქედან, წვრილშვილიანა რომ სიცცივემ გამაჩინოს, ამაზე ხალხს არ ავალაპარაკებ, მეყო, რაც შენგან სირცხვილი და თავის მოჭრა მიმიღიაო.

პეპინა ველარ ცნობდა ცოლს. კიდევ უკვირდა, რა ბზიკმა უქბინა, ნეტავი რამ გაამამაცაო. მარზილი არც კი დაუცლია, ასევე დასტოვა ეზოში.

ნაშუალაშემდეგ უბრაოდ დაიძინეს. როგორც კი ინათლა და ვიწრო ფანჯარაში ზღმარტლის ტოტების ბუნდოვანი გა-

მოსახლება გამოჩნდა, პეტრემ უშანგი წამოაგდო, სკოლაში გაისტუმრა, თვითონ კი ქუდი დაიხურა და უხემსური გავიდა სახლიდან.

ბორისი კანტორაში არ დაუხვდა. ხელშეკრულების დადების თაობაზე მანქანა-ტრაქტორების სადგურში გამოეძახნათ.

პეტრემ საათი თუ საათნახევარი უცადა. მზე შუბის ტარზე იყო, როცა აზრად მოუვიდა, ტყუილა ველოდები, სალამომდე არ დაბრუნდებო და სკოლას მიაშურა გაკვეთილიდან უშანგის გამოსახებლად. რადგან ამ გულზე შინ მისვლას ახლა სიკვდილი ერჩივნა, პეტრემ უშანგი გააგზავნა შეშის გადმოსაცლელად და ხარების ჩამოსაყვანად, თან ისიც დააბარა ხარებთან ერთად ყველი და მქადის ნატეხი წამომიძღვანეო, თვითონ კი ლუხუნისას რიყისაკენ აიღო გეზი.

შუადღე გადავიდა, სადაცაა კიდევ დაღამდებოდა, ის კი გულგასიებული გაპყურებდა ნავაძეების კლდეებს. რამდენჯერაც დააპირა სოფელში თვითონ აერჩინა უშანგის თავზე რისხვის დასატეხად, იმდენჯერ შეაჩერა რაღაცამ, დაიცა, იქნება სწორედ ამ წუთში გამოჩნდეს ის ფეხებმოსამტკრევიო.

პეტრე უფრო იმას შიშობდა, ედუკის ქმრის შინ არყოფნით არ ესარგებლა და შეშით დატვირთული მარხილი საწყობისაკენ არ გაეყენებინა. ამის გამო პეტრეს არც გამოყვავებული იორამის ხუმრობისა ესმოდა რამე და არც შეზობლების ხალისიან ხორხოცს უგდებდა ყურს. უშანგის დაცინვით. მოხსენიებამ კიდევ უფრო გაუძლიერა გულისწყრომა ვაჟიშვილსადმი და ახლა თუმცა ჩუმად იდგა ერთ ადგილზე მიშტერებული, უშანგი რომ ხელში ჩაეპარდნოდა, ცხელ გულზე წიწილივით ვაგლუჯდა მთელი სოფლის თანდასწრებით.

მზიარულ საკაურელებს მალე მიავიწყდათ მისი არსებობა, რადგან ამოცოცხლებული საუბრის შუაგულში ახლა ზაქარა მკედლის ტყუპები აღმოჩნდნენ. ვიღაცამ თქვა, ამ სამი წლის წინათ თვითონ ზაქარაც ვერ არჩევდა

ტყუპებს ერთმანეთისგანო. რომელიც კაბას აიწვედა და კიბთან დიდრონ ხალს აჩვენებდა, თურმე თინდაც ის იყო.

ბაბუა იორამი აღარ უსვენებდა დარცხვენილ გოგონებს, აბა გული გამიხარეთ, მინდა გავიგო, რომელი რომელი ხართო.

თხმელის ბუჩქების გადაღმა, სადაც ახლა ზაქარა იდგა და თოვლზე დაყრილ ჯაჭვებს არჩევდა, ჩოჩქოლი ვისმა.

კოცონთან ყოყინა შეწყდა და ყველამ აქეთ მოიხვდა.

ზაქარას ჯაჭვები ამოედლიაგებინა და ნაპირისაკენ მიბრბოდა.

— გაუმარჯოოს! გაუმარჯოოს... — ყვიროდნენ საღდაც.

კოცონთან შეკრებილი ხალხი ერთ წამში მიმოიფანტა.

აქედან უკვე გარკვევით მოჩანდა საამედოდ შეკრული ტიგები. ტიგები ტაატით მოცურადნენ.

მეწინავე ტიგზე სინესტიით დანაგრული ცეცხლი ზრჩოლავდა. მეტიგეები ორთაყვირებს უსვამდნენ. ერთი მათგანი ბარბაცით დააბოტებდა და ფინის ვეება ცოცხით ნაკვერჩხლებს ყრიდა წყალში. სხვებმა ნაპირა მორებზე გადაინაცლეს, ორთაყვირებს მარჯვედ ამუშავებდნენ და ცდილობდნენ ნაპირისაკენ მოეგდოთ ტივი.

ნაპირზე მდგომთაგან ზუთიოდე კაცმა ქვიშა მოსინჯა და წყალში გაუბედავად შესდგა ფეხი.

ამას სიცილი და ქრიაპული მოჰყვა.

— მიდი, მიდი!

— თუ ასე გეხალისება, შენ მიდი, უყურე ამას! — იწყინა წყალში შესულმა, რომელსაც სიცივე ძვალ-რბილში გაჯდომოდა.

ბაბუა იორამიცა გაანება თავი ასანთის ძებნას, ჩიბუხი დაბერტყა და ბალთიან ქამარში გაიხარა.

— ზაქარა, კაცო, ჯაჭვი! — ყვიროდა ვიღაც წყლიდან.

— იორამ ბაბუა, შენც შედიხარ?

— ჰაიტ, საცინად მიგდებს კიდევ! — გაწყრა მოხუცი, რომელიც მთელი არსებით ჩაბმულიყო საქმეში, თუმცა

ხელს ბალთიან ქამარზე ისვამდა ხან წყალში აჩხრიალებულ ჯაჭვს უყურებდა და ხან ნაპირისაკენ შემობრუნებულ ტივებს, — რას უყურებ, ბიჭო, მოაძახე მა ხარებს, წელკავმა ხომ არ გაგიარა!

თხელ წყალში შესულნი უკვე მიშველებოდნენ მეტივებს.

ნაპირზე თოკებსა და გრძელტარიან კანჯოებს მოარბენინებდნენ.

ლომა ხარებს თოვლზე მიმობნეულ ჩალისათვის თავი გაენებებინათ და გაოცებული თვალებით აქეთ იყურებოდნენ. მათი ჯერიც დადგა. ქაქანითა და შეძახილებით ყვეარი გაიმართა. გრძელმა, გაჭიმულმა ჯაჭვმა ერთხელ კიდევ დაიჩხრიალა და წყალში ჩაეარდა. ვიღაცამ უყვლა, ხელი წაატანა და მისი ერთი ბოლო ტივზე დამაგრებულ რგოლს გამოაბა.

— პაიტ, ხო, წიქარა! — დასჭყიველს მერტეებმა.

მოწყენილი ხარები აუჩქარებლად დაიძრნენ ადგილიდან.

გაისმა რიყის ქვების ქახანი და სიპზე ასხლექილი მორის დგაფუნი.

მეწინავე ტივი ნაპირს უახლოვდებოდა.

ხმელზე დარჩენილნიც წამოეხმარნენ წყალში მყოფთ, კანჯოები გადაისროლეს, მარჯვედ ამოსდეს კაუტუა მაჯის სიმსხო ღვლერტებს, რითაც ტივი იყო შეკრული.

— რას შვრები, რას! — იყვირა ერთ-ბაშად რამდენიმე ხმამ, — გინდა ღვლერკი გაწყვიტო?!

პეტრემ ხელი მოინაცვლა. კანჯო ასწია და ახლა ნაპირა შორს დაჰკრა ნახვილი წვერით.

— აი შე სატიალე, აი შე მგლის არჩიო, გასწია... შეგჭამე ეს-ეს არის! — ჩაესმა ამ დროს და გაოფლილი სახე მოაბრუნა.

ყვეარის პირველი უღლისათვის მისი ხარები მიეშველებინათ და თვალებაკვესებული უშანგი იფნის სახრით უმასპინძლდებოდა მათ.

— მე შენ გაგიწყვეტ არჩივს, შე მამაძალო, შენ! — ჩაილაპარაკა თავისთვის პეტრემ და კანჯოს გამურული ტარი მთელი ძალით მოსწია.

(გაგრძელება იქნება)



ჩემი სიცოცხლის ძალა და ეშვი
ახლის სიმღერას გავახედინე.
ჯავახეთიდან გადმომყვა ლექსი,
ლექსი მეძახის ჯავახეთისკენ.

ასე ყოფილა და ასე მჯერა,
რომ გადაშლილი ცხოვრების გზა-გზა
მოძმენო ჩვენი მშობელი კერა
გვაწვდის იდუმალ სიტბოს და საგზალს.
ყოფილა რალაც უწყვეტი ძაფი.

მეხსური საღებრძელო

შენს გოგმანზე გული ტოკავს
და თვალები ფართოვდება.
წაკოფრინდი, დადგი კოკა;
ღვინომ ცეცხლი წამიკიდა
დღეს აქ ვილაც გათხოვდება.
მტრედებია თითქოს თეთრი,
სულ ფარფატი მელანდება...
მერიქიფევე რალას ეტრფი,
თუ სიმღერაც გენანება.
ჩამოასხით ეს გიემაგი აწყურული;
ღამე ვიყავ, ერთზე ფიქრმა გამათია.
შვიდ ღვინო პაპას ძვლებით დაწურული,
ტკბილია და შარბათია.
ვიღამ შობოს ჩვენისთანა ახოვანნი;
ბანი შითხარ ხმა დაუწყვედს ახალციხეს
ღამილიეთ სიყვარულის სახსოვარი,
მე ხომ მხოლოდ სიყვარული
მახალისებს.
გამაგონეთ და სთქვით გულით

სახლის კერიდან გულზე გაბმული;
ქღერს მომავალი დიდება მძაფრი
და იქით მიხმობს ჩემი ჩანჯღური.

მე გასაფრენად ფრთები შევკარი,
უკან დავტოვე შენი კლდეკარი
და ფეხშიშველი ხალხში მივდივარ.
ჰა, ჯავახეთის თბილთ ხნულებო
გული, რომელიც თქვენგან წავიღე
და შიგ უქრობი ცეცხლი მინთია.

ის გაბმული სიმღერები ძარღვიანი.
უფრო აქეთ მხიარული,
უფრო აქით ნაღვლანი.
გამაგონეთ მოძახილი ჩვენი გლებს,
მისი სულით, მისი ცეცხლით,
რომ ამ ცეცხლმა დაგვიაროს ისე
მძაფრად...

მე ჯავახეთს რა მიშავდა
ძთვარე მადგა მზსა ვითა.
კალმახი და ქერის ბური
წინ მეყარა ბზესავითა.
ასწი თასი, არავინ მყავს შენი ფასი;
გულის მტერი ამნაირად დაგეცალოს.
მერიქიფევე ღვინო გვასვი,
ღატრიალდი თეთრო ქალო.
სიმღერაში სიყვარული ახლოს არა
და მინდა რომ სიმღერებით გავათენო.
ვიღამ შობოს ჩვენისთანა ახოვანნი;
სთქვით სამშობლოს საღებრძელო.

მგზავრობა თოვლში

გარეთ თოვდა,
როგორც გობში თეთრი ფქვილი.
და შენ შორი მყინვარით აღიმართე.
ფარფატებდა ფიქრიანი ხელმანდალი;
იდექ გამრცენილ ბალივითა.

ზეცა დასკრეს
თუ მანდილი მოფრიალე,
ციცნათლების თეთრი გუნდი
მოთქრიალებს.

მოთქრიალებს,
ვით ნათელი თვალთა შენთა.
ლექსმა გული, თოვლმა მხრები
გამითეთრა.

თოვს და თოვა
ძთებში აჩენს კორიანტელს.
შენსკენ მოვლევ ქარას ქროლას
და შორიდან მომინათე.

გზები, გზები, ისევ გზები
ზანს ცალი, ზანს კი გლოვა.

მე ამ გზაზე გავეთორღები
და შენამდე მაინც მოვალა
არქანელის
გელაქოთისა

ადრიაანე

ჯერ ნუ წავალთ, ადრე არი,
მოგახოდნენ სპანი.
შენ მოგზაენე ადრიაანე,
ყველას მოასწარი.

გული ვამიდარდიაანე,
მცხეთას მოჰქარ თვალი.
შამფურივით ატრიალე
გაბასრული ხმალი.

აოხრე და ატიალე
ქართლი ნგრევის ცელით.

მშობლიური მატიაანე
გვარწყვევინე ცრემლით.

ო, საიდან სად იარე,
სთხრიდი რომელ მიწას.
ხალხი სიკვდილს აზიარე
ხალხმა სიკვდილს მიგცა,

და ქარივით გადიარე,
ვერ გაუძელ დოეთა...
მიწამ დახრა ადრიაანე,
მიწას შერჩა მცხეთა.

მომონება

შეფუთუნულიყავ შალით,
მოხველ, ნაწილი შესძარ.
ფრონტზე მოგიკლეს ქმარი
და ქმრის მანარა გეცვა.

უკვე ცხრა წელი გახდა
დაო იმ ამბის აქეთ.
მე მაგონდება ახლაც,
შენი მწყაზარი სახე.

ყარაყორუმის გზიდან
რალაც სხვა ქარი მოგყვა.
იდუმალეზით გზრდიდა
მზეში დამწვარი ლოყა.

მოხველ ნამდვილი მოძმე,
დიდი ფიქრების წყარო.

შენი ლექსების ნაყმევი,
შეჯერებული ფიქრითა.
აერის ნაპირებს დავყვევი,
ხოხობი წამომიფრინდა.

ხოხობს ვავდიე კვალდაკვალ,
გვალვამ დამიწვა წინდები. —
— სად წახვალ, ჰეი სად წახვალ
რა მხარეს გამიფრინდები.

— ქალო რა გინდა ფრონტზე;
— სახლში წადიო ქალო.

მთელი ნაწილი გთხოვდა,
შენ არ გაბრუნდი უკან.
მაშინ სხვა ქარი ქროდა
და ჩვენც სხვა გეჭონდა სულთქმა.

ბარში სხვა დარი იდგა,
მთებსაც სხვა ედოთ ფერი.
სთხრიდა მამულის მიწას
ქარზე მომდგარი მტერი.

და როს გავფანტეთ მწუხრი,
ვნახეთ ბერლინის ზეცა.
შენ ქმრის მანარა რუსი,
და ქმრის ჩეკმები გეცვა.

* * *

გაფრინდა, მაგრამ ვაჯობე
მივწვდი, მიველი ბუმბუნით.
ლილოს — ხეეს აქედ დავთოფე
ქარს გავატანე ბუმბული.

სისხლი ხორშაყის მომრწყობი,
წავიდა როგორც თილისმა...
ასეთი ქარგი ხოხობი,
მეორე მოკვდა თბილისთან.



სიმატოვე

მოთხრობა

არფიკა ძალზე აღელვებული და აფორიაქებული დაბრუნდა შინ. მას თითქოს რაღაც მიუტევებელი დანაშაული ჩაედინა. რამ აიძულა, რამ უბძიგა ასეთი ბოროტებისაკენ, ასე რად მოიქცა? ვერაფერი ვერ გაეგო. იქნებ სიხარულისაგან იყო გაბრუნებული, რაც ხშირად ემართება ხოლმე ადამიანს...

ამ დღიას არფიკა ისე ბედნიერად ვრძნობდა თავს, რომ მთელი ქვეყანა, მთელი გარემო, ხალხი, სახლები, ხეები, ბუჩქები, მოკლედ, ყველა და ყველაფერი, მის თვალში თითქოს ცისარტყელის პარმონიული ფერებით აფერადებულიყო.

განა მას შეეძლო მხიარული არ ყოფილიყო, როცა მისმა ერთადერთმა შვილმა — გზგიკამ წარჩინებით დაამთავრა ინსტიტუტი, სადიპლომო თემაც დაიცვა. დღეს კი თავისი ამხანაგები, ნათესავ-მოკეთეები, მეზობლები მოიწვია იმ ოჯახში, სადაც დიდი ხნის განმავლობაში წვეულებას და დროსტარებას აღვიღებ არა ჰქონია შვილის ამხანაგებს მალულად ეთქვათ დედისათვის, სტუმართა შორის გაგიკას შეყვარებულ იქნებაო.

ღედა დიდი სიამოვნებით ელოდა მასთან შეხვედრის სანატრელ წამს.

იგი ისე იყო აღტაცებული, რომ მზად იყო ყველასთვის ემცნო თავისი ბედნიერება. სწორედ ასეთ ექსტაზის მომენტში, არფიკას ქუჩაში შემთხვევით შეხვდა თავისი ყოფილი ქმარი — გაგიკას მამა, რომელიც ჩვიდმეტე წელი არ ენახა და თვითონაც არ იცოდა, როგორ შეებატიყა სახლში. კი არ დაბატიყა, მაგრამ ასე გამოუვიდა.

არშავირა დაინტერესდა, დიდიხნის უნახავ შვილთან შეხვედრა და მასთან

მოლაპარაკების სურვილი განაცხადა. არფიკამ გაიღიმა:

— ვისი ბრალია? აქამდე არ მოისურვე და არ ინახულე. ახლა კი თუ ძალიან გსურს, — არავინ გიშლის...

— მერე სად?

— როგორ თუ სად? თუ გინდა სახლში... მაშინ ნახვამდის მეჩქარება...

არფიკას არაფერი უთქვამს წვეულებისა, დიპლომისა და საპატარძლოს შესახებ, რაც მისი გულის საუნჯეს და სიამაყეს წარმოადგენდა. არფიკას ეჩქარებოდა, ზოგიერთი ნათესავი ჯერ არ დაეპატიყა. გზახე კიდევ ერთი მოკეთე შეხვდა და არშავირა მთლად გადაავიწყდა.

არფიკა სახლში რომ დაბრუნდა, უცებ გაახსენდა არშავირასთან შეხვედრა და წვიმით გაელვნილი ღრუბელივით მოიღუშა, მხოლოდ ახლა ჩაუვკირდა თავის შეცდომას, იგრძნო ჩადენილი დანაშაულის მთელი სიმძიმე.

ასე რათ მოიქცა? ნუთუ საჭირო იყო ეს? რას იტყვიან ნათესავ-მოკეთეები, მეზობლები, რომლებმაც ზედმიწევნით იციან არშავირას მიერ ჩადენილი საქციელი. რას იტყვის გაგიკა, რომელიც უმამოდ აღიზარდა? რას იფიქრებს თვითონ არშავირა? მას ხომ შეუძლია თავისებურად გაიგოს ყველაფერი... თითქოს არფიკამ აპატია მას, შეურთგდა... არა, არა, არასოდეს!

საკმარისი იყო ამის გაფიქრება რომ არფიკა შეძრწუნებულიყო და მთელ სხეულში ქრუანტელი ეგრძნო.

ვის აპატიოს? იმ ადამიანს, რომელმაც უსირცხვილოდ მიატოვა თავისი ქერა, ცოლი, შვილი, მიაფურთხა ყველას და გაშორდა?...

ნუთუ შეიძლება ასეთი ადამიანის

შებრალებმა, პატივმა? არფიკას დიდი ხანია ყოველგვარი ანგარიში გასწორებული ჰქონდა არშაიერასთან.

ზამთრის საშინელი სუსხიანი ღამე იყო, თოვდა — ბარდნიდა, ბუქი და კორიანტელი იდგა, როცა არშაიერა უკანასკნელად გავიდა სახლიდან და აღარ დაბრუნებულა. არფიკას ბავშვი დაეძინებინა, გვერდზე მისჯდომოდა და მწარე ფიქრებს მისცემოდა...

ნეტა სად წავიდა არშაიერა, ნუთუ აღარ დაბრუნდება, ნუთუ ოჯახი მიატოვა? მესამე ღამეა არფიკა ელოდება, თვალზე ძილი არ მიჰკარებია, არშაიერა კი არა ჩანს, იგი არ ენდობა პატარა ბარათს, არავის არ უჯერის, ერთადერთი გულისთქმა, რომელიც ეუბნება, რომ არშაიერა უძველად დაბრუნდება, უბრალო ხუმრობაა ან გამოცდა და მეტი არაფერი. მაშ რაღად იფიანებს? რად სტანჯავს? ჩუ, აგერ, ფეხის ხმა ისმის, კარმაც გაიჭრიალა, ის არის, ის ასე უდროოდროს სხვა ვინ იქნება?

არფიკა შეშინებული წამოხტება, სმენად გადაიქცევა, კარებისაკენ იყურება, ელოდება, ელოდება და იმედგაცრუებული ისევ დაეშვება სკამზე.

აღბათ ქარი იყო, მოხეტიალე ქარი, კარი რომ დააბრაზუნა, ფანჯარასაც მოუქაკუნა, მერე კი ჩაიხითხითა და გაშორდა.

მაშ ნამდვილი ყოფილა ეს ხელწერილი, რითაც არშაიერა კისრულობდა ყოველთვიურად ალიმენტის გადმოგზავნას ბავშვის აღსაზრდელად...

მეზობლებს ამიტომ ვეცოდებოდი, ბევრჯერ კიდევაც გაუგონებიათ ჩემთვის: „საწყალი ქალი, შრომობდა, ღამეებს ათენებდა, სწავლა დაამთავრებინა, ქვეყანაში გარია და ხედავთ რით გადაუხადა? მარტოდმარტო მიატოვა და თვითონ სადღაც გადაიკარგა“...

არფიკა ამ სიტყვების გაგონებაზე ფითრდებოდა, ღელავდა, მაგრამ თან არ

უნდოდა, რომ ეს სიტყვები მას შეებოდა.

თუმცა ძალზე გაუჭირდა, მაშინვე ვიერას ალიმენტი და შემთხვევითი შემოსავალი როგორ დააკმაყოფილებდა ოჯახს, ძლივსძლივობით მიდიოდნენ იოლად, მიუხედავად ამისა, არფიკას ერთხელაც არ დაუწუწუნებია.

ბევრჯერ თავისთვის მოუკლია, არშაიერასათვის კი კარგი ჩასაცემელ-დასახური უყიდა, რომ ამხანაგებში უხერხულობა არ ეგრძნობინებინა. პირიდან ლუკმა გამოუღია, იმისთვის უქმევი, რათა ძალღონე შემატებოდა, ბეჯითად ესწავლა... კიდევ ერთი წელი და მათი ცხოვრება გამოკეთდებოდა, ამდენ ტანჯვა-წამებასა და ნაკლებულობას ბოლო მოეღებოდა... მაგრამ ახლა?... ყველაფერი საპნის ბუშტივით გაქრა. მთელი იმედები გაცრუდა, დარჩა მხოლოდ სიმარტოვე და მეტი არაფერი...

ფანჯარასთან იჯდა არფიკა, ერთ წერტილს მისჩერებოდა, ფიქრები მოსვენებას არ აძლევდნენ. ოთახში სიცივე თანდათან მატულობდა, ძვალ-რბილში უფლიდა, სულსა და გულს უღრღინდა.

არფიკამ იგრძნო სიმარტოვე, სწორედ ის საზარელი სიმარტოვე, რომელიც თავისი მშრალი სუნთქვით, თავისი სიცივეთ სიკვდილთან აახლოვებს კაცს.

არფიკა უეცრად აქვითინდა, ცრემლთა ნაკადული მოასკდა მის თვალებს.

ბავშვმა გამოიღვიძა, თავი ასწია და შეშინებულმა თუ გაკვირვებულმა, დედას მიმართა:

— დედიკო... რათა ტირი?...

ნახევრად ბნელი ოთახის სამარისებურ სინურში ბავშვის ხმა მკაფიოდ გაისმა. არფიკა შეკრთა, ნუთუ, მარტო არ არის?.. ბავშვი როგორ დაავიწყდა?..

არფიკა მივიდა ბავშვთან, სიყვარულით ჩაიკრა გულში, ლოყაზე აკოცა. როგორ ეთქვა ბავშვისათვის სიმარტოლე? მაგრამ როდემდის უნდა დამეხლა? — შეილო, გენაცვალე, მამა მოკვდა, დღეიდან ჩვენ სავსებით მარტოდმარტო დავრჩით, — მოულოდნელად

აღმოხდა მას და გულის სიღრმეში რა-
ღაც მწვავე სევდა იგრძნო. არფიკა არც
ცრუობდა, არც პირმოთნებდა. ამ დღი-
დან ქმარი მისთვის უკვე მკვლარი იყო...

*
* *

მშვიდი და წყნარი დილა გათენდა
ერევანში. ოქროსფერი შემოდგომა
დადგა. კვირა დღე იყო. მეზობლებს
გამოეღვიძათ ყოველდღიურ საქმიანო-
ბას შესდგომოდნენ. მარტო არფიკას
კარები იყო გამოხურული.

ეზოში, აივანზე გადმომდგარიყო სა-
მოციოდე წლის ფართო მხარბეჭიანი
მოხუცი, რომელსაც განიერი შუბლი და
მოკლედ შეკრებილი თმა ჰქონდა.
ძარღვიან პირისახეზე ლურჯი ფერი
დაჰკრავდა, წარბები ვერცხლისფრად
უბრწყინავდნენ. გრძელ და ხშირ უღვე-
შებზე თითქოს ერბო აქვს წასმული.
პაპიროსს ისე მადიანად ექაჩებოდა,
რომ გადაღვლილი მკერდი აუღიოდ-
ჩაუღიოდა. მოხუცი მეფოლადე უნდა
ყოფილიყო, რადგან დაკარწყახებული
მკლავები, მის წლოვანებასთან შედა-
რებით ძალზე ძარღვიანი და მგაზრი
ჰქონდა.

მალიმალ უკმაყოფილოდ იუპრებოდა
არფიკას დახურულ კარისაკენ. აღელვე-
ბული იყო და, ბოლოსდაბოლოს რო-
გორ არ აღელდებოდა, როცა ცოლმა
და ქალიშვილებმა არფიკას უბედურე-
ბის ამბავი შეატყობინეს.

ველარ მოითმინა, მივიდა არფიკაანთ
კარებთან და გაბედულად დააკაკუნა.
არფიკას ბავშვის სასთუმალზე თავი მი-
ედო და ტანგაუხდელად ეძინა. კაკუნზე
არფიკა წამოდგა და კარი გაუღო.

— როგორა ხარ შვილო, ხომ კარგად,
როგორ ჩაგძინებია? სად არის ჩემი ამ-
ხანავი? — მარადღე შეეკითხა მოხუცი
და არფიკას ზემოდან გადმომხედა.

— სძინავს... უი, შენ კი რა გითხრა...
არფიკამ გაიღიმა და უკან დაიხია.
მოხუცი, დიდი და მტკიცე ნაბიჯით მი-
უახლოვდა ბავშვის სარეცელს და ისე
მაგრა აყოცა, რომ ბავშვმა უმაღვე

თვალები გააპყიტა და ზეზე წამოხტა,
— ბიჭო, ამდენ ხანს ძილი შეიძლე-
ბა?.. არა, ერთი გაიხედე მზე-სად წამო-
ვიდა... ადრე მალე, შენი თავი არა მაქვს,
მალე, გუუბნები...

მოხუცმა წაუღიბინა ბავშვს, ბავშვი
კისკისებდა, წიხლებს ისროდა. ეს ჩვეუ-
ლებრივი თამაში იყო, ორივემ კარგად
იცოდნენ თავიანთი როლი. იმდენ ხანს
იხუმრეს და ითამაშეს, სანამ ბავშვი არ
დაიღალა.

— აბა, ახლა ადექი და ჩაიცვი, მივ-
დივართ...

— საით, — მხიარული ღიმილით შე-
ეკითხა არფიკა.

— სევანში. ქარხანა ექსკურსიით მი-
ემგზავრება, თან უნდა წაიყვანო. აბა,
მალე, ვინც შენ კაცად არ ჩავთვალს...
თავი და ხელი ჩაიქნია და მიბრუნდა
ბავშვის საწოლისაკენ, მაგრამ ბავშვი
უკვე გადმომხტარიყო.

ეს კაცი არფიკაანთ მეზობელი იყო,
მანქანათმშენებლობის ერთ-ერთი გა-
მოჩენილი ზეინკალი — ოსტატი — არ-
ტემი.

არშავირაზე განგებ არაფერი ჰკითხა.
გავიკას ხელი მოსკიდა და სახლიდან გა-
ვიდნენ. საღამოზე კი არფიკას დაუძახა,
გვერდზე მოისევა და წყნარად, დარიგე-
ბის კილოთი უთხრა:

— არაფერზე არ იფიქრო, არფიკ-
ჯან, ამიერიდან არსად არ დიწუწუნო.
დღეიდან მე შვიდი შვილი კი არა, ცხრა
მყავს. გადმოდი ხოლმე ჩემთან, ან
თუ გინდა შენს ბინაზე დარჩი, არა-
უშავს რა. კარგი იყო, რომ არ მომხდა-
რიყო, ნათქვამია — ყვავილი ბურჩქის
ძირას დაეცემაო. ნუ ინაღვლებ მისი
მამაც ისეთი ხარბი და გაუმძლარი იყო,
რომ თავისი მრევლის ნახევარი მეზო-
ბელი უბნის მღვდელს მიჰყიდა. ასეა,
ჩემო შვილო.

არშავირა ინანებს, ძალიან ინანებს,
მაგრამ გვიან იქნება. მე ასე ვფიქრობ,
შენ რამე საქმეს უნდა მოჰკიდო ხელი.
უსაქმოდ დარჩენა რა ხელს მოგცემს.
თუ თანახმა იქნები, ჩემთან წამოდი წა-
გიყვან შეგასწავლი ხელობას, იცოდე

სუფთათ ვერ იქნები. რკინასთან, ფოლადთან, თუჯთან, გეჭნება საქმე. მაგრამ არაფერია, დაე, ხელები გაგივუყიანდეს, გული კი სუფთა გქონდეს. იფიქრ ასწონ-დასწონე. თუ უფრო შესაფერ სამუშაოს აღმოაჩენ, იქ წადი, თუ არა და, ეს ხომ ნაღდია...

არფიკა თავჩაქინდრული უსმენდა მას. არტემა მართალს ამბობდა. არშვირას გროშებზე დაყრდნობა რა ხელს მისცემდა. უნდა იშრომოს და იცხოვროს, მხოლოდ არა ისე, როგორც აქამდის, არამედ ახლებურად.



დიდმა დრომ განვლო. რასაკვირველია არშავირა აღარ დაბრუნებულა. იგი თავის ამხანაგ მომღერალ ქალზე დაქორწინდა და სხვა ქალაქში გადასახლდა საცხოვრებლად. იქ ოპერაში მოეწყო, მაგრამ, ვინაიდან იმისი ლირიკული ტენორი ისეთი ვერ აღმოჩნდა, რომ მთავარი როლები მიეცათ, გადაწყვიტა თავი დაენებებინა ოპერისათვის და მუსკომედიისში, შემდეგ კი ფილარმონიის სოლისტად გადასულიყო. დაბოლოს რადიო კომიტეტში მოეწყო. ეტყობოდა, რომ ხშირ-ხშირად იცვლიდა ადგილებს, ბევრჯერ უმუშევარიც დარჩენილა, ალიმენტს დაგვიანებით უგზავნიდა ცოლს, ბოლო ხანებში კი საესეებით შეუწყვიტა. არფიკამ არშავირა უკვე დაივიწყა, ცდილობდა, ყველაფერი ის, რაც ოდესმე მასთან აკავშირებდა, ამოეგდო გულიდან. იგი მუშაობდა მანქანათმშენებელ ქარხანაში ოსტატ არტემასთან. გაგიკა ქარხნის საბავშვო ბაღში მიაბარა, დილაობით მას მიჰყავდა, საღამოთი კი ოსტატ არტემას მოჰყავდა. გზაში გაგიკა პაპას მუსიკით ართობდა.

მამა თითქმის დაავიწყდა ბავშვს, აღარ იხსენებდა.

ერთხელ, როცა არფიკა სამუშაოდან დაბრუნდა, ბიჭი რადიომიმღებთან დაინახა ატუზული. ბიჭი მთელი სულით და გულით ისმენდა, დედის შემოსვლა

ვერც კი გაიგო... რადიომიმღები კრემტასის „პოფ არქეს“ გადმოსცემდა. ნაცენობი ხმა იყო, ტკბილი და სასიამოვნო არფიკა აიბუძგა, არშავირა მღეროდა... ბიჭმა მამის ხმა იცნო თუ არა, ძნელი იყო ამის თქმა, მაგრამ ის კი უღაო იყო, რომ ბავშვი სიმღერას კისერმოდრეცილი და პირდაღებული უსმენდა.

დედა რომ დაინახა, ბიჭი, თითქოს ქურდობაში დაიჭირესო, შეერთა, თავისდაუნებურად წამოიყვირა, მაშინვე რადიომიმღები გამოთიშა, დედას გულში ჩაეკრა და დიდხანს დარჩა ასე.

არფიკამ შეიღს თავზე ხელი გადაუსვა და არაფერი უთქვამს. იქნება ბავშვობის მოგონებებმა გაიღვიძეს ჭაბუკის მეხსიერებაში, ან ხომ შეიძლება, გაგიკას მონატრებოდა მამის სიმღერა, ამ ნატვრას კი გულში იკლავდა, დედას არ უმეღავებდა.

ერთხელ სკოლიდან დაბრუნების დროს, გაგიკას თავისი მამა ვიღაც უცნობ ქალთან ენახა. მამას შეებღვირა და ყურადღება არ მიექცია მისთვის. ბიჭი დაბნეულიყო, შეჩერებულიყო და თვალი გაეღვენებინა; იქნებ ვერ ვიცანი, იქნებ ვცდები, ნუთუ ის არიო? უნებლიეთ გზა აეხვია და მამას დასდევნებოდა. ერთ ხანს თურმე დაძახებაც კი დააპირა, მაგრამ თავი შეიკავა. ბიჭმა იმდენ ხანს სდია, სანამ უცნობმა ქალმა უკან არ მოიხედა.

გაგიკა თავზარდაცემული შეჩერდა ქვაფენილზე. იგი მეტისმეტად აღელდა, ბოლმა ყელში მოაწვა, ძალზე განაწყენებულმა ვეღარ მოითმინა და გულსაკლავად აქვითინდა. თვალებდასიებული დაბრუნდა სახლში.

ამის შემდეგ გაგიკა თავის მამას არასოდეს აღარ ახსენებდა. იცოდა მხოლოდ, რომ იგი ცოცხალია და არა მკვდარი. იცოდა აგრეთვე მისი პროფესია, მარტო საცხოვრებელი ბინა და რა სახსრებით ირჩენდა თავს, — არ იცოდა.

არფიკასაც არ ჰქონდა ზუსტი ცნობები არშავირას შესახებ. რადიოთი იშვიათად ისმენდა იმის ხმას, რაც წლე-

ბის განმავლობაში უკვე დაქარგოდა. ამბობენ, ბევრსა სვამს და იმის ბრალია. აო. ხმა იყო გაერთელებული, რომ მომღერალ ქალსაც გაპყროდა, ვილაც შეძლებული კერივი შეერთო, რომლის ჭონება გაენიავებინა და ახლა ქალაქიდან-ქალაქში დაეხეტებოდა, ესტრადებზე გამოდიოდა და თავისი ჩახლეჩილი ხმით „დახმარებას“ უწევდა გამოჩენილ მომღერლებს.

სრული ჩვიდმეტი წლის განმავლობაში არფიკა არ შეხვედრია მას. დღეს საიდან და როგორ მოხდა, ქუჩაში სრულიად მოულოდნელად შემოეყარა, ესაუბრა და, თვითონაც ვერ მიმხვდა, როგორ მიიპატივა იგი სახლში.

* * *

როდესაც არფიკა სახლში მივიდა, საგონებელში ჩაეარდა, არ იცოდა როგორ გადაეცა მამასთან შეხვედრის ამბავი გაგიკასათვის.

კიდევ კარგი, რომ სადილის მომზადება, მაგიდების გაშლა და მთელი თადარიგი ეკისრა არტემას ცოლს — ნახანას, თორემ ასეთ მდგომარეობაში არფიკა რას გააკეთებდა? იგი განცალკევდა, მაგიდას ითუჯდა თავზე შემოიღო ორივე ხელი და ფიქრთა მორევში შეცურდა...

ამ დროს გაგიკაც შემოვიდა. იგი კარგი ახალგაზრდა იყო, მაღალი, მხარბეჭიანი, მის მრგვალ სახეს უხდებოდა ქუნაპეტივით შავი თვალები, სწორი ცხვირი და ნაზი ტუჩები... განიერი ქუდი, რაც პირველად დაეხურა, ხეუქუქ თმებს ძლივსა ფარავდა...

არფიკამ თვალების გახელა ვერც კი მოასწრო, რომ გაგიკამ დედა სკამიანად ბუმბულივით აიტაცა ხელში და ჰაერში შემოატრიალა.

— ვაი მე... გამიშვი, ბიჭო... ჩამოვკარდები... თავი...

— ნუ გეშინია, ნუ... ვინ აფიყვანა, რომ დაგაგდოს კიდევ... — სიცილით უპასუხა ბიჭმა, ვალსის მელოდია წაიღილინა და კვლავ შემოატრიალა სკამზე მჯდომი დედა.

— კარგი, გეყოფა.. თავი, გაგიკ! არფიკა შეფრთხილდა. გაგიკამ დედა ჩამოსვა, სიანციო ტანში შემოჭრა და შეეცადა კიდევ აეყვანა, მაგრამ არფიკა ხელიდან გაუსხლტა და სამზარეულოსაკენ გაიქცა, სადაც ნახანა საქმლის თადარიგს ეწეოდა.

როცა იგი დაბრუნდა, არშავირა და გაგიკა პირდაპირ ისხდნენ მაგიდასთან. ორივე სდუმდა, ორივე ფიქრებით იყო გატაცებული.

გაგიკა თავჩაქინდრული, თითების წვერებით პურის გულს ასორსოლებდა და თოვლივით ქათქათა სუფრაზე ამწყვრივებდა.

არშავირა თამბაქოსა სწევდა. იგი ორმოცდაათ წელს გადაცილებული. მხრებში მოხრილი და გამხდარი კაცი იყო. არშავირა ზურგით კარებისკენ იჯდა, ისე, რომ არფიკას შემოსვლა არ შეუმჩნევია. არფიკამ უკან დაიხია, კარს უკან აიტუხა და იქიდან მშერა დაუწყო.

პაპიროსი არა ჩანდა, კვამლი კი მის მოყვითალო თმებს ასდიოდა. მოძველებული პალტოს საყელო უკან მოქცეოდა და ქუქუქისაგან კუბრში ამოვლებულ ტილოსავით ბზინავდა.

ნუთუ ეს ის არშავირა იყო, რომელიც ერთხელ ნახმარ საყელოს, მეორედ აღარ გაიკეთებდა?

არფიკა შინ შემოვიდა. მისი მოსვლით თანაბრად გაიხარეს როგორც შვილმა, ისე მამამ.

— რა ამბავია? რას განუშებულხართ? არ იცნობთ ერთმანეთს? — სწრაფად ჩაილაპარაკა არფიკამ, რომელიც ცდილობდა მალე დაეღწია თავი ამ უხერხული მდგომარეობისათვის.

— გავიცანით... ესე იგი — დიდი ხნის ნაცნობები ვართ... წაილულულა არშავირამ და სცადა გაიღივება.

არფიკა შელს მოუჯდა გვერდით, შეეცადა საუბარი გაეხა, მაგრამ ვერ მოახერხა, არაფერი არ გამოსდიოდა, გული გულს აღარ ეკვროდა. იდუმალუბის ცივი, გამჭვირვალე ყინულის ნაფლეთი უმაღვე ჰაერში იქედებოდა, მი-

სი გალხობა შეუძლებელი იყო.

გაგიკა ისევ დუმდა. ოთახის ჰაერი აღარა ჰყოფნიდა.

არშავირა თავის ამღვრეულ თვალებს აქეთ-იქით აცეცებდა, ქურდულად იყურებოდა ირგვლივ, ნაცნობ საგანს ეჭებოდა, რათა ამაზე ჩამოეგდო ლაპარაკი ამ უსაზღვროდ გულგრილ ადამიანებს შორის.

მაგრამ ვერავითარი ნაცნობი საგანი ვერ აღმოაჩინა, ყველაფერი ახალი და უცნობი იყო.

არშავირამ ნახევრად მომწვარ პაპიროსს მოუკიდა, ფეხზე წამოდგა, კედლებზე სურათები აათვალიერა და აივანზე გავიდა.

გაგიკამ თავი ასწია, ღრმად ამოისუნთქა, სევდით, ბოღმით და ნაღველით აღსავსე თვალები დედას მიაბყრო.

არფიკა მიუხვდა შვილს და შეეცადა თავი ემართლებინა:

— თვითონ მოისურვა ნახვა... უარის თქმა ვერ შეეძელი... უფლება არ მქონდა... მამაშენია.

— მამაჩემი... — გაგიკამ ნაღვლიანად გაიღიმა. — იცი რას გეტყვი დედაჩემო? მე იმის შვილი ვიქნები მხო-

ლოდ იმ შემთხვევაში, თუ მომავალში ჩემ ცოლ-შვილს მასავით ტყუილად მივატოვებ და პირად ტყუილად განცხრომაზე ვიზრუნებ... ამ სიტყვებზე გაგიკამ ქული დაიხურა და ჩქარი ნაბიჯით ოთახიდან გავიდა.

ცოტა ხნის შემდეგ არშავირაც წამოდგა. არფიკა დიდხანს უყურებდა მიმავალს. არშავირა მიდიოდა დაღლილი, დაღვრემილი. მზე ზურგიდან უნათებდა, იმისი ჩრდილი ქვაფენილს გაჰკეროდა... და თითქოს თვითონ კი არ მიდიოდა, არამედ ჩრდილი ეწეოდა წინ.

არფიკა დარწმუნებული იყო იმაში, რომ საკმარისი იყო მისი ერთი დამახილი და არშავირა უკან მობრუნდებოდა, თავის ოჯახს დაუბრუნდებოდა.

ამ ნაბიჯის გადასადგმელად საჭირო იყო შინაგანი სითბო და კეთილი განწყობილება, რასაც მოკლებული იყო არფიკა.

კარები ჰრიალით ყურთამდინ გაიღო და ოთახი მზიარული ევილ-ხივილით, სიცილ-კისკისით გაივსო.

არფიკა გამოფხიზლდა.

სტუმრები მოვიდნენ.

თარგმანი იმ. ღაბითიანისა



ფინალი

არი შექმნილი ეს გულწრფელი სიტყვები ჩემგან.
შექმნა ესენი სისხლმა ჩემმა და ხორცმა ჩემმა.

ცხადზე ცხადია, მეგობრებო, ეს ჩემთვის ახლა...
სიმღერას თქვენსას შეუერთდა სიმღერა ჩემი.
ეს ჩემთვის ახლა მეგობრებო, ცხადია ცხადზე.

ვიცი: მიწიდან რომ მომინდეს აფრენა მაღლა;
მე უყოყმანოდ ფრთებს მათხოვებს ფრინველი ყველა...
ასევე გაჩნდა ეს სიტყვებიც — აჭამდე უცხო, —
ჩემი სულიდან განედევნა წყველიანი რათა.

ეს ციდან ზრამში ჩაქცეული შუქია მზისა.
ყულფი ბოლმისა ახლა უკვე ხმას ვეღარ მიხშობს.
მიუხედავად ყოველივე ამისა — მაინც
ჩემსმიერია ეს სიტყვები, თქმულია ჩემგან:
შექმნა ესენი სისხლმა ჩემმა და ხორცმა ჩემმა.

სიტყვა — ზვირთივით მოვარდნილი მღელვარე ზღვიდან,
სიტყვა — თვალეზი, რომლისგანაც ცეცხლივით მენთო,
სიტყვა — რომელიც იწვევს კაცში სინდისის ქენჯნას,
სიხარულის და წადილის სიტყვა,
მწუხარების და ზეიმის სიტყვა,
იმედის სიტყვა,
ძმობის სიტყვა,
ნუგეშის სიტყვა,
სიტყვა, რომელსაც ცხოვრებაში გაუდგამს ფესვი —
ვით აგურისფერ ნიადაგში თოვლისფერ ზამბახს —

ვერ თავსდებოდა ჩემში წინათ ყველა ეს სიტყვა:
ვიყავი ბავშვი —
ვამელავნებდი ხმაურით სევდას,
დუმბილი იყო სიხარულის გამომხატველი;
მერე კი...
თვალეზს წამდაუწუმ მივსებდა ცრემლი,
ხალხის გულიდან სახეში რომ მაყრიდა ჭარი.

მითხარით, ძმებო!
სად წავიღო ეს გულისწყრომა,
სად გადავმალე ეს მტანჯავი დუმბილი ჩემი —
ისე, რომ...
თვალით ვერ იხილოს ვერასდროს ვერვინ.



ისევე მოვა ჯანიანი სიტყვების ჯარი;
 მკერდიდან გული ბობოქარი ისევე გააჭვით...
 გული შექიფით ამ სიტყვების კვალდაკვალ მიჰქრის,
 გმირულ სრბოლაში თავგანწირვით ებმება იგი,
 და ეს სიტყვები მიაჭროლებს მას ისე სწრაფად —
 როგორც მკვდარ ფრინველს ფრთები თვისი მიაფრენს ხოლმე.

არ შემიძლია არ დავეწერო ლექსი ამაღამ

არ შემიძლია არ დავეწერო ლექსი ამაღამ...
 დავეწერ — ვთქვათ — როგორ ცანცახებენ ვარსკვლავნი ცაში...
 გრიალებს ქარი და ტრიალით სივრცეში მღერის...

არ შემიძლია არ დავეწერო ლექსი ამაღამ...
 მე ის მიყვარდა...
 მეც დროდადრო ვუყვარდი იმას.

სწორედ ასეთი ღამე იყო ის თბილი, ღამეც;
 მე მას ვკოცნიდი ამ ღია და მარადი ცის ქვეშ.

მე მას ვუყვარდი...
 მეც დროდადრო მიყვარდა იგი...
 არ მყვარებოდა არ შემემლო თვალები მისი.

არ შემიძლია არ დავეწერო ლექსი ამაღამ —
 მე მან დამტოვა!
 ის მე დავკარგე!
 უზარმაზარი უიმისოდ არი ეს ღამე.
 ახლა სულს ჩემსას ლექსი ნამავს, ვით ცვარი — მინდორს.

რა გაეწყობა, — არ დაჯერდა ის ტრფობას ჩემსას,
 იგივე ღამეა... ის კი... ის კი არ არი ჩემთან.

ასეა!..
 შორს კი, ძალიან შორს ვიღაცა მღერის...
 ვერ ურიგდება გული მაინც დაკარგვას მისას.
 თვალებით ვეძებ და რატომღაც ვისწრაფვი მისკენ,
 გულიც მას უხმობს...
 ის კი... ის კი არ არი ჩემთან.

ღამე იგივე...
 შრიალებენ იგივე ხენი...
 ჩვენ რაც ვიყავით — ის აღარ ვართ... სხვანი ვართ ახლა.

არა! მე იგი აღარ მიყვარს! მაგრამ... მიყვარდა;
 მე დაუდგრომლად ვგრიალებდი, როგორც ვრიგალი.
 რათა ხმა ჩემი მისუღიყო იმის ყურამდე.

ის სხვასთანაა... დარჩება სხვასთან.
 ერთ დროს ის იყო მარტოღენ ჩემი.

თვალები მისი,
 სხეული მისი,
 ხელები მისი,
 ბაგენი მისი, —
 მე შეკუთვნოდა სავსებით იმ დროს...

არ მიყვარს იგი!
 არ მიყვარს, არა!
 მაგრამ... ვინ იცის: ეგების მიყვარს! —
 სიყვარულია ისე ხანმოკლე,
 დავიწყება კი ისე ხანგრძლივი.

ვერ ურიგდება გული ჩემი დაკარგვას მისას...
 მას რომ ვკოცნიდი — ღამე იყო სწორედ ასეთი.

თუმცა მე იგი გულს ვერ მატკენს ამიერიდან, —
 უკანასკნელად ვწერ სტრიქონებს — მისადმი მიძღვნილს.

თარგმანი მუხრან მამუშაძისა და
 გივი ქნელაძისა



ნიჰაი იზონებს თავის დედას რისა-ქორდს

მიიცვალა რისა-ქორდი,
ქურთის ქალი ჩემი დედა...
დამაგდო და დამაოზლა,
გულში სისხლი შემიღედა!
დედა მინდა, სიმძიმელი
ვის შევჩვივლო ჩივილითა?
ვტირი, ფეხებს ვასაგსავებ,
დედას ვუხმობ ჩვილივითა.
ამდენს როგორ გადავიტან,
გულს ნალველი მორევია,
რა პატარა ტანისა ვარ
და რა დიდი მორევია!

მწარე შხამით და ნალველით
პირთამდე მაქვს სავესე თასი,
დაცლას მისას სულსიმოთქმა
არ ეყოფა ბარე ასი.
როგორ შევძლო ამ უძირო
მწუხარების დამიწება? —
დავიწყება მიჯობს ალბათ,
თუ შევიძულ დავიწყება.
მერიქიფევე, ეამმა დაჰკრა,
წაფორხილდა ჩემი ჰუნე,
ღვინო მასვი, გეაჯები,
და სიცოცხლე დამიბრუნე!

ბერდა

ო, რა სჯობს ბერდას ქვეყანას,
მის ტურფა კუთხეს და მხარეს —
ზამთარია თუ ზაფხული
ვარდსა და ყვავილს ახარებს.
ღმერთს ვარდი მკათათვეშიაც
არ დაუკლია მისთვისა,
ზამთარშიც ეალერსება
ზეფირი ვარდობისთვისა.
ზღაპრულ ედემად ქცეულა
ატეხილ ტყეთა ბუნება,
მტკვარი ჩაუდის ბერდას და
საამოდ ელამუნება.
მუშკივით ფშვენენ ძეწნები...
მისი ზურმუხტის მხარენი
სხვა ვერა ვნახეთ ბადალი
და ედემს შევადარენით.
ხოზობითა და ღურაჯით,
კაკაბითა და გნოლითა
ავსილა ბერდას ჰალეები
სავსე ბალით და მოლითა.
მუდამ ჯეჯილი ბიბინებს,
მუდამ ყვავილნი ყვავიან,
მუდამ მკაა და კალოა,
ბარაქაა და ხეავია.
ცისა და მიწის ფრინველნი
მის მთასა და ბარს ეწვიენ.

ვინმეს ჩიტის რძე თუ გინდათ,
მოდიეთ, ბერდაში ეძიეთ.
ოქროცურვილი მიწები,
ველები ნალდანები!..
კაცს ეგონება, თესესო
თითქოს ზაფრანის ყანები.
... დღეს კი დაკნინდა სასახლე,
ბერდას სხვა ბედი ეწია,
მისი დიბა და ატლასი
ქარიშხალს დაუწეწია.
იავარქმნილან წალკოტნი,
ვარდების ძოწეულები,
ნარგისნი მოწეულები
და ტურფა ბროწეულები.
ატეხილ ჰალეებს ვერ ნახავ,
ტყეს ვერ მიაგნებ გეშადა,
მხოლოდ ხევეებს თუ გაივლი
რა როკს თუ მოკრი შეშადა.
თითქოს ის ტურფა ნერგები,
ერთ ღროს ქცეულნი ბალნარად
მცენარის ფესვმა კი არა,
სიმართლის თესლმა ახარა.
რომ კვლავ აყვავდეს ქვეყანა,
ამას სიმართლე სჭირდება.
ვთესოთ სიმართლე და ბერდა
ხელახლა აჯეჯილდება!

ნიჟამი უწყობა თავისი ღრვის მოლაქსებს



1

როცა დიადი არა ხარ,
მისმინე, ნუ ხარ ზეიადი,—
დიადის ადგილს ნუ ეძებ,
როცა არა ხარ დიადი.
თუ სიდიადე გენება,
არ გაჭრის მარტო ქენება,
წინაპრებს ეცი თაყვანი,
იციოდე მათი ხსენება.
რაც მოგადგება ენაზე,
ყველაფერს ნუკი გვაჯახებ,

მარგალიტი გაქვს სათლელი,
ნუ უშენ მძიმე ნაჯახებს!
ყურს დაუგდებდნენ შენს ნათქვამს,
შენი ყბედობა რომ არა.
რომ ტორტლავ, აბა ვინა ხარ,
ვისი ტიკი და ტომარა!
ღრო შეუჩრჩიე სათქმელსა
და ნუ გექნება წუხილი.
სიტყვა ისეთი უნდა თქვა,
გაეარდეს, როგორც ქუხილი.

2

შეუფენებელი ვინმე ხარ,
რა გითხრა მეტი ამაზე,
მხოლოდ ზღაპარზე ოცნებობ,
მხოლოდ ძილზე და ჭამაზე.
ყოველ სიბრძნეში განსწავლულს
ვერ მომიძებნი ტოლებსა,
მაგრამ შინ ვზივარ, შინ ვუკრავ
დაფდაფებსა და დოლებსა.
მაქვს საქონელი ურიცხვი,
ვერვისგან ანაწონები.
ვინც მომღის, ვუმასპინძლები,
თავი არ მომაქვს ქონებით.
მუშტრებს დავესოთ თვალები,
ქესატობაა ძალიან.
არვინ მისაღებს მარგალიტს,
მისთვის არავის სცალია.
ასეთი მარგალიტი მაქვს
და გული ბოღმით ივსება,
გამოჩნდეს ვინმე, გამოჩნდეს
და მიცნოს მისი ღირსება!
მონატრული ვარ ამქვეყნად
გონიერ კაცთა ძენისა,
გამოჩნდეს ვინმე, გამოჩნდეს,
გული გავანდო ბრძენისა!
... რომ არ გადაველ სიკეთეს,
მე რომ თავიდან მეწერა,
მთლად ამეწეწა საქმენი,
ყანები დამემეწყერა.
ბევრნი სიავით აღვსილან,
ცბიერებით და ზაკვებით,
გზის ყაჩაღები არიან,
მკვლელნი და ავაზაკები.

მე ვიცი, რა გზაც ვარჩიე,
რაიც არ უნდა მეტაკოს.
საგზლად სიკეთე წაილე,
კაცო, სათნოვ და სპეტაკო!
ჩემი ლექსები თუ გიყვარს,
მეც საყვარელი მიწოდე.
ეს მე შევქმენი ისინი,
ეს მე ვიყავი, იციოდე.
სიტყვა მომყვება ისეთი,
ლექსები ისე გავმართე,
რომ სასწაულად დავრჩები
მეორედ მოსვლის შემამდე.
მე ტანაყრილი ალვა ვარ
ლექსის ლამაზი ბაღისა,
გემსაბურები, ვით ძაღმძის,
ბედმა ვით ნიჭი მაღირსა.
მე რა მაქვს სხვაზე ნაკლები,
შუბლით რომ მიწას ვეხები,
ყველა ძაღლსა და მამამაღლს
უნდა ვუკოცნო ფეხები!
ვითარცა მარებს, დუშმანზე
მოზიდული მაქვს ისარი,
მაგრამ მაგარი ის არი,
ვერ დავთმე თვით მოსისხარი.
როგორც ასპირაზს, სავსე მაქვს
ვერცხლით სასწორის ყაფანი,
არც ვწონი, მოღით, წაიღეთ
საპალნითა და ჭაპანით.
არ მიციინია აროდეს,
ვით ელვას, სხვისი კვენსითა,
რომ არ დავიწვა მე თვითონ
ჩემი სიცილის კვენსითა.

ჩემთვის ერთია, ქაცვია
 თუ ვარდი პირად მანგია,
 ჩემთვის ანწლიც რომ ანწლია, —
 სალამურით მანგი აქვს.
 ჯერ ნარითა და ქაცვითა,
 ეკალითა და ძეძვითა
 ბედმა ეს გული დაცვითა,
 მერე დამიწვა ცეცხლითა.
 სარკემ რა არგო მახინჯსა,
 პირს რომ სარკეში უჭვრიტა,
 ეს მე ვარ დიდი მდინარე,
 რომ ებან კაცს დასვრილს ქუქყითა!
 მე იმოდენა განძი მაქვს
 და იმოდენა საღარო,
 რამდენიც მოხოვონ, გავილო
 და მაინც არ ვიზარალო.
 განა სხვასავეთ ვიქცევი,
 შენ რომ ქერს ხორბლად გასაღებს,
 მე ქერის ბელელს გაჩვენებ
 და გაძლევ ხორბლის გასაღებს.

პირი მზესავით მიბრწყინავს,
 მუღამ ერთი მაქვს ბუნება,
 ბევრია ჩემში სინათლე,
 ცოტაა ჩემში ცთუნება.
 არვის ეუმუხთლებ, ზურგს უკან
 არავის დავემტვრები,
 პირშიც არვისთან შევრცხვები,
 არვისთან გავემტვრები.
 ისეი არა და, არც ვციცხავ
 მას, ვინც იქცევა ავად,
 თვითონ ჩავარდეს მუნათში
 და დაინანოს თავადა.
 ისეი არა და, არც ვციცხავ
 მას, ვინც მქნელია ავისა,
 მე გაყადრება რადგანაც
 მასთან არ მშვენის თავისა.
 ჩემს სათნოებას მე მიზღავს
 ხალხი მოსილი გონებით,
 მიღწვიან, მომიგონებენ,
 დამლოცვენ, მოვეგონები..

მამული

კარგია მოგზაურობა,
 მით უფრო, უცხო მხარეში,
 შორეულ გზებზე ყიალი,
 შორეულ გზებზე თარეში.
 მოივლი ცა და ქვეყანას,
 რას არ ნახავ და გაიგებ,
 სად არ გაათევ ღამეებს
 და ნაბადს სად არ გაიგებ.
 გაიგებ, სად რა აცვიათ,
 ვის რა ადათი ჰქონია,

მრავალნაცადი იქნები
 და ეს კარგია, მგონია.
 მაგრამ თუ ჩაუქვირდები,
 სიმართლე გამოვლინდება, —
 მხოლოდ მამულში ეწევა
 კაცი გვირგვინს და დიდებას.
 შენს სამშობლოში იცხოვრო
 ჭირსა და სიმწუხარეში
 გერჩიოს, ვიდრე განცხროამით
 მეფობდე უცხო მხარეში.

ნიჰაში კიტხავს უნიჰო კალმოსნებს

ადუღდი, გულო, ადუღდი,
 გულის დუღილის უამია,
 რამ დაგადუმა, მგოსანო,
 გვასმინე შენი ჩქამია!
 დღეს მე ვფლობ ლეჩისის მოედანს
 მე გამაქვს ლელო სიტყვითა,
 სხვამ ჩემისთანა დიდება
 ქვეყნად რომელმა იტვირთა!
 მჭირიდა კჷუა და იჯრაყ
 ვაშოგენე, თუმცა მიჭირდა.
 მუქთად ვინ მომცა დიდება! —
 შექნინილი მაქვს ნიჭითა.

ჯადოქარი ვარ სიტყვისა,
 ლექსებს ვუკეთებ ჯადოსა,
 ვილაც წუწქამა და წუნქალმა,
 ცოდვა ვარ, წუნი მადოსა.
 სიტყვებით ისე მოგხიბლო
 ლექსის თილისმით ძლეული,
 მადარო, ვერ შემეადარო
 ზღაპრული სარკე გრძნეული.
 ხმალივით ბასრი ენა მაქვს,
 ეს მადიდებს და მამდიდრებს.
 ისეთ სასწაულს ჩავიდენ,
 თვითონ მესიას მადრიდე!



სიტყვები გულის ჭურაში
 ისე მაქვს განაცხელები,
 როგორც მღვივანმა ღაღარმა
 დაგიწვას მანაც ხელები.
 ლექსებში ფშანი შევეუფვი
 ჩემი სიცოცხლის წყაროდან.
 ვმღეროდი, როგორც შემეძლო,
 როგორც ცხოვრება მწყალობდა.
 ო, ეს უნდოლი გვაგებდი,
 ეს ბრყვი მუქთახორები,
 ჩემს ჩრდილში რომ გორაობენ
 და მთქველდენ, როგორც ღორები!..
 მე თვითონ ჩემს თავს არ ვჩივი,
 მე ღორმუცელა როდი ვარ,
 დე, ხალხმა გამომიყენოს,
 ხალხთან ამისთვის მოვდივარ,
 მაგრამ სუველა ამქვეყნად
 როდია ჩემი ყაბული.
 მე ვგრძნობ, ზურგს უკან მქირდავენ,
 ჭორაობაა გაბმული.
 ღაზელის წერას რომ ვიწყებ,
 რომ ვმღერი ტურთა ყაზალებს,
 წამბაძავს, ჭკუას აწვალებს,
 თითქოს და ვინმე აძალებს.
 და რომ ყასიდა დავწერო¹,
 განგებ, თუ გნებავთ ყასიდად,
 ისიც ყასიდას აჯახებს
 და მერე როგორ ყასიდას!
 იგავ-არაკებს როცა სწერს,
 მოპყვება რაღაც არაკებს
 და მის დომხალს თუ არ აქებ,
 შენზე ძვირს ილაპარაკებს.
 შენ თუ ნიზამის უყურებ,
 ტვიტარი ტურთად უტვიტარავს,

შენ კი რაღაცას გაჩორგნი
 და მას გვაწონებ უტიტრად,
 კაცი კი არა, მზეც იყავი
 თუ გდევს ასეთი ღანდები,
 ფრთხილად იყავი, იცოდე,
 ხათაში გაიბლანდები!
 ... გაქნილია და გაგქირდავს,
 ურცხვად დაგიყრის ჭორებსო,
 თვალი არა აქვს, ვერ იტყვი:
 თვალს როგორ გამისწორებსო.
 ქურდია, ჯერ მე გამქურდავს.
 მერე კი ჩემგან წავა და
 თვითონ დამიწყებს გაქირდავს,
 თუმცა ქურდია თავადა.
 რას იზამ, ქურდთა წესია:
 როდესაც ქურდებს მისდევენ,
 ქურდია! — ქურდნი ყვირიან,
 მერე ქურდობენ ისევე.
 იმისი საცოდობით,
 რა ვქნა, მეც გული ამექნა,
 არ ვყოფილიყავ მდიდარი,
 არ მომეპარა, რა მექნა!
 მაგრამ მე განძით საცხე ვარ,
 დაძეძგილი მაქვს გონება,
 რაში მქირდება ქურდობა,
 რად მინდა სხვისი ქონება.
 განკითხვა მიყვარს გულუხვად.
 ვხარობ ღარიბთა ფარავითა,
 გნებავთ, აშკარად აიღეთ,
 გნებავთ, წაიღეთ პარავითა.
 განძის მთა მიდგას, გამიღის
 თვალ-მარგალიტის რუები,
 ქურდებს რას შევეუშინდები,
 ვირთხებს რას შევეპაუები!

სიტყვაქუნსოზის სიკეთე

ამოა სიტყვა კაცისა,
 მაგრამ არ ვარგა მოჯრილი,
 სიტყვა მოქნილი ჯობია,
 მოკლე, სხარტი და მოჭრილი.
 სიტყვა თუმც წყაროს წყალსა ჰგავს,
 ზოგი ამოდ ირჯება,
 ბევრი კუპინით გაგჰყიპავს
 და გულს მოგეყირტება.

ცოტა თქვი, მაგრამ კარგი თქვი,
 ვით მარგალიტი ჭოტა.
 რა დაუდგება კარგ ნათქვამს,
 ხალხში თუ ერთხელ იოტა.
 ბევრს თუ იუბედებ, მოსმენის
 დაეკარგებათ ხალისი,
 მარგალიტი გაქვს, გგონია,
 თურმე გქონია ალიზი.
 კოპწია კონა ვარდისა
 თავისი ქორთა ქათიბით
 თივას ყოველთვის ჯობია,
 თუნდ იყოს მთელი სათიბი...

¹ ღაზელი ანუ ყაზალი და ყასიდა — სპარსული ლექსის სახეები.

დაგეგმვისა და ქედისმოხრის შესახებ

სანამ ვიყოთ ქვეყანაზე ძრწოლითა და წუწუნებით? ჩვენ კაცები კი არა და ვირთხები ვართ, წრუწუნების სულ ვარდივით მორცხვი ნუ ხარ, თუ არ გინდა ჰამო დარდი. განა ყველგან წალკოტია, განა ყველგან ყვავის ვარდი? ზოგან ეკლის ქაცვებია, ჯაგნარია ნარიანი.

ბედო, ბედო, გირჩევ, ჩემზე ნუ გეკნება გული ცხარი. შენ ყასაბი არ ბრძანდები და არც მე ვარ შენი ცხვარი! გულზე ცეცხლი ნუ შემინთე, ნულარ დამწვავ, ბედო, ავად, ისიც კმარა, სანთელივით რომ ვიწვები თავისთავად. მე შუშა ვარ და თუ ახლა შენგან ქვები მომეჯახა, ხომ მომეჭრა ხალხში თავი და საქვეყნოდ მომეჯახა! თითბერი ვარ, მაგრამ ოქროს ზარნიში მაქვს გარეთ ყალბად. გახრწნილი ვარ, მაგრამ მუშკი ნაკური მაქვს, იცი ალბათ. ანგარებით სნეული ვარ, მასულდგმულებს ავი ვნება. ერთი ვინმე კუდაბზიკა, ერთი ვინმე თავისნება. გარეგნულად ლომს მძვინვარეს დამამგვანა თუმცა ზეცამ, განა მართლა ლომი ვიყავ, მხოლოდ ლომის ტყავი მეცვა. მქონდა შვება და სიამე დღეს რომ ასე გულით მინდა და ხელიდან სიკაბუკე მერცხალოვით გამიფრინდა. ქაბუკური გულით ვნება, ყმაწვილური გულით შფოთი შორს, რამე თუ ის ზმანება და ზარზოში არის ლოთის! ოცდაათ წელს რომ გადახვალ, რაც არ უნდა თვალად ჩანდე, ბავშვურ ცოდვებს ნუ ჩაიდენ, ნუ გიჭირავს თავი მჩატედ.

თუ დაგჭირდა, კაცი მღვდელისა უნდა იყო გვირგვინი მღვდლისა ასეთია ეს სოფელი დამთხვეულთა ციხე-ზღუდე, თუ თავხედი არ იქნები, ქვეყნად ვეღარ დაიბუღებ. კაცი ლომი უნდა იყო, ლომგული და მედგრად მდგომი. თვინიერი ხარი თუ ხარ, წაგაქცევს და შეგკამს ლომი!

ორმოც წლამდე იშვებს კაცი, იშოვება კიდევ შვება, ამის შემდეგ კი, მშვიდობით, ფრთები მშვიდად დაგეშვება. ორმოცდაათს თუ გააღწევ, აი კირი მაშინ თვალე, მუხლები რომ გილაატებს და დაუწყებ ჩივილს თვალბეს! სამოც წლისას რალა გითხრა, ხოლო ათით თუ ხარ მეტი, შენი ბედი, დავრდომილმა თუ იხმარე კარგად კეტი. ოთხმოცსა და ოთხმოცდაათს თუ მიადწევ, კედელს ჩხირი, დაჯექი და გამოსცადე, თუკი დაგრაჩა რამე კირი. ხოლო ასს თუ მიატანე, შეგისრულდა წელი ასი, მაშინ გიჯობს, სიკვდილს უხმო და სიკოცხლის მისცე ფასი. გინდა ერთი დღე იცოცხლე, გინდა ას წელს გაუძელი, გული მაინც ამ სოფლიდან არ გაყვება დაუწველი. ჩვენ ანთებულ სანთელს ვგავართ, ლხინში დარდი გვეცილებს, თვალებიდან ცრემლებს ვაფრქვევთ, როცა პირით გვეციენება. შენ თუ ბედმა გაგიღიმა, ყური უგდე დარიგებას, ნუ გაურბი ღარიბთათვის მოწყალების დარიგებას! შეზე, ქვეყნის სამსახურში მზესაც კი არ ეძინება, ჯერ ქვეყანა გააცინა, ახლა თვითონ ეციენება.

ბ. სიხარულიძე



3. ი. ლენინი და სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება ამიერკავკასიაში

სოციალისტური რევოლუციის მომზადება და მისი გამარჯვება ამიერკავკასიაში განუწყურებლად არის დაკავშირებული ვ. ი. ლენინის უკვდავ სახელთან.

1917 წლის თებერვლის რევოლუციით ძალაუფლება ბურჟუაზიის ხელში გადავიდა მუშათა კლასისა და გლეხობის არასაკმაო შეგნებულობისა და არასაკმაო ორგანიზებულობის გამო.

თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის შემდეგ რუსეთში ორძალაუფლებიანობა წარმოიშვა.

ანალოგიური მდგომარეობა შეიქმნა ამიერკავკასიაშიც. რუსეთის დროებითი ბურჟუაზიული მთავრობის გადაწყვეტილებით 1917 წლის 6 მარტს აქ „წესრიგის სასწრაფოდ დასამყარებლად და მხარის მოსაწყობად“ ჩამოყალიბდა დროებითი მთავრობის ორგანო — ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტი (ოზკომი), რომლის შემადგენლობაში შევიდა სახელმწიფო სათათბიროს 5 წევრი მემარჯვენე კადრ ბარლამოვის თავმჯდომარეობით. „დემოკრატიიდან“ ამ კონტრრევოლუციურ მთავრობაში შევიყვანეს სახელმწიფო სათათბიროს წევრი მენშევიკი ა. ჩხენკელი, რომელიც, როგორც მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე და შინაგან საქმეთა მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი, ბეჯითად ემსახურებოდა მემამულეთა და კაპიტალისტთა კლასის ინტერესებს.

მეორე მხრით, 6-დან 10 მარტამდე ბაქოში, თბილისში, ბათუმში და სხვაგან შეადგინეს მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოები (საბჭოები იქმნებოდა არმაშიც), რომლებშიც დეპუტატთა ადგილების უმრავლესობა მენშევიკებს, ესერებსა და სხვა შემთანხმებულთა და ოპორტუნისტულმა პარტიებმა დაიკავეს. რატომ? ცარხვმა დაარბია ბოლშევიკური ორგანიზაციები, დააბატონა და გადაასახლა მისი ზღამძღანელები, ხოლო მოსახლეობის ყველაზე რევოლუციური ნაწილი, რომელიც რეპრესიებს გადაურჩა, ჯარიში ვაიწვია და ფრონტზე დასაქმდა. ყოველივე ეს ხელსაყრელ ნიადაგს უქმნიდა წერილობრივად პარტიებს — მენშევიკებს, ესერებს, ფედერალისტებს და სხვ., რომლებსაც თავიანთ ოპორტუნისტულ შეხედულებათა გამო

მეფის ოხრანის კლანჭები ნაკლებად შეეხო. ისინი თავისუფლად თანამშრომლობდნენ სხვადასხვა ოპორტუნულ დამწესებულებასა და ორგანიზაციაში, საზღვდრო სამრეწველო კომპანებში, საეროთა კავშირებში, ქალაქის გამგეობებში და სხვ. ამის გამო და აგრეთვე იმიტომ, რომ მასების თვალში ეს წერილობრივადი პარტიები ჯერ კიდევ არ იყვნენ საესებოთ ნიღბახდილნი, მათ მოახერხეს დეპუტატთა ადგილების დატაცება საბჭოებში. თებერვლის რევოლუციის შემდეგ ამ პარტიებთან ერთად თავი წამოუყვეს დამწაყებმა და მუსაკატელებმა, ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური პარტიების გააქტიურებამ განპირობებული იყო ამიერკავკასიის ხალხთა ეროვნული შემადგენლობის მრავალფეროვნებითა და საერთო ეკონომიური ჩამორჩენილობით, სამრეწველო პროდუქციის სიმცირით და მისი სუსტი ორგანიზებულობით.

ოპორტუნეზისათვის ასეთ „ნოყიერ“ ნიადაგზე დაყრდნობით მენშევიკურ-ესერულმა საბჭოებმა სრული კონტაქტი დაამყარეს ამიერკავკასიის განსაკუთრებულ კომიტეტთან, რომელიც მემამულეთა და კაპიტალისტთა ინტერესებს იცავდა. ისინი ბურჟუაზიულ მთავრობას განუზომელ სამსახურს უწევდნენ იმ მხრივ, რომ მასებში წერაგაფენენ რწმენას, თითქოს რევოლუცია უკვე დამთავრებულია და არავითარი ძხალი რევოლუცია საჭირო არ არის.

ბოლშევიკების VII (პარილის) კონფერენციამ, რომელიც ჩვენი პარტიის ისტორიაში ყრილობის მნიშვნელობით შევიდა, ლენინის „პარილის თეზისების“ საფუძველზე შეიმუშავა სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების გეგმა, ამ გეგმით განსაკუთრებული ყურადღება ეძლეოდა მემამულის სიმძიმის ცენტრის გადატანას მასებში, მენშევიკების, ესერების და სხვა პარტიების გაყოფისასგან მათ განთავისუფლებას, მათ დარბზვას ბოლშევიკური პარტიის ლოზუნგების გარშემო.

პარილის კონფერენციის ისტორიულ გადაწყვეტილებათა შესასრულებლად დიდი მუშაობა გასწიეს ამიერკავკასიაში მომუშავე ბოლშევიკებმა ს. შაუმიანმა, მ. ცხაკაიამ (პარილის კონფერენციის შემდეგ დაბრუნდა საქართველოში), ფ. მახარაძემ, ს. ჭავჭავაძემ, ს. კასიანმა,

მ. ორახელაშვილი და სხვებმა. თანდათანობით განმტკიცდა ბოლშევიკური ორგანიზაციები, შეიქმნა ბოლშევიკური გაზეთები „ბრძოლა“ და „კავასკი რაბოჩი“, აღადგინეს გაზეთი „ბიკინსკი რაბოჩი“, რომელთა საშუალებით ბოლშევიკები ააშკარავებდნენ მენშევიკებისა და სხვების შემთანხმებულ პოლიტიკას, ფანტაზიან წერილებურებაზელ ბერუსს და აძლიერებდნენ თავიანთ გაველნას მასებზე. ამ გაზეთებში სისტემატურად იბეჭდებოდა ვ. ი. ლენინის საღირებეტივო სტატიები, რომელთაც დაუფასებელი მნიშვნელობა ჰქონდათ ამიერკავკასიის კომუნისტური ორგანიზაციების შემოაბის სწორად წარსამართავად და მუშათა და გლეხთა მასების გათითქონობიერებისათვის.

სოციალისტური რევოლუციისათვის მზადების გზაზე თვალსაჩინო როლი შეასრულა კავკასიის ბოლშევიკების პირველმა საოლქო ყრილობამ, რომელიც 1917 წლის 2 ოქტომბერს შეიკრიბა და თავის შემოაბის საფუძვლად დაუდო ბოლშევიკური პარტიის VI ყრილობის გადაწყვეტილებანი, რითაც პარტიამ ვ. ი. ლენინის უშუალო მითითებებზე დაყრდნობით, კურსი აიღო შეიარაღებული აჯანყებისაკენ. ამიერკავკასიის ბოლშევიკების ყურადღების ცენტრში დადგა შეიარაღებული აჯანყებისათვის მუშათა და გლეხთა მომზადების საკითხი. ყრილობამ მოსმინა ს. შაჰმინის მოხსენება მიმდინარე მომენტის შესახებ. რევოლუციაში ნათქვამია: „საცემებით ეთანხმებით რა პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, რევოლუციის მორავ ამოკანად ჩვენ მიგვანინა მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოების სრულიად რუსეთის ყრილობის მოწვევა, რომელშიც ხელს უნდა აიღოს მთელი საბელშევიკო ძალაუფლება“¹. ყრილობამ კვანჭბარე მისაღმებით მიმართა ვ. ი. ლენინს რომელშიაც აღნიშნა: „ყრილობა მტკიცე რწმენის გამოთქვამს, რომ ახლო მომავალში რუსეთის მუშათა კლასი და რევოლუციური გლეხობა თავისი ახალი რევოლუციით დაამხოვებს მილიუკოვის და მისი ლაქიების — კერენსკების ბატონობას და აშხანავ ლენინს შეუქმნად შესაძლებლობას გამოვიდეს იატაკქვეშეთიდან და ლიად დაიკავოს ჩვენი პარტიის ბელადის, რუსეთის დიდი რევოლუციის ბელადის პოსტი“².

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ საბჭოთა ხელისუფლების პირველმა დეკრეტებმა ქუხილივით გადაიარა მთელ ამიერკავკასიას და ბრძოლისათვის აღართა მუშების და გლეხები. ფრონტიდან დაბრუნებულმა გამოღმევიკებულმა ჯარისკაცებმა სოფლებს აგარარული რევოლუცია მოსდეს.

ბაქოს ბოლშევიკებმა 1917 წლის 12 ნოემბერს ბაქოს გაფართოებულ სხდომაზე მიიღეს რევოლუცია მთელი ძალაუფლების მუშათა,

ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოების ხელში გადასვლის შესახებ და მუხუხედავად მენშევიკების, ესერების, ქუხილივით და დაშვების გაფართოებული წინააღმდეგობისა, ეს ვადაწყვეტილება სისრულაში იქნა მოყვანილი. ბაქოში გამარჯვა საბჭოთა ხელისუფლებამ.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შესახებ ცნობის მიღებისთანავე თბილისში, ბათუმში, ფოთში, ილქსანდროპოლში და სხვა ქალაქებში ბოლშევიკების ხელმძღვანელობით შედგა მიტინგები, რომლებმაც მოითხოვეს მთელი ძალაუფლების გადასვლა საბჭოების ხელში. 9 ნოემბერს თბილისის ოსენანლის რაიონის საერთო კრება, რომელსაც 2 ათასამდე კაცი დაესწრა, მხრვალად მიესალმა პეტროგრადის მუშების, ჯარისკაცებისა და პეზღეაურების აჯანყებას. კრების მიერ მიღებულ რეზოლუციაში ნათქვამია: „პეტროგრადში დაშვარებული სრულიად რუსეთის საბჭოების ყრილობის მთავრობა არის მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა მთავრობა, რომლის დასაცავად ჩვენ ფიცს ვდებთ, რკინის კედელივით აღვიმართოთ და თავდადებით ვიბრძოლოთ კონტრრევოლუციური ბურჟუაზიის ყველა ძალთა და მათს თვისუფლად თუ დაქირავებულ მახურთა წინააღმდეგ“. ამიერკავკასიის რკინიგზის მთავარ სახელმწიფოს მუშათა კრება ასევე მიესალმა ძლევაშიაღ რევოლუციას. ანალოგიური რევოლუციები მიიღეს ბათუმში, ფოთის და საქართველოს სხვა ქალაქების მუშებმა. 10 ნოემბერს თბილისში შედგა 36 სამხედრო ნაწილის დელეგატთა თათბირი, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება საბჭოთა ხელისუფლების დამყარების სასარგებლოდ.

საქართველოს და ამიერკავკასიის შეძლებული კლასები შიშით და გაფთხრებული წინააღმდეგობით შეხედნენ ოქტომბრის რევოლუციას მათ დანახეს, რომ ოქტომბრის რევოლუციას და საბჭოთა ხელისუფლებას მათთვის გარდევალ დაღებვა მოქონდა, ხოლო ბურჟუაზიული ნაციონალისტურ პარტიებს, რომელთაც უკვე ნაგეშები ჰქონდათ ძალაუფლების ნაყოფი, ამ უკანასკნელის დეკარგვის საფრთხე ემტკრებოდა. ამიერკავკასიის შეძლებულმა კლასებმა, პეტრევიზიონალისაციონალისტრმა და შემთანხმებულმა პარტიებმა შექმნეს ბლოკი და წინანდელი განსაკუთრებული კომიტეტის იფილის შეიქმნეს „დამოუკიდებელი“ კოალიციური მთავრობა — ამიერკავკასიის კომისარიატი, რომელშიც შევიდნენ, ერთი მხრით, მსხვილი მემამულეები და, მეორე მხრით, ბურჟუაზიული ნაციონალისტური პარტიების წარმომადგენლები. ამ „მთავრობის“ ერთ-ერთმა თათბირმა, რომელსაც უცხოელი იმპერიალისტების წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ, შეცვალა ერთა თვითგამორკვევის ლოზუნგი ერთა ავტოლუბელი გამაყოფის მოთხოვნით და მიიღო გადაწყვეტილება, რათა არ ეცნო სრულიად რუსეთის საბჭოთაბქოს ძალაუფლება ამიერკავკასიაში.

¹ რსდმპ კავკასიის სამხარეო ყრილობის რევოლუციები, გვ. 4.

² იქვე, გვ. 16.

საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების მიზნით ამიერკავკასიის კომისარიატის გვერდით შეიქმნა ამიერკავკასიის კონტრარევოლუციური სეიმი, რომელიც ძირითადად საბჭოთა ხელისუფლების მიერ გარეგანი დამფუძნებელი კრების ამიერკავკასიელი დეპუტატებისაგან შედგებოდა (ჩხვიძე, წერეთელი და სხვ.). ამასთანავე, მზადდებოდა თაღლითური ნაბიჯი — ტომისათვის ხელისუფლების გადაცემა, რაც მხოლოდ იმისათვის იყო გამოგონებული, რომ საბოლოოდ გაეფორმებინათ საბჭოთა რუსეთისაგან ამიერკავკასიის გამოყოფა და ხელისუფლების უკანასკნელი ნაშთები წაერიმით მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოებისათვის. სეიმის ხელში ძალაუფლების „გადასვლის“ საშუალებას აღინიშნა ბოლშევიკური ნაგულის „კავკასიის რაბანის“ აკრძალვითა და დაპყრობით, ზოლო სეიმის გახსნის დღე — 1918 წლის 10 თებერვალი — აღესანიშნეს ბაქოში ბოლშევიკური მიტინგის დახვედრით.

ბოლშევიკების წინააღმდეგ ბრძოლა იმდენად მწვავე ხასიათი მიიღო, რომ შიშის დამლევის რეპ(მ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტი იძულებული გახდა გადასულიყო კ. კავკავში, სადაც 1918 წლის 4 მარტიდან საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა.

1917 წლის 16 დეკემბერს სრულიად რუსეთის სახალხო კომისარიათა საბჭომ ლენინის ინიციატივით მიიღო წინადადება კავკასიის საქმეთა საგანგებო კომისიის პოსტის შექმნის შესახებ. კავკასიის საქმეთა საგანგებო კომისრად დანიშნა ბაქოს საბჭოს თავმჯდომარე ს. შაუშიანი. სახკომსაბჭოს დადგენილებით კავკასიის საგანგებო კომისიის საქმეებისათვის გამოიყო 500 ათასი მანეთი.

ბაქოს მუშათა, წითელარმიელთა, მუხღებურთა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭომ თავის ხელში ააღო საფინანსო და სასურსათო საქმე, შექმნა შეიარაღებული ძალები, არაერთხელ ჩააქრო რევოლუციური შეთქმულებანი, გაატარა მთელი რიგი სოციალისტური ღონისძიებანი.

ლენინმა მაღალი შეფასება მისცა ბაქოს საბჭოს მოღვაწეობას. წერილში ს. შაუშიანისადმი 1918 წლის 14 თებერვალს ლენინი აღნიშნავდა: „ჩიორფასი ამხანაგო შაუშიანი! დიდად ვმადლობთ წერილისათვის. აღტაცებული ვართ თქვენი მტკიცე და გაბედული პოლიტიკით. შესაძლებელი შეაერთო მასთან უაღრესად ფრთხილი დიპლომატი, რასაც უთუოდ გუჯარჩახებებს ახლადღელი უძველესი მდგომარეობა, — და ჩვენ გაემარჯვებთ“. აქვე ლენინი აღნიშნავდა, რომ სამხრელი უსაზღვროა, და ამ სიმწიფეთა დასაძლევად უნდა გამოვიყენოთ წინააღმდეგობანი, კონტოლიტები და ბრძოლა იმპერიალისტებს შორის „შესაძლებელი გამოიყენოთ ეს კონტოლიტები: გერ. საჭიროა დიპლომატიკა ვისწავლოთ“.

(ფ. 0. ლენინი, აზხ., ტ. 35, გვ. 349).

ამ მიზნობებს უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა

ბაქოს ბოლშევიკებისათვის, მათი წინააღმდეგა დიდად იყო დამოკიდებული სწორედ კომიტეტიზე. როგორც ცნობილია, ბაქოს საბჭოში მრავალი სხვადასხვა პარტია შედიოდა. იქ იყვნენ ესერები, მენშევიკები, დამნაიკები და სხვა ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური პარტიები, რომლებიც უცხოელი იმპერიალისტების ინტერესებს გამოხატავდნენ. მართალია, მათ შორის ყველაზე შრავალიტობიანი ბოლშევიკი დეპუტატები იყვნენ, მაგრამ თუ მოწინააღმდეგე პარტიები შეეროვნებოდნენ ისინი რიცხობრივად აღემატებოდნენ ბოლშევიკებს. ამიტომ ანტისაბჭო პარტიებს შორის არსებულ წინააღმდეგობათა გამოყენებას, მათგან მემარცხენე ელემენტების გაღმობიერებას და მათ შენარჩუნებას, რასაც შორსად კიდევაც ახერხებდნენ ბაქოელი ბოლშევიკები, გადაწყვეტილი მნიშვნელობა ჰქონდა.

1918 წლის 25 აპრილს ს. შაუშიანის მეთაურობით შეიქმნა ბაქოს სახალხო კომისარიათა საბჭო, რომელშიც, გარდა შაუშიანისა, შედიოდნენ აზიზბეკოვი, ჯაფარიძე, ფოლოტოვი და სხვები. ბაქოს სახკომსაბჭომ მოახდინა ბანკების, ნავლის აარწყოების, კასპიის სავაჭრო ფლოტის ნაციონალიზაცია და მთელ რიგ მარტვებში ბევებისა და ხანების მიწების კონფისკაცია. ბაქოს სახკომსაბჭომ შექმნა რევოლუციური შეიარაღებული ძალები. აზერბაიჯანის მშრომელებმა ბოლშევიკების ხელშეწყობით საბჭოთა ხელისუფლება დამყარეს ბაქოს, შემახის, კუბის, სალიანის გუოკასის და ლენქორანის მარტვებში, აგრეთვე დაღესტანში.

ბაქოს სახკომსაბჭოს მიერ გატარებულ ღონისძიებებს თვალყურს ადევნებდა, იწონებდა და ამტკიცებდა ვ. ი. ლენინი. ამასთან დაკავშირებით თავის გამოსვლაში ბაქოს საბჭოს სხდომაზე 1918 წლის 22 ივნისს ს. შაუშიანი აღნიშნავდა: „მე მივიღე ამხ. სტალინის ერთი წერილი. რომლის ბოლოს იგი დასძინდა, რომ წერილი გადათავალერა და მოიწონა ამხ. ლენინმა და რომ ყველაფერი, რაც დათქვამია ამ წერილში, წარმოადგენს თფიციალურს და გამოქვეყნარეობს სახალხო კომისარიათა საბჭოსაგან. შენდევ სამ დებუებაში, რომლებიც სტალინი აგან მივიღეთ, კატეგორიულად გუატყობინებდნენ, რომ ნაციონალიზაცია დამტკიცებულა“.

ბაქოს ბოლშევიკებმა განამტკიცეს საბჭოთა ხელისუფლების მონაპოვარი. 1918 წლის მაის-ივნისში იმდენად მყარი იყო ბაქოში ბოლშევიკების მდგომარეობა, რომ ლენინმა შესაძლებლად მიიჩნია მათი გამოყენება თურქესტანის ფრონტზე ინგლისელი ინტერვენტების წინააღმდეგ.

სამოქალაქო ომის უმძიმეს დღეებში, როცა ჩრდილოეთ კავკასიაში გენერლებმა — კორნილოვმა, ალექსეევმა, დენიკინმა ინგლისელი და ფრანგი ინტერვენტების დახმარებით შექმნეს „ნოხალისეთა არმია“, აჯანყების ყაზახთა ზედაფენები და დაიწყეს ლაშქრობა საბჭოთა რუსე-

თის წინააღმდეგ, ე. ი. ლენინი კვლავ შეუნდლებელი ინტერესით აღფრენებს თვალს კავკასიაში მიმდინარე ამბებს და თავისი ბრძნული მითითებებით განაგრძობს კომუნისტური ორგანიზაციების ხელმძღვანელობას.

მაგრამ ბაქოს ბოლშევიკების მდგომარეობა მალე გაუარესდა იმასთან დაკავშირებით, რომ ბაქოს მიმართულებით დაიწყო გერმანია-თურქეთის ჯარების ძლიერი შეტევა. ამ მომენტით ისარგებლეს ინგლისის იმპერიალიზმის აგენტებმა — ბაქოს საბჭოში შემქმერალმა დაშნაკებმა, ესერებმა და შენშევიკებმა და შეუდგნენ ავტოკრატის გერმანელ-თურქ დამპყრობთაგან ბაქოს „ავტონომიისათვის“ ინგლისელი დამპყრობლების მიწვევის გზით. კონტრრევოლუციური პარტიზონის ავტოკრატია დიდი დახმარება იყო ინგლისის იმპერიალიზმისათვის, რომელიც მიისწრაფოდა დაეპყრო მთელი ამიერკავკასია, მოეზინა აღმოსავლეთის იზოლაცია რევოლუციური რუსეთისაგან, ჩაეხშო ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა ირანში და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში. ინგლისის იმპერიალიზმი თავდავიწყებით მიიწევდა კავკასიის და შუა აზიის სიმბოლავთა ხელში ჩასაგდებად. ამ ბრძოლაში გეგმის განხორციელების გზაზე ბაქო პირველი რგოლი იყო. ამიტომ დაშნაკების, შენშევიკების და ესერების მიერ შეთავაზებული მიწვევა პირდაპირ დაუთვალსებელი დახმარება იყო ინგლისელი იმპერიალიზმისათვის.

ესაღი ვახდა, რომ ესერების, დაშნაკებისა და შენშევიკების ეს ანტიბალხური ბლოკი ნიადაგს ამზადებდა ინგლისელების მიერ ბაქოს ოკუპაციისათვის.

1918 წლის 24 ივლისს ლენინი გზავნის დეპუტატს შუამიანის სახელზე და გაფრთხილებას იძლევა, რომ დაშნაკების ყოველგვარი მოქმედება საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ „მიწვეულ იქნება აჯანყებად და ღალატად“. ამასთანავე, ლენინი შუამიანს აღუთქვამს, რომ მიიღებს ზომებს ბაქოსათვის ჯარებით დახმარებისათვის (იქვე, გვ. 367).

მართლაც, მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა რუსეთის ყველა ფრონტზე დაძაბული მდგომარეობა იყო, ე. ი. ლენინმა მითითებით ბაქოში გააგზავნა იარაღი და პური. 20 ივლისს უკრაინის ფრონტიდან ბაქოში ჩავიდა საბჭოთა ჯარები და გაეშინიან ავტონომიკანები.

25 ივლისს შედგა ბაქოს საბჭოს გაფართოებული სხდომა, რომელსაც ესწრებოდნენ რაიონული საბჭოების, გეგების კომიტეტების და არმიის რევოლუციური კომიტეტების წარმომადგენლები. ამ სხდომაზე გაჩაღდა გააფთრებული ბრძოლა, ერთი მხრივ, ბოლშევიკებსა და მეორე მხრივ, ესერების, დაშნაკებისა და შენშევიკების კონტრრევოლუციური ბლოკს წინააღმდეგ. ბოლშევიკებმა გადამწყვეტი წინააღმდეგობა გაუწიეს ბლოკს, მაგრამ კონტრრევო-

ლუციონმა პარტიებმა ამჯერად ვერძარჯვეს, 23-ით მეტი ხმა მიიღეს. ამის შედეგად რამდენიმე დღის შემდეგ ბაქოში, დაეცა, საბჭოთა ხელისუფლება.

ბაქოს საბჭოს 25 ივლისის სხდომის საქმეხარო შედეგები ე. ი. ლენინმა 28 ივლისის საღამოს გაიგო და 29 ივლისს თავის სიტყვაში ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის, მისკოვის საბჭოს, მისკოვის საფარბაიო-საქარბის კომიტეტებისა და პროფესიული კავშირების გაერთიანებულ სხდომაზე აღნიშნა, რომ ეს იყო ბლოკის ზურგს უკან მდგომი ინგლის-საფრანგეთის იმპერიალისტების „მეტად ეფექტური ფაქტი“. ამასთანავე, ლენინმა მაღალი შეფასება მისცა ბაქოს ბოლშევიკების პრინციპულ პოლიტიკას, მათ გადაწყვეტილებას, არ დაელოთ არავითარი შეთანხმება იმპერიალისტებთან. „რაც უნდა მწელი იყოს ბაქოელი ამანაგებოს მდგომარეობა, — გადაეხადა ლენინმა, — მათ... ისეთი ნაბიჯი გადაადგეს, რომელიც ერთადერთი შეუდრება არა სიტყვით, არამედ საქმით სოციალისტებს“ (ე. ი. ლენინი, თხზ., ტ. 28, გვ. 4).

ბაქოში საბჭოთა ხელისუფლების დაეცემის შემდეგ ლენინთან შეწყდა რევოლუციური კავშირი, მაგრამ საბჭოთა სახელმწიფოს დიდი მეთაური ძალუბს არ ზოგავს ბაქოელ ამანაგათა დასახმარებლად. 1918 წლის 9 აგვისტოს ლენინი ასტრახანის დეპუტატთა საბჭოს თავმჯდომარას უგზავნის დეპუტატს: „მდგომარეობა ბაქოში ჩემთვის მაინც გაურკვეველია.

ვის ხელშია ძალა-უფლება? სად არის შუამიანი? შეეკითხეთ სტალინს და იმოქმედეთ ყველა გარემოების გათვალისწინებით“ (ე. ი. ლენინი, თხზ., ტ. 35, გვ. 370).

როდესაც ლენინი ამ დეპუტატს გზავნიდა, ბაქოში უცხოელი იმპერიალისტების დახმარებით თარეზობდა კონტრრევოლუციური მუსავაკისტური მთავრობა, რომელმაც თავის თავს „სეპტროკასპიის დიქტატურა“ უწოდა, ხოლო ს. შუამიანი და ბაქოს საბჭოს ბოლშევიკი წევრები — ბაქოს 26 კომისარია დაპატარებული იყო ინგლისელი იმპერიალისტების მიერ. 26 გმირი კომისარია ინგლისელებმა გარყვეს ამიერკასპიის ქვირობში და 20 სექტემბრის დაშნაკების, შენშევიკებისა და ესერების მონაწილეობით მეცურად დახვრიტეს.

ბაქოში საბჭოთა ხელისუფლების დაეცემა გააწყვედა სოციალისტური რევოლუციის მსვლელობა ამიერკავკასიაში, ბოლშევიკების მუშაობა უფრო გააწვავდა, მათ ყოველმხრივ დეგრადირებული ავიწროებდნენ, მაგრამ მიუხედავად ყოველივე ამისა, რევოლუციური მოძრაობა ძლიერდებოდა.

1918 წლის 2 აპრილს ამიერკავკასიის კომისარიატი და ამიერკავკასიის სეიმი გერმანიის-თურქეთის სარდლობასთან სრულ თანხმობით

იქცა ამიერკავკასიის „დამოუკიდებელ“ რესპუბლიკად, რომელშიც პარტიტული პრინციპის საფუძველზე შევიდნენ მენშევიკების, დანაყებისა და მესავატელების წარმომადგენლები. მაგრამ სახელის გამოცვლამ ვერ დაფარა ის შინაგანი წინააღმდეგობანი, რაც ამ კონტრარეულიერ ბლოკს გაანდა. ჯერ კიდევ ამიერკავკასიის „დამოუკიდებელი“ რესპუბლიკის შექმნამდე „საერთაშორისო და პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივ საქთებში“ საქართველოს „ეროვნული საბჭო“ ფართად უთანხმდებოდა გერმანიის სარდლობას, ხოლო სომხეთისა და აზერბაიჯანის ეროვნული საბჭოები თურქთა სარდლობას. ამ „შეთანხმებებში“ უკვე იყო მოცემული ინტერესთა ის წინააღმდეგობა, რომელიც შემდეგ ამიერკავკასიის ბერეუხილშია ნაციონალისტ ტერმინითაა გამოვლინდა მშათა სისხლისმღვრელ ბრძოლებად გადაქცევის.

უცხოელი იმპერიალისტები (მაშინ გერმანული დამპყრობლები) მოხერხებულად სარგებლობდნენ ამ შინაგანი წინააღმდეგობებით. ისინი დანატერმინებულ იყვნენ ამიერკავკასიის დაქუცმაცობით, ამიერკავკასიაში სუსტი სახელმწიფოების წარმოქმნით, რადგან ამიერკავკასიის დანაყოფობა შთა გუთადვილებდა ამ მხარის, განსაკუთრებით ბაქოს ნავთის ხელში ჩაგდებას და ამიერკავკასიის გადაქცევას საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლის პლატფორმად.

ამ მიზეზების გამო ამიერკავკასიის „დამოუკიდებელი რესპუბლიკა“ თავისი არსებობის 35 დღის შემდეგ დაიშალა. 1918 წლის 26 მაისს გერმანიის კონსულის თანდასწრებით შეიქმნა საქართველოს „დამოუკიდებელი“ რესპუბლიკა ქართული მენშევიკების მეთაურობით; 27 მაისს თურქეთის მთავრობასთან მკიდრო კონტაქტით ვანჯაში შეიქმნა აზერბაიჯანის „დამოუკიდებელი“ რესპუბლიკა მესავატელების მეთაურობით; 28 მაისს იმავე თურქეთის მთავრობასთან კონსულტაციის ნიადაგზე შეიქმნა სომხეთის „დამოუკიდებელი“ რესპუბლიკა დაშინაყების მეთაურობით.

ამიერკავკასიის ქვეყნების „დამოუკიდებლობა“ მართლაც ნამდვილი ფიქცია იყო. ეს იყო არა დამოუკიდებლობა, არამედ ნამდვილი დამოკიდებულება იმპერიალისტური სახელმწიფოებისადმი, საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის გადაქცევა გერმანული და თურქი დამპყრობლების სათარეშო მოედნად.

გ. ი. ლენინი ასე ახასიათებდა საქართველოს მამოხდელ ვითარებას: „საქართველოს ეს დამოუკიდებლობა ყოვლად აშკარა მოტყუებად იქცა, — სინამდვილეში ეს არის საქართველოს ოკუპაცია და სრული დამპყრობა გერმანული იმპერიალისტების მიერ, გერმანული ხიშტების კავშირი მენშევიკურ მთავრობასთან ხელშევიკი მემებისა და გლეხების წინააღმდეგ“ (გ. ი. ლენინი, თხზ. ტ. 28, გვ. 7).

* მიუხედავად სასტიკი ტერორისა და შეჭარისა

მეშათა და გლეხთა გამოსვლები კიდევ უფრო ძლიერდებოდა.

იმპერიალისტების მხეცობით, აღმდროვეული ბაქოს პროლეტარიატი 26 კომსარის მხეცური მკვლელობის ნახევარი წლისთავე, 1919 წლის 20 მარტს საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლის ნიშნით აწყობს ძლიერ პოლიტიკურ გადიცვას. ბაქოს პროლეტარიატმა მოწოდებით მიმართა ამიერკავკასიის მშრომლებს, რათა ერთიანი რევოლუციური ფრონტი შექმნათ დღინკანის წინააღმდეგ, რომელიც თავისი შეფერხობით ნაწილების აღსადგენად „მოხალისეებს“ კრებდა. ბათუმის მუშები ერთი პირველთაგანი გამოეხმარნენ ბაქოელთა მოწოდებას¹.

მენშევიკებმა ვერაერთარი საშუალებით ვერ შეძლეს გლეხთა აჯანყების ჩაქრობა სამეგრელოში, გურიაში, დუშეთში, აფხაზეთში, სამხრეთ ისეთში და სხვაგან. ბოლშევიკების მეთაურობით შეიარაღებული გლეხები საქართველოს ხან ერთ, ხან მეორე მხარაში აარსებდნენ საბჭოთა ხელისუფლებას (დუშეთი, აფხაზეთი, გურია და სხვ.), რომლებიც ზოგჯერ კვირების, აუეებისა და მეტი ხნის განმავლობაშიც უმკლავდებოდნენ მენშევიკების შეიარაღებულ ძალებს.

1918 წლის თებერვალში აჯანყება ლენინის მთელი მზრის ნისახლოობა. იმადროულად დუშეთის რევოლუციურმა გლეხობამ საესებით განდევნა მენშევიკური ხელისუფლება მხარდან, შექმნა საბჭოთა ხელისუფლება, რომელსაც თითქმის ერთი თვის განმავლობაში ინარჩუნებდა. 1919 წლის ნოემბერში, ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ორი წლის თავზე გურიაში მოეწყო გლეხთა შეიარაღებული აჯანყება. აჯანყებულებმა განადგურეს მენშევიკების ბანდები დაბა ჩოხატაურში და იქ საბჭოთა ხელისუფლება გამოაცადეს. გლეხთა რაზმები ღაძირნენ სამხარო ცენტრის — ოზურგეთის ასალებად, მაგრამ კოკისპირულმა წყობამ დე მდინარების — ნატანებისა და სუფსის ადიდებამ ხელი შეუშალა მათ წინსვლას, გლეხთა რაზმების შეერთებას, რის გამოც მენშევიკების სამხარო ცენტრმა მოასწრო მამველი ძალების მოლება და დამარცხა აჯანყებულები.

1918 — 1920 წლებში საზრტო ისეთში სამჯერ აღმოჩნდა აჯანყების დროში და სამჯერ გამოცხადდა საბჭოთა ხელისუფლება.

უსედეგო გამოდგა მესავატური ხელისუფლების ყველა ღონისძიებაც, ჩიქური გლეხთა მოძრობანი ყაზახის, განჯის, ნუხის, ლენქორანის, კუბის და სხვა მხარეებში, სადაც გლეხები ბაქოს პროლეტარიატთან მკიდრო კავშირში მოქმედებდნენ.

ს. მ. კიროვი, რომელიც 1919 წელს ასტარახის თავდაცვას ხელმძღვანელობდა, მტკიცე კავშირს აწყობს ამიერკავკასიის პარტიულ ორგანიზაციებთან და სისტემატურად აწვდის ინ-

¹ გაზეთი „ვოლან“ № 5, 1919.

ფორმაციებს ე. ი. ლენინს. 1919 წელს 3 ივნისს კიროვი ლენინს აცნობებდა, რომ „საქართველოში... პარტია არაღვალურად მუშაობს. ბევრი ამხანაგი საპრობილეშია, მაგრამ პარტიის რიგებში ოთხი ოთხამდე მუშა და გლეხია და ხალხის მასებში სწრაფად იზრდება თანაგრძობის საბჭოთა ხელისუფლებისადმი“. 22 სექტემბერს ბაქოში არაღვალურ ვითარებაში აშ. ა. მიქოიანის ზელმპლანდობით ჩატარდა ამიერკავკასიის ახალგაზრდობის კომუნისტური ორგანიზაციების პირველი ყრილობა, რომელმაც თავის საბატიო თავმჯდომარედ ე. ი. ლენინს აირჩია.

1919 — 1920 წლებში ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციებისათვის მძიმე იყო ამიერკავკასიის კონტრრევოლუციური მთავრობები ანა მარტო ყოველხრივ უხმარებოდნენ საბჭოთა ხელისუფლების მტრებს, არამედ აძლიერებდნენ ბრძოლას შიგნითაც, ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების წინააღმდეგ. მაგრამ წითელი არმიის ნაწილების მიერ დენიკინის ურდოების განადგურებამ, კერძოდ ჩრდილოეთ კავკასიაში კონტრრევოლუციის რკალის გარღვევამ, რასაც მოყვა საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვება დალისტანსა და თერჯოლის ოლქში, საბოლოოდ დაამსხვრია ამიერკავკასიის კონტრრევოლუციონერების იმედი, ამიერკავკასიას კიდევ უფრო დაუახლოვა ჩრდილოეთიდან მომავალი საბჭოთა რევოლუციის ტალღა.

ლენინი თავს აღევენებდა ამიერკავკასიაში შექმნილ ვითარებას, განსაკუთრებით კი ურთაღლებას აქცევდა იმას, თუ რამდენად მოშადად ადგილობრივი პირთბები საბჭოთა ხელისუფლების დასამყარებლად, დარწმუნდა თუ არა მოსახლეობა, რომ საბჭოთა ხელისუფლების დამყარება არის ერთადერთი გამოსავალი მძიმე ვითარებიდან. ლენინი ადგილებზე მომუშავე კომუნისტებისგანაც მოითხოვდა ამ ვითარების ხელტყვანას და მის გათვალისწინებას ყოველდღიურ მუშაობაში. 1920 წლის 17 მარტს, რადესაც წითელი არმია ბაქოს დაუახლოვდა, ე. ი. ლენინი ორჯონიკიძეს — კავკასიის ფრონტის რევოლუციური სამხედრო საბჭოს წევრს — დებუებით აცნობებს: „ბაქოს იღბა ჩვენთვის უაღრესად საჭიროა. მთელ ოლქისძიგებაში აქვთ წარმართვით. ამასთან აუცილებელია... მაქსიმალურად დარწმუნდეთ მტკიცე ადგილობრივი საბჭოთა ხელისუფლების მოშადებაში. იგივე ეჭბა საქართველოს, თუმცა ვირჩევთ მას კიდევ უფრო ფრთხილად მივუყრათ“ (ე. ი. ლენინი, იხ. ბ. ტ. 35, გვ. 470).

ამ დროს აზერბაიჯანსა და საქართველოში დიდი საზნადისი მიმდინარებოდა აჯანყებისათვის. განსაკუთრებით დიდი პერსპექტივის წინაშე აღმოჩნდა აჯანყება აზერბაიჯანში, რომელიც უშუალოდ ეკუთვნოდა რევოლუციური რუსეთს. აბრლიში აჯანყებამ აზერბაიჯანში საყოველთაო-სახალხო ზასიათი მიიღო. აჯანყებულებს დაეხმარა საბჭოთა რუსეთის XI არმია,

რომელსაც წინ მიუძღოდნენ ს. ორჯონიკიძე, ს. კიროვი და ა. მიქოიანი. 1920 წლის 28 აპრილს, ე. ი. 21 თვის შემდეგ, ბაქოში კვლავ აღიმართა საბჭოთა ხელისუფლების დროშა.

1920 წლის 5 მაისს პოლიტბიუროს დავალებით ლენინი და სტალინი დებუშას უგზავნიან ს. ორჯონიკიძეს და მოითხოვენ მისგან უზუსტეს ცნობებს საქართველოში მიმდინარე აჯანყების შესახებ. ამასთანავე, წინადადებას აძლევენ „გამოიყვანონ ნაწილები საქართველოს ფარგლებიდან საზღვარზე და თავი შეიკავონ „საქართველოზე შეტევისაგან“, „თბილისთან მრალაბარაკების შემდეგ ცხადია, — ნათქვამია შემდეგ დებუშაში, — რომ საქართველოსთან ზავი გამოირიცხეოდ არის“ (ე. ი. ლენინი, იხ. ბ. ტ. 35, გვ. 434).

ერთი მხრით, „რევოლუციური ტალღის“ მოახლოების, ხოლო, მეორე მხრით, ანტანტის დამარცხებების გამო საქართველოს მენშევიკური მთავრობა იძულებული გახდა ეცნო საბჭოთა რუსეთსა და თბილეთი მიემართა მისთვის დთანხმებულები სამშვიდობო ხელშეკრულების დადებაზე.

საბჭოთა რუსეთმა, რომელიც თავიდანვე განუზრუნვლად იცავდა მშვიდობის პოლიტიკას და ერთა თვითგამორყევის უფლების პრინციპს, 1920 წლის 7 მაისს მენშევიკურ მთავრობასთან ხელშეკრულება დასდო. ხელშეკრულება მენშევიკურ მთავრობას ავალდებულებდა ხელი აეღო რეპრესიულ ზომებზე საქართველოში მომუშავე ბოლშევიკების წინააღმდეგ, ხელშეკრულების მიხედვით ბოლშევიკური ორგანიზაციების საქართველოს ტერიტორიაზე ლეგალური არსებობისა და მოღვაწეობის, კრებების მოწვევის, საკუთარი გაზეთისა და გამოცემულობის უფლება მიეცათ. მენშევიკების მხრივ ეს იყო თაღლითური ხმაჯი: „ლევალზაციის“ პერიოდის მცირე ხნის გასვლის შემდეგ მენშევიკებმა კვლავ გააძლიერეს ბოლშევიკების დენება.

ხელშეკრულების საფუძველზე საბჭოთა რუსეთმა მენშევიკურ საქართველოში სრულუფლებიან წარმომადგენლად დანიშნა ს. მ. კიროვი, რომლის საშუალებითაც ე. ი. ლენინი შედგო კავშირის ამყარების საქართველოს პარტიულ ორგანიზაციებთან. კიროვის ჩამოსვლას თბილისელი მშრომელები აღფრთოვანებით შეეგებნენ. იმავე დღსვე გაიმართა ხალხმრავალი მტინგი. კიროვი რუსეთის პროლეტარიატის საბჭოთა მიესალმა საქართველოს მშრომელებს.

წითელი არმიის გმირულმა გამარჯვებამ დიდად დააჩქარეს სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის მოსამზადებელი მუშაობის მიმდინარეობა საქართველოში და სომხეთში.

განსაკუთრებით ზალე მომწიფდა პოლიტიკური ამბები სომხეთში. 1920 წლის მაისში დაწნაყება თავიანთი ბანდების მოკვებით მოახერხეს სომეხი ხალხის დიდი აჯანყების ჩაქრობა, მგ-

რამ იგვისტო-სექტემბერში კვლავ მომწიფდა აჯანყების სიტუაცია.

საქმე იმით დაიწყო, რომ ამერიკის შერჩობული შტატებისა და ანტანტის იმპერიალისტების წაქეზებით დაწინაურდა კრეცესა და ბარდიზის მოაწყვეს პროვოკაციული შტატებმა თურქეთის ჯარებთან, რასაც მოჰყვა სომხეთ-თურქეთის ომი. დაწინაურდა ამ უთანასწორო ავანტიურისტულ ომში ჩაებნენ ამერიკელი და ანტანტის იმპერიალისტების დახმარების იმედით, მაგრამ როცა ომი უკვე ვაიდა, ამერიკის შერჩობული შტატებმა, ინგლისმა და საფრანგეთმა გეზი იცვალეს და შეეცადნენ თავიანთი ანტისაბუთო პოლიტიკის იარაღად ექციათ თურქეთი, რომელსაც გადმოსაბირებლად სომხეთი შესთავაზეს. დაწინაურდა დახმარებისათვის მიმართეს ერთა ოჯახს, მაგრამ სანამ იქ საქმეს განიხილავდნენ, თურქეთის სარდლობამ უკვე დაიკავა სომხეთის ტერიტორიის მთელი რიგი ადგილები. ასეთ ვითარებაში სომხეთის მუშებმა და გლეხებმა კონტრარევოლუციური დაწინაურდა მთავრობის წინააღმდეგ მოაწყვეს დიდი აჯანყება და 1920 წლის 29 ნოემბერს სომხეთში გამოცხადდა საბუთო ხელისუფლება, რომელსაც სათავეში ჩაუდგა რევოლუციური კომიტეტი. სომხები მუშებმა და გლეხების წინააღმდეგ ვერტიკალურად დაწინაურდა თავიანთი უბადრუკი არმიით, შერჩობული შტატების, ანტანტის და თურქი დაპყრობლების ძალები და წახრიბობს უბირებდნენ სომხეთის ახალგაზრდა საბუთო ხელისუფლებას, მაგრამ სომხეთის რევოლუციურმა კომიტეტმა დახმარებისათვის მიმართა ვ. ა. ლენინს, რომლის მიითთებდა მათწინე სომხეთისაკენ. დიპლომატიკური XI არმია ს. ორჯონიკიძის მეთაურობით. სომხები მუშებისა და გლეხების და წითელი არმიის ერთობლივი ბრძოლით საბუთო ხელისუფლებამ საბოლოოდ გაიმარჯვა სომხეთში. 2 ნოემბერს ვ. ა. ლენინი მხურვალედ მიესალმა სომხეთის რევოლუციური სამხედრო კომიტეტის თავმჯდომარის ანტ. ს. კასიანს და მისი სახით „იმპერიალისტების მხრივ ჩაგვრისაგან განთავისუფლებულ შშრამულ საბუთო სომხეთს“.

სომხეთში საბუთო ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ საქართველოში მენშევიკების ბატონობის დღეები დათვლილი იყო. მაგრამ ეს უკანასკნელი მანც შეუბოგრა წინააღმდეგობას ეწყოღწენ, განაგრძობდნენ ლაქუცსა და მუცელზე ხიხვის ანტანტის იმპერიალისტების წინაშე, რათა ბოლშევიკების წინააღმდეგ საბრძოლველად დახმარება მიეღოთ მათგან. მაგრამ იმპერიალისტები ხომ მქეთად არ დაეხმარებოდნენ და... აი მენშევიკებსა და ინგლისელ დამპყრობლებს შორის ვაიდა ვაჭრობა ინგლისისათვის ბათუმის გადაცემის საკითხზე.

შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე ამ საუკეთესო ნავსადგურის ოკუპაცია ნიწნავდა ძალი ყაიადური ლაშქრობის მომზადებას საბუთო რუსეთის წინააღმდეგ. საბუთო მთავრობამ მტკიცე

პროტესტი განაცხადა ამ მუხანათურ რაბიჯის გამო. ამასთანავე, თავდაცვის „მინისტრის“ საქმისა შეიარაღებული ძალები გააძლიერეს. მტკიცე კავასიაში. ამ ამბებს მოუწყო საბუთო ხელისუფლების გამარჯვებამ სომხეთში და ანტანტი იძულებული გახდა ზელი აელი ბათუმზე.

მაგრამ სომხეთში საბუთო ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ მალე თავი იჩინა ახალმა სადავო საკითხმა. საქმე ის იყო, რომ სომხეთში საბუთო ხელისუფლების გამარჯვებებს მომენტში სომხეთი შიმშილობდა. დაწინაურდა მთავრობისა და უცხოელი იმპერიალისტების წინააღმდეგ, აჯანყებულ სომეხ ხალხს საბუთო რუსეთის დახმარების იმედი ჰქონდა. საბუთო რუსეთმა მათწინე გაუწოდა დახმარების ზელი მოძვე სომეხ ხალხს, მაგრამ ამ დახმარების ფაქტური განხორციელება შეუძლებელი აღმოჩნდა ქართველი მენშევიკების წინააღმდეგობის გამო. მიუხედავად იმისა, რომ საბუთო რუსეთისა და საქართველოს მენშევიკურ მთავრობას შორის დადებულ ზელშეკრულებაში იყო სპეციალური პუნქტი, რომელიც ითვალისწინებდა საბუთო ტერიტორიის ტრანზიტს საქართველოსა და სომხეთის ვაჭრობა, ქართველი მენშევიკებმა კატეგორიული უარი განაცხადეს პრით დატვირთული მატარებლების გატარებაზე სომხეთისაკენ. საბუთო მთავრობამ არაერთხელ მიმართა ამის გამო თხოვნით საქართველოს მენშევიკურ მთავრობას. „არავის არ ეყოფა მოთინებვა წითლობის ის დებულები, განცხადებები და პროტესტები, რომლებითაც ჩვენ მივმართავდით საქართველოს ამის გამო“, ამბობდა ლენინი მოსკოვის საბუთს პლენუმის სხდომაზე, მაგრამ უვლა ეს თხოვნა უშედეგოდ დამთავრდა. ბოლოს საქმე იქამდე მივიდა, რომ 1920 წლის თებერვლის დაშლდეს იფეთქა საშინელმა აჯანყებამ, რომელიც დაიწყო „ნეიტრალურ ზონაში“ (ეს ზონა მდებარებოდა საქართველოსა და სომხეთის შორის, რომელიც ქართველი მენშევიკებმა ანტანტის ნებართვით დაიკავეს) და „საოცარი სისწრაფით ვაჭრელები და მოვლა არა მარტო სომეხ, არამედ ქართველ მოსახლეობასაკენ“. ისე როგორც დაწინაურდა და მუსავატებებს ქართველ მენშევიკებსავე აჯანყებულთა წინააღმდეგ ბრძოლაში ეხმარებოდნენ საფრანგეთის, ინგლისისა და ამერიკის იმპერიალისტები.

საქართველოს რევოლუციურმა კომიტეტმა საბუთო ხელისუფლების გამარჯვების დასამტკიცებლად და შშრომელი მასების მხრივ მსტვიკბლის შესამტკიცებლად დახმარებისათვის მიმართა ვ. ა. ლენინს. რევოლუციური დიდი ბეღლის ბირდაპირი მიითთებოთ XI არმია ს. ორჯონიკიძისა და ს. კირივის მეთაურობით დაუყოვნებლივ გამოეშურა საქართველოს მუშებისა და გლეხების დასამტკიცებლად. ერთობლივი ბრძოლით მენშევიკური მთავრობის წინააღმდეგობა დაძლეული იქნა და 1921 წლის 25 თებერვალს საქართველოს

მუშებში და გლეხებში და წითელი არმიის ნაწილებში თბილისი დაიკავეს.

2 მარტს ლენინმა მისალმება გამოუგზავნა საბჭოთა საქართველოს.

ამრიგად, შთელ ამიერკავკასიაში დამყარდა საბჭოთა ხელისუფლება, რომლითაც ამ მხარის მრავალტარჯულ ხალხთა ცხოვრებაში ახალი ერა დაიწყო.

ამიერკავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ ვ. ი. ლენინი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ადგილობრივ ხალხთა ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესებას, უწევს მათ დახმარებას მატერიალური სახსრებით და ყველა სიშუალებით. ძვირტყას დოკუმენტებს წარმოადგენენ კავკასიელი კომუნისტებისადმი ვ. ი. ლენინის დირექტივები, წერილები და დეკრეტები. ეს დოკუმენტები მშრომელი ხალხისადმი ნამდვილი მამობრივი მზრუნველობის ნიმუშებია და მათ უღიდესი მნიშვნელობა აქვთ ამჟამადაც.

ვ. ი. ლენინის მითითებითა განუხრებელი განხორციელების საფუძველზე საბჭოთა ხელისუფლების წლებში ამიერკავკასიის ქვეყნებს შორის დამყარდა მშვიდობა და კეთილშეზობლივი თანამშრომლობა. რესპუბლიკებში გაჩნდნენ მრეწველობის ახალი დარგები, სამრეწველო გიგანტები, მწკობრში ჩაღწენ მშლავრი ელექტროსადგურები. ომისშემდგომ ზღოწლელებში შეიქმნა მეტალურგიული, საავტომობილო მრეწველობა. წარმატებით ხორციელდება რკინიგზების ელექტროფიკაცია. მშრომელთა მუდმივად მზარდი მატერიალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას ემსახურება ასობით ფაბრიკა-ქარხანა, რომელთა რიცხვი ყოველწლიურად მატულობს.

შესანიშნავი შედეგებია მოპოვებული ამიერკავკასიის რესპუბლიკების სოფლის მეურნეობის ყველა დარგში. ლენინის კოლხარაკიელი გეგმის წარმატებით განხორციელებამ, საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმურნეობებში მოწინავე აგროტექნიკის გამოყენებამ დიდად აამაღლა შრომის ნაყოფიერება და გააღიდა მოსავლიანობა. საბჭოთა ხელისუფლების მზრუნველობით და დახმარებით შეიქმნა სოფლის მეურნეობის ახალი დარგები — ხაის, ციტრუსების, ზამბის, თამბა-

კოს და სხვ. მეურნეობანი. სარწყავი არხების, მშენებლობისა და ქაობიანი მიწების ამოწმების გზით აღიამინთა სამსახურში წყურხეულე ქენე ათასობით პექტარი მიწა. რესპუბლიკები დაისერა მანქანა-ტრაქტორთა ქსელით.

ამიერკავკასიის სამივე მოყავშირე რესპუბლიკაში შეიქმნა კულტურის კერები, ინსტიტუტები. მცირე ხნის განმავლობაში შესისძლებელი გახდა სამეცნიერო კადრების იმდენი რაოდენობით აღზრდა, რომ რესპუბლიკებში დაარსებულ იქნა მეცნიერებათა აკადემიები.

ამიერკავკასიის რესპუბლიკების მიღწევებში ნათლად ჩანს ჩვენი პარტიის ლენინური ერთგული პოლიტიკის სიღაღე. ამ პოლიტიკის შესანიშნავი შედეგებზე ლამარაკობდა თავის საინგარიშო მოხსენებაში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობაზე ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ნ. ს. ხრუშოვი. „ძველი რუსეთის წინათ ჩაგრულმა და ჩამორჩენილმა ერებმა, — აღნიშნა ნ. ს. ხრუშოვმა, — უღიდეს წარმატებებს მიაღწიეს თავიანთ განვითარებაში და თანასწორუფლებიანი ადგილი დაიკავეს საბჭოთა კავშირის ხალხთა ერთსულთან ოჯახში“. ამ დებულების ნათესაყოფად ამხანაგმა ნ. ს. ხრუშოვმა სხვა რესპუბლიკების მონაცემებთან ერთად მაგალითები მოიყვანა ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკებიდანაც. კერძოდ, მან აღნიშნა, რომ 1913 წელთან შედარებით მრეწველობის პროდუქტთა საქართველოში გაიზარდა 27-ჯერ, სომხეთში — 41-ჯერ, აზერბაიჯანის რესპუბლიკაში ომამდელ (1940 წ.) დონესთან შედარებით ერთობრად და პეტად გაიზარდა მეცნიერ მეშაკთა რიცხვი.

ამიერკავკასიის მშრომელი მასების გულისხური ყოველთვის იყო მოპყრობილი დიდი ლენინისადმი, მის მიერ შექმნილი კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობისადმი. ლენინის სახით ამიერკავკასიის ხალხები ხედავდნენ თავიანთ დიდ მოამავეს. ამიერკავკასიის ხალხებმა კარგად იციან, რომ სოციალიზმის გამარჯვება საქართველოში აზერბაიჯანსა და სომხეთში წარმოადგენს ვ. ი. ლენინის წინასწარდასახულობათა განხორციელების ბრწყინვალე შედეგს.



ალექსანდრა გომიაშვილის ლექსები და გალადები

თელა რაზიკაშვილი თავის ერთ შესანიშნავ მოთხრობაში ასე აგვიჩურს გაზაფხულის მოახლოებას მთაში: თითქოს ყურთან ზარბაზანი დაუცალესო, ეცებ საშინელი ვრიალი მოესმა მთიელ ფოცხვერას, რომელიც უნაგირის ტახტისა სთლიდა... — „ზევიე გადმოსკდა, ლაშარის ჯგერის მაღღმა! — წაოიყვირა გახარებულმა და ბანზე ავარდა, ცქერა დაუწყო მთიდან დაქანებულ ზევის: — ზატის მაღღმა, შენ, უკან ვეღარავინ დაგაბრუნოს!.. ახლა კი ახლა გაზაფხული!“.

ფერწერული ოსტატობით დაბატული ბუნების ეს გრანდიოზული სურათი მართლაც რომ გაზაფხულის მოახლოებაზე მეტყველებს, მაგრამ ის გაზაფხული, რომელიც განახლებულ ცხოვრებას მოჰყვამთაში, სულ სხვა გაზაფხული იყო. ალ. გომიაშვილმა სწორედ ამ ახალი გაზაფხულის დამკვიდრებას უძღვნა თავისი პირველი სიმღერები და ამიტომაც მოხდა, რომ იგი ესოდენ იმპაზიანი ხმით შემოვიდა ქართულ საბჭოთა ლიტერატურაში...

„როცა ლაღები კლდის ნაფლეთებს ხეებში ისერის, მაშინ სიმღერაც უნდა ჰგავდეს კლდეების ხლებას!“ — აცხადებს პოეტი ლექსების რკალში — „დარიალის სიმღერები“. მოგონებულ ზევთა გრილის ნაცვლად იგი დიადი გაზაფხულის მახარობელში აღმებნისა და ლაღებების ქება-ქუბილს გულისხმობდა...

გაჟაფლათ გზები, ანგრევდნენ ანდუზიტის ფრიალო კლდეებს, ხავსიან კოშკთა სამფლობელოში ბალავარი ეყრებოდა სასწავლებლებებისა და დაწესებულებების მრავალსართულიან შენობებს... ყველაფერი ეს ახალგაზრდა კომპაგზირტელ პოეტს უსაზღვრო სიხარულს ჰგვრდა. ხიბლავდა, უნერგავდა მომავლის ნათელ რწმენას... ანდუზიტის თვითველ ლოდს იგი სოციალიზმის მტკიცე აგურად თვლიდა.

ბალადში — „ნანგრევთა შორის“ ავტორი ერთმანეთთან პაეტრობაში იწვევს ორ მთიულს. მთ შორის პირველი მოხეტია, მეორე — ახალგაზრდა. ამ ნაწარმოებში ავტორისათვის მთავარია ჭიდილი ძველსა და ახალს შორის. მოხუცი კრძღვით იხსენიებს ამ ადამიანთა თობას, რომელსაც გზები გაჟაფს მიუვალ მთებში. მოხეტის ეს გულისწყარომა ადვილ მისახვედრია ახალგაზრდა კაცისათვის. პატრიარქალური ცხოვრების წარმომადგენელს არ სურს, რომ ამ გზებით რკინის ქარაენები შემოვიდნენ ბარის მხრიდან, ქალაქების ცეცხლი აკიფდეს მთის

ორწობებში, ფრიალო კლდეებსა და საფინოვებზე.

მოხუცი მისტორის ოცა გერხაის დაქანებულ ფარ-ბზალს, ხევისბერთა ეფენიანი დროშების ეღრიალს, ბეთლემის მუუღრობებს, დროშებულ ადათებსა და ადამიანთა შუასაუკუნეობრივ სიმაჟკესა და რაინდობას. მას ვერ წარმოუღდენია სხვაგვარად ცხოვრება, ქვეყნის დაქცეულ ბრვენება ყოველგვარი სიახლე. იგი საქართველოს უკანასკნელ ხევისბერობას ჩემულობს და ახალი წრობის ადამიანს ხმალიანდუჯეთი მიმართავს: თქვენ თუ ამ მთებში რკინის მაღანს მთავნით, იყოფით, აქედან უბრალი ქვასაც არ გაგატანთო. ამის შემდეგ მოხუცი მექარაზე გადადის:

მეინეარებიდან იმღენი მუყავს ვერ კიღვე
გომიშე,

რომ შემოძლია გაყინული მაჯის გაღზობა;
განა ისეთი უნდა იყოს ნამდვილი საბჭოთა მოწინავე მეცნიერი? განა შეიძლება რომელიმე თეორიის გადმოცემა და დაცვა ამ თეორიის გარშემო არსებული საწინააღმდეგო აზრების გაკრიტიკების გარეშე? როგორ შეიძლება მოწინააღმდეგის არარსებულდ მიჩნევა, როდესაც იგი სინამდვილეში არსებობს? ასეთი თვისებები დამახასიათებელია არა ნამდვილი საბჭოთა მეცნიერისათვის, არამედ ბურჟუაზიული ლიბერალისათვის. კიდევ შეიძლებოდა გაგვეგრძელებინა მსჯელობა „ბურუსის“ გარშემო, მაგრამ ნათქვამი საქმარისა იმის საილუსტრაციოდ, რომ მეცნიერული დისკუსიის დახატვისას მწერალმა ვერ შეძლო ტიპური სახეების შექმნა, ვერ მიაღწია ნამდვილ, რეალურ მხატვრულ განზოგადებებს.

ზემოხსენებულთან გამოვლინარობს დასვენა ზელოვნებისა და ლიტერატურის კანონების შესახებ. მაგრამ ეს დასვენა გვიღა განვიხილოთ მ. დუდუჩავას სადისკუსიო სტატიის დებულებებთან დაკავშირებით. მ. დუდუჩავას სტატიაში, როგორც აღვნიშნეთ, სადავია სწორედ ის დებულებები რომლებიც ხელოვნებისა და ლიტერატურის სამეცნიერო კანონებს შეეხება. ავტორი აღნიშნავს, რომ მარქსიანულ ესთეტიკაში ესთეტიკის სავანად აღიარებული იყო მშვენიერება. ესთეტიკა ვაგებული იყო, როგორც „მშვენიერების ფილოსოფია“. მაგრამ ესთეტიკის

საგნის განსაზღვრისათვის, როგორც სამართლიანად აღნიშნავს ავტორი, საჭიროა გავითვალისწინოთ ის გარემოება, რომ „ხელოვნებაში მშვენიერია მხატვრული, ე. ი. ის, რასაც სინამდვილის მხატვრულ ასახვას, სამყაროს მხატვრულ შექმენებას წარმოადგენს“.

მაგრამ, სამწუხაროდ, ავტორი ყველა ამ საკითხში ვერ იმარტუნებს თანმიმდევრობას, წინააღმდეგობაში ვარდება და ზოგჯერ იმეცეპეყვდება აბსტრაქციების ტყეობაში.

დაბნელობა ესთეტიკის საკითხების განხილვაში გამოიწვია იმან, რომ ავტორმა ერთმანეთს მტკაფიზიკურად დაუბიძისპირა ხელოვნების ორი მხარე — ხელოვნების შინაარსი და ფორმა.

ხელოვნებაში, ამტკიცებს ავტორი ორი მხარეა: ზოგადი და კანონები და ამ ზოგადი კანონების გამოვლენის ეპოქისეული ფორმები. ხელოვნება ამ ორი მხარის შინაგანი მთლიანობაა. ხელოვნების ზოგადი კანონებში ავტორი გულისხმობს მხატვრულ ფორმის, შემოქმედის ოსტატობას და მის ტაღლას, ხოლო ხელოვნების ამ ზოგადი კანონების ეპოქისეულ ფორმებში — ხელოვნების შინაარსს, მის კონკრეტულ იდეებსა და აზრებს. ხელოვნების ეს ორი მხარე, ფორმა და შინაარსი, ორ სხვადასხვა სფეროს გუთვინან: ხელოვნების ზოგადი კანონი მზადიღულია, მუღმივია, იგი იარსებებს მანამდე, სანამ არსებობს ხელოვნება. იგი — ფორმა — ხელოვნების არსია, მისი საფუძველია, მისი შინაგანი კანონია. ამდენად, ხელოვნების ეს ზოგადი კანონი არც კლასობრივია და არც პარტიული. იგი არ არის ზედნამენური მოვლენა, ხოლო რაც შეეხება ხელოვნების მეორე მხარეს — შინაარსს, იგი გარდამავალია, დროებითია და, ამდენად, კლასობრივ საზოგადოებაში კლასობრივია, პარტიულია, ზედნამენურია. მოვყავს რამდენიმე ციტატა თეთი საღისესული სტატიიდან. თავისი წერილის დასკვნით ნაწილში ავტორი წერს:

„ამრთად, ხელოვნებაში ურთიერთისაგან უნდა გავარჩიოთ, ერთი მხრით, ზოგადი, საერთო საფუძველი, ობიექტური კანონზომიერებები, კანონების სახით, რომლებიც ამა თუ იმ სახით ხელოვნების ყოველ საწარმოებში ვლინდება და, მეორე მხრით, მითითებული ობიექტური კანონზომიერებები, კანონების გამოვლენის ისტორიულ-კონკრეტული ფორმა, შინაარსი, რომელიც მუღმიე ცვალებადია, ეპოქისეულია და განვითარების მეტად მრავალფეროვან ისტორიულ პროცესს მოიცავს. ხელოვნება არსებობს როგორც ამ მომენტთა შინაგანი მთლიანობა“.

„ხელოვნების სპეციფიკური საზღვრები, კანონზომიერება, კანონები, არა მარტო ობიექტურია, არმედ საერთოც. ისინი ეპოქებისა და მათი შესატყვისი ბაზისის ბედთან არ პირად დაკავშირებულია: ბაზისის წარმოშობის გამო არ

წარმოიშვებიან, ხოლო ბაზისის მოსპობის შედეგად არ იღუბებიან. ისინი არსებებენ, როგორც ხელოვნების არსებობის აუცილებელი პირობა, ყველა ეპოქათა ხელოვნების შინაგანი, გარდევალ ეფაქტური, ზოგადი არსი, ამიტომ ხელოვნების ეს მხარე თავისთავად არც კლასობრივია და არც პარტიული“.

„საწინააღმდეგო ბუნებით ხასიათდება მათი გამოვლენის ისტორიული პროცესი, კერძოდ ხელოვნების ნაწარმოებებში ასახული ტენდენცია (პოლიტიკური, ფილოსოფიური, რელიგიური და სხვა იდეები), სინამდვილის მხატვრული ასახვის თეატლასრისი — შემოქმედების მეოთხი და მის საფუძველზე შექმნილი მხატვრული ფორმის კონკრეტულ-ისტორიული სახეობა, მხატვრული სტილი. ეს მომენტები, რომლებიც არსებითად ურთიერთის გამოვლენის (ერთი და იმავე მოვლენის სხვადასხვა მხარეს) შეადგენენ, ეპოქისეულია, მუღმი იცლებიან ბაზისთან ერთად... ამასთან, ხელოვნების ეს მხარე კლასობრივ საზოგადოებაში კლასობრივია სულით არის გაკლებილი“.

ასეთია შეხედულება ხელოვნების კანონზომიერების შესახებ.

რავი მდგომარეობს ამ მოსაზრების თეორიული სიყაბუე? ჩვენი ვიციით, რომ წმინდა ფორმა არ არსებობს, რომ მხატვრული სახე (სურათი), შესაძლებელია იყოს ნამდვილიც და გამოკონილიც, კემშარტიც და ყაბიცი. მხატვრული სახე, ისევე როგორც ლოგიკური აბსტრაქცია, მკედარია, არარეალურია ობიექტური შინაარსის გარეშე. მაგრამ საკითხის ამ მხარის გაშუქება აქ არ არის საჭირო. ავტორის მოსაზრება სხვა მხრივ უნდა იქნეს გაკრიტიკებული.

საქმე ისაა, რომ ჩვენი ავტორის დებულებას ხელოვნების კანონზომიერებათა შესახებ საფუძველდ უდევს თეორიულად მუღმარ შეხედულება. ავტორის სრულებითაც არ ვედავებით იმაში, რომ მოვლენის კანონი მოვლენის არსებობის საფუძველია. მოვლენა არსებობს მანამდღის, სანამდღის არსებობს ამ მოვლენის კანონი, არსება. მ. დუღუჩავა სწორად იქცევა, როცა ამ ზოგად დებულებას ისეთ საზოგადოებრივ მოვლენაზე აყრცლებს, როგორიცაა ხელოვნება. ხელოვნებაში აქვს თავისი განვითარების კანონზომიერება. აქ შეიძლება გავიფიქროთ მ. დუღუჩავას სიტყვები იმის შესახებ, რომ ხელოვნების სპეციფიკური საზღვრები, მისი შინაგანი კანონზომიერება „ხელოვნების არსებობის აუცილებელი პირობაა, ყველა ეპოქათა ხელოვნების შინაგანი, გარდევალა ეფაქტურია, ზოგადი არსია“.

მაგრამ მ. დუღუჩავამ ვერ გვიჩვენა ხელოვნების ეს კანონი სწორედ იმით, რომ ხელოვნების სპეციფიკის ვლვეის დროს იგი თეორიულად ყაბი პოზიციებიდან დაიძრა.

მარტსიზმი გვასწავლის, რომ მოვლენის არსი,

მისი კანონი წინააღმდეგობრივია. მოვლენის კანონი თავისთავად წინააღმდეგობრივია. თუ კანონი თავისუფალია დაპირისპირებული მხარეებისგან, მაშინ ის არ შეიძლება მოვლენის განვითარებისა და არსებობის საფუძველი იყოს. მარქსიზმი ცნობს წინააღმდეგობას თვით საგნის დედაარსში და იმდენად ეს წინააღმდეგობა შექცევითი პროცესის საფუძველია.

სადისკუსიო წერილის ავტორი დიალექტიკას ლაბატობს, როცა ხელოვნების კანონს ცალმხრივად, დაპირისპირებული მხარეების ერთიანობის ვარაუდ გვისურაობს. ის, რასაც აზ. დუდუჩავა მოგვითხრობს ხელოვნების კანონის შესახებ, სრულყოფილად არ ვაიმედებოდა ხელოვნების განვითარების საფუძველად, მისი არსებობის პირობად. ხელოვნების არსებით მხარეს, როგორც ზემოთ დავინახეთ, ჩვენი ავტორი ხედავს მხოლოდ ხელოვნების ერთ მხარეს — ფორმას. ამით ავტორმა მოიხარა დაპირისპირება თვით საგნის (ამ შემთხვევაში ხელოვნების) დედაარსში, უდალტა დიალექტიკას. ავტორის თვალსაზრისით ხელოვნების არსების შესახებ კანტიანური.

ცნობილია, რომ, კანტის მიხედვით, მშვენიერია ხელოვნების ნაწარმოები, რომელიც ჩვენ მოგვწონს უშუალოდ, მხოლოდ ფორმის მხრივ. კანტის მიხედვით, ხელოვნებაში მთავარია არა შინაარსი, არამედ მხატვრული ფორმა. ამიტომ კანტისათვის ფორმა ზემოხსენებულია, იგი მთავარია შემოქმედების ბუნების ვასალებად, როგორც ცნობილია, ფორმისა და შინაარსის მეტაფიზიკური დაპირისპირება გახდა თეორიული საფუძველი ფორმალისმის გამართლებისათვის ხელოვნებაში.

ხელოვნების კანონი არ შეიძლება ვეძებოთ ან მხოლოდ შინაარსში ან მხოლოდ ფორმაში. შინაარსის აღიარება ხელოვნების განვითარების წყაროდ ისევე იდეალისტურია, როგორც ფორმის აღიარება. ორივე შეხედულება იდეალიზმის სხვადასხვა სახეს გამოხატავს. თუ ხელოვნების კანონის ძიება ფორმაში ფორმალისმის თეორიული საფუძველია, სამაგიეროდ, შინაარსში ხელოვნების შინაგან კანონის ძიება არის ვულგარიზაცია მატერიალისტური დიალექტიკის იმ ძირითადი პრინციპისა, რომ შინაარსს პრიმატზე აცუთუნის ფორმისთან შედარებით. ხელოვნების კანონი არც მხოლოდ ფორმაში გამოვლინდება და არც მხოლოდ შინაარსში, რადგან ორივე შემთხვევაში უარყოფილია დიალექტიკა, უარყოფილია ის კემპარტიტება, რომ წინააღმდეგობა თვით მოვლენის დედაარსშია.

ხელოვნების ერთ-ერთი კანონი, მისი განვითარების ერთ-ერთი საფუძველი და წყარო ფორმისა და შინაარსის დიალექტიკაშია. რასაკვირვებელია, ფორმისა და შინაარსის დიალექტიკა უნივერსალურია, მაგრამ აქამდე აქ ლაპარაკია არა მხოლოდ ფორმისა და შინაარსის დიალექტიკაზე,

რასაც ფილოსოფია შეისწავლის, არამედ ფორმისა და შინაარსის დიალექტიკაზე ხელოვნებაში. ფორმისა და შინაარსის დიალექტიკა, როგორც ხელოვნების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კანონი, დიალექტიკური სინამდვილის ასახვაა, მისი, დიალექტიკური სინამდვილის, დაახლოებით სწორი სურათია. ჩვენ აქ არ ვეძებთ ხელოვნებაში ფორმისა და შინაარსის დიალექტიკის ვეგლა საკითხს, აქ ლაპარაკია მხოლოდ ზოგად პრინციპზე. ფორმისა და შინაარსის დიალექტიკის დეტალური განხილვა მოათხოვს თვით მხატვრული ნაწარმოების კონკრეტულად გარჩევას, რადგან ხელოვნების თვით-თვლ ნაწარმოებში თავისებურად ვლინდება ფორმისა და შინაარსის დიალექტიკა. მაგრამ ფორმისა და შინაარსის დიალექტიკის ამ მხარეს ჩვენ აქ არ ვეძებთ, ეს საქმეა ლიტერატურული კრიტიკისა, რომელიც თვით-თვლ კონკრეტულ შემთხვევაში იმევენს ფორმისა და შინაარსის დიალექტიკას, ამა თუ იმ მხატვრული ნაწარმოების მშვენიერების თავისებურების. ნაწილობრივ ეს საკითხი გვაშუქეთ „ბურჟუის“ განხილვის დროს. აქ ლაპარაკია მხოლოდ ხელოვნების ერთ-ერთ კანონზე, რომელიც ზოგადია და რომელიც თავისებურად ვლინდება ხელოვნების ამა თუ იმ კონკრეტულ ნაწარმოებში.

მ. დუდუჩავას შევდომა იმაშია, რომ მან ხელოვნების შინაგანი კანონის ცვლვის დროს მერაფიზიკურად მოსწვივება ერთმანეთს შინაარსი და ფორმა. ფორმისა და შინაარსის ამ მეტაფიზიკურმა დაპირისპირებამ თავი იჩინა ავტოკრატული ხელოვნების სოციალური ბუნების ანალიზის დროსაც. ავტორმა ხელოვნების ზოგადი კანონი (ფორმა) არა ზედნაშენურ მოვლენად გამოაცხადა, ხელოვნების შინაარსი ზედნაშენურ მოვლენად.

მ. დუდუჩავამ კარგად იცის მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსების დებულებები ხელოვნების პარტიულობისა და ზედნაშენურობის შესახებ. ავტორის სრულყოფილად არ აფიქსდება, რომ ვ. ი. ლენინის მერ მარქსისტულ ესთეტიკაში შეტანილი უმნიშვნელოვანესი განძია სწორედ ლიტერატურის პარტიულობის პრინციპი. მაგრამ სადისკუსიო სტატიის შინაარსი ისეთ შთაბეჭდილებას ტრფებს, რომ ხელოვნების ზედნაშენურობისა და პარტიულობის მარქსისტულ-ლენინური პრინციპი ავტორის ბოლომდე არა აქვს მოფიქრებელი. ეს იქიდან ჩანს, რომ ავტორი ხელოვნების სოციალურ ბუნებას განიხილავს არა მარტო როგორც ზედნაშენურ, არამედ როგორც არაზედნაშენურ მოვლენასაც. ავტორისთვის ხელოვნების სოციალური ბუნება ზედნაშენურიც არის და არაზედნაშენურიც.

ვარჩევთ არა ხელოვნების სოციალური ბუნების საკითხს, უნდა ვიციოდეთ, რომ ხელოვნებას, როგორც სოციალურ მოვლენას, მრავალი მხარე ან თვისება აქვს. სრულიად ბუნებრივია, ეს

ისედაც უნდა იყოს. აქედან ხელოვნების ზოგიერთი მხარე (თვისება) ზედნაშენურია, ზოგიერთი არ არის ზედნაშენური. ესეც ბუნებრივია. თვით კლასობრივ საზოგადოებაშიაც კი, სადაც ერთმანეთისაღმდეგ დიამეტრალურად მოწინააღმდეგე კლასები არსებობენ, ადამიანებს აქვთ რაღაც საერთო ნაშენები. ამის გარეშე კლასობრივი საზოგადოება დაიშლებოდა. ამიტომ ვასაგებია, რომ ხელოვნებაში ყოველთვის არის განსაზღვრებული ადამიანის არამართო ისეთი სულიერი თვისებები, რომლებიც კლასობრივ საზოგადოებაში კლასობრივი წინაარსის მატარებელია, არაშეღიხილი თვისებებიც, რომლებიც თვით კლასობრივ საზოგადოებაშიაც არ არიან კლასობრივი. თუ ამ თვალსაზრისით განვიხილავთ ხელოვნების სოციალურ ბუნებას, მაშინ, რასაკვირველია, ხელოვნება კლასობრივ მოვლენასაც მიეკუთვნება და არაკლასობრივსაც. მაგრამ ეს სრულყოფილია არ იქნება ხელოვნების სოციალური ბუნების განსაზღვრა. ეს იქნება ხელოვნების ნიშნების (თუ მხარეების) ემპირიული ჩამოთვლა.

თუ ზედ ხელოვნებაში ვგულისხმობთ ხელოვნების სპეციფიკას ე. ი. სინამდვილის ტიპიურ სახეებს ასახვას, მაშინ ბუნებრივად იბადება კითხვა: ზედნაშენურია ამგვარად გაკეთებული ხელოვნება თუ არა?

ამ კითხვას სოფისტური პასუხით არ შეიძლება თავის დაძვრება: ხელოვნება კიდევ არის ზედნაშენური და კიდევ — არ არის. ეს როდია მეცნიერული, ლოგიკურად დასაბუთებული პასუხი. თუ ხელოვნების სპეციფიკაში ერთი ნაწილი ზედნაშენურია, ხილია მეორე ნაწილი არაზედნაშენური მაშინ ხელოვნება არც ზედნაშენურ მოვლენებს მიეკუთვნება და არც არაზედნაშენურ მოვლენებს. მაგრამ, როგორც ცნობილია, ასეთი შუალედური საზოგადოებრივი მოვლენები არ არსებობენ. ესა თუ ეს საზოგადოებრივი მოვლენა კლასობრივ საზოგადოებაში ან კლასობრივია ან არ არის კლასობრივი. ხელოვნებაც ან ზედნაშენურია ან არაზედნაშენური.

მაგრამ უფრო დაწვრილებით რომ ვაჩვენოთ ხელოვნების სოციალური ბუნების ორ ნაწილად — ზედნაშენურ და არაზედნაშენურ ნაწილებად — დაყოფის უნადაგობა, საკიარი იქნება განვიხილოთ ის არგუმენტები, რომლებიც მ. დუდუჩავას მოკავს. ჩვენ აქ გვყარჩევთ მის ორ არგუმენტს. თავისი მოსაზრების დასამტკიცებლად ავტორი მიუთითებს. ჭეშმარიტა ხელოვნების ნაწარმოების ისეთ თვისებაზე, როგორცაა მისი უკვდავება, ყველა ეპოქასა და დროში მისი მნიშვნელობის ზრდა. ჭეშმარიტი მხატვრული ქმნილება, — წერს ჩვენი ავტორი, — არასოდეს არ კარგავს მხატვრულ ღირსებასა და ესთეტიკური შემოქმედების უნარს, ანდა, კ. ნ. სეროვის სიტყვებით რომ ვთქვათ, „ხელოვნე-

ბაში ჭეშმარიტად მშვენიერის მიმართ დრო უძლურია“. სხვაგან ავტორი ამავე აზრს შემდეგნაირად გადმოსცემს: „ხელოვნების ის ნაწარმოებებია, რომლებიც ჩვენს ეპოქის ან ვტუთონიან, უკვე განვლილი ეპოქების პოლიტიკურ, ფილოსოფიურ, რელიგიურ, უფლებრივ, მხატვრულ იდეებსა და ესთეტიკურ გემოვნებას განმარტავენ. ჩვენს გვიხობავენ, ჩვენშიც იჭევიან ესთეტიკურ სამომავლებას“.

* ყველაფერი ეს სწორია, მაგრამ ამ სწორი დებულებიდან ავტორის არასწორი დასკვნა გამოჰყავს: ზემოაღნიშნული დებულებიდან სრულყოფილია არ გამოდინარებოს დასკვნა, თითქოს ხელოვნების სოციალური ბუნება, ერთი მხრით, ზედნაშენური იყოს, მეორე მხრით, არაზედნაშენური. ჭეშმარიტი ხელოვნების უკვდავებამაზე კი არ მიუთითებს, რომ ის არ არის ზედნაშენური მოვლენა, არამედ იმაზე, რომ მან სწორად გამოხატა თავისი ეპოქის იდეება და მისწრაფებები, სწორად გამოხატა თავისი ეპოქის მოწინავე სოციალური ჯგუფებისა და კლასების მოთხოვნილებანი. ასეთი მხატვრული ნაწარმოები ეპოქებს უძლებს, ზედნაშენისა და მათისის სიკვდილთან ერთად არ კვდება, მას ყოველთვის ექნება უდიდესი აღმზარებლობითი და შემეცნებითი ღირებულება. შერალი, რომელიც მთელი რწმუნითა და ცოდნით ემსახურება თავისი დროის მოწინავე იდეებსა და საზოგადოებრივ მოძრაობას, ამით ემსახურება ყველა ეპოქის მოწინავე იდეებსა და საზოგადოებრივ მოძრაობას.

მაგრამ ის, რაც აქ ითქვა ხელოვნებაზე, შეიძლება ითქვას სხვა ზედნაშენურ მოვლენებზეც. განა ჩვენს ეპოქაში არის ხელოვნების ფილოსოფია ამ დავარტა შემეცნებითი ღირებულება, თუმცა არისტოტელეს ჩვენს ეპოქაში არ უცხოვრია! განა როდისმე მოკვდება მოწინავე პოლიტიკური იდეა, რომელმაც ხელი შეუწყო თავისი დროის მოწინავე საზოგადოებრივი მოძრაობის განვითარებას? ავტორის არგუმენტი რომ სწორი იყოს, მაშინ პოლიტიკის სოციალურ ბუნებაშიც უნდა ვეძებოთ, ერთი მხრით, ისეთი ნაწილი, რომელიც ზედნაშენურია და, მეორე მხრით, ისეთი ნაწილი, რომელიც არ არის ზედნაშენური, რადგან თავისი დროის მოწინავე პოლიტიკური იდეა, ჭეშმარიტი ხელოვნების მსგავსად არ ჰკარგავს შემეცნებითის ღირებულებას.

ამრიგად, ის ფაქტი, რომ ჭეშმარიტი ხელოვნების ნაწარმოები უკვდავია, მარადიულია, სრულყოფილია არ ამტკიცებს იმ დებულებას, თითქოს ხელოვნების სოციალურ ბუნებაში ერთი ნაწილი იყოს ზედნაშენური, ხილია მეორე ნაწილი არაზედნაშენური. ხელოვნების სოციალური ბუნება ზედნაშენურია. მარქსიზმის ამ ცნობილ დებულებას არავითარი შესწორება არ სჭირდება.

გარდა ამისა მ. დუდუჩავამ ლიტერატურის პარტიკულარის პრინციპის ეულგარიზაციის კრი-

ტიკა გაიგო როგორც ლიტერატურის პარტიულობის ლენინური ფორმულის შესწორება. მაგრამ ასეთი შესწორებებისათვის არათუ არავითარი საფუძველი არ არსებობს, არამედ იგი საზიაროა.

რას ნიშნავს ლიტერატურის პარტიულობის ლენინური პრინციპის ვულგარიზაცია? როგორც ცნობილია „პარტიულობა“ ძალიან ფართო ცნებაა, მას ზეენ ხშირად ვხვართ ვანსხვავებულ მოვლენების აღსანიშნავად, მაგალითად, ჩვენ ვუდაპირაობთ „ფილოსოფიის პარტიულობაზე“, „ლიტერატურის პარტიულობაზე“, „პოლიტიკური მიმდინარეობის პარტიულობაზე“, მაგრამ ყველა შემთხვევაში პარტიულობის ქვეშ სრულად განსხვავებული შინაარსი იგულისხმება, რადგან ფილოსოფია, ლიტერატურა და პოლიტიკური მიმდინარეობა ერთი და იგივე ცნებები როდია. მათი გაიგივება იქნებოდა პარტიულობის პრინციპის ვულგარიზაცია. რატომ? იმიტომ, რომ ლიტერატურა სრულდება არ არის პარტიული იმ აზრით, რა აზრითაც პარტიულია რომელიმე პოლიტიკური მიმდინარეობა.

ლიტერატურის პარტიულობის ლენინური პრინციპი წარმოადგენს და ვითარდება ბერძენული იდეოლოგიის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ლიტერატურის პარტიულობის ლენინური პრინციპი იქიდან გამომდის, რომ „არ შეიძლება საზოგადოებაში ცხოვრობდე და საზოგადოებიდან თავისუფალი იყო“. ვ. ი. ლენინის ეს დებულება ნიშნავს იმას, რომ მწერალი არ შეიძლება საზოგადოებას მოსწყდეს, თავისთავი დაუპირისპიროს საზოგადოებას, დადგეს საზოგადოებაზე მალა.

ვიცავთ რა ლიტერატურის პარტიულობის ლენინური პრინციპს, ჩვენ უნდა ვებრძოლოთ მისი ვულგარიზაციის ცდებს. ლიტერატურის პარტიულობის ლენინური პრინციპის დამახინჯება შეიძლება გამოვლინდეს სხვადასხვა ფორმებში. ამ პრინციპის ვულგარიზაციის ერთერთ ფორმად ჩვენ უკვე ვილაპარაკეთ, როცა ვებუზოდით ლიტერატურის პარტიულობის გაიგივებას პოლიტიკური მიმდინარეობის პარტიულობასთან. მაგრამ ლიტერატურის პარტიულობის ლენინური პრინციპის ვულგარიზაცია ვლინდება აგრეთვე აბსტრაქტულ-სქოლასტიკურ მსჯელობაში, როცა ვერ ასხვავებენ წინასთავისობის სოციალისტური ლიტერატურის პარტიულობისაგან, ეს დიდი შეცდომაა. არ შეიძლება აბსტრაქტულად მსჯელობა ლიტერატურის პარტიულობაზე.

ლიტერატურა საერთოდ პარტიულია, ეს იმას ნიშნავს, რომ პარტიულია არა მარტო სოცია-

ლისტური რეალიზმის ლიტერატურა, არამედ პარტიულია წინასთავისობის ლიტერატურა. მაგრამ ლიტერატურის პარტიულობა წინასთავისობის რეალიზმში იმ სახით არ ვლინდებოდა, როგორც ეს სოციალისტურ რეალიზმში.

წინასთავისობის ლიტერატურა რეალიზმში პარტიულობა ვლინდებოდა ძალიან რთულ, წინააღმდეგობრივ ფორმებში. ლიტერატურის პარტიულობის გამოვლენის ასეთი ფორმა აიხსნება თვით ექსპლოატატორული საზოგადოების წინააღმდეგობრივი, ანტიგონისტური ბუნებით. ამის კლასიკური მაგალითია ბალზაქისა და ტოლსტოის შემოქმედების ძეგლი წინასთავისობის ლიტერატურაში ნიშნავს ლიტერატურის პარტიულობის ლენინური პრინციპის დამახინჯებას, ნიშნავს იმას, რომ ესა თუ ის მწერალი უშუალოდ, პირდაპირ გამოაცხადებდა იმ თუ იმ კლასის იდეოლოგიად. პარტიამ დიდი ხანია გაანადგურა ვულგარული სოციალიზმში ხელოვნებაში და მისი აღდგენის ყოველგვარი ცდა ძირშივე უნდა იქნეს აღკვეთილი.

სულ სხვანაირად ვლინდება ლიტერატურის პარტიულობა სოციალისტურ რეალიზმში. სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურა და ხელოვნება — ნამდვილად თავისუფალი, ნამდვილად ხალხურია, რადგან ისინი სოციალიზმის ბედთან უშუალოდ დაკავშირებული ლიტერატურა და ხელოვნებაა. ასეთ ლიტერატურაში პარტიულობა ვლინდება უშუალოდ, ამჟამად. სოციალისტური ლიტერატურისა და ხელოვნების პარტიულობის ეს პრინციპი შემდგომ განვითარებულია ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებებში იდეოლოგიურ საკითხებზე. ამ დადგენილებებში ყველანაირად აიხსნება არის აღნიშნული ის გარემოება, რომ საბჭოთა ლიტერატურა და ხელოვნება არ შეიძლება იყოს, ამოლიტერატი, ის უნდა ხელმძღვანელობდეს იმით, რაც შეადგენს საბჭოთა წყობილების სასიცოცხლო საფუძველს — მისი პოლიტიკით. მწერალი, რომელიც მტრულადაა განწყობილი საბჭოთა იდეოლოგიისადმი, საბჭოთა პოლიტიკისადმი, ვერასოდეს ვერ ასახავს მართებულად სოციალისტურ სინამდვილეს. დიდი ამოცანები დაუსახა საბჭოთა ლიტერატურასა და ხელოვნებას ის ჩვენი პარტიის XX ყრილობამ. ყრილობის მიერ დასახულ ამოცანების შესრულება კიდევ უფრო მაღალ საფეხურზე აიყვანს საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარებას.

ლიტერატურის პარტიულობის ლენინური პრინციპი სოციალისტური ხელოვნებისა და ლიტერატურის გამარჯვების საფუძველია.



კოსტა ხეთაგურვი

(გარდაცვალების 50 წლისთავის გამო)

კოსტა ლევანის ძე ხეთაგურვი ოსი ხალხის ევლტურის ისტორიაში შესულია, როგორც დიდი მწერალი, მხატვარი და პედაგოგი, ოსური სალიტერატურო ენისა და ლიტერატურის ფუძემდებელი, ეთნოგრაფი და კავკასილოგი.

იგი დაიბადა 1859 წლის 15 ოქტომბერს. დედით მალე დაობლებული, ნათესავი ქალი უღოდა. „არ მიგრძენია დედის აღერის ტბილი, მამსოვის ყრმობა მეტად გუხარებით“, იგონებს პოეტი.

1870 წელს პოეტის მამის ოჯახი სოფელ ნარის ოსთა ჯგუფთან ერთად ყუბანის ოლქში გადასახლდა. აქ პატარა სოფელი გაშენდა, რომელსაც ახლა კოსტა ხეთაგურვი ჰქვია. 1871 წელს კოსტამ კალანჯიხის დაწყებითი სასწავლებელი დაამთავრა, 1873 წელს კი სტავროპოლის გიმნაზიაში. 1881—1884 წლებში სწავლობდა პეტერბურგის სამხატვრო აკადემიაში. აკადემიიდან იგი გარიცხეს „არაკეთილსამიუღობის“ გამო. ამ გარემოებამ პოეტს ვული ვერ გაუტეხა, სწავლობდა პეშკინს, ლერმონტოვს, კიოლოვს, ოსტროვსკის, ნეკრასოვის, გონჩაროვის... სწორედ ამ ხანებში შეიყვარა მან გლანკას და ჩაიკოვსკის მუსიკა; გატაცებული იყო რებინის, მაკოვსკის, სურიკოვის მხატვრობით, ზღვებოდა მხატვარ-პატალისტ ვერეშჩაგინს და ციონკლინსკის; ვტანებოდა შილერის, გოეთეს, შექსპირის ნაწარმოებებს და სხვ. პეტერბურგში ყოფნის პერიოდში მტკიცე საფუძველი ვერება ქ. ხეთაგურვიის მსოფლმხედველობას.

1885 წელს ქ. ხეთაგურვი კავკასიაში დაბრუნდა და მაშინვე ჩადგა ოსეთის საზოგადოებრივი ცხოვრების შუაგულში. დიდი რუსი რევოლუციონერ-დემოკრატების პროგრესული იდეებით შეიარაღებულმა პოეტმა ოსი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა დაუკეთებინა დიდი რუსი ხალხისა და რუსეთის იმპერიაში დასახლებული სხვა ხალხების ბრძოლას ცარიზმის, მემამულეების და ყველა ჯურის ექსპლოატატორთა წინააღმდეგ. არ შეიძლებოდა ამას თავისი შედეგი არ მოეყოლოდა ცარიზმის მხრივ.

1891 წელს იგი პირველად გაიხალხეს თერგის ოლქიდან. პოეტს ვული დასწყეიტა მშობელი მიწის მიტოვებამ.

1899 წელს ქ. ხეთაგურვის მეორედ ამევენ თერგის ოლქიდან ხერსონში, სადაც პოეტი აუწერელ ვაპირებებში ცხოვრობდა 1899 წლის ბოლომდე. მას მაინც არ მისცენ ვლადიკავკაზში

დაბრუნების უფლება. 1900 წელს კოსტა პატრივორსკშია. მას უკვე იცნობენ, როგორც ოსი წიგნის ავტორს. 1895 წელს სტავროპოლში გამოვიდა მისი ლექსების კრებული რუსულად. ხოლო 1899 წელს „ირონ ფანდირი“ („ოსური ხანა“), რომელიც ოსურ მხატვრულ ლიტერატურაში ითვლება „ყველა საწყისის საწყისად“ და რომელსაც მეტად საინტერესო ისტორია აქვს.

მუღმემა დენამ, მატერიალურმა სიფიროემ საბოლოოდ ვასტეხეს ხეთაგურვიის ჯანმრთელობა. ვარდაცვალა იგი 1906 წლის 1 აპრილს გერმანევი-ოსეტინსკოეში, თავისი დის სახლში. 10 დღის შემდეგ კოსტა დასაფლავდა ვლადიკავკაზის ოსურ ეკლესიაში (ახლა აქ ქ. ხეთაგურვიის სახელობის ოსური ლიტერატურის მუზეუმია მოთავსებული). დასაფლავების დღეს ოსურ, ქართულ, რუსულ, აზერბაიჯანულ და სხვა ენებზე წარმოითქვა გამოსათხოვარი სიტყვები, რომლებშიც მკვეთრად იგრძნობოდა ხალხთა გულისტკავილი.

„დაღუშდა საუცუნოდ სიპართლის, თანასწორობისა და თავისუფლების მოკაქელი. ძვირფასი კავკასიის ცის კამარას მოსწყდა ერთი შექურა ვარსკვლავი, რომელიც თავის ნათელ სიხუებს მიმოაფენდა სამშობლო ქვეყნის ყოველ ტერეს და სახლს... განისვენე მშვიდიად. ძვირფასო მეგობარო და ამხანაგო კოსტა! შენი ხსოვნა არასოდეს არ გაქრება შენი ხალხისა და შენი ნაენობი და მახლობელი ქართველების გულში, ქართველებისა, რომელნიც ყოველთვის ზედადენენ შენში ნათელი აზრებისა და იდეების თვდამებულ მოკაქელს“,—წერდა ვაზ. ბერეკში“ ცნობილი ქართველი პედაგოგი ლ. ბოცივაძე.

„თუმცა შე სრულყოფილად ვერ ვფლობ ჰქვენს ენას, — წერდა ოსური ენის ცნობილი მკვლევარი აკადემიკოსი ე. შილერი სამხმირის წერილში,—მე მაინც სავსებით შეუვაღეს „ირონ ფანდირის“ ლექსის გრძნობის სიბოზო, გამოთქმათა მხატვრულობა და სიმშვენიერე. კოსტას ზვერი ლექსი საერთო-სახალხო ნოთენილება უნდა გახდეს... ეიმედოენებ, რომ ნიქვიერი ხალხი, რომელიც ასე ენერგიულად მიისწრაფვის განათლებისაკენ, კაცობრიობის ევლტურულ მონაპოვართა დაუფლებისაკენ, საკუთარი წრიდან კვლავ წარმოშობს სხვა ხეთაგურვიებს, რომლებიც კოსტას მსგავსად, ზალხს სინაოლისა და ჰეშმარიტებისაკენ წაიყვანენ“.



ის, ვინც ღირსეულად და ამოწურავად შეაფასა კ. ხეთაგურძის, როგორც შემოქმედისა და საზოგადოებრივი მოღვაწის როლი და მნიშვნელობა, იყო ს. შ. კირიცი, კირიცი, რომელიც ვახუშტი „ტერეკში“ შემოაბოძა, 1915 წ. 18 აგვისტოს დაბეჭდა ა. ვულფელის ლექსი „კოსტას საფლავთან“, რ—„სსსკ მეტად საყურადღებო საინტელექტუალური შენიშვნაც თან ახლდა: „განმარტებული ხმა ოსი ინტელიგენციისა, რომელშიც იხილა კოსტა ხეთაგურძის საფლავი, ფშვალად მოგვითხრობს თავის შთაბეჭდილებებს და ზეღამოვას აყენებს საკითხს მისი სახელის უფლებიერების შესახებ, რადგან კოსტა ხეთაგურძე ერთადერთი ოსი პოეტი იყო, რომელიც გამოვიდა ნაციონალურ ლიტერატურაში“.

კ. ხეთაგურძის დამსახურებულად უწოდებენ „სახალხო დიდების კოშკს“, „ოსური ლიტერატურის ვარსკვლავს“, „ლატატა ფარს“ და სხვ. ვადაუპირებლად მიგვიანია ოსური თეატრის ფუძემდებლის ბრიტაევის (1881—1923) მიერ ხეთაგურძის შესახებ თავის დღიურში ჩაწერილი შემდეგი სიტყვები: „...ჩვენს ლიტერატურასა და ჩვენს ენას აქვს შევიძლია საძირკველი. კოსტა ჩვენთვის იგივეა, რაც პუშკინი იყო რუსული ლიტერატურისთვის“.

ხანმოკლე იყო კ. ხეთაგურძის შემოქმედებითი გზა. მისი პირველი ლექსი დაიბეჭდა 1892 წელს, უკანასკნელი კი — 1903 წელს. მიუხედავად ამისა, მან შეძლო მოეცა უცვლელი „ირონი ფანდირი“. ლექსები რუსულ ენაზე, ოთხმოქმედებრივი ღრამატული ფანდირი „ღრინა“, სატირული პოემა „ეინ ოცხოლხს მხიარულად“, „ხეთაგი“ და სხვა, რომლებშიც მთელი ეპოქა შექმნის ოსურ ლიტერატურაში. დიდი დამსახურება მოაქვს მას ოსეთში სახალხო განათლების სათანადო დონეზე დაყენებისათვის ბრძოლის საქმეშიც.

შერალო ჰაელენკო ზევრ საერთოს ნახულობდა ტარას შევჩენკოსა და კ. ხეთაგურძის შორის. დიდმა ოსმა პოეტმა უკრანელი კომპარატიონ თავისი თავი აღდე უფრო მხატვრად შეაგრძნო, ვიდრე პოეტი. მალალო შეფასება დამსახურება მისმა სურათებმა „ქეისმტხელი ბიჭები“, „მოთელი ჭალი მიღის წყალზე“, „აჩაყის გამოხდა“ და სხვ. კოსტა ხეთაგურძის დიდ მხატვრულ წარმოსახვაზე, სხვათა შორის, ისიც მტკიცედ აღნიშნავს, რომ მან დახატა თავისი დიდის მშვენიერი პორტრეტი, თუმცა მას დედა არ ახსოვდა. ახლო ნაცნობ აღმართა სიტყვების მიხედვით ენათმეცნიერი, — ამბობდა ამ პორტრეტის შესახებ კოსტა, — და წარმოიღვიანეთ ამბობენ, რომ ძალიან ჰგავს“.

ოსმა პოეტმა საინტერესოდ ასახა თავის „კომპილენტებში“ ქვეყნის მდგომარეობა და განეთარებინა გზები, ხალხის ფიქრები და განცდები, მისი არადაამიწური ჩაგვრა და ექსპლოატაცია. იგი თავის ხალხს ასწავლიდა დამოუკიდებლო-

ბასათვის, თავისუფლებისათვის ბრძოლას, აღვიძებდა ხალხში ციხულ ძაღლებს

კ. ხეთაგურძის სამოღვაწეო საქმიანობის შემოსვლისას თითქმის არ ჰყოლია წინამორბედები, რომლებიც ოსურ ენაზე წერდნენ. ამიტომ მას დიდი შრომა მიუხდა, რათა საფუძველი ჩაეყარა ოსური ლიტერატურისათვის. შეეცაღმა ეპირველეს ყოვლისა მიმართა რუსულ კლასიკურ ლიტერატურას — პუშკინს, ლერმონტოვს, კოლცოვს, ნეკრასოვს, კრილოვს, მათში დინახა პოეტური ოსტატობის მავალითი.

შეგრამ კ. ხეთაგურძის შემოქმედების პირველი სკოლა იყო კავკასიის ხალხების, ყერძოდ, ოსების მდიდარი ფოლკლორი.

ოსეთში ძალიან პოპულარულია კ. ხეთაგურძის ლექსი „ესახი“, რომლის სიუჟეტადაც გამოყენებულია მონადირეთა სიმღერა ნადირობის (ცხოველთა) დმერთის შესახებ („ფსატ ზარაგ“) პოეტმა თავის ლექსს ღრმა სოციალური შინაარსი და იდეურ-მხატვრული სიმღერე მისცა.

კ. ხეთაგურძის მიერ ფოლკლორული მისაღების გამოყენების თვალსაზრისით საყურადღებოა შემდეგი გარემოება. მასალა, რომელიც საფუძველად უდევს კ. ხეთაგურძის პოემა „მტრალ კელეს“ საერთოა დ. კონკაძის „სურამის ციხესთან“, ასევე მსგავსია მოთხრობა „ჯიხვეზე ნადირობაში“ და ალ. ყაზბეგის „შაბის მკვლელი“ აღწერილი სცენა „იხიებზე ნადირობისა“.

კ. ხეთაგურძის, როგორც ფიქრობენ, პოემის სიუჟეტად შეიძლება გამოყენებინა ერთი ლექსი, რომელიც ეწვეთ ეროვის ხელმოწერით გამოქვეყნდა ვახ. „სვეერნი კავკასის“ 1891 წლის 391-ე ნომერში. შეიძლება ვიფიქროთ, რომ კ. ხეთაგურძის ეროვის ჩინაწერებზე აღდე სცოდნოდა „სურამის ციხის“ ამბავი, რომელშიაც სასტიკი პროტესტია გამოხატული ბატონყმობის წინააღმდეგ.

კ. ხეთაგურძის მთელი შემოქმედება და, განსაკუთრებით, „ირონი ფანდირი“, რომელსაც პოეტი „ობოლს“ უწოდებდა, მკათხელის წინაშე შლის ხალხთა ცხოვრების მთელი მისი სიხარულითა და მწუხარებით. აქ მოთავსებული ლექსები თემატურად მრავალფეროვანია. პოეტი კრებულში ეხება სოციალური უთანასწორობის საკითხს და ვაბედულად იმალბებს ზმას მის წინააღმდეგ („კვინ ხარ შენ“), ინტერუტ სიყვარულს („ამღერე“), პატრიოტულ მოტავს („სულიერი მღელვარება“), „ტარილი სამშობლოს მიუბზე“ ანუ „ლოღოა“).

ხალხი აუტანელ მატერიალურ სიღწროვეს განიცდიდა, განსაკუთრებით — მარტოხელა დედები, რომლებიც მთელი სიმწვაით გრამობდნენ საარსებო საშუალებათა სიმცირეს, მშველელი კი არსიოდან ჩანდა. შეუძლებელია კაცმა აუღელვებლად წაიკითხოს პოეტის „ობლების ჯედა“ („სიხარგის“), რომელშიც მალალო პოეტუ-

რი ოსტატობითა და აღმამანს ფსიქოლოგის ღრმა ცოდნით აღწერილია იმ ხუთი ობოლი ბავშვის განცდა, რომელთაც დაქვივებული დედა ცერცვით დაპურებას უპირებდა ზამბორის სუსხან საღამოს. შემეღ-ტბრეულ გამზდარ და გაუყოლებულ ბავშვებს „შშას“ ძახილში მიეძინებთ. მაგრამ დაბთ უბედურებას: თავგზა-ახნეული დედა „თორმე ცერცვის ნაცვლად ქვეს ხარშავდა ქვაში“. აი რეეოლუციამდელი სტორიების შეულამახებელი, მაგრამ შემზარავი სურათი. ასეთი რამ კ. ხეთაგუროვს შარტოა წარსულს, თავის ბავშვობას კი არ აგონებდა, იგი მას ავაღწინ ედგა სიკვდილის უკანასკნელ წუთამდე. დიდმა პოეტმა „პატარა“ ოსეთის პატარა ბავშვებს მიუძღვნა ლექსები — „მოწაფე“, „ვის რა“, „ნებიერი“, „ფისილი“, რომელთა ავტორგარდს დააწერა: „ჩემი საჩუქარი ოსეთის ბავშვებსა“. შემთხვევითი როდია, რომ ეს ლექსი ქართულმა პოეტმა ლ. ყიფიანმა რუსულად თარგმნა და კ. ხეთაგუროვს გაუგზავნა წარწერით. ეს იყო ხეთაგუროვის ისტორიად დაწერილი ლექსების პირველი რუსული თარგმანი.

კ. ხეთაგუროვს, რომელიც აღზრდილი იყო დიდ რუს რევოლუციონერ-დემოკრატთა პროგრესულ ტრადიციებზე, სწორად ესმოდა „პოეტისა და მოქალაქის“ დანიშნულება, მწერლობის მიზანი და ამოცანები. იგი უარყოფდა უდიდო, უტანდენითი ლიტერატურას, „სადაც შეტრიალი ამათა, ზორსმეუხსნელი, იმ ქარაფ-ფიტა ქალიშვილის ოცნების გვარად, ვისთვის უცხოთა კეთილი და ბრძოლის ყელი“. მწერალი მოვალეა თქვას ისეთი სიბლერა, „რომ ბგერა მისი გულადან გულში ვიდარბოდეს აწერალებით“, რომ „ხალხს სინდისი გაუღვიძოს და აუხილოს ყველას თავაღობი“.

არსებულ სინამდვილისადმი მუდმივი პროტესტი მებრძოლი პოეტისათვის სასარგებლო რიდი იყო, მაგრამ მან იცოდა, რომ „ამ ქვეყანაზე არ იწებდა ის ბედნიერი, ვინაც არ უწყის ვანსაცდელი და კეთილი... სწორედ ამიტომ, ჩემი ლექსიც ბევრისთვის ეღერად, როგორც ზარის ხმა, მწუხარ დღეთა მოსაგონარი“ („არ ვარ პოეტი“).

მე ბედნიერი არ ვყოფილვარ, მაგრამ ჩემს პირად თავისუფლებას, რასაც მე ვთვლობ ბედნიერებად, ერთ ნაბიჯისთვის გაიმეტებ მე ვასაწიარად, მიუახლოვდეს ოღონდ ხალხი თავისუფლებას“ („მე სიკვდილისა არ მეშინია“, თარგმანი დ. გაიხილძისა).

„მე ჩემი სიტყვით არასოდეს არ მივაქრბა, წერდა პოეტი ერთ პირად წერბოლში. — არც ერთ ჩემს სტრაქონში ფული არავისაგან არ მიმიღია. და მე იმიტომ კი არ ვწერ, რომ ვწერო და ბეჭედო. არა! ასეთის წერბის არც დადნის გეორგინი მინდა და არც გამორჩენა... მე ვწერ მას, რაც არ შემიძლია შევავყო ჩემს დაბტკავ-

ნეულბულ გულში... როცა მე ვწერბი, ბგერ ლექსზე ისე ეტბრობი, როგორც ნეტნულად ინსტრბტბკა“. ამას რომ კითხვბულბტბქ ქმნბბლბტბტ გაგონდბბთ კლასიკოსთა განცხადებნბი იმის შესახებ, თუ რა ძლიერად განიცდიდნენ ისინი მათ მებრ აღწერილი სინამდვილე, სახებბა და მიუღწებბს. ვოეთე ბავშვიეი: „დასტბრობდა იფიგენიას, დიკენსი უნუგეშოდ ღებრბდა ცრემლებს პაქაწინა დორბტის ტრბვიკული სიკვდილის გამო; გარშინი ქვითბნებდა მოთბბრობა-ნადებდა ნიკოლენაზე“ მუშაობის დროს; როცა „წინადღეში“ მამისა და შვილის დაშორების სცენას აღწერბდა, ტბრგბნებს გული ისე ათუნუყბდა, რომ ატბრბდა.

კ. ხეთაგუროვი, როგორც მწერბლი და საზოგადო მოღვაწე, ოს ხალხში აღვივებდა ერთაშორის სოლიდარობისა და ამბობის მოწინავე იდეებსა და აზრებს. პოეტი ამბობდა:

ქვეყანა ტბბრბად, სოყვარული კი სალოცავად მბქებს და მსოფლიო—სამშობლოა, სამშობლო ჩემი.

მან საუკეთესო ლექსები უძღვნა ღერბინტბოვს, ოსტროვსკის, გრბობელოვს, პლუშჩევს, ნევეროვს, მიხეილ ყიფიანს და სხვ.

აღსანიშნავია, რომ ხეთაგუროვი თვალუბრს აღებწებდა დრეიფუსის საქმეს. მან კიდევაც აღიმაღლა ხმა ვახ. „ოდესკი ლისტოკის“ მიმბრთ, რომელიც პროცესის შეღამახებულ სურბათს იძლეოდა პოეტმა რედაქციის სამხილბებელი წებრილი გამოქვეყნა ვახ. „იუგში“, სადაც იგი იშხანად კორექტორის მოვალეობას ასრულებდა. კ. ხეთაგუროვი ინგლის—ბერბების ომში (1899—1902) „მცბარე ბებრბებს“ პოზიციის იკებებდა, ბებრბებისა, რომელიც წინააღმდეგ სისხლში მოსებრილი ხმალი ინგლისისა აღიმბრბთა. ბებრბების თავგაწირვას პოეტი ლექსით გამოებზბადა.

კავკასიის ხალხთა მეგობრობა დიდი ოსი მოღვაწის ერთ-ერთი განუწყრელი თემაა. „მე ხალხი მიყვარსო“, აღიარებდა პოეტი და სჯებრბდა, რომ „ხალხმა თუ ისურვბა, კლდეს შეზანზბარბებს“, ამიტომ იგი ოსი ხალხის ბრძოლას უვებშირბებდა რუსი და ქბრთველი ხალხების ერთგუნულ-განმბთავისრულბულ მოძრაობას. პოეტი თავისუფლების მოპოვების საუკეთესო საშოილბებს ხებდავდა გაებრთიანებულ ბრბბლბში.

კ. ხეთაგუროვმა განსაკებრებულ ყურბდღებბ მიბქებია კავკასიის ხალხების ურბთებრბობისა და მეგობრობის.

კ. ხეთაგუროვი კბრგ დამოკიდებულბებამი იყო ქბრთველ მოწინავე აღმბანებბთან და სბთბნადიდ აფსლებდა მათ სქმიანობას. იგი პბრცეულ ოსი მოღვაწეა, რომელმაც სამბრბთლიანდ მოიწონა ქბრთველი პედაგოგის ფუტბბდებლის ი. გოგებბაშვილის „როდნოე სლოეი“ ოსებრი სკოლებბის სახელმძღვანელოდ. კოსტბ მეგობრობბს მტკიცე მბდით იყო დაკებშბრებბული ცნობბლ ქბრთველ პროგრესულ მოღვაწე მი-

ხეილ ზაალის-ძე ყოფიანთან (1833—1891), რომელიც 1871 წლიდან სიყვდილამდე მუშაობდა თერგის ოლქის სამიჯნო ნაწილის მმართველად. და რომელიც კარგად შეისწავლა ისების ყოფი-სტორიები, დაუღალავად იღწევდა ამ ეთხეშს სწავლა-განათლების საქმის მოგვარებისათვის. კ. ხეთაბურთვიმ მ. ყოფიანის გარდაცვალების შემორე დღეს, 1891 წლის 3 მარტს, რუსულ და ოსურ ენებზე დაწერა ორი ლექსი. ოსურ ენაზე დაწერილ ლექსში — „მარლი უალყს“, („საფლავთან“) პოეტი ემშვიდობება უსაყვარ-ლეს ადამიანს.

ამ ლექსში პოეტი გამოხატავდა მწუხარებას ოსი ხალხის ძმისა და მეგობრის გარდაცვალებს გამორ.

მ. ყოფიანის დასაფლავების შესახებ საინტერესო ცნობა დაბეჭდილი გავდა „ივერიაში“ (1891 წელი 10 მარტი).

პოეტის შიერ წარმოთქმულ ლექსს „ივერიის“ ცნობით, დასწრე ხალხზე უდიდესი შთაბეჭდილება მოუხდინა.

დ. არაყიშვილმა, რომელიც კარგად იცნობდა კ. ხეთაბურთვის, თავისი აღრიწდელი რომანსებში დაწერა ოსი პოეტის ლექსებზე. ესენია: „შთიე-ლი ქალის სიყვდილზე“¹, „მწყემსის სიმღერა“ და „მზე აღარ ბრწყინავს“ (პოემა „ფატიმას“ ტექსტზე).

თი რას წერს დ. არაყიშვილი ლექსის — „შთიე-ლი ქალის სიყვდილზე“ — გარშემო: „ეს გულწრფელი და ღრმა ლექსი კოსტამ დაწერა, ჩემი ძმის სიტყვით, მშობლიურ აულში, გქმპრომტად, მთელი ქალის დასაფლავებაზე“. ცნობილია, რომანსები „მწყემსის სიმღერა“ და „მზე აღარ ბრწყინავს“ პირველად ვაჩო სარაჯიშვილმა შეასრულა და ეს სიმღერები ჩაწერია ოქნა გრამფონის ფარფიტებზე. დ. არაყიშვილის გამოქვეყნებული შრომიდან ვგებულობთ, რომ კომპოზიტორი 1902 წელს ვლადიკავკაზში სტუმრად ყოფილა კ. ხეთაბურთვიან, რომელიც ძალიან აღფრთოვანებულია, როცა გაუგია სტუმრის მზნანი — ჩაეწერა ოსური ხალხური სიმღერები. დ. არაყიშვილს ჩაეწერია 7 ოსური სიმღერა და მოსკოვს წაუღია. მოსკოვის საზოგადოება ოსური ხალხის მუსიკალურ შემოქმედების პირველად დ. არაყიშვილის შემწეობით გავცნო.

¹ შეცდომით წერს ა. შაპოშტოვი („მნათობი“, 1954, № 10), თითქოს ეს იყოს ქართველი კომპოზიტორის პირველი რომანსი. დ. არაყიშვილის პირველი რომანსი დაიწერა 1893 წელს ე. ჰუჯავაძის ლექსზე — „ჩემო მკვლელო, ვიცო, ვიცო“, 1902 წელს კი — ილიას მეორე ლექსზე — „ტყემ მოისხა ფოთლო“ (ა. ბეგიჯანოვი, დიპტრი არაყიშვილი, თბილისი, 1955, გვ. 53).

კ. ხეთაბურთვის ლიტერატურული შემოქმედება გრამონების, განცდების და სწარების ის წყაროა, რომელსაც დაეწაფნენ მოსტევენი, რომლისა და თანამედროვე ოსეთის მოწინავე ადამიანები. დიდი მოღვაწის შემოქმედება და შინაარსიანი ცხოვრება შეიცივს იმ ძალას, რამაც სამარადისო სახელი მოუხვეჭა გულანთებულ პატრიოტს. კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ სათანადო შეფასება მისცეს ოსი ხალხის საამაყო შვილის, მისი წინსვლისა და განვითარებისათვის. დაუღალავი მეტრძოლის დამსახურებას. სსრ კავშირის საბკომსაბჭომ და საკავშირო კმ(მ) ცენტრალურმა კომიტეტმა 1939 წლის 21 ივლისის დადგენილებაში „სახალხო პოეტის და საზოგადოებრივი მოღვაწის კონსტანტინე ლევანის-ძე ხეთაბურთვის დაბადებიდან 80 წლის იუბილეს ჩატარების შესახებ“ აღნიშნეს: „ოსეთის სახალხო პოეტის, საზოგადოებრივი მოღვაწის, ოსური ლიტერატურისა და ოსური სალიტერატურო ენის ფუძემდებლის“ — კ. ხეთაბურთვის „შემოქმედების განსაკუთრებული კულტურულ-პოლიტიკური მნიშვნელობა“.

რევოლუციამდელ შემოქმედს სწამდა ხალხის გაპარვება, სწამდა, რომ ხალხთა რევოლუციური ბრძოლა სასურველ შედეგს მოიტანდა. ლექსში „ნუ მაყვედრი“ პოეტი წერდა:

უკვე წუთები დათვლილია... განგამიც იმისი.
ხიშტის წვეტებზე გარიჟრაჟის შექი
ციალეხს.

ოსი პოეტი ვერ მოესწრო თავისი ხალხის განთავისუფლების დღეს, მაგრამ მისი ოცნება ასრულდა; ისტორიამ დაამტკიცა, რა სასტიკად და გაუტრადაც უნდა იბრძოდეს ძველი ახალს, შიანს, იღრე თუ გვიან, უკანასკნელი გაიმარჯვებს პირველზე; ასეთია ბუნების კანონი: ჰუმშიარტება გზას იკაფავს ცეცხლშიც, კოკონზეც. გუარამულებშიც, ეღრე ის არ მიაღწევს იმ სიმაღლეს, რომელიც სამართლიანად ეკუთვნის მას. რა არ განიცადეს ყველა იმით, ვინც არღვედა ძველ წესრიგს და ქმნიდა ახალ და უკეთეს წყობილებას? მათ სიყვდილით სჯიდნენ, წვადნენ, სახრთობლებზე ჰკიდებდნენ, აწამებდნენ, მაგრამ ჰუმშიარტებამ, რომელსაც ისინი ქდავებდნენ, მაღლია შორეულ შიამომავლობამდ“. კოსტა ხეთაბურთვის ეს სიტყვები გამართლდა. მის შემოქმედებობას დღესაც არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა. მოძმე ოს ხალხთან ერთად საბჭოთა კავშირის ხალხები ღრმა პატივისცემით იმსჯელებიან დიდი შემოქმედისადმი, რომელიც ოცნებობდა მშრომელთა კეთილდღეობაზე, სხვა მოძმე ხალხებთან ერთად ზედნიერ ცხოვრებაზე, რომლის მოპოვებასაც მან თავისი ხანმოკლე სიცოცხლე, ტალანტი და ენერგია შესწირა.



„ვეფხისტყაოსნის“ ერთი რუსული თარგმანი

1937 წელს ჩატარებული რუსთაველის იუბილის ერთ-ერთი მთავარი მიზანი იყო „ვეფხისტყაოსნის“ ლირსულად ჩვენება ჩვენი მოძმე ხალხებისათვის და, აგრეთვე, მისი გატანა საზღვარგარეთ. ამიტომ დიდი უფრადლება მიეცა პოემის თარგმნის საკითხს, განსაკუთრებით კი რუსულ ენაზე გადათარგმნას. ამჟამად ჩვენ გვაქვს ოთხი სრული რუსული თარგმანი. ამ თარგმანთა შორის ჩვენ აქ განვიხილავთ მხოლოდ ერთს — შ. ნეუბოძის თარგმანს.

შ. ნეუბოძის თარგმანი პირველად 1941 წელს გამოიცა. გამოცემის წინასიტყვაობაში სწერია, რომ ეს თარგმანი „განუსაზღვრელად უფრო მდლა დგას წინათ შესრულებულ თარგმანებზე“, რომ მას, გარდა სხვა ღირსებებისა, ახასიათებს „მაქსიმალური სიახლოვე დედნის ტექსტთან“ და „ავტორის მსოფლმხედველობის იდეოლოგიური მომენტების, შეხედულებათა სისტემის აბსოლუტური სიზუსტით გამოვლინება“.

ვიდრე თარგმანის მთლიან გარჩევას შევედგებოდეთ, განვიხილოთ მისი პირველი და თითქმის უკანასკნელი სტრიქონი, რომ მკითხველი ახლავე დარწმუნდეს, თუ რამდენად უმართებულა ზემოთ ამოწერილი ფრაზები.

„ვეფხისტყაოსნის“ პირველი სტრიქონი —

„რომელმან შექმნა სამყარო ძალითა მით ძლიერითა“

ასეა თარგმნილი:

„Тот, кто создал мирозданье
самовластьем всемогущим“.

აქ დამებუთლია აზრობრივი შეცდომა: ლექსების ერთ-ერთი ცნობილი ეპითეტი — „ყოვლად ძლიერი“ („ძალითა მით ძლიერითა“) გაგებულა როგორც „самовластие“. ამ სიტყვით ახასიათებენ ღმერთს მილტონის სატანა და ბაირონის ლიციფერია — ბოროტი სულელები, რომლებთან რუსთაველს არავითარი ნათესაური კავშირი არა აქვს. ცნობილია, რომ სიტყვა „самовластие“ რუსულ მწერლობაში მეტად უარყოფითი მნიშვნელობით იხმარება. დიდი რუსი პოეტი პუშკინი წერს:

„И на обломках самовластья
Напишут наши имена“.

დიდი ქართველი პოეტი რუსთაველი კი, თუ ამ თარგმანს დავუჯერებთ, „самовластие“-ს მიიჩნევს უდიდეს შემოქმედებით ძალიად.

ახლა ავიღოთ შემდეგი სტრიქონი დავით სოსლანის შესახებ ეპილოგიდან:

„ვინ არის აღმოსავლეთით დასავლეთის ზარი-თა მარეხილი“.

თარგმანში: „Он с востока шел на запад с колокольным славным звоном“.

აქ მთარგმნელს ვერ ვაუფიან სიტყვა „ზარის“ მნიშვნელობა. იგი ნიშნავს შიშს, თავზარს. (ს. ორდანიშვილის სიტყვა-სიტყვითი თარგმანი: „Кто наводит страх от востока до запада“). 1949 წლის გამოცემაში ეს შეცდომა ასე გაუსწორებია მთარგმნელს. „напевая страх со стоном“. ეს გასწორება არ არის სწორი: საკითხავია, დავითი კვენსოდა შიშის მიზერვის დროს, თუ კენესა აქ შიშის დამატებას წარმოადგენს? უფარვია აგრეთვე უკანასკნელი, 1950 წლის, გამოცემის გასწორებაც: „и грозил врагу уроном“ — არ შეიძლება სარდლის მტქარა ასეთი ფორმით გამოიხატოს, მას კომიზის ელფერი დაქარავს.

ამგვარად, ჩვენ განვიხილეთ თარგმანის პირველი და თითქმის უკანასკნელი სტრიქონი. ამ ორ სტრიქონის შუა არის მოქცეული მთელი თარგმანი.

მოვევთ ახლა თარგმანის განხილვას თანამიმდევრობით. ციტატები მომყავს 1950 წელს გამოცემული, გასწორებული ტექსტიდან, თუმცა სრული უფლებით შეიძლება დავეყარებოდეთ მხოლოდ პირველ, გამოცემას, რადგან, როგორც ზემოთ დავინახეთ, სწორედ იქ არის აღნიშნული, რომ ეს თარგმანი სწორტოპოგრაფია. საჭიროა შევნიშნათ, რომ თარგმანის პირველი ორი-სამი თავი ბევრად უკეთესად გამოიყურება, ვიდრე მთელი დანარჩენი ნაწილი. ეტყობა, რომ რედაქტორებმა ის გულდასმით აქწორეს დასაწერსში, თუმცა გასაწყობებელი ასევე ბევრი დარჩენიათ. აი ამ თარგმანის ნიმუშები:

21 სტრიქონი: „А в душе своей лелеет мудрости, щедрости и покои“ მცდარი მეტყველება: საუთარ სულში აღმიანი შეიძლება ზრდადეს, ელოლიაგებოდეს რაიმე გრძნობას (მაკალითად, სიყვარულის, სიძულვილის, შერისიძიების გრძნობას ვინმესადმი), მაგრამ არ შეიძლება ველოლიაგებოდეთ ჩვენს სულში ჩვენსად სიბოძრეს, მით უმეტეს, გულუხეობას, ან მშვიდობას.

85. მტორალი უცხო უმის (ტარიელის) ცნობილი აღწერა ასეა მოცემული ამ თარგმანში

„Шерстью пестрою наружу он в тигровом был кафтане,
Из такой же шкуры тигра голова его в тюрбани“.

რუსული ენის ღრმა ცოდნა არ არის საჭირო ინსათვის, რომ აქ თავადაც გვეცეს სიტყვების არასწორი დალაგება. გამოდის, რომ ჭრელზე ბეწვი აქვს თავად ტარიელს და არა მის კაბას და რომ იმგვარივე ბეწვისგანაა ტარიელის თავი და არა მისი ჭული (ზუსტად: „იმგვარივე ვეფხის ტყავისგანაა თავი მისი ჭული“).

120. „Автаңдиль в опочивальне облачен, не зная сна“. აქ ორი შეცდომაა: ჯერ ერთი, რუსულად არ შეიძლება თქვას „Облачен“ დამოუკიდებლად, მას აუცილებლად უნდა დამატება კითხვაზე: „во что?“ მეორე ის, რომ დედანში ავთანდილს, პატივით, ჩაუტყეპია („ცეცა ოდენ მართ პერანგი“), რაც თვით თარგმანის მომდევნო სტროფიდან ჩანს: „В платье дивное оделся самой яркой пестроты“. მაგრამ ეს უკანასკნელი სტრიქონიც, თავის შხარით, შეუღობს შეიცავს: ავთანდილს არღებენ ხომ არ იყო, რომ ყველაზე მეტად აჭრებულთ ტანსაცმელს ჩაეცემა? „მჯობი ყოვლისა პრედისა“ ნიშნავს არა ყველაზე უფრო აჭრებულს, არამედ საუკეთესოს, უღამაზესს ფერადოვანა შორის (პეტრენკო: „Встал и лучшее из лучших платье быстро он одел“).

155. „Ведь в любви патрон и отрок превайти не могут нас“. აქ მთარგმნელს ჩვეულებრივ სიტყვა „ყმა“ („ერთ უმოყვარესნი მე და შენ ყოველთა პატრონ-ყმათისა“) გაუგია, როგორც მოზარდი, რის გამო თარგმანი, ვარდა იმიტომ, რომ შეიძლება ის ცუდად იქნეს გააზრებული, შეუსაბამობას წარმოადგენს, რადგან არ შეიძლება „острок“-ი ეწოდოს შერმადინს, რომელსაც ავთანდილს თავის მიგებარე ვარებისა და, საერთოდ, ქვეყნის უფროსად სტოვებს (პეტრენკო: „Из господ и слуг с тобою мы дружнее всех друзей“).

267. „...и душу мучат вздохом веренища“ (სულაქვამს კირ-მონამატები“). სად გავიწილა, რომ კაცს პირიდან ამოსდიოდეს „იქნესათა შუკრივები“?

280. „Дева мчится к Автаңдиль“ („ქალი იდგა და წვიდა“...) ავთანდილს ამსათს იქვე გამოქვამულში ჰყავს დამლული და რა შუაშია აქ სიტყვა „мчится“? ეს სიტყვა, საერთოდ, ძლიერ უყვარს მთარგმნელს და ხმარობს მას ყველგან, საჭიროა თუ არა. ხანდახან ერთ სტროფში ორჯერ, სამჯერ.

289. „Исписали карту мира“. აქ სრულად გაუგებრობაა. დედანში („მათ რუკა დაუწერია“) იგულისხმება არა რუკის შედგენა, ისიც მსოფლიოს რუკის, არამედ უბრალო წერტილის მიწერა უცხო ყმის სამებნელად გაზავნილი ცაცებისაგან, რომელთაც უბრალოდ: „მისწერეთ წიგნი, ხალაღ ვერ მისწვდეთ, ვერ მიხვდით“.

290. „Я твои тогда готова все исполнить, вожделенья“. დედანში კი სწორად: „მისინ ვარ მქმნელი საქმისა, მის შენგან მოთხოვნილისა“ ესე იგი თინათინი პპირდება ცოლად გაყოლის ავთანდილს, თუ ის უცხო ყმის ძებნაში სამ წელიწადს დაჰყოფს. აქ მთარგმნელი სასტრუქოდ ამბახნავებს დედანს. ეს არის რითმის ბრალი, თორემ აღბათ მან კარგად იცის, თუ რას ნიშნავს რუსული სიტყვა „пожелание“. მაინც მოვიყვანოთ მისი განმარტება უწიკოვის ლექსიკონიდან: „страстное, чувственное полове плечение к кому-нибудь“. განა ასეთი სიყვარულით უყვარს ავთანდილს თინათინი? (პეტრენკო: „Твоему тогда я сердцу дам желаемый ответ“).

314. „Вам служить готовый, сердца испытать хочу проворство“. მკითხველს შეუძლია ამ ლექსის, შეფასება ზგენ დაუხმარებლად.

319. „Мудрецы преподавали мне цареву благодать“. არ შეიძლება მაღლის სწავლება. ტარიელს ასწავლიდნენ არა მეფის შაღს, არამედ მეფურ ყოვლაქცევას: „ბრძენთა მიმცეს სასწავლელად ხელწიფეთა ქცევა-ქმნათად“ (პეტრენკო: „Мудрецы меня учили поведению владык“).

333. „Потухали взоры зверя от стрелы моеи удара“. ესაა სრულებით დაუშვებელი ინვერსია. აქ მთარგმნელი აწეალებს რუსულ ენას, რომ როგორმე რითმების შეწყობა მოახერხოს. დედანი: „მოსრინს მზეცნი და ნიღირნი ისარმან ჩემგან სრულმან“. (პეტრენკო: „В поле промаша не зная, была дичь моя стрела“).

358. „Вдруг ключарь опочивальни вышел к стражу утром рано“. ასეთი თანამდებობის პირი არ არსებობს. არც შეეკვლია სწორი. დედანი: „საშოლს მეყარე შემოღდა, მოღარე გაიყვანა მან“ (პეტრენკო: „вратерем, вошедшим в спальню, уведен был казначей“).

403. „Кони быстры, а доспехи и мечи — хваразмулоба“. რუსი მკითხველს ამ სტრიქონისს ვერაფერს გაიგებს. მთარგმნელს აქ დედანის სიტყვა „ხვარაზმულობა“ („ტაღთა მათთა სიმალე, აბჯართა ხვარაზმულობა“) პირდაპირ თავისი გრამატიკული ფორმით გადაუტანია რუსულ ტექსტში. საერთოდ, მას ბევრი ქართული სიტყვა შეაქვს რუსულ თარგმანში (ტაროსი დარბაზი, პაქმანი, ნობ-დაბდაბი, დიდებული, ჩანგი, ჩადანა, ზატაური, თავადი, ალაში, კიღობანი, მანის-მანი, კაბა, ფთორაკი და სხვ.), რაც ზედმეტად ამძიმებს და გაუგებრად ხდის თარგმანს. მაგრამ მაინც სხვა სიტყვებთან შედარებით ეს „ხვარაზმულობა“ (ესე იგი, ხვარაზმული აბჯარი) რუსულ ტრანსკრიფციით რაღაც საოქრებას წარმოადგენს. (პეტრენკო: „Быстройи коней и славной хорезмийской броней“).

421. „И козу, идусы, вашу не сравню я с нашим волком“ — გუგუბარია. დედანი: „ზენა შევლათა დასემენ. ინდონო, თქვენი თანა“ (მეტრენკო: „Ведь волков хатайских даже ваши козы поедят“).

422. „Плеть висит у нас на шее! Заклинаем зенааром“. დედანი: „ზენაარი გამოვიღე. შით გვაბია ყელსა წწელი“.

ზენაარი (ფიცა) თარგმნილა ღვთაებად. დედანი „ყელსა წწელი“ ნიშნავს დაბნებს (ფიცის დადებით), თარგმანი კი უფლებ შთარახს მკედით. (მეტრენკო: „Нерушимую присягу принесет тебе народ“).

428. „Молвит мне: Хан жаждет видеть на щеках твоих румяна; „румяна“ ნიშნავს ფერმარისს, და გამოდის, რომ ხანსა სდომება ტარიელის დაწვევებზე ფერმარისის დანახვა. დედანი კი სწერია: „ებრძანა: მწადსო სახლზე შენი ლდის და ჯანისა“. (მეტრენკო: „Речь Рама за пердал он: солнца блещущего ждем). სულ სხვადასხვა მნიშვნელობა აქვთ რუსულ სიტყვებს „румяный“ და „румяна“.

436. „Благодарность я отмерял...“ თუ აქ კორექტორული შეცდომა არ არის დამუშავებული, მაშინ ბუნებრივი იქნება ვიკითხოთ: რამდენი მეტრი მადლობა ვაძღვებომა ტარიელმა თავის ქეთლისმყოფელს? დედანი: „და მადლსა გარღვიბიდა“.

437. „Передал: Неситесь быстро, растопите дол и горы“. დედანი — „შობგარეგეთ შთა და გორია“.

445. „Жаждал боя, как приборя...“ ეს შედარება დედანი არაა და უაზროვანია, მიუხედავად ფრაზის მუსიკალობისა.

454. „За глаза б тех слов хватило, что пришлось мне услышать“. დედანი სულ სხვა სწერია: „ერთსა კაცსა ეყოფოდეს, დიდებანი რომე მჭირდეს“. (მეტრენკო: „Всей доступной людям славы мне досталась благодать“).

455. „Я послал войска повсюду для взимания дохода“. ამ სიტყვების უაზრობა ცხადია: სიტყვა „доход“ გაგებულა როგორც „налог, дань“. დედანი: „ბაგუთი ავადებინე“.

461. „Как чекан плотна, а цветом угольков каленых груди“. ლაპარაკია ტარიელის შიგნ ხატებითან მოტანილ რიდებზე. იგი ნაკვერჩხლების ფერი კი არა, შავია (დედანი 502 — 129); „ფოქვი ცეცხლთა შენართაულად“ ნიშნავს არა ცეცხლის ფერს, არამედ შემდეგ: ეს რიდე იმდენად მტკიცედ იყო ნქსოვი, რომ ცეცხლში გამოწრთობილს ჰგვანდა.

464. „Азавиром стал осел“. „აზავრები ვაზავრე“, ესე იგი, ხარებს ავჯიდე ტერითი ზურგზე და არა ვირს.

472. „Уезжает. Вместе с ханом едет вся его родня“. დედანი: „წავიდე, და ვეველიკაი მისი თანა წაიტანა“. „ვეველიკე მისი“ მთარგმნელს ვაფიცია როგორც ნათესაები. ნამდვირად კი იველისებებიან სარდლები და ლაშქარი (ხატავთის ხანის).

474. „Соколами, ястребами, был заполнен весь дарбаз“. კარგი სამეფო დარბაზზე მქონია ფარსადან შეფეს, თუ ის მტაცებელი ფრინველებით იყო გაუხებული დედანი: „შავარდნათა სავსე იყო სრულად არე დარბაზისა“, ესე იგი დარბაზის გარემო.

483. „Подымался пир горою“... ეს ჩანარად შეიძლება? არსებობს რუსულად გამოთქმა „пир горой“, მაგრამ „Подымался“ რაღა არის?

488. „Струны плачут, чаша скачут, все кругом волнует кровь“. რა მიზეზით ტირიან სიმები, აქ ხომ სხვათა ლხინია გამართული ხატებით მოპოებული გამარჯვების გამო? ან, შით უმეტეს, როგორ დატინან, თუ დაქვნიბენ, თასები, საერთოდ, კერძოდ, კი ამ ნადიმზე, რომელსაც შეფე-ღედოფალი ესწრება? დედანი: „ქლა გაკრძელდა ნადიმობა, მარბითი და ჩანგთა ეღრა“. (მეტრენკო: „Снова пиришества продолжили и веселье за столом“).

491. „Сжал ее в своих объятиях, посадил на тахту рядом“. დედანი: „ხელი მოეკიდე, დავისეი ახლოს ტახტისა ჩემისად“. ამის ტარიელი ამბობს ასმათის შესახებ. ქართული ხელის მოკიდება რუსულად მკლავების მაგარად მოხვეწა და მკერდში ჩაყრა ყოფილა.

496. „Пусть вовеки не настанет этой ночи завершения“. ნესტან-დარეჯანმა წერილი მისწერა ტარიელს და სთხოვა, ხატავთიდან ჩამოტანილი რიდე მე მომეცია. სამავიროდ გუგუზავთა მკლავზე შესაბმელი ნივთი და დასკვნა: „ერთი ასეთი ცოცხალსა სხვა ღამე ამ გაგთენოდეს“ (ესე იგი, არ გათენებოდეს მეორე ასეთი ნიშნობის ღამე — სავეარელი ქალი რომ დაგენიშოს და მისგანაც მიველოს ნიშანი). ამ თარგმანში კი მაგარი წყველია მოცემული; ნუმი გაგთენებთა შენ ეს ღამეო!

497. „Гарнизль подобен зверю“... დედანი სწერია: „შხე-ქმნილი ტარიელ“, ესე იგი გამაგებელი ტარიელი.

497. „Развязал он покрывало“... რიდე მან ნესტან-დარეჯანს ანუქა, აქ, დედანი, ლაპარაკია ნესტან-დარეჯანის მიერ მოძღვრულ მკლავზე შესაბმელ ბრახლეტისებურ ნივთზე: „სამხრე ვაბია ოქროსა, ოქრომქველია დანობილი“ (898).

506. „Дева встала, удалилась, а ж упал в объятья сна“. ეს მეტისმეტად პოეტურად გამოდის. დედანი ნათქვამია: „დაქვეე, ამოღე დაშეშინა“.

507. „В одно мгновение глаза“. აქ დამახინჯებელია რუსული შეტყველება. რუსულად იტყვიან — „мгновенные ока“.

510. „Сердце ваше и без сына, — молвлю, — мраком не одето“. ჯერ ერთი ეს სტრიქონი, როგორც ლექსი, ყოვლად უფარვესია. მაგრამ უმთავრესი ის არის, რომ აქ დამახინჯებულმა აზრობრივად დედანი: „ვთქვი: თქვენს მისა არასმა გულსა ვით მიფარების“, ესე იგი, თქვენი გული ვაეის უყოლობას როგორ დაიფარებდით. თარგმანი კი საწინააღმდეგოს ვეუწყებს:

517. „...вновь объят я жизни жаром“.

518. „...с глаз ее согнать слезу“.

519. „...волю дав дожидить слезам, слезы мне глаза пронзили...“.

526. „...щеك овал слезой паля“.

ამ ამონაწერებს დედანთან შედარება და კომენტარი არ ესაჭიროება.

527. „Будь он пуген иль беспуген, я над оными патрон“. დედანი: „ვგრეც შე მაქვს პატრონობა, უვზოდ ვლიდენ, თუნდა გზეტსა“. რუსულად არ არსებობს ცალკე სიტყვა „пуген“, ზოლო „беспуген“ კი ნიშნავს გარყვნილს და არა უვზოდ მაგას სიტყვის წარმოშობის საკითხი აქ არ შეიძლება დაისვას.

548. „Подозвал, кивнув главою...“ არ შეიძლება ასე ითქვას, რადგან „глава“ ძველი ფორმის სიტყვაა და იგი იხმარება იმდროულ პოეტურ მეტყველებაში, რასაც „кивнуть“ არ შეეფერება. იტყვიან „кивнув головою“.

550. „Изнутри встречаются наши, гости всходят на порог“. დედანი: „შეგნით ჩვენნი გაგებნეს გარეთ მოდგეს ხეარაზმლნი“. ესე იგი, ქალაქიდან ჩვენები შეზღუდვიან, გარედან ისინი მოვლენო. შეუწყნარებელია აქ სიტყვები „изнутри“ — „порог“ (შეხვედრა მინდრად ზღუდა).

551. ფარსადანი ეუბნება ტარიელს: სასიძოს შესახებდრად ქალაქ გარეთ სხვების გასვლა კმარა, შენ კი აქ შეზღუდი, (როგორც უფრო დიდი პიროვნებათ). თარგმანში ამ სიტყვების არა დაყარულია: „Без тебя ему на встречу из другого выйдут стана. Здесь встречай его — немало там людей для паэмана“ (პეტრენკო: „Пусть пойдут ему навстречу паредворцы и войска. Ты же встреть его в чертоге — и достаточно пока“). დედანი: „შენ მისად ნახვად ვაიოდენ უშენოდ სხანი სხვანია, შენ აქა ნახენ, კმარიან იქა ნახვისად ყმანია“. თარგმანში ყოველწარად უდავლია აგრეთვე სიტყვა „паэмана“.

559. „Догонять меня пустились, я гоним предат кавчине“. უცნაურად ისმის აქ სიტყვა კოჩინა“. რომელსაც აგრეთვე ხშირად მიმართავენ მთარგმნელი, ზოგადი. ცნების გამოხატაველი სიტყვა „სიკვილი“ არ შეიძლება შეეცვალოს „გარდაცვალებით“. რა სათქმელია: „მე შედევრები მივეც გარდაცვალებას“? მომდევნო სტოფში (560) სწორად არაა გაგებუ-

ლი შინაარსი და ეს ხეარაზმელი მღვდრები ტარიელს ჯარად ქვეულა.

563. „Не желаю и царевни в том княнущь я солнцем право“.

565. „Что мне ластять? Суждения Ваши, я с казал, отнюдь не здравы“.

მთარგმნელი ამ ასეთი თანამედროვე სისაუბრო ენით თარგმნის ტარიელს გულზეად პასუხს ფარსადან მეფისადმი: „მე თქვენთან მზებთან მამორას ნდომა თქვენისა ქალისა!“ პეტრენკო: „От меня желание брака ваша мысль отстранит!“).

613. „Так красив он был, что взоры уставили от утехы“.

614. „Лодки в воду опрокинул и укрыл их воли оскал“.

რუსული ენა ამ სტრიქონებში უადრესად ნაწვავლებია. თქმია, უნდა ითქვას, რომ ასეთ მტყვევლებს (ვითომ მხატვრულს) ვერც სხვა რომელიმე ენა მოითმენს.

617. „Сам он дядо с сымом...“ დედნის სიტყვა „ბიძა-ძენი“ ნიშნავს ბიძაშვილებს და არა ბიძას შვილებითურთ.

626. „Так все небо озарила, что на солнце села копоть“. თუ მთელი ცა გააშუქა, მზეს როგორა დაეფნა კვარტი? სულ სხვა სურათს იძლევა დედანი: „შინ განანათლა სამყარო, გაეუღლებს შუენი მზისანი“, ესე იგი, მისე სახას ელყარებენ გამო ივლო მზის შექმნა.

627. „Кто ж ушел живым, услышав моего мерана хrap?“ დედანი: „ჩემსა წავსა სულეირი რამცა ვითა გარდებეყმა“ (პეტრენკო: „Разве даст мой конь умчаться от него кому-нибудь“).

639. „Рвенье тысячнт должны вы, не седьмнт, не осмериты!“ როგორ უნდა ითვასოს რუსმა მკითხველმა დედნიდან თარგმანში ასე უაზროდ გადატანილი სიტყვები?

648. „Войско горе выражало без прикрас и разговора“. შეუწყნარებელი მეტყველება, ასეთ შემთხვევაში უნდა ითქვას „უსიტყვოდ“ და არა „ულაპარკოდ“.

667. „Сердце в поле не умчтся ни оленем, ни козой“ — ეს არის ყოვლად მიუღებელი ბუტყალისტური თარგმანი.

671. „Коль два месяца просрочу...“ დედანი: „აქათ ორ თვე არ მოვიღე“. ავთანდილი დედნის ორი თვით მიღებს შინ, თარგმანში კი ვაღის გადაცილებას ფიქრობს ორი თვით.

677. „Без него одно и тоже мне палаты и амбары“. დედანი: „უმისოდ მყოფსა სწორად მიწის ჩემთვის დარბაზი და ხელი“, ესე იგი, უმისოდ ჩემთვის ერთობა, სასახლეში ვიცხოვრებ, თუ ხელსაშია. თარგმანში დაყარულია ის დამირისებრება, პარალელუზი: რა უნაშაა აქ ბედლები? ბედელში ვინ ცხოვრობს?

685. „Так как свод дворца им тесен, то ларбазят небосклон“ რა გაიგოს აქ რუსმა მკითხველმა? დედანი: „ცამეა გაიდარბაზუსა“.

695. „Слышит он: Достиг ты цели, одолев страдальня волны“. რუსი მკითხველი აქ პირველად გაიგონებს ისეთ გამოთქმას, როგორცაა „страдальня волны“. დედანი: „უთბრია: კპოვეა, პატყენა ნაზენ ძეხნითა ვისთა?“

705. „...точно Тарос иль погода“ ეს ორივე ერთაა ქართველთათვის, რუსი მკითხველი კი თავს გააქნევს, არაფერი შესისოსო.

707. „Глупо дуть на лед застывший, не нагреешь так воды“. დედანი: „ცუდი არის დამზრალისა ვასათობლად წყლისა ბერვა“. აქ აზრი ასეთია: დამზრალი (ავთანდილი) ვერ გათბება, როცა იგი, ცეცხლის მიერ, სულს უხერხავს წყალს (იგულისხმება მათათინის ვალაჩილობა). (პეტრენკო: „Чтоб замерзшему согреться, дуть на воду толку нет“). მთარგმნელი კი, გაუგებრობის ნიადაგზე, ცვლის რუსთაველის ფრაზის აზრს და ამომბის: სისულელეა, რომ ვინმეს უხერხო სული წყლის გასათბობადო. რა შეამთია აქ წყლის გათბობა? დედანში იგულისხმება არა წყლის, არამედ ავთანდილის გათბობა.

714. „Говорит: Для изголовья солнца мне тесны границы“. დედანი: „იტყვის: მზე ჩემგან თავისა კმა დასაღებლად აღარად“. აქ მზე მტკაფორულად თინათინს გამოსაბჯეს. და ლამარაკია მისთვის თაფაღებამზე; მთარგმნელს კი ეს თავის დადება პირდაპირი მნიშვნელობით გაუგებია, რის გამოც მზე (თანათინი) მის თარგმანში შეცვალა სასთუმლად (изголовье).

715. „Тот предал колыю сегодня, я живу с произнесенным чревом“. დედანში ლამარაკია საწუთროს შერე მიყენებულ ტრილობაზე. უნდა ეფიქტროთ, რომ საწუთროს კაცს დასტრის გულში და არა მუცელში.

792. „Кто найдя предел пределам, обеща смертя божество“. დედანი: სკენ სახლვარსა დაუსაზღვრებს, წის უკვდავი დღერთი დღერთად“. დედანში ლამარაკია უკვდავობით, თარგმანში კი მის უკვდავობაზე, რაც გაუგებრობას წაიშობადგენს. ვარდა ამისა, სიტყვებს „საზღვარსა დაუსაზღვრებს“ (ე. ი., საზღვარს დაუწყებს) აქვს აზრი, „предел пределам“ კი უაზროა.

793. „Без лучей небесных розы увядают ежегодно“. ყოველწლიურად ვარდები მზინც დაქვნიან. ბუერი სხივებოც რომ აღრქვეთის მათ მზეც. დედანი: „მზისა შუქის ვერ მკვრებთა ია მშობის. ვარდი უვნებო“ (პეტრენკო: „Коль цветок не видит солнца, то вянет его поблек“).

აქ ჩვენ ვიპოვებთ „ანდერსს“. არ შეგვიძლია ამ დღად მიაშინელოვანა თ. ეიდან ერთი სტროფი მთლიანად არ მოვიყენოთ თარგმანის რეჟისის ნიშნად.

797. „Если мысль мою осудят, царь предай меня“ რუსული
Неужель в моем поводе есть для неприязни?
Не предам я Таризля,
я не раб людской боязни,
Не могу, чтоб он мне бросил
в небесах упрек несправданный“.

მეთვრამეტე საუკუნის შემდეგ რუსული პოეზია ამგვარ გამოართავ ლექსს აღარ იცნობს.

800. „Недостойной жизни лучше достославная кончина“. აქაც ზოგადი ცნება „სიცვდილი“ შეცვლილია „გარდაცვალებით“, რაც უფლად შეუწყნარებელია. დედანი: „სჯობს სიცოცხლესა ნაზრახსა სიკვდილი სახელოვანი“.

802. „He одет рукой питомцев и святым не мазан миром“. დედანი: „ველარ შემსუდრონ დამზრდილია და ვერცა მისანდობელმან“. თარგმანში გამოტოვებულია ძირითადი მნიშვნელობის მქონე სიტყვა „შემსუდრონ“, მაგრამ ეს ვიდრე არაფერია, დამატებულია მირნის ცნება, რაც სრულად უცნობი ამბავია „რეჟისტიკონისათვის“ (პეტრენკო: „Путник в саване не одетый, не оплаканный родней“).

804. „He считай моих убытков, действуй, как найдешь удобным“. ეს პირობული თარგმანი დედნის აზრსაც დალატობს: „ნურა ხე ვჭურს საკონელი ჩემი ჩემთვის წარსავეებლად“.

809. „Пусть пред царственным величием страх объемяет всю округу“. დედანი: „სუფეეთმცა ხართ თავითა, მტერთაცან საყრალველითა“ „округа“ აბამეთში ხომ როსტვენის სიძულვის ნაწილი აქნებოდა, დედანში კი ლამარაკია ვარგუზე მტრებზე. (პეტრენკო: „И на страх врагам царите без печали много лет“).

811. „Стал молиться: „Бог всевышний, тверди неба вседержитель“. დედანი: „ილოცავს, იტყვის: მაღლო ღმერთი ხველია და ცათაო“. ქვეყანა („ხველი“) საღლა გაქრა თარგმანში? (პეტრენკო: „Он молитву произносит: Боже неба и земли“..).

824. „Буду мучиться, доколе я с тобой не встретюсь оком“. თვალთ შეხვედრა არ შეიძლება.

834. „...Волны Тигра у порога“. პოემაში არ არის ცნობა ტიგროსის კორიუმების შესახებ.

846. „Ничего о нем не слышно ни в письме ни в разговоре“. ეს რუსული არ არის.

856. „Справедливейшая надпись есть в Китае на горах“ — ცნობილი სიტყვები: „ჩანს ქება ზედა სწერია“. საინტერესოა, მოეძებნო როგორ უნდა ყოფილიყო წარწერილი ანდაზა?

863. „Пусть умру, себя не жалко, окровавлено свой хребет“. ვერ თვისებავდა ეს ფრაზა უცნაური: ვინ იტყვის — დე მოვკვებო, არ მენანება თავი, საკუთარ ზურგს გავისისს-

ლიანებო? მეგრამ მთავარი ისაა, რომ თარგმნელს, შინაარსის გაუგებრობის ნიადაგზე, სასტიკად დაუმზანჯებია დედანი, სადაც აქობება: „მოკვლე, თავი არ მეწყალების, სისხლი ჩემი ჩემსა ქელსა“ ესე იგი, შე ვიქნები ჰასულ-ხისმგებელი ჩემი სიკვდილის გამო, ჩემს სისხლს შე ვიკისრებო („ჩემსა ქელსა“). რა შუაშია აქ ზურგის, თუ ხერხემლის გასისხლიანება?

868. „Видит: черным конь у чаши, свесив повод, гнет хребет“. ცხენს არ შეუძლია თავისი სადავის ჩამოშვება, ამას პატრონი გააკეთებდა. დედანი: „დღა სადავე-ტყუარლი“. გარდა ამისა, როგორ და რა მიზეზით ღუნავს ეს ცხენი თავის ხერხემალს?

877. „Все несчастье человека — это горе от ума“. მკითხველი იფიქრებს, რომ რუსთაველი აქ წინასწარმეტყველებს ცნობილი კომედიის „Горе от ума“-ს დაწერას.

880. „Коль красotka всем доступна, ей цена за это грош“. ეს სახელგანთქმული აფორიზმი: „ოდეს ტურფი გაიფდეს აღარა აღარს არცა ჩირად“. რუსთაველის „ტურფი“, ესე იგი მშვენიერება, მთარგმნელს გაუგვია როგორც მსუბუქე ყოფაქცევის აკალუსო ქალი, „красотка“.

883. „...Как мне двинуть языком?“ დედანი: „ძვრაცა არ ძალმიძს ენისა“. ეს მოჩვენებითი სიზუსტე ნამდვილად, როგორც დედნის, ისე რუსული ენის დამახინჯების წარმოადგენს.

886. „Разошлись мои стихии, я вливаюсь в высший ряд“. დიდმისწველოვანი სტრიქონი: „დამშლიან ჩემნი კავშირნი, შეერთივარ სულთა სირასა“. სულთა სირა ნიშნავს სულთა კრებულს, „высший ряд“ — არაფერს არ ნიშნავს. (პეტრენკო: „Существо мое распалося, я вступаю в сонм теней“).

921. „Удвляюсь я такому слез из глаз моих исходу“. ჩვენ კი აქ უფრო მთარგმნელის პეტყველება გვაკვირვებს.

921. „Горе розе расщепленной и жемчужин хорооводу“. დედნის „მარგალიტი წყობილი“ (კბილები) მთარგმნია აქ როგორც „მარგალიტების ფერხული“. ფერხული მოძრავი მჭკრივია და როგორ შეიძლება ამ სიტყვის დაკავშირება კბილებთან?

944. „Знай стихов моих читатель, и тебя постигнет мука!“ — ის კა მართალია მხოლოდ დედანში ცოტა სხვაწარად სწერია: „ლექსთა მკითხველნი, თქვენნიცა თვალი ცრემლისა მღერელია!“ ეს ნიშნავს არა იმას, რასაც თარგმანი გვაუწყებს, არამედ შემაღლეს: წიგნის მკითხველებო, ამ თქვენმა თაულებმა და აღფარან ცრემლი და ამბის კოთხის დროსო (პეტრენკო: „Вот и ваши очи плачут, о читатели стихов!“).

970. „Инды, греки и арабы с двух сторон из-за границы“. დედანი: „ინდო-არაბ-საბჰარ-ნიცა, მამრითი და მალრიბენნი“.

11. „შნათობი“ № 4.

973. «Наш патрон лучей небесных и земных пространств посредник» — სრული უზრობაა. დედანი: „იგია ჩვენი პატრონი, მსგებეს ცით შუტა მფენისა“, ესე იგი, მისა: (პეტრენკო: „Наш владыка лучезарен, словно пламень неземной“).

976. „Знали б вы меня, когда я воздымался, как хребет“. დედანი: „თქვენნიცა მაინ გენახენით, ლაღნი ვსხედით, არსაპყრულია“.

990. „Так купить — продать попробуй там, где слышен денег звон!“ ეს, ჯერ ერთი, შეკლომაა, რადგან ვაჭრობა სწორედ იქ შეიძლება, სადაც ფული ჩხრიალებს, მეორეც, ამ სიტყვებს აბაფებია აქვს დედანთან საერთო რუსთაველი ამბობს აეთანდლისა და ფირღრნის შესახებ: „მომავლ, ბაზარს სხვა მათებრი ივაჭრონ რა ან გაყიდონ“.

1011. „Глаз озера свод скрывает, омраченный скорбью мира“. არაფრის გაგება აქ არ შეიძლება იმ ეს შესანიშნავი მეტაფორა: „მელნისა ტბათა მიჯარვით ჰპურავს გიშრისა კურათა“, რაც ნიშნავს შეე თვალებს და გიშრისფერი წყაშემების ზამამს.

1025. „Я верхом туда помчался, где была рабов станция“. სიტყვა „станция“ ნიშნავს ან კახაკების დიდ სოფელს, ან ფრინველთა გუნდს. აქ კი საქმე ეხება სულ რა გრძნულ შინას, რომლებმაც ნესტან-დარეჯანი გაიტაცეს.

1032. „Вниз спуститесь...“ ამას ეუბნებიან ზღვის პირას მსხდარი ვაჭრები აეთანდილს. მკითხველი იფიქრებს, რომ აეთანდილი ზეზეა ასული, ან გორაკზე დგას. ნამდვილად კი მას ცხენიდან ჩამოტოპასა სთხოვენ. დედანი: „ჩა-ნაპზე და მოგასენით...“ (პეტრენკო: „О, спойди с коня...“).

1046. „То посьмерку об девятку, то обранию наикось“. დედანი: „ერთმანერთსა შე მოსტყორცნის, რვა ცხრასა და ცხრა მკარს რვა სა.“ დედანში გამართულია ბრძოლა, თარგმანში კი თითქოს ბანქოს თამაშია გაჩაღებული: ხან რვიანი ეცემა ცხრიანზე, ხან პირიქით.

1082. ეს სტროფი ნათლად გვიჩვენებს, თუ რა ძალადობის იწინეს რითმა შინაარსის მიმართ აქ თარგმანში. მეოთხე სტრიქონში მოხსენებულ არაინ ვისი და რამინი. მთარგმნელი აუღია რითმად „Вис“ და ცდილობს შეუწყოს მას წინა სამი სტრიქონი: 1) „Он ходил купцом одетым, хоть халат на нем и вис“, — ეს დედანში არ სწერია და შეუფერებელიც არის, რადგან ავ. თანდლი მხარბუქიანი ვაკაციო იყო და ვაჭრის ჩვეულებრივი ხალათი მას, თუ ვერო არა. სრული მაინც არ ექნებოდა, რომ დაკიდებულთა ყოფილიყო მასზე; 2) „То Фатима к нему вбежала. то он к ней спускался вниз“, — ეს არ შეიძლებოდა მომხდარიყო ასე, რადგან აეთანდილი ფატმანის საბლში არ ცხოვრობდა საერთოდ, არათუ მის ზემო სართულში.

3) „Часто так сидели вместе. их беседа мчалась ввысь“ — პირიქით, ავთანდილისა და ფატ. შანის საუბარი მიწიერ ამბებს არ ასცილებია. ამგვარად, მთარგმნელს ერთ სტრიქონზე მოარგებულ სარიტმო სიტყვა აძლეუბს დაამახინჯოს სამი დანარჩენი სტრიქონის შინაარსი.

190. „Ведь и смерть и жизнь — ступени в мир любовного обета“. ამის არაფერი საერთო არა აქვს დედანთან: „საცოცხლე, არუ სიკვდილი ვარდამიწყდეს ნეტარბი ოდეს!“ „Мир любовного обета“ სრული უაზრობაა. (პეტრენკო: „Пусть решится: жить останусь, или оставлю этот свет!").

1094. „Эта женщина все знает, как владелница предместий“. შეთხვეული თავად მიხედება, თუ რა უაზრობას წარმოადგენს აქ თარგმანი. დედანი: „ისი დიაკო აქა ზის, მნახავი კაცთა მრავალთა.“

1147. „Я просила: „Замолчи же!“ — и смолкала в миг она“. ეს ვაუგებობაა. ნესტან-დარეჯანი ამ წამსვე კი არ განუმდებოდა, არამედ გაიმდებოდა მხოლოდ ერთ წამს ხაპარით („წამ ერთ ჰქონდის ჩემი თნევა“). (პეტრენკო: „Лишь на миг она смолкала, внявъ мольбамъ моимъ“).

1148. „Я вошла и перед нею слезных волн взнеслась громада“. ეს სტრიქონი ვითომც რუსთაველის შემდეგი სიტყვების თარგმანს წარმოადგენს: „შინა შევედი, მას წინა ედგის ცრემლისა გუბები.“ (პეტრენკო: „Перед ней алмазным ливнем был всегда залит ковер“).

1164. „Мчались вновь ее увидеть, день кончая вторых“. ეს ფატანა დ მობტეო უსენი „მიპირიან“ ნესტან-დარეჯანის სანახავად, რომელიც თავისსავე სახლში შეავთ დამალულ დედანი: „ვაპრობისა საქმისაგან მოვიცალოთ, იგი ენახოთ“.

1185. „Иль она миджнур, и память ей о ком то нежит слух“. საინტერესოა ვიცოდეთ, როგორ შეუძლია სმოენას სმენის დატეობა?

1204. „Вечерело. Разгласилось все, и мчится к нам колонна“ აქ გამოდის, რომ მთკენ მიჰქროდა სვეტი (არქიტექტურული ნაგებობა). ნამდვილად კი რაზმეული მოდიოდა: колонна войска.

1206. „Стыд мужчины — бессердечье, срам для женщины — содом“. არაკეთარ სოდომზე აქ ლაპარაკი არ შეიძლება, მთარგმნელი დედნის ერთ სიტყვას შეუყვანიო შეცდომაში. გარდა ამისა, აქ „უგულობა“ („კაცსა დასჯარს უგულობა“) არ შეიძლება გავივით როგორც „бессердечье“, რადგან ეს უქანასენელი თუ კაცისთვისაა სამარცხენო, მით უფრო სამარცხენოა ქალისთვის. „უგულობა“ ამ კონტექსტში ნიშნავს სქესობრივ გულგრილობას. რუსთაველი აქ იძლევა ასეთ დაპირისპირებას: მამაკაცს დასჯერის სქესობრივი გულგრილობა დედაკაცს კი პირიქით, სქესობრივი აღვირახსნილობა. ამ

დგლის ეს ჩვენი განმარტება ახალი რუსთაველოლოგიაში და მთარგმნელს შეეძლო იყო არ სიოდობა, მაგრამ ლოგიკურბრტს დაცვა უდნის. დან ვადაბვევის დროსაც სწავლბულბა.

1231. „И Рошак, узнав в ней деду, стал предплечьем у предплечья“. ეს რადის ნიშნავს? ჩივბედლო დედანში: „როშიაქ შეატყო ქალობა, გვერდსა წარუდგა ცხენითა“. თურბე აი ეს „გვერდსა წარუდგა ცხენითა“ ყოფილა რუსულად — „стала предплечьем у предплечья“.

1238. „Все узнав, горю и плачу, — высох слез от глаза к глазу“. ეს კიდევ უარბესი ამის წინ მოყვანილ ნიშნებზე. დედანი: „მე გაივინოვ, შერბეშრა ნაკაიი ცრემლოთა ფონისა“. პოემაში „ფონი“ ნიშნავს მკირე ნაკადს, ჩვერს, ლვარს. მთარგმნელს ეს სიტყვა, დღევანდელი მნიშვნელობით გაუგებია და გამოსვლია ეს უცნაური ფრაზა: „высох слез от глаза к глазу“. (პეტრენკო: „Слезы брыз и перестала, стало на сердце светлей“). გარბი ამისა, დედანს ეწრნაალმდებბა სიტყვები „горю и плачу“, რადგან, პირიქით, ამის გამო მას (ფატმანს) ცრემლები შეაშრა სვალბებზე. იმავე სტროფის მეოთბე სტრიქონში სწერია: „ელთაი ლბობი მომბეა“.

1241. „...деду дивную невестя“. რა არის „невестя“? მთარგმნელი რუსულ ენაში სიტყვაქმნდობას არ უნდა ეწეოდეს.

1256. „Пруд залег в гisherной чаше, к долу розы брод по нем“. შეუძლებელია იმის გაგება, თუ რას ნიშნავს ამ სტრიქონის მეორე ნახევაი. დედანი: „გიშრისა ტვერსა ავუბებეს, ვარდისა ველსა ფონისა“.

1260. „Про себя смеялся витязь, и хоть был он с виду хмур“. დედანი: „მან პასუხი არა გასცა თავის წინა ღიმდებოდა.“ „თავის წინა“ ნიშნავს თავისთვის და არა თავის გულში. (პეტრენკო: „Но украдкой усмеялся, говорил себе герой“). ავთანდილი აქ სრულბითაც არ იყო „მოღუმელი“ („хмур“).

1273. „О тебе я разузнала все сама своей смекалкой“. რუსი მეოთბევი გაოცბით იკითბავს: Как можно „разузнать смекалкой!“? დედანი: „მე გრცეცა ვცან მართალი. მით გულსა მოვალბენიე“.

1294. „...слышен стон, слезой проженим“. როგორ შეიძლება ევენისს დწევა ცრემლით? დედანი: „გულამოსკენილი, მტირალი“.

1295. „...я вложила всю отвагу“. დედანი: „არს სიშგან მონალეაქებო“.

1306. „...где мечты моей зеница“ — ამის თქმა რუსულად არ შეიძლება. დედანი: „მივბედე მას ჩემსა ნდომასა“.

1325. „Хоть для сверстников Придона похвалы и не удобны“. აქ სწორად არ არის გაგებული სრულად მარტობა ტექსტი: ავთანდილი სწერს ფრიდონს, შერ რომ მონებო გამომაყოლე, კარგნი აღმობნდნენო, და დასძენს: „ქება რად უნდა მას, ვინცა თვენიანა ხან-დაზმულია“? „ხან-

დაზნულა“, ესე იგი ხანმოთქელი, მთარგმნელს გაუგია როგორც ტალი, ერთიკბილა (сверстник).

1337. „...я сплели венок из шей“. „პეკანან ყალბარდავლობილა“.

1349. „Я поправ судьбы угрозы“. სრულიად მიუღებელი ასეთი გამოქმედა.

1360. „Шею, щеки ей целует, покрывая их слезами“. დედანში მტრიალი ავთანდილი კი არ ჰყოცნის ასმათს, როგორც ეს თარგმანშია, არამედ, პირაქით, ნესტანის ამბის მომტან მოციხის ავთანდილს ჰყოცნის მტრიალი ასმათი. ნესტანშიც აქოცა ქაჯეთის ციხეში ავთანდილს და ფრიდონს, მაგრამ უცნაური იქნებოდა, რომ ეს ვმორები პირველი მიკროლითვენენ საყოცნელად მასთან. არათუ ცალკეული სიტყვები, ზოგჯერ პოემის მთელი სიტუაციები არ არის სწორად ვაგებული ამ თარგმანში.

1399. „Но послушай, окрик стражи раздается недалеко“. დედანი: „მაგრა თუ გესმის, ვუმაგრა არ ახლოაზრო ყვირიან“. დიდი განსხვავებაა სიტყვებში „ახლო-ახლო“ და „ახლო“. ფრიდონს უნდა შეუმჩნევდოდ თოკის გადადგემა ციხის კედელზე: ავთანდილი აფრთხილებს: კედელზე გუმაგება ახლო-ახლოს არიან ჩარიგებული და შეამჩნევნო.

1411. „Конь — как черная громада“. „ტარიელ შავსა ზედან ზის“. ტარიელს მშვენიერი შავი ცხენი წარმოადგენილია აქ რაღაც საშინელად.

1414. „Смело трое едут строем, выбрав каждому ворота“. აქ უწესოდ, მკლარად არის შედგენილი რუსული ფრაზა. დედანი: „...თითომან თეთო კარები“.

1315. „Но сначала не помчались“...—წარმოადგენელი რუსულად დედანი: „პირველ ამოდ მიდოდეს...“

1418. „Без удара низвергает Таризель громовым ревом“. რუსთაველი არათუ აქ, არსად არ ამბობს, რომ ტარიელი დრიალებს. დედანი: „კაცმა უკრავად დაშენდის ხმა ტარიელის ხაფისა“. (პეტრენკო: „Грозный голос Таризеля без меча людей срижал“).

1430. „...враг мой стерт с земли лица“. „ფეხი გაეციწო ხელი“ ასეთ ფრაზებთან კარგად დალაგებული წინადადება არის.

1435. „Рады встретить льва и солнце и в долине и на криже“. დედანი: „უხარის ნაპელომისა და მზისა, ხმელთა მნათისა“.

1454. „На губах Асмаг горячих губ Нестан лежат узоры“. რა უნდა ვეფხისტყაოსნის „სანი“ ამ ფრაზას, რომელიც ლიტერატურული უგებრობის იმეათ ნიმუშა წარმოადგენს? დედანი: „ნესტან-ღარეჯან ეხვევის, პირსა აკოცებს პირითა“.

1466. „Исполнители явились, сладость песен на устах“. დედანი: „გოსანანი მოდგეს, ისმოდა ხმა სიმღერისა ტყბილისა“.

1467. ამ სტროფში (დედანში № 1465) მოხსენებულია ბატის კერცხის ზომის ცხრა მარგალიტი, რომელთა სიდიდე მთარგმნელს ციხის კერცხეებამდე დაუყვანია. მაგრამ მთავარია შემდეგ: აქვეა ერთი დიდი მანათობელი თვალი, რომლის შესახებ რუსთაველი ამბობს: „მას წინაღობით ძალედვის მხატვარსა ხატვა ხატისა“, ესე იგი, ეს თვალი ამდენად ბრწყინავდა, რომ დამით მის წინ მჯდარ მხატვარს ბატის თუ სურათის, ხატვა შეეძლო. მთარგმნელი ამ სტრიქონს ასე თარგმნის: „В ночь пред тем, творя сей образ, сжег художник все огарки“. ესე იგი, მხატვარმა წინაღობით, როდესაც ამ სახეს ჰქმნიდა, დასწევა სახელის ყველა ნაწილს (!) (პეტრენკო: „С ним и ночью живописец написать картину мог“).

1481. „И тогда, чтоб встретить солнце, поешу арабов племя“. ამას ამბობს თავად არაბი ავთანდილი! დედანი: „მამინდა მივალ არაბეთს“.

1491. „Возвеличу речью пестрой я арабского патрона“. დედანი: „რადმცა რა ვაძრე მეფესა თბრობა რასაცა ურელისა“. ესე იგი, (ტარიელი ამბობს) მე როსტემან მეფეს არ ვკადრებ ორკოფულ სიტყვასო. მთარგმნელს აქ სიტყვა „ურელი“ პირდაპირი მნიშვნელობით გაუგია. (პეტრენკო: „Никогда обняками я царя не омрачу“).

1503. „Почему ты мнишь владыка, что мне дорог этот вздор?“ დედანი: „მე მეფეო, რად გგონივარ უკეთო და ვაგე რატი?“

1505. აქ გაგებული არაა ის ვარემოება, რომ არაბებს შექლურჯი ტანსაცმელი კი არ აცვიოთ გლოვის ნიშნად, არამედ „ლურჯი და მწვანები“, როგორც ერთდელი ფერის სამოსელი. დედანი: „მუნ შიგან მყოფსა ემოს ტანსა ლურჯი და მწვანები, ავთანდილისთვის ყველი ცრემლითა არს ნაბანები!“ თარგმანი: „Темносиние одежды в горе жители надели: Плачут все об Азтендиале, и, на лицах слез метели“.

ასეთია მოკლედ ჩვენი შენიშვნები „ვეფხისტყაოსნის“ ნუტებშითხეული თარგმანის ვარშემო.



კონსტანტინე ბაშინსკი



აკოლოგია რუსთაველისა

შედი საუკუნის მანძილზე იდგა ბნელში ქართული პოეზიის იგავ-მეფეობა. ორუკოსი, პოეტთა შორის ბრძენი უდიდესი, ბრძენთა შორის მოძღვართ-მოძღვარი.

არც ერთ სახლს ამშვენებს მისი სახელის მემორიული დაფა, არც რომელიმე აკადემიის წევრად აღიარებიათ იგი ოდესმე, არც თუ დადნითა და მუხის ფოთლებით შეუქციათ მისთვის შეუღბი თანამედროვეთ.

იგი ზელოდან გასხლტომია შემართებითა ყურადღებას და ვინ იცის, ბიოგრაფები შესძლებენ თუ არა თარიღების საღებში მოაქციონ ოდეს-ჰე მისი აქმის და იდუმალი გაუჩინარების ამბავი, ხოლო კმნილება მისი დღესაც სძევს ჩვენს წინაშე როგორც უპარატესი თავიღებო ქართული პოეტური კულტურისა, მომღვენო თაობათა პოეტებისათვის გარდაუვალი ბარიერი, ენათმეცნიერთათვის თავსამტკიცე საგანი, ისტორიკოსთათვის გამოუცნობელი მეტეორიტი. ბიოგრაფებსა და მკვლევარებს მისწრო ხალხის ხსოვნამ მის სახლამდის, ამავე ხალხმა შექმნა ლეგენდა ათინიდან შინმოპრუნებული ობოლი კახეთისა, უიმედოდ გამოიჩინებული და უკვალოდ გადაგებული ჩანგოსანი რაინდის გამო.

შორიდან, ძლიერ შორიდან მოისმის ეს ამბავი, როგორც სულზე უტყუესი მუსიკა და უნებლიე სურვილი გვებადება მისი უცნაური ცხოვრების გაუშიფრავი ლეგენდა მარადეამს შერჩეს ქართული ხალხის მესხიერებას, როგორც უჩვეული რამ ნათელის გაუღება საუკუნეთა უპოვარო ლამაზი.

კამის უწყალო გრივალემა შელუწეს მისი თანადროული საქართველოს ბასტიონები, მეფეთა, ერისთავთა და ქორიკოზთა დროშები ბრძოლებში დაიფრინა, სამთავროთა სამანებო თავდასხმებმა წარხოცეს, მეფეთა ტახტები ურდოვებმა დაამხვეს, გვირგვინები სათეატრო ბეტაფორიად ქცეულან, კარბები — მკვლევართა საკითხავად, არხები გოჯოთა და კოლოთა საუფლოდა, ქართველის მიერ დატყვევნილი მსოფლიო გზები ავაპეს მოუტყეს, მაგრამ ემთხისთავემ ვერ შემუსრა რუსთაველის სტროფების სიღბო და სიმტკიცე.

მისმა ჯადოსნურმა არტამ საწერად დასვა კედლოდრეკალი გადამწერლები, მიმბაძველთა მთელი თაობანი ფეხზე დააყენა, მანვე ააშლერა რაინდი და პოეტი, მწყემსი და გლეხი, მეომარი და მიჯნური და ეს ხმა საუკუნეთა მანძილზე თანდათანობით შეერწყო ხალხისას და ამიტომაც იკარგება ხშირად სამანი მასსა და ხალხურ პოეზიას შორის.

სწორედ ამიტომაც რუსთაველის პოემა გაცილებით უფრო მეტია, ვიდრე საყრატული ლიტერატურა, უფრო გამართობელი, ვიდრე ზღაპარი, უფრო ძვირფასი, ვიდრე სამკაული პატარალებსათვის პირისსანახავად შიტანილი; ამიტომაც ამკობდა იგი მრავალი საუკუნის მანძილზე ქართული მზითვისწიგნების რევიტატს.

რუსთაველის ლექსი უფრო მეტია, ვიდრე შიორი, უფრო ღრმა ვიდრე დიდაქტიკური ფილოსოფიის შეგონებანი, რადგან იგი პოეზიისა და სიბრძნის სამანზე იყო გამოხუნული.

სამანზე მდებარე ყოველივე უცნაური ყოფილა მუდამ, ამიტომაც უპირველესი გრძობა, რომელსაც ეს პოემა აღძრავს კაცის გულში, ეს არის გაცეცხა.

გაცეცხა ყოველივე შეცნობის ანი და პოეზიადგან საწყაროს წინაშე გაცეცხამ წარმოშვა პირველი ამღერება მიჯნურისა და პოეტისათვის.

ახე ყოფილა მის შემდეგ, რაც პირველ მოსარს ჩანგი აუღია ხელში, კაცობრიული კულტურის სულარის მხოლოდ ისღა შერჩენია, რაც თანადროულსა და მარადიულს თანაბრად წასდგამია.

სწორედ ამიტომაც გვაოცებს რუსთაველი დღესაც, ჩვენ, დიდი ეპოქებ გამოცდილებებით დატვირთულთ, ბნელი საუკუნეებისაგან მონიგარი სიბრძნის თანაზობათა, ჩვენ, პეზოლეტატობის, ატომგულის, რადის, ვასაოცარი ჭიმის, ფენომენური ავიაციის სასწაულებების მაცქერალო, ჩვენ კლასური და იდეოლოგიური კონტრასტების მიერ წარმომდგარ კაოკალიზმების გადამტანო. და რუსთაველი გვაუღებებს არა მარტო ჩვენ, იგი აოცებს მათაც, ვინც უკრ არა იცის რა იმ სიბრძნისა, რომელსაც მსოფლიოს დიდი აკადემიები, უზარმაზარი ლიტერატურა

და პრესისა, საერთოდ ინტელექტის ქიმიკა აწვდის ბოლომდე იდეალის გონებას.

უდიდესთაგან უდიდესი ზელოვნება ამაში გამოხატულა მარადიანს: ურთულესის უმარტივესი საშუალებით გადმოცემა, გამოთქმულის უფსკრულში მიჩქვალულის საშუაოზე გამოტანა, უმაღლესის მიერ შენიშნულის უმაღლესის გონების ლერწმე დამყნა და უღრმესი სიბრძნის ნათლადგენა უბირთაგან უბირისათვის.

ან ვინ შეედრება სიმაღლეს იმისას, ვინც უზესთაგანს შწევაგალიდან ქმდაბლესამდის ხმას აწვდენს, ვინ შეედრება სინათლეს იმისას, ვინაც ჩვენი ბუნების ღამითი მხარეების წაუსაფრებლად ნათლეს ჰყენს უგრუმესს, ვინ შეედრება დიდოსტატობას იმისას, ვინც უდიდეს სიბრძნეს უმარტივესი სიტყვით გვაწვადოს, ვი არ გვაწვადოს, არამედ გვანიშნებს და ყოველკაცს, ვისაც მისი გენის უმანაკისი შუქი მისწვდენია, ასე აღიჭრებიანებს, თითქოს ქმნილება მისი თამაშითა და ღაღბობით იყოს შენაკში.

ან ვინ ვატროლდება გენიას იმისას, ვინც ყოველ კაცში შემოქმედს აღიჭრებს და ყოველ შემოქმედში აწვიფებს ისტატუსს.

ასეთია რუსთაველის გენია.



რამდენი აკადემია ილწვის მსოფლიოში ჰომეროსს, დანტეს, შექსპირის და გოეტეს კომენტირებისათვის, მიუხედავად ამისა, ესენი დღესაც შოლოდ სანახევროდაა მეთხველთათვის ზელმისაწვდომი.

არა მარტო ძველად, ახლაც არა ერთმა კოლმურნემ, ქალმა და კაცმა ზეპირად იცის ვეფხისტყაისანი საქართველოში დღესაც.

რუსთაველს ამდენი შუაგაცები არ დასჭირვებია არასდროს, ზელმისაწვდომს მის პოემაში უკომენტაროდ იგებდა და იზეპირებდა ქართველი ხალხი, ზოლო დანარჩენს ისე ითვისებდა, როგორც ინდოეთის ხალხები უფანიშადების ალაგორ ბინებს.

რუსთაველი იყო არა მარტო დექემდებელი ქართული პოეზიისა, (ლიტერატურათა ფრემდებელი სხვადასხვა დროსა და სხვადასხვა ხალხში მეორეხარისხოვანი ტალანტებიც ყოფილან) არამედ ქართული პოეზიის უწარჩიანებულესი მამფალი, არა მარტო უმაღლო მეტრი დიდოსტატობისა, არამედ დიდი შემტრები ქართული მეტრეველებისა, ქართული ენის მალაღლი კანონმდებელი და შეუძსერელი დღლამი ქართული ენის კულტურისა.

ამა და ჰირში, ნადიშა და ლხინში ქართულენაზე მეტრეველი მისგან სესხელობდა დღენიადგ მხეობას. ვინ იცის, რამდენი ვაყვაცო გასულა რუსთაველს თქმისაგან გულმოცემული მამულის მტრების წინააღმდეგ სიომრად, რამდენ მეომრისთვის ნუგეში უცია მასვე ბრძოლის ველზე, სულის ამოხლომის მძიმე წუთებში.

როცა ბარბაროსები შემუსრაგდენ სხვადასხვა კერას ქართული კულტურისას, რაცაა დოლიანტებს სახელწოდების ნანგრევებს ქვეშ მოაქცევდენ, გუტინბერგის გენიოსური გამოგონების ჩვენთან მოღწევაამდის, ქართველი ხალხის მესსიერება ინახავდა ჩვენთვის მისი სტროფების ჯადოსნურ კრილოსანს.

ხომ ასე ჰყავდა იგი გულში ამოტრიალი ქართველ ხალხს, მიუხედავად ამისა, რუსთაველი უარესად საყვარელია არა ქართველთათვისაც და უღრესი მნიშვნელობის მსოფლიოკაცია.



გეოგრაფიული ორიენტაციის მიხედვით რუსთაველი აღმოსავლეთისა და დასავლეთის სამანზე დგას, არა მარტო იმიტომ, რომ ფაზისი ევროპისა და აზიის მიჯნად მიიჩნდა ძველებრძენ ეპტორებს.

მისი მსოფლმეგრძნება უფრო აღმოსავლურია, ზოლო ფორმითქმანში და თქმის ტემპერამენტში იგი ძველებრძენ დიდოსტატებს უფრო გავგონებს.

ეს უქანასკნელი მუღამ აფრთხილებდენ ზელოვანს:

არც ზომაზე მეტი და არც ზომაზე ნაკლებია. წრესგადასული ენტუზიზმის გამკლავებება ისევე მავნებელია ზელოვნებაში, როგორც დაუოკებელი გრძნობიერების გამოჩინება, რადგან არივე შემთხვევაში ბანალობის საფრთხე უდაჩაუკებს შემოქმედს.

ზომიერება იყო სწორედ ძველებრძნული ელოვნების ანი და პოე.

ამის მეოხებით მოსძებნეს ბერძნებმა ისეთი ფორმები ზელოვნებაში, რომელში შემდეგ საუკუნეებშიც მიუღწეველი დარჩა როგორც პოეზიის, ისე სკულპტურისა და ხელოთმოძღვრების დარგში.

ეს პრიციები უწინარეს ყოველისა სიერციის შეგნებიდან გამოდიოდა.

ძველებრძნებმა იდეალური პროპორციები შექმნეს ადამიანისა და ბუნების ყოველგვარ განსახიერებაში.

მათი სასახლეები, ტაძრები და გემები ისეთსავე პარმიონულ ფორმებში იყვნენ აგებულნი, როგორც მათი ლეწკები, ქანდაკებები და სურათები.

მონუმენტულობას არასოდეს მონსტრუალობაში არ ურევდენ ძველი ბერძნები, ისე როგორც ჩვენს დროშიაც ემართება ბევრს.

აქრობოლისის მუზეუმში, რომში, შწკრივად დალაგებულა ცალკვრძ ფიდაისის, პრაქსიტელის და ეტნობი ბერძენ ოსტატების მარმარის ქანდაკებები, ცალკვრძ რომაული ეპიგონების ვაჯკომული ჰერმესები, ვენერები და აპოლონები, ეა რომაული მონსტრუალობა პანოტიკუშის ექსპონატებს მოგაგონებს მჭვრეტელს.

ეს მონსტრუალობა ახასიათებდა არა მარტო

რომის, არამედ ირანისა და ინდუსტრიალის ხელშეწყობისაკენ ძველად.

მე მგონია, გოეტეს დიდაქტური თავმოდრეკილება ამტკიცებდა, როცა იგი ირანულ პოეტებს აუწყებდა თავის თავზე მალა.

აღმოსავლეთის ხელოვნებაში უუკველად თავს ეცემა კაცს ეს მონსტრუალიზმი.

როცა შემოქმედს სივრცის პროპორცია აკლია, როცა მას სატყვისა და ფერადის ეკონომია ეუცხოება, ხელოვნური კმნილების ორგანიზმსაც დისპროპორციული სახარები ეჭნება და სწორედ ისაა გაზუიადების მინის სათავე.

ეს პიპერბოლიზმი თანა სდევდა მამაბარატის ციკლიურ პოემებს, ირანულ შანამებს და არაბულ ათას ერთი ღამის ნოველებს.

ძველ ბერძნებს პომპროსის პოემების მეტა რომ არაფერი დარჩენოდათ, შემდეგ საუკუნის ისტორიკოსები შინკე ზედმწიფებით აღადგინდნენ როგორც ოლიმპის ღმერთთა სამყაროს, ისე ბერძნების ომებს, მათ ყოფას, მათი სულიერი და მატერიალური კულტურის სრულ ინვენტარს, მათ ცხოვრების სოციალურ ვითარებასაც.

პომპროსის პოემები მრავალჯერ უფრო მცირე მოცულობისაა, ვიდრე თუნდაც მარტოიდენ შანამე.

მხოლოდ დიდ პოემებში ყველაზე ტანმოზრინლია ვეფხისტყაოსანი, თუმცა იგი მთელი მანძილი სიტყვიერი კულტურის უზაღლო საარგო, და ამის ახერხებს რუსთაველი, რადგან პოემის დაცულია რომანიული ქარაგის კანონზომიერება და ამავე დროს ავტორი უაღრესად ავტორისტული მანერით კუმშავს და ამკერივეს სათქმელს.

ავტორისტულ მეტყველებაში რუსთაველი შეუდარებელია.

ასევე უნიკალურია რუსთაველის რითმული ინსტრუმენტი.

როგორც ძველი აღმოსავლეთის, ისე ანტიური პოეზიის უდიდესი შედეგები მნიშვნელოვანია საკათხეა ჩვენს ეპოქაში.

ჩვენი საუკუნე სულ სხვა მოთხოვნალებამ უყენებს პოეტურ ნაწარმოებს და ეს ეჭება უწინარეს ყოველისა ფორმის კმნილებებს.

ანტიურ ერებს არ შეუძლებოდათ ბოლორით-მოვანი ლექსი, ბერძენთა ჰეგზამეტრები უზმოდ საკითხავად რიდი იყო განკუთვნილი, არამედ ხმამაღლა სათქმელად და სამღერად.

რუსთაველის გვინამ შექმნა ისეთი უაღრესად ხალხური ფორმა ლექსისა, რომელიც ზედმწიფებით იდეალურია როგორც უზმოდ საკითხავად, ისე წარსათქმელად და სასამღერად.

თუ პომპროსის, ვირგილიუსის და ვარტეს პოემები ასე თუ ისე მონიტორირ რიტმულ პრინციპზეა აგებული და დიდ მწიფეულს მკითხველის ყურადღებას, რუსთაველს უმეტეს მალაი და დაბალი შიირი ენაცვლება ურთიერთს.

ეს მოვლენა მხოლოდ ახალ საუკუნეებში შემინეს დასავლეთის პოეტებმა და დიდ პოემებს ნაირნაირი რითმული ინსტრუმენტი შეამკულეს, მე ვვლისხმობ ამ შემთხვევაში გოეტეს „ფალსტ“.

შუასაუკუნეებში, რუსთაველს შემდეგ ერთი საუკუნით გვიან, მხოლოდ დანტემ იხმარა ბოლორითმოვანი ლექსი დიდი პოემის დასაწერად.

დანტეს ტერცინი, ანუ „ტერცია რამა“, სამსტრუქონიანი ლექსია, სამკვეცი რითმით ურთიერთზე გადასაცვლი და იგი იამბური სტრუქტურისაგანა მთლიანად შემდგარი.

ამ მხრით იგი ვაკილებოა უფრო ნაკლებად „დემოკრატიულია“, ვიდრე ხალხურ, ქართულ შიირთან ეგზომ მისადაგებული ლექსი რუსთაველისა.

დანტეს უდიდეს დასაზრებდალ ეთვლება ნაიკონალური იტალიური ფორმის მოქმენა და ჰეგზამეტრის დაღვევა, რამდენადაც ჰეგზამეტრის პრობლემა მე-18 საუკუნის მიწურულამდის აწკაულებდა დასავლეთის პოეზიას. სამაგიეროდ, დანტეს „ეთვებრივი კომედია“ ფაბოლურ მაგისტრალს მოკლებულია, მის პოემას არ მოეპოვება ისეთი სიუეტური ქარაგა, როგორც პომპროსისა და რუსთაველის ვეფხისტყაოსანს, ამ მხრით ეს უკანასკნელი უახლოვდებიან დიდოსტატობით დაწერილ რომანებს.

დანტეს პოემის დინამიკობის საწყისია რითმული მესეკალობა, პომპროსი და რუსთაველი კვალდაკვალ მისდევნ ფაბულურ ქარგას.

ბაირანის, გოეტეს, ლონგელის და ვაგაფშაველას მიერ შექმნილი პოემის ეანრი თითქმის გადაკვარდა.

თავით ბაირანმა სიციცხლის უკანასკნელ წლებში ამაოდ მოსინჯა ვა პოეზიისაკენ, ხოლო მანინი მანემ უფრო მამარად განიცადა ეს ტრაგედია, მან დიდხანს ამაოდ იბრძოლა კლასიკური პოემის აღსადგენად, მერე პროზა ფონს დაუწყო მებნა, მაგრამ ნარკვევის ეანრს ვეღარ ვასცოლდა.

მარტოიდენ ლირიკა რომ აღარ ყოფნის უაღრესი დინამიკობით აღტყინებულ ზვეს თანადროულბას, ეს კარგად ენმოდათ სიმბოლიზმის კორიფეტებს: ბოლერს, ვერსებს, სტეფან გეორგეს და რანერ შირია რილეს.

ამ უკანასკნელმა სოცედილის წინ საესებით უარყო ლირიული ლექსი და ეისტორიულ პროზას შეაფარა თავი.

ქართული პოეზია ემეისაკენ მიჰყვდა მე-18 რუსთაველის გენიას. დავით გერამიშვილი შესწლო მე-18 საუკუნეში ეპოური პოემის შექმნა, ემეისათვის გმირულად იბრძოლეს გა-

სულ საუკუნეში ნიკო ბარათაშვილი, ვაჟა-ფშაველამ, ილიამ და აკაკიმ, და ზოგადი თანამედროვენი, ჩვენი საუკუნის პოეზიასაც აქეთვე ანიშნებს რუსთაველი.

თანამედროვე შერეობას უდიდესი ზიანი მიაყენა უკანასკნელ საუკუნეში ევროპელი ფორმალისტების მიერ გავრცელებულმა თეორიებმა. თავდაზავების ტზად დადგომიდა ის მელანი, რომელიც დაზარჯეს მათ დასამტკიცებლად იმისა, თითქოს პოეზია გულადმშტა რითმების რინზაზობა იყოს მხოლოდ.

სიმბოლოზმის, ფურტურაზმის, ექსპრესიონიზმის და სხვა ლიტერატურულ იზმების" ქერუ-ზემბა მეორე მხრითაც ავენს პოეზიას.

ეს იყო გადაჭარბებული მინიატურაზმში. როგორ სასტიკად დასკინის რუსთაველი ამ „ნადირთა მტრეთა მონადირეებს", რომელთაც დიდი რბევის ატანა ვერ მოეზერხებინათ, სამაგიეროდ, ას ლტრა რკინას ლეკვდნენ ტრაზბით. ეს მინიატურაზმში და ებიური იმპორტურაზმა საფრთხეს უქადის მთელი ჩვენი ეპოქის ლიტერატურას, რადგან საუკუნე, რომელმაც უდიდესი ღირთავალები აუშვა ცაში, გრანდიოზული არხების, ქარხნების, ბოლსს უდიდესი კათალიზმების საუკუნე, ზუნებრთავად მოითხოვს დიდსა და მონუმენტურ ეპოსს.

რადგან ეპოქალური ეს იგივეა, რაც ეპიური. ნაციონალური შერეობა მხოლოდ შაინს იქცევა ლიტერატურად, როცა იგი ებივის თავიკულურებს დაემყარება. ლირიული პოეზია აზბის, ავტრალიის და აფრიკის ნომადებსაც მოეპოვეზათ, მაგრამ თავისთავადი ლიტერატურა ებივიდან იწყება მხოლოდ.

მაპარატას, შაინამეს, ილიადის და ოდისევის ავტორები ხალხებისა და მათი კულტურების შეზღა-შეზობლის, იმებსა და ყოფას გვიხატავენ, ასევე ვეფხისტყაისანში ერთი რომელიმე ნაციონალური ცხოვრების სურათები როდია აღწერილი, არამედ მთელი მისი თანადროული მსოფლიოს ინვაზიების, იმ საუკუნის ყოფის, ეთიკის და მსოფლმზედველობათა ურთიერთთან შერკინების ამბავი.



ათინაში ერთი კერა მდგარა თერმე ოდეს-ღაც იგი არც არას ამბობდა, არტუე რაიმეს ისწავლიდა, არამედ წამუყოფდა, ანიშნებდა მხოლოდ.

ასეთი დიდი მანიშნებელია ჩვენითვის რუსთაველიც.

მას არ დაუწერია ტრაქტატები პოეტისათვის, მაგრამ სულ რამდენიმე სტროფით გვანიშნებს შაირობის ზელოვნებისათვის.

მისი თეორია დღესაც მოისმის როგორც მისწერილი გაფრთხილება ყოველი დროისა და ყოველი ერის ზელოვნათა მიმართ.

პოეზია რუსთაველისათვის რითმების თვით-

ნიზური თამაში როდია, არამედ ერთერთი დარგი სიბრძნისა. ამ მხრით იგი პირდაპირ ეხმარება პლატონს. „პოეტი შემოქმედითელი ბრტენია", ვითხვლობთ „ნადიმში". პარპონიული ზომიერება რუსთაველის მსოფლმეცნიერობის თავიკიდურია არა მარტო პოეტის, არამედ ეთიკის საქმეშიაც.

თავის პოემის შესავალშივე ემიჯნება რუსთაველი ყოველივე წრეგადასულ ჰელონიზმსა და ზანალურ ეროტიზმს.

არაა მართალი ის აზრი, თითქოს ანტიური სამყაროს, ან შესაბუნებო პოეზია მეტის კდემპოსილუბით იყოს ცნობილი, ვიდრე თუნდაც თანადროული ბურჟუაზიის დეკადანსის პერიოდისა.

როგორც ანტიურ, ისე ევოდალურ საზოგადოებათაც სჩვევოდათ ფრიად ამორალური პოეზია.

ყოველ ეპოქას, რომელიც აღმასვლას მიეღობის, უშველად უნდა ახსოვდეს, რომ წრეს გადასვლა და ჰელონიზმი უშველი დაღუპვის მაცნეა.

ეს განიცადეს კიდევაც ათინის, რომის და გვიანი რენესანსის/რესპუბლიკებში. როგორც კი ცხოვრებაში ჰელონიზმი თავს მოაკიდებდა, მყისვე მათ ზელოვნებაშიაც ფეს იჩენდა ორგანისტული სულისკვეთებაც და ზუნებრივად იბღალეზბოდა ის კდემპოსილუბა, რომელსაც მიჯნურობის საქმეში მოითხოვს რუსთაველი.

სოციალური გერ კიდევ პინდური ვედებში, ჰესიოდისა და ემპედოკლეს წმინლეებში ცნობილთა როგორც კოსმითური პირველადი პრინციპი. ემპედოკლესათვის სოციალური, ანუ მეგობარობა („ფილოტეს", „ფილარ") და სიძულელი ანუ წაიგდება („ვეიკოს") მწიფერი ყოფის თავიკიდურება. ემპედოკლეს თეორიით, მეგობრობა აკავშირებს ყოველივეს, შემდეგ ჩამოადგება წაიკდება.

წაიკდებას ზანათათა და კავშირთა გათიშვა მისდევს, ერთსახიერება მრავალნაირობათ შეიცვლება, შოვა სოციალური და ამას ყოველივეს „ღეთებრივი სპაიროს" გააერთიანებს.

ეს პრიციპი, ემპედოკლეს კონცეფციით, მარადამეულად მოქმედებს საგნებისა და ადამიანების ჭკევასა და მოქცევაში.

რუსთაველის პოემაე უაღრესად იდილიური ტონებით იწყება.

ღობობით გაჯიბრებული მეფე და ყმა სანადიროდ გასულან. იდილიური სიმშვილთა შაირბოდა შევსა და მის ამირბარს შაირის. შემდეგ ამისა ჩამოადგება წაიკდება „ვეიკოს" და აქედან იწყება მთელი პოემის დინამიკის სათავე.

მეგობრობისა და წაიკდებას მომენტები ნაჩვენება როგორც ტარიელისა და ნესტანის საყვარულში, ისე ტარიელისა და ფრიდონის მეგობ-

1 იხ. პლატონის „ნადიმში". მანერის გამოცემა, გვ. 73.



რობაში, დავარისა და ნესტანის ურთიერთობაში.

ვეფხისტყაოსანში წაიღების ეპიზოდი ნაწილად, მთელ მსოფლიო პოეზიაში უბაძლო ერთი-ერთ სცენაში, ლომ-ვეფხის წაიღება, სადაც ტარიელი კაცის მოულოდნელ ვეფხს, რომელიც გულის მიჯნურსა და მასთან წაიღების მოაგონებს, შემდგომ ამისა ტარიელი მოპკლავს უნაშობ ვაჟასებურ ნაღობს.

რუსთაველის პოემის დასასრულში მოვა სიყვარული წაიღებისაგან დაქსაქსულთა და ქვეყნის სხვადასხვა კლდეში გაბნეულ გმირებს პოემისას კვლავ აერთიანებს „სპაროსის“ სახით, ქაჯეთის ციხის აღების შემდეგ.



პლატონისათვის სიყვარული ბიოლოგიური, ვრწმობითი საწყისი როლია, არამედ მშვენიერის, სიქველის პერტისა და შეცნობის ერთობა.

ეროსი ეს ფიზიოლოგიური ვრწმობის სიმბოლო როლია, არამედ იგი იდეალური სიმყაროსაკენ მივლილება სულს.

„პოეტა შემოქმედებით ბრძენია, ვკითხვოლომ პლატონის „ნაღობში“ და ამიტომაც იგი სხვადასხვა ამოცანებს, ყოველი კაცი (მის მიერ) პოეტად იქცევა, თუნდაც წინათ უმეზო ყოფილიყოს იგი, თუ კი მის ეროსი დაეუფლა. ზევრ აქიდანაც ვრწმუნდებით, რომ ეროსი მესურია ნიკით ძალმოსილი შემოქმედია.

მისიარობა, მკურანლობა და მისნური წინა-თქმა ამილონმა გამოიგონა სინათლის წერევილითა და სიყვარულით გულანთებულმა, ასე რომ იგიც ეროსის შეგირდია. ისევე როგორც მუზეი პენიკაში, ჰეფესტოს ოქროშეღებლობაში, პალას ათინა — ფერწარობაში და ძვესი — ლმერათთა და კაცთა წარმართვაში“¹.

არც რუსთაველის მიჯნურობა პირწმინდად ბიოლოგიური საწყისი. იგი არც სიძვა და არც უფულა „მტრამატრში“, მიჯნურობისაგან ზღვრწმობი, მისი გმირები მარტოოდენ სტესობარულ აღტყინებას როდ აყულობენ, არამედ მიჯნურობა აძლევს მათ საგმირო საქმეთა ჩასადენ ძალმოსილებას და სიქველს.

რუსთაველის სიყვარულის ფილოსოფია ლეონარდო და-ვინჩისაც ეხმარება.

„უღრვის ილტყინებას მოშენტში, გვასწავლის და-ვინჩი, გამოიჯნურებული რომ შესძლებოდათ საკეთარი თავის დანახვა, ადამიანების მოდგმა უთუოდ დაიღუპებოდა“.

რუსთაველის „არს ამტოროემ“, მისი პოეტისა მოჩვენული ვასალება როგორც რუსთაველის მსოფლმხედველობისა, ისე მთელი პოემის არქიტექტონიკის შესახებობა.

დასავლეთის ისტორიოგრაფიკურ/ტრენკენკენ-რათომოდნობა მე-18 საუკუნის შიქრქელქელდევგალებელ ყოფნენ არა მარტო ძველი აღმოსავლეთის კულტურას, არამედ ძველი საბერძნეთისაც.

ამჯერასავე იგნორაციას იმენდენ უკანასკნელ საუკუნეების წინააზიისა და კავკასიის ხალხების კულტურისა და ისტორიის მიმართაც.

სწორედ ამ პანევროპული ქედმაღლობის წყალობით იგნორაც არ დაფასებულა მსოფლიო მასშტაბით საქართველოსა და სომხეთის დამახერება შეა-საუკუნეთა ქრისტიანული კულტურის წინაშე.



ლეოპოლდ რანკემ მართებულად შენიშნა, რომ ევროპის კულტურის ორი ათასი წლის ისტორია მოწმეა იმისა, რომ ამ მანძილზე აღმოსავლეთისა და დასავლეთის იდეური ზეგავლენანი მამარად ებრძოდნენ ურთიერთს.

უფრო გვიან გოეტემ და ჰაინემ აღნიშნეს ერთგვარი დიალიზმი დასავლეთის კულტურაზე ზედმოქმედ ფაქტორებისა. ეს დიალიზმი შენაკულებით მელაუნდებოდა, ერთი იყო ელინისტურ წარმართული მშვენიერების იდეალი, ხოლო მეორე ასკეტურ ქრისტიანულისა.

რუსთაველის ხანა ემოხვევა აღრიან რენესანსის ეპოქას ე. წ. „ქრისტიანი ხალხების“ ისტორიაში.

ცნებანი რენესანსისა და ჰუმანიზმისა ბევრ შემახვევაში ფარავენ ურთიერთს. თუმცა სიტყვა რენესანსი იტალიური „rinascita“ — დანაშენარეობს, მაგრამ იგი არ ყოფილა მარტოოდენ ნაციონალურ-იტალიური მოძრაობა. არც თუ ზელოვნების ერთ რთმელიმე დარგში განსახიერებულა იგი.

რენესანსი შეეხო არა მარტო პოეზიას და მხატვრობას, არამედ აზროვნების, ყოფის, სოციალური, ცხოვრების ყოველნაირ გამოვლანებას.

რენესანსი ახასიათებდა არა მარტო იტალიური ტრენენტოს და ქვატროტენტოს, არამედ ეს იყო დიდი, ინტერნაციონალური მოძრაობა, რომელიც ახალი ერის პირველი ათასწულია წლის შემდეგ ჩამოდგა ქრისტიანული ქვეყნების აზროვნებას, შემოქმედებასა და ყოფაში.

რენესანსი განსახიერდა არა მარტო დანტეს, პეტრარკას, ბოკაჩიოს, ჯიოტოს და იტალიური ფრესკის მხატვრობაში, არამედ მისი იდეური ფულეობი ვაღაქუნდინა საქართველოს საკულტისო მხატვრობას, ხელომომღერებს და რუსთაველის გენიოსურ პოემაში ამ მოძრაობის ზედგავლენანი არანაკლებად ზღებთან საყნაურ.

რენესანსი დასავლეთში მიმართული იყო რე-

¹ იხ. პლატონის „ნაღობი“.

აქტიურ, ანტიანაციონალურ კათოლიკურ კლერიკალიზმისა და ასეტიზმის წინააღმდეგ ცხადია, ბიზანტიური ქრისტიანობიკ აზიანებულ ანღუნებდა მის ზეგავლენის ქვეშ მოქციულ ერებს.

თუ დასავლეთში ლათინური ენის ინტერნაციონალიზირება ხელს უშლიდა ნაციონალურ ენებს, სომხურსა და ქართულს, საუკუნეების განმავლობაში მოუხდათ ბრძოლა ბერძნულ ზეგავლენასთან როგორც ეკლესიაში, ისე ეკლესიის გარეთ, ზელოვნებასა და ცხოვრებაში.

ამ ბრძოლის უტყუარ ნიშნებს დღესაც თვალნათლივ ვხედავთ საქართველოს მხატვრობასა და ზურთომიძეებში.

იტალიური რენესანსის ლოზუნგი, იყო: „რეგენერაცია რომე, რვენე რაციო იტალიე“¹. ბუნებრიობისაყენ, თავისუფლებისაყენ მისწრაფება ეს იყო რენესანსის მთავარი ლოზუნგები.



რენესანსი, როგორც ზოგიერთ ისტორიკოსს ამაოდ ჰგონია, არისტოკრატიული მოძრაობა როდი იყო, არამედ უაღრესად დემოკრატიული. რენესანს მოჰყვა 1282 წლის პაპულარული რევიოლუცია ფლორენციისა, სადაც მუშები დი წერალი ბერეუაზია შეებრძოლა ბარონებისა და ტირანების ზელსუფლებას.

წარმართულ ანტიური ნაკადი რენესანსის კულტურისა მოთხოვდა ქრისტიანული ასეტიკიზმისაყენ დაწაფებულ ადამიანის პიროვნების აღდგენას.

რენესანსმა გააღვიძა ზელოვნებაში ბუნებრიობის, რეალიზმის და თავისუფლების იმპულსი.

ამ მოძრაობას ხელი შეუწყო არა მარტო იმდროინდელი ქრისტიანული საეკლესიო შინაგანი ძალების აღორძინებამ, არამედ აღმოსავლეთთან გაზშირებულმა ბრძოლებმა და ეკონომიურმა ერთიერთობამ და, უწინარეს ყოვლისა, არაბთა კულტურის ზეგავლენამ.



არაბებმა შეასრულეს უდიდესი როლი ევროპის კულტურის წინწაწების ისტორიაში, მათი შეშვეობით შემოვიდა ევროპის კონტინენტზე ანტიური ფილოსოფიისა და კულტურის ძეგლების თარგმანები.

ცნობილია, გაკილებით უფრო ადრე ვიდრე არაბთა სწავლულები ჰოპენმატაუფების პალერმოდ სანსაღეში ფეხს მოიყიდებდნენ, არაბთა კულტურის ზეგავლენანი საქართველოს და სომხეთის კულტურის ცენტრებს მისწუდენია აღბათ. საქართველოში ქრისტიანულ კულტურის ასეტიკურ გამოვლენებას ბუნებრივად უპირდაპირდება ირანული კულტურის ზეგავლენა ზელოვნებაში.

¹ აღორძინება რომისა, აღორძინება იტალიისა.

თუ იტალიურ ფერწერაში ჯიოტო გახედა ქრისტიანული ზელოვნებაში არამუნებრივი სქოლასტიციზმის უაყყოფა, რამდენიმე საუკუნელო ოსტატი მოეპოვება საქართველოში ფრესკას მხატვრობას, ჯიოტოზე ადრე რომ გვიხატაყდნენ რენესანსული სულით გაკიცხლებულ ფრესკებს, ნაციონალური ტემპერამენტით დახატულ მაღონებსა და წმინდანების ფიგურებს.

პოეზიაში რუსთაველმა აიფუნა ადამიანი და მისი ენებები უმაღლეს ხარისხამდის.

რენესანსისა და ჰუმანიზმის პროგრამული მოტივი იყო ადამიანის პიროვნების ამაღლება „ვირტუს“ — სიქველის ზარისხამდის.

რუსთაველის მთელი პოეზის მანძილზე გვესმის ეს მოწოდება სიქველისადმი და ეს „ვირტუს“ მას ესმოდა როგორც სიქველე, გმირობა და სახელს მოხვეჭე, მეგობრობისა და ქალი-საღამი პატივისცემის კულტი.

კოლა და-რიენცოს ამბოხის მიმართული იყო თავისუფალი რესპუბლიკის აღდგენისაყენ, სავრთოდ.

ადამიანისა და ადამიანთა კოლექტივის თავისუფლებას უმდეროდა რენესანსის პოეზია. ამ კონტექსტში რუსთაველის „თავისუფლე მოენები“ დიახად ეხმაურება კოლა და-რიენცოს „თავისუფლებათა აღორძინების“ ლოზუნგს.



რუსთაველმა შემოაბრუნა ქართული შწერლობის ტიპონი. ქრისტიანული ჰაგიოგრაფიის მკვლარი სქემებიდან ადამიანური ენებების აპოლოგიისაყენ, ქრისტიანული დოგმატიზმის სიბუნელიდან ჰუმანიზმის სათელი შწერაულბისაყენ, ჰუმანიზმის მოტივებისაყენ, თუმცა, უნდა ითქვას, ჩვენი სასულიერო შწერლობა თვით იაკობ ზუცუისა და მერჩულის ჰაგიოგრაფიულ პროზაშიაც ამეღაყენება ამ ტენდენციებს.

საქმარისია მოვიგონოთ დიდი ბუნებრივობითა და მძაფრი რეალიზმით შესრულებული ეპიზოდები ამ ორი დიდ პროზაიკოსის ქნაღლებში.



სავსებით დამოუკიდებელი პოზიცია უქირავს რუსთაველს კოსმოგონის საკითხებშიაც. ამ შხრავ იგი კარდინალურად განსხვავდება როგორც ანტიური, ისე დასავლეთური პოეტების მსოფლშეგარძნებებიდან.

მისი გმირები, ჰომეროსის გმირების დარად, დეფივიტრებულნი, გაღმარებულნი როდი არიან, არამედ თხემიდან ტერფამდე ადამიანური ენებებით აღჭურვილნი.

ოღისეი, ენეი და დანტეს პოემის გმირება ლეოთაბისაყენ დამოუკიდებელ არსებობას მოკლებულნი არიან, დეოთაბა ერეკა ამ გმირების ბედისწერაში. აქ უმთავრესია — თავისუფლება ნებისა.

პომეროსის მშვენიერი ელენე და აქილევი, ნესტანისა და ტარელის დარად ქორწინებენ კიდეც, მაგრამ ელენე „ღვთაებასთან წილანყარა“ იგი შითის მიხედვით მღვდრობითი სქესის ღვთაებაა, რომლის სიმბოლოდ შეიგარ იყო მიჩნეული ცაზე. პომეროსის თავის ოდისეაში თვით მელორესაც „ღვთაებრივს“ უწოდებს.

ბეატრიჩეც დეფიციტურებულია დანტეს კონსოლიციონით, ზეციური სამყაროები ბეატრიჩეს წარმოდგენილია როგორც ასტრალური არსება ან ღვთაების თანახიარი.

რეალისტური შტრიხები გვხვდება კომედიის შუაზე ხარისხიდან გვირგვინის ფერწერაშიაც. ამ შტრიხით იმ დროინდელ დასავლეთის პოეზიაში სავსებით უბადლოა ფრანკისკას და პაოლოს გამოხატულებების ამბავი „ჯოჯოხეთში“. თუმცა, იგი უნდა ითქვას, ავთანდილისა და ფეტმანის ორგანისტულ მიჯნურობის სცენას შიდაც ვერ შეედრება ეს ადგილი დანტეს „ჯოჯოხეთისას“.

რენესანსის „ვირტუს“-ს კონცეფციაში შედითოდა უარყოფა გვირგვინული არისტოკრატიზმისა, გვირგვინული აზნაურობის ნაცვლად რენესანსმა წამოიყენა „სულთერი აზნაურობის“ პრინციპი. ადამიანის პიროვნების პირადი ღირსებისათვის უპირატესობის მინიჭება. მოიგონეთ რუსთაველის „სჯალბის სახელისა მოხვევა ყოველსა მოსახვეველსა“.

მოხედავად იმისა, რომ ბერძნული ანტიური სამყარო რესპუბლიკური იდეების სათავე იყო, პომეროსის ცნობილი სენტენცია: „უნდა მეფობდეს ერთი“ მთელი ქვეყნის მონარქისტებს ხელზე აქვს დაბეჭეული. პოლიტიკურად დანტე თავის De monarchia-ში უღალესად რეაქციული მონარქიული აზროვნების აპოლოგეტია, მისტიკურად განწყობილი მოაზროვნე.

რუსთაველის დროსთან შეფარდებით სავსებით რადიკალური აზრია თუნდაც იმის დაშვება, რომ არა მეფური წარმომავლის უმც, ტარიელი, პინდოთა მეფის ტახტს წეპობტინება.

პომეროსის და დანტეს გვირგვინი ზარდაცემული არიან ზებუნებრივი ძალების თარეშისა და „ყოველის შემძლე ღმერთების რისხვისაგან“.

პომეროსის ღმერთები ოლიმპოს ტრაპეზს როდის სჯერდებიან, ისინი ადამიანის უღუფთაო იდეებზე წილს, ადამიანს ედავებიან ამქვეყნიურ ნაყოფთა რთველში.

დანტეს უზუნაეს ღვთაება ბიბლიურ იეპოვას წაავას, იგი ყოველივე ადამიანური ვნებების უსასტიკესად გამოთხველია. შემზარავი პანორამები წარმოდგენილია დანტეს ჯოჯოხეთში, სადაც ადამიანი ისჯება არა მარტო ცოდვებისა, არამედ ყოველივე ადამიანურ გატაცებისა და ვნების გამოც.

მინიმალურ სასჯელს განიცდიან დანტეს „ჯოჯოხეთში“ თვით ძველი ბერძნული, ქრისტიანული ეპიკურელები, ფილოსოფოსებზე და მწერტებზე რომელთაც ვერ მოასწრეს ქრისტიანულ სიჭეუღეთა ათი მცნების წაქოთხვა.

რუსთაველის სამყაროს ლტენა მოცემულია კაცობის, სიყვარულ არაა ცნობადის ხის აგრძალული ნაყოფი და რუსთაველის გვირგვინოღად უღარესი შეჭირების ეამს მიმართავს ღვთაებას, რომელიც მიწერი ცხოვრებისათვის განმკითხველ მსაჯული არიდა, არამედ სავსაღად პასიური მაცქერალი ცხოვრების ასპარეზზე მომზადრისა და ატლომილისა.

სწორედ იმის გამო რუსთაველის გვირგვინი უყოყმანოდ მოქმედებენ როგორც კი შათი პიროვნული ინტერესი შეიღახება. როგორც უყოყმანოდ ჰქვავს ტარიელი თავის მეტოქეს ზვარაზმის ვაჟს, ასეთსავე შეუდრეკელობას იჩენენ დანარჩენი გვირგვინი სხვადასხვა დროს მოპირდაპირეთა მიმართ, როცა ისინი ღაინახავენ საკეთარი ინტერესების შეღახვას.

ასევე გულმშვიდად ურჩევს ნესტანი ტარიელს ზვარაზმელი სახმოს მოკვინდვას „შათთა სპათა აფრეღულად“. ამ აქტის შემდეგ ტარიელი ქენჯანსაც არ განიცდის. ცნობილია, რომელიმე რელიგიის თანახიარი, უეჭველად იჩანებდა კაცის ევლას, თუნდა თავისი საქციელი კანონურად ჰქონოდა მიჩნეული.

პომეროსისა და დანტეს გვირგვინის მოქმედება საბოლოოდ ღვთაების ნებისმიერ შეზოღილია.

როგორც თავისი კონსოლიციონით, ისე პოეტურად მეტყველებითა და სხეთა კომპლექსით რუსთაველი გაცალეებით აბლო ღვას ჩვენს ეპოქასთან, ვიდრე რენესანსის პოეზიის თავყარი, რუსთაველისათვის უცნობია ის მრუმე ფერები მისტიციზმისა, როგორითაც განიარჩევა მთელს მსოფლიოს დიდოსტატთა შორის დიდი ფლორენციელი, ალიგიერი დანტე.

სქოლასტიციზმისა და მისტიციზმის გაუქალი სიბნელით დაბანველ ეპოქაში რუსთაველი ღვას მსოფლიო პოეზიის პანთეონში ისე შეუვალთ და განკერძოებული, როგორც ჩვენი მიწინაწერი, ამომავალი მზის მთიებით გაბრწყინებული.

სწორედ ამიტომაც ანალებსა და თარიღებს გაქცევი და ლეგენდად ქცეული მისი სახელი და მისი ომბანანი ზნა მრავალი საუკუნის ბნელით გარემოცული, დაუცხრომლად დვრინავდა ქართული ხალხის გულში. ზან მწყემისი სტეიზიდან ლალობდა იგი, ზან გლეზურ დარბაზების აოღებს ქვე გრავინავდა და გლახაყების ფანდურის ზნაქუნშიაც ისე მოისმობდა, როგორც სენეპასტოან ბაბის მესიკა, ორგელის ჯაღოსნურ საღმურებიდან განცხადებული.



მხიარ მანგალია



ძველი ქართული მწერლობა და მედიცინის ისტორიის ზოგიერთი საკითხი

მე-19 საუკუნის ზოგიერთი ისტორიკოსი ქართულ სამკურნალო ძეგლებს არსებითად თვლიდა არაბულ-ირანული მედიცინის უხეირო მიზაძედ, ქართულ ეროვნულ მედიცინაში კი შელაკებისა და ექიმბაზიზობის მეტს ვერაფერს პედავლა. არც შემდეგდროინდელი მკვლევარე-ბი მისულან სწორ დასკვნამდე. ლ. კობტე-ვილიმა ქართული მედიცინის ისტორია დიწყო მე-9 საუკუნედან და სამ პერიოდად დაყო. ეს პერიოდებია:

1. ბერძნული, 2. ირანულ-არაბული და 3. და-სავლეთ-ევროპული.

ამით მან ქართულ მედიცინას დაუკარგა თავისი ეროვნული სახე. ნამდვილად კი ქარ-თული მედიცინა ერთ-ერთი უძველესია მსოფ-ლიაში.

ფილოსოფია და მედიცინა მთელი საუკუნე-ების მანძილზე განუყოფელი იყო, თითქმის ყველა ფილოსოფიაში ამავე დროს მედიცინა იყო და თავისი წვლილი შექმნდა სამედიცინო აზროვნების ისტორიაში. ჰაოკრატე ვალენი, პლატონი, არისტოტელი, დემოკრიტე, ავიცენა, არაბი მეცნიერები და სხვა ცნობილი ფილოსო-ფოსები მედიკები იყვნენ და თავიანთი შემოჭ-მედების მნიშვნელოვანი ნაწილი მიუძღვნეს როგორც ზოგად, ისე პრაქტიკულ მედიცინას.

ძველ ქართულ სამედიცინო ძეგლებშიც ხში-რად ვხვდებით ასეთ ფრაზას: „იკოდე, რომელ აქიში და ფილოსოფოსნი ერთნია და მათ შო-რის საცილობელი არა არს“.

მედიცინის განვითარების დონე რამდენადმე ასახავს ამა თუ იმ ხალხის კულტურის განვი-თარების დონეს მოცემულ ეპოქაში. ამდენად, მედიცინის ისტორია ნაწილობრივ კულტურის ისტორიაცაა.

აქედან ვსაბგებია, რომ ქართული მედიცინის ისტორიის შესწავლა დიდად შეუწყობს ხელს ქართული ერის კულტურული წარსულის შეს-წავლას.

მსოფლიო მედიცინა თავის ისტორიას იწყებს მესოპოტამიიდან და ეგვიპტიდან, რადგან იქ იღობინდა ყველაზე უძველესი ძეგლები, რომ-ლებიც ამათელყოფენ მედიცინას, როგორც სა-

ხელმწიფოებრივი ზრუნვის საგანს. წვეწამლის მოღწეულია მესოპოტამური ე. წ. სოლისებური ტექსტები სარდანიასლის ბიბლიოთეკიდან (66 — 626 წ. ძვ. წ.)¹ და ჰამურაბის საკანონ-მდებლო კოდექსი (2250 წ. ძვ. წ.), საიდანაც ირყვეა, რომ მედიცინა აქ საკმაოდ განვითარე-ბული იყო, არსებობდა ექიმთა განსაკუთრებუ-ლი „კლასი“ და სხვ.

გარდა ამისა დღემდის შემონახულია ეგვიპ-ტური პაპირუსები, ე. წ. „ვეტერინარული პაპი-რუსები“, „გინეკოლოგიური პაპირუსები“, ებერ-სისა და ბრეგვის პაპირუსები, რომლებიც აღას-ტურებენ ეგვიპტეში მედიცინის მაღალ განვი-თარებას მეორე ათასწლეულში (ძვ. წ.).

მესოპოტამიაში (რომელიც საერთოდ კულტუ-რისა და კერძოდ მედიცინის აყენად ითვლება), კულტურას ქმნიდნენ სუმერები, შამბლონელები და ასურელები, სხვადასხვა დროს, მთელი სამი ათეული საუკუნის განმავლობაში. სუმერე-თი მღებარეობდა ტრაგოსისა და ევეფრატის აუზის ქვემო წიღში. სუმერებმა აქ შექმნეს ჩამდენიმე პატარა სამთავრო, რომლებიც შემ-დეგ შეუქმლულვალზავისმა გააერთიანა და საფუძ-ველი ჩაუყარა პირველ სახელმწიფოს მესოპო-ტამიაში.

სუმერებს ჰქონდათ მტკიცე სახელმწიფოებ-რავი ორგანიზაცია, ვაჭრობა, სასამართლო ორ-განოება, კანონთა კოდექსები, სარწყავი არხები. ტაძრები, ბიბლიოთეკები; სკოლები, ჰყავდათ რეგულარული უჯირი და სხვ. მაგრამ თანდათან ძლიერდებოდა სემიტური ტომები აკადელები, ამორელები, რომლებიც სუმერეთთან შედარე-ბით კულტურის მხრავ ჰამორჩენილი იყვნენ, მესამე ათასწლეულის ბოლოს მათ დიპერეს სუ-მერეთი და ჩამოყალიბდა ახალი სახელმწიფო (ბაბილონი), რომლის სახელოვანი მეფე იყო ჰამურაბი და რომლის სახელთანაა დაკავშირე-ბული ზემოხსენებული კოდექსი.

სუმერელებს ჰქონდათ კოდექსები, რომლებიც წვეწამლის არ მოღწეულია. ფიქრობენ, რომ ჰამე-

¹ ძველ წელთაღრიცხვის საუკუნეები ნაწიე-ნებია „გრძელ“ თარიღებად.



ჩაბის კოდექსი იგივე სუმერული კოდექსია. თუ ეს ასეა, პირველი სამედიცინო ძეგლი, რომელიც მსოფლიო მედიცინას აქვს, სუმერული კულტურის ნაყოფად უნდა ჩაითვალოს.

თუ საბერძნეთის ხელნაწილებსა და ფილოსოფიის ნაწარმოებებს სუმერულში პოელობს დასაბამს, მაშინ ბერძნულ მედიცინის ფესვებიც იქ უნდა ვეძიოთ, რადგან ფილოსოფია და მედიცინა განუყოფელი იყო.

ქართული მედიცინის საწყისების ძიებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს სუმერთა დამოკიდებულების გარკვევას ქართველურ ტომებთან. სუმერები სემიტები და არიელები არ არიან. დრავნიკა ორიენტალისტმა ლენორმანმა მე-19 საუკუნეში გამოაქვეა აზრი ქართული და სემერული ენების ნათესაობის შესახებ.

ჩვენში დღემდის შემონახული წარმართული კულტებისა და ხეობების ქართული კულტურის დაკავშირება სუმერულ კულტურასთან, განსაკუთრებით, სუმერულ მაგიურ მედიცინასთან.

შარალ სენია გამოიწვევად ხალხი „ბატონებს“ თვლის, ბატონების დედად აღიარებულია ბარბარე:

დღით მზე ამოსულიყო,
ბარბარე გამოსულიყო.
ეხრა დიბის საბანი,
მზე ეწევა ბატონიშვილი,
ბატონიშვილი ლევანი.

ეს ქართლში ნაწერილი ხალხური ლექსია, სადაც ბატონიშვილი ლევანი ბარბარეს შვილად გვევლინება. „ლევანის“ განმარტება საშუალებას იძლევა ლექსი უძველესი დროიდან მომდინარედ ჩაითვალოს. ივ. ჯავახიშვილის აზრით, სიტყვა „ლევანი“ უნდა იყოს „მლევანი“-ს ანარქული, ამოწმებს რა ს. ორბელიანის განმარტებას: „ესე არს, რომელს გულსაგებდა შიელის, ზეგარდმო შუწვევისა აწეუ, ვინა მეფეთაგან ქმნილ იყოს“. თეთი ს. ორბელიანი კი ამ სიტყვის ახსნისათვის უძველეს ქართულ წყაროს იმეორებს.

სენეთში „ბარბოლი“ (იგივე ბარბარე) სოფლის დისტრატების სალოცავი ღვთაება იყო, თავის შვიდ ავადმყოფობას სენები ბარბოლს შეავედრებდნენ და მისგან გამოითხოვდნენ „თვის ხელობის მფარველობას“. საერთოდ, ხალხში ბარბარეს დღესასწაული დამწესებული იყო ყოველგვარი ავადმყოფობისაგან დასაცავად. სენეთში ვეედრებიან ბარბალოს: „მწენ ქორში (სახლში) მყოფი აღამინებისა და საქონლის თვალის ტავილი და სხეულის სენი-ქვემოთ წვალს მავც და ზემოთ ქარსით“.¹

ან კიდევ: „სახლის უფროსი ვეედრებოდა ბარბალოს, თვალების სინათლეს ნუ მოგაკალებო“. ²

ბატონები შეადინ არიან: „შვიდი ძმანი, შვიდ სოფელს მოვეფინებით... შვიდ სოფელს დასვეცემთ კარავსა“.¹

ივ. ჯავახიშვილი, აღარებს რა ქართველ ხალხში დღემდის შემონახულ ამ ამბავს ბაბილონურ წყაროებთან, აღნიშნავს: „სუმერებისაგან შეთვისებული მოძღვრების თანახმად, ბაბილონელებსაც სწამდათ, რომ ყოველგვარი სნეულება აღამიანს ერთ-ერთი ავი ღვთაებისაგან გამართებოდა, ასეთ აესულთა რიცხვიც განსაზღვრული ჰქონდათ, დარწმუნებული იყვნენ, რომ ისინი შვიდნი იყვნენ“ (გვ. 197).

ივ. ჯავახიშვილის აზრით, დღესათვის შემორჩენილი წმინდა ბარბარე „შვიდი ბატონით“ წარმოადგენს სუმერთა დროის ღვთაების — ლამბარუს სახეზეცხელ გადმოტანას ქრისტიანულ ეპოქაში.

გ. ბარდაველიძის ნაშრომის მიხედვით (ქართულია უძველესი სარწმუნოების ისტორიკალიზმი), ბარბარე მინიშნულია შიხს ქალ ღვთაებად, რომლის ერთ-ერთი მთავარ ფუნქციას მკურნალობა წარმოადგენდა. ქართული შიხის ღვთაება ქალბაბარი ანუ ბარბარე პარალელს პოელობს სუმერულ შიხის ღვთაებასთან — ბაბართან. ვარდა ამისა, ქართული ხალხური მედიცინის გარკვეული ტერმინები პარალელურ ემთხვევა ქართველთა წინაპარი ხალხების სათანადო სამედიცინო ტერმინოლოგიას. ასეთებია, მაგალითად, მკურნალი ცლაშური — furma — მკოდნე, სწავლული). შაკიკი (SaKi Ku — თავის ტკივილი); კასის ქართლში ეძახიან ერთ-ერთ სამკურნალო ბალახს (სუმერული — KaSu; სუმერულადაც სამკურნალო ბალახის სახელწოდებაა. ეს დამთხვევა მიუთითებს ქართული მედიცინის ისტორიულ კავშირზე სუმერულ კულტურასთან.

მეორე უდიდესი აყვანი სამედიცინო კულტურისა, რომელიც ცნობილია მსოფლიო მედიცინის ისტორიაში, არის ეგვიპტე. როგორც ითქვა, ეგვიპტეში სამედიცინო კულტურის შესახებ მვენ ემსჯელობთ დღემდის შემონახული პაპირუსები. მესამე ათასწლეულს ეფუძნის ე. წ. ვეტერინარული და გინეკოლოგიური პაპირუსები, ენერის პაპირუსები და ახალი იმპერიის დამახასიათებელი ბრუგმის პაპირუსი.

როგორც ეს პაპირუსები მოგვითხრობენ, მედიცინა აქ მაღალ დონეზე მდგარი იყო ეჭიმოთა „კლანი“ სპეციალიზაციით (თავის, თვალის, შინაგანი და სხვა). ისინი ითვლებოდნენ სახელმწიფო მოხელეებად, ღებულობდნენ ხელფასს, არსებობდა სპეციალური სამედიცინო სკოლები და სხვა. საინტერესოა, ამ ხანებში რა ერთიანობა ჰქონდათ ქართველთა წინაპრებს ეგვიპტესთან. როდესაც ზემოაღნიშნული პაპირუსები იწერებოდა, ამ დროისათვის უკვე ჩვენი წინაპართა მონათესავე ტომები — ხეთები

1. ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს კავკასიისა და მხლობელი აღმოსავლეთის ისტორიულ-ეთნოლოგიური პრობლემები, წიგნი I, გვ. 193.
2. იქვე, გვ. 197

და სუბარბე — პირველობდნენ აღმოსავლეთში თავიანთ სამხედრო ძლიერებითა და კულტურით.

კოლხეთზე არსებული ცნობილი ლეგენდის მიხედვით მედეას გარმნეული წამალი და უცხო ყვავილი, რომელიც ამოვიდა იმ მიწიდან, რომელზედაც დაეწვეთა პრომეთეოსის სისხლი, უნდა იყოს მედიცინის განვითარებისა და სამკურნალო მცენარეთა არსებობის მანკერებული მაშინდელ საქართველოში. ივ. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია და ნ. ბერძენიშვილი „საქართველოს ისტორიაში“ მიუთითებენ, რომ მედეას „გარმნეული წამალი ზალბური სამკურნალო საქმის განვითარებაზე მიუთითებს“ (გვ. 44).

სანატორიის ცნობების ამოკრეფა შეიძლება ამიანის ქართულ ებოსში, რომლის შექმნას მეორე ათსეულ წელს მიაკუთვნებენ; ამიანის პრიმეთეზე აღჩინდელი წარმოშობისა.

ამიანის ებოსის ბევრ ვარიანტში ზალბებით აიკლდებენ მკვდარს, რაც აგრეთვე მიუთითებს მცენარეთა სამკურნალო თვისებების ცოდნაზე და სამკურნალო მცენარეთა არსებობაზე ჩვენს შორეულ წარსულში. ბერძენი ექიმი დიოსკორადი ჭილაკიდან, რომელიც ცხოვრობდა 1 საუკუნეში, აღწერს სამკურნალო მცენარეებს და მიუთითებს მათი გავრცელების ადგილს: „Различается акорь густой и белый, не съедобный с сильным приятным запахом, такой вид его, называемый в Колхиде и в Галатии с плингием!“. ან კიდევ: „Колхик, один называют его поделкою, другие диким луком... родится в наибольшем количестве в Мессинии и Колхиде“.¹

სამკურნალო მცენარეების კოლხეთ-აბერიაში გავრცელებაზე მიუთითებენ, აგრეთვე, ბერძენი და რომელიც ავტორები: პლინიუსი, პორაციო, ფსკუდალურარხი, ამიანე მარცელი და სხვ.

შეგვიძლია დავასენათ, რომ უძველესი დროიდან საქართველოში ყოფილა სამკურნალო კულტურული მცენარეები, და რაკი ბერძენი აღმწერელი ექიმი მიუთითებს ამ მცენარეთა გეოგრაფიულ გავრცელებაზე, საფიქრებელია, რომ ბერძენებს ის გაჰქონდათ კოლხეთიდან (ამ ხანებში კოლხებს სავაჭრო ურთიერთობა ჰქონდათ ბერძენებთან).

ასეთივე გზით შეგვიძლია დავადგინოთ, რომ სამკურნალო წყლებს უძველესი დროიდან იყენებდნენ ჩვენი წინაპრები მკურნალობისათვის.

როდესაც ამიანის გველუშაის მუცელდან თავს დაიხსნის, მას წვერ-ულვაში გაიყვნილი აღმოაჩნდება, ვაყვაცო სასოწარკვეთილებას მიეცემა, მის ზადრი ინტეგრებს; წვერ-ულვაშზე ნუ იჯავრებ, იგრი-ბატონთან ჩავიდეთ და ის გავიცეთებსო. იგრი-ბატონს „გარკვეული საზო-

გადობრივი შეზღუდვებები უკავშირდება, იგრი-ბატონი ფლობს ჯადოსნურ წყალს; ქრემელსაც სამკურნალო თვისება აქვს“ (ჭვჭტუძე, გვ. 17). კერძო ავი კაცია. ხელგამოღობის არ იყენს მკურნალობაში, იგრიმ თავისი წყლის ფასი კარგად იცის, სხვა გარემოება აიძულებს მას, ხელმოკერილი იყოს, ხელმოწყობს ყმა და მეფისდუნებურად დახმარებას ვერაფერს აღმოუჩენს“².

აქედან შეიძლება ვიფიქროთ, რომ ეს სამკურნალო წყლები ხელმოწყობის მფლობელობაში იყო და სახელმწიფოებრივი ზრუნვის საგანს შეადგენდა. თვით სახელის „იგრი“ ეტიმოლოგიისათვის პროფ. ნ. ნუცუბიძემ გამოთქვა აზრი, რომ იგი შესატყვისია „იგრიის“ (სამეგრელო) „ინგირის“. მართლაც, საქართველოს ეს კუთხე და, საერთოდ, დასავლეთი საქართველო დღესაც ხასიათდება სამკურნალო წყლების განსაკუთრებული სიუხვით.

გარდა ამისა, უძველესი ქართული ჯადოსნური ზღაპრების მეტად გავრცელებული მოტივია ბრძისათვის წყლის საშუალებით „თვალის ახელა“.

უფრო გვიანდელ ხანაში ისტორიული წყაროებიც მიუთითებენ სამკურნალო წყლებით სარგებლობაზე. ცნობილი ქართველი მოღვაწე პეტრე ივარიელი, რომელზედაც ქვემოთაც გვექნება საუბარი, ცხოვრობდა 412 — 488 წ. წ. ავი იყო მიიღმის ეპისკოპოსი პალესტინაში და, როგორც ირკვევა, ექიმიც. ბევრი მარხვისაგან პეტრეს „ვანერყუნა სტომაქი“ და „მაშინ პრქუეს ვიეთამე, რათა წარვიდეს ცბელთა წყალთა და ვანივირეს“.³

ცხადია, აქ ლაპარაკი უნდა იყოს სამკურნალო მინერალური წყლებით მკურნალობაზე. ბორჯომის მინერალური წყლების (პროფ. ვინოგრადოვ-ნიკიტინი) და წყალტუბოს აბანოების (ნ. ბერძენიშვილი) გამოყენებასაც უძველესი დროით ათარიღებენ.

ამასთან ერთად, ქართველ ტომებში დღემდე შემონახულია როგორც რაციონალური (მცენარეებით, მინერალური წყლებით, სადოსტაქრო ხერხებით), ისე მაგიური (რიტუალური ქმედებანი, შელოცვები) სამედიცინო ქმედებანი.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ხეცსურულ ზალბურ მედიცინაში შემონახული ტრეპანაციის თავის ქალისა, ყვავილის აქაზ. წყლისა და მოტეხილობათა მკურნალობის ეფექტური მეთოდები. სხვა ქართველ ტომებშიც ცნობილია

1. პროფ. მ. ჩიქოვანი მიჯაჭვული ამიანის 1947, გვ. 323

2. Православ Палестинский, Сбор. т. XII, стр. 38.

3. მ. სააკაშვილი, რის მეტყველებენ ფაქტები „ლიტ. და ხელოვნება“, № 47, 1949 წ.

1 Латышев, «Известия древних писателей греческих и латинских о скифиях и Кавказе», т. II, стр. 507.

მცენარეული წამლებით მკურნალობის მდიდარი პრაქტიკა, მინერალური წყლების სამკურნალოდ გამოყენება და სხვა „ყოველივე ეს ქართულ სამედიცინო ხელოვნების შორეულ და მდიდარ წარსულზე მიუთითებს.

ამოგად, სამკურნალო მცენარეებისა და სამკურნალო წყლების არსებობა და გამოყენება უძველეს ქართულ მედიცინაში დასაბუთებულია ისტორიული მონაცემებითაც.

ერთი მხრით, ზემოდასახელებული ბერძნული და ქართული თქმულებები და წყაროები, არქეოლოგიური ნაშთები პირველი ათასწლეულის საქართველოს გეოსტრატეგიას, როგორც განვითარებულ ქვეყანას, მეორე მხრით, ბერძნულ-ბერძნული სავაჭრო ურთიერთობა და შავი ზღვის სანაპიროებზე ბერძენთა ახალშენების არსებობა, მაშინ როდესაც საბერძნეთში არსებობდა უდიდესი სამედიცინო სკოლები (როცა მოღვაწეობდა პლატარტე), გვაფიქრებინებს, რომ მაშინდელ საქართველოში მედიცინა საკმაოდ განვითარებული იყო.

როგორც ვიცით, ქართლსა და ლაზიკას ურთიერთობა ჰქონდათ რომის იმპერიასთან, ამ დროს რომში აღორძინებულია ბერძნული მედიცინა. ვალენი, ექსპერიმენტული ფიზიოლოგიის ფუძემდებელი და გენიალური მედიკი, რომში მოღვაწეობდა.

ქართული მედიცინის ისტორიის მკვლევარმა უნდა ისარგებლოს პოეტური ფოლკლორის მასალებით, თქმულებებით და ლეგენდებით (რომლებითაც მდიდარია ქართული ზეპირიტყვითა და წარმართული კულტურის გადმონაშთებით), რომლებიც დღესაც შემორჩენილია საქართველოს შიგან რაიონებში), ხალხური მედიცინით (საექიმო ფოლკლორით), სატარო და მავიური მედიცინის დღემდის შემონახული ნაშთებით. ეს არის ის სფერო, სადაც ვიპოვით ქართული ეროვნული სამედიცინო კულტურის საწიყისების დღემდის შემორჩენილ ნიმუშებს.

მედიცინის ისტორიკოსებმა თავის მუშაობაში უხვად უნდა გამოიყენონ ენათმეცნიერთა, ეთნოგრაფთა, ისტორიკოსთა და ლიტერატორთა გამოკვლევები. ჩვენ უნდა უკავადლოთ ყალბი აზრობითი ქართული მედიცინის ისტორია მეტრეხ საუენიდან იწყებოდეს.

ცნობილია, რომ ქართული სამედიცინო ძეგლი მე-11 საუკუნეზე ადრინდელი, გერარდრობით არა გვაქვს ესაა „უსწორო კარბადინი“. ზაგარამ თუ გელდისმით შევისწავლით ძველი ქართული მხატვრული და ისტორიული ხასიათის ძეგლებს, მათში ვიპოვით საყურადღებო მასალებს ჩვენთვის საინტერესო თემატარბისით.

პირველი ქართული წერილობითი ძეგლი მუხუთე საუენისაა — „მარტვილობა შემწიხისა“ მრავალმხრივ საყურადღებო ნაწარმოებია. როგორც ვიცით, ცემისა და წამების შემდეგ შემწიხის ჩაჯგბებენ სენაში, მასთან ღამით ფა-

რულად მივა იაკობ ხუცესი. „და მე ქარქუ წმიდისა შემწიხის: „მობრძანე და მოვბანო, სისხლი ევე პირსა შესისა და ნაყარო, როგორც ათელთა შენთა შთავადელ არს, და სალბუნი და წამალი დაედვა, რადთა, ჰე, ღამე თუ განიკურნო“ „ხოლო წმიდისა შემწიხი მრტუა შე „ხუცესს მაგას ნუ იტყვ, რამე თუ სისხლი ევე განწმენდელ არს ცოდეთა ჩემთა“ (გვ. 34).

შემდეგ, როგორც ტექსტიდან ირკვევა, თვით წამებული შემწიხი ხდება მკურნალი, „და მოერთთაგან განითქვა ყოველსა ქართლსა საქმე მისი და მივიდოდეს მამანი და ღედანი და აღნაქვემთა შეწირვად და რადვის უქმდა, მიმადლებოდა წმიდითა ლოცვითა ნეტარისა შემწიხისითა, რომელსა მოსცემდა მას კეთმოვთვად ღმერთს უშვილობა შევილი სსუელთა კურნებად, ბრმათა თელთა აღხილვად“ (გვ. 35) იქვე აღწერილია ერთი სპარსი დედაკაცი მოგვი, რომელსაც ჰქონდა „განბორებისა საღმობია“. (ფთარის სსუელება). მას რაჯული შეაცვლივინა და უმკურნალა: „განიკურნა იგი საღმობისა მისგან“.

ზემომოყვანალი ამონაწერებიდან შეიძლება შემდეგი დასკვნა გავაკეთოთ: მეხუთე საუკუნის საქართველოში არსებობდა რაციონალური სატარო მედიცინა (რელიგიური სამკურნალო რიტუალებით ერთად). იაკობ ცურბაველი, დარწმუნებული თავის „წამალთა“ და „საღმობთა“ სიძლიერეში, მიმართავს შემწიხის: „და სალბუნი და წამალი დაედვა, რადთა, ჰე, ღამე თუ განიკურნო“. იაკობ ცურბაველი უთუოვ მედიცინაში გამსწავლული პირია, რომელმაც აღბათ თავისი „სიბრძნე“ გადასცა შემწიხის, და „მეირითგან განათქვა ყოველს ქართლსა საქმე მისი“, როგორც მკურნალისა.

ამავე ეპოქის ეკუთვნის აგრეთვე ცნობები პეტრე ივერის (412 — 488 წ. წ.) შესახებ, იგი აღიზარდა მეფე ფეოდოსის კარზე, სადაც მიიღო ღრმა ფილოსოფიის და, როგორც ჩანს, სამედიცინო განათლებაც.

კონსტანტინოპოლიდან იგი წავიდა პალესტინაში, აღიკვეცა ბერად და ეწეოდა სამედიცინო საქმიანობასაც.

„ხოლო მრავალნი სასწავლნი ქნა ღმერთმან ხელთა პეტრე ნეტარისათა ეკლესიასაჲ მას შინა და ქვეყანასაჲა ალექსანდრიისაჲა და მრავალნი ემწაყუელნი და მკელობელნი და კუროვანნი განკურნეს“ (იქვე გვ. 20). მემატიანე მას მიაწერს ბევრ სასწავლებრივ განკურნებას რაც არ უნდა წარმოადგენდეს „წმიდათა მამათა“ ფანატორულ განდიდებას. როგორც ტექსტიდან ირკვევა, მას საავადმყოფოც გაუხსნია და იღებდა ავადმყოფებს ეკლესიაში.

„წმინდაო ღვთისო, განგვიღო და განკურნე ერთმა ესე, რამეთუ იგუთმების მტარისაგან“ (იქვე გვ. 28), ან კიდევ: „და იფოოდეს მათ მიერ იღმუნებულსა მას მონასტერსა და სხვაჲა

მონასტერი აღაშენეს და სახსნელა“ (გვ. 70).
მასასადავ, უნდა ვიფიქროთ, რომ პეტრე ივერიელი პალესტინაში მოღვაწე ქართველი ეპისკოპოსი.

1944 წელს ვრმაში ჩატარებული გათვლების შედეგად (სამარხი № 48-ში) აღმოჩნდა მეტად საინტერესო ნივთი — ოქროს ბეჭედი. ბეჭედში ზის აღმანდინის თვალი, თვალზე გამოსახულია თამაშუბუკა მამაკაცის პორტრეტი კვერთხით ხელში, რომელზედაც შემოხვეულია გველი. არქეოლოგებმა ასკვნია, რომ ბეჭედში გამოსახული სურათი სამედიცინო ემბლემაა და საშარსს აკუთვნებენ სასახლის კარის ეპიგრაფს. სამარხი თარიღდება მეოთხე საუკუნით (ახ. წ. აღრ.).

ეს მეტად საინტერესო ფაქტია, რადგან ჩარმოადგენს პირველ არქეოლოგიურ ნივთს. რომელიც ადასტურებს ექიმთა „ეკლესიის“ არსებობას, იმდროინდელ საქართველოში, რომელიც განიარჩეოდა სხვა საზოგადოებრივი დაჯგუფებისაგან და ჰქონდა თავისი პროფესიული ემბლემა. „ესოფრება პეტრე ქართველისა“ და „მარტილოზაა შუშანიისი“ ყველაზე უადრესი ისტორიული ძეგლებია ჯერჯერობით, სადაც შემონახულია ცნობები მედიცინის შესახებ. ამიერიდან უნდა უკუვაგდოთ ის შეხედულება, თითქოს საქართველოში მედიცინის ისტორია იწყებოდეს არაბების გაბატონების ურთიდან (არაბები პირველად 642 — 643 წლებში გამოჩნდნენ საქართველოში).

უადრესად მნიშვნელოვანი ძეგლია, აგრეთვე, მარტივი საბაწმინდელის „სინანულისათვის და სიზდაძლსა“ („ლიტერატურული ძეგლები“, ტ. III 1947 წ. გ. 456-457). გ. 456-457-ის გამოკვლევით, მარტივი საბაწმინდელი ქართული ნივთიდან პალესტინაში სამი გაშქმინდელი ცნობითა ლავრიდან, სადაც ქართველ მოღვაწეებს საკუთარი ეკლესია ჰქონდათ და მშობლიურ ენაზე წირვა-ლოცვის ასრულებდნენ. მარტივი საბაწმინდელი ამ ლავრის წინამძღვარი იყო, გ. 456-457-ში ათარიღებს მის მოღვაწეობას და ძეგლის დაწერას მეექვსე საუკუნის მეორე ნახევრიდან შეიძლება ვადასტურებთ პირველ ნახევრით. დაწერილია ეს თხზულება ბერ-მონაზონთათვის სახელმძღვანელოდ. მარტივი მონაზონთათვის ბერ-მონაზვნებს:

„უზარე ტკვილითა მისთა გონებითა შენითა და ყოველითა ძალითა შენითა შეეწიე მის და განაძლიერე უძლიერებად მისი ნუგეშისი ცუპითა, აღიხუენ საღმთობანი მისნი, მოსწარაფებით ქმნასურე მის ღუაწლთა შინა მისთა, უკოუ არა გაქუს საზრდელი მიცემად და არა წაშალი

1. მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის შრომები. ტ. 1 ა. აფაქიძე, გ. გობაჯიშვილი, ა. კალანდიაძე, გ. ლომთათიძე (ხელნაწერი).

საურნებლად წაუღოთა მისთა სიტყვა ზოლო ნუგეშისი ეც მას და სიყუარულოდ აღიხუენ წაუღნი მისნი და ტკივნენ ნუგეშისი აქედანაც სიანს სატაძრო მედიცინის არსებობა, რომ ქართული ქრისტიანული ეკლესიები აწარმოებდა მეურნეობას და რომ მათ განაწილათ „წამალი, საკურნებლად წაუღოთა“. შემდეგში აგრძელებს რა მარტივი საბაწმინდელი თავის ღირებულებას გვაწვდის ძვირფას მასალას, რომლიდანაც შეიძლება გამოვტყინოთ მეტად საინტერესო დასკვნები (იხ. გვ. 299).

ამ ტექსტში სიზუსტითაა გადაჭრილი ფიზიოლოგიის რთული საკითხები: მთელი ორგანიზმი წარმოდგენილია ერთ მთლიან განუყოფელ ანსად. ვერც ერთი ცალკეული ორგანო ვერ წინააღმდეგება ცნობასა და გონებას, „რომელა არს განმგებელ ყოველსა გუამისა“, თვლი ვერ ატყვის, „არა გზდავთ შენთვის“, არამედ ყოველი ორგანო თანასწორად ზრუნავს და მსახურებას უწევს ურთიერთს „სიყუარულთა და მიუწყინებლად“ და „ყოველინი ისინი შინაგანი და გარეგანი მშისხურებენ ერთიერთსა და სამიყუარულ არიედ თეთოებთა თვისთა და ერთი ერთისა ექმარებიედ“ და ყველს ორგანოებიდან იმპულსების თავშესაყარი განმგებელი არის ტვინი „და აცნობებენ ტვინსა და ყოველსა საცნობელსა“, ორგანიზმი არსებული პროცესებსა და აღაღმტკიცებენ განხილებისათვის ეს მოსაზრებები საინტერესოა.

ასევე სწორად არის განხილული ცალკეული ორგანოების ფუნქციები: გბილი „განსცობნიან“ საკვებს, სასა „გეშობსა იხილავს“, ზორას „შთაბნევს სტამბაქად (!) საკვებს“, ენა — მზრუნავს მას, რომელსა მისცემს გული და გონება გ. ი. ლაპარაკობს იმას, რასაც კარნახობს გული და გონება, ყურნი — ისმენენ გარეშე სიტყუთა და მისცემენ ცნობასა გონებასა.

საყნოსელი — აყნოსენ და აცნობებენ ტვინს. შინაგანი ორგანოები (შინაგანი ასონი) მოქმედებენ აგრეთვე თანასწორად, სათითოდ მათა ბუნებისა და მიხედვით, ისინი მისცემენ ორგანიზმს „ძალსა და საზრდელსა“ და „განსაძლიერებებს გუამისსა და „ნიოთსა მას ნამტრეხისა გარე განაძენენ“. კერძოდ:

სტომიქი — მოიღონებს საჭმელსა და სიძობებს მისცემს ღვიძლს, ნაწლავნი — თავიანი ღრუნი შეიწყნარებენ „უშურთა“ და გარუყენილითა ნივითა და გარეთ განაბიხვენ. ნაწლავები, მიუხედავად იმისა, რომ ასეთ საწუნელ მსახურებას ასრულებენ არ თავებულობენ სხვა ორგანოთა მიმართ, ყველა ორგანოთა ფუნქცია, პატრონობა და „შურაიცი თავსსა საქმესა“.

გული ორგანოთა მეუფეა, ის განუყოფს სისხლს ორგანიზმის ყველა ნაწილს, მთავარი ორგანოა, მტარს ამ ამატარებებს თავისი „მთავრობისათვის“ და არც ერთ ორგანოს არ დაუყოვნებს მსახურებას. ტვინი, ღებულობს

ყოველგვარ საცნობელს და არის განმეგებელ უოვლისა გუამისა“.

ტექსტში გონება და ტვინი გაიგივებულია. ერთ ადგილას სწერია: „სიმენენ უფრნი გარუ-შე სიტყუათა და მისცემენ ცნობასა გონებასა“ შემდეგში კი „აქნობებენ ტვნსა და ყოველსა საცნობელსა“, მაშასადამე, ყოველგვარი ცნობისა და საცნობელის მიმღები არის გონება — ტვინი. საბანწმინდელის ასეთ განმარტებას მივყავართ იმ დასკვნამდის, რომ აქ მოცემულია მატერიალისტური აზროვნების, ფსიქიკის მატერიალისტური გაგების ვლემენტები.

ეს ტექსტი არ წარმოადგენს სპეციალურ სამედიცინო ნაწარმოებს. ის ჩართულია სულ სხვა დანიშნულების მქონე ამბავში. ეს გარუ-შობა კიდევ უფრო მეტ დარბებულებას ანიჭებს მას, რადგან ეს ანატომიურ-ფიზიოლოგიური საკითხები აქ მიღებულია, როგორც უბრალო კემსარტება, რომელიც უნდა იცოფის ყველა წამოთხველმა, არა ექიმმა. აქედან ის დასკვნა შეიძლება გააკეთოთ, რომ მე-6-7 საუკუნეებში ტექსტში განზილული სამედიცინო საკითხები არა ექიმთათვისაც ზოგადი ცოდნის ფარგლებში თავსდება.

საყურადღებოა, აგრეთვე, ის ფაქტი, რომ ამ პატარა ტექსტში მოცემულია ანატომიურ-ფიზიოლოგიური და, საერთოდ, მდიდარი სამედიცინო ტერმინოლოგია: თვალი, ენა, კბილი, საკმოსელი, ზორხი, სასა, სტომაქი, ღვიძლი, გული, ტვინი, სისხლი, ნაწლავნი, რუვნი (ღრუვები) ნაწლავთა, შინაგანი ასონი, გარეშენი ასონი, ხაზობე, განკობხა, სენა, მხედველობა, გემო, ყნოსვა, მოღნობა (მონელება) საღმობა (სწეულება), წამალი, კურნება, წყლული, ტკივლი და სხვ. ეს კი იმაზე მივეითებებს, რომ მედიცინა არ იყო მაშინ (ე. ა. 6-7 საუკ.) ახალ-ფეხადგმული, მას საკმაოდ შორეული ფესვები ჰქონია და მტკიცე ეროვნულ ნადავზე მდგარა.

მატერიალ საბანწმინდელის სახით კი მედიცინაში განსწავლულ ქართველ მოღვაწეთა რიცხვს შეემატა კიდევ ერთი სახელოვანი მოღვაწე.

საინტერესო ცნობებს იძლევა აგრეთვე მედიცინის საკითხების გარშემოწერილი შეჩ-ჩულეს „ცხოვრება გრიგოლ ხანძთელისა“.

რაკი ცნობილია, რომ მე-XI საუკუნეშიდის არავითარი სამედიცინო ძეგლი და არც არავითარი ისტორიული ცნობა მედიცინის შესახებ არ არსებობდა, ამიტომ შეშანიკის წამებშიც შემონახული ცნობა „ცხოვრება პეტრე ივერლისა“ არმაზის არქეოლოგიური გათხრების მასალა, მარტვირის საბანწმინდელის „სინახლისათვის და სიმდაბლისა“ „ცხოვრება გრიგოლ ხანძთელისა“ წარმოადგენს იმ პირველ პატარა ვარსკვლავებს, რომელნიც შექაა ჰყუნენ ქართული მედიცინის ისტორიის ბნელით მოცულ საკითხებს.

მე-XI საუკუნიდან კი შემონახულია ქართული ირიგინალური სამედიცინო ძეგლები: ქანაღლა „უსწორო კარაბადინი“, ზოჯა-ყოფილის „წიგნი სააქიმოა“. ზ. ფანასკერტელის „სამკურნალო წიგნი“ და სხვა, რომელთა სრული ტექსტული ანალიზი და შესწავლა დღემდის არა გავქვს.

აღნიშნული ძეგლების² ზვენ მიერ ჩატარებულმა ტექსტულურმა შესწავლამ შეტად საინტერესო სურათი გადაგვიშალა: დროის შეხვეწერ სიმაღლეზე მდგარა ადამიანის ანატომიის ცოდნა, დაავადებათა კლინიკა, სტოღნით კონსერვატული და ოპერატიული მეკრნალობის პეტად ეფექტური საშუალებანი, განზილული რადრესად რთული ფიზიოლოგიური პრობლემები, რომელნიც მხოლოდ საუკუნეების შემდეგ იპყრობდნენ ვეროზიელ მეცნიერთა ყურადღებას.

მედიცინის ასეთი მაღალი დონე შეუძლებელია ყოფილიყო ამ საუკუნეებში, რომ ქართულ მედიცინას უფრო შორეული წარსული არ ჰქონდეს, რაც განზილული მასალებითაც ნთო-ლია.

1. მ. შენგელა, „ნარკვევები მედიცინის ისტორიიდან საქართველოში“.

2. მ. შენგელა, „ნარკვევები მედიცინის ისტორიიდან საქართველოში“.

მონობრაფია კოსტა ხეთაგუროვზე



Светом познания в саки внося?
 Нет, их немного. И эту потерю
 Наши потомки примонят не раз...

ქართველი მკითხველი კარგად იცნობს კ. ხეთაგუროვის შემოქმედებას. პროგრესული იდეებით გამსჭვალული, კ. ხეთაგუროვის პოეზია მგზნებარედ ქადაგებს ხალხთა შორის მეგობრობას, ურთიერთ პატივისცემას და სიყვარულს. ნიჭიერ პოეტს ღრმად სწამდა, რომ სხვა ერებთან ერთად, ოსი ხალხიც დააღწევდა თავს რუსეთის თვითმპყრობელობის მძიმე პირობებს და თავისუფლებას მოიპოვებდა. კ. ხეთაგუროვი თავისი ლიტერატურული და საზოგადოებრივი მოღვაწეობით დაუღალავად აბრძოდა ამ მიზნის გასაბოროტებლად და სხეებსაც მუხრანულდ მოუწოდებდა ცარიზმის წინააღმდეგ ბრძოლისათვის. სწორედ ამიტომ მას სდევნიდა და ავიწროვებდა მეფის მთავრობა.

კ. ხეთაგუროვის უსახლოდ უყვარდა თავისი ხალხი, მაგრამ ამავე დროს, უყვარდა სხვა ხალხები, კერძოდ რუსი და ქართველი ხალხი, უარესად პატივს სცემდა მათ მოწინავე ადამიანებს და მეგობრობდა ბევრ მათგანთან. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს კ. ხეთაგუროვისა და ცნობილი ქართველი მოღვაწის შ. ზ. ყიფიანის (1833—1891) მეგობრული ურთიერთობა. შ. ყიფიანი ა. ჰაქევაძის დიდი მეგობარი იყო. ბევრს ზრუნავდა სწავლა-განათლებისათვის საქართველოში; 1862 წელს ვ. დ. თულაშვილთან ერთად შეადგინა არითმეტიკის სახელმძღვანელო; ა. ჰაქევაძის ეურნალ „საქართველოს მოამბეში“ და შემდეგ გაზეთ „ივერიაში“ თანამშრომლობდა სპირიდონ ჩიტარაქლიძის ფსევდონიმით; 1871 წლიდან მსახურობდა თურგის ოლქში; 1884 წელს კავკასიში გამოაქვეყნა წიგნი: «От Казбека до Эльбруса. Путевые заметки о нагорной полосе Терской области», რომელშიც მუხრანულ იცავდა მეფის მთავრობისაგან შევიწროვებულ მოივლთა ინტერესებს. ესამართლობის წინააღმდეგ საერთო ბრძოლაში დაამკობრა კ. ხეთაგუროვი და შ. ყიფიანი, რომლის ხსოვნასაც კოსტამ გულბოლოდ ლექსი უძღვნა:

Много ль их было, способных народу
 Так же всецело отдаться, любя,
 Так же бороться за нашу свободу.

ტ. ხარიშვილი. კოსტა ხეთაგუროვის პედაგოგიური შეხედულებანი. სტალინობი. 1955.

ამ შესანიშნავი პოეტის პედაგოგიურ შეხედულებათა შესწავლისადმი მიძღვნილია ტ. ხარიშვილის მონოგრაფია. ავტორი მიმოიხილავს იმდროინდელი სკოლების მდგომარეობას, სწავლების შინაარსს, სასწავლო გეგმებს, პროგრამებსა და სახელმძღვანელოებს. ციფრობრივი მონაცემების საფუძველზე კარგად ჩანს, რომ სკოლა რაოდენობა ვერ აკმაყოფილებდა ოსი ხალხის მოთხოვნილებას ამ საქმეში და ის მხოლოდ მოსახლეობის მცირე ნაწილს ემსახურებოდა. სამართლიანად წერს ავტორი, რომ „სკოლების უმთავრესი მიზანი ოსეთში არა იმდენად მოივლთა კულტურის ამაღლება იყო, რამდენადც ხალხში ქრისტიანობის გავრცელება, მართლმადიდებელთა სარწმუნოების დანერგვა და მეფის ერთგულების რწმუნის გაძლიერება“

მოუხედავად ამისა, მთავრობის მიერ გახსნილმა საეკლესიო-სამრევლო და სხვა ტიპის სკოლებმა რამდენადმე მაინც დადებითი როლი შეასრულა და ხელი შეუწყო წერა-კითხვის გავრცელებასა და ხალხის განათლებისათვის. გარდა მთავრობის სკოლებისა არსებობდა კერძო სკოლებიც, რომელთაც ოსი ინტელიგენტები სწავლიდნენ. მოსახლეობის ლტოლვაში სწავლისაკენ, რუსეთის უნივერსიტეტებსა და ინსტიტუტებში უმაღლესი განათლების მიღების შესაძლებლობამ თანდათანობით თავისი ნაყოფი გამოიღო და მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში საიშვანთო „საბარჯეზე“ გამოივლიდა პროგრესულად მოაზროვნე ოსი ინტელიგენტთა მთელი პლეადა. ა. კოლიევი, ი. კანუკოვი, ა. გასიევი, ხ. ურუმიანოვი, ვ. ცოტრაევი (რომელმაც, სხვათა შორის ცნობილი ქართველ მწერალ დ. ჰონჭავჭავსთან ერთად შეადგინა ოსური ფოლკლორის ნიმუშები. ეს მასალები ცალკე წიგნად გამოისცა ავად. შიფერმა პეტერბურგში 1868 წელს) — იყვნენ ის პირნი, რომელთაც დიდი ღვაწლი მიუძღვნათ ოსური ლიტერატურის განვითარების საქმეში. მკვრამ ამათ შორის უპირველესი ადგილი კოსტა ხეთაგუროვის ეკუთვნის. პროფესორმა ა. ხახანაშვილმა 1898 წელს გაზეთ „ივერიაში“, (№ 136) გამოაქვეყნა წერილი „მოძრაობა ოსეთში განათ-

ლებსიაცენ", რომელშიც წერდა: „ერთი სასიამოვნო მოძრაობა აღინიშნა ჩვენს მოსახლერე ხალხში. რომელიმე საქართველოს უცხოვრია მრავალი საუკუნე და ეს მოძრაობა გულისხმობს ჩვენი სახელის: მე მოგახსენებთ ოსების განთავსებისას მისწრაფების შესახებ“.

ა. ხახანაშვილი ემყოფილებით აღნიშნავდა ოსურ ენაზე საერო ხასიათის წიგნების გამოცდას. კერძოდ, ამ წერილში მან გულბანილი სტრიქონები უძღვნა კ. ხეთაგუროვის ლექსთა კრებულს „იირი ფანდურ“ („ოსების ფანდური“) და სტრიქონს დასასრულს აღნიშნა: „ბატ. ხეთაგუროვს, დედით ქართველს, მსურს გადათარგმნის აგრეთვე ოსურად ჩვენი „აღლუზიანი“, რომელსაც დაუცავს ოსების ისტორია. ეს სურვილი ოსებს წარმატება ამ პატიოსანს გზაზედ და ვინატროთ იმათის საერო მწერლობის გაფორმება“.

კ. ხეთაგუროვის ცხოვრება ბევრეზობიდანვე მძიმე გზით წარიშროა. დიდი წვალების შემდეგ, 1873 წელს, ის მამამ სტავროპოლის გიმნაზიაში მიიბარა. „მძიმე გამოცდილებამ, ხალხის დღეპირი ცხოვრებაზე უშუალო დაკვირვებამ და ობლობით განცდილმა მწუხარებამ, ერთი მხრით, ხილი, მეორე მხრით, გამოიწვიოდა რუსი პოეტებისა და მწერლების — ლერმონტოვის, პუშკინის, ნეკრასოვის, ოსტროვსკის, კრალოვის და სხვათა ნაწარმოებების შესწავლამ გიმნაზიის წლებში ნიადავი მოუშადა კოსტა ხეთაგუროვის პოეტურ შემოქმედებას. კოსტა ხეთაგუროვმა 60-70-იან წლებში საფუძვლიანად შეითვისა რუსი რევოლუციონერ-დემოკრატების მიწინავე იდეები. იგი გაეცინა ამ პერიოდის რუს განმანათლებელთა ფილოსოფიურ-ესთეტიკურ და პედაგოგიურ შეხედულებებს, რაც მისი იდეური კონცეფციის ჩამოყალიბების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორად იქცა“ (გვ. 21).

არანაკლებ მნიშვნელობა ჰქონდა აგრეთვე პეტერბურგის სამხატვრო აკადემიაში სწავლის წლებს (1881 — 1883). აკადემიის ბიუროკრატ ხელმძღვანელებთან შეტაკების გამო ხეთაგუროვს სტაჟენდია მოუხსნეს და ის იძულებული შეიქცა 1885 წლიდან სამშობლოში დაბრუნებულიყო ამ დროიდან ხეთაგუროვმა თავისი სიკაცხუნე მთლიანად მშობლიური ხალხისადმი უნაგარო სამსახურს შესწირა.

მონოგრაფიაში საფუძვლიანად არის განხილული კ. ხეთაგუროვის პედაგოგიური შეხედულებანი. ავტორი ეხება პოეტის როგორც მხატვრულ ნაწარმოებებს, ისე პუბლიცისტურ წერილებსაც, რომლებშიც საფუძვლიანად არის საუბარი სწავლა-განათლების საკითხებზე და დასკვნას: „კოსტა ხეთაგუროვი მოითხოვდა: ა) სწავლებაში ყველა ბავშვის ჩაბმას განურჩევლად წოდებისა და მდგომარეობისა; ბ) ქალებისა და ვაჟების თანასწორ აღზრდასა და გ) სწავლების პროცესის დამყარებას ბავშვთათვის გასაგებ ენაზე“.

კ. ხეთაგუროვი დიდ ყურადღებას აქცევდა კარგად შედგენილ სახელმძღვანელოებს და მოითხოვდა ასეთი სახელმძღვანელოებიც, სადაც უნდა იქნებოდა უბრალოდ ადრინდელი, რომ ის განსაკუთრებით მიესალმა ჩრდილოეთ ოსეთის საუკეთესო-სამრევლო სკოლების მასწავლებელთა გადაწყვეტილებას ოსურ სკოლებში შემოვიღოთ გამოიწვიოთ ქართველი პედაგოგის იაკობ ვოგებაშვილის ცნობილი სახელმძღვანელო „რუსეთი სლოვი“, რომელსაც ათეული წლების მანძილზე წარმატებით იყენებდნენ საქართველოს სკოლებში რუსული ენის დასაფუძვლად.

ტ. სარიშვილის მონოგრაფია მკაფიო წარმოდგენას იძლევა კ. ხეთაგუროვის პედაგოგიურ შეხედულებათა შესახებ და მნიშვნელოვან უწყობას ხელს ნიჭიერი მგონის მრავალმხრივი მოღვაწეობის შესწავლა-გაცეხას. ეს ნაშრომი ნათელს ქვეყნს ოსი ხალხის სახელგანთქანი შეიღოს, პოეტისა და საზოგადო მოღვაწის კ. ხეთაგუროვის პროგრესულ როლს სახალხო განათლების დარეგულირებაში.

კარგი იქნებოდა, ავტორს რომ უფრო გაეფართოებინა პირველი თავი და შეითხვეს წარმოდგენა მიეცა იმ მდგომარეობის შესახებ, რაც ოსეთში არსებობდა XIX საუკუნის 30-40-იან წლებამდე სწავლა-განათლების მხრივ (მით უმეტეს, რომ ავტორს ამ საკითხის განხილვის ფაქტორად XIX საუკუნის პირველ ნახევრიდან იწყებს და არა მეორე ნახევრიდან, როგორც სათარისა აღნიშნული). მისიონერთა სკოლების დაარსება ოსეთში მანამდეც წარმოებდა და მასში ბევრი ქართველი მოღვაწე იღებდა მონაწილეობას. საქმარისა აღნიშნოს, რომ ამ მხრივ მნიშვნელოვან საქმიანობას ეწეოდნენ დიდი ქართველი პოეტის დაეით გურამიშვილის ძმა — ქრისტეფორე გურამიშვილი და მისთანა მყოფნი ქართველები.

საქართველოსა და ოსეთის კულტურული ურთიერთობის საკითხის განხილვა მონოგრაფიის უფრო სრულსა და საინტერესოს გახდის (საჭიროდ მიგვაჩნია გარდა ტრ. გურამიშვილისა უფრო ვრცელად აღინიშნოს მთი. გურამიშვილის, და ნიელ კონჭაძის და სხვათა საქმიანობა მომქმენი ხალხის საკეთილდღეოდ)

მეტისმეტად მოკლეა და სტემატურ თაბეკილიებას ტოვებს ქვეთავი „სწავლების შინაარსი, სასწავლო გეგმები, პროგრამები და სახელმძღვანელოები“. ექ აუცილებელია დავასახელოთ რა სახელმძღვანელოებით სარგებლობდნენ ამ პერიოდში ოსური სკოლები, სინამდვილე გვაჩვენებდა ზოგიერთი მათგანი, უფრო ვრცელად განვიხილოთ სასწავლო გეგმები და პროგრამები. მაგალითად, ავტორი წერს, რომ „1836 წლამდე ჩრდილოეთ კავკასიის ოსურ სკოლებში ი. ი. აღლუზიძის მიერ თარგმნილი სახელმძღვანელოები ახმარებოდა“ (გვ. 11). შეითხველისათვის საინტერესოა იცოდეს, რა ხასიათის იყო ეს სახელმძღვანელოები და რომელი ენებიდან თარგმნი-

და მას იალღუხით. ცნობილია, რომ იალღუხი-
მე, ეროვნებით ოსი, რომელმაც ერეკლე მეო-
რის დახმარებით დავით გარეჯის მონასტერში
შილით განათლება, ქართულიდან ოსურ ენაზე
თარგმნიდა წიგნებს. და როცა სხვების დასა-
ხურებაზე ვლადიკავობთ, საჭიროა იალღუხის
ღვაწილი აღინიშნოს, რადგან მან დიდი როლი
შეასრულა ოსური მწერლობის განვითარების
საკმეში, 1802 წელს ქართული ანბანის საფუძ-
ველზე მან შეადგინა ოსური ანბანი, და ოსური
ენის სახელმძღვანელო.

ბ. ხეთაგროვი ბევრ ქართველ მოღვაწეს პი-
რად აღიწინადა. ვარდა მ. ზ. ყიფიანისა მას-
თან მეგობრობა ჰქონდათ ცნობილ ქართველ
პედაგოგს ლ. ბოცაძეს, კომპოზიტორ დ. არა-
ყიშვილს და სხვ. სასურველი იქნებოდა, ამ
მხრივ მონაწილეობაში მეტი ცნობები ყოფილი-
ყო წარმოდგენილი.
გვევლება ზოგიერთი ფაქტური შეცდომა.

31-ე გვერდზე ავტორი წერს: „ს. ვ. კოლიევი
ამიერკავკასიის სამსწავლებლის სემინარიის
დამთავრების შემდეგ (1869 წ.) 20 წლის მან-
ძილზე ვლადიკავკასის რეალური სასწავლებლის
მსწავლებლად მუშაობდა“. კოლიევს არ შეეძ-
ლო 1869 წელს ამიერკავკასიის (გორის) სამს-
წავლებლო სემინარია დაემთავრებინა, რადგან
ეს სემინარია მხოლოდ 1876 წელს გაიხსნა.
47-ე გვერდზე ვკითხულობთ: „ოსეთის სკოლე-
ვისათვის პედაგოგებს უმთავრესად კავკასის,
არდონის, თბილისის და გორის სასულიერო სე-
მინარიები და ნაწილობრივ, საქართველოში არ-
სებელი სამსწავლებლო ინსტიტუტები ამზა-
დებდნენ“. გორში არსებობდა არა სასულიერო
სემინარია, არამედ სასულიერო სასწავლებლო,
რომელ იც მსწავლებლებს არ ამზადებდა.

ტ. არიშვილის მონაწილეობა საინტერესო და
სასარგებლო შრომა.

მის. ქაქელიძე.

საყოველთაო ნაშრომი გ. წერეთლის მსოფლმხედველობის შესახებ

ქართული საზოგადოებრივი აზრის ისტორიის
შეცნიერული შესწავლა უკანასკნელ წლებში ინ-
ტენსიურად მიმდინარეობს. არაერთი თვალსაზი-
ნის გამოკვლევა მივლინა, კერძოდ, XIX საუკუ-
ნის მეორე ნახევრის გამოჩენილ ქართველ
მწერალთა და მოაზროვნეთა მემკვიდრეობის
მარქსისტულ-ლენინური თვალსაზრისით გაშუ-
ქებას. მაგრამ მუშაობა ამ მიმართულებით ჯერ
სრულადაც არ არის დამთავრებული და ამი-
ტომაცაა, რომ მკითხველი საზოგადოება დიდი
ინტერესით ხედავს ყოველი ახალი ნაშრომის
გამოჩენას ჩვენი კლასიკოსების მსოფლმხედვე-
ლობის ირგვლივ.

მიხილ გაფრინდაშვილის გამოკვლევაში —
„გიორგი წერეთლის მსოფლმხედველობა“ გან-
ხილულია გ. წერეთლის მსოფლმხედველობის
თითქმის ყველა ძირითადი საკითხი. შესავლის
გარდა, წიგნი შედგება შემდეგი თავებისაგან:
„გიორგი წერეთელი და მისი დრო“ (გვ. 10—15),
„გიორგი წერეთლის ბრძოლა ქართული ხალ-
ხის ეროვნული თანასწორუფლებანიობისათ-
ვის“ (50—198), „გიორგი წერეთლის საზოგადო-
ებრივ-პოლიტიკური შეხედულებანი“ (198—205),
„გიორგი წერეთლის ფილოსოფიური შეხედუ-
ლებანი“ (205—248) და „გიორგი წერეთლის ეს-
თეტიკური შეხედულებანი“ (248—275).

ავტორი უდავოდ სწორ მეთოდოლოგიურ პო-
ზიციებზე დგას. იგი საპარტიოანად აღნიშნავს,
რომ „მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის საქარ-
თლოს ერთგულ-განმათავისუფლებელი მოძ-

რობის იდეოლოგია საყოველთაოა არა მარტო
იმ მხრივ, რომ იგი არის მრავალსაუკუნოვანი
ქართული საზოგადოებრივი აზრის ბუნებრივი
გაგრძელება და განვითარება ახალ სოცია-
ლურ-ეკონომიურ პირობებში, არამედ იმ მხრი-
ვაც, რომ მან მოაშადა იდეური ნიადაგი მარქსი-
ზმის გაგრძელებისათვის და ამით ხელი შეუწყო
უდიდესი რევოლუციური გადატრიალების მოხ-
დენას საქართველოს იდეურ ცხოვრებაში“
(გვ. 5). ემყარება რა ასეთ სწორ თვალსაზრისს,
ავტორი საქმისადმი სიყვარულით იხილავს გ.
წერეთლის შეხედულებებს და ხშირად კიდევაც
ახერხებს ახალი შეჭი მოპოვინოს ისეთ საკით-
ხებს, რომლებიც აქამდე ჩვენი ლიტერატურათ-
ბოდნეობაში სადავოდ მიჩნეული, ან კიდევ
სრულიად შეუსწაველი იყო.

წიგნის ერთ-ერთი მთავარი ღირსება ის არის,
რომ ავტორი ძირითადად სწორად განსაზღვრავს
გ. წერეთლის მსოფლმხედველობის იდეურ წყარო-
ებს. ის სამართლიანად მიუთითებს, რომ რუ-
სეთის განმთავისუფლებელი მოძრაობის პროგ-
რსული იდეები გ. წერეთლის მსოფლმხედვე-
ლობის ერთ-ერთი უმთავრესი წყარო გახდა
ამასთან ერთად ავტორი სათანადოდ ითვალის-
წინებს იმ როლს, რომელიც მოწინავე ქართულ-
მა საზოგადოებრივმა აზრმა ითამაშა გ. წერეთ-
ლის შეხედულებების ჩამოყალიბებაში. თუმცა
ნაშრომის ამ ნაწილში ავტორის მსჯელობა ნა-
ლებ თრიგინალურია, მაგრამ ეს არ ამცირებს
წიგნის ღირებულებას.

წიგნის ღირსებას მოწმობს ისიც, რომ
ავტორი დამატებდალ ასაბუთებს გ. წერეთ-

ლის სოციალურ-პოლიტიკური შეხედულებების დემოკრატიულობას. იხილავს რა გ. წერეთლის დამოკიდებულებას ბატონყმობის მიმართ, ის საესეხით სწორ დასკვნამდე მიდის: „ჩვენ გვეუბნა, რომ გ. წერეთლის პოზიცია საქართველოში საგლეხო რეფორმის გატარების პერსონალიზმ... შეესაბამებოდა მშრომელი ხალხის, გლეხობის განწყობილებებს. მისი შეხედულებანი გლახთა განათავისუფლების საქითხში ნამდვილად ეჭმარებოდა გლეხობის ამ რევოლუციური ნაწილის ინტერესებს, დაცხრომლად რომ იღტვოდა განთავისუფლებისაენ“ (გვ. 114). უსათუდ სწორია ავტორის ის დებულება, რომ გ. წერეთლის დემოკრატიზმი არ იყო თანმიმდევრული და არაიშვიათად ლიბერალიზმამდე ეშვებოდა. თუმცა, ესეც კია, რომ ავტორი ვერ ახერხებს ბოლომდე გახსნას გ. წერეთლის ლიბერალური ვადახრების ისტორიული მიხეზები.

განსაკუთრებით კარგ შთაბეჭდილებას ტოვებს წიგნის მეხუთე თავი, რომელშიც გ. წერეთლის ესთეტიკური შეხედულებებია განიხილული. აქ ავტორის აზრები უმეტესწილად ორიგინალური და სწორია. შეიძლება ითქვას, რომ ავტორის ზოგიერთი დასკვნა გ. წერეთლის „შეუდგრავი რეალობის“ შესახებ კარკვეული შენაძენია ქართული ლიტერატურათმცოდნეობაში. ასეთია, მაგალითად, გ. წერეთლისა და ა. ჰავკავაძის ესთეტიკურ შეხედულებათა ურთიერთ შედარებისა და ანალიზის შედეგად მიღებული დასკვნები (იხ. გვ. 268, 269). ამ საქითხში მ. გაფინდიაშვილი შეძლო წინანდელი მკვლევარების (ს. ხუნდაძე და სხვ.) შემედიარი შეხედულების დაძლევა და მოგვცა პრობლემის არსებითად სწორი ვადამწვეტა.

საინტერესო და ძირითადად სწორია ავტორის ზოგიერთი მისაზრება გ. წერეთლის დასკვნის თორიის შესახებ (გვ. 242—243). მართალია, ვაკერიო, მაგრამ მაინც საკმაოდ დამაკერებლად აკრიტიკებს იგი ე. წ. „სამი დასის თორიის“ და შითიხოვს მის „დაზუსტებას“. ჩვენ ვერ ვავიზობრებთ 80-90-იანი წლების საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური მიმართულებათა ავტორისეულ კლასიფიკაციას (გვ. 243), რადგან ეს კლასიფიკაცია დაუსაბუთებელი და არასწორია. მაგრამ, სამაგიეროდ, საესეხით ვეთანხმებით ავტორის შაკვლობის პირველ ნახეკარს, სადაც დასების თეორიის კრიტიკია მოცემული (გვ. 242).

საკმაო სისრულით აქვს გამუქებული ავტორის საქართველოს რუსეთთან შეერთების მნიშვნელობა და, აგრეთვე, გ. წერეთლის შეხედულებანი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაზე.

წიგნის ენა და სტილი საერთოდ ნათელი, სიდა და გამართულია, ფართო მკითხველისათვის ადვილად მისაწვდომი, თუმცა აქა-იქ შეინიშნება სტილისტურად ბუნდოვანი ადგილები და ენობრივი შეცდომები (გვ. 52, 53 და სხვ.). თვალსაჩინო ღირსებებთან ერთად, სამწუხაროდ,

წიგნს ახლავს სერიოზული, ნაკლებადგანხი, რომელთა გამოსწორება ავტორის შემედიარ თავის შემდგომ მუშაობაში. დავასახელებთ ზოგიერთ მათგანს.

წიგნის საერთო ნაკლი, რაც მკითხველს უთუოლ თვალში მოხვდება, ის არის, რომ მასში აძქრული დიდი პრობლემატური საკითხების მნიშვნელოვანი ნაწილი არასაკმაო სიღრმითაა განხილული. ზმირად ავტორი ჩქარობს გაავითოს დასკვნები, მაგრამ მათს დასაბუთებაზე ნაკლებად ზრუნავს. ავტორის არგუმენტაცია ბევრგან სუსტია, არასაკმარისი და, მამსადაამე, არადაამაჯერებელი. როგორც ჩანს, სწორედ ავტორის აქტარებით უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ წიგნში საარტიკლო მასალა თითქმის სრულიად არ არის გამოყენებული. ნაშრომი უდავოდ ბევრად მოიგებდა, ავტორის რომ კვლევა-ძიების სფეროში ახალი, საარტიკლო მასალა შემოეტანა.

ამ საერთო ნაკლიდან გამომდინარეობს ნაშრომში ზოგიერთი საკითხის ცალმხრივი და არადაამკაყოფლებელი ვამუქება, ან კიდევ ავტორის მიერ დაშვებული ცალკეული შეცდომები.

ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი საკითხი, რომელსაც ავტორი ამკარად არადაამკაყოფლებლად და შემედიარად ამუქებს, ესაა ქართველი ხალხის ვრად ჩამოყალიბებისა და მისი ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის ხასიათისა და შინაარსის საკითხი. ქართველი ერის ჩამოყალიბების ზანგრძლივი პროცესი ავტორის ძალიან ვაუბრალეულად აქვს ვადმოცემული (გვ. 39). ხოლო ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის არსს, მის ჩასახვას, ვანეთარების ეტაპებს და სხვ. ის არასწორად ამუქებს. ეს უაღრესად რთული საკითხი საერთოდ ჩვენს ლიტერატურათმცოდნეობასა და ისტორიოგრაფიაში შეუსწავლელია და მის ირგვლივ აზრთა სხვადასხვაობას აქვს ადგილი. როგორც ჩანს, ჩვენი ავტორი ვერ მოკვეთა ამ დიდ საკითხს, იგი უდავოდ შეცდომას უმუქებს, როდესაც ცდობლობს ე. წ. „ფეოდალურ-მონარქიული ნაციონალიზმი“ და ქართველი თავადაზნაურობის რეაქტიული მოძრაობა XIX საუკუნის პირველი ნახეკრისა წარმოგვიდგინოს როგორც XIX საუკუნის საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის პირველი პერიოდი, რომელიც, თითქმის, 60-იან წლებამდე ვრცელდებოდა (გვ. 52, 54). სინამდილეში ხსენებული პერიოდის ქართველი თავადაზნაურობის რეაქტიულ მოძრაობას და მათს ე. წ. „ფეოდალურ-მონარქიულ ნაციონალიზმს“ სრულიად არაფერი აქვს საერთო ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობასთან, რომელიც თავიდანვე პროგრესული მოვლენა იყო და ქართველი ხალხის სულისკვეთებას გამომხატავდა.

წიგნის თვალსაჩინო ნაკლი ისიც, რომ მასში მეტისმეტად ბუნდოვნად და არსებითად არასწორად არის ვამუქებული ბურჟუაზიის რიული ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლ-

ბელ ბრძოლაში. ავტორი ვერ ამჩნევს (ყოველ შემთხვევაში, ამას ხაზგასმით არსად არ აღნიშნავს), რომ საქართველოს მამინდელი მატერიალური ცხოვრების პირობების თავისებურებათა გამო ბურჟუაზია არ შეიძლება უფილიყო და არც უფილია რევოლუციური ძალა (იხ., მაგალითად, ავტორის საწინააღმდეგო მსჯელობა 66-ე გვერდზე). ამასთანავე, ის სათანადოდ ვერ აღესებს გლეხობის როლს და გლეხთა გამოსვლების ისტორიულ მნიშვნელობას როგორც საერთოდ, ისე გ. წერეთლის შეხედულებების ჩამოყალიბებისათვის; ვერ ამჩნევს, რომ მოწინავე ინტელიგენციის შეხედულებები გლეხთა ანტი-ფეოდალური და ანტიკაპიტალიზმის ბრძოლის ანარქული და გამოუსტრელება იდეოლოგიის სფეროში. ამ საკითხის გაუგებრობიდან გამომდინარეობს ავტორის შემდეგარი მსჯელობა თვითმპრობელურ-შემამულური წყობილების წინააღმდეგ ქართველი ხალხის ბრძოლის ორი სხვადასხვა ფორმის შესახებ (გვ. 56).

ავტორი, ჩვენი აზრით, არასწორად იქცევა, როცა გ. წერეთელს, როგორც მოაზროვნესა და პოლემანს, უბირისბირებს დანარჩენ სამოციანელებს. ის ცდილობს დაგვარწმუნოს, რომ ქართველი განმანათლებლებიდან გ. წერეთელმა ყველაზე მეტად სცადა რიგ საზოგადოებრივ მოვლენათა მატერიალისტური ახსნა“ (გვ. 228); ან კიდევ: „ყველაზე გამოჩენილი ჩერნიშევსკის ქართველი მოწაფეებიდან, რომლებმაც სცადეს მოქმედების სახელმძღვანელოდ გავხადნათ მასწავლებლის ესთეტიკურ თეორიასთან ერთად მისი პოლიტიკური თეორია— გ. წერეთელი და ნ. ნიკოლაძე იყვნენ“ (გვ. 115). ჩვენ ამჟამად არ ვამოყრდებობთ იმის გამოთქმას, სწორია თუ არა ავტორის ეს მოსაზრებანი, მაგრამ არ შევნიშნავთ არ შევნიშნათ შემდეგი: ვერ-ერთი, პრინციპულად არა გვჯონია, რომ გამართლებული იყოს ერთი და იმავე მიმართულების („განმანათლებლობა“, „ჩერნიშევსკის მოწაფეები“) შერაობა და მოაზროვნეთა დაპირისპირება და იმაზე ლაპარაკი, თუ მათ შორის რომელი იყო „ყველაზე გამოჩენილი“. მეორეც, ავტორი აღბათ დაგვეთანხმება, რომ ასეთი საკითხის გამო-სარკვევად, თუ საჭმეს სერიოზულად შევხედავთ, არ არის საკმარისი, რომ ეკცმა მარტო ერთი მათგანის შეხედულებები შეისწავლოს.

ავტორი სრულიად არასწორად მსჯელობს

ი. კეკელიძის სოციალურ-პოლიტიკურ შეხედულებებზე და აგრეთვე ჟურნალ „საქართველოს მოამბის“ დახურვის მიზეზებზე (გვ. 33, 35). „საჯულხო რეფორმის გატარებისათვის მზადებაში და შემდეგ თვით რეფორმის გატარებაში, — გვარწმუნებს ავტორი, — კიდევ უფრო დაამტარა ინტელიგენციის „გალიბერალების“ პროცესი. „თერგდალეულთა“ ერთი ნაწილი რეფორმამ და-ამწვიდა, დააკმაყოფილა. ეს უნდა იყოს მიზეზი „საქართველოს მოამბის“ დახურვისა და ი. ჭავჭავაძის ჯვულის დაშლისა“ (გვ. 35).

ამ უცნაური მსჯელობიდან გამომდის, რომ დემოკრატიული და, რევოლუციური სულსაყვეთებით გაყენებული ქართველი ახალგაზრდობის — „თერგდალეულები“ — ყველაზე მოწინავე და აქტიური ნაწილი, რომელიც „საქართველოს მოამბის“ ირგვლივ იყო შემოკრებილი ვერ კიდევ ბატონყმობის გადაჯარღნამდე, იმდენად „დამწვიდებულა“ და „დაწყნარებულა“, რომ თვითონვე დაუხურავს თავისი მეზობელი ორგანი და ხელი აუღია მეფისა და მემამულეების წინააღმდეგ ბრძოლაზე. ამ საკითხის ასეთი არასწორი გაგება დასების ყალბი თეორიიდან მომდინარეობს და სარეცენზო რეგნის ავტორი აქ მხოლოდ სხვის აზრებს მივბრუნებს. ჩვენი ლიტერატურათმცოდნეობისა და ისტორიოგრაფიის თანამედროვე საფეხურზე ზემოხსენებული საკითხი საფუძვლიანად შესწავლილია, ავტორს კი მოეთხოვება, უფრო ფრთხილად და კრიტიკულად მიდგომოდა წინანდელი ავტორების შეხედულებებს.

წიგნში ზმირად გვხვდება არასწორი და არაზუსტი ტერმინები „მამათა“ და „შვილი“ (გვ. 10, 22, 23, 26, 27, 29, 30 და ა. შ.). ჩვენს ლიტერატურათმცოდნეობაში არავითხელ იყო გამოიქმნილი მოსაზრება ამ გაცვეთილი და არამეცნიერული ტერმინების უკუსაგდებად. თუ ავტორი ამ მოსაზრებებს არ ეთანხმება, კარგი იქნებოდა მკითხველისათვის გაეზიარებინა საკუთარი შეხედულება ამ საკითხზე.

ასეთია ჩვენ მიერ შემჩნეული ზოგიერთი ნაკლოვანება სარეცენზო წიგნისა. მიუხედავად ამისა, ნაშრომი მთლიანად დადებით შეფასებას იმსახურებს და, როგორც ზემოთ ითქვა, მას ბევრი კარგი ღირსება აქვს.

3. რაბინი

რუსი და ქართველი ხალხების მეგობრობის ისტორიიდან

სარეცენზო წიგნი ეხება მეტად საყურადღე-

ავთ. იოსელიანი, რუსი და ქართველი ხალხების საზარძლო თანამეგობრობის ისტორიიდან (XIX საუკუნის რეფორმამდელი პერიოდი). საქ. მეცნიერებათა აკადემია. 1955.

ბოთემს. მისი მიზანი ასახოს რუს-ქართველთა მეგობრობის ფაქტები სამხედრო ბრძოლების ისტორიაში. ამ თავისთავად საინტერესო თემის დასაძლწავლელად ავტორს გამოუყენებია როგორც დაბეჭდილი, ისე გამოუქვეყნებელი მასალები.

უნდა აღინიშნოს, რომ მთელი წიგნის სამი მეოთხედი (გვ. 54—206) აშუქებს შამილთან ბრძოლების ხანას. ამიტომ უფრო სწორი იქნებოდა, წიგნს ჰქონოდა სათანადოდ შეზღუდული სათაური. რუს-ქართველი სამართლო მეგობრობის სხვა დროის მეტად მნიშვნელოვანი ფაქტები ავტორისათვის შეუმჩნეველი დარჩენილა. XIX საუკუნის პირველი მესამედის ყველაზე შესამჩნევი ფაქტებიც ავტორს ან სრულებით არა აქვს აღნიშნული, ანდა აღნიშნულია დამახინჯებით.

წიგნში ბევრი ფაქტობრივი ხასიათის შეცდომაა. მაგ., ავტორი კარგად ვერ ერკვევა მიურიდიზმის ისტორიასა და ხასიათში. ამიტომაც ავტორს შამილის მთელი ჯარი მიურიდიზმისაგან შემდგარად მიაჩნია (გვ. 97, 101 და სხვ.). ნამდვილად კი შამილის მიურიდიები არასოდეს არ აღმატებოდნენ 400 კაცზე მეტს, ჯარი კი შამილს გამოჰყავდა ათასობით (კახეთზე თავისი დიდი თავდასხმის დროს მის 15.000 კაცამდე ჰყავდა).

ავტორის ყველაზე ლეკთა თავდასხმების მომწივრად ლეკთა ფეოდალები მიაჩნია. სადაც ლეკთა უმთავრესი იყო, იქ შეიძლება ნაწილობრივ წესრიგის დაცვა და ამიტომ ქართლ-კახეთი, მაგ., 1786—1799 წლებში ხუნძისის (გვარის) სახანოსთან გაკვეთილი პირობით ნორმალურ ურთიერთობაშიც იმყოფებოდა. დედსტანში (და მის ცალკე ნაწილებშიც) არ იყო ყველაზე მტკიცე სახელმწიფო ძალა-უფლება, რომელთანაც შესაძლებელი უფოთლიყო ასე თუ ისე შეთანხმება და რომელიც იყოსრებდა თავის თავზე მიღებულ ვალდებულებათა შესრულებას. ამიტომაც ყაიღური თავდასხმებით და შამილობით ცნობილი ეგვიპტეობრივი ბელადი (წინამძღოლი) კრებდა თავის ვარშემო შემთხვევითს მეომრებს და მათთან ერთად აწყობდა თავდასხმებს. სადაც ხელისუფლება არსებობდა, იქაც ის იმდენად სუსტი იყო, რომ ხანი ვერ ახერხებდა თავის ცალკეულ ქვეყნადრობას და მათი უკუღმების მონაწილეობის აღკვეთას თავდასხმებში. რასაკვირველია, დროგამოშვებით ესა თუ ის მფლობელიც ეთმობოდა ქართლ-კახეთს. ყველაფერი ეს იყო იმის მიზეზი, რომ ქართლ-კახეთი XVII—XVIII საუკუნეებში ვერ ახერხებდა დაღესტანთან საერთო ენის გამომსახვას და ვერც შემთხვევითი ბრძოლების მოლოდინულ თავდასხმებთან სათანადო ეფექტით ბრძოლას. ასეთსავე პირობებში იყვნენ ჩერქეზები, რომელთაც შემდეგ რუსეთმა მოსთხოვა ან გადასახლებულიყვნენ ჩრდ. კავკასიის ბარ ადგილებში, სადაც წესიერი რუსული მართებლობის დამყარებით შეუძლებელი გახდებოდა ჩერქეზებში სათარგმნო ბრძოების შედგენა, ანდა წესდოყვნენ ოსმალეთში. ჩერქეზების მეთაურებმა ამჯობინეს თურქეთში გადასახლება, რამაც არსებითად დააღუპა ჩერქეზების დიდი უმრავლესობა. ამიტომ ლაბარაკი იმაზე, რომ საქართველოზე თავდასხმებს ლეკი

ფეოდალები აწყობდნენ (რასაც ავტორი თავის წიგნში ბევრ ადგილას აღნიშნავს), არ შეეფერება სინამდვილეს.

ცალკეულ ფაქტობრივ შეცდომათგან აღვნიშნავთ ზოგიერთს.

მე-16 გვ. ნათქვამია: „მე-16 საუკუნის ნახევარში მდინარე კოლგის აუზში მონღოლთა მფლობელობის მოსპობით გააღვირებული რუსეთი წინა აზიის პოლიტიკურ ასპარეზზე გაბედულად გამოდის“, და სხვ. ა. ოსეილანის ასტრახანის და ყაზანის სახანოები მონღოლთა სამფლობელოებზედ მიაჩნია, რაც, რასაკვირველია, არ არის სწორი.

ავტორი წერს (გვ. 31), რომ „ქართველების დასახლება ჩრდილო კავკასიაში მე-16 საუკუნის მეორე ნახევრიდან იწყება“, რომ „რუსები ყოველგვარი საშუალებათა ცხელ უწყობდნენ ჩრდილოეთ კავკასიაში — მოზდოკის, ასტრახანის, ვლადიკავკასის, ვოლგისპირეთისა და თერჯის რაიონებში ქართული და სომხური კოლონიების შექმნა-დასახლების საქმეს. პეტრე პირველის ცნობილმა ლაშქრობამ ჩრდილო კავკასიაში ქართველ-სომეხთა გადასახლების აღრე დაწყებული პროცესი უფრო დიდად გააღრმავა“ და სხვ.

აქ ყველაფერი არეულია. ასტრახანი და ვოლგისპირეთი ჩრდილოეთ კავკასიას არ შეიძლება მიეკუთვნონ. მოზდოკი დაარსდა 1763 წელს და XVI საუკუნეში ის, როგორც შესამჩნევი პუნქტი, არც იყო. ავტორს არც ის სცოდნია, რომ ვლადიკავკასიი დაარსდა 1784 წელს.

გვ. 49: „1810 წელს ოსმალთაგან ფოთის გამოხსნაში გადამწყვეტ მონაწილეობას დებულბდნენ გურია-სამეგრელოსა და იმერეთის რაზმები“. ფოთი რუსებსა პირველად აიღეს 1809 წლის 2 ნოემბერს (და არა 1810 წ. თუმცა სხვა ადგილას, გვ. 46, თარიღი სწორადაა ნაჩვენები). იმის აღებაში „იმერეთის რაზმებს“ არავითარი მონაწილეობა არ მიუძღობდა და არც შეიძლება მათთვის, რადგან იმერეთის მეფე სოლომონ II რუსეთის წინააღმდეგ იყო გაწეობილი.

ავტორი აღნიშნავს (გვ. 85—87), რომ „თურქების აგენტები 1830-იანი წლებიდან, როგორც ირკვევა, მონაწილეობით ცდილობდნენ მიურიდიზმის გავრცელებას საქართველოშიც“. ეს სავსებით უცნაური განცხადებაა, რადგანაც მიურიდიზმს შეეძლო ფეხი მოეკიდა მაშადადნურ და არა ქრისტიანულ მოსახლეობაში. ავტორი კი ამ შემთხვევაზე სწორედ ქრისტიანულ საქართველებს ვუცხადებთ. იქვე (გვ. 86) ავტორი 1832 წლისათვის ოსენიებს აღზაზეთის შთავარს ჰასანბეი შარვაშიძეს. აღზაზეთის შთავარად ამ დროს იყო მიხ. შარვაშიძე, ხოლო ჰასანბეი არასოდეს არ ყოფილა აღზაზეთის შთავარად.

1832 წლის ბრძოლაში მონაწილედ მოხსენებულია გენერალ-ლეიტენანტი გრიგოლ ლუკინს-ჰე დდიანი. ნამდვილად ამ პირს ამ დროს ჰქონდა მაღალი შვირე ჩინი.

1853 წლის ოქტომბერში ივ. ანდრონიკაშვილი მოხსენებულა (გვ. 139), როგორც კავალერიის გენერალი, ნამდვილად კი ამ დროს და შემდეგ წლებშიც ის იყო გენერალ-ლეიტენანტი.

ელისეს სულთანი დანიელ-ბეგი დახასიათებულია (გვ. 93) როგორც „რუსეთის ენობილი გენერალი“. ესეი გულგებრობაა, რადგან დანიელ-ბეგი თუ ენობილი იყო, მხოლოდ როგორც შამილის ერთ-ერთი ნაიბთავანი. გენერლის ჩინი მას მიეძღვნა ჰქონდა როგორც ელიის სულთანს და არსებითად ეს იყო მისთვის საპატიო წოდება.

1844 წლისათვის ავტორს (გვ. 108) მოხსენებული ჰყავს თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის მარშალი, გენერალ-ლეიტენანტი დიმიტრი თამაზის-ძე ორბელიანი. სინამდვილეში კი ეს ორბელიანი ამ დროს პოლკოვნიკი იყო.

გრ. ორბელიანი 1846 წლის ბრძოლაში მოხსენებულა (გვ. 123) როგორც ინფანტერიის გენერალი, მაშინ როდესაც მას ამ დროს პოლკოვნიკის ჩინი ჰქონდა. მეორე გვერდზე კი აღნიშნულია: „გერგებლის აღებისათვის 1848 წელს გრ. ორბელიანს გენერალ-მაიორის ხარისხი ებოძა“.

მავე გრ. ორბელიანის შესახებ ნათქვამია (გვ. 174), რომ 1858 წელს ის ვადმოიყვანეს აბილისში, რადგანაც ბარიატინსკის უნდოდა შამილზე გამარჯვების სახელი მხოლოდ თეთროდ დარჩენილიყო. ასეთი განცხადება ფაქტების უცოდინარობაზეა დამყარებული. პირაქით, ბარიატინსკი დიდი წილობით ეპყრობოდა გრ. ორბელიანს. ამიტომაც მან გრ. ორბელიანი ვადმოიყვანა კასპის ზღვის სანაპიროს მმართველის ადგილიდან თბილისის გენერალ-გუბერნატორის ადგილზე, რადგანაც კანონით იბილისის გენერალ-გუბერნატორი საჭირო შემთხვევაში მეფის მოადგილის თანამდებობას ასრულებდა. ეს იმას ნიშნავს, რომ ბარიატინსკიმ გრ. ორბელიანი თანამემყურდ და თბილისიდან ვასკოლს ან ავადმყოფობის შემთხვევაში თავის შემცვლელად დანიშნა. სად არის აქ ინტრიგა ბარიატინსკის მხრივ?

189—190 გვერდებზე ვითვლიან: ვენ. მილიტერი სწორად პეტერბურგიდან ბარიატინსკის, რომ ალექსანდრე II-ს ძლიერ მოსწონებოდა ბარიატინსკის აზრი მომავალი საგლეხო რეფორმის შესახებ. ა. იოსელიანი უმატებს: „აი როგორ ჰქონდათ წარმოდგენილი კარიზმის კავასიულ მოხელეებს ბატონყმობის გაუქმების წინ მისობრივად აჯანყებული საქართველოს გლეხაკობის დათრგუნვა, მათი შემდგომი დამონება და ქვეყნის სრული კოლონიზაცია“. ეს ტირადა არ შეეფერება სიმართლეს. კავასიის ჯარების მთავარი შტაბის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი გენ. მილიტერი ბარიატინსკის მიერ გაგზავნილი იყო ალექსანდრე II-სთან. 1857 წლის ოქტომბერში ალექსანდრე II-მ მიიღო გენ. მილიტერი, რომელმაც სამ საათიან

მოხსენებაში, სხვათაშორის, გააცნო მას ბარიატინსკის აზრი საქართველოში ნაქონყმობის გაუქმების შესახებ. მიწები აღიარებული უნდა ყოფილიყო მებატონეთა საკუთრებად, განთავისუფლებული გლეხები კი უნდა დასახლებული ყოფილიყვნენ კოლონისტებად ამ მებატონეთა მიწებზე გარკვეული პირობებით, რომ შემდეგ თანდათან მოხდებოდა გლეხების განთავისუფლება მებატონეთაგან მიწების შეყიდვით. ა. იოსელიანს ვერ გაუგია მილიტერის წერილის ტექსტი და საკითხს აშუქებს ყალბად. ბარიატინსკის მოხსენებაში გლეხების ახალ დათრგუნვაზე და რუსების მიერ საქართველოს კოლონიზაციაზე არაფერი იყო ნათქვამი.

წიგნის „დამატებაში“ მოთავსებულია (გვ. 209—214) XVII ს-ის 8 საბუთის ტექსტი. არც ერთი ამ საბუთის ანოტაცია არ არის სწორი.

საბ. № 1-ის ანოტაცია მოცემულია ასე: „ლონ ბატონიშვილის (1774 წ.) მიმართვა გრაფ ნიკიტა პანინისადმი ყირიმში ოსმალთა მონობისაგან რუსეთის მხედრობის მიერ განთავისუფლებული ქართველი ტყვეების დაბრუნების შესახებ. სარეკლამო წიგნის ტექსტში კიდევ (გვ. 21) ამავე საბუთის დამოწმებით ნათქვამია, რომ ლევანი 1774 წ. თხოვლობდა ამ ქართველი ტყვეების დაბრუნებას, „რომლებიც ახლად განთავისუფლებულ ყირიმში იმყოფებიან“. ლევან ბატონიშვილის წერილში კი ნათქვამია იმ ქართველი ტყვეებზე, რომლებიც „გამოსრულნი იყვნენ ყირიმიდან და განთავისუფლებულნი სპურველითა რუსიისათა“. რუსული მმართველობა ყირიმში დამკვიდრდა მხოლოდ 1783 წელს.

№№ 2, 7, 8 საბუთები ანოტაციაში მიხნეულია როგორც პაველ პოტიომკინისადმი მიმართული, მაგრამ თვით საბუთები იწყება ასე: „უგანათლებულესო კნიაზო“ და სხვ. ცხადია, აქ იგულისხმება „უგანათლებულესი“ თავადი გრ. პოტიომკინი, რუსეთის იმდროინდელი ფაქტობრივი გამგებელი.

საბუთი № 3 1784 წლისა ასეა აღნიშნული: „მეფე ერეკლეს პატაკი რუსეთის სამეფო კარის მოხელესადმი“ და სხვ. ჯერ-ერთი, ერეკლე მეფე რუსეთის კარის მოხელეს და არც არავის სხვას პატაკი არ გაუგზავნიდა (სუმბორდინაიის წესით ეს არ შეიძლება მომზდარიყო). ამ „კარის მოხელის“ ვინაობა ცხადად ჩანს მიმართვის პირველი სიტყვებიდანვე: „უგანათლებულესო კნიაზო“ და სხვ. ეს არის იგივე გრ. პოტიომკინი.

საბ. № 5: „მეფე ერეკლეს წერილი გენ. პ. პოტიომკინისადმი თბილისის მოქალაქე ვაჭრებისათვის ყაზახის მიდამოებში თავისუფლად ვაჭრობის პირობების შექმნის... შესახებ“. ა. იოსელიანს ვერ გაუგია წერილის შინაარსი. ერეკლე წერს, რომ ჩრდილოეთ კავკასიაში ერთ ყაზახში თბილისის სამ მოქალაქეს მეორე ყაზახიდან წაართვეს საქონელი და ორი ქრისტიანი ტყვე. ყაზახი თათრული სიტყვაა, ნიშნავდა გრ-

მურს, მაგრამ აქ პატარა სოფელს ნიშნავს. ეს სიტყვა ცნობილი იყო მაშინდელ რუსულშიც кабак-ის სახით. ერეკლე თხოულობდა, რომ ეს დანაკლისი პატრონებისათვის დაეტუნებინათ. არავითარ თავისუფალ ვაჭრობაზე აქ ლაპარაკი არაა. ამასთანავე, სიტყვა „ყაბახი“ ა. იოსელიანს შეუძლობით საკუთარ სახელად მიუჩნევია.

საბ. № 7-ის ანოტაცია იკითხება: „მეფე ერეკლეს წერილი (1788 წ.) გენ. პ. პოტიომკინისადმი (უნდა: უგანათლ. თავად გრ. პოტიომკინისადმი) კავკასიის მშედობის მოშლის შემთხვევაში რუსეთის იმპერიასა და კავკასიისათვის მოსალოდნელი საშიშროების შესახებ“, საბუთში კი სულ სხვა სწერია. 1784 წ. რუსებმა დააარსეს სიმაგრე ვლადიკავკაზი. ეს სიმაგრე მდებარეობდა დარიალის გადარბა და ის უზრუნველყოფდა საქართველო-რუსეთს შორის მომსგლის უზიშროებას. ერეკლემდის მიღწეა ცნობამ, რომ რუსეთი ამირებს ეს სიმაგრე მოშლის და ჯარი იქიდან გაიყვანოს. ერეკლე თხოულობს: ნუ იზამთ ამას და ჩვენც „შეიძლება რომ (ამ) ვლადიკავკაის ახლოს ჩვენს დრანიცაზე სიმაგრე გავაკეთოთ“ (იგულისხმება დარიალთან). ა. იოსელიანს ვლადიკავკაზი შეუძლობით მთელ კავკასიად მიუღია, რაც უაზრობას შეიცავს რუსეთში ამ დროს (და შემდეგაც) არასოდეს არ დასმულა საყთობი, რომ მთელი წრდილოეთ კავკასიიდან ჯარები გაეყვანათ.

ფაქტობრივი შეცდომების ვარდა. ა. იოსე-

ლიანის ამ წიგნს ახასიათებს ხშირი განმეორებანი და არათანმიმდევრბი მსჯელებანი. გვ. 51—52 ჯერ მოთხრობილად რუსულში 1828—1829 წლის ომის შესახებ, შემდეგ კი ვაღმოცემულია რუსეთ-სპარსეთის 1826 — 1828 წლ. ომის ფაქტები. ამავე რუსეთის წინააღმდეგ ინგლისის ინტრიგების ერთი და იმავე ხასიათის ფაქტების შესახებ რამდენიმეჯერ განმეორებით არის მოთხრობილი (გვ. 55—56, 58, 63, 80 და სხვ.). შამილის წინამორბედ ყაზიმოლასა და პამზად-ბეგის შესახებ აგრეთვე რამდენიმეჯერ არის ერთი და იგივე ვაღმოცემული (მაგ., გვ. 79, 87). ესევე უნდა ითქვას ალ. კავკავაძის, როგორც სამშედრო პირის, შესახებ (გვ. 51, 83, 88). დარგოს ლაშქრობის შესახებ ცნობები არეულ-ბერეულად არის წარმოდგენილი (გვ. 113, 117).

47-ე გვერდზე მოთხრობილია გენ. პაულე ციციანოვის შესახებ, შემდეგ ავტორი უბრუნდება 1800 წლის ომის ამბავს და ამის შემდეგ ვადალის 1803 წლის ამბებზე. გვ. 28—29 1783 წლის ტრაქტატის ამბის შემდეგ ავტორი მოულოდნელად ვადალის 1802—1803 წლებში ლეკების მიერ წარმოებულ თარეშზე (თუმცა ამ თარიღს არ ასახელებს) და შემდეგ ისევ უბრუნდება 1780 წლების ამბებს.

ასეთია ჩვენი შენიშვნები სარეცენზოი წიგნის შესახებ. სასურველია, ავტორმა გაითვალისწინოს ისინი წიგნის შემდგომ გამოცემაში.

საჩინო კაპაბაძე

ქართლის ცხოვრების ახალი გამოცემის გამო

სარეცენზოი წიგნში წარმოდგენილია ქართლის ცხოვრებაში შემონახული შემდეგი ისტორიული თხზულებანი:

1. „ცხოვრება ქართველთა მეფეთა და პირველთაგანთა მამათა და ნათესაეთა“ — ლეონტი მროველისა.
2. ნინოს ცხოვრება და მის მიერ ქართლის მოქცევა — იმავე ავტორისა.
3. ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა — ჯვანშერისა.
4. არჩილ მეფის წამება — ლეონტი მროველისავე.
5. მატანე ქართლისა — უცნობი ავტორისა.
6. ცხოვრება მეფეთმეფისა დავითისი (აღმაშენებლის) — აგრეთვე უცნობი ავტორისი. ვარდა ამისა, ამ ტომში დაბეჭდილია: ლაშკარის დროინდელი მემკვირის თხზულება (XIII ს.) და სუმბატ დავითისძის „ცხოვრება და უწყება ბაგრატიონიანთა“, X საუკუნის ძეგლი.

ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილია ველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ საზღვარში. თბილისი 1955.

როგორც პროფ. ს. ყაუხჩიშვილის წინასიტყვაობიდან ირკვევა, ქართლის ცხოვრების დანარჩენი თხზულებანი — „ისტორია და აზმანი შარავანდედთანი“ ან კიდევ თამარის მეორე ისტორიკოსის მატანე ვამთაღმწერელის უსათურო თხზულება და ქართლის ცხოვრების გაგრძელება დაიბეჭდება მომდევნო, მეორე ტომში.

ქართლის ცხოვრება ძველი ქართული საისტორიო შწერლობის ღირსშესანიშნევი ძეგლია. შედგენილია მისი თვალსაზრისით იგი კრებულია სხვადასხვა დროის და ავტორთა ისტორიული თხზულებებისა და არც ერთბაშად წარმოქმნილი ჩანს. როგორც ავად. ი. ვ. ჯავახიშვილის მიერ გარკვეულია, ეს კრებული „ქართლელთა ცხოვრების“ ანუ „ქართლის ცხოვრების“ საბეჭდობით (ორივე სახელწოდება კი საქართველოს ისტორიას აღნიშნავდა) თავისი თავდაპირველი სახით XI საუკუნის მიწერულისათვის ჩამოყალიბებულა. მომდევნო თაობებს კი ის შეუესათათ ახალ-ახალი საისტორიო ძეგლებით (რამდენიმე წყებად) და იმასაც თანდათანობით მიუღია ის სახე, რომელიც დღეისათვის მოგვკობა. ქართლის ცხოვ-



რებაში საისტორიო თხზულებანი ისე თანწეყო-
ბილად არის წარმოდგენილი, რომ ეს კრებული
ვარკვეული თანამიმდევრობით აშუქებს ქართვე-
ლი ხალხის მრავალსაუკუნოვან ისტორიულ თე-
ვადსაველს უძველესი დროიდან XVIII საუკ-ის
დამდეგამდე. მაგრამ ქართლის ცხოვრება მხო-
ლოდ საქართველოს ისტორიას როდემო ვიგვი-
თობს. მასში უღარესად საგულისხმო ცნობებია
შემონახული სომეხ-აზრებებიჯანელ-ის — ლეკ
ხალხთა და, საერთოდ, მრავალერიათი კავასიის
სახელოვანი წარსულის ვასათავალისწინებლად.

ქართლის ცხოვრების მეცნიერული შესწავლა
ჯერ კიდევ წარსული საუკუნის პირველ ნახე-
ვარში დაიწყო. მისი პირველი მკვლევარი იყო
პირველი ქართველი აკადემიკოსი თეიმურ-
რაზ ბატონი. თეიმურაზის დახმარე-
ბით და ზღმძვანელობით ქართლის ცხოვრე-
ბის შესწავლას ხელს ჰქიდებს აგრეთვე პარიზი-
დან პეტერბურგს ვადმოსახლებული ახალგაზრ-
და ფრანგი მკვლევარი, შემდეგში კი გამოჩენი-
ლი მეცნიერი აკად. მარი ბროსე. მან სა-
უფუძვლიანად შეისწავლა საქართველოს ისტო-
რია, ქართული ენა და მწერლობა, მოიარა სა-
ქართველო, გაეცნო მის არქეოლოგიურ ძეგ-
ლებს და შეუდგა ქართლის ცხოვრების სას-
ტამოდ მომზადებას. მის მიერ გამოსაცემად
მომზადებული ქართლის ცხოვრება დაიბეჭდა
რუსეთის საიმპერატორო მეცნიერებათა აკა-
დემიის განკარგულებით და გამოვიდა 1849
წელს სააკტკატერბურგში. ეს იყო
ამ ძეგლის პირველი გამოცემა. ერთდროულ-
ად მარი ბროსემ ქართლის ცხოვრება ფრან-
ველ ენაზედაც თარგმნა და იმავე წელს გამოს-
ცა კიდევ. ამით მან ეს ძეგლი ევროპის სამეც-
ნიერო წრეებისთვისაც ხელმისაწვდომი გახადა.

გამოქვეყნებულ ტექსტს ბროსემ ორივე გა-
მოცემის (განსაკუთრებით კი ფრანგული თარგ-
მანის) სქოლიოებში მრავალი საგულისხმო კო-
მენტარი გაუყუთა. ზოგიერთ მათგანს თავისი
სამეცნიერო მნიშვნელობა დღესაც არა აქვს და-
კარგული. მუშაობა ქართლის ცხოვრების გარ-
შემო პეტერბურგში ამის შემდეგ კიდევ უფრო
გაიშალა. იქ მალე მომზადდა და დაიბეჭდა
ქართლის ცხოვრების II ტომიც. მასში შევიდა
ეახუშტი ბატონიშვილის „საქართვე-
ლის ცხოვრება“ და XVIII საუკუნის სხვა ავტო-
რთა თხზულებანი, რომელნიც ასე თუ ისე ითვ-
ლებოდნენ ქართლის ცხოვრების გაგრძელებად
(ვახტანგის „მეცნიერ კაცთა“ კოლექტიუ-
რი ნაშრომის გამოკლებით, რომელიც მაშინ ჯერ
კიდევ არ იყო ცნობილი). ქართლის ცხოვრების
ეს მეორე ტომი მომზადდა და დაიბეჭდა ცნო-
ბილი ქართული მეცნიერის დ. ჩუბინა-
შვილის ხელმძღვანელობითა და რედაქციით.
(სპბ. 1854 წ.). თვითონ აკად. მარი ბროსემ გა-
მოავლინა და შეისწავლა მრავალი საარქივო
მასალა, რომელსაც, მისი აზრით, ერთგვარი და-
მოკიდებულება ჰქონდა ქართლის ცხოვრებას-

თან. იღნიშნული მასალების ერთი ნაწილი მან
გამოაქვეყნა კიდევ სათურით: „Additions et
Eclaircissements à l'Histoire de la Géorgie“
(„დამატებანი და განმარტებანი ქართლის ცხოვ-
რებისა“. იქვე. 1851). ამ გამოცემაში ბროსემ,
სხვათაშორის, დაბეჭდა ფრანგული სრული
ტექსტი ქართლის ცხოვრების ძველი სომხური
თარგმანისა „Chronique Armenienne“-ის სა-
ხელწოდებით. საერთოდ, ქართლის ცხოვრების
ამ პირველ, ბროსესეულ (ქართულ-ფრანგულ)
გამოცემებს დიდი მეცნიერული მნიშვნელობა
ჰქონდა. ამით რუსეთსა და დას. ევროპაში XIX
საუკუნის შუა წლებისათვის ჩაეყარა საფუძვე-
ლი ქართლის ცხოვრების მეცნიერული შესწავ-
ლის საქმეს. ქართლის ცხოვრების პირველი,
ბროსესეული, გამოცემა მალე ბიბლიოგრაფიულ
იშვითობად იქცა, თანაც ის საკმაოდ ძვირად
ფასობდა. მისი შეძენის გაადვილების მიზნით
ზ ა ქ ა რ ი ა კ ე ბ ი ა მ ე ა მ მ ის გაიმეო-
რა და უცვლალად დაიბეჭდა ნაკვეთ-ნაკვეთე-
ბად 1897 — 1908 წლებში.

პირველი გამოცემის განსაკუთრებული სამეც-
ნიერო ღირებულების გამო სამკუთა კავშირის
მეცნიერებათა აკადემიამ მიზანშეწონილად მიიჩ-
ნია მისი კიდევ ერთხელ განმეორება, მისი პირ-
ველი ნაკვეთი დაიბეჭდა აკად. ნიკო მარიის
თვალმძღვენიო ქ. პეტროგრადში 1923 წელს.

ვარდა ამისა, ცნობილია ქართლის ცხოვრე-
ბის გამოცემის ორი ცალკეული შემთხვევა.
ერთი მათგანი მარიამ დედოფლისეულ
ხელნაწერს შეეხება, სათანადო შესწავლის შემ-
დეგ კი უკანასკნელი დაიბეჭდა ექ. თაყაი-
შვილის რედაქტორობით (თბილისი 1906),
ხოლო მეორე გულისხმობს ანა დედოფ-
ლისეული ხელნაწერის გამოცემას, რომელიც
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
ისტორიის ინსტიტუტმა სიმონ ყაუხჩი-
შვილის რედაქციით განაზორცილა.
(თბილისი, 1942).

ქართლის ცხოვრების ეს ახალი, სახეგამო-
სიეული, გამოცემა არსებითად განსხვავდება ამ
ძეგლის ყველა ზემოაღნიშნული გამოცემისაგან.
თუ ძველად მისი გამოცემა მხოლოდ ითით
ხელნაწერის მიხედვით ხერხდებოდა და ისიც
დიდ ბედნიერებად ითვლებოდა, ახლა ჩვენ
ხელთ არის ქართლის ცხოვრების ტექსტი,
დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მი-
ხედვით. ეს არის ძეგლის ე. წ. კ რ ი ბ რ ე უ-
ლი გამოცემა, რომელსაც ქართველი სა-

1 სრულიად განცალკევებულად დგას ქარ-
ლის ცხოვრების ძველი სომხური თარგმანის
გამოცემის საქმე, რომელიც პროდ. ილია
აბულაძეს ეკუთვნის. მან საუფუძვლიანად შეის-
წავლა ეს ძეგლი და პირველად გამოაქვეყნა ის
ქართული თარგმანითა და პირველწყაროს —
ქართლის ცხოვრების შესაბამისი ტექსტიურთ
(თბილისი 1953).

ზოგადობა კარგა ხანია მოელოდა. დადგენილ ტექსტს აქ, როგორც წესი, თანხლებს დაწერილობით შედგენილი კითხვა-სხვაობანიც. ქართლის ცხოვრების ყველა ხელნაწერის მიხედვით.

გზადაგზა (სქოლიოებში) მოტანილია აგრეთვე ხელნაწერთა ყველა მნიშვნელოვანი მინაწერაც. პოლოში კი მის ახლავს კარგად შედგენილი ლექსიკონი და საკუთარ სახელთა საძიებელი, რაც თვალსაზრისით აადვილებს ტექსტის სწორად გაგებისა და ამ წიგნით სარგებლობის საქმეს. გარდა ამისა, ნაშრომს წინუძღვის პროფ. ს. ყაუხჩიშვილის წინასიტყვაობა და შესავალი. ეს უკანასკნელი შეიღო თავისაგან შედგენა და თავისთავად მნიშვნელოვან გამოკვლევას წარმოადგენს. აქ მინავალი საგულისხმო საკითხია დასმული და გაშეკვნილი. უთუოდ მნიშვნელოვანია შესავლის მეოთხე თავი, სადაც საუბარია ქართლის ცხოვრებას თხზულებათა წყაროების შესახებ. მარტო იმ რად ღირს, რომ პროფ. ს. ყაუხჩიშვილს მის მიერ მოკვლეული და გახსენებული „მატიანე ქართლისაჲს“ და ბიზანტიელი ისტორიკოსის ვდრენეს ურთიერთ დამოკიდებულება. ამ მიგნების წყალობით ისახება შესაძლებლობა „მატიანე ქართლისაჲს“ უფრო ზუსტად დამართვისა, ვიდრე ამის დღემდე ჰქონდა ადგილი. აღნიშვნის ღირსია ის ვარკეთილბაი, რომ სარკვევით ქართლის ცხოვრება დაბეჭდილია საგანგებოდ შერჩეული, სასიამოვნო საკითხები შრიფტითა სავრთოდ გამოცემა განსაკუთრებულად მზრუნველობითა და სიყვარულით არის შესრულებული.

პროფ. ს. ყაუხჩიშვილი წინასიტყვაობის თითქმის პირველივე სტრიქონიდან იწყებს იმ უმთავრესი ამოცანის შესახებ, რომლის გადაწყვეტასაც ის ამ გამოცემის მიზნად უსახავდა: უთუოდ სწორია იტყობება ამის შესახებ, რომ ქართლის ცხოვრება XII საუკუნიდან მოკლებული XVIII საუკუნემდე (ზათვლით) განიცდიდა გარკვეულ ვადამუშავებას, რომ ის „დრო და დრო იცუებოდა, ახლდებოდა და სწორდებოდა“ და „მიუხედავად ამისა, მინც ზერხედმა ზოგიერთის მეტნაკლებობით მისი თავდაპირველი სახის აღდგენა“ და სხვა. საბოლოოდ კი ხელმძღვანელი — რედაქტორი გარკვევით აცხადებს:

„წინამდებარე გამოცემაც მიზნად სწორედ ამას ისახავს: მაქსიმალური სისრულით. წარმოადგინოს „ქართლის ცხოვრების“ ტექსტზე საუკუნეთა განმავლობაში წარმოებულ რედაქციულ მუშაობათა სურათი და ხელი შეუწყოს ვკიანდელ ნამატთა გამოქვინებას და მათსადაამე, თავდაპირველი ტექსტის აღდგენას“.

ქართლის ცხოვრების თავდაპირველი სახის აღდგენა-დაადგენა, ამის უძირითადესი ამოცანა, რომლის გადაწყვეტა

ამ გამოცემის მიზნად აქვს დასაძლული, თავისი მოცულობითა და მნიშვნელობით ეს უდიდესი და ურთულესია ამ სამუშაოდ. „მართალია“ რამე-ლიც ამ ძეგლის გარშემო შესაძლებელია აღამიანი წარმოადგინოს. რედაქციის სასაბულოდ შეიძლება ითქვას, რომ მას ამ მიმართულებით დიდი წარმატებები მოუპოვება. მის საფუძვლიანად უდრია ქართლის ცხოვრებაში საუკუნეთა მანძილზე გადაწერათაგან თუ „ემათა ვითარებისაგან“ დავროვილი დამახინჯებანი გაეპართა, გაეწორებია და მისი ტექსტი ადვილსაკითხვი და, რაც მთავარია, გასაგები გაეხადა. ძეგლის მრავალი დამახინჯება მას აქ მართლაც შეუსწორებია და ძირითადი მართებულებაც.

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, აქ მინც მოაქმნება გარკვეული რაოდენობა ისეთი ადგილებისა, სადაც ძეგლის თავდაპირველი სახის აღდგენა-აღდგენა არ შეიძლება დამოკიდებულად ჩაითვალოს, ან სადაც შესწორების ვარაზრტი დამაჯერებელი არ არის და საკამათო. ზოგჯერ შეიცდარია რედაქციის სახელმძღვანელო მოსახრება და მისგან მომდინარე სარედაქციო ღონისძიებაც უსაფუძვლოდ გამოიყურება. ასეთ ადგილებიდან ჩვენ აქ მხოლოდ ზოგიერთს დავსახებთ:

1. უმართებულად მიგვაჩნია გადაწყვეტილება ქართლის ცხოვრების ორ ტომად გამოცემის შესახებ. უმჯობესი იქნებოდა ქართლის ცხოვრების ძირითადი ტექსტი მთლიანად ყოფილიყო წარმოდგენილი ერთტომად, ხოლო დამატებითი ხასიათის ტექსტუალური მასალები და, მით უფრო, გამოკვლევანი ქართლის ცხოვრების პრობლემათთან დაკავშირებით ცალკე წიგნად ყოფილიყო გამოცემული. ამას უთუოდ ექნებოდა გარკვეული მნიშვნელობა ამ ძეგლის მეცნიერული შესწავლისა და მისი პრაქტიკული გამოყენების საქმისათვის. სწორედ ასე ვამოსცა ეს ძეგლი თავის დროზე აკად. პარ. ბ. რ. ს. მ. მართალია, „ბროსის კრებულთა კითხვა-სხვაობანი და, მათსადაამე, ასეთი სქელტანიანი სქოლიოებიც, მაგრამ აღნიშნულის განხორციელება ახლაც შესაძლებელია და უადრესად სასურველიც. ამ მიზნით საკმარისი იქნებოდა ამ წიგნის ზოგიერთი მასალის გადატანა მომდევნო, ცალკე ტომში. ეს, რასაკერძოდა, შეეხება შესავალს, რომელიც დამოუკიდებელი სამეცნიერო მნიშვნელობისა და ძეგლის გამოცემისთან მიინც და მიინც უშუალოდ დავაშირებულ არა ჩანს. ასევე მეორე წიგნში გადავიდოდა აქ მოთავსებულ ზოგიერთი პარალელური და დამატებითი ხასიათის ტექსტიც. ამ მხრეც უთუოდ მნიშვნელოვან შედეგს მოგვეცემა ამ პირველ ტომში მოთავსებულნი ჩანართებისა და სქოლიოების ერთგვარი „შემქიბრობაც“.

ყველაფერია ეს მოგვეცემა შესაძლებლობას წინამდებარე პირველ ტომში დავითის ისტორიკოსის შემდეგ მოგვეთავსებინა „ისტორიანი

და აზმანი შარავანდედთანი, ეპითალმურების თხზულება და მეცნიერ კაცთა კოლექტორი ნაშრომი — საქართველოს ისტორია XIV—XVIII საუკუნეებისა. ამით ქართლის ცხოვრება მთლიანად გვექნებოდა ხელთ და მისი დანაწილება ხელოვნურ ნაკვეთებად აღარ ვახდებოდა საქარა.

II. რედაქცია უმართებულოდ იქცევა, როდესაც მიზნად ისახავს ძველის თავდაპირველი სახის აღდგენა-დადგენას და მას არ ამყარებს ერთ ან რამდენიმე საგანგებოდ შერჩეულ, ყველაზე უფრო ძველი და სანდო ნუსხის ჩვენებაზე. ის ერთნაირად ემყარება ქართლის ცხოვრების ყველა ნუსხაზე, რომლებიც დღეისათვის საერთოდ ცნობილი და არსებობს. მართალია, წიგნს თავფურცელზე აწერა: „ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით“, მაგრამ არსებითად ეს სიტყვა — „ძირითადი“ აქ სრულიად ზედმეტი და უმინარსო ჩანს. რედაქციას ზოგიერთი ფრაგმენტი თუ აქვს გამოტოვებული, თორემ არც ერთი ნუსხა მას უფურადღებოდ არ დაუტოვებია. ასეთი ძველის გამოკეცვისას კი შეითხველი, როგორც ცნობილია, ყოველთვის მოწინააღმდეგეა იცოდეს: თუ რომელ ხელნაწერს აქვს მას არსებითად საქმე; სამწუხაროდ, შეთხველი აქ აშკარად მოკლებულია ამის გარკვევის შესაძლებლობას.

შესავლის მეორე თავში, სადაც საუბარია „ქართლის ცხოვრების“ ნუსხების მოპოვების ისტორიის შესახებ (გვ. 017), ხელმძღვანელი რედაქტორი ჩამოთვლის ქართლის ცხოვრების თოხანმეტ ნუსხას და თითოეულს გასწვრივ მიუთითებს თავთავის თარიღსაც. ოღონდ ეს უკანასკნელი შესაძლებელი სიზუსტით ყოველთვის განსაზღვრული არ არის. ასე მგავლითად, ანასეული ნუსხის დასათარიღებლად ნათქვამია: „XV — საუკუნისა“. სინამდვილეში კი ამ ნუსხის ანდროიდან ცნობილია, რომ ის თავის დროზე გადანუსხული ყოფილა კახეთის მეფის ალექსანდრეს მეუღლის ანა დავითელისათვის, ხოლო ამის მიხედვით ი ვ ა ნ ე ჯ ა ვ ა ზ ი შ ვ ი ლ ი მას 1479 — 1795 წლებით ათარიღებდა.

ასევე, თეიმურაზისეული ნუსხის შესახებ ნათქვამია: „XVIII საუკ. პირველი ნახევრისა“ შეიძლება ეს თარიღიც უფრო დაზუსტებით ყოფილიყო მითითებული. თეიმურაზისეული ნუსხის, თავსა და ბოლოში, როგორც ცნობილია, მოკლეობა იმერთა მეფის ალექსანდრეს რამდენიმე თარიღთან ავტოგრაფული მინაწერი 1724 წლისა. ასე რომ, შეუწყნარებელია, მისი გადანუსხვა ამ თარიღის შემდეგ აქნეს ნაგულისხმები. ის, უმკველია, 1724 წლამდე გადამწერილი და ასეც უნდა ყოფილიყო აქ მითითებული. ქართლის ცხოვრების საეკლესიო მუხრეუმისეული ხელნაწერის შესახებ ნათქვამია: „1748 წლისა“. ეს აქ ისე

კატეგორიულად არის ნათქვამი, რომ მკითხველს ჰგონია ამ ნუსხას თითქოს თარგმანებული და ის მართლაც 1748 წელს ვლადიმერ გარეშვილისინამდვილეში კი ის უთარილო ძველი, ცნობილი ისტორიკოსი თ. გო რ დ ა ნ ი ა კი ნუსხას მისი ზოგიერთი მინაწერის მიხედვით 1748 წლის ახლო ხანებით ათარიღებდა. ახლაც უფრო მართებული იქნებოდა ეს ნუსხა ასე ყოფილიყო დათარიღებული.

ასევე ზოგადი და უმართებელია აქ წარმოდგენილი დათარიღებანი ჯანაშვილისეული და სხვიტორული ნუსხებისა.

III. რედაქცია ბოლომდე ვერ იცავს ქართლის ცხოვრებაში ისტორიულ თხზულებათა ბუნებრივ თანმიმდევრობის პრინციპს: შეფედა მეფის დავითის ცხოვრებას აქ ლამაზ გიორგის დროინდელი მემატიანის თხზულება მისდევს. მას კი სუ მ ბ ა ტ დ ა ვ ი თ ი ს ძ ი ს „ცხოვრება და უწყება ბაგრატიონიანთა“ მიჰყვება. ამგვარი თანამიმდევრობა ძველებსა უწინააღმდეგეა თვითონ ქართლის ცხოვრების „სულსა და გულს“. საქმე ის არის, რომ ისტორიული თხზულებანი ამ კრებულში უსისტემოდ და შემთხვევით „ჩაყრილი“ კი არ არის, არამედ ისტორიულ-ლოგიკური პრინციპის მიხედვით დალაგებული ჩანს. სწორად ამიტომ არის, რომ ქართლის ცხოვრება გარკვეული თანმიმდევრობით ამუქებს საქართველოს ისტორიას უძველესი დროიდან XVIII საუკუნემდე. ხსენებული პრინციპის ნაწილობრივად დარღვევის შემთხვევას, როგორც ცნობილია, ადგილი ჰქონდა ძველ, ვახტანგის წინარეგანის, ქართლის ცხოვრების ნუსხებში: „დავითის ცხოვრებას“ იქ სუ მ ბ ა ტ დ ა ვ ი თ ი ს ძ ი ს ქ რ ი ნ ი კ ა მ ი ს დ ე დ ა, ამ უკანასკნელს კი მიჰყვებოდა „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“ (მარიამისეული, მაჩაბლისეული ნუსხები). მაგრამ ცნობილია ისიც, რომ ვახტანგისეულმა რედაქციამ XVIII საუკუნის დამდგენისათვის საფუძვლიანად შეასწორა ამ მხრივ არსებული მდგომარეობა. მან სრულიად ამოიღო სუ მ ბ ა ტ ი ს ქ რ ი ნ ი კ ა მ ი ს დ ე დ ა ქ რ თ ლ ი ს ც ხ ვ რ ე ბ ა დ ა ნ. ხოლო მისი ზოგიერთი ცნობა, რომელიც ქართლის ცხოვრებისათვის საჭირო იყო, პირდაპირ შეიტანა ამ უკანასკნელის შესაბამ ადგილებში, ასე რომ, აღნიშნული ძველის ამ ძალ გამოკეცვაში სუ მ ბ ა ტ დ ა ვ ი თ ი ს ძ ი ს ქ რ ი ნ ი კ ა მ ი ს დ ე დ ა და, ისიც XIII საუკუნის ძველის ლ ა მ ა გ ი ო რ გ ა მ ს დ რ ო ნ დ ე დ ი მ ე მ ა ტ ი ა ნ ი ს თ ხ ზ უ ლ ე ბ ა ს შ ე მ დ ე გ, მე შეუწყნარებულად მიიზინია. მით უფრო, არ არსებობს არც ერთი ნუსხა ქართლის ცხოვრებისა, რომელიც რედაქტორის ასეთ ღონისძიებას დაუკერდეს მხარს. ქართლის ცხოვრების კრიტიკულ გამოკეცვაში სუ მ ბ ა ტ დ ა ვ ი თ ი ს ძ ი ს ქ რ ი ნ ი კ ა, რასაკვირველია, უნდა დაიბეჭდოს. მაგრამ ის უნდა დაიბეჭდოს ცალკე, შეიძლება სულ ბოლოს დამატების წესით ყოველ შემთხვევაში, უნდა ჩანდეს, რა

ეს ძველი გარკვეული დროინდელი ცვატანგის დროინდელი აღარ არის ამ კრებულის წევრი და ის აქ არც უნდა არღვევდეს ქართლის ცხოვრების ძველთა ისტორიულ-ლოგიკურ თანმიმდევრობას.

IV. ქართლის ცხოვრების ჩანართების საქმე აქ უოველთვის მითითებულად მოგვარებული არ ჩანს და ზოგიერთი ისეთი ღონისძიებაც მოიპოვება, რომელიც სრულიად უსაფუძვლოდ გამოიყურება და შეუწყნარებელია.

ა) ოცდამეშვიდე მეფის ვარაზ-ბაქარის ცხოვრებაში, მოპოვება საქმიან ვრცელ ჩანართი პეტრე ქართველი ს შესახებ. ცნობილია ისიც, რომ ეს უკანასკნელი დააწერინა და თავდაპირველად რუმინე ეპისკოპოსს ქართლის ცხოვრებაში შეატანინა პირადად ვახტანგმა. იწყება ის სიტყვებით: „ხოლო ამას აგალოხისა ხარებითა მოენიჭა ძე, რომელსა უწოდეს მურვანოს...“ აქედან ეს ჩანართი სხვა ნუსხებსაც მოედო და დღეისათვის საუოველთაოდ გავრცელებულია (იგულისხმება ვახტანგისეული რედაქციის ნუსხებში), გარდა ერთადერთი გამოჩეკისისა. მხოლოდ თეიმურაზისეულ ნუსხაშია ეს ჩანართი სხვა სახით შემონახული. იქ იგი სხვაგვარად იწყება: „იყო ესე უშვილო, რამეთუ არა ესუა ძე წული, და ევედრებინა ღმერთსა მარტვითა და მტრვალედ ევედრებოთა, რათა ღირს იქმნეს იგი მიცემად ძისა...“ გარდა ამისა, მთლიანად ჩანართი ოდნე უფრო მოკლეა და, რაც მთავარია, სვინაქსარული რედაქციითა წარმოდგენილი.

ცოტა არ იყოს, უცნაურად არის მოგვარებული აქ ამ ჩანართის საქმე. ის აქ მოტანილია ჯერ სვინაქსარული რედაქციით (თეიმურაზისეული ნუსხის მიხედვით), შემდეგ კი ვახტანგისეული რედაქციით (რუმინე ეპისკოპოსის ნუსხის მიხედვით). ამასთან ერთად, პირველ რედაქციის ურთავს ასეთ განმარტებას: „ეს არის პირველი ჩანართი პეტრე (მურვანოს) მაიუმელის ცხოვრების შესახებ. იგი მოპოვება მხოლოდ TK ნუსხებში. ამავე ცხოვრების უფრო ვრცელი რედაქცია (განსაკუთრებით განგრეობილი მეორე ნაწილში) მოპოვება ვახტანგის შემდეგდროინდელ დანარჩენ ნუსხებში (BEP Bds+K)“ და იქვე ათავსებს ამ ჩანართის ტექსტს ორთვე უარანტის მიხედვით.

საქმე ისაა, რომ ჩანართის ვახტანგისეული რედაქცია (რუმინე ეპისკოპოსის ნუსხისა) აღრინდელი და თავდაპირველია, ხოლო სვინაქსარული (თეიმურაზისეული ნუსხისა) უფრო გვიანდელია. ასე რომ, ქართლის ცხოვრების ამ ე. წ. დაღვნილ ტექსტშიც პირველს უნდა დაეკავებინა კუთვნილი ადგილი, ხოლო სვინაქსარული სქოლიოში ან სხვაგან უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი. ეს მით უფრო, რომ ზეინ არ მოგვეპოვება ქართლის ცხოვრების არც ერთი ხელნაწერი, რომელშიც აღნიშნული ჩანართი ასევე ორი-

ვე რედაქციით იყოს წარმოდგენილი.

ბ) გაუმართლებელია ჩანართების ზედოვერვად დასაათურება და მათი საათურების შეტანა ქართლის ცხოვრების ტექსტში, თითოეულ ჩანართს აქ ამ ახალ გამოცემაში, თავზე წარწერილი აქვს: „ჩანართი“. ზოგან კი არის: „1 ჩანართი“, „11 ჩანართი“. თანაც ყველგან ასეთ საათურებზე გვერდით, ფრჩხილებში მიწერილი აქვს სივანტრაცი იმ ხელნაწერებისა, რომლებშიც ესა თუ ის ჩანართი მოპოვება. ერთგან რედატორი კიდევ უფრო შორს წასულა და ერთი მილიანი ჩანართი სამ ნაკვეთად დაუყვია, თითოეულისათვის ცალკე ქვესათურებშიც გაუწვინა: „1. ხასიუნთა განდგომილება“, „2. მიხუთე მსოფლიო კრება“ და „3. აფხაზთა შეპყვება“ (იხ. გვ. 215). ასეთი ზედოვერვი საათურებისა და სხვა საცნობარო ხასიათის წარწერების თვითნებურად შეტანა ქართლის ცხოვრებაში ჩვენ შეუწყნარებლად მიგვაჩინა. (მით უფრო, იმ შემთხვევაში, როდესაც არ არსებობს ქართლის ცხოვრების არც ერთი ნუსხა, რომელშიც ჩანართები ამ წესით იყოს წარმოდგენილი).

ჩანართების წერილი შრიფტით აწყობა და მათი ახალი სტრიქონით დაწყება, რისაც რედაქცია ამ გამოცემაში მართებულად ახორციელებს, სრულიად საკმარისი ღონისძიებაა ქართლის ცხოვრების ძირითადი ტექსტისაგან მათ განასახელებლად.

გ) ასევე ზედმეტი და გაუმართლებელია აქ ქართლის ცხოვრების შინაგანი საათურების ყოველ ნაბიჯზე მითითების საქმეც. რაც მოივარია, ქართლის ცხოვრების ტექსტი ამ ახალ, ყაუჩხიშვილისეულ, გამოცემაში დაყოფილი და დასათურებულია შეფთავა ზეობის მიხედვით, სწორედ ისე, როგორც ამას ვახტანგისეული რედაქციის ნუსხებში აქვს ადგილი. და, თანაც, ყოველ ცალკე შემთხვევაში მითითებულია სქოლიოებში ის ხელნაწერები, რომლებშიც ასეთი დასათურება მოპოვებულია აღნიშნული მითითებებიდან კი ადვილად ირკვევა, რომ მეფეთა ზეობის მიხედვით დასათურება წარმოდგენილია მხოლოდ ვახტანგისეული რედაქციის ნუსხებში; მაშასადამე ისინი არიან BERTds ანუ ვახტანგის წინერტხანის ნუსხებში. ასეთ შემთხვევაში ამ გარემოების უოველ ნაბიჯზე მითითება სქოლიოებში უმართებულად მიგვაჩინა.

V. მიუხედავად იმისა, რომ ქართლის ცხოვრების ტექსტის აღდგენა-დადგენის საქმე რედაქციის მიერ აქ ძირითადად დაძლეულია, მაგრამ ჯერ კიდევ დასაღვნი და დასაზუსტებელია ზოგიერთი ადგილი, რომელთა აწინდელი მდგომარეობა არ შეიძლება დამაყაყოფილებლად ჩაათვალოს და დამატებით მუშაობის მითითდეს. ასე მაგალითად:

ა) „ვახტანგ გორგასლის ცხოვრებაში“ „ჯუან-შერ სპასპეტის სიტყვა, ნათქვამი ყმა ვახტანგის

საბრძოლო მოწოდების საპასუხოდ, ამ გამოცემაში იწეება ასე: „ცხოვნი, მეფეო, უკუნი-სამდე დიდებით...“ და სხვა. (გვ. 148) მიუხედავად იმისა, რომ პირველი სიტყვა („ცხოვნი“) ზოგიერთ ხელნაწერში მართლაც ასეა წარმოდგენილი, ის აქ მაინც მართებულად დადგენილი არა ჩანს. ე-ი აქ ფუძისეული არ არის და აშკარად ზედმეტია. აქ უფრო მართებული იქნებოდა ყოფილიყო: „ცხოვნი მეფეო...“ და სხვა, სწორედ ისე, როგორც ეს ქართლის ცხოვრების უძველეს, ანა დედოფლისეულ ნუსხაში იკითხება.

ბ) დავითის ცხოვრების დასაწყის ნაკვეთში, იქ სადაც საუბარია საქართველოს სამეზობლოდ თურქ-სელჯუკთა დამკვიდრების შიშზე შედეგების შესახებ, იკითხება ასე: „...რამეთუ იწყეს მიერთვან რბევად, ტყუენად და მოკრებად წუად, სრვად და ტყუეობად ჩვენ ქრისტიანეთა“. (გვ. 319) არც ეს წინადადება შეიძლება დადგენილად ჩითვალოს. მართალია, რედაქციას ის ხელნაწერებიდან გადმოუწერია. მაგრამ მხედველობაში არ შეუღია ის ვარაუდი, რომ უძველეს, ანა დედოფლისეულ, ნუსხაში ეს ადგილი სხვაგვარად იკითხება. ეს უკანასკნელი მას „და ტყუეობად“-ის გამოკლებით კითხულობს. ადამიანი რომ ჩაუყვირდეს, ეს სიტყვა („ტყუეობად“) აქ მართლაც ზედმეტია. ზედმეტია იმიტომ, რომ წინადადებაში იგივე სიტყვა (შეიძლება უფრო ძველი ფორმითაც) უკვე წარმოდგენილია: „ტყუენად“, ხოლო მისი გახშვრების საჭიროება აქ არსიდან ჩანს.

გ) ასევე უმართებულად გვეჩვენება გამოთქმა „მოსწერა და შორქვა“ იმ თხრობაში, რომელიც შეეხება სულთანის მუქარის წერილს დავით აღმაშენებლისადმი (გვ. 343). ანა დედოფლისეული ნუსხის წაკითხვა — „მოსწერა და შორქვა“ ჩვენ აქაც უფრო მართებულად მიგვიჩინა.

დ) არ შეიძლება დადგენილად ჩათვალოს სულთანის ქრონიკის უკანასკნელი ფრაზა, რომელიც მარიამ დედოფლის (ბაგრატ IV-ის დედა) ბიზანტიაში გამგზავრების მოტივებს შეეხება და იკითხება ასე: „... და რათა მიუთხრეს პატივი ძესა თვისსა ბაგრატს მეფეთა წესისაგან“

სახელისა“ (გვ. 386). აზრი აქ სრულიად გარეგნობა.

საქართველო

თუ ადამიანი „მატიანე ქართლისაჲს“ სწავნადა ადგილს ჩაუყვირდება, საიდანაც სულთანის ქრონიკის ეს ბოლო ნაკვეთი მომდინარეობს, ცხადი ვახდება, რომ აქ საუბარი ეხება სამეფო სახლს და არა სახელს („...ითარცა არს ჩვეულება წესი სახლისა მათისა და მოკვანებისათვის ძის ცოლისა“).

მსგავსი ადგილები აქ საკმარისად მოიძებნება. ე) გამოცემა თავისუფალი არ არის თითო-თორულა უნებლედ დამახინჯებისაგან. ერთი ასეთი შეცდომა მოიპოვება იმ ჩანართში, რომელიც კათალიკოს-პატრიარქთა შესახებ ბაგრატ IV-ის ცხოვრებაში მოიპოვება და იკითხება ასე:

„და გარდაიცვალა კათალიკოს — პატრიარქი ოქროპირ და დაჯდა გიორგი ტაოელი. მცირეულთა ეამთა გარდაიცვალა გიორგი ტაოელი და დაჯდა კათალიკოს პატრიარქად გაბრიელ სიზარულითა“ (გვ. 313).

ქართლის ცხოვრების თეიმურაზისეულ ნუსხაში კი, საიდანაც ეს ჩანართი მომდინარეობს, ზედმაწვევით მკაფიოდ იკითხება: „გაბრიელ საფარელი“¹. ასევე კითხულობდა იმ ადგილს თავის დროზე აკად. მარბროსე. მაგრამ საიდან განჩნდა ახლა გაბრიელის კათალიკოსად სიზარულით დაჯდომის ცნობა, ჩვენთვის გაუგებარია.

მიუხედავად ზემოაღნიშნული ნაკლოვანებებისა, სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ქართლის ცხოვრების ყუბნიშვილისეული გამოცემა, როგორც პირველი ცდა ამ ძეგლის კრიტიკული გამოცემისა, უაღრესად საუფრად-ლებო და მნიშვნელოვანი მოვლენაა ჩვენი ქვეყნის კულტურულ ცხოვრებაში.

ეს გამოცემა უთუოდ გაუწევს დახმარების საქართველოს ისტორიის მკვლევართ და ზელს შეუწყობს თანამედროვე ქართული ისტორიო-გრაფიის შემდგომი განვითარების საქმეს.

¹ საქ. სახელმწ. მუზეუმი. ხელნაწერთა განყოფილება. თეიმურაზისეული ქართლის ცხოვრების ფოტოპირი, გვ. 159.



სიტყვასიტყვითი თარგმანის ზოგირითი მავალითი



ლევ ტოლსტოის ნაწარმოებთა ქართულ ენაზე თარგმანს დიდი ზნის ისტორია აქვს. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ კი ჩვენმა გამოკვებლობებმა განსაკუთრებით მოჰკიდეს ხელი ამ გენიალური მწერლის თხზულებების ქართულ ენაზე გამოცემას.

ტოლსტოის „ანა კარენინა“ ქართული მკითხველისათვის დღემდე არ იყო ზედმისაწვდომი ანას წინათ სახელგამმა გამოაქვეყნა „ანა კარენინა“ პირველი ტომი, რომელიც თარგმნილია ლ. ტიტენინძისა და თ. საყვარელიძის მიერ.

პირველ ყოვლისა, ყურადღებებს იპყრობს წიგნის ტექნიკური მხარე: ისეთი დიდი წიგნი, როგორცაა „ანა კარენინა“, პეტიტოთაა აწყობილი და, ბუნებრივია, მკითხველს უჭირს მისი წიკითება. თანაც რომანი პატარა ფორმატოთაა გამოკემული (4 1/4 x 7 3/4) და შიგ ბევრი კორექტორული შეცდომათაა გაბარული.

ჩვენ აქ მიზნად არ ვისახავთ თარგმანის მთლიან შეფასებას, შევეცებით მხოლოდ ზოგიერთ შეუსაბამობას. ალავალაგ მთარგმნელებს სწორად ვერ აქვთ შერჩეული ზოგიერთი სპეციფიკური გამოთქმისათვის ქართული შესატყვისები. ართშეითად რუსული წინადადებების კონსტრუქციები სიტყვასიტყვით არის თარგმნილი, რაც ამკარა ვაუტგებობას იწვევს.

1. მოსკოვიდან პეტერბურგში ახლადმბრუნებულ ანას ლილია ივანოვნა ეკითხება:

— Ну, что мой друг, снесли оливковую ветвь?"

თარგმანშია:

— რაო, ზემო შეგობარო, ჩაუტანეთ ზეთის ხილის რტო?" (გვ. 153).

„Оливковая ветвь“ ფიგურალური გამოთქმაა და რუსულ სიტყვაშარებაში გამოყენებული მშველბის ნიშნეულბოთ. ტექსტში ლაბარაკია ანას ძმისა და რძლის შერაგებაზე, მათ შორის მშვიდობიანი ურთიერთობის დამყარებაზე. როგორც ცნობილია, ძველი რომაელებისა და ბერძნობისათვის ზეთისხილის რტო მშველბის სიმბოლის წარმოადგენდა. აქედან მივიღეთ ფიგურალური გამოთქმა „Оливковая ветвь“. ქართულ ენაში კი ასეთი ფიგურალური გამოთქმა არ არის დამკვიდრებული. ამიტომ ქართული მკითხველისათვის ვაუტგებარია წინადადება: „ჩაუტანეთ ზეთისხილის რტო?“ — იმ აზრით, რო-

გორითაც ეს ნაფულისხმეგია რუსულ ფრაზაში. საჭირო იყო, მთარგმნელებს მოენახათ ამ გამოთქმის ქართული ეკვივალენტი, ანდა აღწერიათ გზით ვადმოეცათ მისი აზრო.

2. „Телега с семенами стояла не на ружье, а на пашне, и пшеничная озимь была взрыта колесами и ископана лошадыю“.

თარგმანშია:

„თესლით სახეც ურემნ მიჯნახთან კი არ გავაჩერებინათ, პირდაპირ ზნულებში გადაეყვანათ და საშეშოლგომო ხორბალი ურემის თელებითა და ცხენის ფლოქეებით იყო დაჩინქნილი და გადათხრილი“ (გვ. 222).

„пшеничная озимь“ საშეშოლგომო ნათესია და არა ხორბალი; ეს გამოთქმა მით უფრო უხერხულია, რამ ამბავი ხდება გაბაფხულზე და ეს „საშეშოლგომო ხორბალი“ უკვე შწანეჯეჯილად არის ქეუელი.

3. „Как вы потрете смолу о шерсть, обнаруживается известное явление“.

თარგმანშია:

„როცა კი ფისს შალზე გავესვამთ, წარმოიშობა გარკვეული მოვლენა“ (გვ. 76).

სიტყვა „смола“ პირდაპირ „ფისად“ არის თარგმნილი, მაგრამ შეიძლება ფისის გასმა შალზე? ნამდვილად კი ლევინი აქ ქარვას გულისხმობდა, რადგან ელექტრულ მოვლენაზე სქონდა ლაბარაკი.

4. „Княгиня сидела в кресле молча и улыбалась; князь сел подле нее. Книги стояла у кресла отца, все не выпуская его руку“.

თარგმანშია:

„ქენინა ხამამოულეზლად იჯდა საეარქელში და ილიმებოდა. თავადიც მის გვერდით ჩამოიჯდა. კიტი მამის საეარქელთან იდგა და კვლავ ზელოდან არ უშეებდა ლევინის ხელს“ (გვ. 574).

ნამდვილად კი თავისი ბედნიერებით გახარებულმა კიტმა მამას დაუჯოცნა ზელები და მის, მამის საეარქელთან გაჩერებულს, ისევ მოხუცია თავადის ხელი ეჭირა ხელში. საიდან მოიტანეს მთარგმნელებმა აქ ლევინის ხელი?!

5. თეატრის ლოკაში ერონსკი უყვება ბეტსის ორი ოფიცრის შესახებ, რომლებიც აუღვეენ ერთ ლამაზ ქალს, მაგრამ ერონსკის არ სურს

თქვას, რომ ეს ოფიცრები ნასვამები იყვნენ, პეტსი კი ცდილობს პირდაპირ ათქმევინოს და ეუბნება:

— **Переводите: выпившие.**

თარგმანშია:

— გადათარგმნეთ: ესე იგი ნასვამები იყვნენ" (გვ. 183).

მთარგმნელს პირდაპირ გაღმოსულიათ სიტყვა „переводите“, ნაცვლად იმისა, რომ, თუნდაც, ასე უთარგმნათ: „პირდაპირ თქვით, ნასვამები ყოფილან“.

6. „Мы знаем, какая земля — мак, а тоже не больно хвалится урожаем. Все недосмотр!“

„ჩვენ ზომ ვითო, როგორი ყაყაოსავით მიწები აქვს, მოსავლით კი მაინც და მაინც ვერც ისინი დაიკვეხნიან. სულ მოუვლელობის ბრალი!“ (გვ. 461).

მთარგმნელს „мак“ პირდაპირ ყაყაოსად* გაღმოსულიათ. სინამდვილეში კი აქ ფხვიერ და ყარგ ნიადაგზეა ლაპარაკი და ამიტომ „мак“ ნაშხამად უნდა უთარგმნათ ან მისი მნიშვნელობის ქართული შესატყვისი გამოენახათ, თუნდაც ასეთი „თოფისწამალივით მიწაო“.

7. „И в особенности весело баба в калашах, подливая щи в чашку“.

თარგმანშია:

„განსაკუთრებით გამხიარულებული იყო ის კალაშებთან დედაკაცი. რომელიც ჯამებით წვნიანს აარიგებდა“ (გვ. 462).

სინამდვილეში დედაკაცია „წვნიანს კი არ არეგებდა“, არამედ „წვნიანს იმატებდა თავის ჯამში“.

8. „Подняв последнее сено граблями, баба отряхнула засыпавшуюся ей за шеею труху“.

თარგმანშია:

„დედაკაცმა უკანასკნელი თოვაც მიაწოდა, კისერში ჩაყრილი ნამჯა ამოიფერხა“ (გვ. 388).

აქ სიტყვა „граблями“ სულ გამოტოვებულიათანა. „труха“ — განა ნამჯა? „труха“ არის ბრელი, მტკერი. ნამჯა კი თავთავის გამხმარი ღეროებია. საიდან უნდა ჩაყრიდა დედაკაცს კისერში ეს შვიდე თავთავის ღეროები, როცა საქმე ებუბოდა ბალახის თიბვას.

9. სიტყვა „совершенство“ ყველგან სრულყოფილობად* არის თარგმნილი, რაც ქართულსათვის შეუფერებელია.

მაგალითად:

„— Да, я когда-то со страстью каталась, мне хотелось дойти до совершенства“

„— დიახ, ოდესღაც გაცაცებით ვეცურებოდი. სრულყოფილობამდის მინდოდა მიმეღწია“ (გვ. 43).

ან კიდევ:

10. „— Я не об вас, совсем не об вас говорю. Вы Совершенство. Да, я знаю, что вы совершенство“.

„— მე თქვენზე არ ვამბობ, თქვენზე სულაც არ ვამბობ ამას. თქვენ სრულყოფილი ხართ. დიახ, დიახ, მე ვიცი რომ თქვენ სრულყოფილი ხართ“ (გვ. 333).

ამასთანვე, აღსანიშნავია, რომ „плодо“ „поднос“ და „лопатока“, ყველგან „ლანგარად“ არის თარგმნილი (გვ. 164, 128, 168, 254). რატომ ყველგან „ლანგარი“ უნდა ვიხმაროთ, როცა გვქვს სიტყვა „სინიო“?

სიტყვა „поднос“ ყველგან თარგმნილია როგორც „სადავე“. ეს სწორია, მაგრამ „поднос“ სადავე ჰქვია, როცა ხელნაში შეხმულ ცხენებზე ვლანგარობთ მაგრამ თუ ცხენზე ზის მხედარი, მას ხელში სადავე კი არა, აღვირ ეჭირავს. ამიტომ 221, 273, 278, 279, 280, 283 გვერდებზე „სადავე“ — სიტყვის ნაცვლად უნდა იყოს „აღვირი“.

„ружье в чехле“ თარგმნილია როგორც „ბუდეში ჩადებული თოფი“. თოფი ბუდეში კი არა, „შალითაში“ იდება.

თარგმანი აღვავალე ძლიერ მოიკოცლებს სტილისტურად.

უკანასკნელი ნაწილის მე-19 თავი ასე იწყება:

„აღქმევი ალექსანდროვიჩის“ შეცდომა, რომ მან, როცა იგი შესახვედრად ემზადებოდა, ვერ გაითვალისწინა ის ვარემოება, რომ ანა მკერისმეტად გულწრფელი იქნებოდა, იგიც ამატებოდა ყველაფერს და ანა კი ცოცხალი გადარჩებოდა, ეს შეცდომა მოსკოვიდან დაბრუნების ორი თვის შემდეგ მთელი ძალით გამოიმუდუნდა“ (გვ. 593).

უვარგისია, ფერფეფ ფრანა:

„მან კვლავ შეხედა სახეში ანას და ცდილობდა, არ ამოეციხა მისი სახიდან ის, რაც ამჟამად ეწერა სახეზე, მაგრამ თავისდა უნებურად ჩაწოლილი კითხულობდა მის სახეზე იმას, რისი ცოდნაც არ უნდოდა“ (გვ. 297).

თარგმანი არ არის დაზღვეული ზოგიერთი კუთხური, არალიტერატურული ფორმებისაგან. მაგალითად, გვხვდება ასეთი ზმნები: „მაკოდინა“ (გვ. 105), „პქვიოდა“ (გვ. 384), და სხვ.



რედაქტორი ს. ჩიქოვანი

სარედაქციო კოლეგია:

დ. ბენაშვილი, ლ. კალანდაძე (პ/მგ. შლივანი), კ. ლორთქიფანიძე,
პ. რატიანი, ა. ქუთათელი, ს. შანშიაშვილი.

რედაქციის მისამართი: თბილისი, მარჯანიშვილის ქ. № 6. ტელეფონი 3-23-42.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 14/V-56 წ. ნაბეჭდ ფორმათა რაოდენობა 12. ანაწილების ზომა
7¼×12½. ქაღალდის ზომა 70×108. ტირაჟი 6000. შეკვ. № 190. უც 03015.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს
შთავარპოლოგრაფიამომცემლობის ბეჭდვითი სიტყვას
კომბინატი. თბილისი, მარჯანიშვილის ქ. 5.

Комбинат печати Главполиграфиздата
Министерства культуры Грузинской ССР.
Тбилиси, ул. Марджанишвили, 5.

ახალი წიგნები

სახელმწიფო გამომცემლობა



3. ი. ლენინი — იუბილეს გამო. „საგლეხო რეფორმა“ და პროლეტარულ-გლეხური რევოლუცია. გვ. 25, ფასი 30 კაპ.
3. ი. ლენინი — პოლიტიკური პარტიები რუსეთში. პოლიტიკური პარტიები რუსეთში და პროლეტარიატის ამოცანები. გვ. 34, ფასი 35 კაპ.
3. ი. ლენინი — რით დავიწყეთ? პარტიული ორგანიზაცია და პარტიული ლიტერატურა. მუშათა კლასი და მუშათა პრესა. გვ. 49, ფასი 60 კაპ.
3. ი. ლენინი — საბჭოთა ზეღისუფლება და ქალის მდგომარეობა. მუშე ქალთა საერთაშორისო ღლე. გვ. 10, ფასი 10 კაპ.
- რატომ არის უცხო მარქსიზმ-ლენინიზმისათვის პიროვნებას კულტი? — გვ. 47, ფასი 50 კაპ.
- სკკ მე-20 ყრილობის დირექტივები სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1956 — 1960 წლების მეექვსე ხუთწლიანი გეგმის შესახებ — გვ. 101, ფასი 1 მან. 10 კაპ.
- საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მე-20 ყრილობის რეზოლუცია სკკ ცენტრალური კომიტეტის სანგარიშო მოხსენების გამო — გვ. 31, ფასი 30 კაპ.
- ა. ი. მიქოიანი — სიტყვა სკკ მე-20 ყრილობაზე. გვ. 48, ფასი 50 კაპ.
- ბ. შ. მადუნაფი — სიტყვა სკკ მე-20 ყრილობაზე. გვ. 38, ფასი 30 კაპ.
- კ. ე. ვოროზილფი — სიტყვა სკკ მე-20 ყრილობაზე. გვ. 29, ფასი 30 კაპ.
- ღ. მ. კავანოვი — სიტყვა სკკ მე-20 ყრილობაზე. გვ. 43, ფასი 45 კაპ.
- დ. ტ. შვილიფი — სიტყვა სკკ მე-20 ყრილობაზე. გვ. 34, ფასი 35 კაპ.
- ნ. ი. ზელაფი — სიტყვა სკკ მე-20 ყრილობაზე. გვ. 22, ფასი 20 კაპ.
- მ. შერნიკი — სიტყვა სკკ მე-20 ყრილობაზე. გვ. 33, ფასი 35 კაპ.
- მ. გ. პერეუბინი — სიტყვა სკკ მე-20 ყრილობაზე. გვ. 35, ფასი 35 კაპ.
- ა. ი. კირიჩენკო — სიტყვა სკკ მე-20 ყრილობაზე. გვ. 30, ფასი 30 კაპ.
- ბ. ა. სუსლოფი — სიტყვა სკკ მე-20 ყრილობაზე. გვ. 33, ფასი 30 კაპ.
- მ. ზ. საბურფი — სიტყვა სკკ მე-20 ყრილობაზე. გვ. 29, ფასი 30 კაპ.
- საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუცია (ძირითადი კანონი) — გვ. 40, ფასი 40 კაპ.
3. გ. ესაიაშვილი — ე. ი. ლენინი საქართველოს შესახებ. რედაქტორი მ. კორძაზია, გვ. 195, ფასი 4 მან. 15 კაპ.
- ბ. წერეთელი — მეცნიერების კანონთა ბუნების შესახებ. რედაქტორი გ. შახსეფანიფი, გვ. 154, ფასი 1 მან. 65 კაპ.
3. მეფისაშვილი — ქუთაისის მანქანათმშენებელი ქარხნის პარტორგანიზაცია. რედაქტორი მ. კორძაზია, გვ. 114, ფასი 90 კაპ.
- ნ. აფელუნგი — ტურიზმი. რედაქტორი ქ. თავაფი, გვ. 115, ფასი 1 მან. 60 კაპ.
3. დონაძე — სუნ იატ-სენი — დიდი ზინელი რევოლუციონერი დემოკრატი რედაქტორი მ. კორძაზია, გვ. 238, ფასი 3 მან.
- ემილ ზოლა — ხაფანგი. თარგმანი ფრანგულიდან მ. ციციშვილისა, რედაქტორი გ. ქიქოძე, გვ. 469, ფასი 9 მან.

ფან 8 ა.

6.51/71



ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ХУДОЖЕСТВЕННО-
ЛИТЕРАТУРНЫЙ ЖУРНАЛ

„МНАТОБИ“

ГОСИЗДАТ ГРУЗИИ